საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი

ტომი IV

ს - ფ

პროფესორების – დავით გურგენიძისა და თამაზ ხმელიძის

საერთო რედაქციით

დამტკიცებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 05.07.2019, ოქმი №2

თბილისი

2019

უაკ 030.8:624

სამშენებლო ენციკლოპედიურ ლექსიკონში თავმოყრილი და გადამუშავებულია 16018 ტერმინი, რომლებიც ეხება სამშენებლო საქმესა და მასთან მონათესავე მიმართულებებს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, საკულტო და საერო ნაგებობები, წყლის ინჟინერია, მენეჯმენტი, ეკონომიკა, უსაფრთხოება, სეისმომედეგობა, მექანიკა, საგანგებო სიტუაციები, გეოინჟინერია, მეტალურგია, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება და სხვ. ტერმინების დიდ ნაწილს თან ახლავს ეტიმოლოგიური კვლევები, რომელთა ბაზისად აღებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის მასალები. ტერმინის განმარტების სრულყოფილად აღქმისათვის ლექსიკონში ჩართულია ფერადი სურათები და ნახაზები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 4770 ერთეულს. ლექსიკონის მოცულობაა 5 ტომი.

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ძირითადი ავტორების გარდა მასში მონაწილეობდა ფაკულტეტის 43 პროფესორი და სტუდენტი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების 6 წარმომადგენელი.

ნაშრომის მიზანია ქართველ მშენებლებს მიაწოდოს მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინების თანამედროვე განმარტებები, ხოლო პროფესიონალ მკვლევრებს, გამომცემლებს და, ზოგადად, ლექსიკოგრაფიითა და ლექსიკოლოგიით დაინტერესებულ პირებს მისცეს ქართველ მშენებლებთან უშუალო დიალოგის შესაძლებლობა.

ლექსიკონი განკუთვნილია მშენებელი ინჟინრების, სტუდენტების, არქიტექტორების, სამუშაოთა მწარმოებლების, ექსპერტების, ბიზნესმენების, საჯარო რეესტრის, სანოტარო ბიუროების, ადვოკატების, სასამართლოების, სამინისტროების, ქალაქებისა და მუნიციპალური სამსახურების, ჟურნალისტების, მშენებელი მუშებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: გურამ აბაშიძე – პროფესორი; თამაზ ბაციკაძე – პროფესორი; ზურაბ გასიტაშვილი – პროფესორი; ზურაბ გედენიძე – პროფესორი; გინა გურეშიძე – პროფესორი, ალექსანდრე გრიგოლიშვილი – ინჟინერ-ენერგეტიკოსი; დავით გურგენიძე – პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე); როინ იმედაძე – პროფესორი; ლევან კლიმიაშვილი – პროფესორი (თავმჯდომარე); რევაზ მახვილაძე – პროფესორი; ელგუჯა მეძმარიაშვილი – აკადემიკოსი; ქეთევან ქორქია – ასოცირებული პროფესორი; მალხაზ წიქარიშვილი – პროფესორი; თამაზ ხმელიძე – პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე).

ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტიდან (პოლონეთის რესპუბლიკა): ლეხ დზიენისი – პროფესორი, ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი; ანატოლი გურინოვიჩი – პროფესორი.

მეცნიერ-კონსულტანტები:

არჩილ ფრანგიშვილი – აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი; **ნანა მაჭავარიანი** – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; **ბაკურ გულუა** – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს საპატრიარქოს განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი; **ავთანდილ სილაგაძე,** აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი.

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი **არჩილ მოწონელიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ვაჟა პაპასკირი**

© საგამომცემლო სახლი `ტექნიკური უნივერსიტეტი~, 2019

ISBN 978-9941-28-496-0 (ყველა ტომი)
ISBN 978-9941-28-497-7 (პირველი ტომი)
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

ავტორები და შემდგენლები:

თამაზ ხმელიძე – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გურგენიძე – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლევან კლიმიაშვილი – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კახაბერ ხმელიძე – დამოუკიდებელი მკვლევარ-დიზაინერი

Georgian Technical University

Building Encyclopedic Dictionary

Volume IV

S – F

Under the general editorship of

Professors David Gurgenidze and Tamaz Khmelidze

Approved by Editorial-
Publishing Council of
Georgian Technical University
05.07.2019, №2

Tbilisi
2019

UDC 030.8:624

The Building Encyclopedic Dictionary features and processes 16018 terms related to civil engineering and close fields such as: architecture, religious and civil buildings, water engineering, management, economics, security, seismicity mechanics, emergency situation, geo-engineering, metallurgy, business, computer science and others. The majority of terms have undergone etymological researches based on Oxford University material. In order to perfectly perceive the term, the dictionary is provided with 4770 colored photos and drafts. The number of volumes of the dictionary is 5.

The Encyclopedic Dictionary is made ready at the faculty of Civil Engineering. Besides the chief authors, 42 professors and students of the faculty participated in the work, as well as 6 representatives of different institutions.

The objective of the dictionary is to provide Georgian civil engineers with modern interpretation of the terms related to the sphere, whereas the professional researchers, publishers and, particularly, the people interested in lexicography and lexicology will gain the opportunity to carry on an immediate dialogue with Georgian civil engineers.

The dictionary is intended for: civil engineers, students, architectures, clerks, experts businessmen, public registry, notary bureaus, lawyers, courts, ministries, cities and municipal services, journalists, house-builders and all concerned.

Editorial Board

Georgian Technical University:
Professors: Guram Abashidze, Tamaz Batsikadze, Zurab Gasitashvili, Zurab Gedenidze, Gina Gureshidze, David Gurgenidze (vice-chairman), Roin Imedadze, Levan Klimiashvili (chairman), Revaz Makhviladze, Malkhaz Tsikarishvili, Tamaz Khmelidze (vice-chairman)
Associated professors: Ketevan Korkia
Academics: Elguja Medzmariashvili
Power engineer – Aleksandre Grigolishvili
Bialystok University of Technology (Poland):
Professors: Lech Dzienis (rector of University), Anatoli Gurinovich
Consulting Scientists:
Archil Prangishvili – academician**,** the rector of Georgian Technical University;
Nana Machavariani – professor**,** the director of Arnold Chikobava Institute of Linguistics of Georgian State University;
Bakur Gulua – civil engineer, the chief of the Center of Georgian Patriarchy Development
Avtandil Silagadze – academician, the chairman of the Department of International Economics and the History of Economic Teachings at Georgian State University.
Reviewers:
Prof. Archil Motsonelidze – the Faculty of Civil Engineering – GTU,
Prof. Vasja Papaskiri – the Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences – GTU
© Publishing house “Technical University”, 2019
ISBN 978-9941-28-496-0 (all volumes)
ISBN 978-9941-28-497-7 (Vol. I)
http://www.gtu.ge
Copyright reserved. This book cannot be used in any part of it (will it be the text, photo, illustration or others) and in any form and way (will it be electronic or mechanical) without the consent of the publisher in writing Copyright infringement is punishable by law.
The author(s) is/are responsible for the accuracy of the facts given in the book.
The author's/s’ position may not coincide with that of the publishing house.

Authors and Compilers:

Tamaz Khmelidze – Professor, Georgian Technical University

David Gurgenidze – Professor, Georgian Technical University

Levan klimiashvili – Professor, Georgian Technical University

Kakhaber Khmelidze – Freelance researcher-designer

შემოკლებანი და პირობითი აღნიშვნები

ავიაც. - ავიაცია
ავსტრალ. - ავსტრალია
აზერბ. - აზერბაიჯანული
ალპინ. - ალპინიზმი
ამერ. - ამერიკელ ინდიელთა ენები
ანატ. - ანატომია
ანგლონორმ. - ანგლონორმანდიული ენა
ანთროპ. - ანთროპოლოგია
აიმარ. - აიმარული ენა
არაბ. - არაბული
არამ. - არამეული ენა
არქეოლ. - არქეოლოგია
არქიტ. - არქიტექტურა
ასტრ. - ასტრონომია
ატმ. - ატმოსფერო
აფრ. - აფრიკაანსი (ენა)
აფრიკ. - აფრიკული ენები
აცტეკ. - აცტეკური
ა.შ. - ასე შემდეგ
ახ. - ახალი
ახ. ლათ. - ახალი ლათინური ენა
ბაბილ. - ბაბილონური ენა
ბერძ. - ბერძნული ენა
ბერბერ. - ბერბერული
ბიბლიოთ. - საბიბლიოთეკო
ბიოლ. - ბიოლოგია
ბოტან. - ბოტანიკა
ბრეტონ. - ბრეტონული
ბულგ. - ბულგარული
ბუღ. - ბუღალტერია, საბუღალტრო
გადატ. - გადატანითი მნიშვნელობა
გალ. - გალიური
გეოგრ. - გეოგრაფია
გეოგრ. სახ. - გეოგრაფიული სახელი
გეოდ. - გეოდეზია
გეოლ. - გეოლოგია
გეომ. - გეომეტრია
გეოფიზ. - გეოფიზიკა
გერმ. - გერმანული

გვიანდ. - გვიანდელი
გოტიკ. - გოტიკური
გრამატ. - გრამატიკა
დაახლ. - დაახლოებით
დან. - დანიური
დიპლ. - დიპლომატია
დღ. - დღეღამე
ებრ. - ებრაული
ეგვიპტ. - ეგვიპტური ენა
ე.წ. - ეგრეთ წოდებული
ეთიოპ. - ეთიოპიური
ეთნ. - ეთნოგრაფია
ეკლ. - საეკლესიო
ეკონ. - ეკონომიკა
ელექტრ. - ელექტროტექნიკა
ესპ. - ესპანური
ესპერ. - ესპერანტო
ესტონ. - ესტონური
ვაჭრ. - ვაჭრობა
ვწყ. სვ. - ვერცხლისწყლის სვეტი
ვ - ვოლტი
ვტ - ვატი
ზედსართ. - ზედსართავი სახელი
ზოოლ. - ზოოლოგია
ზოოტექ. - ზოოტექნიკა
ზღ. დ. - ზღვის დონიდან
თათრ. - თათრული
თეატ. - თეატრი
თურქ. - თურქული
იავ. - იავური
იაკუტ. - იაკუტიური
იაპ. - იაპონური
ივრ. - ივრითი
ინგლ. - ინგლისური
ინდ. - ინდური
ინფორ. - ინფორმატიკა
ინუიტ. - ინუიტური
ირან. - ირანული
ისლანდ. - ისლანდიური
ისტ. - ისტორიული
იტალ. - იტალიური ენა

კდ. - კანდელა
კატალ. - კატალონიური ენა
კელ. - კელვინი
კარიბ. - კარიბული
კელტ. - კელტური
კორნ. - კორნული ენა (ან კორნუოლური ენა)
კეჩ. - კეჩუა
კვ - კილოვოლტი
კვმ - კვადრატული მეტრი
კვტ - კილოვატი
კინემატ. - კინემატოგრაფია
კნ - კილონიუტონი
კნინ. - კნინობითი
კომერც. - კომერციული
კომპ. - კომპიუტერული მეცნიერება
კრებ. - კრებითი
კულინ. - კულინარია
კუნძ. - კუნძული
კჯ. - კილოჯოული
ლათ. - ლათინური
ლაკ. - ლაკური
ლინგვ. - ლინგვისტიკა
ლიტ. - ლიტერატურა
ლოგ. - ლოგიკა
მათემ. - მათემატიკა
მალ. - მალაიური ენა
მალგაშ. - მალგაშური
მამრ. - მამრობითი
მანქ.სთ. - მანქანა საათი
მანქ. ცვლა - მანქანა ცვლა
მანჯურ. - მანჯურიული
მგვტ - მეგავატი
მგჰც - მეგაჰერცი
მდედრ. - მდედრობითი
მდ. - მდინარე
მეგრ. - მეგრული
მედიც. - მედიცინა
მეტალ. - მეტალურგია
მემცენ. - მემცენარეობა
მექ. - მექანიკა
მთ.-მად. - სამთამადნო საქმე

მითოლ. - მითოლოგია
მინერ. - მინერალოგია
მისთ. - მისთანები, მისთანათა
მკმ. - მიკრომეტრი
მკრ. - მიკრონი
მონღ. - მონღოლური
მოძვ. - მოძველებული
მქკ - მარგი ქმედების კოეფიციენტი
მრ.რ. - მრავლობითი რიცხვი
მრეწვ. - მრეწველობა
მუს. - მუსიკა
მშენ. - მშენებლობა
მ.შ. - მათ შორის
მხ.რ. - მხოლობითი რიცხვი
ნ - ნიუტონი
ნანომ. - ნანომეტრი
ნათეს. - ნათესაობითი ბრუნვა
ნაწილ. - ნაწილაკი
ნიდერლ. - ნიდერლანდური
ოპტ. - ოპტიკა
ორიგ. - ორიგინალი
ნორვეგ. - ნორვეგიული
პ. - პიკო
პალეონტ. - პალეონტოლოგია
პედაგ. - პედაგოგიკა
პეტროგრ. - პეტროგრაფია
პოეტ. - პოეტური
პოზ. - პოზიცია
პოლიგრ. - პოლიგრაფია
პოლინეზ. - პოლინეზიური ენები
პოლიტ. - პოლიტიკური
პოლონ. - პოლონური
პორტუგ. - პორტუგალიური
პროვანს. - პროვანსული
პფ. - პიკოფარადი
რად. - რადიანი
რკ.ბ. - რკინაბეტონი
რუმინ. - რუმინული
რუს. - რუსული
ს. - სოფელი
სავარ. - სავარაუდო

საზღვ. - საზღვაო
მინერ. - მინერალოგია
მისთ. - მისთანები, მისთანათა
მკმ. - მიკრომეტრი
მკრ. - მიკრონი
მონღ. - მონღოლური
მოძვ. - მოძველებული
მქკ - მარგი ქმედების კოეფიციენტი
მრ.რ. - მრავლობითი რიცხვი
მრეწვ. - მრეწველობა
მუს. - მუსიკა
მშენ. - მშენებლობა
მ.შ. - მათ შორის
მხ.რ. - მხოლობითი რიცხვი
ნ - ნიუტონი
ნანომ. - ნანომეტრი
ნათეს. - ნათესაობითი ბრუნვა
ნაწილ. - ნაწილაკი
ნიდერლ. - ნიდერლანდური
ოპტ. - ოპტიკა
ორიგ. - ორიგინალი
ნორვეგ. - ნორვეგიული
პ. - პიკო
პალეონტ. - პალეონტოლოგია
პედაგ. - პედაგოგიკა
პეტროგრ. - პეტროგრაფია
პოეტ. - პოეტური
პოზ. - პოზიცია
პოლიგრ. - პოლიგრაფია
პოლინეზ. - პოლინეზიური ენები
პოლიტ. - პოლიტიკური
პოლონ. - პოლონური
პორტუგ. - პორტუგალიური
პროვანს. - პროვანსული
პფ. - პიკოფარადი
რად. - რადიანი
რკ.ბ. - რკინაბეტონი
რუმინ. - რუმინული
რუს. - რუსული
ს. - სოფელი
სავარ. - სავარაუდო

საზღვ. - საზღვაო
სამართ. - სამართალი
სამოქ. - სამოქალაქო
საფინ. - საფინანსო
ს.გ. - სამხრეთ განედი
სერბ. - სერბული
სამხ. - სამხედრო
სანსკ. - სანსკრიტი
საპირისპ. - საპირისპირო
საუკ. - საუკუნე
სთ. - საათი
სითბ. - სითბური
სინჰ. - სინჰალური
სკანდ. - სკანდინავიური
სომხ. - სომხური
ს. მეურნ. - სოფლის მეურნეობა
სპარს. - სპარსული
სპეც. - სპეციალური
სპორტ. - სპორტული
ტექ. - ტექნიკური
ტექნ. - ტექნიკა
ტიბეტ. - ტიბეტური
ტოპოგრ. - ტოპოგრაფია
ტუნგუს. - ტუნგუსური
უარყ. - უარყოფითი
უკრ. - უკრაინული
უმართებ. - უმართებულო
უნგრ. - უნგრული
ფ. - ფარადი
ფარმაკ. - ფარმაკოლოგია
ფიზ. - ფიზიკა
ფიზიოლ. - ფიზიოლოგია
ფილოს. - ფილოსოფია
ფინ. - ფინური
ფინანს. - ფინანსები
ფინიკ. - ფინიკიური
ფლამანდ. - ფლამანდიური
ფოტოგრ. - ფოტოგრაფია
ფრანგ. - ფრანგული
ფსიქ. - ფსიქოლოგია
ქ. - ქალაქი

ქართ. - ქართული
ქიმ. - ქიმია
ყაზახ. - ყაზახური
შემოკლ. - შემოკლებით, შემოკლებული
შვედ. - შვედური
შოტლ. - შოტლანდიური
შუაგერმ. - შუაგერმანული
შუაინგლ. - შუაინგლისური
შუაფრანგ. - შუაფრანგული
შუასაუკუნ. - შუასაუკუნეების
ჩ.გ. - ჩრდილოეთ განედი
ჩეხ. - ჩეხური
ჩინ. - ჩინური
ციმბრ. - ციმბირული
ცხ.ძ. - ცხენის ძალა
ძვ. - ძველი
ძვ. ებრ. - ძველი ებრაული
ძვ. ინგლ. - ძველი ინგლისური
ძვ. ნორვეგ. - ძველი ნორვეგიული
ძვ. ქართ. - ძველი ქართული
ძვ. ფრანგ. - ძველი ფრანგული
ძვ. წ. - ძველი წელთაღრიცხვით
ჩვ. წ. - ჩვენი წელთაღრიცხვით
წთ. - წუთი
წ. - წამი
წმ. - წმინდა
წწ. - წელიწადი
წ/ც - წყალცემენტი
ხევს. - ხევსურეთი
ხელოვნ. - ხელოვნება
ხორვ. - ხორვატული
ჰც - ჰერცი
ჰინდ. - ჰინდი ენა
ჰოლანდ. - ჰოლანდიური

ქართული ანბანი

ა (ან)	მ (მან)	ღ (ღან)
ბ (ბან)	ნ (ნარ)	ყ (ყარ)
გ (გან)	ო (ონ)	შ (შინ)
დ (დონ)	პ (პარ)	ჩ (ჩინ)
ე (ენ)	ჟ (ჟან)	ც (ცან)
ვ (ვინ)	რ (რაე)	ძ (ძილ)
ზ (ზენ)	ს (სან)	წ (წილ)
თ (თან)	ტ (ტარ)	ჭ (ჭარ)
ი (ინ)	უ (უნ)	ხ (ხან)
კ (კან)	ფ (ფარ)	ჯ (ჯან)
ლ (ლას)	ქ (ქან)	ჰ (ჰაე)

ბერძნული ანბანი

Α, α (ალფა)

Β, β (ბეტა)

Γ, γ (გამა)

Δ, δ (დელტა)

Ε, ε (ეფსილონი)

Ζ, ζ (ძეტა)

Θ, θ (თეტა)

Ι, ι (იოტა)

Κ, κ (კაპა)

Λ, λ (ლამბდა)

Μ, μ (მიუ)

Ν, ν (ნიუ)

Ξ, ξ (ქსი)

Ο, ο (ომიკრონი)

Π, π (პი)

Ρ, ρ (რო)

Σ, σ (სიგმა)

Τ, τ (ტაუ)

Υ, υ (იფსილონი)

Φ, φ (ფი)

Χ, χ (ხი)

Ψ, ψ (ფსი)

Ω, ω (ომეგა)

ლათინური ანბანი

A, a (ა)

B, b (ბე)

C, c (ცე)

D, d (დე)

E, e (ე)

F, f (ეფ)

G, g (ჟე)

H, h (ჰაშ)

I, i (ი)

J, j (ჟი)

K, k (კა)

L, l (ელ)

M, m (ემ)

N, n (ენ)

O, o (ო)

P, p (პე)

Q, q (ქუ)

R, r (ერ)

S, s (ეს)

T, t (ტე)

U, u (უ)

V, v (ვე)

W, w (დუბლ-ვე)

X, x (იქს)

Y, y (იგრეკ)

Z, z (ზეტ)

ს

სააბაზანო – 1. სათავსი წყლის პროცედურებისათვის; 2. სათავსი საცხოვრებელი ბინის ან სახლის ნაწილში, რომელშიც შეიძლება ბანაობა ან შხაპის მიღება (ნახ. 1). ნორმალურ შემთხვევაში სააბაზანოში განთავსებულია საშხაპე, ხელსაბანი ნიჟარა და აბაზანა. სააბაზანოს აქსესუარებია სარკე, თაროები, გამწოვი ვენტილატორი, საპონი, შამპუნი და დასაბანად საჭირო სხვა ნივთები. ხშირად სააბაზანოში დამონტაჟებულია უნიტაზიც; ამ შემთხვევაში სააბაზანო საპირფარეშოს ფუნქციასაც ასრულებს.

ნახ. 1

სააბატო – კათოლიკური მრწამსის მქონე მოწესეთა თავშეყრის ადგილი (მონასტერი, ეკლესია, ტაძარი), რომელსაც ხელმძღვანელობს აბატი (აბატისა). სააბატოს დაარსების ნებართვის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ რომის პაპს.

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური – პიროვნების მიერ სააგენტოს ანგარიშზე გადარიცხული თანხა, რომლის ოდენობა დამოკიდებულია იმ სამუშაოს მოცულობაზე, რომელიც შეასრულა სააგენტომ. გადახდის ფორმა შეიძლება იყოს ნაღდი ან უნაღდო. გადასახადის ოდენობა, როგორც წესი, დადგენილია ქვეყნის მთავრობის დადგენილებით შესრულებული მომსახურების ერთეული მოცულობის მიხედვით.

საადმირალო – 1. მთავარი საადმირალოს შენობა (რუს. Здание Главного Адмиралтейства) – მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის ფედერაცია (ნახ. 1. საადმირალოს მთავარი ნაგებობა). აგებული იყო 1705-1711 წლებში რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის თანადგომითა და მონაწილეობით. ნაგებობის საერთო სიმაღლეა 72 მ, ხოლო ხის კონსტრუქციებისგან აწყობილი შპილის – 36 მ. შპილის წვეროზე განთავსებულია ოქროს ხომალდი – ფლუგერი (ნახ. 2), რომელიც 2 კგ ოქროსგანაა ჩამოსხმული. საადმირალოს შენობა ქ. სანკტ-პეტერბურგის არქიტექტურულ პეიზაჟში ორგანულადაა განთავსებული და დღესაც ამ ქალაქის სიმბოლოდ მოიაზრება; 2. დიდი სამხედრო გემების დაპროექტების, მშენებლობის, ტექნოლოგიური აღჭურვისა და რემონტის ადგილი ზღვის (დიდი მდინარის) ნაპირზე.

ნახ. 1

ნახ. 2

საავადმყოფო – სახელმწიფო ან კერძო სამოქალაქო დაწესებულება, სადაც მკურნალობენ მწოლიარე ავადმყოფებს ან აწარმოებენ სპეციალურ დიფერენციალურ დიაგნოსტიკას. დანიშნულების მიხედვით არსებობს: ბავშვთა, ინფექციური, კანისა და ვენერიული დაავადებების, კარდიო-რევმატოლოგიური, კლინიკური, ნევროლოგიის, ნეიროქირურგიული, ონკოლოგიური, ოფთალმოლოგიური, რესპუბლიკური, საერთო, სამეანო-გინეკოლოგიური, სპეციალური, ტრავმატომალოგიური, უროლოგიური, ფსიქიატრიული, ქირურგიული, ცენტრალური და სხვ.

საავარიო განგაშის სისტემა – საგანგებო ვითარების ან საფრთხის შემცველი ნივთიერებების არსებობის გამაფრთხილებელი სისტემა.

საავარიო გასაღწევი და სამაშველო ღიობი – გასაღები ფანჯარა, კარი ან სხვა ღიობი, საიდანაც შესაძლებელია გაღწევა საგანგებო ვითარების დროს.

საავარიო-აღდგენითი სამუშაოები – სამუშაოები, რომლებიც ტარდება საგანგებო სიტუაციის ზონებში (გაზისა და ნავთობის მაგისტრალები, კომუნალური და საწარმოო კომუნიკაციების ქსელები, სამრეწველო ობიექტები, ნავთობსაცავები და სხვ.) ავარიებისა და დაზიანებების აღმოსაფხვრელად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა, აგრეთვე მოხდეს ტერიტორიების სანიტარული გაწმენდა და გაუსნებოვნება სიცოცხლისათვის საშიში ნარჩენებისაგან.

საავარიო-სამაშველო სამუშაოები – სამუშაოები, რომლებიც ტარდება საგანგებო სიტუაციის ზონებში (ხანძარი, ხანძრის ლოკალიზაცია, ხანძრის ჩაქრობა, სათბობის, აირის, ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების ავარიული გამორთვა, გაზის გაჟონვა და სხვ.) დაზარალებული ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროების შემთხვევაში და მათი სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაციის მიზნით.

საავეჯო – სხვადასხვა მასალა (ხე, ქსოვილი, ფურნიტურა და სხვ.) განკუთვნილი ავეჯის დასამზადებლად.

საავიაციო ნავიგაციის სისტემა – ნავიგაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება ჰაერნაოსნობაში.

საავტომობილო გზებზე ნორმატიული დატვირთვა – დატვირთვის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობა, რომელიც მოდის საავტომობილო ტრანსპორტის ღერძებზე და თვლების მეშვეობით გადაეცემა გზის საფარს.

საავტომობილო გზების განვითარება – ახალი საავტომობილო გზების მშენებლობა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის საავტომობილო გზების განფენილობის ზრდას და, შესაბამისად, ქვეყნის საგზაო პოტენციალის უპირობო განვითარებას.

საავტომობილო გზების მახასიათებელი მაჩვენებლები – მაჩვენებლების ერთიანი კომპლექსი, რომელიც მოიცავს საავტომობილო გზების სატრანსპორტო, ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების მთელ ნუსხას.

საავტომობილო გზების მოვლა-შეკეთება – საგზაო სამუშაოები (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და სხვ.), რომლებიც ითვალისწინებენ გზის მახასიათებელი მაჩვენებლების აღდგენასა და რეაბილიტაციას.

საავტომობილო გზების საექსპლუატაციო მაჩვენებლები – გზაზე ტრანსპორტისა და ტვირთების გამტარუნარიანობა; ტრანსპორტის ნაკადის მოძრაობის სიჩქარე, გზის საფარის თანაბრობა, ხორკლიანობა და ცვეთამედეგობა; გზებსა და ხიდებზე მოქმედი დასაშვები დატვირთვები, გზის განვლადობა, გზების მომსახურეობის ვადები, ავარიულობა და უსაფრთხოება; გზის მოძრაობის რეჟიმის რეგულირების უზრუნველყოფა ტექნიკური საშუალებებით, დამცავი ნაგებობებითა და კეთილმოწყობის საშუალებებით; მგზავრებისა და ტრანსპორტის მომსახურეობის სერვისული უზრუნველყოფა და სხვ.

საავტომობილო გზების სატრანსპორტო მაჩვენებლები – მოძრაობის ინტენსივობა, ნაკადების შემადგენლობა და რაოდენობა; გზის მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებით დატვირთვისა და მოძრაობის სიმჭიდროვის დონე; მოძრავი ტრანსპორტის გადაადგილებისთვის საჭირო დრო და სხვ.

საავტომობილო გზების სრულყოფა – სამუშაოების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს გზების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, არსებული საგზაო ინფრასრუქტურის გამტანუნარიანობის გაზრდის მიზნით, აგრეთვე გზის ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას და სხვ.

საავტომობილო გზების ტექნიკური მაჩვენებლები – მიწის ვაკისის გეომეტრიული პარამეტრები, მიწის ვაკისის მდგრადობა, გზის სამოსის ტექნიკურ-მექანიკური მახასიათებლები, ტრანსპორტის სამოძრაო ზოლების რაოდენობა, გზის საფარის კონსტრუქციის ტიპი და მისი მზიდუნარიანობა, გზის საფარზე მოქმედი მაქსიმალური ნორმატიული დატვირთვა, მოძრაობის საანგარიშო სიჩქარე და სხვ.

საავტომობილო ნავიგაციის სისტემა – ნავიგაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება ავტომობილებში.

საავტორო ზედამხედველობა – მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის ავტორის ზედამხედველობა მშენებლობის მსვლელობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა დამტკიცებულ პროექტთან. თუ პროექტის ავტორი ვერ ანხორციელებს საავტორო ზედამხედველობას, მაშინ საავტორო ზედამხედველობის

განხორციელების უფლება ეძლება მის წარმომადგენელს ან უფლებამოსილ სამართალმემკვიდრეს. საქართველოში სამშენებლო პროექტზე საავტორო უფლება რეგულირდება კანონით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №57, 2009 წლის 24 მარტი: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, მუხლი 92).

საავტორო მოწმობა – სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტი გამოგონების ავტორის სახელზე, რომლითაც დასტურდება წინადადების აღიარება გამოგონებად და მისი ავტორობა. გამოგონების ავტოროობა რეგულირდება საქართველოს კანონით №1585, 2005 წლის, 3 ივნისი – საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

საავტორო უფლება – მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები, რომლებიც არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ს.უ. ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. ს. უ. არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საათი – 1. დროის ერთეული, დღეღამის 1/24 ნაწილი; 2. დროის აღმრიცხველი ხელსაწყო, რომლის მოქმედება ეფუძნება ისეთ მუდმივ პერიოდულ პროცესებს, როგორებიცაა: დედამიწის ბრუნვა, ქანქარას, კვარცული ფირფიტისა და მოლეკულის ატომების მექანიკური და ელექტრონული რხევები და სხვ. განასხვავებენ საყოფაცხოვრებო (მაგიდის, კედლის, მაჯის, კოშკის და სხვ.) და სპეციალური დანიშნულების (რადიოშუქურა, სასიგნალო, პროცედურული, ასტრონომიული, საჭადრაკო, ტაბელური და სხვ.) საათებს. ყველაზე ზუსტ საათს წარმოადგენს კამერტონული (ნახ. 1), რომელშიც გამოყენებულია კამერტონის სტაბილური რხევები, ისრის სვლის სიზუსტით ±0,1 წმ დღეღამეში; კვარცული (ნახ. 2) (პიეზოელექტრული ეფექტი) სიზუსტით 100 ნწმ-მდე (10^{-7} წმ) და ატომური (ნახ. 3. სტრონციუმიანი ატომური საათი) (ისრის სვლა რეგულირდება მოლეკულური გენერატორით) – 1 ნწმ-მდე (10^{-9} წმ).

ნახ. 1

ნახ. 2



ნახ. 3

საამორტიზაციო ხარჯები – ამორტიზაციის ხარჯები, რომლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტზე ხდება საანგარიშო პერიოდში. ს. ხ. რეგულირდება კანონმდებლობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლი).

საამფეთქებლო საქმე – ფიზიკური (იურიდიული) სამეწარმეო პირის საქმიანობა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ასაფეთქებელი მასალების მოხმარებასთან.

საამქრო – სამრეწველო საწარმოს ერთ-ერთი უბანი, რომელიც ასრულებს გარკვეულ ტექნოლოგიურ პროცესებს (მაგ., ლითონების თერმული დამუშავება, დეტალების სამუშაო ზედაპირების გალვანიზაცია, სამღებრო სამუშაოები და სხვ.), ან ამზადებს გარკვეულ პროდუქციას (მაგ., ელემენტები, ბლოკები, დეტალები, კვანძები, კონსტრუქციები და სხვ.). საქარხნო პირობებში საამქრო შეიძლება იყოს: ძირითადი, დამხმარე და თანამდევი. თავის მხრივ საამქრო იყოფა მალებად, უბნებად და სექციებად (ნახ. 1. ფოლადის მილების დასამზადებელი საამქრო). საამქროს სახეებია: აგურის, არმატურის, ბესემერის, ბეტონის, ბლოკის, ბრძმედის, გაუცხიმოების, გოგირდმჟავას, დამამზადებელი, დამხმარე, ელექტროფოლადსადნობი, ენერგეტიკული, ვაგონის, თერმული, თუნუქის, თუჯსასხმელი, მარმარილოს, მარტენის, მახარისხებელი, მექანიკური, მილსაგლინავი, პლასტმასის, ჟანგბადკონვერტერული, რკინაბეტონის, საამწყობო, საამწყობო-საშალი, საბოვე, საგადამკვრელო, საგლინავი, სადამშლელო, სადეფექტო, სადნობი, სადურგლო, საექსპერიმენტო, საზეინკლო, საიარაღო, საკონტროლო, სამომსახურეო, სამონტაჟო, სამსხმელო, სამღებრო, სამჭედლო, სარაფინირებელი, სარესორო, სატრანსპორტო, საფუთავი, საქვაბე, საქსოვი, საშემდუღებლო, საშემკეთებლო, საცდელი, საძარო, სახარატო, სახარატო-მექანიკური, სპილენძის, ტექნოლოგიური, ფოლადსადნობი, ქვის, ძირითადი, ძრავის, ხის დასამუშავებელი, წებოსა და სხვ.

ნახ. 1

საამწყობო ერთეული – ერთი მთლიანი ნაკეთობის ცალკეული შემადგენელი ნაწილები, რომელთა შეერთება წარმოებს დამამზადებლი ორგანიზაციის საამქროში სპეციალური საამწყობო ოპერაციების მეშვეობით.

საანგარიშო ოთახები ბინაში – საცხოვრებელი ბინის სასარგებლო ფართობში შემავალი ოთახების რაოდენობა.

საანგარიშო სქემა – 1. მოცემული სისტემის პირობითი ან გამარტივებული მოდელი, რომელშიც განივთებულია მისი ნიშან-თვისებები, მათ შორის ჰიპოთეზები. ს. ს. (მოდელის) შერჩევა გარკვეულწილად საინჟინრო გამოცდილებისა და ინტუიციის პროდუქტია.

საანგარიშო წნევა – გაზსადენში (წყალსადენში) მაქსიმალურად დასაშვები ჭარბი წნევა, რომელზეც ხდება მისი იმ ელემენტების სიმტკიცეზე (ბზარმედეგობაზე) გაანგარიშება, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო ექსპლუატაციას მუშაობის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშსწორებო პერიოდი – სამუშაო დღის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს კლიენტის საგადასახადო საბუთების საფუძველზე ფულადი სახსრების გადარიცხვები მიმდინარე კალენდარული თარიღით.

საანკერო ჩალიჩი (რუს. анкерный жгут) – ქარხნული წარმოების ნაკეთობა, რომელიც შედგება ნახშირბადის ბოჭკოებისგან და, რომელიც მიიღება საქსოვი ხლართვის მეთოდით (ნახ. 1).

ნახ. 1

საარმატურე ნაწარმი (ნაკეთობა) – სამუშაო და სამონტაჟო არმატურებისგან დამზადებული ბადეები (შენადული ან ნაქსოვი) და კარკასები, რომლებიც ეწყობა რკინაბეტონის კონსტრუქციულ ელემენტებში, მათში მოქმედი მღუნავი და მგრეხი მომენტების, განივი და გრძივი ძალების შესაბამისად. ს. ნ. ბეტონთან ერთად, რკინაბეტონის კონსტრუქციების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

საარმატურე ფოლადის შერჩევა – არმატურის მასალის (ფოლადის) შესარჩევად გაითვალისწინება დასაპროექტებელი კონსტრუქციის, დეტალის, ელემენტის ტიპი, სამუშაო პირობები (დაძაბული, დაუძაბავი), ნაგებობის საექპლუატაციო მოთხოვნები, არმატურის კლასი, დიამეტრი, ქიმიურად აგრესიული გარემოს არსებობა და ა.შ. დაუძაბავი რკ.ბ.-ის კონსტრუქციების არმატურისთვის მიიღება: ა) A-III და Ат-IIIC კლასის ღეროვანი არმატურა – გრძივი და განივი არმატურისთვის; ბ) Ат-IVC კლასის ღეროვანი არმატურა – გრძივი არმატურისთვის; გ) Вр-I კლასის საარმატურო მავთული – კარკასებში განივი არმატურის სახით და შედუღებულ ბადეებში; დ) A-I, A-II და Ас-II კლასის ღეროვანი არმატურა – განივი არმატურისთვის, აგრეთვე გრძივი არმატურისთვის, თუ დაუძაბავი არმატურის სხვა სახეობების გამოყენება შეუძლებელია; ე) A-IV, Ат-IV და Ат-IVK კლასის ღეროვანი არმატურა – შეკრული კარკასებისა და ბადეების გრძივი არმატურისთვის; ვ) A-V, Ат-V, Ат-VK, Ат-VCK, A-VI, Ат-VII, Ат-VII კლასების ღეროვანი არმატურა – გრძივი შეკუმშული არმატურისთვის, აგრეთვე გრძივი შეკუმშული და გაჭიმული არმატურისთვის კონსტრუქციების შერეული დაარმატურებისას (მათში დაძაბული და დაუძაბავი არმატურის არსებობისას), შეკრულ კარკასებსა და ბადეებში. დაუძაბავი არმატურის სახით დასაშვებია A-IIIB კლასის არმატურის გამოყენება შეკრული კარკასებისა და ბადეების გრძივი გაჭიმული არმატურისათვის. A-III, Ат-IIIC, Ат-IVC, Вр-I, A-I, A-II, Ас-II კლასების არმატურა გამოიყენება შედუღებულ კარკასებსა და ბადეებში. აირების, სითხეებისა და ფხვიერი ნივთიერებების წნევის ქვეშ მყოფ დაუძაბავ კონსტრუქციებში გამოიყენება A-I, A-II, A-III და Ат-IIIC კლასის ღეროვანი არმატურა და Вр-I კლასის საარმატურე მავთული. წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების დაძაბული არმატურისათვის გამოიყენება: ა) ღეროვანი არმატურა A-V, Ат-V, Ат-VK, Ат-VCK, A-VI, Ат-VIK, Ат-VII კლასების; ბ) საარმატურე მავთული В-II, Вр-II კლასისა და საარმატურე ბაგირები К-7 და К-19 კლასისა. დაძაბული არმატურის სახით დასაშვებია ღეროვანი არმატურის გამოყენება A-IV, Ат-IV, Ат-IVC, Ат-IVK, A-IIIB კლასების. 12 მ-დე სიგრძის კონსტრუქციებში უპირატესად გამოიყენება ღეროვანი არმატურა Ат-VII, Ат-VI და Ат-V კლასებისა. (შენიშვნა: В7,5-В12,5 კლასის მსუბუქი ბეტონისაგან დამზადებული წინასწარ დაძაბული

კონსტრუქციების დასაარმატურებლად გამოყენებულ უნდა იქნეს A-IV, Aт-IV, Aт-IVC, Aт-IVK და A-IIIB კლასის ღეროვანი არმატურა). აირების, სითხეებისა და ფხვიერი სხეულების ზემოქმედების ქვეშ მყოფი წინასწარ დაძაბული რკ.ბ.-ის ელემენტებისთვის დაძაბული არმატურის სახით გამოყენებულ უნდა იქნეს: ა) საარმატურე მავთული B-II, Bp-II კლასის და K-7 და K-19 კლასის ბაგირები; ბ) ღეროვანი არმატურა A-V, Aт-V, Aт-VK, Aт-VCK, A-VI, Aт-VI, Aт-VIK, Aт-VII კლასების; გ) ღეროვანი არმატურა A-IV, Aт-IV, Aт-IVK და Aт-IVC კლასების. ასეთ კონსტრუქციებში დასაშვებია აგრეთვე A-IIIB კლასის არმატურის გამოყენება. აგრესიულ გარემოში მუშაობისთვის განკუთვნილი კონსტრუქციების დაძაბული არმატურისთვის უპირატესად გამოიყენება A-IV კლასის არმატურა, აგრეთვე Aт-VIK, Aт-VK, Aт-VCK, Aт-IVK. გაანგარიშებით საჭირო არმატურისთვის ფოლადის სახეობისა და მარკის, აგრეთვე, ჩასატანებელი დეტალებისათვის გაგლინული ფოლადის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონსტრუქციების ექსპლუატაციის ტემპერატურული პირობები და დატვირთვის ხასიათი. რკ.ბ.-ის და ბეტონის კონსტრუქციების ასაწყობი ელემენტების სამონტაჟო (ასაწევი) მარყუჟებისათვის გამოიყენება ცხლად გლინული A-I და Aс-II კლასის საარმატურე ფოლადი (საარმატურე ფოლადის სახეობები მოცემულია რუსული სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად).

საქციო საზოგადოება – იხ. აქციონერთა საზოგადოება.

საბადო – 1. დიდი რაოდენობით ბუნებრივად თავმოყრილი მინერალები, რომლებიც ხარისხით, განლაგების პირობებით, ტექნიკური დონითა და ეკონომიკურად მისაღებია სამრეწველო გამოყენებისათვის; 2. ადგილი, სადაც სასარგებლო ნამარხი, კერძოდ მადნეული, მოიპოვება.

საბადო ბუნებრივი – მიწის წიაღში ბუნებრივად დაგროვებული სასარგებლო წიაღისეული, რომლის მოპოვება ხდება დახურული ან ღია წესით.

საბადო ტექნოგენური – წიაღის უბანი შექმნილი სანაყაროთი, ტერიკონიკით, სალექარით, კუდსაცავით, სპეციალური საწყობებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევებით ან სხვა აკუმულაციური ფორმებით. დროთა განმავლობაში სამთომომპოვებელ, მეტალურგიულ, ქიმიურ, გადამამუშავებელ და მისთ. საწარმოების სიახლოვეს ჩნდება ტექნოგენური საბადოები, რომლებსაც იყენებენ მეორადი წარმოების პროდუქტების მისაღებად. ასეთივე საბადოები შეიძლება გაჩნდეს წყალსაცავებში აკუმულირებული ჩამონატანებისგან, დალექილი ნარჩენებისგან და სხვ.

საბაზისო მომსახურება – მომსახურების სახე, რომელიც სრულად აკმაყოფილებს დამკვეთის (მყიდველის) მოთხოვნებს (მაგ., სანარდო სამშენებლო ორგანიზაციის შემთხვევაში, საპროექტი-სამშენებლო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხიანად შესრულება).

საბაზისო ფასი – ფასი, რომელიც შეესაბამება საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტს. თუ საქონლის მიწოდების პროცესში საქონლის ხარისხი არ შეესაბამება (ან პირიქით) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაშინ შესაძლებელია საქონელზე ფასჩამოკლება (ან ფასდანამატი) წინასწარ, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოდენობით.

საბაზო პროფილი – კლასიკური ანტაბლემენტის კარნიზის დეტალი, რომელიც განლაგებულია კარნიზის გვირგვინის ქვეშ.

საბაზრო ეკონომიკა – ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია თვითრეგულაციის საწყისებზე. ასეთი ეკონომიკის პირობებში მოქმედებათა კოორდინაცია ემყარება თავისუფალ კერძო მეწარმეთა და ინდივიდუალურ მომხმარებელთა ურთიერთქმედებას. ს. ე. თვითონ არეგულირებს საჭირო საქონლისა და მომსახურების რაოდენობას, ღირებულებას და საზოგადოება ეფექტიანად იყენებს არსებულ რესურსებს.

საბანელი (ავაზანი, ემბაზი, ბანა) – იხ. აბანო, ემბაზი და ავაზანი.

საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ბანკი უხსნის იურიდიულ ან კერძო პირს. არსებობს მისი სახეები: გაყინული, დაგროვებითი, კერძო, მიმდინარე, ნაკრები, საანგარიშო, საბიუჯეტო, სადაზღვევო, საერთო, სავალუტო, საკორესპონდენტო, სატრანზიტო, საფონდო, ჩეკისა და სხვ.

საბაჟო – სახელმწიფო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, საბაჟო კონტროლს და საბაჟო გადასახადების ამოღებასა და ტვირთის გაფორმებას. საბაჟო შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულია და მასში შედის: ლოგისტიკის, ანალიზისა და მეთოდოლოგიის, მონიტორინგისა და რისკების მართვის, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და არასატარიფო ღონისძიებების სამმართველოები, აგრეთვე საბაჟო გამშვები პუნქტები (საქართველოში ასეთი პუნქტებია: სადახლო, წითელი ხიდი, ახკერპი, გარდაბანი და მტკვარი, გუგუთი, ლაგოდეხი, სამთაწყარო, ყაზბეგი, ვალე, ნინოწმინდა, სარფი, ფოთისა და ყულევის პორტები, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ბათუმის პორტი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

საბაჟო გადასახადი – არაპირდაპირი გადასახადი საიმპორტო, საექსპორტო და ტრანზიტულ საქონელზე საბაჟო ტარიფების განაკვეთების შესაბამისად.

საბაჟო გამშვები პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება კოდექსით დადგენილი პროცედურები.

საბაჟო კონტროლი – საბაჟო სამსახურის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

საბაჟო ტერმინალი – საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხორციელდება საქონლის შენახვა.

საბაღე პარკეტი – იხ. დეკინგი.

საბეგველა – მარცვლეულის (პური, ქერი, ნამჯა და სხვ.) დასაბეგვი დანადგარი, რომელსაც ძველად საქართველოს სოფლებში იყენებდნენ.

საბერველი – ძველად, სამჭედლოებში ცეცხლის გასაღვივებელი მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენდა ძელების და ფიცრებისგან შეკრულ დასაკეც-გასაშლელ კარკასზე ტყავგადაკრულ კონსტრუქციას (ნახ. 1).

ნახ. 1

საბითუმო ვაჭრობა – სამეწარმეო საქმიანობა საქონლის და მომსახურების გაყიდვაზე, ვინც იძენს მათ საცალო ვაჭრობის ან სხვა საბითუმო ორგანიზაციებისათვის გადაყიდვის მიზნით.

საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა – კაპიტალური მშენებლობის დარგი, სპეციალიზებული საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი კომპლექსების (კვარტლების, მიკრორაიონების) აგებაზე, აგრეთვე ქალაქთმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაზე.

საბინაო ფონდი – ყველა საცხოვრებელი სათავსის ერთობლიობა დამოუკიდებლად საკუთრების ფორმისა, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, სპეციალური სახლი (საერთო საცხოვრებელი, სასტუმრო-თავშესაფარი, მარტოხელა მოხუცების თავშესაფარი, ინვალიდებისა და ვეტერანების ინტერნატი), ბინა, სასამსახურო საცხოვრებელი სათავსი და სხვა ტიპის ფართები ვარგისი საცხოვრებელად.

საბირჟო მაკლერი – იხ. დილერი.

საბირჟო საქონელი – ბირჟის მიერ დადგენილი წესით საბირჟო ვაჭრობაზე დაშვებული, ბრუნვაში მყოფი, გარკვეული სახეობისა და ხარისხის სტანდარტული საქონელი, მათ შორის, ამ საქონლის სტანდარტული კონტრაქტი და კონოსამენტი.

საბიძგებელა – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბიძგისებრი მოძრაობისათვის რაიმე სისტემაში (მაგ., მოწყობილობა გვირაბღუმელში ვაგონეტების წაბიძგებისათვის). არსებობს გორგოლაჭებიანი, მექანიკური, სარქვლის, სოკოსებრი, ჯაჭვური, ჰიდრავლიკური და სხვ. ტიპის.

ნახ. 1

საბიჯელი – კიბის საფეხურის ზედა ჰორიზონტალური ელემენტი (ნახ. 1); საფეხურებს შორის მანძილი.

საბმური – იხ. კავშირები.

საბორტე აღკაზმულობა – 1. ფორმაწარმომქმნელი ელემენტების ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა ნაკეთობის ზედაპირის შექმნა ქვეშის სიბრტყის მიღმა; 2. საბორტე ქვები, ფილები და სხვ., რომლებიც გზის სავალ ნაწილს გამოყოფენ ტროტუარის, გვერდასა და გაზონისაგან; 3. დაბალი მცენარეების ვიწრო ზოლი, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს გაზონებს, ბილიკებს, უბნებს ბაღებსა და პარკებში.

საბროკერო კომპანია – სავაჭრო შუამავალი (იურიდიული პირი) სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის გარიგებათა დადებისას, რომელიც მოქმედებს კლიენტის დავალებითა და კლიენტის ხარჯით, აგრეთვე თავისი სახელითა და კლიენტის ხარჯით, ან კლიენტის სახელითა და თავისი ხარჯით.

საბრუნი (გადამყირავებელი) – მექანიზმი, რომლის დანიშნულებაა ნაკეთობის გადაბრუნება მათი დამზადების, ტრანსპორტირების ან შეფუთვის დროს.

საბუთის უნიკალური კოდი (რეფერენსი) – სპეციალური კოდი, რომელიც ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით ავტომატურად ენიჭება თითოეულ ელექტრონულ

საგადასახადო საბუთს ქაღალდის საგადასახადო საბუთიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანისას.

საბურისი – იხ. ძალაყინი.

საბურულე მასალა – შენობის სახურავის ატმოსფერული ნალექებისგან (წვიმა, თოვლი, სეტყვა, ქარი) დამცავი საშენი მასალა. ბურულისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია: წყალუჭონადობა, ტენმედეგობა, ყინვამედეგობა, სიმსუბუქე, მექანიკური სიმტკიცე, მაღალი წინაღობა გაგლეჯაზე, ხანგამძლეობა, მცირე ანთებადობა, მედეგობა ქიმიურად აგრესიული ნივთიერებების, მზის რადიაციისა და ტემპერატურული ცვალებადობის მიმართ, ეკონომიკურობა დამზადებისა და ექსპლუატაციის დროს. არსებობს საბურულე მასალის სახეები: ალუმინის ფურცლები, ბუნებრივი ქვის ფილები, თუნუქი, კერამოპლასტი, კრამიტი თიხის, კრამიტი ბიტუმის, კრამიტი ფოლადის (მეტალოკრამიტი), კრამიტი ცემენტ-ქვიშის, კრამიტი პოლიმერ-ქვიშის, კუპრი, ლინეკრომი, მინარუბეროიდი, მინაპლასტიკი, ონდულინი, პერგამინი, რუბეროიდი, ტოლი, ფოლადის ფურცლები, ყავარი და სხვ.

საბურულე სამუშაოები – შენობის სახურავის ბურულის მოწყობის სამუშაოები ძირითადად ითვალისწინებს სამ ეტაპს: ა) მზიდი კონსტრუქციების მონტაჟი (ნივნივების სისტემა, კოჭები, გრძივები, შეფიცვრა); ბ) საიზოლაციო ფენის მოწყობა (ორთქლ- და ჰიდროიზოლაცია, გამათბუნებელი); გ) ბურულის მონტაჟი დამცავი ხალიჩით (ქვიშის ზედაპირული ფენით).

საბურულე ფოლადი – მცირედ ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული ფურცლები სისქით 0,25-2 მმ. კოროზიისგან დაცვის მიზნით ხშირად ფარავენ თუთიის თხელი ფენით (მოთუთიებული ფოლადი). მომხმარებელს მიეწოდება ფურცლების ან გოფრის სახით.

საბურღი მანქანა – თვითმავალ სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული გრუნტის საბურღი სპეციალური მოწყობილობა (ნახ. 1), მცირე სიღრმის ჭაბურღილებისათვის. არსებობს ორი სახის: სტაციონარული (არამობრუნებადი) და მოსაბრუნებელი. სტაციონარული ს. მ. მონტაჟდება სატვირთო ავტომანქანის ძარაზე, პლატფორმაზე ან ტრაქტორზე და დაკომპლექტებულია ბურღის სამუშაოდ აუცილებელი ჰიდრავლიკური მექანიზმებით, ხოლო მოსაბრუნებელი ს. მ. აღჭურვილია საბრუნი პლატფორმით და დამონტაჟებულია მობილური სატვირთო ავტომანქანის ძარაზე. შესაძლებელია ს. მ. დამაგრება ისრიან ამწეებზეც. მშენებლობაში გამოიყენება შურფების, შპუნტების, სახიმინჯე ჭაბურღილების მოსაწყობად, აგრეთვე ადგილობრივი ელეტროგადამცემი ხაზების საყრდენების, შემოღობვის ბოძების სამონტაჟოდ, აფეთქებითი სამუშაოებისათვის და სხვ.

ნახ. 1

საბუფეტე – მცირე სათავსი სამზარეულოს ჭურჭლისა და ავეჯეულის შესანახად.

საბძელი – შინაური პირუტყვის საკვები პროდუქტების (ჩალა. ნამჯა, თივა, ბზა, ქატო) შესანახი ერთსართულიანი მართკუთხედის ფორმის მსუბუქი ნაგებობა (ნახ. 1. საბძელი, ს. ღოდორა, საჩხერის მუნიციპალიტეტი, საქართველო). ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში (მაცხე-ჯავახეთი), აგრეთვე იმერეთსა და სამეგრელოს მხარეში. ზოგჯერ შედარებით დიდი ფართობის საბძელში განთავსებული იყო ხორბლეულის სალეწი კალოც.

ნახ. 1

საბჯენი – ადგილი, საგანი, დეტალი, მოწყობილობა, რომელიც რისამეს გადაადგილებას ზღუდავს ან იჭერს.

საგადასახადო ბაზა – გადასახადით დასაბეგრი ობიექტის რაოდენობრივი გამოსახულება, რომელიც გამოითვლება დაბეგვრის ობიექტისა და გადასახადის ერთეულის ბაზაზე.

საგადასახადო განაკვეთი – შემოსავლების, სამომხმარებლო ხარჯების ან მოგების პროცენტული წილი, რომელსაც სახელმწიფოს უხდის ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, თუკი მათ ქვეყნის კანონმდებლობით შესაბამისი დაბეგვრა ეხებათ.

საგადასახადო კოდექსი – ქვეყნის მთავრობის მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტი, რომელშიც გაწერილია საგადასახადო სამართლის პრინციპები და დებულებები.

საგადასახადო სარგო – გადასახადის ოდენობა, რომელსაც სუბიექტი ერთი ობიექტიდან იხდის.

საგადასახადო სისტემა – სახელმწიფოს მიერ გადასახადის ადმინისტრირების წესების (გადასახადის გაანგარიშებისა და ამოღების წესების), ფორმების, მეთოდებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა.

საგანგებო ვითარება – დროის გარკვეულ მომენტში კონკრეტულ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციათა ზონის დახასიათება, რომელიც მოიცავს საერთო მდგომარეობას, დაზიანების შედეგებს, ჩატარებულ სამუშაოებს და აგრეთვე მონაცემებს გარემო პირობების შესახებ. ს. ვ. შეიძლება გამოიწვიოს რადიაციულმა, ქიმიურმა, ბაქტერიოლოგიურმა დაბინძურებამ, ხანძარმა და სხვ.

საგანგებო მდგომარეობა – სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის მთავრობის მიერ გამოცხადებული მდგომარეობა მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით. ასეთი მდგომარეობის საფუძველი შეიძლება იყოს: ომიანობა, საკუთარი ტერიტორიის ხელყოფა, სამხედრო გადატრიალება, შეიარაღებული ამბოხი, ეპიდემია, ეკოლოგიური კატასტროფა, სტიქიური უბედურება, დიდი ავარია და სხვ., აგრეთვე ისეთი მდგომარეობა, როცა ქვეყნის მთავრობა ვერ ახერხებს კონსტიტუციური უფლება-მოვალეობების ნორმალურ განხორციელებას ქვეყნის ტერიტორიაზე.

საგანგებო მოვლენა – დაუგეგმავი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მიმდინარეობს დროის შედარებით მცირე მონაკვეთში.

საგანგებო სიტუაცია – სიტუაცია გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც არღვევს ადამიანთა ცხოვრების ნორმალურ პირობებს, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, აზიანებს ბუნებრივ გარემოს. ასეთი სიტუაციის გამომწვევი შეიძლება იყოს: სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, წარღვნა, გრიგალი, ცუნამი და მისთ.), ავარია, კატასტროფა, ომი და სხვ.

საგანგებო სიტუაცია ლოკალური – ისეთი სიტუაცია, რომლის შედეგები არ სცილდება სამუშაო ადგილს, სამუშაო უბანს, ბინას ან კერძო ნაკვეთს. ამასთან, დაღუპული ან დაზარალებული ადამიანთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს, ხოლო მატერიალური ზარალი - 4000 აშშ დოლარს.

საგანგებო სიტუაცია მუნიციპალური – სიტუაცია, რომლის შედეგად საგანგებო სიტუაციის ზონა არ გამოდის ერთი დასახლების ტერიტორიის საზღვრებიდან, ამასთან დაზარალებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს, ხოლო მატერიალური ზარალი - 200 ათას აშშ დოლარს.

საგანგებო სიტუაცია რეგიონალური – სიტუაცია, რომლის შედეგად საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცილდება ერთი რეგიონის ტერიტორიას, ამასთან, დაზარალებულთა რაოდენობა აღემატება 50 კაცს, მაგრამ არაუმეტეს 500 კაცისა, ან მატერიალური ზარალი შეადგენს 200 ათასიდან 20 მილიონამდე აშშ დოლარს.

საგანგებო სიტუაცია სახელმწიფო – რომლის შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა აღემატება 500 კაცს ან მატერიალური ზარალი 20 მლნ. აშშ დოლარზე მეტია.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საშუალებები – ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პროდუქცია. მათ შორის: სპეციალიზებული მართვისა და კავშირის საშუალებები, ტექნიკა, აღჭურვილობა, მოწყობილობა და სხვადასხვა ფასეულობა, რომელიც განკუთვნილია საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად. ასევე მეთოდური ლიტერატურა, ვიდეო, კინო, ფოტო მასალები საავარიო-სამაშველო სამუშაოების ტექნოლოგიებზე, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების პროგრამული პროდუქტი და მონაცემთა ბაზა.

საგანგებო სიტუაციის ზონა – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია.

საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაცია – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას ჩატარებული ავარიულ-სამაშველო სამუშაოები, რომლებიც მიმართულია ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ბუნებრივი გარემოს ზიანისა და მატერიალური ზარალის შესამცირებლად, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზებისათვის და მისთვის დამახასიათებელი საშიში ფაქტორების მოქმედების შესამცირებლად.

საგანგებო სიტუაციის პრევენცია – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშიშ საწარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის

პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში - ზარალის (შედეგების) შემცირების (მიტიგაციის) მიზნით.

საგანგებო სიტუაციის რისკი – 1. საფრთხიდან საგანგებო სიტუაციის განვითარების შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საგანგებო სიტუაციის წყაროს (საფრთხის) განვითარების ალბათობითა (ან სიხშირით); 2. საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა ან სიხშირე, რომელიც განისაზღვრება რისკის შესაბამისი მაჩვენებლებით.

საგანგებო სიტუაციის წყარო – საშიში ბუნებრივი მოვლენა, ავარია ან სახიფათო ტექნოგენური შემთხვევა, ადამიანების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების ფართოდ გავრცელებული ინფექციური დაავადება და მცენარეთა საკარანტინო მავნებლები, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებების გამოყენება, რის შედეგადაც წარმოიქმნა ან შეიძლება წარმოიქმნას საგანგებო სიტუაცია.

საგანგებო ხმოვანი განგაშის კომუნიკაციები – ხელით სამართავი ან ავტომატური საშუალებები შენობის დამკავებლებისთვის ხმოვანი მითითებების, ასევე, სახანძრო განგაშისა და საევაკუაციო სიგნალების გადასაცემად და გასავრცელებლად.

საგარაჟე კომპლექსი – შენობა ან შენობების ჯგუფი, სადაც ხდება ავტომანქანების შენახვა, პარკირება, ტექნიკური მომსახურება და სხვ., ს. კ. ხშირად ეწყობა ავტოგასამართი სადგურები, სავაჭრო და კვების ობიექტები და სხვ.

საგდები – სარინი; რისამე სხვა მხარეს გადასაშვები, გადასაყვანი (მაგ. არხი, რუ, ნაკადული).

საგდული – 1. ფანჯრის, კარის, ჭიშკრის მოძრავი ნაწილი (ნახ. 1. ჭიშკრის საგდული); ალათი; 2. კარის საკეტი, ურდული (ნახ. 2. კარის ურდული), რაზა.

ნახ. 1

ნახ. 2

საგები – 1. კედელის ან რაიმე ზედაპირის ფენა, რომელზეც მაგრდება მოპირკეთება, ეწყობა საძირკვლები და სხვ.; 2. აგურის ყველაზე ფართო წახნაგი (ნახ. 1).



ნახ. 1

საგები გაკერილი – პოლიმერში გაჟღენთილი მინერალური ბამბის საიზოლაციო ფენა. გამოიყენება მილსადენების თბოიზოლაციისათვის.

საგემბანო ხის ფენილი – იხ. დეკინგი.

საგვერდული – 1. საბძლის ან გომურის გვერდის ბოძებზე გადებული ძელი, რომელზეც ეწყობა კოჭები სახურავის მოსაწყობად; 2. სატევარი; ხანჯალი.

საგზაო საინჟინრო ნაგებობები – მიწის ვაკისი, გზის სამოსი, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები, გზის მოწყობილობები, წყალამრიდი, ხელოვნური და დამცავი ნაგებობები და სხვ.

საგზაო ზღუდარი (საგზაო ბარიერი, დამცავი ბარიერი) – საავტომობილო გზის კონსტრუქციული ელემენტი, რომლის დანიშნულებაა: 1) ავარიის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება დარჩეს სავალ გზაზე (ნახ. 1) და არ შეეჯახოს სიცოცხლისათვის საშიშ წინაღობებს, როგორიცაა მაგ., ხე, შენობა, კედელი, საგზაო ნიშნის საყრდენი, ხიდის ბურჯი, კაჭარის ან ბეტონის ნატეხების გროვა, მსხვილი სანიაღვრე ჩასადინარი და სხვ.; 2) ტრანსპორტმა იმოძრაოს მხოლოდ მისთვის განაკუთვნილ გზაზე; 3) ფეხით მოსიარულეებმა უადგილო ადგილას არ გადაკვეთონ სატრანსპორტო გზა; 4) დაიცვას გზა უყურადღებოდ გაშვებული ცხოველებისგან (ძაღლი, კატა, საქონელი, გარეული ცხოველი და სხვ.); 5) ორმხრივი მოძრაობის გზებზე შეამციროს შემხვედრი ტრანსპორტის შუქფარებიდან მომავალი სინათლის სხივების მძღოლის მხედველობაზე უარყოფითი გავლენა; 6) მოძრაობისას მანქანა არ გადავიდეს შემხვედრ ზოლში და სხვ. ს. ზ. კეთდება გზის ორივე გვერდზე (საბორტო) და შუაში (მედიანური) (ნახ. 2. კორეული გორგოლაჭებიანი დამცავი ზღუდარის სისტემა), აგრეთვე სკოლების, ავტოგასამართი სადგურების და მისთ. წინ. კონსტრუქციის სახეობის მიხედვით ს. ზ. დასამზადებლად გამოიყენება რკინაბეტონი, ლითონი, ქვა, ბაგირი, პლასტმასა, მერქანი და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

საგზაო მიწის ვაკისი – მიწის საფუძველი მასზე რკინიგზის ხაზის ან საავტომობილო გზის მშენებლობისთვის. ს. მ. ვ. შემადგენლობაში, მიწის ყრილის ტანის გარდა, შედის გზიდან წყლის მოსაცილებელი ნაგებობები: ყრილის ფარდობები, კიუვეტები, არხები, რეზერვები, სადრენაჟო მოწყობილობები.

საგზაო მოძრაობის ორგანიზება – საორგანიზაციო-სამართლებრივი, საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებებისა და განმკარგულებელი მოქმედებების კომპლექსი გზებზე ტრანსპორტის მოძრაობის მართვისათვის, რომლის მიზანია გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა. მის გასაუმჯობესებლად მუნიციპალური სამსახურები მიმართავენ სხვადასხვა სისტემის გამოყენებას, როგორებიცაა მაგ., სარეზერვო ზოლების გამოყენება,

ცალმხრივი მოძრაობა, რაციონალური მარშრუტების შერჩევა, შუქნიშნების სამუშაო პროგრამა მწვანე ტალღა და სხვ. ამჟამად, მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში მოქმედებს მოძრაობის დასარეგულირებელი კომპიუტერული პროგრამები, რომელთა მიხედვით ხდება მუნიციპალური ტრანსპორტის (ავტობუსი, ტროლეიბუსი, სამარშრუტო ტაქსი, სპეტრანსპორტი) მოძრაობის მართვა.

საგზაო პირობები – გზის გეომეტრიული პარამეტრების, საფარისა და კეთილმოწყობის ელემენტების მდგომარეობის და ხარისხის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საგზაო მოძრაობის პირობებზე. საგზაო პირობების განხილვის ძირითადი მაჩვენებლებია: გზის სიგანე, მიწის ვაკისი, საფარი, გვერდულები, გამყოფი ზოლი, გზის სიმრუდის რადიუსი, ხილვადობა, გრძივი და განივი ქანობები, გამტარუნარიანობა, საფარის თანაბრობა და ხორკლიანობა, დასაშვები დატვირთვები, განვლადობა, ავარიულობა, უსაფრთხოება, ტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმი, დამცავი ნაგებობები, საგზაო ნიშნები და სხვ.

საგზაო სამოსი – საავტომობილო გზის სამოძრაო ნაწილის მრავალშრიანი კონსტრუქცია, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებისგან იღებს დატვირთვებს და გადასცემს მას მიწის ვაკისს. იგი შეიძლება იყოს ხისტი (რკინაბეტონი) ან რბილი (ყველა დანარჩენი სამოსი), კაპიტალური (ბეტონი, ასფალტბეტონი) ან შემსუბუქებული (ხრეშისა და ღორღის ნარევი ორგანულ შემკვრელზე). თვით სამოსი სამი შრისგან შედგება: საფარი, საფუძველი და საფუძვლის დამატებითი ფენა, რომლის დანიშნულებაა დაიცვას სამოსის ატმოსფეროსთან შეხებაში მყოფი საფარი გაყინვისა (ზამთრის პირობებში) და წყლის მოდინებისგან (ზაფხულის პირობებში).

საგზაო-სამშენებლო მანქანები – მექანიზაციის საშუალებები, გამოყენებული გზებისა და გზისპირა ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქვიისა და შენახვისათვის. თითოეული მანქანა შედგება სამუშაო და ძალური მოწყობილობების, ლითონკონსტრუქციების (კორპუსი, ჩარჩო, სამუშაო ორგანო) და მართვის სისტემისაგან. მათ გარდა, მანქანების დიდ ნაწილს აქვთ სავალი მოწყობილობა და ტრანსმისია, რომლის მეშვეობით ძალოვანი ნაწილის ენერგია გარდაიქმნება სამუშაო ორგანოს სასარგებლო ენერგიად. არსებობს ს-ს. მ. სახეები: ამწე-კრანი, ავტობეტონსარევი, ავტოგრეიდერი, ავტოდამტვირთავი, ავტოცემენტმზიდი, ბიტუმზიდი, ბეტონსაზელი, ბეტონსარევი, ბეტონსატეხი, ბეტონსატუმბი, ბულდოზერი, ბუჩქსაჭრელი, გრუნტსარევი, გუდრონატორი, დამხარისხებელი, ვიბროფილა, ვიბროჩაქუჩი, თოვლსაწმენდი, საგორავი, სამსხვრევი, სატკეპნელა, საძირკვავი, სკრეპერი, ქვასამსხვრევი, ცემენტმზიდი, ხესაქცევი და სხვ.

საგზაო-სამშენებლო მასალები – მასალები, გამოყენებული საავტომობილო გზების, მისასვლელებისა და მოედნების მშენებლობისათვის. ასეთი მასალებიდან ყველაზე გავრცელებულ და იაფ მასალას წარმოადგენს საპროექტო გზის ზოლის გრუნტი, აგრეთვე ტრასისპირა და სპეციალურად ამ გზისათვის აღმოჩენილი კარიერები. მათ გარდა გზების მშენებლობისათვის გამოიყენება ხრეში, ღორღი, რიყის ქვა, ნიჟარები, სამთო ქანები და ორგანული და მინერალური შემკვრელები, რომლებიც ემსახურებიან გრუნტის გამაგრებასა და სტაბილიზაციას. სამუშაოების თვითღირებულების შემცირების მიზნით, შესაძლებელია ადგილობრივი მასალებისა და სამრეწველო ნარჩენების გამოყენებაც.

საგიტალური (ლათ. sagitta ისარი) – 1. სიგრძეზე სხეულის ორ თანაბარ ნაწილად გამყოფი; 2. წარმოდგენითი სიბრტყე, რომელიც ვერტიკალურად გაივლის სხეულის შუაზე და მას მარჯვენა და მარცხენა ტოლ ნახევრებად ყოფს.

საგოზავი – 1. ოლიფის, ცარცის, გლიცერინის, თუთიის ქლორჟანგის, მაგნიუმის ქლორჟანგის (სორელის ცემენტი) ან ტყვიასურინჯოვანი თეთრასგან დამზადებული ნივთიერება, რომელიც მერქნის ნაკეთობის წაგლესისთვის გამოიყენება; 2. ზეთოვანი ცომისებრი, პლასტიკური, წებოვანი მასა ღრეჩოების, ბზარების, ნახეთქების ამოსავსებად (ცივ ან ცხელ მდგომარეობაში). შეუცვლელი მასალაა ფანჯრების შემინვის სამუშაოების წარმოებისას.

ნახ. 1

საგორავი – 1. მანქანა, რომელიც საავტომობილო გზების, აეროდრომების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობაში გამოიყენება შეუკვრელი და ნაკლებშეუკვრელი გრუნტებისა და საფუძვლის ფენა-ფენად შემჭიდროებისათვის დატკეპვნის მეთოდით (ნახ. 1. საგზაო სატკეპნი). არსებობს თვითმავალი და მისაბმელი; სტატიკური და ვიბრაციული; ერთ-, ორ- და სამღერძიანი; ერთ-, ორ- და სამვალციანი და სხვ.; 2. მოკლე მრგვალი ძელი, რომელსაც უდებენ მძიმე მორს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაგორებლად; 3. საქსოვი დაზგის ლილვი.

ნახ. 1

საგუბარი – უმარტივესი ტიპის კაშხლით დაგუბებული წყლის მასა, დროებითი დაბალწნევიანი ჰიდროტექნიკური სარეგულაციო ნაგებობა (ნახ. 1). აგებენ მცირე მდინარეებზე, შენაკადებზე, არხებზე, ძირითად საირიგაციო დანიშნულებით.

საგუშაგო (სადარაჯო) – დროებითი ან მუდმივი საყარაულო ან სათვალთვალო გამაგრებული პუნქტი სახელმწიფოს საზღვარზე, სამხედრო ნაწილში, სასჯელაღსრულების დაწესებულების გალავნის მიმდებარედ, საკონტროლო-გამშვები ნაწილის ტერიტორიაზე, რომლის დანიშნულებაა კონტროლი გაუწიოს ადამიანთა გადაადგილებას (ნახ. 1. ქართველი მესაზღვრეების საგუშაგო თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე სოფელ კირნათში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, აჭარა). კონტროლი ხორციელდება მაღალი სათვალთვალო კოშკის მეშვეობით. დროებით კოშკს აგებენ ხის, ხოლო სტაციონალურს – ლითონის, ქვის, რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან.

ნახ. 1

სადაზღვევო კომპანია – სახელმწიფო, სახელმწიფო-კომერციული, კერძო, სააქციო ან კოოპერაციული ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს კერძო ან იურიდიული პირების ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევას სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე.

სადარაჯო – იხ. საგუშაგო.

სადაფი (პერლამუტრი) – მტკნარი წყლის ან ზღვის მოლუსკის ნიჟარის შიგა შრე, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი წარმოშობის ორგანულ (ან არაორგანულ) კომპოზიტს (ნახ. 1. ნაუტილუსის ნაირფერადოვანი სადაფი). მიკროსკოპიულად შედგება არაგონიტის ექვსკუთხა ფირფიტებისგან (სიგანე – 10-20 მკრ., სისქე – 0,5 მკრ.), რომლებიც პარალელურ შრეებად არის განლაგებული, ხოლო შრეები ერთმანეთისგან გამოყოფილია ორგანული მატრიცის ფურცლებით. ს. გამოიყენება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის, სამკაულის, ჭურჭლის ინკრუსტაციისათვის (ნახ. 2. სადაფით ინკრუსტირებული ალავასტრი), ტანსაცმლის ღილების, მუსიკალური ინსტრუმენტების კლავიშების დასამზადებლად, დეკორატიულ-გამოყენებით მხატვრობაში და სხვ. მაღალი ხარისხის სადაფის ნიჟარები მოიპოვება აშშ-ს აღმოსავლეთში, კანადაში, მექსიკაში, სპარსეთის ყურეში, წითელ ზღვაში, ცეილონის, იაპონიის, ფილიპინების, ბორნეოს და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. სადაფის ერთ-ერთი უძვირფასესი სახეობაა მარგალიტი.

ნახ. 1

ნახ. 2

სადაყუდებლო – განდეგილი ბერის სამყოფი ნაგებობა. როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს სადაყუდებლო ქართული სიტყვაა, ისეთ ნაგებობას აღნიშნავს, სადაც ბერი შედიოდა და იშვიათად უნდა გამოსულიყო იქიდან. დაყუდება ძველ ქართულში გაჩუმებას ნიშნავს; სამამაო, სოხასტერი.

სადაწნეო ტრაქტი – წყალსაცავის ზედა ბიეფში დაგროვილი წყლის გავლილი გზა ჰიდროტურბინამდე. ს. ტ. სისტემაში შედის: წყალმიმღები, სადერივაციო გვირაბი (ან მილსადენი) და სატურბინო მილსადენი, რომლის მეშვეობით წყალი მიეწოდება ტურბინის ფრთებს.

ნახ. 1

სადგარი – 1. დანადგარის ძირითადი კორპუსის უძრავი ნაწილი, რომელზეც ემაგრება სამუშაო მექანიზმი (ნახ. 1. სახერხი დაზგის სადგარი). შესაბამისად მას გადაეცემა მექანიზმის წონით დამოწვეული დატვირთვები და მუშაობის შედეგად აღძრული დინამიკური ძალები; 2. საგლინავი დგანის სამუშაო გალის მასიური დეტალი, რომელიც უზრუნველყოფს გლინების მდგომარეობის ფიქსაციასა და რეგულირებას.

სადგისი – რისამე (ტყავი, ფირფიტა, პლასტმასი) გასახვრეტი წვეტიანი ლითონის ჩხირი, რომელსაც ხის (ნახ. 1), ლითონის ან პლასტმასის ტარი აქვს.

ნახ. 1

სადგომი – 1. დიდ შენობებში კედლებით (ტიხრებით) გამოყოფილი ცალკე სივრცე სხვადასხვა დანიშნულებით; 2. ქალაქის მუნიციპალური სამსახურის ან საზოგადოებრივი ამხანაგობების მიერ მოწყობილი ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია მოძრავი ტრანსპორტის დასაყენებლად. არსებობს ფასიანი და უფასო სადგომები; 3. ისტორიულ პალეოლითისა და ნეოლითის პერიოდებში ნახევრად პირველყოფილი ადამიანების საცხოვრებელი (თავშესაფარი) გამოქვაბულები ან ქვისა და ხისგან აგებული პრიმიტიული ქოხები; 4. შენობა, რომელიც გათვალისწინებულია შინაური საქონლის (პირუტყვის) სამყოფად.

სადგური (ლათ. statio სადგომი, დგომა) – 1. შენობა, მოედანი ან პლატფორმა, სადაც ჩერდება ავტო- ან რკინიგზის ტრანსპორტი ან ორივე ერთად; 2. სპეციფიკური დაწესებულების ან საწარმოს სახელწოდება (მაგ.; სისხლის გადასხმის სადგური, მეტეოროლოგიური სადგური და სხვ.); 3. სატვირთო ავტომანქანაში განთავსებული ლაბორატორია, რომელსაც გადაადგილების საშუალება აქვს და უშუალოდ ადგილზე ემსახურება მომხმარებლებს. ზოგადად, სადგურის უამრავი სახეობა არსებობს: ავტოგასაწყობი, ავტომატიზებული, ავტომატური ტელეფონის, აირის, აირსავსები, ბგერათსაზომი, ბენზინგასაწყობი, ბოლო, გაგზავნის, გადამტვირთავი, გადამცემი, გამოსაცდელი, განმკარგულებელი, გასაორთქლი, გასაწყობი, დანიშნულების, ელექტრული, ვაგონსარეცხი, ვაკუუმსატუმბი, ზონური, კავშირგაბმულობის, კოსმოსური, მაკორექტირებელი, მანქანა-ტრაქტორების, მარეგულირებელი, მართვის, მახარისხებელი, მდინარის, მეტეოროლოგიური, მეტროპოლიტენის, მიმღები, მიწისზედა, მიწისქვედა, მოდრეიფე, მომარაგების, მომსახურების, მცირე, ნავთობჩასასხმელი, ნახშირშემრევი, ორბიტალური, ორმხრივი, პლანეტთშორისი, პოლარული, პორტის, რადიოგადამცემი, რადიოლოკაციის, რადიომიმღები, რადიოპელენგაციის, რადიორელეური, რადიოსამაუწყებლო, რაიონული, საავტომობილო, საგენერატორო, სადეგაზაციო, სადეზინფექციო, საველე, საზომი, საკვანძო, საკომპრესორო, სამგზავრო, სამთო-სამაშველო, სამრეწველო, სამუხტავი, სარეტრანსლაციო, სარეცხი, სასწრაფო დახმარების, სატელეგრაფო, სატელევიზიო, სატელეფონო, სატვირთო, სატუმბი, საუბნო, საცდელი, სეზონური, სპეციალური, ტბის სადგური, ტექნიკური, ქალაქის, შუალედური, ჩასასხმელი, ჩიხის, ცალმხრივი, ცენტრალური, ძალური, წინასაკვანძო, წყალსიღრმული, ჰელიოელექტრული, ჰიდრომეტრიული და სხვ.

სადები – სრიალის საკისრის შესაცვლელი დეტალი, რომელზეც ეყრდნობა მბრუნავი ლილვის პოჭოჭიკი. ს. ჩვეულებრივ მზადდება ბიმეტალური: თხელი ანტიფრიქციული ფენის გადაკვრით ფოლადის, თუჯის ან ბრინჯაოს საფუძველზე. ს. შეიძლება იყოს მთლიანი ან მილისებრი (მაგ., ბარბაცას დგუშის თავზე), ჭრილი – ორი ან მეტი ნაწილისგან. არსებობს აგრეთვე თხელკედლიანი ს. ბიმეტალური ლენტისგან ფოლადის საფუძველზე.

სადენი – ცალკეული მავთულის ან მავთულების ძნულისგან შემდგარი ელექტროტექნიკური ნაკეთობა, რომელიც ემსახურება ელექტრული დენის გადაცემას დენის წყაროდან მომხმარებლამდე. კაბელისაგან განსხვავებით აკრძალულია სადენის ჩაწყობა მიწასა და წყალში. ს. ორი ძირითადი ელემენტია ლითონის ძარღვი (სპილენძი, ალუმინი) და იზოლაცია (პოლიმერი, ქაღალდი, ლაქი, აბრეშუმის ან ბამბის ქსოვილი, მათი კომბინაცია). ლითონის სადენების სახეებია: აბრეშუმით განმხოლოებული, ალუმინის, ანთების, ბიმეტალური, ბრინჯაოს, გადასატანი, გალაქული, განმხოლოებული, გასაცხელებელი, დაგრეხილი, დაეკრანებული, დენგამტარი, დენმიმყვანი, ელექტრული, ვოლფრამის, თბომედეგი, თერმოელექტროდული, იზოლირებული, კავშირგაბმულობის, მათანაბრებელი, მიმყვანი, მკვებავი, მოკალული, მომინანქრებული, მოჯავშნული, მოძრავი შემადგენლობის,

მრავალმავთულიანი, მრავალძარღვიანი, რეზინით განმხოლოებული, საავიაციო, საავტომობილო, საგრაგნილე, საკონტაქტო, საკონტროლო, სამონტაჟო, სატელეგრაფო, საჰაერო, სპილენძის, ფიდერის, ფოლადის, ფოლად-ალუმინის, შემყვანი, შიშველი და სხვ.

ნახ. 1

სადერივაციო არხი – დედამიწის ერთი რეგიონიდან მეორისთვის წყლის მისაწოდებელი, საირიგაციო ან ჰიდრავლიკური ტურბინებისკენ მიმყვანი არხი (ნახ. 1), რომლის დანიშნულებაა წყლის ნაკადის ენერგიის გაზრდა.

სადიაკვნე – მართლმადიდებლური ტაძარის აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებული საკურთხევლის სამხრეთ მხარეს განლაგებული სათავსი, სადაც ინახება სასულიერო პირთა შესამოსელი და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები.

სადილეგო – ძვ. უსინათლო, ბნელი მიწისქვეშა მართკუთხა ან მრგვალი ფორმის საკანი, სადაც ტუსაღებს ამწყვდევდნენ. ჰაერი, სინათლე, წყალი და საკვები ტუსაღებს მიეწოდებოდათ სადილეგოს ზედა მხრიდან, რომელიც დახურული იყო რკინის ცხაურით.

სადისპეტჩერო – სპეციალურად მოწყობილი სათავსი, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო პროცესების მდგომარეობის სადისპეტჩერო მართვისა და ინფორმაციის ცენტრი.

სადრენაჟო მილი – სიღრმითი დრენაჟის სისტემის ძირითადი ელემენტი, რომელიც ასრულებს წყალმიმღების და წყალსარინის ფუნქციას, რაც აუცილებელია ტერიტორიის დასაშრობად. ძირითადად გამოიყენება კერამიკული, კერამზიტმინისა და პლასტმასის მილები, რომლებსაც კოროზიამედეგობა და ხანგამძლეობა ახასიათებთ, თუმცა ზოგჯერ მისაღებია ბეტონის, რკ,ბ.-ისა და ხის მილების გამოყენებაც. მილის დიამეტრს განსაზღვრავს ტერიტორიის ფართობი, ქანობი და დრენაჟის სახეობა.

სადურგლო ნაერთები – შეერთებები ხის კონსტრუქციებში, სადაც გამოყენებული არაა ლითონის მაკავშირებლები (ლურსმანი, ჭანჭიკი, მოქლონი, სჭვალი, მანჭვალი, ხრახნი, საყელური, დაკბილული ფირფიტები, არმატურა და სხვ.). ს. ნ. მიეკუთვნება: ჭდობა, შუბლური მიყრდნობა, პირმიდგმა, ჯიფთი, ირიბი ჩაჭრა, ნახევარჩაჭრა, კოტა, ღარი და თხენი, ნარანდი, ხის წირწკიმალები და სხვ.

სადურგლო ნაკეთობა – ნაკეთობა, დამზადებული ხის მასალისგან.

სადურგლო ფილა – ფილა, დამზადებული ლარტყის ფარებისგან, რომელსაც ირგვლივ შემოკრული (შემოწებებული) აქვს ხის შპონი. ფილის ზედაპირები შემოსილია ხის შპონით ან სამშენებლო თხელი ფანერით, რითვისაც, როგორც წესი, გამოიყენება სინთეზური წებოები.

საებგურო – შენობაზე აღმართული საზვერავი, სათვალთვალო კოშკი. დამატებით იხ. კალანჩა.

საევაკუაციო გასასვლელი – ხანძრის, დაკვამლიანების, გაზის გაჟონვის, ავარიის, სტიქიური უბედურების დროს შენობიდან გარეთ ან უსაფრთხო ადგილას გასასვლელი.

საევაკუაციო გზა – ხანძრის, დაკვამლიანების, გაზის გაჟონვის, ავარიის, სტიქიური უბედურების დროს სათავსებიდან ადამიანების ევაკუაციის უსაფრთხო გზა, რომელიც მიდის საევაკუაციო გასასვლელთან.

საერთაშორისო (რეგიონული) ორგანიზაციის სტანდარტი – სტანდარტიზაციის საერთაშორისო (რეგიონული) ორგანიზაციის (ISO, IEC ან CEN, CENELEC) მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოს მთავრობის გადაწყვეტილებით (ოფიციალური ბრძანებით) შესაძლებელია მიღებულ იქნეს ნორმატიულ დოკუმენტად.

საერთაშორისო გადაზიდვა – ნებისმიერი სახის გადაზიდვა (ხალხი, ფოსტა, მზა საქონელი, მადნეული და სხვ.) ნებისმიერი სახის ტრანსპორტით (ავტომობილი, თვითმფრინავი, გემი, მატარებელი და სხვ.) ორ სახელმწიფოს შორის. ს. გ. არ შედის საქონლის გადაზიდვა მილსადენებითა (ნავთობი, გაზი, წყალი) და ელექტროგადამცემი ხაზებით (ელექტრული დენი).

საერთაშორისო სამშენებლო კოდი (IBC) (ინგლ. International Building Code) – საერთაშორისო კოდების საბჭოს [International Code Council (ICC)] მიერ შემუშავებული არასავალდებულო ძალის მქონე სამშენებელო ნორმების კრებული. პირველი რედაქციით გამოიცა 2000 წელს.

საერთაშორისო საწარმო – საწარმო, რომელიც განტავსებულია ინდუსტრიულ ზონაში და მინიჭებული აქვს საერთაშორისო საწარმოს სტატუსი (გადასახადებისგან განთავისუფლების მიზნით).

საერთო – 1. ერთობლივი კერძო საკუთრება ორი და მეტი პირის; 2. ის რაც ყველას ახასიათებს, ყველაზე და ყველაფერზე ვრცელდება, ყველას ეხება, ყველასთვის გამოყენებადი, სავალდებულო, შეუზღუდავი სპეციალური დანიშნულებით, გაერთიანებული, შერწყმული, არაკონკრეტული, ზედაპირული და სხვ.

საერთო გამოყენება – შიდა ან გარე მიმოსვლის ბილიკები, ოთახები, სივრცეები ან ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია არა საზოგადოებრივი, არამედ ორი ან ორზე მეტი ადამიანის საერთო გამოყენებისთვის

საერთო განათება – განათების სისტემა, როცა გასანათებელი არმატურა თანაბრადაა განლაგებული სათავსის ზედა ზონაში (საერთო თანაბარი განათება) ან სამუშაო ადგილების თავზე (საერთო ლოკალური განათება).

საერთო ინვესტიცია – წარმოებაში ჩადებული გარკვეული ინვესტიციები რაიმე დროში, რომლის მიზანია ახალი მშენებლობა, წარმოების საშუალებების შეძენა და საქონლის მატერიალური ბაზის შექმნა.

საექსპერტო ორგანიზაცია – ორგანიზაცია, რომელსაც ქვეყნის კანონმდებლობით ექსპერტიზის ჩატარების უფლება აქვს.

საექსპერტო შეფასება – სამშენებლო ობიექტის მშენებლობის განხორციელებისთვის დოკუმენტებისა და მშენებლობის ეტაპების შეფასება ადამიანებისათვის უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს შექმნის მიზნით.

საექსპლუატაციო ხარჯები – ფინანსური დანახარჯების ჯამი შენობის ამორტიზაციაზე, მიმდინარე და კაპიტალურ რემონტებზე.

საექსპლუატაციოდ მიმღები კომისია – კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სპეციალისტების სამუშაო ჯგუფი, რომელიც დოკუმენტურად ადგენს დამთავრებული შენობის საექსპლუატაციოდ გადაცემის მზადყოფნას.

სავაგონე ლამფა – 1. გარანდული თხელი ფიცარი ნაწიბურებზე ამოღებული კილოთი და თხემით (ან მეოთხედით), რომელიც გამოიყენება სათვსის ჭერის (კედლის) შესამოსად (ნახ. 1). ასეთ ფიცრებს შიდა მხარეზე ამოღებული აქვს სავენტილაციო ღარები. ს. ლ. დასამზადებლად გამოიყენება ნაძვის, ფიჭვის, ვერხვის, ცაცხვისა და სხვა ჯიშის მშრალი მასალა ტენიანობით 10-16%; 2. მოსაპირკეთებელი ფიცრების შეერთების ტიპი.

ნახ. 1

სავანა (ინგლ. savannah<ესპ. sabana<კარიბის ზღვის ქვეყნების ენიდან) – ბალახით დაფარული ვაკე ტერიტორია, სადაც ჯგუფ-ჯგუფად ხარობს ბაობაბის, პალმის, აკაციის ევკალიპტის და მისთ. ხეები და ბუჩქები (ნახ. 1. აფრიკის სავანა). ს. გარეული ცხოველებისა და ნადირის თავშეყრის ადგილია. მისი მიწების მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა წარმატებით იყენებს საძოვრებად და სახნავად.

ნახ. 1

სავანე – ბაღნარი ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის ეკლესია-მონასტრებს.

სავანის ეკლესია (ინგლ. Savana Church) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სავანის წმინდა გიორგის ეკლესია (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს იმერეთის მხარეში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სავანეში.

ეკლესიის სამხრეთისა და დასავლეთის შესასვლელების ტიპმანზე არსებული წარწერების თანახმად ეკლესია 1046 წელს აუგია ადგილობრივ ფეოდალს, ერისთავთერისთავ გიორგი გულზვიადის ძესა და ხუროთმოძღვარ ჰარაბას, ხოლო აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში ნათქვამია, რომ მშენებლობაში მთელი სოფელი იღებდა ნივთიერ მონაწილეობას. ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც სამხრეთით მთელ სიგრძეზე გასდევს მოგვიანებით მიშენებული სტოა-კარიბჭე. შენობის პროპორციები ჰარმონიული და დახვეწილია. უხვი და მოტივებით მდიდარი მორთულობა (ნახ. 3. სამხრეთი კარიბჭის მორთულობა) ორგანულადაა შეხამებული ნაგებობის ხუროთმოძღვრულ ფორმებთან. ინტერიერში XI საუკუნის მდიდრულად მოჩუქურთმებული თაბაშირის კანკელია, რომელიც XIX საუკუნეში რესტავრაციის დროს ძლიერ დაზიანებულა. ეკლესიის ჩუქურთმებით დამშვენებული კარნიზების,

ნახ. 1

სარკმლებისა და ორი პორტალის საპირეების დეკორი ახლოსაა კაცხის ეკლესიის გარშემოსავლელთან და ნოკორწმინდის არქიტექტურასთან. ეკლესიის დასავლეთით აგებული სამრეკლო XIX საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება. ეკლესიის ზომებია: სიგრძე 15,9 მ, სიგანე უკარიბჭეოდ – 8,35 მ, კარიბჭიანად – 14,5 მ, სიმაღლე შიგნით – 10,3 მ.



ნახ. 2

ნახ. 3

სავაჟინე – ყურძნის დასაწური და ღვინის დასაყენებელი სათავსი; მარანი.

სავარგული – არასატყეო დანიშნულების (კატეგორიის) მიწა სასოფლო კულტურების გასაშენებლად.

სავარცხელი – 1. კბილანების ამოსაჭრელი ინსტრუმენტი, დამზადებული მაღალი სიმტკიცის ლეგირებული ფოლადისგან; 2. საჭრისი კუთხვილის ამოსაჭრელად. სავარცხლის მრავალი სახეობა არსებობს: ბერკეტის, თითებიანი, კაბელის, ლენტსაწევი, მანაწილებელი, რეგულატორის, საკუთხავი, სამღებრო, ცრუ, ხრახნსაჭრელი და სხვ.

სავარძელი – 1. გამორჩეულად შემკული და მომზადებული საპატიო სკამი [მაგ., სვანეთში ქორა მახვშის სკამი – საკურცხილი (ნახ. 1); რაჭაში ოჯახის უფროსის სკამი – საკარცხული და სხვ.]; საუფროსო სკამი; 2. კომფორტული ავეჯის სახეობა ერთი ადამიანის დასაჯდომად საიდაყვეებითა და საზურგით (ნახ. 2. რბილი სავარძელი; ნახ. 3. ეგვიპტელი ფარაონების დასაჯდომი სავარძელი).

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სავაჭრო დახლი – 1. სავაჭრო ობიექტის თავისუფალ სივრცეში განთავსებული საქონლის მოსათავსებელი ადგილი (ვიტრინა, მაგიდა, სტელაჟი, დახლი და სხვ.), სადაც მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია მისვლა, საქონლის დათვალიერება და შეძენა; 2. სავაჭრო საქონლის დასაწყობი ადგილი, რომელიც გარშემორტყმულია გასასვლელებით, პერმანენტული სამარჯვებით (კაზმულობით) ან კედლებით. ს. დ. შეიცავს ისეთ დეტალებს, როგორებიცაა: არაფიქსირებული და მოძრავი მოწყობილობები, ვიტრინები, სტელაჟები, დახლები და ტიხრები, სადაც კლიენტები ათვალიერებენ ან ყიდულობენ საქონელს.

სავაჭრო მარკა – რეგისტრირებული და კანონით დაცული სპეციალური დიზაინის მქონე სახელი ან სიმბოლო, რომელიც გამოიყენება საქონლის, მომსახურების ან ფირმის იდენტიფიკაციისათვის.

სავენტილაციო კამერა – სათავსში ჰაერის გამწმენდი დანადგარის დასამონტაჟებელი ადგილი.

სავენტილაციო კოშკურა – შუა საუკუნეების სახლის სახურავში დატანებული ნახვრეტი, რომელზეც დაშენებულია ოთხკუთხა ან წრიული კვეთის კვამლსატარი მილი.

სავენტილაციო ჭავლის რევერსია – ჰაერის მოძრაობის მიმართულების ხელოვნური შეცვლა საწინააღმდეგო მიმართულებით.

სავტორო უფლება – გამოგონებაზე ავტორობის სამართლებრივად დამადასტურებელი დოკუმენტი.

საზედამხედველო სადგური – საზედამხედველო ორგანიზაციის კუთვნილი შენობა ან ნაგებობა, სადაც მუდმივად იმყოფება განსწავლული პერსონალი, სასიგნალო შეტყობინებების მიღების და რეაგირებისათვის.

საზედამხედველო სამსახური – სამსახური, რომელსაც ევალება საზედამხედველო შენობის/ტერიტორიის შემოვლა დადგენილი სვლაგეზის შესაბამისად, ასევე, სტაციონალური ცეცხლსაქრობი სისტემების ან სხვა, სიცოცხლისა და ქონების დასაცავი, სისტემების მუშაობის კონტროლი.

საზეთი მასალა – ბლანტი, მყარი, პლასტიკური ან აირადი ნივთიერება, გამოყენებული მექანიზმების ხახუნის კვანძებში ლითონის ელემენტების ცვეთის შესამცირებლად. არსებობს

ს. მ. სახეობები: აზოტი, გრაფიტი, ვოლფრამის დისელენიდი, ბორის ნიტრიდი, ელექტროგამტარი (პასტა), კადმიუმის იოდი, ინერტული აირები, კონსისტენციური, კონსტალინი, ლუბრიკანტი, მინერალური, მოლიბდენის ბისულფიდი, ნავთობის, ნახევრადთხევადი, ნახევრადმყარი, ნახევრადსინთეტიკური, ნახშირჟანგის აირი, ორგანული, საკვების, სამრეწველო, სამანქანო, სარედუქტორო, სატრანსმისიო, სილიკონური, სინთეზური, სოლიდოლი, ფთოროპლასტი, ძრავის, ჰიდრავლიკის და სხვ.

საზეთური – 1. მანქანებისა და მექანიზმების ხახუნის კვანძების შესაზეთი მოწყობილობა; 2. ჩასასხმელი ან მცენარეული ზეთის შესანახი და დასახარისხებელი ჭურჭელი. არსებობს მისი სახეები: საზეთურის სახეებია: ბურთულა, ზამბარიანი, მექანიკური, მტვერშეუღწევადი, მუზარადიანი, მწვეთარა, საჭირხნი, ტუმბოიანი (ნახ. 1), ხელისა (ნახ. 2) და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

საზეიმო – ზეიმისთვის განკუთვნილი (მაგ., საზეიმო სვლა, საზეიმო ფორმა).

საზეინკლო სამუშაოები – სამუშაოები ლითონის დეტალების, ელემენტების, ნაკეთობების და მისთ. დასამუშავებლად.

საზეინკლო ხელსაწყოები – ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენება ლითონის, ხის, პლასტმასის, მინის, კომპოზიტის მასალებისგან დამზადებული დეტალების, ელემენტების, ნაკეთობების მექანიკური დამუშავებისათვის. არსებობს ს. ხ. სახეები: ბრტყელტუჩა, გაზგბილა, გარესახრახნი, გასახსნელი საჭექი, გირაგი, დაზგა, დანა, დაღი, ზენკერი, თენგი, კაბელსაჭრელი, კერნერი, კვეჟო, კუთხესანიშნი, მაკრატელი, მკვნეტარა, მრგვალტუჩა, მრგვალკბილა, მილსაღუნი, ორტარი, სანგი, სასვრეტელა, საღრუვი, სახეწი, სახვრეტელა, სახრახნისი, ტორსის საჩარხი, ქლიბი, ციბრუტი, ჭანჭიკსაჭრელი, ღარობსაწელი, ღარობსაფრეზავი, ღოჯი, შაბლონები, შიგსახრახნი, ჩაქუჩი, ხერხი და სხვ.

საზიარო კედელი – სამეზობლო საზღვარზე ამოყვანილი კედელი, რომლის ნაწილი შეიძლება მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობასთან საზიარო კედელი იყოს. ს. კ. შეიძლელება ჩაითვალოს აგრეთვე საყდენი კედელი, რომელიც განთავსებულია სამეზობლო საზღვარზე.

საზოგადოებრივი – რაც საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, არსებული, ადამიანთა საქმიანობასთან დაკავშირებული, საზოგადოების კეთილდღეობისთვის განკუთვნილი.

საზოგადოებრივი ადგილი – გამზირი, ქუჩა, გასასვლელი, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყალსატევისა და მდინარის სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი

და სხვა ადგილები, რომლებიც მდებარეობს განაშენებული ტერიტორიის ფარგლებში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მაცხოვრებლისათვის.

საზოგადოებრივი გზა – გამზირი, ქუჩა, ჩიხი და მისთ., გამოყოფილი ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი გამოყენების მიზნით, რომლის სუფთა სიგანე არ არის 3 მ-ზე ნაკლები.

საზოგადოებრივი სივრცე – საერთო სარგებლობაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსურნე პირისთვის, საკუთრების ფორმის განურჩევლად, გარკვეული მოხმარებითი რეჟიმებით ან მათ გარეშე. ასეთი სივრცის მოხმარებითი რეჟიმი შეიძლება განსაზღვრული იყოს: საფასურით, ბილეთით, მოსაწვევით, საშვით ან სხვა სახით. ასეთი სივრცე, ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს და ხელს უწყობს სოციალურ ინტერაქციებს.

საზოგადოებრივი ტერიტორია – იხ. საზოგადოებრივი ადგილი.

საზომთა მეტრული სისტემა – საზომთა სისტემა, რომელიც ემყარება ორ ძირითად ერთეულს: სიგრძის (მეტრი – მ) და მასის (კილოგრამი – კგ). ს. მ. ს. შექმნეს საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს. 1875 წელს პარიზში 17 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მეტრულ კონვენციას და შეიქმნა ზომა-წონათა საერთაშორისო კომიტეტი. საზომთა მეტრულ სისტემაში შედიოდა შემდეგი ერთეულები: სიგრძის (მეტრი), ფართობის (კვადრატული მეტრი), მოცულობის (სტერი – 1 მ წიბოს მქონე კუბის მოცულობა), თხევადი და ფხვიერი სხეულების ტევადობის (ლიტრი – 0,1 მ წიბოს მქონე კუბის მოცულობა) და მასისა (კილოგრამი – 0,1 მ წიბოს მქონე კუბის შემავსებელი წყლის მასა). მეცნიერებისა და ტექნიკის შემდეგმა განვითარებამ გამოიწვია მრავალი ფიზიკური სიდიდის ერთეულის დადგენის აუცილებლობა. შეიქმნა ერთეულთა დარგობრივი მეტრული სისტემები მექანიკური, ელექტრული და მაგნიტური, სითბური, აკუსტიკური და სინათლის სიდიდეებისათვის. დარგობრივი სისტემების ბაზაზე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგისთვის დამუშავებულია უნივერსალური ერთეულთა საერთაშორისო სისტემა (SI), რომელიც 1960 წელს დაამტკიცა ზომა-წონათა XI გენერალურმა კონფერენციამ.

საზომი ხელსაწყო – საზომი საშუალება გასაზომი ფიზიკური სიდიდის მისაღებად გარკვეულ დიაპაზონში (ნახ. 1. სასკოლო ისრიანი ვოლტმეტრი). არსებობს საზომი ხელსაყოს სახეობები: ამპერმეტრი, ანალოგური, ბარომეტრი, გადასატანი, დაქანების, დახრილობის, დინამომეტრი, დოზიმეტრი, დონის, დროის, ელექტრული, ელექტრომექანიკური, ვებერმეტრი, ვოლტმეტრი, თერმომეტრი, ინფორმაციის, ისრიანი, კორელაციის, ლაზერული, მანძილმზომი (ნახ. 2. ლაზერული მანზილმზომი) მარტივი, მასის, მაჩვენებლიანი, მაღალი სირთულის, მეტრული, მუშაობის, ომმეტრი, პანელური, პირდაპირი მოქმედების, საკონტროლო, სარეგისტრაციო, საშუალო სირთულის, საჯამებელი, სიგრძის, სიმაღლის, სიმკვრივის, სისალის, სიღრმის, სიჩქარის, სიხშირის, სტაციონარული, ტევადობის, ფაზის, ციფრული, წონისა და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

საზღვაო ნავიგაციის სისტემა – ნავიგაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება ზღვაოსნობაში.

საზღვარი – რეალური ან წარმოსახვითი ხაზი სივრცეში ან დროში, რომელიც ერთ ობიექტს (ტანი, პროცესი, მდგომარეობა, სახელმწიფო) გამოყოფს მეორისაგან. არსებობს საზღვრის სახეები: ენის, მიწის ნაკვეთის, მცენარეული საფარის, პლატოს, საბაჟოს, საომარი მოქმედებების, სარწმუნოების (მატემატიკურ სტატისტიკაში), სახელმწიფო, ტერიტორიის (ადმინისტრაციული), ტოპოლოგიური, ფაზის, შეწოვის, ხანძრის, ხეობისა და სხვ.

სათადარიგო (სამარქაფო, სარეზერვო) – საჭიროების შემთხვევაში წინასწარ მომზადებული ან დატოვებული ვინმე ან რამე (დეტალი, ნაწილი, სპორტსმენი და მისთ.), რომელიც რისამე ან ვისიმე შემცვლელად გამოდგება.

სათავე – 1. ადგილი, სადაც რუ, ნაკადული, მდინარე იწყებს დინებას; 2. თავბანდი, თავხე; ხის სახურავის ზედა ჰორიზონტალური ძელი (თავხე), რომელზეც სანივნივე კოჭებია დაყრდნობილი ან შეკიდებული.

სათავე წყალმიმღები ნაგებობა – ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის: ა) ჰიდროკვანძის ნაგებობისათვის გამოყოფილი გასხვისების ზოლის ფარგლებში მოქცეული მიმდებარე მდინარის (ზედაპირული წყალსადინარის) უბანი; ბ) ჩამკეტ-სარეგულაციო ფარები და მათი ამწე მექანიზმები, რომელთა დარეგულირებით ხდება სათავე ჰიდროკვანძის ფარგლებში მდინარის ნაკადის ტრანზიტულად გატარება, წყლის წყაროდან საჭირო რაოდენობის წყლის აღება და მიმდებარე ტერიტორიის სათავე ჰიდროკვანძის ზედა ბიეფში შეტბორილი წყლის გადადინებისაგან დაცვა; გ) ჰიდროტექნიკური გამრეცხი, ნატანდამჭერი და ხრეშდამჭერი გალერეები, სალექრები, ნაგავდამჭერი გისოსები, ნაგებობები და მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის წყაროდან ასაღები წყლის გაწმენდას ნატანისა და შეტივნარებული ნაგვისაგან; დ) მაგისტრალური არხის საწყისი მონაკვეთი წყალმიმღები კვეთიდან სათაო ჰიდრომეტრიულ პოსტამდე; ე) თევზგამტარი და თევზდამცავი ნაგებობები და მოწყობილობები; ვ) გეოდეზიური რეპერები და ნიშნები, ჰიდროპოსტების საკონტროლო-გამზომი აპარატურა, ავტომატიკის, ტელემექანიკის, კავშირის საშუალებები და მოწყობილობები, მისასვლელი გზები და ინფრასტრუქტურის ობიექტები.

სათავისი – გრძივი სამშენებლო კონსტრუქციის (სვეტი, კოლონა, დგარი, ბოძი, მილი, ხიმინჯი და მისთ.) ბოლო ზედა ნაწილი. არსებობს სათავისის სახეები: დერეფნისებრი, კოლონის, მილბაბრისებრი, საყელოსებრი, ჭაბურღილის (ნახ. 1), ხიმინჯის და სხვ.

ნახ. 1

სათავსი – იხ. ოთახი.

სათავსი ბუნებრივი განათების გარეშე – სათავსი ფანჯრების გარეშე, რომელშიც ნორმირებული წერტილის განათებულობის კოეფიციენტი 0,1-ზე ნაკლებია.

სათავსი განსაკუთრებულად ტენიანი – სათავსი, რომელშიც ჰაერის ფარდობითი ტენიანობა უახლოვდება 100%-ს (კედლები, იატაკი, ჭერი, ფანჯრები და სათავსში განთავსებული საგნები დაფარულია ტენით).

სათავსი ელექტროტექნიკური – შენობაში განთავსებული იზოლირებული სათავსი (ან ბადით შემოფარგლული შენობის ნაწილი), სადაც განლაგებულია წარმოებისთვის საჭირო ელექტროენერგიის მომღები და გამანაწილებელი ელექტროდანადგარი.

სათავსი მეტად ტენიანი – სათავსი, რომელშიც ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ხანგრძლივად აღემატება 75%.

სათავსი მშრალი – სათავსი, რომელშიც ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ხანგრძლივად არ აღემატება 60%.

სათავსი ნორმალური – მშრალი სათავსი, სადაც ადამიანისათვის ნორმალური საარსებო პირობებია შექმნილი, ანუ ტემპერატურა, ტენიანობა, დამტვერიანება, ჰაერის სისუფთავე და სხვ. კანონმდებლობით დადგენილი ზღვრების ფარგლებშია.

სათავსი საზოგადოებრივი დანიშნულების – საცხოვრებელ სახლზე მიშენებული (ან ჩაშენებული) სათავსი, ადგილობრივი მაცხოვრებლების ინდივიდუალური სამეწარმეო ან სხვა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

სათავსი საწარმოო – სათავსი, სადაც შესაძლებელია არაელექტროტექნიკური სპეციალობის პირთათვის ადვილად მისადგომ ელექტროდანადგარებთან ან ელექტროქსელების ნაწილებთან შეხება.

სათავსი ტენიანი – სათავსი, რომელშიც წყლის ორთქლი ან კონდენსირებული ტენი გამოიყოფა დროებით, მცირე რაოდენობით და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მეტია 60%-ზე, მაგრამ არ აღემატება 75%-ს.

სათავსი ცხელი – სათავსი, რომელშიც ჰაერის ტემპერატურა ხანგრძლივად აღემატება +30°C.

სათანჯოს ციხე (ინგლ. Satanjo Castle) – VIII-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხე-სიმაგრე დასავლეთ საქართველოში, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯთან, სათანჯოს მთის მაღლობზე (ნახ. 1. საერთო ხედი). ციხის განლაგების გეგმა ოვალურია. გალავანი ქვისაა სისქით 2 მ-მდე და მთის დამრეც ფერდობებზეა ჩაშენებული. ქვის ეგრისული წყობა კოლხეთის სამეფოს პერიოდის (IV-VII სს.) ქვის წყობის ანალოგიურია. ეზოში შემორჩენილია უძველესი ქვის კოშკი, რომლის დიდი ოსტატობით ნაწყობი კედლების სისქე 2 მ-ზე მეტია, ხოლო სიმაღლე 5-7 მ-ია. დღეისთვის ციხის ნანგრევებია შემორჩენილი.

ნახ. 1

სათბობი (საწვავი) – ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს განსაკუთრებული პროცესების დროს გამოყოს ენერგია ტექნიკური მიზნით გამოსაყენებლად. განასხვავებენ მყარ (მერქანი, ფიქალი, საპროპელი, ტორფი, ქვანახშირი), თხევად (ბენზინი, დიზელი, ეთერი, ემულსია, ზეთი, ლიგროინი, მაზუთი, ნავთი, ნავთობი, სპირტი, სარაკეტო საწვავი), აირისებრ (ბუტანი, მეთანი,

პროპანი, წყალბადი, ბუნებრივი გაზი) და დისპერსიულ (ქვანახშირის, ალუმინის, მაგნიუმის მტვერი) სათბობს. მიუხედავად სათბობი მასალების დიდი გამისა, სათბობი ენერგიის ძირითად წყაროდ ჯერ კიდევ რჩება ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ქვანახშირი.

სათბობი მარგი წიაღისეული – წიაღისეულის კატეგორია, რომლებისგანაც შესაძლებელია სათბობი ნედლეულის მიღება. ასეთებია: ქვანახშირი, ტორფი, ნავთობი, ფიქალი, ბუნებრივი გაზი და სხვ.

სათბური – იხ. ორანჟერეა.



ნახ. 1

სათელი – ხის, ლითონის, პლასტმასის თამასა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო კონსტრუქციების შეერთებებში პირაპირების დასაფარავად (ნახ. 1).

სათესლე ხე – ბუნებრივი განახლების (მოთესვის) ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხე.

სათვალე – ოპტიკური ხელსაწყოს სახეობა ადამიანის მხედველობის კორექციისათვის ან თვალის დასაცავად სხვადასხვა მავნე ზემოქმედებისაგან. მისი ძირითადი ნაწილებია: ლინზები, ჩარჩო, საყურეები, ძგიდე, ცხვირმისაბჯენი და სახსრები. არსებობს სათვალის სახეები: ბიფოკალური, დამცავი, ლორნეტი, მონოკლი, ოპტიკური, პენსნე, პერფორაციული, პრიზმული, საკითხავი, საცურაო, სტერეოფილმების საყურებელი, ფერადი, ცილინდრული და სხვ.

სათვალე დამცავი – ადამიანის მხედველობის ორგანოს (თვალის) დაცვის ინდივიდუალური საშუალება მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებისგან. არსებობს მისი სახეობები: გადასახსნელი, გამჭვირი მინებით, ფერადი მინებით, ფიქსირებული, ჩაჩქანზე მისამაგრებელი, შავი მინებით, შეჯავშნული მინებით, შუქფილტრით, ცეცხლგამძლე და სხვ.

სათვალთვალო ჭა – მცირე ზომის ჭა, რომლის საშუალებითაც წარმოებს დახურული სადრენაჟო სისტემების საექსპლუატაციო სამუშაოები (ნახ. 1).

ნახ. 1

სათვალე ბიფოკალური – სათვალე ბიფოკალური ლინზებით.

სათლი – იხ. ჭაღანი.

სათოფური (სათოფე) – ციხე-სიმაგრის კედელში (ან სხვა ნაგებობაში) დატანებული პატარა ხვრეტი შიგნიდან გარეთ თოფის სასროლად.

სათხის ეკლესია – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის სამხრეთით 4 კმ-ში, ტყეში (ნახ. 1. ეკლესიის ადგილმდებარეობის რუკა; ნახ. 2. ეკლესიის ნანგრევების ფრაგმენტი). ეკლესია ერთნავიანი უგუმბათო ნაგებობაა გეგმაში ზომებით 15,0x6,7 მ, რომელსაც დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით გარს ეკვრის დამატებითი სადგომები. მთავარ წაგრძელებულ კორპუსს სამხრეთიდან ეკვრის სტოა (მინაშენი) კარიბჭით, ხოლო დასავლეთით – სტოასთან კუთხით ორგანულად დაკავშირებული წვეტურიანი სადგომი. ყველა სადგომის კამარა სიძველისგან

ნახ. 1

ჩაქცეულია. სტოა საკმაოდ დანგრეულია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ყველა არქიტექტურული ელემენტის ფორმა. იგი გვიანდელ შუა საუკუნეების დასაწყისში გავრცელებული სტოას ტიპისაა იმ განსხვავებით, რომ აქვს დამატებითი სადგომი ეკვდერის სახით. ეკლესიაზე რაიმე შეკეთება-გადაკეთების კვალი არ შეინიშნება (გამონაკლისია ჩრდილო ეკვდერი). საქართველოს მრავალრიცხოვან დარბაზულ ეკლესიებთან შედარებით სათხეს ეკლესიაში თავისებურია საკურთხევლის კომპოზიციური გადაწყვეტა - გვერდითი სადგომების განლაგება აფსიდის ორივე მხარეს კედლის სისქეში (სამკვეთლო და სადიაკვნე).

ნახ. 2

ეკლესია აგებულია მშრალად ნაწყობი უხეშად დამუშავებული ქვებისაგან (ნახ. 3, ნახ. 4: კედლების წყობა უხეში ქვებით), ხოლო ფასადები მოპირკეთებულია მაღალი სამშენებლო ხარისხის ტუფბრექჩიისა და ტუფქვიშაქვის სუფთად

ნახ. 3

გათლილი მოყავისფრო კვადრებით (ნახ. 5. ფასადის ფრაგმენტი). მთავარი კორპუსის ფასადებზე დაუზიანებელი, ძველი ასომთავრული წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც თავის დროზე შეუსწავლიათ მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილს. ჩრდილოეთის ფასადი შეუმკობელია, ხოლო დანარჩენ ფასადებზე მრავლადაა მორთულობები და ორნამენტები (ნახ. 6. ორნამენტული მოტივი „ბაგირი“; ნახ. 7. გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები; ნახ. 8. გეომეტრიული ორნამენტი და წარწერა; ნახ. 9. ორნამენტული მოტივი). ეკლესიის ქვების წყობაში რამდენიმე ადგილზეა გამოყენებული ქვაზე ამოკვეთილი ბოლნური ჯვრის გამოსახულება (ნახ. 3, 4, 6, 7, 9). შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. მოქმედების პერიოდში

ეკლესიის ინტერიერს შესანიშნავი, ქვაში ნაკვეთი, კანკელი ამკობდა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით განადგურებას გადაურჩა და ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ამჟამად მიმდინარეობს სათხის ეკლესიის რეაბილიტაცია.

ნახ. 4

ნახ. 5

ნახ. 6

ნახ. 7



ნახ. 8

ნახ. 9

საიდინგი (ინგლ. siding გარე მოპირკეთება) – შენობის კედლების ჰორიზონტალურად განლაგებული ერთმანეთზე პირგადადებული მოსაპირკეთებელი მასალა, რომელიც

ნახ. 1

ასრულებს უტილიტარულ (შენობის დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისგან) და ესთეტიკურ (შენობის ფასადის მორთვა) ფუნქციებს (ნახ. 1). პირველად გამოყენებული იქნა XIX საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკაში. გარანდული და შეღებილი ხის ფიცრები მაგრდება კედელზე ისე, რომ ზედა ჰორიზონტალური ფიცარი ოდნავ გადმოდის შემდეგზე – ასეთი განლაგების შედეგად წვიმის წყალი თავისუფლად ჩამოედინება ძირს და კედელი მშრალი რჩება. XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-სა და კანადაში დაიწყეს ვინილის საფასადე პანელების წარმოება, რომელიც გამოირჩეოდა ხანგამძლეობითა და ნაკლები საექსპლუატაციო დანახარჯებით ხის პანელებთან შედარებით; შემდეგ გაჩნდა ლითონის პანელები – ლითონსაიდინგი, ცემენტის – ცემენტსაიდინგი, ფიბროცემენტის – ფიბროცემენტის საიდინგი. ცოკოლის მოსაპირკეთებლად გამოიყენება უფრო მტკიცე – ცოკოლის საიდინგი.

საიდინგი ფიბროცემენტის (კედრალი) – ფიბროცემენტის საფასადე მასალა ბუნებრივი მერქნის ფაქტურითა და ბეტონის სიმტკიცით (ნახ. 1. საიდინგის ფრაგმენტი; ნახ. 2. ფიბროცემენტის საფასადე საიდინგი). სისქე 10-12 მმ. შედგენილობა: ცემენტი, ქვიშა, წყალი და ცელულოზის ბოჭკო. მედეგია ატმოსფერული ზემოქმედების, ტემპერატურული ცვალებადობის, ულტრაიისფერი სხივების, კოროზიის მიმართ. გამოირჩევა ეკოლოგიურობით, ყინვა- და ცეცხლმედეგობით, ხანგამძლეობითა და მონტაჟის სიმარტივით.

ნახ. 1

ნახ. 2

საიზოლაციო ბაგირი – ბაგირი მოქნილი დიელექტრიკისგან.

საიმედოობა – ნაკეთობის (შენობის, ნაგებობის, კონსტრუქციული ელემენტების, ტექნოლოგიური-საინჟინრო მოწყობილობების) თვისება შეინარჩუნოს საკუთარი საექსპლუატაციო მაჩვენებლები გარკვეულ ნორმატიულ საზღვრებში. ს. შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული თვისებებისგან, როგორიცა: ხანგამძლეობა, ვარგისობა

(უტყუარობა), რემონტვარგისობა (აღდგენის შესაძლებლობა) და შენარჩუნება (შენახვადაცულობა).

საიმედოობა შენობის – შენობის თვისება, შეინარჩუნოს მასში ჩადებული პარამეტრები გარკვეულ ზღვრებში. ნაგებობის, სამშენებლო კონსტრუქციის, დეტალების, ელემენტების საიმედოობას ამცირებს შენობის ცვეთა, სამსახურის ვადა, ატმოსფერული ზემოქმედებები და სხვ. ს. შეფასება ხდება შეუფერხებელი მუშაობის ალბათობით (ვარგისობით), ხანგამძლეობითა და სარემონტოდ ვარგისობით.

საიმპორტო ბაჟი – იხ. გადასახადი იმპორტზე.

საინვესტიციო-სამშენებლო პროექტი – ჩამოყალიბებული მიზნების სისტემა, რომელიც იქმნება ფიზიკური ობიექტების (უძრავი ქონების), ტექნოლოგიური პროცესების, მათთვის ტექნოლოგიური და საორგანიზაციო დოკუმენტაციის, მატერიალური, ფინანსური, შრომითი და სხვა რესურსების რეალიზაციის მიზნით, აგრეთვე ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მათი შესრულების თაობაზე.

საინჟინრო – ყოველივე ის, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ინჟინრის საქმიანობასთან.

საინჟინრო დაცვის ნაგებობა – ნაგებობა, რომლის მიზანია მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება ან/და მისი ზემოქმედების შესუსტება.

საინჟინრო ნაგებობა – სპეციალური მოთხოვნების მიხედვით დაგეგმარებული ნაგებობა, რომელიც შენდება ტერიტორიის (ადგილმდებარეობის) საინჟინრო მოწყობის მიზნით. ასეთებია: ესტაკადა, გზაგამტარი, საყრდენი კედელი, კაშხალი, საირიგაციო არხი, საფორტიკაციო ნაგებობა, ხიდი, აეროდრომი, გვირაბი და სხვ.

საინჟინრო სეისმოლოგია – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირიდან დიდ სიღრმეებზე ადამიანის საინჟინრო საქმიანობის შედეგების გავლენას ღრმა ჰორიზონტებზე სეისმური თვალსაზრისით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები – გეოლოგიური ძიების პროცესი, რომელიც განსაზღვრავს ნაგებობის საინჟინრო კვლევების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობებს ნულოვან ციკლთან მიმართებაში, აგრეთვე ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობას მშენებლობის დამთავრების შემდეგ პერიოდში. ა.-გ. პ. შედის: გრუნტის მახასიათებლების დადგენა, რელიეფი, ქანების შემადგენლობა, მიწისქვეშა წყლები, გეოლოგიური პროცესები და მოვლენები და სხვ.

საინჟინრო-კომუნალური ქსელები – ქალაქების, დაბების, სოფლების, დასახლებების, კერძო მიწის ნაკვეთების ტერიტორიებზე განთავსებული წყალმომარაგების (საერთო, ლოკალური), კანალიზაციის (წყალარინების), ნავთობის, აირების მილსადენების სისტემა, აგრეთვე ელექტრომომარაგების, სატელეფონო, საკაბელო ტელევიზიებისა და კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ხაზების ერთობლიობა.

საინსტრუმენტო – 1. ინსტრუმენტისთვის განკუთვნილი, ინსტრუმენტის დასამზადებელი, ინსტრუმენტის გამოსაყვანი (მაგ., ინსტრუმენტული ფოლადი); 2. ინსტრუმენტების დასამზადებელი სახელოსნო; 3. ინსტრუმენტების შესანახი სათავსი.

საინფორმაციო რესურსის მაჩვენებელი [(კომპ.) (ინგლ. Uniform Resource Locator (URL)] – ადგილმდებარეობა ან მისამართი ინტერნეტში, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ ფაილზე, დოკუმენტზე ან სხვა სახის რესურსებზე ქსელში.

საინფორმაციო სისტემა (კომპ.) [ინგლ. Information System (IS)] – ინფორმაციის შეგროვების, ორგანიზების, დამუშავების, შენახვისა და გადაცემის ნებისმიერი ორგანიზებული სისტემა. კომპიუტერული ს.ს. ტექნიკური და ადამიანური რესურსების ერთობლიობაა, რომელიც ამუშავებს და განმარტავს ინფორმაციას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები (კომპ.) [ინგლ. Information Technology (IT)] – მეცნიერული და ინჟინრული ცოდნის სისტემა, ასევე იმ მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შემუშავებაში, დანერგვასა და მათ ტექნიკური მომსახურებაში, ელექტრონული მონაცემების შექმნაში, ინფორმაციის შეგროვებაში, შენახვაში, დამუშავებასა და გადაცემაში.

საირიგაციო (ლათ. irrigātiōn<irrigāre დასველება, წყლით კვება) – ყველაფერი, რაც განკუთვნილია ირიგაციისთვის (არხი, წყალსაწნეო სადგური, ტუმბო, ფილტრი და სხვ.).

საიტი (ინგლ. site ადგილი, ადგილმდებარეობა) – ერთ ან რამდენიმე სერვერზე ატვირთული ვებგვერდების, სურათების, ვიდეოების და ა.შ. ერთობლიობა.

საკაბელო არხი – კაბელების ჩასალაგებელი მცირე ზომის ხელით გაჭრილი არხი გრუნტში, ნაგებობის კედელზე, იატაკსა და ჭერზე. სამუშაოების დამთავრების შემდეგ არხი იხურება პლასტმასის სპეციალური ნაკეთობით.

საკაბელო ღარი – ღია კონსტრუქცია კაბელებისა და გამტარების ჩასაწყობად.

საკაბელო შახტი – მიწისქვეშა ვერტიკალური ღრმა ჭა, აღჭურვილი კავებით ან კიბით მომსახურე ადამიანებისათვის.

საკადასტრო მონაცემების ზედდება – უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემების იდენტურობა უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან.

საკანალიზაციო ვარდნილი ჭა – საკანალიზაციო ჭის სახეობა, რომელშიც შემავალი მილი მოთავსებულია გაცილებით ზევით, ვიდრე გამომავალი (ნახ. 1). კეთდება იმ შემთხვევებში, როდესაც რელიეფი არ იძლევა საკანალიზაციო მილსადენის ოპტიმალური დახრის კუთხით გაყვანის საშუალებას.

ნახ. 1

ნახ. 1

საკანალიზაციო მაგროვებელი ჭა – ძირითადი და ყველაზე დიდი ზომის საკანალიზაციო ჭა, სადაც თავს იყრის ყველანაირი სიბინძურე და საცხოვრებელი სახლებიდან და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიდან ჩამონადენი წყალი. მისი მოცულობა განისაზღვრება მაცხოვრებლებისა და გამოყენებული

წყლის რაოდენობის მიხედვით. ს. მ. ჭ. კეთდება უბნის ყველაზე დაბალ წერტილში, რათა მოხდეს საკანალიზაციო მილგაყვანილობის ოპტიმალური დახრის კუთხის უზრუნველყოფა. ძირითადად მზადდება რკ.ბ.-ის რგოლებისაგან (ნახ. 1), თუმცა ზოგჯერ აშენებენ აგურისაგან. შესაძლებელია გამზადებული პლასტმასის სეპტიკების გამოყენებაც. ს. მ. ჭ. კედლები და სახურავი აუცილებელია იყოს ჰერმეტული, რათა არ მოხდეს ფეკალური მასებისაგან გამოწვეული უსიამოვნო სუნის გაჟონვა ატმოსფეროში.

საკანალიზაციო მფილტრავი ჭა – საკანალიზაციო ჭა ფსკერის გარეშე ან პერფორირებული კედლებით (ნახ. 1). გამოიყენება საკანალიზაციო სისტემიდან წყლის მოსაცილებლად, რომელიც გაედინება გრუნტში. ხორციელდება ფილტრაცია ბუნებრივი გზით. ამ მეთოდით ხდება ჩამდინარი წყლების თხევადი ფრაქციის უტილიზაცია და, შესაბამისად, საკანალიზაციო სისტემის მომსახურებისა და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირება. დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება ბეტონი და რკინაბეტონი.

ნახ. 1

საკანალიზაციო საბრუნი ჭა – საკანალიზაციო ჭა, რომელიც იდგმება საკანალიზაციო ქსელის იმ ადგილებში, სადაც ხდება მილსადენების განშტოება (ნახ. 1). ჭისთვის გამოიყენება ბეტონის რგოლები, დიდი დიამეტრის პლასტმასის (ან ფოლადის) მილების გადანაჭრები, ქახნული წესით დამზადებული პლასტმასის მზა ნაკეთობები და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 1

საკანალიზაციო სათვალიერებელი ჭა – საკანალიზაციო ქსელის საჭირო უბნებზე ყოველ 15 მ-ში დაყენებული მცირე ზომის ჭა, რომლის დანიშნულებაა ავარიულ სიტუაციებში მილების გაწმენდა, საკანალიზაციო სისტემის პერიოდული დათვალიერება და ზოგჯერ გადაკეტვა (ნახ. 1). ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ეზოში პირველი ს. ს. ჭ. ყენდება სახლიდან 3 მ-ის მოშორებით, მაგრამ არაუმეტეს 12 მ-სა. ჭების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება პლასტმასა, ზოგჯერ კი ბეტონი ან კერამიკა.

საკანალიზაციო სეპტიკი (სალექარი) – ლოკალური საწმენდი ნაგებობის ელემენტი. გამოიყენება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარი წყლების ლოკალური გაწმენდის კომპლექსური სისტემის დაპროექტებისა და მშენებლობის სტადიაზე. ის არ მიეკუთვნება დამთავრებულ გამწმენდ ნაგებობას. მისი მუშაობის პროცესში აუცილებელია გამოყენებული იქნეს ფეკალების გაწმენდის ნიადაგური მეთოდი.

ნახ. 1

ზოგჯერ სეპტიკებს იყენებენ სააგარაკე კოტეჯებიდან ან მცირე დასახლებული პუნქტებიდან ჩამონადენი წყლების გასაწმენდად და სალექარად, როცა ახლოს არ არის ცენტრალური კანალიზაცია. სეპტიკის მუშაობაში ჩადებულია გრავიტაციული და ბიოლოგიური გაწმენდის პრინციპები ბიოფერმენტული პრეპარატების გამოყენებით, აგრეთვე ნიადაგის მეშვეობით ბუნებრივი ან იძულებითი გაწმენდის მეთოდები. ს. ს. შეიძლება იყოს ერთ- (ჩამდინარი წყლების ხარჯი 1 $მ^3$/დღ.), ორ- (1-10 $მ^3$/დღ.), ან სამკამერიანი (მეტი 10 $მ^3$/დღ.). გამწმენდი ნაგებობის სეპტიკური ნაწილის გავლის შემდეგ ჩამდინარ წყლები გაედინება ნიადაგში, სადაც გადის დამატებით გაწმენდას (ნახ. 1). თუ ნიადაგური გაწმენდა შეუძლებელია გრუნტის წყლების მაღალი დონის გამო, მაშინ გამოიყენება წვეთოვანი ბიოფილტრები (ბიოსეპტიკები).

საკანალიზაციო ჩამშვები – მილსადენი, რომელიც გამოიყენება შენობა-ნაგებობებიდან ჩამდინარი წყლების გასაყვანად საკანალიზაციო ქსელში.

საკანალიზაციო ჭა – მოწყობილობა, რომელიც ასრულებს ჩამდინარი წყლების, სიბინძურისა და მილოვანი განშტოების გამანაწილებლის ფუნქციას, აგრეთვე შესაძლებლობას იძლევა მოხდეს საკანალიზაციო მილოვანი სისტემის ცალკეული უბნების გაწმენდა. საკანალიზაციო სისტემაში აყენებენ სხვადასხვა ტიპის ჭას, რომლებიც ასრულებს განსაზღვრულ, მხოლოდ მათთვის მინიჭებულ ფუნქციას. ასეთებია: მაგროვებელი, მფილტრავი, სათვალიერებელი, საბრუნი და ვარდნილი. ს. ჭ. შესაძლებელია იყოს კომპლექსური, როდესაც ერთი ჭა ასრულებს ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას. მასალად გამოიყენება ბეტონი, რკ.ბ., ბეტონის რგოლები (ნახ. 1), აგური (ნახ. 2), ბლოკი, პლასტმასა (ნახ. 3. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის თანამედროვე საკანალიზაციო ჭა) და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

საკანი – საპყრობილეში ოთახი, სადაც დაპატიმრებულ ადამიანებს ათავსებენ.

საკანონმდებლო ღონისძიებები – მუშათა სამსახურში მიღება და დათხოვნა, ურთიერთობები მუშებსა და მშენებლობის ხელმძღვანელებს შორის, შრომისა და დასვენების რეგლამენტირებული ხანგრძლივობა, შრომის პირობების დაცვა.

საკარიერო ველი – ერთკარიერიანი ღია საბადო, რომელიც წინსწრებით დამუშავების პროცესში საფეხუროვან ფორმას იღებს.

საკარიერო ტრანსპორტი – წყვეტილი (ავტომანქანა, რკინიგზა, სკრეპერი, ბულდოზერი, დრაგლაინი და სხვ.) ან უწყვეტი (კონვეიერი, საბაგირო გზა, მილსადენი და სხვ.) მოქმედების

ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის ან ფუჭი ქანის გადატანას.

საკარმიდამო ნაგებობები – ნაგებობები, განლაგებული საკუთარ მიწის ნაკვეთზე. მათ მიეკუთვნება: საზაფხულო სამზარეულო, გარაჟი, აბანო, ფანჩატური, ფარდული, ბოსელი, სასიმინდე, საბძელი და სხვა სამეურნეო ნაგებობები.

საკარმიდამო ტუალეტი – მსუბუქი ნაგებობა, დადგმული ამოსაწმენდი ორმოს თავზე.

ნახ. 1

საკარცხული – ორნამენტებით შემკული ხის სკამი ოჯახის უფროსის ან პატივსაცემი სტუმრისათვის (ნახ. 1).

საკედლე მასალა – კედლის ამოსაყვანი წვრილ- და მსხვილზომიანი ქვის ნაკეთობები (აგური, ბეტონის წვრილი ბლოკი, ბეტონის მსხვილი ბლოკი, გაზბეტონის, პერლიტისა და კომპოზიტების ბლოკები, ერთშრიანი და მრავალშრიანი პანელები, პლასტიკატები, მერქანმასალები, სამფენიანი ხე-პლასტმასისა და ალუმინის პანელები და სხვ.

საკედლე პანელი – სამშენებლო კონსტრუქცია შენობის კედლის შესავსებად (ნახ. 1. სამფენიანი რკინაბეტონის საკედლე პანელი). არსებობს გარე და შიგა კედლების ს. პ. პირველს ამზადებენ დაარმირებული მსუბუქი ან უჯრედოვანი ბეტონებისაგან და აქვს მთლიანი განივკვეთი; მეორეს – მძიმე ან კონსტრუქციული მსუბუქი და შეიძლება იყოს მთლიანი განივკვეთის ან კარის ღიობით. ს. პ. გამოიყენება აგრეთვე: ბოჭკოვანი თაბაშირის პანელები, პოლიურეთანისა და ქაფპლასტის სენდვიჩ-პანელები, ხე-ფანერის, ალუმინის, მინაპლასტიკის სამფენიანი პანელები (იხ. სენდვიჩ-პანელი, ნახ. 1) და სხვ.

ნახ. 1

საკერპე (ბომონი, დაბირი) – არქიტექტურული საკულტო ნაგებობა აღმოსავლეთ სლავების ქვეყნებში.

ნახ. 1

საკეტი მილსადენის – სამარჯვი, რომელიც ფარავს რომელიმე ნახვრეტს, რათა შეწყვიტოს ან რეგულირება მოახდინოს სითხის, ორთქლის, აირის ან ფხვიერი მასალის მიწოდებისას. არსებობს საკეტის მრავალი სახეობა: ავტომატური, ბარომეტრული, ბუნკერის, ბრუნვის ქვედაღერძიანი, განმტვირთავი, დაძირული, დროსელიანი, ერთსაბრუნი, ზეთის, თითებიანი, კასრული, მბრუნავი, მილტუჩა (ნახ. 1), მცურავი, ნახევრად ჰიდრავლიკური, ორსაბრუნი, სარქველიანი გადასაგდები (გადასახსნელი), სარქველიანი დამწნევი, სასხლეტიანი, სექტორული, სითხიანი, სოლისებრი, სფერული, ტკაცუნა,

ფარდისებრი, ფარისებრი, ქვედაფარებიანი, შესაწევი, შიბერული, ჩასასმელი, ცენტრალური, ცილინდრული, წყლის, ჯაჭვებიანი, ჰიდრავლიკური და სხვ.

ნახ. 1

საკვალთი – რისამე ჩამკეტი მოწყობილობა.

საკვალთი მილსადენის – მილსადენის გადასაკეტი მოწყობილობა (ნახ. 1). გამოიყენება წყალ-, ორთქლ- და აირსადენებში.

საკვამლე – ნაგებობიდან კვამლის ამოსასვლელი; კვამლსადენი.

ნახ. 1

საკვამური (საკვამლე მილი) – 1. მექანიზმებში შიდაწვის ძრავის ნამწვი აირების ასარინებელი მოწყობილობა, რომელიც მზადდება ცეცხლგამძლე მასალისაგან; 2. ნაგებობა სახურავზე, რომელიც აგვირგვინებს კვამლსადენს; 3. საკვამლე მილი (ნახ. 1).

საკვერი – იხ. თეგი.

საკიდელა – შენობაზე საფასადე სამუშაოების (ღებვა, ლესვა, შებათქაშება, კარნიზების მოწყობა და სხვ.) ჩასატარებლად ჩამოკიდებული ხის ან ლითონის, შეფიცრული ბაქანი (ნახ. 1), რომლის ჩამოსაკიდ ბაგირებს, როგორც წესი, ამაგრებენ სახურავიდან შვერილ მყარ კონსტრუქციაზე (ნახ. 2). უმეტეს შემთხვევაში, საკიდელა გადასაადგილებად აღჭურვილია ელექტროძრავით.

ნახ. 1

ნახ. 2

საკიდი – განივი არმატურის სახელწოდება ღუნვად რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში; 2. ლითონის მოღუნული ღერო, რომელიც გამოიყენება მილების დასამაგრებლად, ხის ძელების, ხიმინჯების გადასაბმელად, უირიბნო წამწის ქვედა სარტყლის დასაფიქსირებლად და სხვ.

საკისარი – მექანიზმის მბრუნავი ღერძის ან ლილვის საყრდენი ნაკეთობა, რომელიც მაღგან იღებს დატვირთვებს. არსებობს სრიალის და გორვის (ნახ. 1). მზადდება მარალი სიმტკიცის

ფოლადისაგან. დანიშნულების მიხედვით საკისრის მრავალი სახეობაა ცნობილი: ანტიფრიქციული, ბაბიტის, ბარბაცას, ბოლო, გამოსართი, გამოჩარხული, გაორმაგებული, გარე, გასართი, გაცვეთილი, გორგოლაჭოვანი, გორვის, დასაშლელი, ერთმაგი საბჯენი, თვითდაყენებადი, თვითზეთვადი, თხელკედლიანი, კასრისებრი, კონსოლური, კონუსური, მიმმართველი, მოკალული, მოსახსნელი, მოქანავე, მოძრავი, მტვერშეუღწევი, ნემსოვანი, ორმაგი საბჯენი, პრიზმული, რადიალური, რადიალურ-საბჯენი, საბჯენი, საბჯენ-საყრდენი, სავარცხლური, საკიდი, საყენებელი, საყრდენი, საცენტრე, სპილენძგრაფიტის, სრიალის, სფერული, ტალახშეუღწევი, უნაგირა, ღერძის, შუალედური, ძირითადი და სხვ.

ნახ. 1

საკმარისი პირობა – პირობა, რომლის შესრულებისას მოცემული მტკიცებულება უეჭველად სწორია.

საკმლის ხე (ლათ. pistacia mutica, pistacia atlantica) – ფოთლოვანი ჯიშის ხე სიმაღლით 2-15 მ (ნახ. 1) მომრგვალო ვარჯით. საქართველოში ხარობს გარე კახეთში, ქიზიყსა და ქართლში, დიდი კორომია შემოღჩენილი ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში. გამოირჩევა მკვრივი, მაგარი მერქნით. გამოიყენება სადურგლო და სახარატო საქმეში, პარფიუმერიაში. მერქნისგან კარგი საღებავი, ხოლო ნაყოფისგან იაფფასიანი ტექნიკური ზეთი მზადდება. მერქანი ტექსტურითა და თვისებებით ჩამოგავს ქართულ ჯაგრცხილას, ნეკერჩხალს, მუხასა და თელას. საქართველოში იშვიათად ამუშავებენ ჯიშის ენდემურობის გამო.

ნახ. 1

საკოდე – ფშავ-ხევსურეთში – ხატის ნაგებობის ნაწილი, სადაც ლუდს ინახავენ.

საკოდელი – ბრტყელპირიანი ჩაქუჩი, რომლითაც წისქვილის ქვას კოდავენ.

საკოკე – წნელისაგან მოწნული კონუსის ფორმის ჭურჭელი კოკის ჩასადგმელად (ქიზიყში)

საკომი – მცირე ზომის სარკმელი ძველ ფშავურ სახლში.

საკომპრესორო დანადგარი – მოწყობილობების ერთობლიობა შეკუმშული ჰაერის მისაღებად (ნახ. 1). არსებობს ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი. ძირითადად ემსახურება ფოლადსასხმელ და საბრძმედე საამქროებს, სამშენებლო ობიექტებს, ნავთობგადამამუშავებელ, ქიმიურ, კომპოზიტების, პოლიმერების, მეტალოპლასტმასის საწარმოებს, ნავთოსადენებს, აირსადენებს, ცემენტისა და ბეტონის ქარხნებს, წისქვილკომბინატებს და სხვ.

ნახ. 1

საკომპრესორო სადგური – სტაციონალური ან გადასაადგილებელი დანადგარი შეკუმშული ჰაერის მისაღებად.

საკონდიტრო – 1. მაღაზია, რომელიც ტკბილეულით ვაჭრობს; საშაქარლამო; 2. ტკბილეულის დასამზადებელი საამქრო.

საკონსერვო – კონსერვებისთვის განკუთვნილი; კონსერვების დამზადებასთან დაკავშირებული (მაგ., საკონსერვო ქარხანა).

საკონტროლო სიგნალი (შეტყობინება) – სიგნალი, რომელიც მიანიშნებს, რომ საჭიროა შემოვლითი მარშრუტის განხორციელება, ცეცხლსაქრობი სისტემების ან მოწყობილობის ან მასთან დაკავშირებული სისტემების განსაკუთრებული ფუნქციების გააქტიურება.

საკოჭი – მშენებლობაში, გაჭიმვაზე მომუშავე ძელი ან ლითონის ღერო, რომელიც აერთებს სამშენებლო კონსტრუქციის (სანივნივე ფეხი, თაღი, კამარა, გარსი) ბოლო კვანძებს (ნახ. 1. სახურავის კარკასის კონსტრუქციული ელემენტები: 1-მაუერლატი; 2-ნივნივის ფეხი; 3-საკოჭი; 4-დგარი; 5-ირიბა; 6-მოლარტყვა).



ნახ. 1

საკრებელი – ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის პირობებში ნივთიერების მოსაგროვებელი ჭურჭელი.

საკრებულო – 1. საეკლესიო მსახურების შესაკრები სადგომი მონასტერში; 2. ქალაქის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის უფლების მქონე ქალაქის თვითმმართველობის ორგანო.

საკუთრება (ინგლ. ownership) – მოქმედება, მდგომარეობა ან უფლება რაიმეს ფლობაზე; ყველაფერი ის, რასაც აქვს ფასი და ეკუთვნის ვინმეს. მოიცავს სამ კომპონენტს: ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. საკუთრება შეიძლება იყოს კერძო, კოლექტიური ან საერთო, ხოლო საკუთრების ობიექტებია: მიწა, უძრავ-მოძრავი ქონება და ინტელექტუალური საკუთრება. საკუთრების შეძენა შესაძლებელია ფულით, გაცვლით, ჩუქებით, მემკვიდრეობით, ლატარიის (სანაძლეოს) მოგებით, ზარალის ანაზღაურების სახით, ფიზიკური ან გონებრივი შრომით, მომსახურებითა და სხვ. საკუთრების განკარგვის უფლება აქვს მხოლოდ მის მფლობელს.

საკუთრებაში გადაცემა – ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობზე კანონიერი მოსარგებლეებისთვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლების მინიჭება.

საკუთრებით სარგებლობა – ნივთით უშუალო სარგებლობა, რომლის მეშვეობით ხდება შემოსავლის მიღება, აგრეთვე მესაკუთრის უფლება, არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით.

საკუთრების განკარგვა – მფლობელის მიერ საკუთარი ნივთის ბედის გადაწყვეტის უფლება (გაყიდვა, გაჩუქება, განათხოვრება, გადაკეთება, რესტავრაცია, განადგურება და სხვ.).

საკუთრების უფლება – პირის უფლება თვითონ განსაზღვროს მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების, დოვლათისა და მომსახურების გამოყენების ნებართვა.

საკუთხვილე თავი – მრავალსაჭრისიანი ინსტრუმენტი გარეთა კუთხვილების (ხრახნების) გასაკეთებლად. მარტივი ს. თ. შედგება მრგვალი გარესახრახნისისა და სადებებისგან, ასევე კორპუსისა და ურთიერთმონაცვლე წრიული ან პრიზმული ფორმის საკუთხვილე სავარცხლებისგან.

საკუთხვილე ინსტრუმენტი – ინსტრუმენტი სხვადასხვა დეტალზე კუთხვილების გასაკეთებლად.

საკურთხეველი (სამსხვერპლო) (ლათ. altare სამსხვერპლო) – ადგილი, სადაც ღმერთებისთვის მიჰქონდათ შესაწირავი, რათა აეცდინათ მათი რისხვა და მფარველობა მოეპოვებინათ. ქრისტიანულ ტაძარში – აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადი სივრცისგან გამოყოფილი ამაღლებული ადგილი, სამსხვერპლო, რომელიც გავკუთვნილია ადამიანის ღმერთთან შეხვედრის, მასთან დაახლოების, ლოცვა-კურთხევისა და წმინდა სერობისთვის. საკურთხეველში დგას მაგიდა (ტრაპეზი), რომელზედაც სრულდება ღვინისა და პურის ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევის საიდუმლო წესი. საკურთხეველი შუა ტაძრისგან გამოყოფილია სპეციალური აღმართული კედელით, რომელსაც კანკელი ჰქვია. კანკელის ცენტრში არის კარი, რომლითაც მხოლოდ მღვდელმსახურები სარგებლობენ ღვთისმსახურების დროს და ამ კარს აღსავლის კარი ეწოდება. კანკელზე, რომელიც საკურთხეველს ჰყოფს შუა ტაძრისგან, შესაბამისი კანონიკით, წმიდა ხატებია დაბრძანებული. უსათუოდ, უნდა იყოს ღვთისმშობლის, მაცხოვრის და ტაძრის წმიდანის ხატები. თავად საკურთხეველი სამ ნაწილად იყოფა. საკურთხევლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, უშუალოდ საკურთხეველია, სადაც არის ოთხკუთხა მაგიდა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ქვისგან, ზოგჯერ კი ხისგან არის მოპირკეთებული (ნახ. 1). ამ მაგიდას წმინდა ტრაპეზი ეწოდება. ტრაპეზზე ხდება წირვის შესრულება, ღვთისადმი პურისა და ღვინის შეწირვა, რომელიც წირვის დროს, მაცხოვრის უხრწნელ სისხლად და ხორცად გადაიქცევა. ტრაპეზზე შეხების უფლება ერისკაცს არ აქვს. ტრაპეზს მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო პირები ეხებიან და ემსახურებიან. ტრაპეზი სიმბოლურად, მოწამეთა საფლავს წარმოადგენს, რომელზეც ლიტურგიას აღვასრულებთ. ტრაპეზის ჩრდილოეთ მხარეს განლაგებული არის სამკვეთლო, მცირე ზომის ხის ან ქვის შემოსილი მაგიდა. აქ ხდება, მღვდელმსახურების მიერ პურისა და ღვინის მომზადება წირვისათვის, ხოლო სამხრეთ მხარეში განლაგებულია სადიაკვნე. სადიაკვნეში ღვთისმსახურთა შესამოსელია დასვენებული. სტიქრები და ყველა ის საჭირო ინვენტარია განლაგებული, რაც ღვთისმსახურებისთვის არის საჭირო. მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, საკურთხეველში არ შედიან მანდილოსნები.

ნახ. 1

საკურთხევლის მაგიდე – ტიხარი, რომელიც ქრისტიანულ ტაძარში ნავს (ნეფს) გამოყოფს საკურთხევლისგან.

საკუჭნაო – 1. საცხოვრებელ ბინაში ნივთებისა და სურსათის შესანახი მცირე სათავსი; 2. საჭმელთ სამარხავი სახლი (საბა).

სალარო – 1. დაწესებულებაში ფულადი ოპერაციების (მიღება, გაცემა) საწარმოებელი სათავსი; 2. ლართ საუნჯე (საბა); 3. განძსაცავი ძველ საქართველოში; 4. ფულის შესანახი ყუთი, კარადა.

სალექარი (საწდომი) – აუზი, რომელშიც დაბალი სიჩქარით მოძრავი სითხის ნაკადიდან გამოიყოფა და დაილექება მასში შეტივტივებული მინარევები. ს. იყენებენ წყლის გასაწმენდად ჰიდროკვანძების, საირიგაციო ნაგებობების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებში და სხვ.

ნახ. 1

სალი – ვრცელი, მაღალი, ძნელად სავალი კლდე (საბა).

სალიანდაგო – ყოველივე ის, რაც განკუთვნილია რკინიგზის ლიანდაგისათვის.

სალიცილი – იხ. სალიცილმჟავა.

სალიცილმჟავა (ფენოლის მჟავა) (<ლათ. salix ტირიფი) – ორგანული ნივთიერება, რომელიც მიიღება ტირიფის ქერქისგან. ქიმიური ფორმულა $C_7H_6O_3$. უფერო კრისტალები. კარგად იხსნება ეთანოლში, დიეთილის ეთერსა და სხვა პოლარულ ორგანულ გამხსნელებში, არ იხსნება წყალში. გამოიყენება მედიცინაში (ანთების საწინააღმდეგოდ, სიცხის დამწევად, კანის დაავადებების სამკურნალოდ და სხვ.), კვების მრეწველობაში (კვების პროდუქტების კონსერვაციისათვის), მშენებლობაში (საღებრების წარმოება) და სხვ.

სალოდე – იხ. დურო.

სალონი (ფრანგ. salon<იტალ. salone დიდი გარბაზი) – 1. ცნობილ ხელოვანთა, მწერალთა, არქიტექტორთა, საზოგადოებრივ მოღვაწეთა თავშეყრის ადგილი; 2. სტუმრების მისაღები მდიდრულად გაფორმებული ოთახი; 3. ძვირფასი სავაჭრო საქონლის სადემონსტრაციო დარბაზი; 4. მხატვართა სურათების საგამოფენო აპარტამენტი, ფოიე, ვესტიბიული, პანორამული სივრცე, დარბაზი; 5. ავტომანქანების, კოსმოსური ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მოტოციკლების, ველოსიპედების, ავეჯის და მისთ. საერთაშორისო გამოფენა.

სალოცავი (სამლოცველო) – 1. მორწმუნეთა ლოცვისათვის განკუთვნილი შენობა ან სადგომი; 2. ღვთაება, ხატი, რომელსაც მორწმუნეები ლოცვით მიმართავენ.

სალტაცია (ლათ. saltātiō ცეკვა<saltare ხტომა, ცეკვა) – გეოლ. ნახტომისებრი პროცესი ნაწილაკების გადაადგილებისა სითხის ან ჰაერის ნაკადში.

სალტე – იხ. გვერგვი.

სალტესაღუნი – დანადგარი სპილენძის (ალუმინის) დენგამტარი სალტეების მოსაღუნად. არსებობს ჰიდრავლიკური ელექტროამძრავითა და ხელის მექანიკური.

სალტესაჭრელი – დანადგარი სპილენძის (ალუმინის) დენგამტარი სალტეების დასაჭრელად.

სალხინობელი (კივორიუმი) – 1. საკურთხეველში ქვის ტრაპეზზე დადგმული, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი საჩრდილობელი; 2. ჩარდახი, ბალდახინი; ბოძებზე ან ლატნებზე დამაგრებული უძრავი ან გადასატანი საჩრდილობელი.

სამაგრი – 1. შენობის ძირი ან ყორღანის საყრდენი კედელი; 2. ლითონის, ხის ან რკ.ბ.-ის სპეციალური კონსტრუქცია სანგრის, გვირაბის (ნახ. 1. გვირაბის ტიუბინგური სამაგრი), შახტისა და მისთ. გასამაგრებლად. არსებობს სამაგრის მრავალი სახეობა: ბატარეული, ბეტონის, ბიგური, გადასატანი, გადასახური, განივი, განმბჯენი, განუცალკავებელი, განცალკავებული, გვირგვინული, გრძივი, დამყოლი, დამჭერი, ერთმწკრივა, თაღური, კამარის, დაკიდებული, კომპლექტური, ლითონის (ნახ. 2), მარგილური, მაღაროს, მესრული, მოქნილი, მოძრავი (ნახ. 3. გადასაადგილებელი მექანიზირებული სამაგრი), მუდმივი, ნახევრად განცალკევებული, ნივნივური, ორმწკრივა, პოლიგონური, საკაბელო, სამინე, საჩარჩოებელი, სახსრიანი, სპეციალური, ტიუბინგური, ქარგილქვეშა, ქვის, შერეული, შუალედური, ჩარჩოთშორისი, ჩასასობი, ჩასაშვები, ძელური, ხის, ჯარგვლური, ჯგუფური და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სამაგრი მასალა – საშენი მასალა, გამოყენებული სამთო სამაგრისათვის: ხე, ბეტონი, რკინაბეტონი, ცემენტი, ტოლი, რუბეროიდი, თხევადი მინა და სხვ.

სამამაო (სამღვდელო) – 1. საკრებულო; საპატიო სტუმრების მისაღები და საერთო სამონასტრო საქმეებზე მსჯელობისათვის განკუთვნილი საკრებულო დარბაზი მონასტერში; 2. სადაყუდებლო, სოხასტერი; განდეგილის სადგომი.

ნახ. 1

სამანი (ალიზის აგური, თიხაბეტონი, თიხაფიბრაბეტონი) (თურქ. saman ჩალა, ბურდო) – ჰაერზე გამომშრალი აგური, დამზადებული ქვიშის, თიხისა და ჩალის ნარევისგან (ნახ. 1). გამოიყენება ტყით ღარიბ ადგილებში საშენ მასალად, კერძოდ, აზიაში, სამხრეთ უკრაინასა და მოლდავეთში, ირანში,

აფრიკის ჩრდილოეთში, ცენტრალურ ამერიკასა და სხვ. სამანის კედლებს წარმატებით იყენებდნენ ძვ. ეგვიპტეშიც ჩვ. წ.-მდე 5-4 ათასი წლის წინ.

სამანქანო დროის ნორმა – მანქანის (მექანიზმის) მუშაობის დროის დადგენილი რაოდენობა, რომელიც საჭიროა ხარისხიანი სამანქანო პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში. მისი საზომი ერთეულია – მანქ./სთ.

ნახ. 1

სამართი (საწრფევი) – ხელის ინსტრუმენტი გლუვი ხის ან ლითონის ძელის (ძელაკის) სახით (სიგრძე 2 მ-მდე), რომელიც გამოიყენება იატაკზე დასხმული ბეტონის ან შებათქაშებული კედლის გასასწორებლად (ნახ. 1. თარაზოიანი ალუმინის სამართი).

სამარკო – საქონლის მარკა, რომელსაც წლების განმავლობაში აქვს აღიარებული მაღალი ხარისხი. მაგ., სამარკო ღვინო, სამარკო კონიაკი და სხვ.

სამარტვილე – ქრისტეს სჯულის მიმდევართა სამლოცველო ადგილი, სადგომი; მათი სასაფლაო.

სამარქაფო – სათადარიგო, სარეზერვო, სამარაგო (მაგ., სამარქაფო ცხენი).

სამარხი (საძვლე) – დასაფლავების ადგილი. ვიწრო გაგებით ს. მიეკუთვნება ყორღანის ტიპის საფლავს, რომელსაც არა აქვს ზედნაყარი.

სამარჯვი (სამართული, სარგულა) – ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ნამზადისა და მჭრელი იარაღის დასამაგრებლად საჭირო მდგომარეობაში, აგრეთვე საამწყობო ოპერაციის საწარმოებლად. სამარჯვის სახეობებია: ამწევი, ასამუშავებელი, გადასაბმელი, გასაწყობი, დამცავი, დამჭიმი, დამხმარე, დამჭერი, მაკავშირებელი, მამჭიდროებელი, მისაბმელი, მომჭერი (ნახ. 1), მოსახსნელი, მცველი, ნიადაგჩამჭიდი, ნორმალიზებული, რეგულირებადი, საბუქსირო, სადაზგე, საზეთი, საკონტროლო, სამიზნებელი, საყენებელი, საწყობო (ნახ. 2. მოწყობილობა საფასადე აგურის წყობისათვის), საჩარხო, საჩერებელი, სპეციალური (ნახ. 3. მოწყობილობა ხის სტანდარტული ნიმუშების გამოსაცდელად კუმშვაზე ბოჭკოების გასწვრივ), უნივერსალური, უნივერსალურ-გასაწყობი, შესაბმელი, ხანძარსაქრობი და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სამაცივრო დანადგარი – მანქანებისა და მოწყობილობების კომპლექსი, გამოყენებული ხელოვნური გაცივებისთვის.

სამაჯური – შემამჭიდროებელი დეტალი, გამოყენებული ჰიდრავლიკურ სისტემაში, რომელიც მუშაობს უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის პირობებში (ნახ. 1. რეზინის ჰიდრავლიკური სამაჯური). ის ეწინააღმდეგება შიდა დახურული მოცულობიდან საითხის გარეთ გაჟონვას.



ნახ. 1

სამგანზომილებიანი [ინგლ. three-dimensional (3D)] – რაიმე მატერიალური ან ვირტუალური ობიექტის ვიზუალური გამოსახულება, რომელსაც აქვს, ან ჩანს რომ აქვს, სამი განზომილება – სიგანე, სიმაღლე და სიღრმე (X, Y და Z სიდიდეები დეკარტის კოორდინატთა სისტემაში). მაგ., ჩვენი ფიზიკური გარემო სამგანზომილებიანია.

სამგზავრო – მგზავრობისათვის განკუთვნილი, მგზავრობასთან დაკავშირებული.

სამდინარო სადგური – შენობა-ნაგებობებათა და მოწყობილობების კომპლექსი მგზავრების მომსახურებისათვის, რომლებიც სარგებლობენ სამდინარო ტრანსპორტით.

სამება (წმიდა სამების საკათედრო ტაძარი) (ინგლ. Holy Trinity Cathedral) – თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძარი საქართველოში (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქ. თბილისში, ელიას გორაზე, ავლაბარში. აშენდა 1995-2004 წლებში არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით.

ტიპოლოგიურად წმიდა სამების ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია, რვა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარში მოხვედრა შესაძლებელია დასავლეთ (ნახ. 2; ნახ. 3. პანორამული ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან), სამხრეთ და ჩრდილოეთ მხრიდან. მთავარი კარიბჭე დასავლეთ მკლავშია, რომელსაც გარედან ვრცელი გალერეა აკრავს. ტრიკონქის მკლავები გუმბათქვეშა სივრცესთან ერთად ტაძრის ერთიან მთავარ მოცულობას წარმოადგენს, რომელსაც მოხდენილად აგვირგვინებს მასიური გუმბათი. გუმბათის გარე რადიუსი 9,50 მ-ია. გუმბათის ყელს გარსშემოსავლელი ბაქანი შემოუყვება. წმიდა სამების საკათედრო ტაძრის დასავლეთ ფასადზე სამი სამნავიანი შვერილია, რომელთა

პროპორციები მასიურს ქმნის ტაძრის საერთო მოცულობას. სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადი ასევე საკმაოდ რთული კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. ტაძრის ფასადის მორთულობის მხრივ, აღმოსავლეთ ნაწილი ყველაზე მდიდრულადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ შუა შვერილზე თითქოსდა მიდგმულია მრავალწახნაგა აფსიდა, რომელზეც მასიური ჩუქურთმადამშვენებული ჯვარია გამოსახული. ოთხივე ფასადი მრავალფეროვანი ჩუქურთმის მწკრივითა და თაღებითაა შემკული. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86,10 მ-ია (უშუალოდ ჯვრის კონსტრუქციის სიმაღლე 7,5 მ-ია). ლავრის მიწისქვეშა ნაწილში ორი სართული მდებარეობს. ტაძრის ფუნდამენტი 14,07 მ-ის სიღრმეზეა, ქვედა სართულის იატაკი –13,07 მ-ზე (ამას ემატება ერთი მეტრის სისქის ფუნდამენტი). წმ. სამების ტაძრის საერთო სიმაღლე, ამ მონაცემებით, 100,17 მ-ია. წმ. სამების ტაძრის სიგრძე 70,45 მ, სიგანე კი 64,68 მ-ია. სამების ტაძარი შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების დაცვითაა აგებული, ხოლო არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით იგი უნიკალური ნაგებობაა ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეში. ტაძარი ორი – მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილისგან შედგება და აერთიანებს რვა ეკლესიას: მთავარანგელოზთა, იოანე ნათლისმცემელის, წმ. ნინოს, წმ. ანდრია პირველწოდებულის, ხარების, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის და წმ. მოციქულთა, აგრეთვე ქვედა იარუსში განთავსებულ საეკლესიო მუზეუმს. სამების ტაძარი შთამბეჭდავია გარედანაც და შიგნიდანაც თავისი უზარმაზარი, საზეიმო შიდა სივრცით (ნახ. 4. ინტერიერი; ნახ. 5. ინტერიერი. ხედი ტაძრის შუა ნაწილიდან მთავარი საკურთხევლისკენ; ნახ. 6. მთავარი კანკელი).



ნახ. 1

ნახ. 2

ეკლესია უხვადაა მორთული ქვაზე კვეთილობით, მხატვრობით, ხატებით (მათ შორისაა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დაწერილი წმ. სამების ხატიც). ტაძრის საძირკველის კურთხევის ცერემონიალზე საძირკველს ჩააყოლეს წმინდა ადგილებიდან ჩამოტანილი სიწმინდეები, მაგ., მდინარე იორდანეს ქვა, მიწა იერუსალიმის წმ. ჯვრის ქართველთა მონასტრიდან, გოლოგოთისა და თაბორის მთიდან წამოღებული მიწა, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის ნაწილი სვეტიცხოვლიდან, წმინდანთა საფლავებიდან და საქართველოს სხვადასხვა

ნახ. 3

მონასტრებიდან ჩამოტანილი ქვები და მიწა. ძველი ტრადიციის დაცვით საძირკველში ჩადეს ოქროს მონეტებიც. ტაძრის ირგვლივ უზარმაზარი სივრცე იშლება. ეზოში დგას სამრეკლო (ნახ. 7. სამრეკლო), წმ. ელიას ეკლესია, მამათა მონასტერი და სხვა ნაგებობები. ტაძარი თბილისის მრავალი წერტილიდან ჩანს.

ნახ. 4

ნახ. 5

ნახ. 6

ნახ. 7

სამეთვალყურეო სადგური – ობიექტი, რომელიც ღებულობს შეტყობინებას და თავისი პესონალით რეაგირებს მასზე.

სამეთვალყურეო სამსახური – სამსახური, რომელსაც ევალება შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე თვალყურის დევნება და რაიმე დარღვევის შემჩნევისას ინფორმაციის გადაცემა ობიექტის დაცვის სამსახურისათვის.

ნახ. 1

სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა – ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც ემსახურება ტერიტორიების გაწყლოვანებას.

სამერცხული (ლუკარნა) – შვეული ფანჯარა, რომელიც სახურავის ქანობის სიბრტყიდან გარეთაა გამოტანილი (ნახ. 1). გამოიყენება სხვენის სათავსის ბუნებრივი

განათებისა და განიავებისათვის, ზოგჯერ – სახურავზე გასასვლელად.

ნახ. 1

სამერცხული "წარბი" (სამერცხული ქუთუთო; სამეცხული ხარის თვალი) – სახურავზე განლაგებული ორიგინალური ფორმის ფანჯარა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად და გასანიავებლად (ნახ. 1).

ნახ. 1

სამერცხული აივნით – სახურავზე განლაგებული დეკორატიულად გაფორმებული ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად, გასანიავებლად და სახურავზე გასასვლელად (ნახ. 1).

ნახ. 1

სამერცხული ერკერული – სახურავზე განლაგებული მრავალფრთიანი ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად, გასანიავებლად და სახურავზე გასასვლელად (ნახ. 1).

ნახ. 1

სამერცხული ვალმური – სახურავზე განლაგებული სამკუთხა ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად და გასანიავებლად (ნახ. 1).

ნახ. 1

სამერცხული კედლის – შენობის ფასადის კედლის სიბრტყეში განთავსებული ფანჯარა, რომლის წინა მხარე კედლის გაგრძელებაა და მთავრდება კარნიზის ზემოთ (ნახ. 1).

სამერცხული კოშკური – სახურავზე განლაგებული ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად, გასანიავებლად და სახურავზე გასასვლელად [ნახ. 1. ფრანგული სამერცხული (გიტარდა)].

ნახ. 1

ნახ. 1

სამერცხული ნახევარწრიული – სახურავზე განლაგებული ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად, გასანიავებლად და სახურავზე გასასვლელად (ნახ. 1).

სამერხული – 1. არქიტრავი; ძელი, რომელიც აერთიანებს ცალკეულ საყრდენებს, სვეტნარს და მას გადასცემს ზევით მდებარე კონსტრუქციების დატვირთვას; 2. იხ. ბუღაური.

სამეურნეო – ის რაც მეურნეობისთვისაა განკუთვნილი, მეურნეობასთანაა დაკავშირებული, მეურნეობის ხასიათისაა.

სამზადი – კუთხ. ოჯახის სამზარეულოს სახელწოდება დასავლეთ საქართველოში (ძირითადად იმერეთსა და გურიაში).

სამზარეულო – საჭმლის მოსამზადებელი ოთახი (კუთხე) საცხოვრებელ ბინაში ან საზოგადოებრივი კვების ობიექტში.

სამზერი მოედანი – ადგილი ამაღლებულ ან მთიან ტერიტორიაზე, საიდანაც კარგად აღიქმება მიდამოს პანორამული ხედი. ასეთ ადგილზე, როგორც წესი, აგებენ სათვალიერებელ მოედანს (ნახ. 1. სამზერი მოედანი "5 თითი" კრიპენშტაინის მთაზე, ალპები, ავსტრიის რესპუბლიკა).

ნახ. 1

ნახ. 1

სამზეური – შენობის მზის სხივებისგან დაცვის მიზნით გარედან მოწყობილი საჩრდილობელი (ნახ. 1); მარკიზა, საჩეხი.

სამთავისის ტაძარი (სამთავისის უფლის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარი) (ინგლ. Samtavisi Cathedral) – XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერესი ძეგლი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, ქ. კასპიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ სამთავისის ცენტრში (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, მცირე ეკლესია და ეპისკოპოსის რეზიდენცია.

ნახ. 1

გადმოცემის მიხედვით სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად V საუკუნეში აუგია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს. სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღად 472 წელია მიჩნეული. მისგან აღარაფერია შემორჩენილი. დღევანდელი ტაძარი, დასავლეთ ფასადზე არსებული წარწერის თანახმად, 1030 წელს ააგო ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელმა, ანუ იგივე ილარიონ სამთავნელმა, რომელიც სამთავნელი ეპისკოპოსი იყო. მასვე 1050 წელს სამთავისის კათედრალისათვის აუშენებია მარანი და საწნახელი. 2005 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ XI საუკუნის ტაძარი დაშენებულია ძველი ეკლესიის ადგილზე VI საუკუნეში აგებულ ბაზილიკაზე. XII-XIII საუკუნეებში სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოსს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესის ანტონ ეპისკოპოსის სამფლობელო იყო. XIV საუკუნის დასაწყისიდან ტაძარი ზევდგინიძე-ამილახვრებს ებოძათ (გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს). XV საუკუნეში ძეგლი სერიოზულად დაზიანდა (ჩამოინგრა გუმბათი, თაღები, პილონები, ფასადის ნაწილი). XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იგი აღადგინეს ადგილობრივმა ფეოდალებმა ამილახვრებმა. 1679 წელს განახლდა მოხატულობა (ქტიტორები იყვნენ გივი ამილახვარი და მისი მეუღლე თამარი, მხატვარი მელიტონ სამთავნელი). XIX

ნახ. 2

საუკუნის 40-იან წლებში ჩატარდა ძეგლის რესტავრაცია: გააუქმეს სამხრეთის შესასვლელი, მოხსნეს დაზიანებული კარიბჭეები, შეაკეთეს ფასადები, ინტერიერში შელესეს კედლების ნაწილი და სხვ.

მთავარი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (ნახ. 4. გეგმა) ზომებით: სიგრძე – 25 მ; სიგანე – 18 მ; სიმაღლე გუმბათის წვერამდე – 27 მ; მკლავების სიმაღლე გარედან ფრონტონის წვერამდე – 20 მ. ტაძრის არქიტექტურა გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობითა და ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მას ახასიათებს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცრისფრო-მომწვანო კვადრებით, ფასადები მორთულია ჩუქურთმებითა და დეკორატიული ბარელიეფებით.



ნახ. 3

განსაკუთრებით მიმზიდველია აღმოსავლეთის ფასადი, რომელიც პირველი სახითაა შემორჩენილი. იგი ხუთი თაღითა და ორი, კედლის სიღმეში 25 სმ-ის სიღრმის ნიშითაა დანაწევრებული. შუა მაღალი თაღით შემოსაზღვრულ სიბრტყეზე, ერთ შვეულ ღერძზე წარმოდგენილია კომპოზიცია მდიდრულად მოჩუქურთმებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (ნახ. 5, ნახ. 6: აღმოსავლეთი ფასადის რელიეფები) ქართული ასომთავრული წარწერებით, ფაქიზი ჩუქურთმის წნულით დამშვენებული წრე, სარკმელი და ორი რომბი. კომპოზიცია ასახავს სიცოცხლის ხეს – ჯვარი წარმოადგენს სიცოცხლის ხეს, რომელიც აღმოცენებულია მყარ ფუძეზე, ფუძე წარმოდგენილია გეომეტრიული ფიგურებით: წრე ანუ დედამიწა, მართკუთხედი და რომბები – ფესვები. ფასადის საზეიმო განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს მარჯვენა კუთხეში გამოსახული ფასკუნჯის ბარელიეფი (ნახ. 7. აღმოსავლეთი ფასადის ფასკუნჯის ბარელიეფი), ყურძნისა და ბროწეულებისაგან შედგენილი ორნამენტული მოტივები. სავარაუდოდ, ფასკუნჯის ბარელიეფი ფასადის მარცხენა კუთხეშიც უნდა ყოფილიყო.

თაღნარებით მორთული სამხრეთი ფასადი (ნახ. 8. სამხრეთი ფასადი) სამ ნაწილად იყოფა. სამი მაღალი თაღი ტაძრის სამხრეთი მკლავის მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი. სამ-სამი თაღი კი ფასადის გვერდითი კალთების ლავგარდნის ქვემოთა განაწილებული, თანაც აღმოსავლეთის სამი თაღი ერთნაირი განისა და სიმაღლისაა, დასავლეთის კი სხვადასხვა განისა და სიმაღლის (სიმეტრია დარღვეულია). აღმოსავლეთის მკლავის სამხრეთი ფასადის ზედა სიბრტყე დანაწევრებულია ხუთი ნახევარწრიული თაღით, დასავლეთის მკლავის სამხრეთი სიბრტყე კი თავისუფალია (სავარაუდოდ დაზიანების შემდეგ აღარ აღუდგენიათ). ფასადზე შემორჩენილია კარიბჭის პილასტრებიანი ლილვების კონა (ნახ. 9. სამხრეთი კარიბჭის ნაშთი).


ნახ. 4

ჩრდილოეთი ფასადი სამხრეთი ფასადის ზუსტ პირს წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ ქვედა თაღები ყველა ერთნაირი ზომისაა და სიმეტრიულობა დარღვეული არაა, ზედა ნაწილში კი ყველა (ათივე) თაღი ადგილზეა.

დასავლეთი ფასადი, დანარჩენ ფასადებთან შედარებით, მორთულობებით ნაკლებად საყურადღებოა, რაც იმით აიხსნება, რომ ბოლო რესტავრაციის დროს სრულად აქვს დაკარგული პირვანდელი სახე. აქ გამოსარჩევია მხოლოდ პორტალი, ჯვრის ქვედა მკლავი და მის გვერდებზე არსებული მოჩუქურთმებული საპირეებით შემკული ორი სარკმელი.



ნახ. 5

ტაძრის ჩამოშლილი გუმბათი აღდგენილი იქნა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. მასში არც ერთი ძველი ფრაგმენტი არ არის ჩატანებული. არსებულ ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში 7 ნამდვილი და 6 ცრუ სარკმელია, მაგრამ მათი მორთულობა იმდენად ერთნაირია, რომ განსვავება მათ შორის არ იგრძნობა. გუმბათის ყელის დიამეტრი და სიმაღლეც 8 მეტრის ტოლია. ამავე სიმაღლეზეა აზიდული გუმბათის კონუსიც.

ტაძრის ინტერიერი მოხატულია 1679 წელს, 1964 წელს კი მოხდა მისი რესტავრაცია. საკურთხევლის კონქში, ბემის ორსაფეხურიან თაღში, მეორე, მესამე, მეოთხე რეგისტრებში წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია, ქერუბინები, ძუელი დღეთაი, საყდარნი, მთავარანგელოზები. გამოსახულია მოციქულთა ზიარება, წმინდანები. სარკმლის წირთხლები დათმობილი აქვს მთავარანგელოზთა ფიგურებს. გუმბათის საყრდენ სვეტებზე წინასწარმეტყველებია გამოსახული, რომელსაც თან ახლავს ქართული ასომთავრული, ბერძნული და არაბული წარწერები. გუმბათის სამივე რეგისტრი დატვირთულია ქრისტეს, მახარებელთა, ღვთისმშობელი ყრმით, წინასწარმეტყველთა, მთავარანგელოზთა და წმინდანთა გამოსახულებებით.

ნახ. 6

გალავანი, რომელიც გეგმით მრავალგვერდაა და სიმაღლით 3-5 მ-მდე მერყეობს, თარიღდება XVII საუკუნის II ნახევრით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედელი ორიარუსიანია და ქონგურებით მთავრდება. გალავანში ჩართულია XVIII საუკუნის სამრეკლო, რომლის პირველი სართული ჭიშკარია, მეორე – საყარაულო, მესამე კი სამრეკლო. იქვეა ორსართულიანი საეპისკოპოსო პალატი, რომელიც ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გალავანშია ჩართული.

კომპლექსში ასევე არის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (ნახ. 10. მცირე ეკლესია), რომელიც დიდი ტაძრის სამხრეთით გალავანს ეკვრის. იგი ნაგებია რიყისა და თლილი ქვით. XV საუკუნეში ტაძარი მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა, ჩამოინგრა გუმბათი, მოიშალა კედლის მხატვრობა, თუმცა XVI საუკუნის დასაწყისში კი კვლავ აღდგენილ იქნა ადგილობრივი ფეოდალების, გაიანე და სიოშ ამილახვრების მიერ, რომელთა სახელები დასავლეთის ფასადზეა შემორჩენილი. ხელმეორედ ტაძრის მოხატულობა 1679 წელს მელიტონ სამთავნელის მიერ იქნა შესრულებული. 1847 წელს ძეგლზე ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები: ამოაშენეს სამხრეთის შესასვლელი, მოხსნეს დაზიანებული კარიბჭეები, შეაკეთეს ფასადების ქვედა მონაკვეთები, ინტერიერში შელესეს კედლები.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან სამთავისის კომპლექსი შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საცდელ სიაში.

ნახ. 7

ნახ. 8

ნახ. 9

ნახ. 10

სამთავროს მონასტერი (ინგლ. Samtavro Monastery) – XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ყოფილი სამთავროს დედათა მონასტერი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მინიციპალიტეტში, 1. მცხეთის ცენტრში (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი (მთავარი ტაძარი), წმ. ნინოს ეკლესია, სამრეკლო და გალავანი კოშკით.

ნახ. 1

ისტორიული წყაროების მიხედვით მცხეთაში ყოფილა ქართლის ერისმთავრის სამყოფელი, საიდანაც წარმომდგარა სახელი – სამთავრო. ამ მონასტერში უცხოვრია საქართველოში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელს წმ. ნინოს. ამ ადგილზე საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს აუგია ეკლესია. აქვეა

დაკრძალული მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, აგრეთვე ერთ-ერთი 13 ასურელ მამათაგანი – აბიბოს ნეკრესელი.

მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან გეგმით მართკუთხა (27x23 მ) ნაგებობას (ნახ. 4. გეგმა). ნაგებია მოყვითალი-მოყავისფრო კარგად გათლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრეთ კარიბჭიდანაა. გუმბათი ეყრდნობა თავისუფლად მდგარ ორ სვეტსა და საკურთხევლის შვერილებს. აღმოსავლეთის ნახევარწრიულ აფსიდს განიერი ბემა ეკვრის. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებულია გვერდითი სათავსები – სადიაკვნე და სამკვეთლო. ტაძარს სამხრეთიდან მიშენებული აქვს კამარებით გადახურული დიდი ეგვტერი – კარიბჭე. მეორე მინაშენი ჩრდილოეთის მხარესაა. ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში (1283 წელს დაინგრა მიწისძვრის შედეგად და აღადგინეს XIII-XIV საუკუნეებში) გაჭრილი ცამეტი სარკმლიდან შემოსული შუქით განათებულია ტაძრის ცენტრალური სივრცე, გვერდის ნაწილები კი დაჩრდილულია. საკურთხეველსა და გუმბათზე შემონახულია XVII საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები.

ნახ. 2

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაძრის დეკორატიული მორთულობა. სადა და ლაკონურ აღმოსავლეთის ფასადზე გამოყენებულია უწყვეტი ხუთთაღიანი კომპოზიცია (ნახ. 2), რომლის შუა, ამაღლებულ თაღში მოთავსებულია ორნამენტულსაპირიანი ცენტრალური სარკმელი. მის გვერდებზე კი აჟურული ფესტონებით მორთული მაღალი და ღრმა ნიშებია. მთისკენ მიმართული დასავლეთის სადათაღებიანი ფასადი თითქმის მოურთველია. მასში ადრე კარიბჭე ყოფილა, რომელიც ამჟამად გაუქმებულია. დასავლეთის ფასადზე მიდგმული დახრილსახურავიანი შენობა ორგანულადაა ჩართული ტაძრის საერთო კომპოზიციაში. უფრო ინტენსიურად და ბრწყინვალედაა დამუშავებული სამხრეთისა (ნახ. 5. სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი) და ჩრდილოეთის ფასადები, რომლებიც გაფორმებულია შესანიშნავი ჩუქურთმებითა და მორთულობებით.



ნახ. 3

სამთავროს სამონასტრო კომპლექსიდან ყველაზე ძველია გუმბათოვანი ტიპის, IV საუკუნის, რიყის ქვითა და აგურით ნაგები წმ. ნინოს სახელობის მცირე ეკლესია (ნახ. 6. წმ. ნინოს ეკლესია). იგი დგას ეზოში, დიდი ტაძრის აღმოსავლეთით. ისტორიული წყაროებით, მცხეთაში მოსული ნინო პირველი სამი წლის განმავლობაში სწორედ ამ ეკლესიაში იდგა. ეკლესია არაერთხელ შეუკეთებიათ. ეკლესიის შესასვლელში მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ 1879 წელს ტაძარი შეაკეთებინა სამთავროს მონასტრის წინამძღვარმა დედა ნინომ (ამილახვარი). 1981 წელს მას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რის შედეგადაც გაიწმინდა ერთ მეტრამდე სიღრმის მიწაში ჩამჯდარი ეკლესია, აღდგა მისი დაზიანებული ცოკოლი, კედლები, გუმბათი, ლავგარდანი და გადაიხურა კრამიტით. მისი ინტერიერი მოხატულია.

სამსართულიანი სამრეკლო აგებულია XV-XVI საუკუნეებში (ნახ. 7. სამრეკლო; ნახ. 8. სამრეკლოს მორთულობის ფრაგმენტი). გეგმაში მისი ზომებია 5,8x4,7 მ. საშენ მასალად გამოყენებულია მოყვითალო-მონაცრიფრო ქვიშაქვის კვადრები. მესამე სართულის ფანჩატური აგურისაა. სამრეკლოს ჩრდილოეთი კედელი მონასტრის გალავანშია ჩაშენებული. გუმბათს, მთავარი ტაძრის გუმბათის ანალოგიურად, მრავალწახნაგა პირამიდული სახურავი აქვს.



ნახ. 4

მონასტრისათვის გალავანი XVIII საუკუნეში შემოურტყამთ, რომლისაგან მხოლოდ დაზიანებული ცილინდრული კოშკი შემორჩა. არსებული გალავანი XIX საუკუნისაა.

სამთავროს მონასტერი სვეტიცხოველთან და მცხეთის ჯვრის მონასტერთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ნახ. 5

ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8

სამთო ქანი დანალექი – მაგმურ ქანზე ტემპერატურის ცვალებადობის, მზის რადიაციის, წყლის, ატმოსფერული აირების ზემოქმედებით წარმოქმნილი ქანი (ნახ. 1), რომელიც შეიძლება იყოს მონატეხი (ხრეში, ღორღი, ქვიშა, თიხა), ქიმიური (კირქვა, დოლომიტი, თაბაშირი) და ორგანოგენური (კირქვა-ნიჟარა, დიატომიტი, ცარცი).

ნახ. 1

ნახ. 1

სამთო ქანი მაგმური – დედამიწის სიღრმიდან გამდნარი მაგმის პირველადი ამოფრქვევის შედეგად გაცივებული სამთო ქანი (ნახ. 1). მისი სტრუქტურა და თვისებები დამოკიდებულია მაგმის გაცივების პირობებზე, ამიტომ განასხვავებენ მაგმური ქანების ორ ძირითად ტიპს: სიღრმულს (ინტრუზიული), როდესაც მაგმა დედამიწის ქერქის სიღრმეში ცივდება (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო და სხვ.) და ვულკანურს (ეფუზიური), როდესაც ლავის სახით ამონთხეული მაგმა დედამიწის ზედაპირზე ცივდება (პორფირი, დიაბაზი, ბაზალტი და სხვ.).

სამთო ქანი მეტამორფული – მაგმური და დანალექი ქანებისგან წარმოქმნილი სახენაცვალი ქანი (ნახ. 1), რომელიც მიიღება მაღალი ტემპერატურისა და წნევის ზემოქმედებით დედამიწის ქერქის აწევა-დაწევის პროცესში (თიხოვანი ფიქალი, მარმარილო, კვარციტი).

ნახ. 1

სამთო წნევა – სამთო ქანების მასივში წარმოქმნილი წნევა სამთო გამონამუშევრის, ჭაბურღილის, მთელანის კედლის სიახლოვეს ქანი-სამაგრის კონტაქტის ზედაპირზე, რასაც იწვევს გრავიტაციული და ტექტონიკური ძალები, აგრეთვე ტემპერატურის ცვალებადობა დედამიწის ქერქის ზედა ფენებში.

სამიკიტნო – ძვ. სასადილო-დუქანი, სადაც უმთავრესად მაგარი სასმელებით ვაჭრობდნენ; სახამრო, სარაჯხანა.

სამინისტრო – სახელმწიფო მმართველობის ორგანო მოქმედების სხვადასხვა სფეროში. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი. ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, შვეიცარიის კონფედერაცია, ფილიპინების რესპუბლიკა) სამინისტროს ჰქვია დეპარტამენტი, ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკის ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში – ბიურო. ამჟამად საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში 10 სამინისტროა.

სამკაპა – ფიტინგის სამნახვრეტიანი ნაისახეობა, რომელიც გამოიყენება მილგაყვანილობის ძირითად ხაზთან შტოების მისაერთებლად. ძირითადად მზადდება უჟანგავი ფოლადისაგან, აგრეთვე პოლიმერული მასალებისგან.

სამკაპა დაშტამპული – მილის ნაჭრებისგან (ან ფურცლოვავანი ნაგლინისგან) დამზადებული სამკაპა ცხელი შტამპვის მეთოდით შედუღების გარეშე (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

სამკაპა უნაკერო – სამკაპა, დამზადებული უნაკერო მილისგან ცხელი შტამპვის ან ჰიდროშტამპვის მეთოდით (ნახ. 1).

ნახ. 1

სამკაპა შენადუღი – სამკაპა, დამზადებული უნაკერო ან ელექტროშენადუღი მილისაგან შტუცერის ჩაჭრის მეთოდით (ნახ. 1).

ნახ. 1

სამკარედი (ბერძ. triptychos სამმაგი) – ტრიპტიქი (ნახ. 1); სამფრთიანი დასაკეცი შირმა, ხატი და მისთ.

სამკვეთლო – მართლმადიდებლური ტაძარის აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებული საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარეს განლაგებული სადგომი, სადაც ღვთისმსახურების ერთ-ერთი წესის – სეფისკვერიდან ნაწილის ამოღების აღსრულება ხდება.

სამკითხველო – ბიბლიოთეკაში გამოყოფილი ოთახი, დარბაზი ან კუთხე, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების საკითხავად.

სამკუთხედი – ევკლიდეს სივრცეში, გეომეტრიული ბრტყელი ფიგურა, შედგენილი სამი გვერდითა და სამი კუთხით, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარეობენ (ნახ. 1). ს. არის ერთ-ერთი გეომეტრიული ფიგურა, რომელიც ყველგან გამოიყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში.



ნახ. 1

ნახ. 1

სამლოცველო – 1. იგივეა, რაც სალოცავი (ნახ. 1); 2. ეგვტერი, საჟამნო; ეკლესიას მიშენებული სადგომი ან მის შორიახლოს აგებული შენობა სალოცავად; 3. მცირე ზომის ტაძარი.

სამონტაჟო – კონსტრუქცია, დეტალი, ელემენტი, რაც მონტაჟისთვისაა განკუთვნილი.

სამონტაჟო სამუშაოები – ხის, ლითონის, რკ.ბ.-ის პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების პროექტის შესაბამისად აწყობის სამუშაოები.

სამონტაჟო სამუშაოები სიმაღლეზე – სამუშაოების კომპლექსი (მშენებლობა, მონტაჟი, დემონტაჟი, რემონტი, რეკონსტრუქცია, გაძლიერება და სხვ.), რომელიც სრულდება სამშენებლო მოედნიდან ზევით გარკვეულ სიმაღლეზე ამწეების მეშვეობით.

სამონტაჟო ღიობი – ღიობი შენობის (ნაგებობის) კედელში, სართულშუა გადახურვაში ან სახურავში დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების ან ელემენტების ადგილზე მისატანად და დასამონტაჟებლად.

სამორიგეო განათება – ობიექტის განათება უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს.

სამორიგეო სადგური – შენობის ნაწილში განლაგებული სამსახური განგაშისა და საზედამხედველო სიგნალების მისაღებად და რეაგირებისათვის შესაბამის დანაყოფებში გადასაგზავნად.

სამორინე – დაწესებულება, სადაც სათამაშო აპარატების და მაგიდების მეშვეობით ხდება ფულადი მოგების გათამაშება.

სამოსახლო ტერიტორია – მიწის ნაკვეთი გამოყოფილი მუნიციპალური სამსახურების მიერ კერძო პირებისათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად; 2. ტერიტორია, განკუთვნილი საქალაქო მშენებლობისათვის; 3. მიწის ნაკვეთები, დაკავებული ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტებით.

სამოქალაქო თავდაცვა – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იქმნება ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს ან ამ მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეებისგან მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების დაცვის მიზნით.

სამრავალკაცო – რამდენიმე აკლდამისგან შემდგარი სამარხი, რომელიც გარსშემორტყმულია დამცავი კედლით, გალავნით, ქვაყრილით ან ქვის ღობით.



ნახ. 1

სამრეკლო – ზარების ჩამოსაკიდებელი ცალკე მდგომი ნაგებობა ან ტაძრის ნაწილი (ნახ. 1. სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლო, ქ. თბილისი, საქართველო). საქართველოში პირველი სამრეკლო განვითარებული შუა საუკუნეებიდან ჩნდება (გუდარეხი, 1278 წ.) და შემდეგი პერიოდის ეკლესია-მონასტრების აუცილებელ ნაგებობას წარმოადგენდა.

სამრეწველო – ის რაც მრეწველობისთვისაა განკუთვნილი, დამახასიათებელი, მრეწველობასთანაა დაკავშირებული.

სამრეწველო ალპინიზმი – სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია, როდესაც სამუშაო ადგილზე წვდომისათვის მემონტაჟე იყენებს საწევარას ან ბაგირს.

სამრეწველო ნაგებობა – გარკვეული ფუნქციის მატარებელი ნაგებობა, რომელიც ზიდავს მუდმივ, დროებით, ტექნოლოგიურ და საკომუნიკაციო დატვირთვებს. არსებობს მისი სახეები: კომუნიკაციური (გვირაბი, არხი, მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზი, საყრდენი, საკვამლე მილი, საყრდენი კედელი და სხვ.), სატრანსპორტო (ესტაკადა, გზაგამტარი, ხიდი, გალერეა და სხვ.), აირის, სითხის, ფხვიერი მასალის შესანახი (რეზერვუარი, სილოსი, ბუნკერი, გაზჰოლდერი, ნავთობსაცავი, აუზი და სხვ.), ვენტილაციისა და კანალიზაციის სისტემები (შხეფსაცივარი, საშხეფი აუზი, სალექარი, წყალასაღები, წყალსაწნეო კოშკი, კანალიზაციის ქსელი, საწმენდი მოწყობილობა და სხვ.) და ტექნოლოგიური დანადგარების საყრდენები (საძირკველი, კვარცხლბეკი, თარო, ჩასაშვები ჭა და სხვ.).

სამრეწველო ნარჩენები – მრეწველობის მყარი ნარჩენები, მიღებული ბუნებრივი წარმოშობის მასალების ქიმიური და თერმული გადამუშავების შედეგად.

სამრეწველო საწარმო – დამოუკიდებელი დაწესებულება (ფაბრიკა, ქარხანა, შახტი, კარიერი, საბადო, კომბინატი, ელევატორი და სხვ.), რომელიც აწარმოებს სამრეწველო პროდუქციას.

სამრეწველო ტრანსპორტი – სამრეწველო საწარმოს ტრანსპორტი, რომელიც ახდენს საწარმოს კუთვნილი შრომის საგნებისა და პროდუქტების გადაზიდვას.

სამრეწველო უსაფრთხოება – მაღალი საშიშროების საწარმოო ობიექტებზე მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცულობა.

სამრეწველო შენობა – სამრეწველო წარმოებისთვის განკუთვნილი შენობა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისა და შრომისათვის საჭირო პირობების შექმნას. განასხვავებენ წარმოების დარგისა (მშენებლობა; მეტალურგია; სამთო, მსუბუქი, მძიმე, კვებისა და ა.შ. მრეწველობა და სხვ.) (ნახ. 1. სუპერმარკეტი სმარტი ქ. გორთან,

საქართველო) და სახეობის, ხოლო ცალკეული საწარმოებისთვის დანიშნულების მიხედვით (ძირითადი, დამხმარე, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სასაწყობო, ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო და სხვ.).

ნახ. 1

სამსახურის ნორმატიული დრო – ნაგებობის ექსპლუატაციისათვის საჭირო რეკომენდებული დრო სარემონტო სამუშაოებამდე. განისაზღვრება ლაბორატორიული ხანმოკლე გამოცდების შედეგების დამუშავებით შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით ან ანალოგიური კონსტრუქციის ექსპლუატაციის სტატისტიკური მონაცემებით.

სამსახურის ოპტიმალური დრო – სამსახურის ვადა, რომლის დროსაც კუთრი დანახარჯები შენობის ექსპლუატაციაზე მინიმალური სიდიდისაა.

სამსახურის საშუალო დრო – ერთი ტიპის კონსტრუქციის ექსპლუატაციის ვადა, გამოთვლილი ამ კონსტრუქციის მტყუნებების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე ექსპლუატაციის გარკვეულ პერიოდში.

სამსახურის ფაქტური დრო – კონკრეტული კონსტრუქციის ექსპლუატაციის ვადა მზიდუნარიანობის დაკარგვამდე.

სამჭვალი – 1. ლითონის ცილინდრული ღერო, რომლითაც საკედლე ქვის ბლოკებს ერთმანეთთან აკავშირებენ; 2. სატაკელაჟო ინსტრუმენტი ხის ან ლითონის წაწვეტებული ღეროს სახით, რომელიც ბაგირის წნულის მავთულების ერთმანეთისგან განსაცაკავებლად გამოიყენება; 3. ძველად ლურსმნის დასახელება.

სამსხვერპლო აკლდამა – აკლდამა ბრტყელი სახურავით.

სამსხვრევ-სახარისხებელი – ქარხანა, კვანძი, დანადგარი, სადაც ხდება საშენი მასალის (ქვა, სამთო ქანი, ხრეში და სხვ.) დამსხვრევა და დახარისხება სხვადასხვა ფრაქციებად. არსებობს სტაციონალური და გადასაადგილებელი.

სამსხვრეველა – ქვის მასალების დასაქუცმაცებელი მანქანა (ნახ. 1. მობილური სამსხვრეველა). დანიშნულების, კონსტრუქციისა და მოქმედების პრინციპის მიხედვით არსებობს: ყბებიანი, კონუსური, ლილვაკებიანი, დარტყმითი მოქმედებისა და რბიები და დეზინტეგრატორები.

ნახ. 1

სამსხვრევი ჩაქუჩებიანი – დარტყმითი მოქმედების ქვასამსხვრევი (ნახ. 1), რომელშიც მექანიკური დარტყმის ზემოქმედებით მასალა იმსხვრევა – მოძრავი სხეულების (ჩაქუჩების) კინეტიკური ენერგია მთლიანად ან ნაწილობრივ გადადის დეფორმაციისა და რღვევის ენერგიაში. ს. ჩ., ისევე. როგორც როტორული, ხასიათდება მაღალი ხვედრითი მწარმოებლობით, კონსტრუქციის სიმარტივითა და პროდუქტის მაღალი ხარისხით.

ნახ. 1

სამტეხლო – საბადო, სადაც წარმოებს ქვის მოჭრა, ამოღება და დამუშავება.

სამტრედე (სამერცხლე) – 1. შენობის სახურავზე, ბოძზე ან მიწაზე განთავსებული მინიატურული ხის ნაგებობა (ნახ. 1. სამტრედე ბადენ-ბადენის პარკში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ან ქვის, ალიზის, აგურის კოშკი მტრედების (ან სხვა გარეული ფრინველების) საბუდებლად. ცნობილია ირანის ისლამური რესპუბლიკისა და ეგვიპტის (ნახ. 2. წითელი ზღვის სანაპიროზე აგებული სამტრედეები, ქ. ხურგადა, ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა) ტერიტორიაზე აგებული სამტრედეები კოშკების სახით. ირანელები და ეგვიპტელები მტრედებს იშინაურებდნენ არა იმიტომ, რომ მათი ხორცით ეკვებათ, არამედ იმიტომ, რომ ისლამურ რელიგიაში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მშვიდობის სიმბოლოდ აღიარებულ ამ უნიკალურ ფრინველს. გარდა ამისა, მტრედის ექსკრემენტებით ადგილობრივი მოსახლეობა ანოყოფიერებდა მიწას. აღსანიშნავია ის, რომ ქ. ისპაჰანში (ირანის ისლამური რესპუბლიკა) მტრედებისათვის აგებული იქნა დაახლოებით 3000 კოშკი, რომელთაგან დღემდე სამასია შემორჩენილი. თითოეულ ასეთ კოშკში 14 ათასამდე მტრედის ბუდე იყო მოწყობილი.

ნახ. 1

ნახ. 2

სამურავი – აკლდამა მიცვალებულის ნეშტის შესანახად.

სამუშაო – 1. მიზანმიმართული მოქმედება, მეცადინეობა, შრომა, საწარმოო საქმიანობა რაიმეს შესაქმნელად; ნებისმიერი სახის შრომა – სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საპროექტო-ძიებითი და სხვ., რომლის დანიშნულებაა მიღებული შედეგების რეალიზაცია; 2. ერთი ტიპის ენერგიის გარდაქმნის პროცესი მეორე ტიპის ენერგიად. არსებობს სამუშაოს უამრავი სახეობა: ავტოგენური, აკორდული, ასაფეთქებელი, ასფალტბეტონის, აღდგენითი, ბეტონის, ბურღვა-აფეთქებითი, გადასახსნელი, გასამართი, გეოლოგიური, გვირაბგასაყვანი, დამცავი,

დასაშრობი, დატვირთვა-განტვირთვის, ზეგანაკვეთური, ზედაპირული, თუნუქის, კამერული, კესონის, ლაბორატორიული, მავნე, მაფრთხილებელი, მინის, მიწასახაპი, მიწის, მიწისზედა, მიწისქვეშა, მოზაიკის, მომიჯნავე, მოპოვების, მოსამზადებელი, მოსაპირკეთებელი, ნაპირსამაგრებელი, ნიჩბით, პლასტმასის, საავარიო, საამწევო, საამწყობო, საარმატურო, საბათქაშე, საბურღი, საგვირაბო, საგზაო, სადაზვერვო, სადემონტაჟო, სადრენაჟო, სადურგლო, საველე, საზეინკლო, საზეინკლო-საშემკეთებლო, სათლელი, საიზოლაციო, საკანალიზაციო, სამანევრო, სამართავი, სამაღლივო, სამელიორაციო, სამთო, სამთო-მოსამზადებელი, სამონტაჟო, სამღებრო, სამშენებლო, სამშენებლო-აღდგენითი, სამჭედლო, სანარდო, სანაღმო, სარინი, საროთის, სარჩილი, საღუმელე, საყალიბო, საშემდუღებლო, საშემკეთებლო, საჩარხო, საჩორტნი, საცდელი, საძებნო, საძერწი, საწმენდი, საწნევი, სახუროო, სეზონური, სველი, სველი, სიღრმული, ტოპოგრაფიული, ტყის, ფოლადის, ქანის, ქვის, ღია, შიგასაკარიერო, ციკლური, ძირითადი, წვრილმანი, წყალქვეშა, ხიმინჯის, ხის, ჰიდრომეტრული, ჰიდროტექნიკური და სხვ.

სამუშაო ადგილი – 1. საწარმოთა წარმოებრივი სტრუქტურის პირველადი რგოლი, სადაც უშუალოდ ხორციელდება წარმოების პროცესი; 2. მომუშავეთა მუდმივი ან პერიოდული ყოფნის ადგილი, რომელიც საჭიროა საწარმოო პროცესების ჩატარებისა და მათზე დაკვირვებისთვის; 3. სივრცის ნაწილი გამოყენებული თანამშრომლების (ან თანამშრომელთა ჯგუფის) მიერ საწარმოო სამუშაო დავალების შესასრულებლად; ს. ა. შეიცავს: საწარმოო საშუალებებს (ჩარხები, მექანიზმები, აგრეგატები, დამცავი საშუალებები, ენერგეტიკული დანადგარები, კომუნიკაციის საშუალებები და სხვ.), ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ საშუალებებს, მოწყობილობებს, ინსტრუმენტებს (სამონტაჟო მაგიდები, დაზგები, თაროები და სხვ.). განასხვავებენ სამუშაო ადგილებს ძირითად, დამხმარე და მოსამსახურე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონაჟისთვის. ს. ა. ორგანიზებისას გაითვალისწინება საწარმოს ტექნიკური მონაცემები, შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მიღწევები, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ჰიგიენის რეკომენდაციები; შრომის დაცვის, ერგონომიკის, საინჟინრო ფსიქოლოგიისა და ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნები და სხვ. სამუშაო ადგილს დასაშვებია ჰქონდეს გასანიავებელი მოწყობილობა, ხანძრისგან დამცავი მექანიზმები, ელექტრომექანიზმები და გადამამუშავებელ-სამეცნიერო დანიშნულების მქონე სხვა მოწყობილობები.

სამუშაო ადგილი ოპერატორის – ობიექტი, რომელიც აღჭურვილია ინფორმაციის ასახვის საჭირო საშუალებებით და დამხმარე მოწყობილობებით. სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური. მისი ორგანიზება დამოკიდებულია ოპერატორის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათზე და საგნობრივ-სივრცობრივი გარემოს თავისებურებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ოპერატორის სხეულის სამუშაო მდგომარეობას, დასვენებისთვის პაუზების შესაძლებლობას, მართვისა და ასახვის საშუალებების განლაგებას, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების აუცილებლობას, მოწყობილობების რემონტისა და აღჭურვისთვის საჭირო სივრცესა და სხვ.

სამუშაო ადგილის ორგანიზაცია – სამუშაო ადგილის ორგანიზაციაში იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე მაღალმწარმოებლურ შრომასა და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების აუცილებელი პირობების შექმნას, მოწყობილობის საუკეთესოდ გამოყენებას, შრომის შინაარსიანობისა და მიმზიდველობის ამაღლებას, მომუშავეთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას და სხვ.

სამუშაო დრო – დრო, რომლის განმავლობაში მომუშავე პირი, კანონმდებლობის შესაბამისად, ასრულებს მასზე დაკისრებულ შრომით მოვალეობებს. შრომით საქმიანობაში მონაწილეობის ხანგრძლივობა იზომება საათებში. საქართველოს კანონმდებლობით ერთ კვირაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ აღემატება 41 საათს.

სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელი – გამომუშავებული სამუშაო დღეები და საათები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, კალენდარული დღეებისა და დროის ბალანსი.

სამუშაო დროის დანაკარგები – დროის სიდიდე, რომლითაც მცირდება სამუშაო დღის ნორმირებული ხანგრძლივობა. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სამუშაო დროის ბალანსში გათვალისწინებული გეგმური დანაკარგები, სამუშაო პროცესის მოულოდნელი შეფერხება ან მუშაკის უდისციპლინობა.

სამუშაო დროის მოქნილი რეჟიმი – სამუშაო დროის ორგანიზების ფორმა, რომლის დროსაც მუშაკისთვის განსაზღვრულ პირობებში, ნებადართულია სამუშაო დღის ხანგრძლივობის თვითრეგულირება ისე, რომ საერთო ხანგრძლივობა შენარჩუნებული იყოს.

სამუშაო დროის ფონდი – წლის, კვარტლის, თვის განმავლობაში მუშაკის, საწარმოს, ფირმის, დარგის, სახალხო მეურნეობის მუშაობის ერთობლივი დაგეგმილი ან ფაქტობრივი დრო.

სამუშაო დროის შიგაცვლური დანაკარგები (მოცდენები) – საწარმოო პროცესის რეჟიმის, შრომითი დისციპლინის დარღვევითა და არარეგულარული შესვენებებით გაცდენილი დრო, რასაც იწვევს: შრომისა და წარმოების ცუდი ორგანიზაცია, შეფერხებები მასალების მიწოდებაში, შრომის უხარისხო ორგანიზაცია, დაგვიანება სამსახურში და სამუშაოს უდროო მიტოვება, საჭირო იარაღების უქონლობა და სხვ.

სამუშაო დღე – ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეღამეში. იგი შეიძლება იყოს ნორმირებული და არანორმირებული, რაც განისაზღვრება ორგანიზაციასა და მუშაკს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

სამუშაო დღე არასრული – მოკლე სამუშაო დღე.

სამუშაო დღის განაწესი – სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობისა და დასვენების დროის განსაზღვრული სახის მონაცვლეობის მარეგულირებელი დადგენილი წესი (რეჟიმი). მისი დამუშავების მიზანია მომუშავის შრომისუნარიანობის უზრუნველყოფა, დასვენებისას შრომისუნარიანობის სრული აღდგენა. მუშაობისა და დასვენების რაციონალური მონაცვლეობა აუცილებელია როგორც ფიზიოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

სამუშაო ეტალონი – რაიმე სიდიდის ერთეულის კვლავწარმოების, შენახვისა და გადაცემის ამსახველი ხელსაწყო.

სამუშაო ზედაპირი – განათებული ზედაპირი, რომელზეც ხდება მუშაობა.

სამუშაო ზონა – სამუშაო სივრცე ან მოედანი იატაკიდან 2,2 მ სიმაღლამდე.

სამუშაო იზოლაცია – დანადგარის დენგამტარი ნაწილის (სადენების) ელექტროიზოლაცია.

სამუშაო ნახაზები – სამშენებლო ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომლის მიხედვით ხდება კონსტრუქციების, ნაკეთობების, კვანძების და მისთ. დამზადება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

სამუშაო საათები მოქნილი – მუშაკთა მიერ დაწესებული ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი, რომელიც შეთანხმებულია წარმოების (ორგანიზაციის, ფირმის) ხელმძღვანელობასთან და არ არღვევს ქვეყნის კანონმდებლობას.

სამუშაო საათები ცვალებადი – კერძო ფირმის, კომპანიის, ორგანიზაციის მიერ დაწესებული სამუშაო დრო, რომელიც რაოდენობრივად ერთი კვირის განმავლობაში არ აღემატება 41 საათს (საქართველოსთვის).

სამუშაო ფრონტი – მშენებარე ობიექტის ნაწილი (ზოლი, სართული, მოედანი, ფართობი, მოცულობა და სხვ.), სადაც განთავსდება მომუშავეთა განსაზღვრული რაოდენობა (ბრიგადა) აუცილებელ შრომის იარაღებსა და სამშენებლო მანქანებთან ერთად.

სამუშაო ციკლის დრო – დრო, რომელიც იხარჯება ერთი ნორმირებული სამუშაო ციკლის შესრულებაზე.

სამუშაო ძალა – ადამიანის ცნობიერებაში ჩადებული შრომის უნარი, რომელიც გამოიყენება მატერიალური კეთილდღეობის შესაქმნელად. იგი ნებისმიერი საზოგადოებისთვის არსებობის ძირითადი პირობაა.

სამუშაო ძალის ხარისხი – შრომის პროცესში გამოვლენილი ადამიანის თვისებების ერთობლიობა (ჯანმრთელობა, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობა, დაინტერესება და სხვ.), რომელშიც შედის: ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური მდგომარეობა, ადაპტირებულობა, მობილურობა და სხვ.

სამუშაოები ავარიულ-სამაშველო – საგანგებო სიტუაციის ზონაში მიმდინარე სამუშაოები, რომელიც ემსახურება ადამიანთა მატერიალური და კულტურული ფასეულობების გადარჩენას, გარემოს დაცვასა და საშიში ფაქტორების შესაძლო მინიმალურ დონემდე დაყვანას. ასეთ სამუშაობს ასრულებენ სპეციალური მომზადებისა და ეკიპირების მქობე სამაშველო ბრიგადები.

სამუშაოები დამატებითი – სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებიც შეტანილი არ იყო მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაში, მაგრამ მათი შესრულება საჭირო ხდება მშენებლობის პროცეში. ასეთი სამუშაოების დასაფინანსებლად აუცილებელია დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ადგენს ძირითადი დამპროექტებელი ორგანიზაცია).

სამუშაოები ზამთრის – სამშენებლო სამუშაოები ზამთრის პირობებში (ტემპერატურა ნაკლები +5ºC-ზე).

სამუშაოები ძაბვის ქვეშ – სამუშაოები ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ უბნებზე.

სამუშაოების ორგანიზაცია – ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის პროცესებისა და წარმოების ნივთობრივი ელემენტების რაციონალურ შეხამებას. იგი ითვალისწინებს აგრეთვე მშენებლობის მიმდინარეობაზე კონტროლის საოპერაციო ტექნოლოგიური ქარტის შედგენას, ადამიანური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, შრომის უსაფრთხოებას და სხვ.

სამუშაოების წარმოების პროექტი – 1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე საპროექტო ან გენერალური სამოიჯარო ორგანიზაციის მიერ მომზადებული

სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის დანიშნულებაა აამაღლოს მშენებლობის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე და უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტის დროულად ჩაბარება. ს. წ. პ. შედის: კომპლექსური, ქსელური, კალენდარული, მასალებისა და მოწყობილობების მოწოდების, ადამიანური რესურსების გამოყენების გრაფიკები, ტექნოლოგიური ქარტები, მითითებები უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე და სხვ.; 2. ობიექტის მშენებლობის საერთო პროექტის ნაწილი, რომელიც მუშავდება მთელი შენობის, ცალკეული ნაწილების (მიწისქვეშა ან მიწისზედა ნაწილის, სექციის, მალის, სართულის, იარუსის აგებისთვის), ტექნიკურად რთული სამშენებლო და მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოებისთვის და წინ უსწრებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

სამუშაოზე დაშვება – სამშენებლო ობიექტზე მუშაკის სამუშაოზე დაშვების ნებართვის გაცემა.

სამუშაოზე მიღება – სამშენებლო ობიექტზე მუშაკის სამუშაოზე მიღების იურიდიული გაფორმება (ბრძანება, განკარგულება, ხელშეკრულება, კონტრაქტი).

სამუშაოთა კატეგორიები – სამუშაოთა დაყოფა სიმძიმის მიხედვით ორგანიზმის საერთო ენერგოდანახარჯების საფუძველზე: I კატეგორია – მსუბუქი ფიზიკური სამუშაოები; II კატეგორია – საშუალო სიმძიმის ფიზიკური სამუშაოები; III კატეგორია – მძიმე ფიზიკური სამუშაოები.

სამუშაოს ანალიზი – კონრეტული სამუშაო ადგილის ან თანამდებობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი.

სამუშაოს სპეციფიკაცია – სანარდო ხელშეკრულების დანართი, რომელშიც გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების პირობები, შესრულების მეთოდები, მოთხოვნები შესრულებულ სამუშაოებზე, სამუშაოების მატერიალური უზრუნველყოფა და სხვ.

სამუშაოს შემსრულებელი (მენარდე) – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს სანარდო ხელშეკრულების შესაბამისად. მას უფლება აქვს შეასრულოს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოებიც დამატებითი ანაზღაურების მიღების შემთხვევაში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამუხრუჭე გზა – მანძილი, რომელიც ჭირდება მოძრავ ტრანსპორტს გასაჩერებლად, ანუ მანძილი, რომელსაც გაივლის მოძრავი ტრანსპორტი დამუხრუჭების დაწყებიდან გაჩერებამდე. სამუხრუჭე გზის სიგრძე დამოკიდებულია ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარეზე, გზის საფარისა და მანქანის საბურავების სახეობასა და მდგომარეობაზე, ამინდზე, სამუხრუჭე სისტემის ეფექტურ მუშაობასა და სხვა მონაცემებზე.

სამფენიანი პანელი – თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ორი ხისტი ფენის (ალუმინი, ფანერი, კომპოზიტი, ფოლადი, მინაპლასიტი, მინატექსტოლიტი და სხვ.) და ერთი შუა გამათბუნებელი ფენის (ქაფპლასტი, ქაფპოლისტირენი, ქაფპოლიურეთანი, მინერალური ბამბა და სხვ.) ერთობლიობას. კონსტრუქციის მიხედვით არსებობს: ხე-ფანერის, ალუმინის, ფოლადის, პლასტმასის, ბეტონის (ნახ. 1. გარე ფენა – ფოლადის ბადით დაარმირებული და დეკორატიული მასალით მოპირკეთებული ბეტონი, შუა ფენა – მინერალური ბამბა ან ქაფპოლისტირენი, შიდა ფენა – ალუმინი ან დეკორატიული პლასტიკი) და სენდვიჩ-პანელი (ნახ. 2. შემოსვები ძირითადად ფოლადის ფურცლების, შუა ფენა – ქაფპოლიურეთანი ან ქაფპოლისტირენი).

ნახ. 1



ნახ. 2

ნახ. 1

სამღებრო აპარატი – შეკუმშულ ჰაერზე მომუშავე მცირე ზომის აპარატი, რომელიც კედლების, ჭერის, ფასადების შესაღებად გამოიყენება. მისი ძირითადი ელემენტებია: კომპრესორი, საღებავის საფრქვევი დამბაჩა, ტევადობა საღებავით და მილების სისტემა (ნახ. 1. სამღებრო აპარატი Wortex PS 0845).

სამღებრო სამუშაოები – შენობის ცალკეული ნაწილის (კედელი, ტიხარი, ჭერი, ფასადი, სახურავი და ა.შ.) ზედაპირის დამუშავება და დაფარვა წყალემულსიური, წებოვანი, სინთეზური ან ზეთოვანი საღებავებით ესთეტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ნახ. 1

სამღებრო ფუნჯი – ხელის მარტივი ინსტრუმენტი საღებავის დასატანად რაიმე ზედაპირზე. ჯაგრისა და სხვადასხვა ცხოველის (ძირითადად ცხენის, აგრეთვე ციყვის, ეგვიპტური მანგუსტის, თხის, კვერნის, სიასამურის, მაჩვის, წავის, ფარაონის თაგვის) კუდის თმებისაგან. სამღებრო საქმეში ის ყველაზე მეტად გავრცელებული ინსტრუმენტია (ნახ. 1.ფუნჯების ნაკრები). არსებობს სამღებრო ფუნჯის სახეები: ბრტყელი, ბუნებრივი ჯაგრით, მრგვალი, მქნევარა, რადიატორული, სალირსე, შუბლა, ძენძის, ხელის, ხელობნური ჯაგრით და სხვ.

სამყოფი – საცხოვრებელი სახლის, ბინის, ოფისის, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კულტურული, სპორტული მომსახურებისათვის გამოყენებული ფართობი, რომელიც გამოიყენება ადამიანთა ხანგრძლივი დროით დაყოვნებისათვის.

სამშენებლო (ინგლ. construction) – ყველაფერი ის, რაც შენებასთან, მშნებლობასთან, სამშენებლო საქმესთანაა დაკავშირებული ან მისთვისაა განკუთვნილი (მასალა, კონსტრუქცია, მექანიზმი, პროექტი, ფირმა, ინდუსტრია, მიწის ნაკვეთი, მოედანი, ყალიბი და ა.შ.).

სამშენებლო არმატურის სახეები – სხვადასხვა განივკვეთისა და ფორმის ფოლადის ღეროები, ბაგირები, წნულები, რომლებიც იღებენ გამჭიმ და მხებ ძაბვებს, წარმოშობილს რკ.ბ.-ის ელემენტებში გარე დატვირთვებისა და კონსტრუქციის საკუთარი წონისგან. განივკვეთის პროფილის მიხედვით არმატურა არის წრიული განივკვეთის, გლუვზედაპირიანი (ნაჭდევების გარეშე) და პერიოდული პროფილის (ნაჭდევებით). დამზადების შრომატევადობისა და დიამეტრის მიხედვით – მსუბუქი (12 მმ-მდე დიამეტრის) და მძიმე (დიამეტრით 12-40 მმ). რკ.ბ.-ის კონსტრუქციებსა და ნაკეთობებში გამოყენებული არმატურა იყოფა სახეებად: მუშა, გამანაწილებელი, საკიდები და სამონტაჟო (ნახ. 1. არმატურის განლაგება რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში). მუშა არმატურა ღებულობს გამჭიმ ძალებს; გამანაწილებელი – აფიქსირებს მუშა არმატურის ღეროებს საპროექტო მდგომარეობაში და ანაწილებს დატვირთვებს მათ შორის; საკიდები კრავს არმატურებს ერთიან კარკასად და იცავს საყრდენებთან ბეტონს დახრილი ბზარების გაჩენისგან; სამონტაჟო არმატურა არავითარ ძალებს არ იღებს, ის ემსახურება არმატურის კარკასის აწყობასა და უზრუნველყოფს მუშა არმატურისა და საკიდების ზუსტ განლაგებას კონსტრუქციის დაბეტონებისას. ცოცვადობის დეფორმაციის საწინააღმდეგოდ დაბეტონების პროცესში ახდენენ არმატურის ბოლოების მოღუნვას კაკვის სახით. პერიოდული პროფილის არმატურის გამოყენებისას აუცილებელი არ არის ბოლოების აღუნვა. დაყენების ხერხის მიხედვით არმატურა არსებობს: ღეროვანი (ნახ. 2), არმატურის ბადეები, არმატურის კარკასები და არმატურული კონსტრუქციები. ღეროვანი არმატურა შეიძლება იყოს წრიული განივკვეთის მავთულოვანი (ნახ. 3) ან ხისტი გაგლინული ფოლადის პროფილებით (ორტესებრი, შველერი, კუთხედი, რელსი, მილი და სხვ.). ბადეები ურთიერთგადამკვეთი ღეროების ერთობლიობაა, შეერთებული გადაკვეთის წერტილებში შედუღებით ან მავთულით. გამოიყენება ძირითადად ფილების დასაარმირებლად. კარკასები შედგება გრძივი მუშა არმატურისა და მათი შემაერთებელი განივი არმატურისგან (საკიდები). ის შეიძლება იყოს ბრტყელი ან სივრცითი. ძირითადად გამოიყენება კოჭებისა და სვეტების დაარმირებისათვის. არმატურულ კონსტრუქციებს მიეკუთვნება გამზადებული შენადუღი ბადეები და კარკასები. წინასწარ დაძაბული კონსტრუქციებისათვის მაღალი სიმტკიცის ღეროების პარალელურად გამოიყენება ფოლადის ბაგირები, წნელები და წნულები, დამზადებული მაღალი სიმტკიცის მავთულისაგან დიამეტრით 3 მმ.



ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სამშენებლო აწევა – მცირე აღუნვა სამშენებლო კონსტრუქციის დამზადების პროცესში. ის საშუალებას აძლევს ნაგებობას საექსპლუატაციო დატვირთვების მოდების შემდეგ მიიღოს საპროექტო ფორმა, აუმჯობესებს კონსტრუქციის საექსპლუატაციო და არქიტექტურულ ხარისხს.

სამშენებლო დოკუმენტები – 1. მშენებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელი ვერბალური, გრაფიკული და დასურათებული დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ პროექტის ელემენტების დიზაინს, მდებარეობასა და ფიზიკურ მახასიათებლებს; 2. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა.

სამშენებლო დოკუმენტის დარღვევა – შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილ(ებ)ის სამშენებლო დოკუმენტისგან ისეთი განსხვავებული განხორციელება (მშენებლობა), რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას.

სამშენებლო ეზო (საქმიანი ეზო) – მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობილი ნაწილი, სადაც განთავსებულია მშენებლობისთვის საჭირო დამხმარე წარმოებები – ბეტონის კვანძი, ლითონისა და ხის საამქროები, სამშენებლო ტექნიკისა და მანქანების სადგომი, საშენი მასალის საწყობები, ცემენტის შესანახი ბუნკერი, წყლის რეზერვუარი, სამუშაოთა მწარმოებლის ოფისი და სხვ.

სამშენებლო თბოტექნიკა – სამშენებლო ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სითბოს გადაცემის პროცესს და მის გავლენას სხვა ფიზიკურ პროცესებზე, რომლებიც წარმოებს შენობა-ნაგებობებში და მათ კონსტრუქციებში. ს. თ. ძირითადი ამოცანაა – შემომზღუდავი კონსტრუქციების თბოტექნიკური თვისებების დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ტემპერატურული და ტენიანობის ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და საწარმოო სათავსების შიგნით. სამშენებლო თბოტექნიკის როლი იზრდება შემსუბუქებული შემომზღუდავი კონსტრუქციების მშენებლობაში გამოყენებასთან ერთად.

სამშენებლო ინდუსტრია – ქვეყნის სამრეწველო საწარმოების ერთობლიობა ნაკეთობების, ელემენტების, დეტალების, კონსტრუქციებისა და ა.შ. დასამზადებლად, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, სპეციალური და სხვა დანიშნულების სამშენებლო ობიექტების ასაგებად.

სამშენებლო ინჟინერია (ინგლ. Construction Engineering) – 1. მშენებლობის პროცესის სრული საინჟინრო უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების ყველა ფაზას: დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია; 2. სამრეწველო, ინფრასტრუქტურული და სხვა ობიექტების საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება.

სამშენებლო კერამიკა – კერამიკული მასალები და ნაკეთობები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში. ს. კ. მიეკუთვნება: საკედლე მასალები, გადახურვის ღრუტანიანი პანელები, ფასადებისა და შიდა სათავსების ზედაპირების დასაფარი ფილები (როგორც კედლებისთვის, ისე იატაკისთვის), კრამიტი, საკანალიზაციო მილები, მჟავამედეგი ნაკეთობები (აგური, ფილები), მოსაპირკეთებელი თბოსაიზოლაციო მასალები, სპეცდანიშნულების ნაკეთობები (კლინკერი, ქვები მიწისქვეშა ნაგებობებისთვის) და სხვ.

სამშენებლო კვანძი – კვანძი, სადაც ხდება სამშენებლო კონსტრუქციების, ელემენტებისა და მისი შემადგენელი ნაწილების შეერთება (ნახ. 1. ლითონის წამწის კვანძები: 1-ქვედა სარტყელი; 2-ზედა სარტყელი; 3-ირიბანა; 4-კვანძის ფასონურა; 5-ფურცლოვანი ზედი; 6-საბურულე მზიდი Z-პროფილი; 7-ჭანჭიკები). ზოგადად, შენობა-ნაგებობას აქვს უამრავი კვანძი, მაგ.: საძირკვლის შეერთება კოლონასთან, კოლონის – სანივნივე კონსტრუქციასთან, კოლონის – საკედლე პანელებთან, გადახურვის ფილის – რიგელთან, რიგელის – კოლონასთან, თავხის კოჭის – სანივნივო ფეხთან, კარნიზის, ცოკოლის, კეხის კვანძები და სხვ.

ნახ. 1

სამშენებლო კლიმატოლოგია – სამშენებლო ფიზიკის ნაწილი, რომელიც განიხილავს კლიმატური ფაქტორების გავლენას შენობა-ნაგებობებზე. ის ვითარდება ატმოსფეროს ფიზიკისა და საერთო კლიმატოლოგიის მიღწევათა საფუძველზე.

სამშენებლო კომპანია – იურიდიული პირის უფლების მქონე კომპანია, რომელიც აწარმოებს სამშენებლო პროფილის სამუშაოებს. ფინანსური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ერთ- ან მრავალპროფილიანი. ერთპროფილიანი ს. კ. სპეციალიზებულია ერთი ტიპის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე (მაგ., საცხოვრებელი სახლები, გზები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, კეთილმოწყობა, საბაგირო გზები, სპორტული მოედნები და ა.შ.), ხოლო მრავალპროფილიანი (კომპლექსური) – აწარმოებს პრაქტიკულად ყველა სახის სამშენებლო სამუშაოებს. სამშენებლო სტატუსის მქონე კომპანიას აქვს საკუთარი ოფისი, ამწე-სატრანსპორტო მანქანების ბაზა, საქმიანი ეზო, ყავს ხელმძღვანელობა, საინჟინრო და ტექნიკური კადრები, მშენებელთა სპეციალიზირებული ბრიგადები და პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების უპირობო დაცვას. თანამედროვე სამშენებლო კომპანიები ხშირად ითავსებენ გამშენებლისა და დეველოპერის ფუნქციებსაც.

სამშენებლო კომპლექსი – მატერიალური საწარმოო დარგების, სამშენებლო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო, საშენი მასალებისა და ნაკეთობების, მექანიზაციისა და ტრანსპორტის საჯარო სამართლის იურიდიულ და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ერთობლიობა.

სამშენებლო კონსტრუქციები – შენობა-ნაგებობის ძირითადი შემადგენელი ელემენტები, რომლებიც ასრულებენ მზიდ, შემომზღუდავ ან ორივე ფუნქციას ერთად და მათი ზომები დგინდება გაანგარიშების შედეგად, რაც საფუძვლიანად განასხვავებს მათ არქიტექტურული კონსტრუქციებისაგან. ძირითად მასალაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ შემდეგ სამშენებლო კონსტრუქციებს: ქვის, დაარმირებული ქვის, ხის, ლითონის (ფოლადის, მსუბუქი შენადნობების), რკინაბეტონის, ბეტონის, კომპოზიტის, პლასტმასის, მინისა და კომპლექსურს; გეომეტრიული ფორმის მიხედვით არის მასივი, ძელი, ფილა, გარსი და ღეროვანი სისტემები; საანგარიშო სქემის მიხედვით – სტატიკურად რკვევადი და სტატიკურად ურკვევი; დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მიხედვით – უმარტივესი, მარტივი და რთული. ს. კ. უნდა

აკმაყოფილებდნენ სიმტკიცის, სიხისტის, მდგრადობის, საიმედოობის, უსაფრთხო ექსპლუატაციის, ეკოლოგიურობის, ტექნიკურ და ეკონომიკურობის მოთხოვნებს.

სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება – კონსტრუქციების გაანგარიშება შენობებისა და ნაგებობების უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების დაცვისათვის. მოიცავს ორ ეტაპს: 1. სტატიკური (ან დინამიკური) გაანგარიშება, რომელიც ითვალისწინებს რეალური პირობების შესაბამისი საანგარიშო სქემის შედგენას და შიდა ძალვების (მღუნავი მომენტი, გრძივი და განივი ძალები და სხვ.) განსაზღვრას დასაპროექტებელი კონსტრუქციის სახიფათო განივკვეთებში. ეს გაანგარიშება ხორციელდება მასალათა გამძლეობის ფორმულებითა და სამშენებლო მექანიკის ზოგადი წესებით; 2. კონსტრუქციული გაანგარიშება – მასალების, რაციონალური ფორმებისა და განივი კვეთების ზომების, მასალების მარკისა და კლასების შერჩევა. ცნობილია კონსტრუქციების გაანგარიშების სამი მეთოდი: დასაშვები ძაბვების, მრღვევი დატვირთვებისა და ზღვრული მდგომარეობის. საქართველოში მიღებულია გაანგარიშების ზღვრული მდგომარეობის მეთოდი (იხ. ზღვრული მდგომარეობა), რომლის მიზანია არ დაუშვას ზღვრული მდგომარეობა შენობის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში.

სამშენებლო მანქანები – მშენებლობაში გამოყენებული მანქანები. შესასრულებელი სამუშაოს სახეობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: მოსამზადებელი (ბუჩქმჭრელი, ამომძირკველი, გამაფხვიერებელი); მიწის მთხრელი (ექსკავატორი, მიწისმთხრელ-სატრანსპორტო მანქანა, მანქანა მიწის სამუშაოების ჰიდრომექანიზაციისათვის); შემამკვრივებელი (სტატიკური და ვიბრაციული მოქმედების მგორავი სატკეპნი, ვიბროშემამკვრივებელი მანქანა); საბურღი (დარტყმით-ბაგიროვანი, ბრუნვადი, პნევმოდარტყმითი, საბურღი ჩაქუჩი); ხიმინჯის ჩასასობი (ხიმინჯის ურო, ვიბროჩამსმელი და სხვ.); ამწე-სატრანსპორტო (ამწე-კრანი, ჯალამბარი, დომკრატი და სხვ.); საგზაო-სამშენებლო (ბეტონჩასაგები, გუდრონატორი, ასფალტბეტონჩასაგები და სხვ.), სამსხვრევ-დამახარისხებელი მოწყობილობა (სამსხვრეველა, ცხავი და სხვ.); შემრევი (ბეტონშემრევი, დუღაბშემრევი); მოსაპირკეთებელი (საბათქაშე, სამღებრო, იატაკის მოსახვეწი და სხვ.); ქვიშაჭავლური (სახეხ-სალესი, საღებავ-საშხეფი, პარკეტ-მოსაპირკეთებელი და სხვ.); ხელის მანქანები (მექანიზებული ხერხი, შემამკვრივებელი, გამპრიალებელი და სხვ.).

სამშენებლო მექანიკა – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ღეროვანი სისტემების სიხისტეზე, სიმტკიცესა და მდგრადობაზე გაანგარიშების მეთოდებს. ს. მ. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს – გარე დატვირთვების, ტემპერატურული ცვლილებებისა და სხვ. გავლენის შედეგად ნაგებობათა ნაწილებში წარმოქმნილი შინაგანი ძალვებისა და დეფორმაციის განსაზღვრის მეთოდების დამუშავება, მდგრადობის პირობების შესწავლა და ა.შ. ს. მ. მჭიდროდ არის დაკავშირებული თეორიულ მექანიკას, მასალათა გამძლეობას, დრეკადობის თეორიასა და პლასტიკურობის თეორიასთან.

სამშენებლო მინა – მინა, რომელიც გამოიყენება შუქღიობის შესამინად, გამჭვირვალე ტიხრის მოსაწყობად, ნაგებობის გარე და შიგა მოპირკეთებისათვის და სხვ. ს. მ. მიეკუთვნება: ჩვეულებრივი (ფანჯრის, ვიტრინის); სპეციალური (თბოშთანთქმელი, დაარმირებული); დეკორატიული (ფერადი, მაროლიტი, სტემალიტი, მოხატული); კონსტრუქციულ-სამშენებლო (მინაბლოკი, მინაპაკეტი, მინაპროფილიტი, ნაწრთობი მინის ნაკეთობები); დეკორატიულ-მოსაპირკეთებელი (ფილა, მოზაიკა, სმალტა, ვიტრაჟი) ფურცლოვანი მინა; თბოსაიზოლაციო მასალები (ქაფმინა, მინაბამბა და მისგან დამზადებული ნაკეთობები),

სათავსების შიგა მოწყობილობის ნაკეთობები (კარის დეტალები, ჩაშენებული ავეჯი, გამანათებელი არმატურა) და სხვ.

სამშენებლო მიწის ნაკვეთი – 1. საკადასტრო ერთეული, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია სამშენებლო სამუშაოს გარკვეული ტიპები, ხოლო საზოგადოებრივ ადგილებში სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი დაწესებულების ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გადაწყვეტილების საფუძველზე მშენებლობისთვის განსაზღვრული ტერიტორია; 2. საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელსაც უკავშირდება არანაკლებ ერთი მისასვლელი, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.

სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეს (გარდა ჩიხისა).

სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთს, ან ისეთ არასამშენებლო მიწის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს.

სამშენებლო მიწის ნაკვეთის სახეობები – არსებობს სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამი სახეობა: 1. სამშენებლო მიწის ნაკვეთი; 2. სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთი; 3. სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთი. სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის სახეობებში შედის სასოფლო-სამეურნეო ზონის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც კანონით დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობის, აგრეთვე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სხვა დანარჩენი ობიექტების მშენებლობისათვის საჭიროა განაშენიანების რეგულირების გეგმით შესაბამისი ტერიტორიის ფუნქციური ზონის შეცვლა.

სამშენებლო მოდული – პირობითად მიღებული პარამეტრი ან ზომა, რომელიც გამოიყენება შენობა-ნაგებობის, კონსტრუქციის, ნაკეთობის, მოწყობილობისა და მათი ელემენტების ზომის საკოორდინაციოდ და საუნიფიკაციოდ.

სამშენებლო მოედანი – 1. ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია მშენებლობაში მყოფი ნაგებობები, დროებითი, ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები, დამხმარე წარმოებები, საწყობები და ამ მშენებლობისათვის საჭირო სხვა ნაგებობები; 2. მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოყოფილია დადგენილი წესით სამშენებლო ობიექტის განსანთავსებლად და შეიცავს აგრეთვე მშენებლობის საჭიროებისთვის აუცილებელ დროებით ფართობებს.

სამშენებლო მოედნის კვლევა – სამშენებლო მოედანზე ან მიმდებარე ტერიტორიებზე შესასრულებელი სამუშაოები, რაც აუცილებელია კონკრეტული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად, კერძოდ, ტოპოგეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური და მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების კვლევა.

სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმური ინტენსიურობა – სეისმური ზემოქმედების საანგარიშო სიდიდე, გამოსახული ბალებში სეისმური სკალის მიხედვით, აჩქარებებში ან სხვა ფიზიკური სიდიდეებით.

სამშენებლო მრეწველობა – სახალხო მეურნეობის დარგი, რომელიც საშენ მასალებს (ცემენტი, ბეტონი, აგური, ბლოკი, ფიცარი, ძელი, საღებავი და სხვ.), სამშენებლო კონსტრუქციებს და

მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა ნაკეთობას (კარ-ფანჯარა, პარკეტი, კიბის საფეხური, კოსოური, დაპროფილებული ფოლადი, ხელოვნური ქვის ფილა, პლასტმასის მილი და ა.შ.) აწარმოებს.

სამშენებლო ნაკეთობა – სამშენებლო კონსტრუქციის ელემენტი (ან კონსტრუქცია მთლიანად), დამზადებული არა გამოყენების ადგილზე (კედლის პანელი, სანივნივე კოჭი, გადახურვის ფილა, კიბის მარში, ჰაერსატარის რგოლი, ჭის რგოლი, ფანჯრის თაროს ფიცარი, სანიტარულ-ტექნიკური კაბინა და სხვ.).

სამშენებლო ნორმები და წესები (ინგლ. construction norms and rules) – სავალდებულო ნორმატიულ დოკუმენტთა ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში. შედგება 4 ნაწილისაგან: 1) საერთო დებულებები; 2) დაპროექტების ნორმები; 3) სამუშაოთა წარმოებისა და ჩაბარების ნორმები; 4) სახარჯთაღრიცხვო ნორმები და წესები (შესაბამის სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულების თანხლებით).

სამშენებლო ობიექტი – 1. შენობები და სამოქალაქო საინჟინრო ნაგებობები; 2. ცალკე მდგომი შენობა ან ნაგებობა, სამუშაოს სახე ან კომპლექსი, რომელზეც უნდა შედგეს ინდივიდუალური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი – რაოდენობრივი (დროის განსაზღვრული მომენტისთვის) ან შუალედური მაჩვენებელი (საანგარიშო პერიოდისათვის). რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამოყოფენ, როგორც ფაქტურ, ისე ფარულ მომუშავეთა მაჩვენებელს.

სამშენებლო პროდუქტების თვისებები – სამშენებლო პროდუქტის თვისებები მისთვის დადგენილ ძირითად მახასიათებლებთან მიმართებით, რომელიც გამოხატულია კლასების ან დონეების სახით, ან შესაბამისი აღწერით.

სამშენებლო პროდუქტების ნაკრები – ერთი მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული სამშენებლო პროდუქტი, რომელიც შედგება სულ მცირე ორი განცალკევებული კომპონენტისაგან და ერთობლივად გამოიყენება სამშენებლო ობიექტების მშენებლობისას.

სამშენებლო პროდუქტი – ნებისმიერი პროდუქტი ან პროდუქტების ნაკრები, რომელიც წარმოებულია და ბაზარზე განთავსებულია სამშენებლო ობიექტში ან მის ნაწილებში მუდმივი ინტეგრირების მიზნით და რომლის თვისებებიც ზეგავლენას ახდენს სამშენებლო ობიექტის თვისებებზე.

სამშენებლო პროდუქტის დანიშნულების მიხედვით გამოყენება – სამშენებლო პროდუქტის გამოყენება შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაციებით, მათ შორის სტანდარტებით გათვალისწინებული დანიშნულებით.

სამშენებლო პროდუქტის თვისებების დონე – სამშენებლო პროდუქტის ძირითად მახასიათებლებთან დაკავშირებული თვისებების შეფასების შედეგი, გამოხატული რაოდენობრივი მნიშვნელობით.

სამშენებლო პროდუქტის თვისებების ზღვრული დონე – სამშენებლო პროდუქტის ძირითადი მახასიათებლების თვისებების მინიმალური ან მაქსიმალური დონე.

სამშენებლო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი – სამშენებლო პროდუქტის თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული სასიცოცხლო ეტაპების ერთობლიობა, ბუნებრივი გზით მოპოვებული ან შექმნილი პირველადი ნედლეულიდან მის საბოლოო ფორმით გამოყენებამდე.

სამშენებლო პროდუქტის ტიპი – სპეციფიური საწარმოო პროცესის შედეგად, ნედლი მასალის ან სხვა ელემენტების კომბინაციით მიღებული სამშენებლო პროდუქტის, წარმომადგენლობითი დონე ან კლასი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად მახასიათებლებთან.

სამშენებლო პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები – სამშენებლო პროდუქტის ის მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ობიექტების ძირითად მოთხოვნებთან.

სამშენებლო პროდუქცია – მშენებლობადამთავრებული და ექსპლუატაციაში შესული შენობები და ნაგებობები; არქიტექტურული გეგმარებით გათვალისწინებული კონსტრუქციული და საორგანიზაციო ტექნოლოგიური გადაწყვეტები; შენობებისა და ნაგებობების ცალკეული ნაწილები, კონსტრუქციები, სექციები და დეტალები.

სამშენებლო პროდუქციაზე მოთხოვნილება – შენობა-ნაგებობების საჭიროება, რომელიც აუცილებელია ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად ადამიანებისთვის და საზოგადოების ფუნქციონირებისთვის.

სამშენებლო პროცესი – მუშათა მოქმედების ერთობლიობა, მიმართული საშენი მასალების, ნახევარფაბრიკატების, კონსტრუქციების, დეტალების, ნაკეთობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გადასამუშავებლად და გარდასაქმნელად. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა ინსტრუმენტი, მოწყობილობა, დანადგარი და მექანიზმი. კონსტრუქციული ელემენტის შესაქმნელად სწორედ რამდენიმე ოპერაციისაგან შედგენილი მარტივი პროცესის შესრულებაა საჭირო (მაგ., რკ.ბ.-ის რიგელის დასამზადებლად საჭიროა საყალიბე, საარმატურე და ბეტონის სამუშაოები). მარტივი პროცესების ერთობლიობა კი ქმნის კომპლექსურ ტექნოლოგიურ პროცესს, რომლის შესრულების შედეგად შენდება შენობა-ნაგებობები. სამშენებლო პროცესები შეიძლება დაიყოს: სირთულის ხარისხის, მექანიზაციის ხარისხის (მექანიზებული, ნახევრად მექანიზებული, ხელით შესასრულებელი), დანიშნულებისა (ძირითადი, დამხმარე, მოსამზადებელი, დამამზადებელი და სატრანსპორტო პროცესები) და შესასრულებელი (უწყვეტი, ზოგადსამშენებლო, სპეციალური და დამხმარე სამუშაოები) პროცესების მიხედვით. ზოგადად ს. პ. მოიცავს: მოსამზადებელ, მიწისქვეშა, მიწისზედა, მოპირკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს.

სამშენებლო რეგლამენტი – სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, რომელიც მოიცავს სამშენებლო-ტექნიკურ ნორმებს, სამშენებლო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

სამშენებლო სამართალდარღვევა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონით.

სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება – სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების ან დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას).

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება – სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების ან დამრღვევისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოება.

სამშენებლო სამუშაოები – სამშენებლო მოედანზე შესრულებული საწარმოო პროცესები, შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან რემონტის მიზნით. იგი ორგვარია: საერთო-სამშენებლო და სპეციალური. ს. ს. იყოფა მთავარ, დამხმარე და სატრანსპორტო პროცესებად, ხოლო ტექნოლოგიური სირთულის მიხედვით – უმარტივეს, მარტივ და რთულ პროცესებად.

სამშენებლო სამუშაოს მოცულობა – დროის გარკვეულ პერიოდში შესრულებული სამუშაო ($მ^2$, $მ^3$, გრძ.მ., ცალი და სხვ.).

სამშენებლო საქმიანობა – ტერიტორიის სივრცითი მოწყობისა და დასახლებათა განვითარების დაგეგმარების დოკუმენტების მომზადების, არქიტექტურული პროექტების მომზადების, სამშენებლო მოედნის, შენობა-ნაგებობებისა და სხვა საჭირო კვლევების განხორციელების, შენობა-ნაგებობათა ან მათი ნაწილების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მომზადების, მშენებლობის წარმოებისა და სანებართვო პირობების შესრულების მთელი პროცესი.

სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი – სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ან განსახორციელებელი სამშენებლო საქმიანობის საექსპერტო შეფასებას.

სამშენებლო საქმიანობის ობიექტი – მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ძირითადი, დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები. ს. ს. ო. შექმნა და გამოყენება რეგულირდება კანონმდებლობისა და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით.

სამშენებლო საქმიანობის ძირითადი სპეციალისტები – ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, მიმდინარეობასა და ექსპლუატაციაში გადაცემას. მათ მიეკუთვნება: ა) ტერიტორიისა და დასახლებათა დამგეგმარებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ტერიტორიის სივრცითი მოწყობისა და დასახლებათა განვითარების დაგეგმარებას; ბ) გეოდეზისტი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ტერიტორიის აგეგმვასა და შენობა-ნაგებობების დაკვალვას; გ) ინჟინერ-გეოლოგი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს მიწის ნაკვეთისა და საჭიროების შემთხვევაში მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას; დ) არქიტექტორი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების სივრცით-გეგმარებით დაპროექტებას, შეიძლება იყოს: შენობა-ნაგებობის, ლანდშაფტის, ინტერიერის/დიზაინის ან/და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არქიტექტორი; ე) შენობა-ნაგებობების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების კონსტრუქციული სისტემებისა და ელემენტების დაპროექტებას; ვ) წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს წყლისა და წყალარინების

სისტემების დაპროექტებას; ზ) ელექტროსისტემების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ელექტროსისტემების დაპროექტებას; თ) მექანიკური სისტემების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მექანიკური სისტემების დაპროექტებას; ი) გათბობა-ცხელი წყლით მომარაგების სისტემების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების გათბობა-ცხელი წყლით მომარაგების სისტემების დაპროექტებას; კ) აირმომარაგების სისტემების ინჟინერ-დამპროექტებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს აირმომარაგების სისტემების დაპროექტებას; ლ) შენობა-ნაგებობების ინჟინერ-მშენებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობას; მ) ხაზობრივი ნაგებობების ინჟინერ-მშენებელი – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ხაზობრივი ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობას; ნ) წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს წყლისა და წყალარინების სისტემების მონტაჟს; ო) ელექტროსისტემების მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ელექტროსისტემების მონტაჟს; პ) მექანიკური სისტემების მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მექანიკური სისტემების მონტაჟს; ჟ) გათბობა-ცხელი წყლით მომარაგების სისტემების მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების გათბობა-ცხელი წყლით მომარაგების სისტემების მონტაჟს; რ) აირმომარაგების სისტემების მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს აირმომარაგების სისტემების მონტაჟს. ეს სპეციალისტები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ მომზადებული დოკუმენტისა და შესრულებული სამუშაოს მართებულობაზე.

სამშენებლო ტექნიკა – მანქანები, მექანიზმები, ინსტრუმენტები, აპარატურა სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის. მათ მიეკუთვნება: ამწე, მიწასათხრელი მანქანები, ბულდოზერები, სატვირთო ავტოტრანსპორტი, ბეტონსაზელი კვანძი, კომპრესორები, სტენდები, ელექტროშემდუღებელი მოწყობილობა, გეოდეზიური ხელსაწყოები და სხვ.

სამშენებლო ტვირთი – შენობა-ნაგებობების ასაგებად სამშენებლო მოედანზე მიწოდებული მასალები და ელემენტები. ფიზიკური და გეომეტრიული მახასიათებლების მიხედვით ის 9 სახეობად იყოფა: 1) ფხვიერი (ქვიშა, ხრეში, ღორღი, გრუნტი, სამშენებლო ნაგავი); 2) ფხვნილისებრი (ცემენტი, თაბაშირი, კირი, ცარცი, გაჯი, პლასტიფიკატორი, საღებავი); 3) ცომისებრი (ბეტონის ნარევი, დუღაბი, კირის ცომი, საგოზავი); 4) წვრილცალობითი (აგური, ბლოკი, რიყის ქვა, იატაკის ფილა, საღებავი კასრით, ტვირთი ტომრებსა და ყუთებში, ჩასატანებელი დეტალი, შუადი, ქვესადები, ანკერი და სხვ.); 5) ცალობითი (კარ-ფანჯრის ბლოკი, რკ.ბ.-ის პანელი, გადახურვის ფილა); 6) ზომაგრძელი (რკ.ბ.-ს, ლითონისა და ხის სვეტი, წამწე, კოჭი, რიგელი, კავშირის ელემენტები, მილი, ხის მასალა); 7) მსხვილმოცულობითი (სანტექნიკური კაბინა, ბლოკ-ოთახი, ლიფტის შახტის ბლოკი, მსხვილგაბარიტიანი კონტეინერი); 8) თხევადი (ბენზინი, ნავთი, საპოხი მასალები, პლასტიფიკატორი, საღებავი); 9) მძიმეწონიანი (რკ.ბ.-ის კონსტრუქცია, ტექნოლოგიური მოწყობილობა, სამშენებლო მანქანა, ყალიბი, ვიბრომოედანი და სხვ.).

სამშენებლო ურნალი – 1. ხიმინჯსასობი მოწყობილობის დამჭერი, აგრეთვე გრუნტში ჩასობისას ხიმინჯის მიმმართველი მანქანა. კონსტრუქციის მიხედვით არსებობს კოშკური (სტაციონალური) და ამწეს სახის (თვითმავალი); 2. იხ. ურნალი.

სამშენებლო ფიზიკა – სამეცნიერო დისციპლინათა კომპლექსი (გამოყენებითი ფიზიკის ნაწილი), რომელიც შეისწავლის შემომზღუდავ და სხვა კონსტრუქციებში, ნაგებობებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს, რომლებიც დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და ექსპლუატაციის რეჟიმზე. ძირითადი ნაწილებია – სამშენებლო კლიმატოლოგია; სამშენებლო თბოტექნიკა; სამშენებლო აკუსტიკა; სამშენებლო შუქტექნიკა.

სამშენებლო ფილა მინაკრისტალური – ფილა, რომელიც მზადდება უფერო ან ფერადი მინის გრანულების თერმოდამუშავებით (შეცხობით) კაჟმიწასთან ერთად. გარე ზედაპირი პრიალდება ცეცხლის მეშვეობით, რის შედეგად ფილა იღებს ბუნებრივი ქვის ფაქტურას. მისი ზომებია: 150x300 მმ და 300x300 მმ. გამოიყენება კედლების მოსაპირკეთებლად და იატაკების მოსაწყობად.

სამშენებლო ფილა მინამოზაიკური – დაყუჩებული ფერადი წვრილი ფილა ზომებით 21x21x5 მმ. მზადდგება გლინვით. გამოიყენება ფასადის მოსაპირკეთებლად და თემატური პანოს მოსაწყობად. არსებობს სხვადასხვა ფერის, პრიალა, გლუვი, დაღარული ფაქტურით და სხვ.

სამშენებლო ფოლადი – დაბალნახშირბადიანი ჩვეულებრივი ხარისხის ფოლადი. ხასიათდება კარგი შედუღებადობითა და დამაკმაყოფილებელი მექანიკური თვისებებით (დამატებითი თერმული დამუშავების გარეშე).

სამშენებლო ქაფ-ცემენტი მაკროფლექსი – შემკვრელი მზა მასალა პოლიურეთანის საფუძველზე (ნახ. 1). გამოიყენება საშენი მასალების, დეტალების, ელემენტების შესაერთებლად, ბლოკების წყობის აღსადგენად, კარის, ფანჯრის ბლოკების, რაფების დასამონტაჟებლად. კარგ ჰერმეტიზაციას უკეთებს პირაპირებს, აუმჯობესებს კონსტრუქციების თბო- და ბგერაიზოლაციას. სამუშაოთა წარმოების ტემპერატურული დიაპაზონი: –5°C-დან +35°C-მდე. სიმკვრივე – 20 კგ/მ3; შეკვრის ხანგრძლივობა – 5-9 წთ; სრული გამყარების დრო – 30 წთ; შეკლება – 5%; წყალშთანთქმა – 1% 24 საათში, 10% – 28 დღეში; ბგერაშთანთქმადობა – 60 დეციბელი; სრული გამყარების შემდეგ მუშაობის ტემპერატურული დიაპაზონი – –40-დან +90°C-მდე.

ნახ. 1

სამშენებლო ყალიბი – დამხმარე კონსტრუქცია ხის, ლითონის ან სხვა მასალისაგან, ბეტონის, რკ.ბ.-ის, გრუნტისა და სხვა სამშენებლო დუღაბებისათვის გარკვეული პარამეტრების (ფორმა, გეომეტრიული ზომები, მდებარეობა სივრცეში, ზედაპირის სტრუქტურა და სხვ.) მისაცემად. ყალიბი ან ყალიბების სისტემა შედგება ფორმაწარმომქმნელი ელემენტებისგან, რომელიც იჭერს კონსტრუქციასა და მაკავშირებლებს. დუღაბის გამყარების

ნახ. 1

შემდეგ, როგორც წესი, ახდენენ განყალიბებას. არსებობს სტაციონალური ყალიბიც, რომელიც რჩება ადგილზე და კონსტრუქციის ნაწილს შეადგენს. ს. ყ. უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცის, გეომეტრიული ზომების სტაბილურობისა და სივრცეში მდებარეობის მოთხოვნებს. ყალიბზეა დამოკიდებული აგრეთვე მონოლითური კონსტრუქციების ზედაპირის ხარისხი. მოსახსნელი ს. ყ. კლასიფიცირდება ფუნქციური დანიშნულების, კონსტრუქციისა და მასალის მიხედვით. დანიშნულების მიხედვით არსებობს ს. ყ. სახეები: გადახურვის, კედლის, კოლონის, საძირკვლის, ლიფტის შახტისა და ა.შ.; მასალის მიხედვით – ხის (ნახ. 1. ხის ყალიბი), ფოლადის, ალუმინის, ფანერის (ნახ. 2. ფანერის ყალიბი), პლასტმასის; კონსტრუქციის მიხედვით – ჩარჩოვანი, კოჭური და კარკასული სისტემის. გადახურვის ყალიბის მოწყობისათვის (ნახ. 3. გადახურვის ყალიბი) გამოიყენება ტელესკოპური დგარები, აღჭურვილი გარე კუთხვილიანი ქუროებით, რომლითაც ადვილად მიიღწევა დგარის საჭირო სიმაღლე. მშენებლობაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული ხის ყალიბი მონტაჟის სიმარტივისა და მასალის სიმსუბუქის გამო. ალუმინისა და ფოლადის ყალიბი ღირებულებით ბევრად აჭარბებს ხის ყალიბს, ამიტომ ისინი ძირითადად გამოიყენება დიდი და საპასუხისმგებლო ნაგებობებისათვის. ხშირად მიმართავენ ფანერის ყალიბის გამოყენებასაც. ლითონის ყალიბის შიგა ზედაპირი მოთუთიებული ან გალვანიზებულია ფხვნილოვანი საფარვლით, რაც იცავს ფოლადს კოროზიისაგან და უზრუნველყოფს ყალიბის სწრაფ გასუფთავებას. ალუმინის ყალიბი მსუბუქია და კარგი მოსახმარია, მაგრამ სწრაფად კარგავს საწყის გეომეტრიას და თანაც ბევრად ჩამორჩება ფოლადის ყალიბს განმეორებადობით და რემონტიც პრაქტიკულად შეუძლებელია. სტაციონალური ყალიბებისთვის უმეტესად იყენებენ ფოლადს ან ქაფპოლისტირენს. ჩარჩოვანი სისტემები შედგება ფარების, საყრდენი ელემენტების, ჭანჭიკოვანი შეერთებებისა და მაკავშირებლებისგან (ნახ. 4. ლითონის მოდულური ჩარჩოვანი ყალიბი); ლითონის კარკასი უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიხისტეს, აჩქარებს და ამსუბუქებს მოდულური ელემენტების მონტაჟს. კოჭოვან სისტემაში შედის კოჭები, საყალიბე ფილები, კავშირისა და საყრდენი ელემენტები, რიგელი, ხარაჩოები და ხე-ტყე. გვირაბებისათვის გამოიყენება მრუდე ზედაპირის მქონე ფოლადის მოსახსნელ-გადასატანი ფარები, რომელთა მეშვეობით სერიულად აწარმოებენ ერთნაირი სექციების დაბეტონებას. მონტაჟი მიმდინარეობს ამწის მეშვეობით.

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

სამშენებლო შუქტექნიკა – 1. სამშენებლო ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მშენებლობასა და არქიტექტურაში სხივური ენერგიის სპექტრის ოპტიკური ნაწილის გამოყენებას; 2. სამშენებლო ტექნიკის ნაწილი, რომელიც ამუშავებს ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი გამოსხივებების გამოყენებას შენობათა და შემომზღუდავი კონსტრუქციების დაპროექტებისას; განათების გამოყენებას უტილიტარული და სამხატვრო მიზნებისთვის. შუქტექნიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დაპროექტების მეთოდები და განათების დაყენება.

სამშენებლო წარმოება – მოსამზადებელი და ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების კომპლექსის შესრულება ყველა ტიპის შენობებისა და ნაგებობების აგების, რეკონსტრუქციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და კაპიტალური რემონტისათვის, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში.

სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამშენებლო სამუშაოების თანამიმდევრობასა და მეთოდებს, რომლის შედეგია სამშენებლო წარმოების პროდუქცია სამრეწველო, სამოქალაქო, საცხოვრებელი შენობების, გზების, ხიდების, კაშხლების, ელექტროსადგურების, მილსადენებისა და ა.შ. სახით. შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისას სრულდება ზოგადსამშენებლო, სპეციალური და სამონტაჟო სამუშაოები, შედგენილი სხვადასხვა მარტივი და რთული სამშენებლო პროცესებისგან, რომელიც არის მშენებლობასთან დაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობა. ს. წ. ტ. განიხილავს მშენებლობის ტექნიკურ საშუალებებს, ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს, შრომით რესურსებს, საორგანიზაციო და ეკონომიკური ურთიერთკავშირის სისტემას, მშენებლობის უსაფრთხოებას, ეფექტურობას, მასალებს, ხანგრძლივობას, მოცულობებსა და სხვ.

სამშენებლო წიაღისეულის ჯგუფი – გრანიტი, გნეისი, კირქვა, მარმარილო, თიხა, ხრეში, ქვიშა, თიხნარი და სხვ.

სამშენებლო ხის ფილა – 1. ძელაკებისა და ლარტყებისგან შედგენილი ხის ფილა (ნახ. 1), რომელიც გარეგნულად ჩამოჰგავს მერქანბურბუშელოვან ფილას, მაგრამ მისგან ძირეულად განსხვავდება. სისქეში ერთნაირი და სიგანეში სხვადასხვა ზომის ხის ელემენტები წებდება და იფარება მოსაპირკეთებელი მასალით (შპონი, მერქანბოჭკოვანი ან მერქანბურბუშელოვანი ფილა). შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის პლასტიკების გამოყენებაც. რადგანაც ასეთ ფილაში წებოს მცირე რაოდენობაა, ის საკმაოდ მსუბუქი მასალაა და ერთდროულად მტკიცეა. მას მშენებლობის გარდა წარმატებით იყენებენ ავეჯის წარმოებაშიც; 2. წიწვოვანი ჯიშის ხის ნაფოტებისგან (ანათალი, ბურბუშელა) დამზადებული საშენი მასალა (ნახ. 2), რომელიც გამოიყენება სახურავის, იატაკის, შიდა და გარე კედლების ასაშენებლად და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

სამშენებლო ჯალამბრები – ჯალამბრები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ასაწევი-სატრანსპორტო ოპერაციების შესასრულებლად, ლითონის კონსტრუქციებისა და მოწყობილობების დასამონტაჟებლად, ურნალებისა და საწველების დაკომპლექტებისათვის და სხვა სახის სატვირთავ-გასატვირთი სამუშაოების შესასრულებლად. ს. ჯ. შეიძლება იყოს: სამანევრო, ფრიქციული, ხელის, ბერკეტული და სხვ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები – ახალი მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, საწარმოთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის, აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოები. არსებობს ს.-ს. ს. სახეები: ბეტონის, ბურულის, მიწის, რკინაბეტონის, საბათქაშე, სამღებრო, ქვისა და სხვ.

სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთი – ნაკვეთი, რომელიც მოქცეულია შემდეგი კონკრეტული ფუნქციური ზონების საზღვრებში: ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა; ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა; გ) სარეკრეაციო ზონა; დ) სპეციალური ზონა; ე) სატრანსპორტო ზონა 1; ვ) სანიტარიული ზონა; ზ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2. ს. შ. მ. ნ. დაშვებულია ტერიტორიის ძირითადი ფუნქციით განპირობებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა, აგრეთვე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქვეყნის მოქალაქეების, ოჯახების (კომლების) კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მათ შორის, საკომლო მეურნეობის მიწის ნაკვეთებზე. სხვა დანარჩენი ობიექტების მშენებლობისათვის საჭიროა განაშენიანების რეგულირების გეგმით შესაბამისი ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება. განვითარების პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით, მათ შორის, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.

სამძიმი – გადახურვებში დიდი ქვების ან მოსაკირწყლავი მძიმე და მსუბუქი სისტემების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება აწევის მედეგობისთვის გადახურვის ისეთ სისტემებში, რომლებიც არაა მიწებებული ან მექანიკურად დამაგრებული სახურავის ფენილზე.

სამწახნაგა – 1. ერთი წერტილიდან გამოსული სამი არაკოლინეარული ვექტორისგან შექმნილი გეომეტრიული ფიგურა; 2. სამწახნაგა, რომელსაც ქმნის სივრცითი წირის ყოველ წერტილში გავლებული მხების, ნორმალისა და ბინორმალის მგეზავი ერთეულოვანი ვექტორი. ეს ვექტორები ურთიერთმართობულებია და შეიძლება ისინი მივიღოთ კოორდინატთა სისტემის ღერძებად. ამ სისტემას უწოდებენ კოორდინატთა ბუნებრივ სისტემას ანუ ბუნებრივ სამღერძს აღებულ წერტილში.

სამწევრისის ტაძარი (ინგლ. Samtsevrisi Orthodox Church) – სამწევრისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, მისგან დასავლეთით 4,5 კმ-ში, სოფელ სამწერისის მახლობლად (ნახ. 1, ნახ. 2: საერთო ხედი). ნაგებობა დგას სამსაფეხურიან ცოკოლზე, რომლის ქვეშ განიერი ბაქანი კლდეს ემყარება. სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია თავისუფალი ჯვრის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (9,6×8,8 მ, სიმაღლე გუმბათქვეშ 10,6 მ), ნაშენია მონაცრისფრო-მოყვითალო ქვიშაქვის კარგად გათლილი მოზრდილი კვადრებით.

ნახ. 1

გეგმის ჯვრისებრი მოხაზულობა მკაფიოდაა გამოვლენილი ინტერიერში და გარე მასებშიც. ნაგებობის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძი რამდენადმე წაგრძელებულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. ეკლესიის ინტერიერი წარმოადგენს ერთიან სივრცეს. ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატში ყოველი მკლავის წინ დამატებულია განიერი თაღი. კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების სისტემით. ინტერიერში სარკმლების განთავსება მხატვრულად გააზრებულია: ერთი აღმოსავლეთითაა, საკურთხეველში, მეორე – სამხრეთით, შესასვლელის თავზე, მესამე – დასავლეთით, კამარასთან. სარკმლების განლაგების დონე თანდათან მაღლდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ამით მიღწეულია შიდა სივრცის თანაბარი განათება. ჯვრის მკლავები გადახურულია ცილინდრული კამარებით. გუმბათის სფეროში რელიეფური ჯვარია. ეკლესიის ფასადებისა და ინტერიერის მხატვრულ-ტექნიკური გამომხატველობა მიღწეულია ოსტატურად ამოყვანილი კედლის სიბრტყეებით. მკაცრად არის დაცული წყობის რიგების ჰორიზონტალური სწორხაზოვნება. ფასადებზე შემკულობით ხაზგასმულია მხოლოდ შესასვლელი და სარკმლები (ნახ. 3. საკურთხევლის სარკმელი არქიტექტურული დეტალით). გუმბათის ყელში გაჭრილი ვიწრო სარკმლები მოურთველია, რადგან ისინი ქვევიდან ძნელად იკითხება. ძეგლზე შემორჩენილია ორი წარწერა. პირველი (აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის სათაურის ქვემოთ) X საუკუნისაა და სოფელ სამწერისში არხის გაყვანას გვაუწყებს; მეორე (სამხრეთ ფასადის ზემო მონაკვეთში) უშუალოდ ტაძარს ეხება: "მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდვნეს ღმერთმან. ზედამდეგს ცოდვილს საბას შეუნდვნეს ღმერთმან". XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ამ ადგილის მფლობელებს – ფანასკერტელ-ციციშვილებს (კერძოდ, მერაბ ციციშვილს) ეკლესია შეუკეთებიათ და უკურთხებიათ წმინდა გიორგის სახელზე (თავდაპირველად წმ. ჯვარი ეწოდებოდა). წარწერაში მოხსენიებული ზედამდეგი საბა ეკლესიის განახლებას ხელმძღვანელობდა. ტაძარი გადახურული იყო კრამიტით. თავდაპირველ კრამიტთან ერთად გვხვდება XV-XVI საუკუნეების და XIX საუკუნის კრამიტიც. ძეგლი საგრძნობლად დააზიანა 1940 წლის ძლიერმა მიწისძვრამ, რის შემდეგაც მას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა (ხელმძღვანელი არქიტექტორი ლევან ხიმშიაშვილი).

ნახ. 2

ნახ. 3

სამჭედლო ინსტრუმენტი – ინსტრუმენტი ხელით და მანქანური ჭედვისათვის. სამჭედლო-საშტამპავი სამუშაოების შესრულებისას გამოიყენება, როგორც გადასაადგილებელი, დამჭერი, მომჭერი, გამზომი ხელით ჭედვის სამჭედლო ინსტრუმენტები (გრდემლი, სანგი, ხელჩაქუჩი, მარწუხი, სახვრეტელა, ღოჯი, ქვესარტყამი, მოსაჭიმი), ისე სტაციონალური მანქანური ჭედვის სამჭედლო ინსტრუმენტები (ბრტყელი საცემი, ამოჭრილი საცემი, მომრგვალებული საცემი, მოსაჭიმი, საბრტყელებელი, გამწევი, ვაზნა და სხვ).

სამხატვრო გალერეა – შენობა, სადაც ეწყობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა (ნახ. 1. ალბერტის ულტრათანამედროვე სამხატვრო გალერეა, ქ. ედმონტონი, კანადა).

ნახ. 1

სამხოლოებელი ლენტი (იზოლენტი) – ლენტი, გაჟღენთილი წებოვანი რეზინით. არსებობს მისი მრავალი სახეობა: ქარსის, მინაქსოვილის (უძლებს 200°C ტემპერატურას), ქაღალდის, პოლიეთერული, პოლიამიდური, პოლიტეტრაფთორ-ეთილური, ეპოქსიდური, აცეტატური ქსოვილის, პოლივინილქლორიდის საფუძველზე და სხვ. ლენტი, გაჟღენთილი წებოვანი რეზინით. გამოიყენება სადენების (გაყვანილობების) ელექტროსაიზოლაციოდ.

სამხრე – რიზალიტი; შენობის გამოწეული ნაწილი.

სანაგვე (ნაგავსაყრელი) – ადგილი, სადაც ყრიან სხვადასხვა ნარჩენებს.

სანაგირის მონასტერი (ინგლ. Sanagire Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X-XI საუკუნეების მონასტერი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბნის მახლობლად, ტყეში (ნახ. 1. საერთო ხედი). მონასტრის ძირითადი ნაგებობებია: წმინდა გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა (X-XI სს.), მასზე მიდგმული ერთნავიანი ბაზილიკა (შუა საუკუნეები), სატრაპეზო (ნანგრევები) და გალავანი. სამნავიანი ბაზილიკა ნაგებია აგურით, რიყისა და შირიმის ქვით. კომპლექსს აშკარად ეტყობა ბიზანტიური არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის გავლენა. გადმოცემის მიხედვით სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ეკლესია მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაზეა დაშენებული. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია გორგასლისეული გვირაბები და გალავნის ნაშთი. ინტერიერი თავდაპირველად მთლიანად მოხატული ყოფილა. მხოლოდ დასავლეთის კედელზეა შემორჩენილი იესოს და ღვთისმშობლის ფრესკები. დროთა განმავლობაში ეკლესია საკმაოდ დაზიანდა. განადგურდა სატრაპეზო, გალავანისა და მოხატულობის დიდი ნაწილი. ამჟამად ეკლესია რესტავრირებულია ავთენტურობის სრული შენარჩუნებით. მიშენებული ერთნავიანი ეკლესია ორგანულადაა შერწყმული მთავარ ტაძართან.

ნახ. 1

სანავიგაციო სისტემა – ელექტრონული სისტემა დაყენებული სატრანსპორტო საშუალებაზე მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტის დასადგენად. მისი სახეობებია: საავიაციო, საავტომობილო და საზღვაო.

სანათლავი – ცალკე შენობა ან ტაძრის ნაწილი, სადაც ხდება ნათლისღება.

სანათური – 1. სარკმელი, მცირე სასინათლო ღიობი; 2. სხვადასხვა სახის სანათი არმატურა. ის შეიძლება იყოს ღია, გადახურული, მტვერშეუღწევი, ჰერმეტული, აფეთქებისგან დაცული და სხვ.

სანაპირო – 1. ნაგებობა, რომელიც გარს ეკვრის წყალსატევის ნაპირს და იცავს მას წარეცხვისაგან; 2. გასასვლელი წყალსატევის ნაპირის გასწვრივ; 3. წყლის ნაპირას მდებარე ტერიტორია (ქვეყანა, მხარე); 4. კედლით ამოშენებული წყლის ნაპირი; ასეთ ნაპირას გამავალი ქუჩა; 5. საერთოდ რისამე განაპირას მდებარე ადგილი; 6. საზღვართან მდებარე ადგილი; სასაზღვრო.

სანარდო – ნარდად მუშაობისათვის განკუთვნილი.

სანარდო ვაჭრობა – მოიჯარის არჩევანი შესასრულებელ სამუშაოსა და გაწეულ მომსახურებას შორის კონკურენციის პირობებში.

სანატორიუმი (ლათ. sanatorium<sanare მკურნალობა, წამლობა, განკურნება) – სამკურნალო-დასასვენებელი დაწესებულება აგარაკზე.

სანაყარო – ადგილი, სადაც თავსდება ფუჭი ქანი.

სანაყი – პატარა წისქვილი ქვის მასალის გასაფხვიერებლად და დასამუშავებლად.

ნახ. 1

სანგარი – 1. გრძელი და ვიწრო თხრილი (ტრანშეა) მიწაში მოწინააღმდეგის ტყვიებისგან თავდასაცავად (ნახ. 1); 2. ჭა, დატოვებული ბეტონის საძირკველში ან იატაკში საანკერო ჭანჭიკების ან მოწყობილობების დასაყენებლად; 3. ძვ. მცირე ზომის მიწის საფორტიფიკაციო ნაგებობა საარტილერიო იარაღის დასაცავად.

სანგი – 1. დიდი ურო (ფოლადის, რკინის, თუჯის) ხელით ჭედვისთვის; 2. ძვ. რკინის დიდი კვერი.

სანგრევი – ექსკავატორით სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავების ადგილი, რაც მოითხოვს ს. სიმაღლის სწორად შერჩევას, რათა არ მოხდეს გრუნტის ჩამოქცევა ტრანსპორტში გრუნტის ჩატვირთვისას. პირდაპირი ნიჩბით მუშაობა შეიძლება წარმოებდეს ორი ხერხით: გვერდითი სანგრევით – სატრანსპორტო გზების განლაგებით ექსკავატორის გავლის გასწვრივ და შუბლური ს. – ტრანსპორტის მიწოდებით ექსკავატორის უკანა მხრიდან თხრილის ძირში. ს. სიგანე და მანძილი გზის ღერძსა და ექსკავატორის გრძივ ღერძს შორის უნდა უზრუნველყოფდეს ბაქნის მობრუნებას გეგმაში მინიმალური კუთხით.

სანდალის ხე (ლათ. pterocarpus santalinus) – მარადმწვანე არომატულმერქნიანი ტროპიკული ხე, რომლის მერქანი მდიდარია ეთეროვანი ზეთებით. გამოიყენება სანაკეთო სამუშაოებისთვის და წითელი ფერის საღებავის მისაღებად.

სანდარაკი (ბერძ. sandarake წითელი დარიშხანა, თაგვისწამალი) – ყვითელი ფისი, რომელსაც იღებენ კვიპაროსის ოჯახის ზოგი ხისგან; მისგან დამზადებულ ლაქებს იყენებენ სურათების დასაფარავად (ფერწერაში), მუყაოს გასაჟღენთად და სხვ.

ნახ. 1

სანდრიკი – კარის ან ფანჯრის ღიობის თავზე მოთავსებული მცირე ზომის კარნიზი ან ფრონტონი, რომელიც ზოგჯერ ეყრდნობა ორ კონსოლს. ს. კლასიკური არქიტექტურული ფორმაა, რომელიც გამოიყენება, როგორც ინტერიერის, ასევე ფასადის დამუშავებისას (ნახ. 1).

სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი.

ნახ. 1

სანთურა – აირისებრი, თხევადი ან მტვრისებრი სათბობისა და ჰაერის ან ჟანგბადის ნარევის შესაქმნელი და დაწვის ადგილზე მისი მისაწოდებელი მოწყობილობა (ნახ. 1). ს. მიეკუთვნება: აირის სანთურა, ფრქვევანა და მტვრისებრი სათბობისთვის განკუთვნილი სასანთურე მოწყობილობა.

სანიავებელი – იხ. ვენტილატორი.

სანიაღვრე კანალიზაცია – წყალშემკრებების, მილების, არხებისა და კოლექტორების სისტემა, სახურავებიდან და მოედნებიდან ჩამონადენი წყლის მოსაგროვებლად და გასაყვანად ტერიტორიიდან (ნახ. 1). ასეთი სისტემები ეწყობა ინდივიდუალურ ნაკვეთებზე, შენობების ჯგუფის, ქუჩებისა და სამრეწველო კომპლექსებისათვის. არსებობს წვიმის წყლის ტერიტორიიდან გაყვანის სისტემის სამი ტიპი: 1) დახურული წყალსარინი – რთული ვარიანტი, რომლის განსახორციელებლად საჭიროა ს. კ. სერიოზული ჰიდრავლიკური გაანგარიშება. ამ შემთხვევაში, წყალი იკრიბება სპეციალურ წყალშემკრებებში, შემდეგ გადადის მილების სისტემაში, რომლებშიც გადაადგილდება თვითდინებით (ან ტუმბოებით), შემდეგ კი კოლექტორის მეშვეობით ჩაედინება წყალსატევებში, ხრამებში ან სადრენაჟო სისტემებში. ასეთი სისტემა უმეტესად მონტაჟდება ქალაქის ქუჩებში ან სამრეწველო საწარმოების ტერიტორიაზე; 2) ღია წყალსარინი – მარტივი ვარიანტი, რომლის განსახორციელებლად წყლის შეკრება და ტერიტორიიდან გაყვანა ხდება კოლექტორის მიმართულებით დახრილი ქანობის არხებში ჩაწყობილი ღარების მეშვეობით (ნახ. 2). ძირითადად გამოიყენება კერძო ნაკვეთის კეთილმოწყობისთვის; 3) შერეული წყალსარინი – სადაც ერთდროულადაა გამოყენებული ღია და დახურული წყალსარინი სისტემები (ნახ. 3). ასეთი წყალსარინები კეთდება დახურული წყალსარინების მოწყობისთვის ფინანსური დანახარჯების შემცირების მიზნით.

ნახ. 1



ნახ. 2

ნახ. 3

სანიველირე ნიშანი – ტერიტორიაზე (მიწაზე) ჩამაგრებული ნიშანი გეოდეზიური წერტილის ფიქსაციისთვის, რომლის სიმაღლე განსაზღვრულია ნიველირებით. ს. ნ. სახეებია: ფუნდამენტური რეპერი, გრუნტის რეპერი, საკედლე თუჯის ნიშანი (მარკა), საკედლე თუჯის რეპერი.

სანიტარია (ლათ. sānitās ჯანმრთელობა) – სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა.

სანიტარულ-დამცავი ზონა – ზონა, რომელიც სამრეწველო საწარმოს გამოყოფს სამოსახლო ტერიტორიისაგან. ს.-დ. ზ. დადგენა აუცილებელი მოთხოვნაა სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს. ამ ზონის სიგანე მიიღება სამრეწველო წარმოების მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების გათვალისწინებით.

სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმი – საშენ მასალათა მრეწველობაში ერთ-ერთი ქვედარგის პირობითი სახელწოდება, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სათავსების სანიტარულ კეთილმოწყობას (უნიტაზი, პირსაბანი, სიფონი, სასაპნე, ჩამრეცხი ავზი და ა.შ.).

სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები – სამშენებლო სამუშაოები დაკავშირებული შენობაში გათბობის, ვენტილაციის, სითბოს, გაზმომარაგების, წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის სისტემების დამონტაჟებასთან. განარჩევენ ს.-ტ. ს. ორ ძირითად ჯგუფს: გარეთას, რომელიც მოიცავს დასახლებული პუნქტებისა და საწარმოების გარე ქსელების ჩაწყობას და წყალმომარაგებისა და კანალიზაციისათვის სათავო ნაგებობების მშენებლობას და შიგას, რომელიც ითვალისწინებს სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობებში სანიტარულ-ტექნიკური, გათბობა-ვენტილაციისა და გაზის მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს.

სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები – სამშენებლო ობიექტზე შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნა.

სანიტარული კვანძი – მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა, რომელშიც განლაგებულია სანიტარული ხელსაწყოები, მათთან დაკავშირებული მილსადენები და სხვა მოწყობილობა (საპირფარეშო, სააბაზანე, საშხაპე, სამრეცხაო და სხვ.). ინდუსტრიული ხერხით აგებული შენობებისთვის არსებობს სპეციალური სანიტარული ბლოკები, რომელიც წარმოადგენს ბეტონის პანელს სისქეში ჩატანებული სანიტარული დანიშნულების მილებით.

სანიტარული ტექნიკა – წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის, განიავების, თბომომარაგების, აირმომარაგებისა და სხვ. სისტემების ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა.

სანიტარული ხელსაწყოები – ჩამდინარი წყლების მიმღებები (უნიტაზი, ნიჟარა, ბაკანი და სხვ.), რომლებსაც დგამენ საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და საწარმოო შენობებში. ს. ხ. უერთებენ წყალსადენისა და კანალიზაციის შიგა ქსელებს, დგამენ სააბაზანოებში, პირის დასაბან და საშხაპე სათავსებში, ტუალეტისა და საპირფარეშოს სათავსებში, სამზარეულოში. ს. ხ. დასამზადებლად გამოიყენება მომინანქრებული თუჯი, კერამიკა, მომინანქრებული ფურცლოვანი ფოლადი, პლასტმასები და სხვ. ს. ხ. აყენებენ აგრეთვე წყალდასახარჯავ არმატურაზე წყლის ხარჯის დასაფიქსირებლად, საკანალიზაციო სიფონებზე – გაჭუჭყიანებული ჰაერისგან სათავსის დასაცავად და სხვ.

სანკვანძი შეთავსებული – სათავსი, გაწყობილი უნიტაზით, აბაზანითა (ან შხაპით) და პირსაბნით.

სანტექნიკა – სხვადასხვა სახის ნაკეთობა, რომელიც წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერებისა და ნაგავგამტარების მოსაწყობად გამოიყენება. სანტექნიკურ ნაკეთობებს მიეკუთვნება: აბაზანა, ხელსაბანი, ნიჟარა, ბიდე, ხელსაბანი, ნიჟარა, უნიტაზი, კარი, კაფელი, მეტლახი, საშხაპე კაბინა, პისუარი, შხაპი, ონკანი, ფიტინგი, ლამინანტი, ბუნებრივი ქვის ფილები, ვენტილები, ლითონისა და პლასტმასის მილები და ა.შ.

სანტი (ლათ. centum ასი) – ერთეულის დასახელების თავსართი: სანტიმეტრი; სანტილიტრი. 1 სმ = 10^{-2} მ; 1 სლ = 10^{-2} ლ.

სანტიმეტრი (ფრანგ. centimètre<ლათ. centum ასი და ბერძ. métron გაზომვა) – სიგრძის ძირითადი ერთეული ერთეულთა CGS სისტემაში; ტოლია 0,01 მეტრისა.

სანქცია (ლათ. sanctio დაკანონება, დაწესება) – 1. ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს; 2. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; 3. ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო ღონისძიებები გამოყენებული საერთაშორისო სამართალში იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს საერთაშორისო ხელშეკრულებები; 4. მოწონება, დადასტურება, თანხმობა, ნებართვა.

საოპერაციო დანახარჯები – ხარჯები, რომლებიც საწარმოთა ძირითადი ანუ მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებაზე იხარჯება. საოპერაციოს მიეკუთვნება პროდუქციის დამზადებაზე ან მომსახურეობის გაწევაზე გაწეული მატერიალური და შრომითი დანახარჯები, კომერციული (მარკეტინგის) ხარჯები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.

საოპერაციო დღე – სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახდენს კლიენტურის, ან "კლიენტ-ბანკის" სისტემით ელექტრონული საგადახდო საბუთების მიღებას და ანგარიშსწორებას; საოპერაციო დღის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ბანკი.

საორბისი (ინგლ. Saorbisi) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საორბისის წმინდა გიორგის ეკლესია (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფიცესის სამხრეთით, მდ. თეძმის მარცხენა ნაპირას, მაღალ კლდოვან ბორცვზე.

ერთნავიანი დარბაზული ტიპის (17,0x12,5 მ) ეკლესია (ნახ. 2. გეგმა) ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. შემორჩენილია მაღალი ხარისხის მოხატულობის ფრაგმენტები. ყურადღებას იპყრობს ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმები (ნახ. 3). მაღალ ცოკოლზე მდგარი შენობის დასავლეთი ფასადი კლდოვან ფერდს გადაჰყურებს. სარკმლების საპირეები

შემკულია კარგად ნაკვეთი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. აღმოსავლეთის ფასადზე, ფრონტონის წვერში, გამოსახულია შუა საუკუნეების ქართული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი თანაბარმკლავებიანი ბოლნური ჯვარი ნახ. 4). მის ქვემოთ, სარკმლის თავზე, კედელში ჩასმული ქვის ფილაზე ამოკვეთილი ლაპიდარული წარწერა გვამცნობს ეკლესიის ამშენებლის ვინაობას (კახა ერისთავთ-ერისთავი) და აგების თარიღს (1152 წ.). ეკლესია შემოვლებული აქვს ქვის გალავანი. ეკლესია ამჟამად ძლიერ დაზიანებულია.

ნახ. 1



ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

საორთქლებელი – სითხის ასაორთქლებელი თბოგადამცემი აპარატი.

საოსტიგნე (საოსტიგნო) – საერთო სასადილო ან მისაღები ოთახი მონასტერში; სატრაპეზო; სამზარეულო; საკუჭნაო.

საოჯახო საბავშვო ბაღი – დაწესებულება, სადაც უვლიან 2,5 წლის ან უფრო მცირე ასაკის ხუთზე მეტ ბავშვს.

საოჯახო სასტუმრო – გასაქირავებლად მოწყობილი ან გამოყენებული შენობა, სადაც უზრუნველყოფენ ან არ უზრუნველყოფენ კვებას. იგი არ წარმოადგენს ერთი ოჯახის საცხოვრებელ ერთეულს.

საპარადო – იხ. საზეიმო.

საპატიმრო – ტუსაღების დასამწყვდევი შენობა; საპყრობილე.

საპატრონიკე – პატრონიკე, პატრონიკონი, საქცეველი, ტრიფორიუმი; ტაძარში გრძივი თაღედის თავზე მოწყობილი ვიწრო ბაქანი, რომელიც მანდილოსნებისთვის იყო განკუთვნილი.

ნახ. 1

საპირე – 1. პირი; ფანჯრის, კარის ღიობის და მისთ. გლუვი ან დაპროფილებული ხის (ნახ. 1), ქვის, ბეტონის ან ლითონის მოჩარჩოება; 2. თამასა.

საპირე ქვა – ბუნებრივი ან ხელოვნური მოსაპირკეთებელი ქვა.

საპირფარეშო – 1. ოთახი, სადაც იცვამენ და ირთვებიან მსახიობები (თეატრში); 2. მორთვა-მოკაზმვისათვის განკუთვნილი; 3. ოთახი ან ნაგებობა ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საპირწონე – ტვირთი, რომელიც გამოიყენება მანქანებში მოქმედი ძალისა და მომენტის გასაწონასწორებლად. დანიშნულების მიხედვით გვხვდება მრავალი სახის: ამწევი, აწყობილი, ბორბლის, განმხოლოებული, მოძრავი, შეწონასწორებული, ჩამიწებული, ჭარბი და სხვ.

საპონიტი [ლათ. sapo (saponis) საპონი] – შრეული სილიკატების ქვეკლასის თიხოვანი მინერალი; აქვს ბენტონიტის თვისება. ფერი ყავისფერ-მოწითალო, ზოგჯერ თეთრი მოყვითალო, მომწვანო, მოწითალო შეფერილობით (ნახ. 1). ხშირად შეიცავს ნიკელის, მარგანეცის და ქრომის მინარევებს. ქიმიური ფორმულა (გამარტივებული) – $Mg_3[Si_4O_{10}](OH)_2.nH_2O$; სიმკვრივე – 2240-2300 კგ/მ^3; სიმაგრე მინერალური სკალის მიხედვით – 2,5. გამოიყენება მრეწველობაში ნავთობის გაწმენდისა და კრეკინგის დროს, სოფლის მეურნეობაში კომბინირებული საკვების დანამატად, ნიადაგის გამჟანგავად და სხვ.

ნახ. 1

საპოხი – ნივთიერება დატანილი საკონტაქტო ზედაპირებზე ხახუნის ძალის შესამცირებლად.

საპროგენური ბაქტერიები – ლპობის გამომწვევი ბაქტერიები.

საპროექტო დოკუმენტაცია – კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტთა ერთობლიობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის სამშენებლო კომპლექსისთვის, რაც წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთ საფუძველს.

საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – ექსპერტიზის სახეობა, რომელსაც ატარებს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება.

საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – ექსპერტიზის სახეობა, რომელსაც ატარებს იურიდიული პირი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

საპროექტო მოცემულობა – პროეტის შედგენის პირველი ეტაპი, რომელიც ასაბუთებს ნაგებობის ტექნიკურ შესაძლებლობას და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას.

საპროექტო ნიშნული – იხ. წითელი ნიშნული.

საპროექტო სამუშაოები – სამუშაოთა ერთობლიობა, რომლის შედეგად იქმნება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები.

საპროექტო სამუშაოების საწყისი მონაცემები – მონაცემები (დოკუმენტები, ინფორმაცია), რომელიც აუცილებელია საპროექტო სამუშაოების დასაწყებად. მას განეკუთვნება: ა) მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინფორმაცია); ბ) მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული რუკა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500, 1:1000); გ) მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა (ძირითადი მონაცემები); დ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების, მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნები, როდესაც მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების მოქმედების არეალში; ე) საჭიროების მიხედვით სხვა მონაცემები (დოკუმენტები, ინფორმაცია) კანონმდებლობის მოთხოვნით ან დამკვეთის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია – სპეციალური ნებართვა, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს ეწეოდეს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობას ლიცენზიით ნებადართული სამშენებლო სახეობების ჩამონათვალის შესაბამისად. ზემოაღნიშნული ლიცენზია მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. უცხო ქვეყნებში გაცემული ლიცენზიები განსახილველ ქვეყანაში არ მოქმედებს.

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის სახეობები – ა) საინჟინრო-საძიებო სამუშაოები; ბ) ქალაქთგეგმარება; გ) საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება; დ) სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება; ე) სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტება; ვ) ენერგეტიკის, ჰიდროტექნიკური და სამელიორაციო ობიექტების დაპროექტება; ზ) წყალსამეურნეო, საინჟინრო სისტემებისა და ქსელების დაპროექტება; თ) მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა; ი) ისტორიისა და კულტურის ძეგლების კონსერვაცია, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია, ადაპტაცია; კ) სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება; ლ) საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა; მ) სამრეწველო და საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა; ნ) ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობა; ო) საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა; პ) სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა; ჟ) ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა; რ) საკაბელო ხაზების, რადიო-სატელეფონო და სატელევიზიო-სარელეო ხაზების, რადიოსადგურების მშენებლობა; ს) სპეციალური ნაგებობების მშენებლობა; ტ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა; უ) ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა; ფ) ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და კომუნიკაციების მონტაჟი და გასაშვებ-გამმართავი სამუშაოები.

საპროექტო-საძიებო სამუშაოები – ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ, ლაბორატორიულ კვლევებთან, მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, კაპიტალურ შეკეთებასთან, აღდგენასთან, რესტავრაციასთან და საწარმოთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვასთან დაკავშირებული კომპლექსური ტექნიკური დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – დოკუმენტების კომპლექსი, რომელშიც მოცემულია პროექტის არსი და მისი მიზანმიმართულობისა და რეალიზაციის დასაბუთება; დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ მასალას და რომელიც განსაზღვრავს არქიტექტურულ, ფუნქციონალურ-ტექნოლოგიურ, კონსტრუქციულ და საინჟინრო-ტექნიკურ გადაწყვეტებს მშენებლობის, რეკონსტრუქციის, კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ტექნიკური გადაიარაღების, საინჟინრი კომუნიკაციების უზრუნველყოფისათვის. ს.-ს. დ. შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება ქვეყნის ნორმატიული დოკუმენტაციითა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ინსტრუქციებით. საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობაში შედის: განმარტებითი ბარათი, სამშენებლო მიწის ნაკვეთის გეგმა, არქიტექტურული გადაწყვეტები, კონსტრუქციები და არქიტექტურულ-მოცულობითი გადაწყვეტები, საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის ქსელები – ელმომარაგება, წყალმომარაგება, წყალარინება, გათბობა, განიავება და ჰაერის კონდიცირება, თბოქსელები, კავშირგაბმულობის ქსელები, აირმომარაგების სისტემა, ტექნოლოგიური გადაწყვეტები, საინჟინრო მოწყობილობების ავტომატიზაცია, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, ობიექტის დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი (საჭიროების შემთხვევაში), გარემოს დაცვის პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების ჩამონათვალი, კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ხარჯთაღრიცხვა.

საპროპელი (ბერძ. sapros დამპალი, ხრწნადი და pelos ლამი, შლამი) – დამდგარი მტკნარი წყალსატევების ლამიანი ნალექი, რომელიც უხვად შეიცავს ორგანულ ნივთიერებებს კოლოიდურ მდგომარეობაში. წარმოადგენს წყალმცენარეების, ცოცხალი ორგანიზმების, პლანქტონისა და ნიადაგის დამპალი ნაწილაკების ნარჩენს (ნახ. 1). მდიდარია ორგანული ნივთიერებებით – ჰუმუსით. მოიპოვება წყალსატევების ფსკერიდან ამწე მანქანების მეშვეობით. მდიდარია მინერალური მიკროელემენტებით, როგორებიცაა: Co, Mn, Cu, B, Br, Mo, V, Cr, Be, Ni, Ag, Sn, Pb, As, Ba, Sr და Ti; აგრეთვე B (B1, B12, B3, B6), E, C, D და P ვიტამინებით. გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, როგორც უნიკალური ორგანული სასუქი და კომბინირებული საკვების დანამატი.

ნახ. 1

საპროპელიტები – მყარი საწვავი სასარგებლო წიაღისეული; წარმოიქმნება წყლის უდაბლესი ცხოველური და მცენარეული ნარჩენების გარდაქმნით (სხვანაირად: საპროპელური ნახშირი).

საპროფესორო – 1. პროფესორისთვის განკუთვნილი; 2. უმაღლეს სასწავლებელში – ოთახი პროფესორ-მასწავლებელთა დასასვენებლად.

სარგებლის განაკვეთი – განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება მოლაპარაკებათა პროცესში და ყალიბდება სასესხო კაპიტალის ბაზარზე კრედიტზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების გავლენით. ის ვარირებს იმ რისკის მიხედვით, რომელიც ახლავს მოცემულ სესხს სიდიდეზე,

დაფარვის ვადაზე, მსესხებლის სადეპოზიტო ანგარიშის მდგომარეობასა და უზრუნველყოფაზე დამოკიდებულებით.

საჟამნო – იხ. ეგვტერი.

საჟენი (რუს. сажень) – ძველი რუსული სიგრძის ერთეული; უდრის 3 არშინს (2 მ და 13 სმ).

სარანდი დაზგა – 1. ლითონსაჭრელი დაზგა, რომელიც გამოიყენება ბრტყელი და მრუდი ზედაპირების დასამუშავებლად. მთავარი მოძრაობა – უკუქცევით-წინსვლითი, გადაცემის მოძრაობა – წინსვლითი პერიოდული. განივსარანდი დაზგების მუშაობისას მთავარ მოძრაობას ასრულებს საჭრისი ცოციასთან ერთად, ხოლო გრძივსარანდ დაზგების შემთხვევაში – თავად ნაკეთობა; 2. ხის დამამუშავებელი დაზგა – მბრუნავი დანები, რომლებიც გლუვი ზედაპირის მისაღებად გამოიყენება (უმთავრესად გახერხვის კვალის მოსასპობად, ზუსტი ზომების, მრუდი ზედაპირისა და ა.შ. მისაღებად) (ნახ. 1. კომბინირებული სარანდი დაზგა).

ნახ. 1

სარაჯი – 1. ქვაში ან ხეში ამოკვეთილი ხელოვნური რუ, არხი; 2. აუზი შადრევნით.

სარბიელი – ასპარეზი; სპორტული თამაშების, შეჯიბრების ჩასატარებლად საგანგებოდ მოწყობილი მოედანი, ბილიკი და ა.შ.; 2. მოქმედების, მოღვაწეობის არე; 3. მოედანი მასობრივი ცეკვებისათვის.

სარბოდი (სერბოდი) – 1. მიწისქვეშა ნაგებობა შუა საუკუნეების ქალაქებში; 2. თოვლშესანახი ნაგებობა, მაცივარი; 3. წყლის ცისტერნები საქარავნო გზებზე შუა აზიის ქვეყნებში.

სარგულა – დასამუშავებელი ნაკეთობის ან მჭრელი იარაღის ლითონსაჭრელ ჩარხზე დასამაგრებელი სამარჯვი, რომელსაც ცენტრში აქვს ნახვრეტი.

სარდაფი – 1. საცხოვრებელი ან საწარმოო შენობის პირველი სართულის ქვევით, მიწის დონეზე დაბლა მდებარე სართული (ნახ. 1. კობურის სასახლის ღვინის სარდაფი, ვენა, ავსტრიის რესპუბლიკა); იყენებენ რისამე შესანახად (ზოგჯერ საცხოვრებლადაც); 2. სპეციალური შენობა (ჩვეულებრივ მიწის ზემოთ) ღვინის შესანახად; 3. ძვ. სამიკიტნო, რომელიც მიწის დონეზე ქვემოთ მდებარე სართულში იყო მოწყობილი.

ნახ. 1

სარდაფი თბილი – სარდაფი, რომელშიც განთავსებულია გასათბობი ხელსაწყოები საჭირო ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

სარდაფი ცივი – სარდაფი, რომელშიც განთავსებული არ არის გასათბობი ხელსაწყოები.

სარდიონი (სერდოლიკი, სარდონიკი, კარნეოლი) [ინგლ. carnelian, cornelian<ლათ. sarda<ბერძ. sardios ლიდიის სახელმწიფოს დედაქალაქ (ძვ. წ. VII-VI სს.) სარდისის სახელის მიხედვით] –

ნახევრადძვირფასი ქვა, ქალცედონის ერთ-ერთი ნაირსახეობა (ნახ. 1). სიმკვრივე – 2590-2610 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალის მიხედვით – 6-7. უხვად შეიცავს რკინას, რომელიც მას მოწითალო ფერს აძლევს. ის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ჰარმონიის ქვად ითვლება. ს. ერთ-ერთი ყველაზე ძველი სანახელავო ქვაა. მისი სახელი 4000 წლის წინანდელ წყაროებშია ნახსენები. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანულ რელიგიაში. სარდიონის ყველაზე დიდი საბადოებია ბრაზილიაში, ურუგვაიში, ინდოეთში, მადაგასკარსა და აშშ-ში. გამოიყენება საიუველირო საქმეში.

ნახ. 1

სარდონიქსი (ონიქსი, კარლეონი) [ბერძ. sardónyx<ლათ. sarda<ბერძ. sardios ლიდიის სახელმწიფოს დედაქალაქ (ძვ. წ. VII-VI სს.) სარდისის სახელის მიხედვით და ლათ. onyx<ბერძ. ónyx ლურსმანი, ბრჭყალი, ძარღვიანი ქვა] – თეთრი, მოწითელო და შავი მოხატულობის ყავისფერი მინერალი, კვარცის ქალცედონური (ბოჭკოვანი) სახეობა, რომელშიც მცირე რაოდენობის მინარევები ქმნიან ფერად შრეებს (ნახ. 1). ჯერ კიდევ ისტორიამდელ პერიოდში გამოიყენებოდა მცირე ზომის ჩუქურთმებიანი მხატვრული ნაკეთობების (გლიპტიკა) დასამზადებლად, შემდეგში კი სარდონიქსის გამოყენებას ფართო არეალი აქვს არა მარტო საიუველირო საქმეში, არამედ მშენებლობაში (მოსაპირკეთებელი, დეკორატიული, შემოსვის ფილები, მოზაიკა) ხელოვნებაში (ლარნაკები, სასანთლეები, კოლოფები), ყოფაცხოვრებაში და სხვ.

ნახ. 1

სარეგისტრაციო ობიექტი – უძრავი ან მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

სარეგისტრაციო წარმოება – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა რეგისტრაციის მიზნით.

სარევი – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მშრალი და თხევადი მასალების (სუსპენზიების) ასარევად, შესარევად, ცირკულაციისა და დისპერგირებისათვის, აგრეთვე ერთგვაროვნების შესანარჩუნებლად. არსებობს ს. სხვადასხვა სახეობა, მაგ.: სტაციონალური და გადასატანი; დისკოიანი, გვერდული, ემულსიფიკატორი, ვაკუუმური, ვერტიკალური, მექანიკური, პლანეტარული, პროპელერიანი, ფრთებიანი, დოლური (ნახ. 1), კუთხვილიანი, ჯაჭვური და სხვ.

ნახ. 1

სარევი გვერდული – სარევი, რომლის მექანიკური ნაწილი მოცულობაზე დაყენებულია გვერდიდან დახრილ მდგომარეობაში. როტორის ბრუნვა ქმნის ნაკადს, მიმართულს მოცულობის ფსკერისკენ, ხოლო შემდეგ კედლის ზედაპირის მეშვეობით მიდის ზევით და ხდება ნივთიერებების შერევის პროცესი, რასაც ხელს უწყობს მოცულობის ფსკერის მრუდი

ფორმა. ს.გ. მონტაჟი ხორციელდება დეცენტრალიზებულად, რაც უზრუნველყოფს წრიული ნაკადის შექმნას. ამგვარად მიიღწევა ასარევი (შესარევი) პროდუქტის სრული ჰომოგენიზაცია.

ნახ. 1

სარევი ემულსიფიკატორი – ჰერმეტულად დახურული სარევი სამშენებლო პასტებისა და საყოფაცხოვრებო კრემების დასამზადებლად (ნახ. 1). მექანიკური ნაწილი შედგება ერთ ღერძზე განლაგებული, სხვადასხვა სიჩქარით მბრუნავი, ორი ფრთისგან, რომლებიც მოცულობაში ქმნიან ცენტრიდანულ ნაკადს. არსებობს ჩვეულებრივი და ვაკუუმური.

სარევი ვაკუუმური – სარევი, რომლის მექანიკური ნაწილი მოცულობაზე დაყენებულია ცენტრალურად ზევიდან ან გვერდიდან მოცულობის ქვედა ნაწილში. მუშაობისას მოცულობაში იქმნება ვაუუმი, რაც ხელს უწყობს მასალების შერევის პროცესს.

სარევი ვერტიკალური – სარევი, რომლის მექანიკური ნაწილი მოცულობას ედგმება ზევიდან. ასარევი პროდუქტის წრიული მოძრაობის საწინააღმდეგოდ ს. ვ. მონტაჟი ხორციელდება ექსცენტრულად ან დანადგარის ცენტრში დამატებითი ტიხრების მოწყობით. მუშაობის პრინციპი დამოკიდებულია გამოყენებული პროპელერის ტიპზე.

სარეზერვო დანადგარი – სტაციონალური (ან გადასაადგილებელი) დანადგარი, რომელიც რეზერვუარებიდან თხევადი გაზით ამარაგებს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ შენობებს, კომუნალურ, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და სხვ.

სარეზერვო ელემენტი – ობიექტის ელემენტი, რომლის დანიშნულებაა ძირითადი ელემენტის ფუნქციების შესრულება ამ უკანასკნელის მტყუნების დროს.

სარეკლამო ინფორმაცია – მყიდველებისათვის შეტყობინების მიწოდება საქონლის, მისი თვისებების, გაყიდვის ადგილისა და პირობების, შეთავაზებული მომსახურების შესახებ.

სარეკრეაციო ტერიტორია – დასახლებული ან დაუსახლებელი ტერიტორია, რომლის განვითარების ძირითადი პოტენციალია ტურიზმი და რეკრეაცია და რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუნებრივ და კულტურულ კომპლექსებს, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა დასვენებისთვის, მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სარემონტოდ ვარგისობა – ელემენტის მზადყოფნა (თვისება) რემონტის ან ტექნიკური მომსახურების მიმართ, ანუ აღიდგინოს წესივრულობა და მუშაობის უნარი.

სარეცხელა – აპარატი, რომელიც გამოიყენება გაზის ნარევიდან მყარი (მტვერი, ფისი და სხვ.) და გაზისებრი (გოგირდწყალბადი, ამიაკი და სხვ.) მინარევების დასაჭერად. ს. არის: ღრუ საცმის გარეშე, რომლებშიც მინარევების დაჭერა ხდება გაფრქვეული სითხით; საცმით (კერამიკული ან ფაიფურის რგოლებით), გაზისა და სითხის მიმხების ადგილზე განვითარებული ტენიანი ზედაპირის შექმნისათვის და მექანიკური, რომელშიც გაზებთან მშთანთქავი სითხის შერევა ხორციელდება მბრუნავი ნიჩბებით. მასში მშთანთქავის დაშლა

მიმდინარეობს ზევიდან ქვევით მოძრაობისას, ხოლო გაზი ამ დროს მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით.

ნახ. 1

სარეცხი დოლი – მბრუნავი ცილინდრული ან კონუსური დოლი, გამოყენებული ქვიშის გასარეცხად (ნახ. 1).

სართული – 1. სივრცის ნაწილი შენობის ორ ჰორიზონტალურ გადახურვას შორის (იატაკსა და ჭერს შორის), სადაც განთავსდება სათავსები. სართული იზომება, როგორც შვეული მანძილი კოჭების ორი ერთმანეთის მომდევნო რიგის ან მოპირკეთებული იატაკის ზედაპირების თავიდან თავამდე. ბოლო სართული კი იზომება იატაკის მოპირკეთებიდან ჭერის კოჭების თავამდე, ან სადაც ჭერი არ არის, სახურავის ნივნივების თავამდე; 2. შახტის ველის საზღვრებში განვრცობით გავრცელებული ფენის ნაწილი, რომელიც აღმავლობით და დაქანებით შემოსაზღვრულია შახტის ველის საზღვრებამდე გაყვანილი ძირითადი შტრეკებით.

სართული არასრული – სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 1,8 მ-დან 2,5 მ-მდეა.

სართული მიწის დონის ზემოთ – ნებისმიერი სართული, რომლის მოპირკეთებული იატაკის ზედაპირი მთლიანად მიწის დონის ზემოთაა, ან სადაც იატაკის მოპირკეთებული ზედაპირი არის: 1. 1,8 მ-ზე მაღლა მიწის დონიდან; 2. 3,7 მ-ზე მაღლა მოპირკეთებული მიწის ნიშნულის ნებისმიერი წერტილიდან.

სართული მიწის დონის ქვემოთ – სართული, რომელიც არ არის მიწის დონის ზემოთ.

სართული სრული – სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ნიშნულიდან ჭერამდე არის 2,5 მეტრი ან მეტი.

სართული ტექნიკური – საინჟინრო მოწყობილობათა განსათავსებელი ან კომუნიკაციების გასაყვანი სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ნიშნულიდან ჭერამდე 1,8 მ-ზე ნაკლებია.

სართულიანობა – მიწისზედა სართულების რაოდენობა, მათ შორის ტექნიკური სართული, მანსარდი, აგრეთვე ცოკოლის სართული, თუ მისი ჭერის ნიშნული მიწის საპროექტო ნიშნულზე 2 მ-ით და მეტით მაღლაა. ს. მიხედვით შენობები არსებობს: მცირე-, საშუალო-, მრავალსართულიანი და ცათამბჯენები, რომელთა სართულიანობა შეიძლება 100 მ და მეტი იყოს. დღეისათვის ყველაზე მაღალი ცათამბჯენი (162 სართული, სიმაღლე 829,8 მ შპილის ჩათვლით, 643 მ სახურავის მიხედვით) აშენებულია ქ. დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები).

სართულის განაშენიანების ფართობი – სართულის გეგმის გარე კონტურში მოქცეული ფართობი, ტერასების ფართობის გამოკლებით.

სართულის სიმაღლე – 1. იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედა ნიშნულსა და სართულშუა გადახურვის ძირითადი კონსტრუქცი(ებ)ის ზედა ნიშნულ(ებ)ს შორის საშუალო

ვერტიკალური მანძილი (როდესაც იატაკი მდებარეობს ერთ ნიშნულზე); 2. სართულის დონეების საშუალო სიმაღლე (როდესაც იატაკი მდებარეობს სხვადასხვა ნიშნულზე).

სართულის ფართობი – სართულის შემომსაზღვრელ კედლებსა და კოლონებს შორის არსებული ფართობი მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გამოკლებით, აივნებისა და ტერასების ფართობების დამატებით.

სართულშუა გადახურვა – შენობის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მას სართულებად ყოფს, იღებს ტიხრების, მოწყობილობის, ავეჯის, ადამიანთა და სხვ. დატვირთვებს და მათ კაპიტალურ კედლებს გადასცემს. ს.გ. შეიძლება მოეწყოს ხის, ლითონის, რკ.ბ.-ის, პლასტმასის ან მინის კონსტრუქციებისგან.

სართულშუა სიმაღლე – მანძილი იატაკიდან ჭერამდე.

სარი – იხ. პალო.

სარინელი – იხ. შემოკირწყვლა.

სარინი – ღარი, არხი, მილი, დრენაჟი და მისთ. წყლის მოსაცილებლად, გასაყვანად, გადასაგდებად, შესაკრებად და სხვ.; 2. მილსადენის ფასონური დეტალი ტრანსპორტირებადი სითხის მიმართულების შესაცვლელად.

სარკე – გაპრიალებულ ზედაპირიანი ტანი, რომელიც იძლევა საგნების ოპტიკურ გამოსახულებას (მათ შორის სინათლის წყაროს) და ირეკლავს სინათლის სხივებს. ს. არსებობს: ბრტყელი, რომელიც იძლევა უაბერაციო გამოსახულებას (იხ. აბერაცია); ჩაზნექილი და ამოზნექილი სხვადასხვა ფორმის ზედაპირით, რომლებიც ფლობენ ყველა სახის აბერაციას (ქრომატულის გარდა). ტექნიკური დანიშნულების მინის ს. მზადდება ამრეკლავი ფენით, რომლისთვისაც გამოიყენება ოქრო, ვერცლი, ტყვია, ალუმინი, პალადიუმი, პლატინა, ქრომი, ნიკელი და სხვ. ტექნიკაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული ჩაზნექილზედაპირიანი სარკეები (ტელესკოპი, სამედიცინო რეფლექტორი, პროჟექტორი და სხვ.). ლინზებთან ერთობლიობაში სარკე ქმნის სარკე-ლინზის სისტემების ფართო ჯგუფს, რომელიც წარმატებით გამოიყენება სამრეწველო ხელსაწყოებში, ასტრონომიაში, ფოტოგრაფიასა და სხვ. მშენებლობაში ს. გამოიყენება ინტერიერებისა და ფასადების მოსაწყობად, ტიხრებად დარბაზებში და ა.შ.

სარკინიგზო – რკინიგზასთან დაკავშირებული; რკინიგზისათვის განკუთვნილი; რაც რკინიგზაზე წარმოებს.

სარკმელი – 1. საჰაერო, შუკუმი; ფანჯრის საგდული ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად იღება და სადგომის გასანიავებლად არის განკუთვნილი; 2. ფანჯარა; შემინული ღიობი კედელში, შენობის განათებისა და განიავებისათვის (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

სარკმელი ზენიტური – ბრტყელ სახურავზე განლაგებული ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად და გასანიავებლად (ნახ. 1).

სარკმლის ალათა – სარკმლის ჩარჩოში მოთავსებული მინების დასამაგრებელი კარკასი.

სარკოფაგი (ბერძ. sarkophagos ხორცისმჭამელი) – 1. ლუსკუმა; მოხატვით ან რელიეფით შემკული მონუმენტური კუბო; 2. კუბოს ფორმის აკლდამა.

საროტი – მოზაიკა, სოფიის კენჭი; მონუმენტური ფერწერის სახეობა, სადაც გამოსახულება მიიღება სხვადასხვა მასალის (მარმარილოს, მინის, კენჭისა და ა.შ.) ნაჭრების მიჯრით დალაგებით.

სართყელი – 1. შენობის კედლის ჰორიზონტალური ელემენტი. შეიძლება იყოს ზედა ან ქვედა (სართულებშორისი). ქვედა სართყელი წარმოადგენს კარკასის დასაყრდენს, საფუძველს; 2. სართულშორისი ლავგარდნები, შესრულებული უწყვეტი (მთლიანი) ლენტის სახით, რომლებიც იცავენ შენობის კედლებს წვიმისგან; 3. შენობის სართულის გარე პერიმეტრზე გაყოლებული უწყვეტი ქვის ან რკ.ბ.-ის მონოლითური კონსტრუქცია (ნახ. 1), რომელსაც ანტისეისმური დანიშნულება აქვს; 4. დეკორატიული ნაძერწი რგოლი ან ლენტა ძველბერძნულ, რომაულ და გოტიკურ არქიტექტურაში; 5. კლასიკურ შენობაში კარნიზის თავზე გაყოლებული აგურების ჰორიზონტალური რიგი.

ნახ. 1

სართყელი ანტისეისმური – მონოლითური რკინაბეტონის სართყელი, რომელიც ეწყობა შენობის განივ და გრძივ კედლებზე სართულშუა გადახურვის დონეზე და რომელიც წარმოქმნის უწყვეტ დაარმირებულ ჰორიზონტალურ ჩარჩოს. შენობებში, სადაც გადახურვებში გამოყენებულია კაპიტალურ კედლებზე კონტურით დაყრდნობილი რკინაბეტონის ფილა, სარტყლის მოწყობა სავალდებულო არაა და ფილა უკავშირდება კედელს ფოლადის ანკერებით. აგურის (ბლოკის) შენობებში სარტყლის სიგანე კედლის სისქის ტოლია. თუ კედლის სისქე მეტია 500 მმ-ზე, მაშინ შესაძლებელია სართყლის სიგანე შემცირდეს 150 მმ-ით ფასადის მხრიდან. ბეტონის კლასი მიიღება არანაკლები B12,5. 7 და 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის დროს სარტყელი დაარმატურდება 4Ф10 ღეროებით, 9 ბალიანისას – 4Ф12 ღეროებით.

სარტყელი არკატურული – იხ. არკატურა.

სარტყლის კოჭი – ხის გადახურვის ელემენტი – კოჭი, რომელიც მთელ პერიმეტრზე შემოჰყვება სართულშუა ან სხვენის გადახურვას (დანიშნულებით ანალოგურია რკ.ბ.-ის ანტისეისმური სარტყლის).

სარქველი – 1. დეტალი ან მოწყობილობა გაზის, ორთქლის ან სითხის ხარჯის სამართავად მანქანებში ან მილსადენებში, რომელიც მიიღწევა გამტარის განივკვეთის შემცირებით. მანქანებში (ტუმბო, კომპრესორი, შიგაწვის ძრავა, ჰაერსაბერი და სხვ.) და მილსადენებში (ნახ. 1. მილსადენის სარქველი) წარმოადგენს ნივთიერების ხარჯვის განაწილების მექანიზმს ან მართვის მექანიზმის ნაწილს. აქვს კორპუსი და ჩამკეტი, რომელიც გადაადგილდება კორპუსში და ცვლის გამტარი განივკვეთის ფართობს, და, შესაბამისად, გამტანუნარიანობას. ს. დანიშნულებაა შექმნას წნევათა სხვაობა, არ დაუშვას სითხის უკუდინება, მოახდინოს გაზის, ორთქლის, სითხის ნაწილობრივი გაშვება წნევის აწევისას დადგენილზე ზევით, დაარეგულიროს წნევა ან ხარჯი, შეამციროს წნევა ან დაიჭიროს იგი მუდმივ დონეზე. ამას გარდა ს. გამოიყენება, როგორც ჩამკეტი არმატურა მილსადენების, ტექნოლოგიური აპარატების, თბოენერგეტიკული დანადგარებისა და სხვ. ჰერმეტული გათიშვებისთვის; 2. რაბსა და ტიხარში, აგრეთვე, ჭაურის პირზე მოწყობილი ადამიანების სასვლელი, რომელიც დროებით იხსნება ადამიანების გავლისას; 3. თავსახური, სახურავი, ხუფი.

ნახ. 1

სარქველი ატმოსფერული – სარქველი, რომელიც რაიმე მოცულობაში შიდა წნევის ატმოსფერულ წნევასთან გათანაბრებას ემსახურება.

სარქველი დამცავი – ავტომატური სარქველი ჩაკეტილ მოცულობაში ან სისტემაში წნევის დასარეგულირებლად. არსებობს ბერკეტული და ზამბარული, რომლებშიც წნევა რეგულირდება, შესაბამისად, ბერკეტის სიგრძითა და ზამბარის შესაკუმში ძალით.

სარქველი თეფშა – სარქველი, რომელიც მილში გადასატანი გარემოს მოძრაობის მიმართულებით იღება.

სარქველი საკვამლე – სარქველი ნორმირებული ცეცხლმედეგობის ზღვრით, რომელიც იხსნება ხანძრის დროს.

სარჩელი – სასამართლოში შეტანილი განცხადება რაიმე დავის გადასაწყვეტად.

სარჩელი ნეგატორული – სარჩელის ტიპი, რომლის საშუალებითაც მესაკუთრეს, რომელსაც სხვისი უკანონო მოქმედების გამო ხელი ეშლება თავისი ნივთით სარგებლობაში, უფლება ეძლევა მოსთხოვოს დამრღვევს ხელშეშლის აღკვეთა.

სარჩილავი – ხელის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ლითონების მისარჩილად. ს. წინა სპილენძის ღერო ცხელდება ელექტრული დენით (ელექტროსარჩილავი).

სარჩილი – ლითონი (კალა, ტყვია, სპილენძი, ალუმინი, კადმიუმი, ვერცხლი, თუთია და სხვ.) ან შენადნობი, შეყვანილი შესაერთებელი დეტალების ღრეჩოში. რჩილვის პროცესში ჩნდება შუაშრე, რომლის ტემპერატურა ოდნავ ნაკლებია შესაერთებელი დეტალების ნაწიბურების

ტემპერატურაზე, ხოლო სარჩილსა და დეტალების მასალას შორის განვითარებული დიფუზიური პროცესის შედეგად მიიღება ხისტი შეერთება.

სარჩილი კომპოზიციური – სარჩილი, რომელიც თავის მოცულობაში შეიცავს შემავსებელს ანუ მასალას, რომელიც შესადუღებელ ღრეჩოში ქმნის კაპილარების სისტემას და შეერთებას აძლევს განსაკუთრებულ თვისებებს.

სარჩილი მილისებრი – მილის ან მრავალარხიანი ღეროს ფორმის სარჩილი, რომლის შიგა მოცულობა შევსებულია ფლუსით ან სარჩილის კომპონენტებით.

სარჩილი ფლუსური – სარჩილი, რომელსაც ფლუსის თვისებები აქვს.

სარჩილი ფორმირებული – სარჩილი მოცემული ფორმის ნაკეთობის სახით.

სარჩილი ფხვნილის – სარჩილი ფხვნილის ან ლითონის ფხვნილის სახით, რომელიც დნება რჩილვის პროცესში და ხისტად აერთებს დეტალებს.

სარჩუტი – ძველი, ლპობაშეპარული სარი, რომელიც ვაზისათვის შესადგმელად აღარ გამოდგება.

სარწყავ-სავენტილაციო დანადგარი – თვითმავალი მანქანა კარიერების გასანიავებლად და მოსარწყავად. განიავება ხდება საავიაციო ძრავით და საჰაერო ხრახნით, მორწყვა – ჰიდრომონიტორისა და ფრქვევანა კოლექტორის საშუალებით.

სარწყავი – მოწყობილობა წყალხსნარის გასაშხეფებლად.

სარწყავი სისტემა – ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი წყლის წყაროდან წყლის ასაღებად, გასანაწილებლად მოსარწყავ ფართობზე და მელიორაციისთვის. რეგულარულად მოქმედი თვითდინებადი ს. ს. შემადგენლობაში შედის: წყლის წყარო, მთავარი წყალმიმღები ნაგებობა, მაგისტრალური არხი, გამანაწილებელი არხების ქსელი, შიდასამეურნეო არხების ქსელი, წყლის საღვრელი (სადრენაჟე) ქსელი, ნაგებობები არხებზე (წყლის ასაღები, ვარდნილი, სწრაფსადენები, წყლის გადამგდები, აკვედუკი, დიუკერი და სხვ.). მექანიკურ სარწყავ სისტემებზე, გარდა ამისა, არის სატუმბი სადგურები, საწვიმარი დანადგარები, გამყვანი მილები და სხვ.

ნახ. 1

სარჭი – ლითონის სამაგრი ნაკეთობა ღეროს სახით გარე ხრახნით, რომელიც ქმნის შეერთებას ქანჩთან ან ხრახნულ ნახვრეტთან ერთად (ნახ. 1).

სასამართლო – 1. ორგანო, რომელიც კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით იხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს; ამ ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებული. საქართველოში მოქმედებს შემდეგი სახის სასამართლოები: უზენაესი, სააპელაციო, საკონსტუტიციო და საერთო (საოლქო, საქალაქო).

სასანთურე მოწყობილობა – სანთურა, ინტეგრირებული ამნთებ მოწყობილობასთან, სათბობის ჩამკეტ სარქვლებთან, სამზერთან, ავტომატური მართვის, რეგულირებისა და სიგნალიზაციის საშუალებებთან (თუ ისინი გათვალისწინებულია კონსტრუქციით).

სასარგებლო წიაღისეული – დედამიწის ქერქის მინერალური წარმონაქმნები, რომელთა ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური თვისებები საშუალებას იძლევა ეფექტურად გამოვიყენოთ მატერიალური წარმოების სფეროში. არსებობს მყარი (ნახშირები, მადნები, არამადნეული), თხევადი (ნავთობი, მინერალური წყლები) და აირმაგვარი (ბუნებრივი აირები).

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება – მინერალური ნედლეულის (მადანი, ნახშირი და სხვ.) გადამუშავების ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მიზანია ფუჭი ქანების მოცილება და სასარგებლო წიაღისეულის სუფთა კონცენტრატის მიღება. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება დაფუძნებულია სიმკვრივის მიხედვით თითოეული შემადგენლის დაცალკევებაზე (გრავიტაციული გამდიდრება), მაგნიტურ მგრძნობელობაზე (მაგნიტური გამდიდრება), ზედაპირების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე (ფლოტაცია) და ა.შ. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების შედეგად მიიღება პროდუქტები ძვირფასი შემადგენლობის მაღალი შემცველობით – კონცენტრატები, რომლებიც შემდეგ ექვემდებარება დამუშავებას და გამდიდრების ნარჩენები, ე.წ. კუდები. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება ხდება სპეციალურ საამქროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში.

სასაფლაო – მიცვალებულთა დასამარხად სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია. ს. ტიპს განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხში, სარწმუნოებაში, სოციალურ ჯგუფში მიღებული დაკრძალვის წესები. პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრინდელი ფეოდალური საზოგადოების სამარხთა ჯგუფებს სამაროვანი ჰქვია, ანტიკური სამყაროსას (ძველი აღმოსავლეთი, ხმელთაშუაზღვისპირეთი, შავისღვისპირეთი) – ნეკროპოლისი, გამოჩენილ ადამიანთა დასაკრძალავ ადგილს – პანთეონი. ზოგჯერ საფლავის ქვებსა და სტელებს მხატვრული ღირებულება, ხოლო წარწერებს (ეპიტაფიები) ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საქართველოში სასაფლაოები ძირითადად ეკლესია-მონასტრების გვერდით არის მოწყობილი.

სასაქონლო ნიშანი – 1. ამა თუ იმ ქვეყანაში დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ტექსტური, რელიეფური ან სხვაგვარი ნიშანი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საწარმოს მიერ წარმოებული ერთგვაროვანი ნაწარმის ერთმანეთისგან გასამიჯნად. არსებობს მისი ორი სახე: სავაჭრო მარკა და სავაჭრო სახელწოდება; 2. სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელსა და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან. სიმბოლო შეიძლება იყოს სიტყვა ან სიტყვები (ნახ. 1), აგრეთვე, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა ან ასოებისა და სიტყვების გარკვეული შეხამება.

ნახ. 1

სასვლელი – მისასვლელი, გამოსასვლელი, შესასვლელი და ა.შ.

სასვრეტელა – ხელის, პნევმატიკური ან ელექტრული ხელსაწყო, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ბურღი ან სხვა მჭრელი ინსტრუმენტი ნაკეთობაში სვრეტის (ნახვრეტის) გასაკეთებლად (ნახ. 1). გამოიყენება სამშენებლო, სადურგლო, საზეინკლო და სხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად.

ნახ. 1

ნახ. 1

სასიმინდე – ტაროიანი სიმინდის შესანახი წნული ან ფიცრული ნაგებობა (ნახ. 1), სადაც არის დაყრილი ტაროების განიავებისა და გაშრობის საშუალება. არსებობს ერთ-, ორ- და სამთვლიანი. ძირითადად გავრცელებულია იმერეთში, გურიასა და აჭარაში, სადაც მას ნალიასაც უწოდებენ. აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად გავრცელებული იყო ერთთვლიანი მოწნული სასიმინდე (ძარი, ზარი, ჯინგოდორა).

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – მიწის სახეობა, რომელშიც შედის: ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები; ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები; გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები; დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით; ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით; ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები; ზ) სხვა მიწა, რომელიც "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია – საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაბალი ინტენსივობის სავარგულის კატეგორიიდან მაღალი ინტენსივობის სავარგულის კატეგორიაში გადაყვანა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა – ნაგებობა, რომლის დაგეგმარება და მშენებლობა განხორციელებულია სამეურნეო ნივთების/იარაღების, თივის, მარცვლეულის, ფრინველის, საქონლის ან მებაღეობის პროდუქტების მოსათავსებლად. ეს ნაგებობა არ გამოიყენება ადამიანის საცხოვრებლად ან ადგილად, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

გადამუშავდება, დამუშავდება ან ფასოვდება/იფუთება, ასევე, არ გამოიყენება საზოგადოებრივი დანიშულებით.

სასრული – ყოველი შემოსაზღვრული ნივთი, პროცესი ან მოვლენა, რაც მჟღავნდება მისი ზღვარდებული არსებობით დროსა და სივრცეში ან მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მრავალფეროვნების ამოწურვადობით. ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში სასრულის ცნებები მოდელირდება სასრულ სიმრავლეთა ცნებებით.

ნახ. 1

სასტუმრო – 1. გასაქირავებელი საცხოვრებელი ოთახების, საზეიმო დარბაზებისა და სასამსახურო სათავსების შემცველი შენობა (ნახ. 1. სასტუმრო ბელაჯიო ლას-ვეგასში, აშშ). 2. სტუმრის მისაღები ოთახი ბინაში.

სასტუმრო ოთახი – ზედა ოთახი შუა საუკუნეების სახლში.

სასულე – ღუმლიდან გახურებული ჰაერის გამოსაშვები ხვრეტი.

სასწავლებელი – 1. დაწესებულება, სადაც მოსწავლეებს ასწავლიან; სკოლა; 2. რაც უნდა ისწავლონ; სასწავლი.

სასწორი – მასის გასაზომი ხელსაწყო, რომელშიც გამოყენებულია გრავიტაციული ძალების ეფექტი. მოქმედების პრინციპის მიხედვით სასწორი არის: ბერკეტული, ელექტრული, ჰიდროსტატიკური, ზამბარული; დანიშნულების მიხედვით: სანიმუშო, ლაბორატორიული, საერთო დანიშნულების (მაგიდის, გადასატანი, სტაციონალური), სპეციალიზებული და სხვ.

სატარიფო განაკვეთი (სატარიფო თანრიგი) – სამუშაოს სირთულისა და მომუშავის კვალიფიკაციის დონის მაჩვენებელი. ყველა სახის სამუშაო, მათი შესრულების სირთულის შესაბამისად, იყოფა რამდენიმე საკვალიფიკაციო ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიეკუთვნება საკვალიფიკაციო თანრიგი. სატარიფო ბადეში თანრიგის რიგითი ნომერი მიუთითებს, რომელ საკვალიფიკაციო ჯგუფს მიეკუთვნება იგი. სირთულის მიხედვით უმარტივესი სამუშაოები მიეკუთვნება პირველ თანრიგს. სამუშაოთა სირთულის ზრდასთან ერთად იზრდება მისი სატარიფო თანრიგის ნომერიც. ხელფასის ორგანიზაციისას პრაქტიკაში ხდება როგორც სამუშაოების, ისე მომუშავეთა (მუშების) ტარიფიკაცია ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად. მუშების ტარიფიკაცია გულისხმობს საკვალიფიკაციო თანრიგების მიკუთვნებას საკვალიფიკაციო მომზადების დონიდან გამომდინარე.

სატარიფო კოეფიციენტი – კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს მეორე თანრიგიდან დაწყებული სატარიფო განაკვეთი რამდენჯერ აღემატება პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთს. კვალიფიკაციის ამაღლებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების მიზნით, სატარიფო ბადეებში თანრიგის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ს. კ. როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით ამაღლებას. თითოეული შემდგომი ს. კ. წინასთან შედარებით შეფარდებითი ამაღლება გვიჩვენებს მოცემული თანრიგის მომუშავის ანაზღაურების დონე რამდენჯერ აღემატება წინა თანრიგის მომუშავის ანაზღაურების დონეს.

სატაცი – 1. ამწევ ბაგირზე ან ჯაჭვზე ჩამოკიდებული ტვირთამწევი მანქანის ნაწილი ტვირთების წატაცებისა და შეკავებისათვის (ერთმაგი და ორმაგი კაკვები, კავები, გრეიფერები, ელექტრომაგნიტები და სხვ.); 2. ღერძებისა და ლილვების ნაწილები, რომლებიც უშუალოდ ეხება საკისრებს.

სატელიტი [ლათ. satelles (satellitis) თანამგზავრი, თანამზრახველი] – 1. ქალაქის მახლობლად განლაგებული დასახლება, რომლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქში მუშაობს; ქალაქი-თანამგზავრი; 2. ასტრ. პლანეტის თანამგზავრი; 3. ტექნ. კბილანა, რომელიც გადაბმულია მეორე, წამყვან კბილანაზე; 4. ფიზიკ. სპექტრის სუსტი ზოლი ძლიერი ზოლის მეზობლად; 5. სახელმწიფო ან მთავრობა, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში ემორჩილება სხვა სახელმწიფოს.

სატენდერო ხარჯთაღრიცხვა – პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შემსყიდველისათვის წარდგენილი, სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.

სატენი – 1. თბოიზოლაციისა და ფილტრაციის, აგრეთვე ხმაურისა და დატყმების, ხახუნისა და ცვეთის შესამცირებელი საშუალება. არსებობს სატენის სახეები: აზბესტის, ბაბიტის, ლითონის, მავთულის, მფილტრავი, ტყავის, ქეჩის, ჩობალისა და სხვ.; 2. ძენძი, ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც გამოიყენება მილტუჩზე დასახვევად მათი ჩახრახვნით შეერთებისას.

სატერფული – 1. იგივე პედალი; 2. ბარის ტარზე გვერდიდან გაკეთებული კოტა ფეხის დასაჭერად; 3. მართვის სისტემის დეტალი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ზემოქმედება სამუხრუჭო გამშვებ ელემენტებზე. არსებობს სატერფულის სახეები: გამშვები, აქსელერატორის, გადაბმულობის, გადაცემის ამომრთველი, გასათიში, დროსელიანი, მუხრუჭის, ფეხის, ქუროსი და სხვ.

სატეხი – 1. იარაღი ან ხელსაწყო, რომლითაც ტეხენ რასმე; სამტვრევი (ნახ. 1. ფოლადის სატეხები მარკით LUX-TOOLS); 2. სადურგლო იარაღი, რითაც ხეზე ჭრიან ნახვრეტებს, ღრუებს და მისთ.; 3. ქვაზე ჩუქურთმის საჭრელი იარაღი; 4. საბურღი იარაღის ძირითადი ელემენტი, რომელიც გამოიყენება ბურღვის პროცესში მთის ქანების დასარღვევად საბურღ ჭაბურღილში. იგი შეიძლება იყოს ექსცენტრიკული, საფხვიერებელი, ხელის.

ნახ. 1

სატვირთველი – თვითმავალი სატვირთო მანქანა, რომლის დანიშნულებაა ტვირთის წატაცების, აწევის, გადატანის და სატრანსპორტო საშუალებებში თაკარებად ან ნაყარად დაწყობის ოპერაციების შესრულება. განასხვავებენ ზოგადი დანიშნულების (უნივერსალურ) და სპეციალურ ს. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ავტო- და ელექტროსატვირთველი.

სატვირთო ამწევი – ამწე, საცალო და დაფასოებული სამშენებლო ტვირთების გადასაადგილებლად. დაყენების სახის მიხედვით არის თავისუფლადმდგომი – გადასაყენებელი და გადასაადგილებელი სარელსო გზაზე და მისადგმელი.

სატვირთო ეფექტი – ძალა, ძაბვა, დეფორმაცია, ბზარების გახსნა, გამოწვეული ძალოვანი ზემოქმედებით.

სატიტულო სია – კაპიტალური მშენებლობის იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვა უკვე დამტკიცებულია.

სატკეპნი – მანქანა გრუნტის ან ასფალტის დასატკეპნად. ს. ძირითადი ელემენტია ცილინდრული ფორმის ფოლადის ვალცი (თვალი), რომელიც განლაგებულია ბორბლის ადგილზე. ს. თავისი დიდი წონით ტკეპნის შესამჭიდროებელ ნივთიერებას. მანქანას აქვს წამყვანი ვალცი, რომელსაც ძრავისგან გადაეცემა მგრეხი მომენტი და ამყოლი ვალცი, რომელიც ასრულებს მიმმართველის ფუნქციას (ნახ. 1). თანამედროვე ს. ძირითადად აღჭურვილია ჰიდრავლიკური მექანიზმით, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს მანქანის საიმედოობას მუშაობაში.

ნახ. 1

სატრანსპორტო დანახარჯები – დანახარჯები ტვირთის გადატანაზე ან მგზავრების გადაყვანაზე, რომელიც სრულდება საწარმოს მიერ ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტით.

სატრანსპორტო კატასტროფა – დიდი ავარია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადამიანური მსხვერპლი ახლავს.

სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი.

სატრანსპორტო საშუალება – საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს საშენი მასალების, სამშენებლო კონსტრუქციების, დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და მისთ. ტრანსპორტირებას ძირითად სამშენებლო ობიექტზე.

სატრანსფორმატორო ქვესადგური – ელექტროდანადგარი ერთი ძაბვის ელექტროენერგიის გარდასაქმნელად მეორე ძაბვის ელექტროენერგიად ტრანსფორმატორის მეშვეობით.

სატრაპეზო – საოსტიგნე; მონასტრის საერთო სასადილო დამხმარე სათავსებით.

სატრაქტორო მატარებელი – ტანდემი, რომელიც შედგება ტრაქტორისა და მისაბმელისაგან (ან მისაბმელებისაგან). მისაბმელი შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან სამღერძა. გამოიყენება ნახევარმისაბმელი საშუალებებიც. მისაბმელის დანიშნულებაა ფხვიერი და წვრილნატეხი საშენი მასალების (ქვიშა, გრუნტი, მოზაიკა და სხვ.) ტრანსპორტირება ტარის გარეშე საბაზო მანქანის მეშვეობით (ნახ. 1). გადაზიდვის ოპტიმალური მანძილია 0,5-1 კმ.

ნახ. 1

სატუმბი სადგური – ნაგებობის, მანქანებისა და მოწყობილობების კომპლექსი სითხის გადასაადგილებლად წნევის მეშვეობით. ჩვეულებრივ შედგება: წყალმიმღები მოწყობილობის, შემწოვი მილების, ტუმბოების, ძრავებისა და სადაწნევო მილებისაგან. ს. ს.

შედის წყალმომარაგების, კანალიზაციის, მელიორაციის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ნავთობსადენებისა და მისთ. სისტემის შემადგენლობაში.

სატურატორი (ლათ. saturator გამჯერებელი) – აპარატი (პულსოქსიმეტრი) სითხეების გასაჯერებლად ნახშიროორჟანგით.

სატურაცია (ლათ. safuratio გაჯერება) – 1. სითხის გაჯერება ნახშირმჟავა გაზით; 2. შაქრის წარმოებაში: შაქრის წვენის ქიმიური დამუშავება ნახშირმჟავათი (კირის მოსაშორებლად, გამოსადევნად).

სატყეო მიწები – მიწების კატეგორია, რომელიც ვარგისი და გამოყენებულია ტყის მოსაშენებლად. ს. მ. იყოფა შემდეგ სახეებად: დაფარული ტყით, დაუფარავი ტყით, შეუკრავი ტყის კულტურები, ტყის პლანტაციები და სანერგეები, ბუნებრივი კორომები.

სატყეო უბანი – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ოპტიმალურად ორგანიზების მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია.

სატყეო ურთიერთობები – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყითსარგებლობის დროს წარმოშობილი ურთიერთობები.

სატყეო ფონდი – ერთობლიობა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ტერიტორიების (სატყეო, ტყის საწარმო, რაიონი, მხარე, რესპუბლიკა, ქვეყანა) სატყეო და არასატყეო მიწებისა.

საუკეთესო არსებული ტექნოლოგია – ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, მიმართულს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისკენ და რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოყენების დადგენილი ვადა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.

საურავი – იხ. ჯარიმა.

საფართი – 1. საჭრელი ინსტრუმენტი, გამოყენებული გაბურღული ნახვრეტის კიდეების საბოლოოდ გასასუფთავებლად. არსებობს ხელის და ჩარხზე სამუშაო. ფორმის მიხედვით განასხვავებენ ცილინდრულ და კონუსურს.

საფარი – 1. კონსტრუქციის, გზის სამოსისა და მისთ. ზედა ფენა, რომელიც ქმნის სწორ ზედაპირს და უზრუნველყოფს გზის საექსპლუატაციო მახასიათებლებს; 2. მოწყობილობა, რომლითაც ხდება არხის, ღარისა და ა.შ. კვეთის ფართობის შეცვლა და ამგვარად, მასში გამავალი აირის, სითხის მოცულობის რეგულირება. საფარი კეთდება მოსაბრუნებელი, დამაგრებული ღერძზე (დროსელის) და მასალის ნაკადის მართობულად გადასაადგილებელი (შიბერის). სკრეპერის ციცხვის წინა საფარში ხდება მასში შესული (თხრის პროცესში) და გამოსული (განტვირთვის პროცესში) გრუნტის რაოდენობის რეგულირება.

საფარი საკვამლე მილის – კვამლსატარის უკანა სქელი კედელი.

საფარის მონასტერი (ინგლ. Safara Monastery) – X საუკუნის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი, საფარის სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს საქართველოში, ისტორიულ მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მაღალი მთის ტერასაზე ტყით დაბურულ ვიწრო ხეობაში (ნახ. 1. საერთო ხედი), რომლის ქვემოთ ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ურაველისწყალი მიედინება. სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: წმ. საბა განწმენდილის მთავარი

ტაძარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, მცირე სამლოცველოები, სამრეკლო, ჯაყელთა სასახლე და ციხე-გალავანი (ნახ. 2. გალავნის ფრაგმენტი), რუსი ბერების დროინდელი სენაკები.

ნახ. 1

დღემდე მოღწეულ ნაგებობებიდან უძველესია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. იგი X საუკუნით თარიღდება. მას მოგვიანებით მიადგეს წმიდა საბას სახელობის ეკლესია, რომლის თანადროულია იქვე, დასავლეთით მდგარი სამრეკლო. წმ. საბა განწმენდილის მთავარი ტაძარი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. იგი დიდებულ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. გეგმაში მისი ზომებია: 21,6x16,6 მ, სიმაღლე გუმბათის წვერამდე – 22,5 მ. ნაგებობა შვეული კლდის პირზეა აღმართული და ირგვლივ მერცხლის ბუდეებივით ეკვრის დანარჩენი მცირე ეკლესიები: სამხრეთით – მიძინების ტაძარი (ყველაზე ძველი შენობა მონასტრის ტერიტორიაზე), აღმოსავლეთით – წმ. დიმიტრის სახელობის სამლოცველო, აქვეა წმ. გიორგის სახელობის პატარა ეკლესია და ჩრდილო-აღმოსავლეთით – იოანე ოქროპირის სამლოცველო.

მთავარი ტაძრის ასაშენებლად საჭირო გამხდარა არა მარტო ადგილის მოშანდაკება, არამედ კლდის ქიმზე საგანგებო საყრდენის ამოყვანაც. რთულ რელიეფიან ხევში მშენებლებს საგანგებო ბაქანი შეუქმნიათ და ამისთვის ხელსაყრელ ადგილად უკვე არსებული მიძინების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია მიუჩნევიათ, ამიტომაც წმინდა საბას ტაძარი უშუალოდ არის მიდგმული ძველ საყდართან. ახალი ტაძრისთვის სამი მხრიდან – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მშენებლებს დაუტოვებიათ შესასვლელები, მაგრამ ხატმწერს სამხრეთის კარი ამოუშენებია და მთელი ფასადი ერთიან მოსახატ სიბრტყედ გადაუქცევია (ნახ. 3. წმინდა საბას ტაძრის მოხატულობა: ჯაყელების სატიტორო პორტრეტი, XIV ს.). ტაძრის შიდა სივრცის მთავარი ნაწილი შექმნილია ცენტრალური ჯვრით, რომლის აღმოსავლეთის მკლავი აფსიდით მთავრდება, დანარჩენი კი მართკუთხაა. ამათგან სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავები მოკლეებია, ხოლო დასავლეთისა მათ თითქმის ორჯერ აღემატება. აფსიდისა და ბემისაგან შემდგარი საკურთხეველი შეისრული კონქითა და კამარითაა გადახურული. საკურთხევლის ცენტრში ტრაპეზია. საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით სადიაკვნო და სამკვეთლოა. ორივე სათავსო ერთნარია. მათი ძირითადი სივრცის საფუძველი კვადრატს უახლოვდება და აღმოსავლეთით ღრმა აფსიდით მთავრდება. ამ სათავსოთა განათება აღმოსავლეთის მხრიდან არსებული თითო სარკმლით ხდება. სადიაკვნესა და სამკვეთლოს თავზე ე.წ. საიდუმლო ოთახებია განლაგებული. სადიაკვნისა და სამკვეთლოს შესასვლელები დარბაზიდანაა, სამკვეთლო საკურთხეველთან კარითაა დაკავშირებული.

ნახ. 2

ნახ. 3

ტაძრის ცენტრალური სივრცე გვირგვინდება გუმბათით, რომელიც საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის კოლონებს ეყრდნობა. ტაძრის შიდა სივრცე საშუალოდაა განათებული. სინათლის ძირითადი წყარო გუმბათის ყელში არსებული რვა სარკმელი (ნახ. 4. გუმბათის ყელი) და ჯვრის ყოველ მკლავში განლაგებული თითო სარკმელია. გუმბათის ყელი დადაბლებული და გაფართოებულია, რის შედეგადაც შენობის კორპუსი უფრო მაღალი ჩანს. დასავლეთი კარიბჭე უჩვეულოდ მაღალია. მისი შიგა სივრცე, ღია თაღები, ვარსკვლავისებრი კამარები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით (ნახ. 5 - ნახ. 7: რელიეფები). შენობაზე ბევრი წარწერაა. სამრეკლო ადრინდელი ქართული სამრეკლოების ტიპისაა. მონასტრის ტერიტორიაზე გაფანტული სხვა სამლოცველოები XIV-XVI საუკუნეებს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ საფარის ტაძრის შიდა სივრცე წარმოადგენს, ერთი მხრივ ტრადიციების გაგრძელებას, ხოლო მეორე მხრივ, მასში ძალიან ბევრი რამ ახლებურადაა გადაწყვეტილი. ექსტერიერშიც დაახლოებით ასეთივე სურათია და სწორედ ეს მხარე ქმნის მას ეპოქალურ ტაძრად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტაძრის არც ერთი ფასადი მორთულობით გადატვირთული არ არის. ორიგინალური გადაწყვეტით კი აღმოსავლეთის ფასადი გამოირჩევა, რომლის პირდაპირი ანალოგია არ მოიძებნება. მისი დამახასიათებელი ნიშანი ფასადის ცენტრალურ შვერილ ნაწილზე არსებული სამი სარკმელია, რომელთაგან პირველი და მესამე ცენტრში არსებული მოზრდილი მაღალი სარკმლის ზემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ არიან განლაგებული და მათი ზომები ძალზე მცირეა, რის გამოც „ხარისთვალა“ სარკმლებადაა სახელდებული. საფარის ტაძრის ოსტატის მიერ შექმნილ აღნიშნულ კომპოზიციას არც წინამორბედი ჰყოლია და არც მიმდევარი. ფასადებიდან თავის ხანას ყველაზე უკეთ ჩრდილო ფასადი წარმოადგენს. ჩრდილო ფასადზე ჯვრის მოთავსების ტრადიცია მანამდე არ არსებობდა.


ნახ. 4

ნახ. 5

მიძინების ეკლესიის დაარსების შესახებ წერილობითი წყაროები არ არსებობს, მაგრამ მისი ხუროთმოძღვრული ფორმებისა და ჩუქურთმების ხასიათი მოწმობს, რომ იგი X ს-შია აგებული. მიძინების ეკლესია ერთნავიანი, დარბაზული ტიპის, კრამიტით გადახურული, უგუმბათო შენობაა. რაც შეეხება საქართველოში ერთ-ერთ უძველეს, თლილი ქვით ნაგებ სამრეკლოს, მას არავითარი მორთულობა არ აქვს და, ჩვეულებისამებრ, ორსართულიანია. მონასტერს თავს დაჰყურებდა ციხე, რომელსაც გარშემო დიდი გალავანი ერტყა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საფარის მონასტერი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ტაძარია. მასში, ერთი მხრივ, ნათლად ჩანს წინა საუკუნეების დიდებული მემკვიდრეობითობა და, მეორე მხრივ, იმ დაღმართის საწყისი ეტაპი, რაც შემდეგდროინდელი ქართული სატაძრო არქიტექტურისთვის იყო დამახასიათებელი.

ნახ. 6

ნახ. 7

საფეხურები გამჭვირვალე – კიბის საფეხურები, როდესაც კიბის სვლის ქვედა საფეხურის ზედა ჰორიზონტალურ სიბრტყესა და ზედა საფეხურის ვერტიკალურ სიბრტყეს შორის ცარიელი სივრცეა.

საფეხური – 1. კიბის სვლის ნაწილი, რომელიც შეიცავს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებს; 2. სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგენილი, ზედაპირზე წარმოქმნილი სიმაღლეთა სხვაობა; 3. განვითარება, დაწინაურება, ცოდნის დონე, სწავლების დონე, ზევით ასასვლელი ადგილი.

საფეხური კონსოლური – გამჭვირვალე საფეხური, რომელიც მიმაგრებულია ერთი გვერდითი მხარით დახრილ მზიდ კოჭთან (კოსოურთან, ჩანასთან).

საფეხური შემორბენითი – საფეხური, რომლის ერთი გვერდის სიგრძე მეორე გვერდის სიგრძეზე ნაკლებია; გვხვდება კიბის სვლის მოხვევისას.

საფეხურის ნაშვერი – კიბის საფეხურის ჰორიზონტალური ზედაპირის ან კიბის მარშის თავში მდებარე ბაქნის წინა კიდე.

საფეხუროვანი საფარველი – დახრილი სახურავის კედელთან მიერთების კონსტრუქცია, რომელიც შენობის შიდა სივრცეს იცავს ატმოსფერული ნალექების ჩადინებისგან.

საფეხურქვეში – კიბის კონსტრუქციული დეტალი: საფეხურის გარე შვეული ელემენტი.

ნახ. 1

საფითხი (შპატელი) – ინსტრუმენტი სამღებრო, საფითხნი და სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესასრულებლად. ამზადებენ თხელი, დრეკადი, სწორპირიანი უჟანგავი ფოლადის ზოლისგან სახელურით (ნახ. 1). გამოიყენება ბზარების, ღრეჩოების

ამოსავსებად, კედლის უთანაბრო ზედაპირების გასასწორებლად, კედლებიდან და ჭერიდან ძველი საღებავების, წებოს და შპალერის მოსაცილებლად და სხვ.

საფითხნი – ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წებოვანი ან სილიკატური საღებავების ქვეშ შესაღები ზედაპირის გასასწორებლად.

საფირმო მარკა – სახელწოდება ან ემბლემა, ნიშანი, სიმბოლო, რომელიც იძლევა საშუალებას, მოცემული საქონელი სხვა საქონლის მასისგან გამოიყოს. იგი საქონლის "სახის" განუყოფელი ელემენტია. საქონელი საფირმო მარკით შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი სავაჭრო ობიექტიდან.

საფირონი (ბერძ. sáppheiros<ძვ. ებრ. саппир ლურჯი ქვა) – ლურჯი, უმაღლესი კატეგორიის ძვირფასი საიუველირო ქვა, ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ს. მიეკუთვნება ყველა არაწითელ, ყვითელ, ნარინჯისფერ, ლურჯ, მწვანე, შავ და სხვა ფერის კორუნდს. ძირითად ქანებში გვხვდება მარმარილოებში, ბაზალტებსა და პეგმატიტებში.

საფორტიფიკაციო ნაგებობა – საციხო ნაგებობა; სამხედრო-საინჟინრო საქმეში – თავდაცვითი ნაგებობათა კომპლექსი, ციხე-სიმაგრე (ნახ. 1. გამაგრებული ქალაქი კარკასონი, საფრანგეთის რესპუბლიკა).

ნახ. 1

საფრთხე – ბუნებრივი ან საწარმოო სიტუაცია, რომელმაც გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი მოვლენები ან პროცესები, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს: ავარიებს ან კატასტროფებს ტექნოსფეროში; ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოს მდგომარეობის გაუარესებას. ს. სიტუაციაა, რომელიც მუდმივად არსებობს ბუნებრივ და საწარმოო გარემოში, და რომელსაც გარკვეულ პირობებში არახელსაყრელი მოვლენების (საშიში ფაქტორების) რეალიზაციის უნარი აქვს. ს. რეალიზაცია, ჩვეულებრივ, შემთხვევითი მოვლენაა და საშიში ფაქტორის აღძრა ხასიათდება მოვლენის ალბათობით. ს. აღწერს ტექნიკური, ბუნებრივი და სოციალური ხასიათის ზოგი პირობის განხორციელების შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს არახელსაყრელი მოვლენები და პროცესები, მაგ., ავარიები სამრეწველო საწარმოში, ბუნებრივი კატასტროფები ან უბედურებები, ეკონომიკური ან სოციალური კრიზისები. ს. ცოცხალი ან არაცოცხალი მატერიის ნეგატიური თვისებაა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს თვით მატერიას – ადამიანებს, გარემოს, მატერიალურ ფასეულობებს. ს. წყარო შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი, და საფრთხე ემუქრება როგორც ცოცხალს, ისე არაცოცხალს. საფრთხე არსებობს სივრცესა და დროში. განასხვავებენ ბუნებრივი, ტექნოგენური და ანთროპოგენული წარმოშობის საფრთხეებს. ბუნებრივ საფრთხეებს ქმნის სტიქიური მოვლენები, კლიმატური პირობები, რელიეფი.

საფრთხე ანთროპოგენული – ადამიანების მცდარი ან არასანქცირებული ქმედებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხე.

საფრთხე რეალური – სივრცესა და დროში კოორდინირებული საფრთხე, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ საშიშროებასთან. (მაგ., გზატკეცილზე მოძრავი ცისტერნა, წარწერით "ცეცხლსაშიშია", გზის სიახლოვეს მყოფი ადამიანისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. როგორც კი ავტოცისტერნა გავა ადამიანის ყოფნის ზონიდან, ის გადაიქცევა ადამიანის მიმართ პოტენციური საფრთხის წყაროდ).

საფრთხე ტექნოგენური – 1. ტექნიკური სისტემის, სამრეწველო ან სატრანსპორტო ობიექტისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა, რომელიც რეალიზდება ტექნოგენური საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას ადამიანზე და გარემოზე ტექნოგენური საგანგებო სიტუაციის წყაროს გამანადგურებელი ზემოქმედების სახით ან ამ ობიექტების ნორმალური ექსპლუატაციის პროცესში ადამიანისა და გარემოსთვის პირდაპირი ან ირიბი ზიანის სახით; 2. ტექნიკური საშუალებებით შექმნილი საფრთხე.

საფრთხეები ბუნებრივი – ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც თავისი ინტენსივობით, გავრცელების მასშტაბითა და ხანგრძლივობით უარყოფით გავლენას ახდენს საკუთრებაზე, გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე და სხვ. მას მიეკუთვნება: კლიმატური პირობები, რელიეფი, მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ქარიშხალი, გრიგალი, მეწყერი, ზვავი, გამყინვარება, წყალდიდობა, ღვარცოფი, ხანძარი და მისთ.

საფრთხის შემცველი (საშიში) საწარმოო ნივთიერება – ნახევრადგამტარების წარმოებასთან დაკავშირებული მყარი ნივთიერებები, სითხეები ან აირები, რომლებიც ჯანმრთელობის, აალებადობის ან რეაქტიულობის გათვალისწინებით, მიეკუთვნება მე-3 ან მე-4 კლასის საფრხთის კატეგორიას. ისინი გამოიყენება კვლევებში, ლაბორატორიულ ან წარმოების პროცესებში და მათი საბოლოო პროდუქტი არ არის საფრხის შემცველი მასალა.

საფრთხის შემცველი ნივთიერებები – ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ქმნის ფიზიკურ ან ჯანმრთელობისთვის საფრთხეებს, სახმარად ვარგის ან არავარგის მდგომარეობაში.

საფრთხის შემცველი საწარმოო ფართობი – ფართობი საეარმოში, ასევე, სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი ფართობი, სადაც გამოიყენება საფრთხის შემცველი საწარმოო ნივთიერებები. ამგვარ ფართობებზე დასაშვებია დამხმარე ოთახების, ასევე, გასახდელებისა და ოფისების არსებობა, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოო ფართობებზე მიმდინარე პროცესებთან.

საფრქვეველ-გამომშრობი – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება კერამიკული ფილების წარმოებაში. საშუალებას იძლევა ტექნოლოგიური პროცესიდან ამოვარდეს მასის შრობისა და გრანულაციის ოპერაცია და პირდაპირ იქნეს მიღებული სტაბილური მარცვლოვანი შედგენილობისა და ტენიანობის საწნეხი ფხვნილი.

საფსალმუნე – იხ. ამბიონი.

საფუძველი – 1. რაიმე ნაკეთობის ქვედა საყრდენი, რომელზედაც ეყრდნობა ამ ნაკეთობის დანარჩენი ნაწილი, მაგ., ბაზისი, კარკასი, ჩონჩხი, სვეტი და სხვ.; 2. ცოკოლი, ზეძირკველი; შენობის ქვედა, შეკიბული ნაწილი; 3. საგზაო სამოსის ქვედა კონსტრუქციული ფენა, ფენილი, გრუნტი. მტკიცე საგზაო სამოსი შეიძლება აიგოს მხოლოდ ერთგვაროვანი, კარგად შემჭიდროებული და გამოშრობილი გრუნტის საფუძველზე; 4. პნევმოქსოვილის (გამოიყენება პნევმატიკურ კონსტრუქციებში) ძირითადი შრე – გრძივი ძაფები.

საფხვიერებელი – მისაბმელი ან დასაკიდებელი მოწყობილობა მუხლუხა ტრაქტორზე მძიმე ქანების, აგრეთვე ძველი ასფალტბეტონის საგზაო საფრების მოსანგრევად წინასწარი გაფხვიერებისათვის საავტომობილო გზის რემონტის დროს. მისი სამუშაო ორგანო დამონტაჟებულია მზიდ ჩარჩოზე და აღჭურვილია ცვეთამედეგი ბუნიკით (ნახ. 1).

ნახ. 1

საქალაქთმშენებლო დოკუმენტაცია – გრაფოანალიზური, კარტოგრაფიული, ტექსტური, საანგარიშო და სხვ. ტიპის მასალების კომპლექტი, დაფუძნებული ტერიტორიისა და მისი გაშენების მეცნიერულ პროგნოზზე.

საქალაქთმშენებლო რეგლამენტი – გაშენების წესებითა და ნორმებით დადგენილი პარამეტრებისა და სახეების ერთობლიობა მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების გამოყენებისთვის ქალაქისა და სოფლის დასახლებებში, მუნიციპალურ წარმონაქმნებში, აგრეთვე თითოეული ზონის ფარგლებში, საქალაქთმშენებლო მოქმედების განხორციელებისას და უძრავი ქონების ობიექტების შესაძლო ცვლილებებისას.

საქალაქთმშენებლო წესდება (კოდექსი) – კანონი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე საქალაქთმშენებლო მოქმედების განხორციელების წესს.

საქალაქო აგლომერაცია – 1. დასახლებული პუნქტების კომპაქტური თავმოყრა, ძირითადად საქალაქო, რომელიც გაერთიანებულია ინტენსიური საწარმოო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირების რთული მრავალკომპონენტიანი დინამიკური სისტემით; ის ურბანიზაციის ერთ-ერთი სტადიაა. განასხვავებენ მონოცენტრულ (მაგ., ნიუ-იორკის აგლომერაცია) და პოლიცენტრულ (მაგ., გერმანიის რურის რაიონში თავმოყრილი სამრეწველო ქალაქების ერთობლიობა) აგლომერაციებს; 2. ქალაქის, რაიონის, უბნის, სასოფლო დასახლების მიწების გარე საზღვარი, რომელიც გამიჯნავს მას სხვა კატეგორიის მიწებისგან.

საქალაქო გზები – საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობისთვის განკუთვნილი გზები არასაცხოვრებელ უბნებში, ქვეითად მოსიარულეებისაგან სრული იზოლაციით; ქუჩისებისაგან განსხვავებით ს. გ. არ აქვთ პირდაპირი კავშირი გარემომცველ განაშენიანებასთან და მისგან გამოიყოფა გამწვანების ზოლებით ან შემოღობვით. ჩქაროსნული ს.გ. უმეტესად გამოიყენება ქალაქისგან მოშორებული უბნებისა და საავტომობილო გზების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ხშირ შემთხვევაში ს. გ. განალაგებენ ნათხარებზე, ყრილებსა და ესტაკადებზე. ადგილობრივი მოძრაობის ს. გ. დანიშნულებაა დააკავშიროს სამრეწველო საწარმოები და საწყობები მაგისტრალურ ქუჩებსა და გზებთან.

საქალაქო კანალიზაცია – რთული საინჟინრო კომპლექსი საყოფაცხოვრებო ჩამდინარი წყლების შეგროვებისა და გადამუშავებისათვის. ის სათავეს იღებს ადმინისტრაციულ და საცხოვრებელ სახლებში. შენობიდან გამოსასვლელში დგება პირველი საკანალიზაციო ჭა, რომლის დანიშნულებაა მოხდეს ექსტრემალური ჩარევა სისტემაში ქსელის დანაგვიანების

დროს. დანარჩენი ჭების დანიშნულებაც იგივეა, მაგრამ პირველი ჭა მათგან განსხვავებით, თავის თავზე იღებს მაქსიმალურ დატვირთვას. ჭები წარმოადგენს კვანძებს, რომლებიც განსაზღვრავენ საკანალიზაციო სისტემის სტრუქტურას. მასში ხდება სისტემის სხვადასხვა მილების თავმოყრა (ნახ. 1) და სავენტილაციო მილის მიერთება. დიდ ქალაქებში, სადაც გამომყვანი საკანალიზაციო მილის მაქსიმალური დიამეტრი (ან მილების ჯამური დიამეტრი) ვერ ატარებს ჩამდინარი წყლების რეალურ რაოდენობას, მიმართავენ კოლექტორების მოწყობას, რომელიც ერთდროულად ასრულებს სავენტილაციო მილის ფუნქციასაც. საკანალიზაციო მილებს აქვთ ბუნებრივი დახრილობა გამწმენდი ნაგებობების მიმართულებით და მასში სიბინძურე მოძრაობს თვითდინებით. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ ჩამდინარი წყლის მასას სწევენ მაღლა სპეციალური ფეკალური ტუმბოების მეშვეობით და შემდეგ თვითდინებით გაჰყავთ ქალაქიდან გამწმენდ ნაგებობამდე.

ნახ. 1

საქალაქო ხიდი – ხიდი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის, რომელიც განლაგებულია ქალაქის საზღვრებში. ყველაზე მეტად გავრცელებულია რკ.ბ.-ისა და ფოლადის ხიდები ზედა სვლით. მალის კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ თაღოვან, კოჭოვან, კონსოლურ-კოჭოვანსა და დაკიდებულ ს. ხ. ხიდის სიგანეს ადგენენ ტრანსპორტის მოძრაობის ზოლების მიხედვით და იღებენ 3,5-ის ჯერადს. საქალაქო ხიდის წინა მოედნებზე ხდება სატრანსპორტო ნაკადის ორგანიზებული განტვირთვა.

საქართველოს ტყის ფონდი – სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეებისა და მათი რესურსების ერთობლიობა.

საქვაბე დანადგარი – მოწყობილობებისა და აგრეგატების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ორთქლის ან ცხელი წყლის მიღებას სათბობის წვის ხარჯზე. შედგება საქვაბე აგრეგატისა და დამხმარე მოწყობილობებისაგან.

საქვე – მთაგორიან რელიეფზე მაღალი ექსპოზიციის ადგილებში საფეხურებად მოწყობილი ტერასები მესხეთში; ის მრავალიარუსიანი ნაგებობაა (ნახ. 1), რომლის ნიადაგი ნაკლებნოყიერია, საჭიროებს ქვებისგან გაწმენდასა და განოყიერებას.

ნახ. 1

საქმიანი მერქანი – მრგვალი ან ნაპობი ხე-ტყე, გარდა შეშისა და მერქნისა, რომელიც უვარგისია სამრეწველო გადამუშავებისთვის.

საქმიანი ნარჩენები – ნარჩენები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობების დასამზადებლად.

საქმიანობა – სამეწარმეო, სამეურნეო, ტექნიკური ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება,

ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, საკანონმდებლო დებულებების, პროგრამებისა და გადაწყვეტების განხორციელება, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოს მდგომარეობის ხარისხზე.

საქონელი – საწარმოო და პირადი მოხმარების საგნები და მომსახურება, რომლებიც განკუთვნილია ამა თუ იმ სახის მოთხოვნილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის და რაც იყიდება ბაზარზე. ის შეიძლება იყოს ნივთი, მომსახურება, იდეა, სამუშაო ძალა, ადგილი, საწარმო, ორგანიზაცია და სხვ. გამოყენების დროის ხანგრძლივობის მიხედვით საქონელი შეიძლება იყოს: ხანმოკლე სარგებლობის, ხანგრძლივი სარგებლობის და აგრეთვე მისი სპეციფიკური ფორმა – მომსახურება. მომსახურების ხასიათის გათვალისწინებით ს. შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ფართო მოხმარებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლად.

საქონელმცოდნეობა – მეცნიერება, რომელიც სწავლობს საქონლის სახმარ ღირებულებას.

საქონლის გამოსავლიანობა – გადამუშავებული საქონლის რაოდენობა ან პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია გადამუშავების პროცესში მოქცეული გარკვეული ოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

საქონლის გაფორმება – საქონლის გაშვებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

საქონლის გაშვება – დეკლარანტისთვის საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად.

საქონლის დეკლარირება – ქმედება, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას.

საქონლის მიწოდება – პირის მიერ სხვა პირისთვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.

საქონლის პროპაგანდა – რეკლამის სახეობა, რომლითაც ხდება საქონლის შესახებ ცნობების გავრცელება და გაღრმავებული განმარტება მყიდველზე ზემოქმედების მიზნით.

საქონლის წარდგენა – შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საქრევი – სავენტილაციო ღიობი, ნახვრეტი ქანობიან სახურავზე.

საქსაული (ლათ. halóxylon) – დაბალი ტანის ხის ჯიში, მეტწილად ბუჩქის სახით. სიმაღლე 12 მ-მდე (ნახ. 1). აქვს ფაშარი ან ხშირი ვარჯი, ზოგჯერ დაკიდებული, მტვრევადი ტოტებით. დანაწევრებულ მწვანე ყლორტებზე უფერული, ქერცლისებრი, წვრილი ფოთლები განლაგებულია ერთმანეთის საპირისპიროდ, ზოგჯერ ისინი ხორკლის მსგავსია. ს. 10-მდე სახეობა გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, ირანში, ავღანეთში, შუა აზიაში,

მიანმასა (მიანმარის კავშირის რესპუბლიკა, აგრეთვე ბირმა) და ჩინეთში, უმეტესად ბარის ქვიშიან და მლაშობ უდაბნოებში. ის საუკეთესო მცენარეა გასამწვანებლად და მოძრავი ქვიშის გასამაგრებლად. მერქანი მაღალი მექანიკური თვისებებით ხასიათდება. გამოიყენება წვრილი ნაკეთობების დასამზადებლად, აგრეთვე საწვავ მასალად (შეშად), რადგან ახალმოჭრილი ს. ტენიანობა 20%-ს არ აღემატება.

ნახ. 1

საქუსლე – საყრდენი მოწყობილობა, რომელშიც ქუსლის ბრუნვა ხდება.

საქშენი – დახურული დაპროფილებული არხი სამუშაო გარემოს გაქრევისა და ნაკადისათვის გარკვეული მიმართულებისა და სიჩქარის მისაცემად. არსებობს საქშენი საფრქვევი და საჭირხნი. ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში – რეაქტიულ ძრავებში, ტურბინებში, აეროდინამიკურ მილებში, ჭავლურ აპარატებსა და სხვ. საქშევში სამუშაო გარემოს წნევის პოტენციალური ენერგია გადადის კინეტიკურ ენერგიაში.

საქშენი ლავალის – განსაკუთრებული პროფილის (შუაში შევიწროებული ყელით) აირული არხი, რომლის დანიშნულებაა მასში გამავალი აირის ნაკადის სიჩქარის შეცვლა (შენელება). გამოიყენება ტიპურ ორთქლის ტურბინებში, სარაკეტო და საავიაციო ზებგერითი მფრინავი აპარატების ძრავებში და სხვ.



ნახ. 1

საქცეველი – პატრონიკე, პატრონიკონი, საპატრონიკე, ტრიმორიუმი; ტაძრის გრძივი ნავების გამყოფ თაღედის თავზე მოწყობილი ბაქანი მანდილოსნებისთვის.

საღარავი (ფრეზი, ფრეზა) – ინსტრუმენტი ერთი ან რამდენიმე მჭრელი პირით (კბილებით; ღარაკის კიდის გასწვრივ განლაგებული კბილებით), რომელიც ბრუნვის დროს ამუშავებს, ღარავს ლითონის თუ სხვა მასალის ზედაპირს. გეომეტრიის მიხედვით ფრეზი არსებობს – კიდური, კონუსური, სოგმანური, ტორსული, ფასონური, ჭიახრახნული, ცილინდრული, დისკური (ნახ. 1) და სხვ.; დასამუშავებელი მასალის მიხედვით – ალუმინის, გრაფიტის, თუჯის, ნაწრთობი ფოლადის, სპილენძის, ფოლადის, ხისა და სხვ.; მჭრელი ნაწილის მიხედვით – ალმასის, ლითონკერამიკის, მაგარი შენადნობის, მინერალური კერამიკის, სწრაფმჭრელი ფოლადისა და სხვ.; კონსტრუქციისა და კბილების ტიპის მიხედვით – მასიური (მთლიანად ერთი მასალისაგან), შენადული (ბოლო და მჭრელი ნაწილები შედგება სხვადასხვა მასალისაგან და შეერთებულია ერთმანეთთან შედუღებით), დარჩილული (დარჩილული მჭრელი ელემენტებით) და ასაწყობი.

ნახ. 1

ფ. თავი მზადდება მაგარი შენადნობებისაგან დამზადებული შეცვლადი ფირფიტებისაგან ან სწრაფმჭრელი ფოლადისაგან; 2. საგზაო მანქანის სამუშაო ორგანო გრუნტის გაფხვიერება-დაქუცმაცებისათვის, რომელიც პარალელურად ახდენს მის შერევას შემკვრელ მასალებთან. გამოიყენება საგზაო და აეროდრომების საფუძვლების მშენებლობის დროს. საგზაო ფ.

შეიძლება იყოს თვითმავალი, საკიდი ან მისაბმელი; 3. ნიადაგის, მიწის გასაფხვიერებელი თვითმავალი მანქანა.

საღებავი – პიგმენტებისა და აფსკწარმომქმნელი ნივთიერებების ერთგვაროვანი სუსპენზია. მზადდება ოლიფის, ლაქის, პოლიმერის წყალხსნარების და წყალდისპერსიების, ხსნადი მინის და მისთ. საფუძველზე. გაშრობისას ს. თხელი ფენები წარმოქმნიან გაუმჭვირ საფარს, რომელიც იცავს ზედაპირს აგრესიული აგენტების ზემოქმედებისგან და ანიჭებს მას მიმზიდველ გარეგნულ სახეს. სათავსის შიგა კედლებისა და ჭერისთვის ძირითადად გამოიყენება წყალდისპერსიული, ხოლო გარე ზედაპირებისათვის – ზეთოვანი საღებავი. მშენებლობაში გამოყენებული საღებავის სახეებია: აკრილური, ალიზარინის, ანილინის, ბუნებრივი, დამცავი, ემალის, ემულსიური, ზეთოვანი, თბომგრძნობიარე, თბომედეგი, კაზეინის, კერამიკული, ლაქის, ლითონური, მინერალური, მუქი, მშრალი, ორგანული, რბილი, საგრუნტო, საყალიბო, სახარში, სილიკატური, სინთეზური, სრესილი, ტყვიის, ღია, ცეცხლდამცავი, ცეცხლმედეგი, წებოვანი, ჭიქურზედა, ჭიქურქვეშა, წყლისა და სხვ.

საღებავი აკრილის – წყალემულსიური საღებავი, მიღებული პოლიაკრილატებისა და მისი თანაპოლიმერების საფუძველზე. ს. ა. საღებავების ძალზე გავრცელებული სახეობაა ფერთა ფართო გამის, უნივერსალურობისა და სიმტკიცის გამო. გამოიყენება მშენებლობაში შიგა და გარე სამღებრო სამუშაოების შესასრულებლად და მხატვრობაში.

საღებავი ალკიდის – ემალური საღებავის სახესხვაობა. მიიღება მცენარეული ზეთების სინთეზით სპირტებთან, ანჰიდრიდებთან და ორგანულ მჟავებთან. გამოირჩევა მაღალი ატმოსფერომედეგობით, ბზინვით; მდგრადია სარეცხი საშუალებების და მინერალური ზეთების მიმართ, ინარჩუნებს თვისებებს –50-დან +60°C ტემპერატურამდე. გამოიყენება ლითონისა და ხის კონსტრუქციების შესაღებად, აგრეთვე, შენობის ინტერიერის გასალამაზებლად.

საღებავი ასფალტის – ასფალტის საფუძველზე დამზადებული ზეთიანი საღებავი. გამჭვირვალობის, შესანიშნავი ყავისფრისა და მოხმარების სიმარტივის გამო ფართოდ გამოიყენება მუქი ფერის ნაკეთობის მოჭიქვაში. ადვილად ერევა სხვა საღებავებს (თეთრის გარდა) და აძლევს მათ ხავერდოვან სახეს. ახასიათებს შრობის დიდი დრო.

საღებავი ზეთის – პიგმენტებისა და შემვსების სუსპენზია ოლიფაში. მზადდება საქარხნო პირობებში ოლიფისა და პიგმენტების გაქნით სპეციალურ მანქანებში (საღებავსასრესებში). გასრესით მიიღება ერთგვაროვანი სუსპენზია. ეს საღებავი არ იცვლის მოცულობას გამყარებისას, ახასიათებს მედეგობა და ხანგამძლეობა. ს. ზ. დიდი უპირატესობაა გაუმჭვირობა, უარყოფითი – ხანგრძლივი შრობა. გამოიყენება მშენებლობაში ლითონის კონსტრუქციების კოროზიისაგან, ხოლო ხის კარ-ფანჯრების ტენისაგან დასაცავად, აგრეთვე კედლებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაღებად. გამოდის მზა სახით ან სქლადსრესილი.

საღებავი კირის – კალციუმის ნაერთი წყალთან. საღებავის დასამზადებლად გამოიყენება კირქვის გამოწვით მიღებული კირი, რომელსაც აქრობენ წყალში და მისგან ამზადებენ კირის საღებავსა და ბათქაშს. ს. კ. გამოირჩევა კარგი სინათლემედეგობით, ხანგამძლეობით, სიიაფით. წყალშეკავებადობის ასამაღლებლად საღებავს დამზადების პროცესში უმატებენ სპეციალურ დანამატებს: კალციუმის ქლორიდს, სუფრის მარილს, ალუმინის შაბს.

თეთრისაგან განსხვავებული ფერის მისაცემად შესაძლებელია არაორგანული პიგმენტის გამოყენება.

საღებავი მინერალური – საღებავი არაორგანულ მჭიდა მასალებისა და წებოს საფუძველზე. არსებობს კირის, სილიკატური, ცემენტისა და წებოს. ძირითადად მზადდება ფხვნილის სახით და საჭირო კონსისტენციამდე დაჰყავთ წყლის დამატებით. ს. მ. სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დადებითი ტემპერატურის პირობებში. მინერალური საღებავი მიიღება მინერალური ნედლეულის საფუძველზე, ამიტომ ის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია. ამ საღებავებს აქვთ საკმარისი ორთქლშეღწევადობა, მაღალი ყინვამედეგობა, ხოლო ფუნქციური დანამატები (სინთეზური ფისები) აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ და სამშენებლო-ტექნიკურ თვისებებს: ადჰეზიას საფუძველთან, გაუმჭვირობას, ჰიდროფობულობას, პლასტიკურობას, სედიმენტალურ მედეგობასა და სხვ. გამოიყენება კერამიკული (სილიკატური) აგურის, ბეტონის, კერამზიტბეტონის შებათქაშებული ფასადების დამცავ-დეკორატიული საფარვლისათვის, აგრეთვე სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

საღებავი პოლიმერცემენტის – მშრალი პიგმენტის სუსპენზია, რომელიც შედგება თეთრი პორტლანდცემენტის, სამშენებლო დაფქული კირის, სინათლე- და ტუტემედეგი პიგმენტებისა და პოლიმერის წყლის დისპერსიული შემვსების – პლასტიფიცირებული პოლივინილაცეტატის ემულსიის ან ცემენტისადმი მედეგი სინთეზური ლატექსებისგან. გამოიყენება შენობის გარე და შიგა მოკაზმვისათვის ბეტონზე, გაზობეტონზე, აგურზე, ბათქაშის, რკ.ბ.-ის პანელების, მერქანბოჭკოვანი ფილების ზედაპირებზე და სხვ. პოლიმერცემენტის საღებავების გამოყენებით სამუშაოები ტარდება მხოლოდ დადებითი ტემპერატურის პირობებში.

საღებავი სილიკატური – ტუტემედეგი პიგმენტებისა (ჟანგმიწა, სურინჯი) და შემვსების (ცარცი, ტალკი) სუსპენზია, რომელშიც სილიკატიზატორად გამოყენებულია თუთიის თეთრა და კალციუმის ბორატი თხევადი კალიუმის მინის დანამატით. აქტიური კაჟმიწის შემვსებად – დანაწევრებული კვარცის ქვიშა, დიატომიტი და ტრეპელი. ს. ს. მომხმარებელს მიეწოდება ორი შეფუთვით – მშრალი ნაწილისა და კალიუმის თხევადი მინის სახით. შერევა ხდება მასის მიხედვით. ს. ს. წყალში ხსნადი, არატოქსიკური, წყალმედეგი, ტემპერატურამედეგი, დაბალი ჰიდროფობულობის ნივთიერებაა. გამოიყენება ფასადებისა და შიგა სათავსების მორთვა-მოკაზმვისათვის, აგრეთვე ხის კონსტრუქციების დასაცავად ცეცხლისაგან. ცემენტის ან ცემენტ-კირქვის ბათქაშზე დატანილი ს. ს. საგრძნობლად ამაღლებს შენობის გარე კედლების მედეგობას ატმოსფერული ზემოქმედებისადმი.

საღებავი ცემენტის – საღებავი, რომელშიც მჭიდა ნივთიერებად გამოყენებულია თეთრი ან ფერადი პორტლანდცემენტი ტუტეებისადმი მდგრადი პიგმენტებით. წყალშემკავებელი თვისებების ასამაღლებლად ს. ც. უმატებენ 15%-მდე ჩამქრალ კირს და კალციუმის ქლორიდს, ატმოსფერომედეგობის ასამაღლებლად – 1% ჰიდროფობულ ნივთიერებას (კალციუმის სტეარიტს). ს. ც. წყალმედეგი საღებავებია, ამიტომ მას ფართოდ იყენებენ გარე და შიგა ტენიანი სათავსების სამღებრო სამუშაოებისათვის ბეტონზე, აგურსა და ბათქაშზე. საღებავების დატანის შემდეგ ზედაპირი გარკვეული დროით საჭიროებს დატენიანებას.

საღებავის გრუნტი – ნივთიერება შესაღები ზედაპირის გასწორებისთვის. შედგება პიგმენტის, შემვსებისა და შემკვრელისგან. გამოიყენება საღებავის ეკონომიისათვის, კოროზიისაგან დასაცავად, მერქნის და სხვა მასალების წინასწარი დამუშავებისათვის.

საღებავსასრესი – აპარატი საღებავის დასრესისათვის მოძრავ და უძრავ ვერტიკალურ დისკოებს შორის ან ჰორიზონტალურ დოლაბებს შორის. გამოიყენება ძირითადად ფხვიერი და გრანულირებული სახის საღებავებისათვის.

საღებავსაფრქვეველი – ხელსაწყო-დანადგარი საღებავის, ლაქის, ემალის დასადებად შეკუმშული ჰაერით გაფრქვევის გზით. გამოიყენება შენობა-ნაგებობების მასიური ელემენტებისა და დიდი ფართობის მქონე ზედაპირების შესაღებად.

საღებავსაშხეფი – გადასატანი აპარატი, რომელიც გამოიყენება საღებავების შესაფრქვევად მცირე ფართობის მქონე ზედაპირებზე შეკუმშული ჰაერის მეშვეობით.

საღებარი – ფერადი (იისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ყავისფერი და შავი) ორგანული ნაერთი, რომელსაც უნარი აქვს გაჟღენთოს შესაღები მასალა დიფუზიის პროცესის გამოყენებით და მისცეს მის მთელ მოცულობას განსაზღვრული ფერი. ტერმინები "საღებარი" და "პიგმენტი" განსხვავებული ცნებებია: საღებარი კარგად იხსნება გამხსნელში, შედის შესაღები მასალის სიღრმეში და ქმნის მეტნაკლებად მყარ კავშირს ბოჭკოებთან, ხოლო პიგმენტი წვრილდისპერსიული მინერალია (არ იხსნება გამხსნელში) და პიგმენტიანი საღებარის თვისებები დამოკიდებულია შემკვრელზე და არა პიგმენტზე. ს. კლასიფიკაცია ხდება ქიმიური თვისებების მიხედვით. გამოიყენება საფეიქრო მასალის, ტყავის, ქაღალდის, პლასტმასის, რეზინისა და სხვათა შესაღებად. საღებარის სახეებია: აკრიდინული, ალიზარინის, ანთრაქინონის, არილმეთანური, აქტიური, გოგირდიანი, დიარილმეთანური, დისპერსიული, ერიოქრომის, ინდოფენოლური, მაქრომირებელი, მჟავა, ნარევი, ნიტრო, ნიტროზული, პიგმენტური, სინთეზური, სუბსტანტური, როდამინური, ტრიალურმეთანური, ფერსაჭერი, ფთალციანინური, ფუძე, ოქსადინური, ოქსაზონური, ქრომის, ცინინური, ცხიმში ხსნადი და სხვ.

საღებარი გოგირდიანი – სინთეზური საღებარი, რომელიც მიიღება გოგირდის მოქმედებით არომატულ ნაერთებთან (ნიტრო- და ამინონაერთებთან). ს. გ. არ იხსნება წყალში და ორგანულ გამხსნელებში. ბამბის ქსოვილების შეღებვისას ს. გ. გადაჰყავთ თხევად მდგომარეობაში (გოგირდოვანი ნატრიუმის წყალხსნარით). ეს საღებრები შედარებით იაფია და იძლევიან უმთავრესად მშვიდი (არამკვეთრი) ფერის ტონებს – შავს, ყავისფერს, მწვანეს, ლურჯს, ყვითელსა და ნარინჯისფერს.

საღრუვი – მრავალპირიანი საჭრელი ინსტრუმენტი ჩაღრუებისთვის.

საყალიბე – 1. გეოლ. მყარი, წვრილფორებიანი მსუბუქი ქანი რუხი ან შავი შეფერილობის; ძირითადად შედგება წვრილმარცვლოვანი ოპალისაგან (90%-მდე) ქვიშის შენარევით, თიხის ნაწილაკებით და სხვ. სიმკვრივე 2300-2500კგ/მ^3; წყალში არ სველდება. ს. გამოყენებით ახლოსაა დიატომიტთან და ტრეპელთან. სუფთა ქანები ძლიერი ადსორბენტებია; 2. ჩამომსხმელ საწარმოში – სამარჯვი ხისტი ჩარჩოს სახით (ღია ყუთის), რომელიც ემსახურება საყალიბეში ფორმის მისაცემი ნარევის გამაგრებას ერთჯერადი ქვიშის ფორმების დამზადებისას, ტრანსპორტირებას და შემდეგ გამდნარი ლითონის ჩასხმას ყალიბში. ს. დასამზადებლად გამოიყენება ფოლადი, თუჯი და ალუმინის შენადნობები.

საყარაულო (საგუშაგო) – მცირე ნაგებობა ან სათავსი შენობის, ნაგებობის, ციხე-სიმაგრის შესასვლელში, სადაც განთავსებულია მცველი ან მცველების რაზმი.

საყდარი – 1. ეკლესია, ტაძარი, ნაგებობა, სადაც ხდება ღვთისმსახურება და რელიგიურ წესჩვეულებათა შესრულება. ს., როგორც ეკლესიის სინონიმი, XIV საუკუნეში შემოდის. XIV საუკუნემდე საყდარი იმ ეკლესიას ეწოდებოდა, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა; 2. ტრაპეზის გასწვრივ კედელზე მიდგმული სამღვდელმთავრო საჯდომი საკურთხეველში, რომლისგან ქვევით შეკიბული იყო ხარისხედი მღვდელმსახურთათვის.

საყევარი – სამარჯვი ხის გრძელტარიანი რკინის კაკვით, რომელსაც მორების წყალზე დაცურების დროს და სახერხ საამქროში მორების გადასაბრუნებლად გამოიყენებენ.

საყელო – რკინის დამცავი არშია სახურავის გამოშვერილი ელემენტებისთვის.

საყელური – ბრტყელი რგოლის ფორმის საფენი (სადები) ქანჩის ან ჭანჭიკის თავის ქვეშ შესაერთებელ დეტალებზე ძალვების გადასანაწილებლად, აგრეთვე იცავს დეტალის ზედაპირს ქანჩის მოჭერისას და ზრდის საყრდენ ზედაპირს. ქანჩის თვითმოშვების თვიდან ასაცილებლად იყენებენ გაჭრილ ზამბარისებრ საყელურს (გროვერის საყელური), ვარსკვლავისებრ საყელურს გადასაკეცი ბოლოებით და სხვ. დანიშნულების მიხედვით ცნობილია საყელურის სახეები: დროსელის, განმბჯენი, გაჭრილი, მაცენტრებელი, მამჭიდროებელი, მიმმართველი, მიმჭერი, მუშტა, კორპის, საკონტროლო, საყელური-სოგმანი, საჩერებელი, ფრიქციული, ქეჩის და სხვ.

ნახ. 1

საყელური საჩერებელი – საყელური, რომელიც ეწინააღმდეგება სამაგრი ნაკეთობების თვითამოხრახნას კონსტრუქციული ელემენტების (თათი, კბილი, ტუჩი და სხვ.) მეშვეობით (ნახ. 1. კბილებიანი საჩერებელი საყელური).

საყველური – იხ. გვერგვი.

საყივარა (მინარა, მინარეთი) – მაჰმადიანურ არქიტექტურაში მეჩეთთან (მიზგითთან) აშენებული ან მასზე დაშენებული კოშკური ნაგებობა, რომლის ზედა ბაქნიდან მუეძინი მაჰმადიანებს ლოცვაზე უხმობს (ნახ. 1). საყივარების რაოდენობა შეიძლება იყოს 1-დან 9-მდე (ანუ ნაკლები ვიდრე ქ. მექის ალ-ჰარამის მეჩეთში). ადრეული ხანის ს. ჰქონდა სპირალური კიბე ან პანდუსი გარედან, შემდეგ კი კიბე კოშკის შიგნით გადაიტანეს. არქიტექტურული კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ ორ ძირითად ტიპს: ოთხკუთხას (ჩრდილოეთ აფრიკა) და მრგვალს (ახლო აღმოსავლეთი). ს. მორთულია ფიგურული აგურის წყობით, ჩუქურთმებით, ხვეულებით, მოჭიქული კერამიკით, აჟურული აივნებითა და სხვ.

ნახ. 1

საყირავი – მექანიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ვაგონეტების გადასაყირავებლად მათი განტვირთვის მიზნით.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები – მყარი ნარჩენები, რომელიც რჩება ადამიანის საყოფაცხოვრებო მოქმედების შედეგად.

საყრდენი – 1. საბ(რ)ჯენი, საყრდნობი, ბურჯი; 2. მოწყობილობა ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის (სვეტი, დგარი, ბოძი, კედელი და მისთ.) ან მანქანის დეტალის შესაკავებლად და მისამაგრებლად, მბრუნავი ნაწილის შესაკავებლად და სხვ. დანიშნულებისა და კონსტრუქციის მიხედვით ს. არის: ანკერული, ბურთულა და გორგოლაჭებიანი, დრეკადი, სახსრული, სფერული, ხისტი და სხვ.; 3. სიმაღლეზე მომუშავის ძირითადი ან დამზღვევი თოკის დასამაგრებელი კონსტრუქციული დეტალი.

საყრდენი არამოქანავე – კაბელური ამწეს საყრდენი, რომელსაც საშუალება არ აქვს შეცვალოს დახრის კუთხე ჰორიზონტთან, მზიდ ბაგირებში ძალვების ცვლილებისას.

საყრდენი გამოტანილი – მოწყობილობა, ამწეს საყრდენი კონტურის გასაზრდელად სამუშაო მდგომარეობაში (ნახ. 1). ს. გ. ზრდის ამწეს მდგრადობას, საიმედოობასა და ტვირთამწეობას.

ნახ. 1

საშხეფარი – ავზში წყლის გასაფრქვევი ან ცხელ საამქროში ჰაერის დასატენიანებელი მოწყობილობა.

საყრდენი დამბა – ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც წარმოადგენს საშუალო სიმაღლის მასიურ (ბეტონის ან ქვის) ან გამჭოლ (რკინაბეტონის ან ლითონის კონსტრუქციები) კაშხალს. ს. დ. ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. ცალკეულ ს. დ. ზოგჯერ აშენებენ ღვარცოფგამტარი ნაგებობის წინ ღვარცოფის მყარი შემადგენლობის მასის ნაწილობრივი შეკავების მიზნით; ამ ნაგებობათა მცირე ჯგუფებს აწყობენ სუსტ- და საშუალოდაქტიურ ღვარცოფულ აუზებში, როგორც დატერასებისა და ტყის გაშენების დამატებით ღონისძიებას. ხშირ შემთხვევებში, საყრდენი დამბების სისტემა ეწყობა ათეულობით ცალკეული ნაგებობის სახით ღვარცოფული კალაპოტის მთელ სიგრძეზე – სათავიდან გამოტანის კონუსამდე. დამბები, რომლებიც განთავსებულია ერთმანეთისაგან 40-120 მ-ის დაშორებით, გარდაქმნიან კალაპოტის გრძივ პროფილს საფეხურისებრ პროფილად. დამბებს შორის მანძილი იანგარიშება იმის გათვალისწინებით, რომ საფეხურის ქანობი მიახლოებული იყოს გამათანაბრებელთან, ანუ ქანობთან, რომლის დროსაც წყდება მდინარის კალაპოტის გარეცხვა. ამდენად, დამბების სისტემა, ცალკეული ნაგებობებისგან განსხვავებით, ზემოქმედებას ახდენს ღვარცოფული პროცესის მიმდინარეობაზე – მნიშვნელოვნად ამცირებს ან სრულად აღმოფხვრის აუზის ღვარცოფულ აქტივობას.

საყრდენი კედელი – საინჟინრო ნაგებობა, რომელიც მის უკან მდებარე გრუნტს იკავებს (ნახ. 1). ყველაზე მეტად გავრცელებულია ჰიდროტექნიკური ნაგებობების (სანაპიროების, მისადგომების, დამბის კამერების, ვარდნილებისა და ა.შ.), გზების, ესტაკადების, სერპანტინებისა და მთაგორიან ადგილებში სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების

ნახ. 1

მშენებლობისათვის. მასალად გამოიყენება ბუნებრივი ქვა, მძიმე ბეტონი, რკ.ბ.-ნი, ნაკლებად – ლითონი და ხის მასალა.

საყრდენი მოქანავე – კაბელური ამწეს საყრდენი, რომელსაც საშუალება აქვს შეცვალოს დახრის კუთხე ჰორიზონტთან, მზიდ ბაგირებში ძალვების ცვლილებისას.

საყრდენი რგოლი – 1. ცილინდრული ან პრიზმული ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც გუმბათის საყრდენის მოვალეობას ასრულებს. შეიძლება იყოს ზედა და ქვედა. ქვედა საყრდენი რგოლი ყოველთვის მუშაობს გაჭიმვაზე და თავის თავზე ღებულობს გუმბათში წარმოშობილ განმბჯენ ძალას, ხოლო ზედა – შეკუმშულია. ს. რ. შეერთება გუმბათთან არის სახსროვანი, ნახევრად სახსროვანი ან ხისტი, შესაბამისად, გარსში (გუმბათში) ძაბვების გამოსათვლელად გამოიყენება უმომენტო, ნახევრად მომენტური ან მომენტური თეორიები. რგოლის დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება რკინაბეტონი, ლითონი, ხე და სხვ. საშენი მასალა; 2. საკანალიზაციო (ან საკაბელო) ჭის ამოსაშენებელი ან სახურავის დამჭერი რგოლური კონსტრუქციული ელემენტი, რომლის დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება ბეტონი, იშვიათად – პლასტმასა ან ლითონი (ნახ. 1).

ნახ. 1

საყრდენი ქვესადგური – ქვესადგური, რომელიც ენერგოსისტემის მკვებავ წყაროსთან არანაკლებ ორი დამოუკიდებელი ხაზითაა დაკავშირებული.

საყურე – ადამიანის ყურზე ჩამოსაკიდი სამშვენისი.

საშემსრულებლო დოკუმენტაცია – სამუშაო ნახაზების კომპლექტი, დამუშავებული საპროექტო ორგანიზაციის მიერ, და ახალი ჩანაწერებით, ამ ნახაზების მიხედვით რეალურად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობის ან შეტანილი ცვლილებების შესახებ, განხორციელებული სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

საშენი მასალა არამადნეული – არაორგანული მარცვლოვანი ფხვიერი საშენი მასალა, მიღებული მთის ქანებიდან, მათ შორის სამთო-გამამდიდრებელი საწარმოს ნარჩენები, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში ქიმიური შედგენილობისა და მდგომარეობის ფაზის შეუცვლელად.

საშენი მასალა ბუნებრივი – საშენი მასალა, რომელიც მიიღება მაგმური (გრანიტი, გაბრო, ტუფი, ლაბრადორიტი, დიორიტი და სხვ.), დანალექი (კირქვა, ცარცი, კაოლინი, ხრეში, ქვიშა და სხვ.), მეტამორფული ქანებისა (მარმარილო, კვარციტი, ფიქალი და სხვ.) და ორგანული (მერქანი) რესურსებისგან. მოპოვებულ ქვის ქანებს ეწოდება არამადნეული საშენი მასალები. ს. მ. ბ. მიღებული მონოლითური მთის ქანების მარტივი მექანიკური დამუშავებით და ფიზიკური, მექანიკური, ტექნოლოგიური თვისებების შენარჩუნებით, გამოიყენება სამშენებლო საქმეში ფილების, ბლოკების, საბორტე და მოსაპირკეთებელი ქვების, საგზაო ძელების, ყორე ქვის, ღორღის და სხვ. სახით. დიდი რაოდენობით გამოიყენება ფაშარი (ფხვიერი) ქანები: თიხა, კაჭარი, ხრეში, ქვიშა და სხვ. ბუნებრივი მასალა ძვირფასი ნედლეულია ხელოვნური საშენი მასალების (კერამიკა, მინა, ცემენტი, კირი, თაბაშირი და სხვ.)

საწარმოებლად. შენობა-ნაგებობების დანიშნულებაზე, მშენებლობის პირობებსა და ექსპლუატაციაზე დამოკიდებულებით, შეირჩევა შესაბამისი საშენი მასალები, რომლებიც აკმაყოფილებენ საპროექტო მოთხოვნებს. ზოგადად, ყველაზე პოპულარულ ბუნებრივ საშენ მასალებს მიეკუთვნება: კირქვა (ნახ. 1), თიხა (ნახ. 2), მერქანი (ნახ. 3), ქვა (ნახ. 4), მიწა (ნახ. 5), ლერწამი და ბალახი (ნახ. 6), ტყავი და ქსოვილი (ნახ. 7), მეტალი, ყინული და თოვლი (ნახ. 8) და მინა (ნახ. 9).

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

ნახ. 5

ნახ. 6

ნახ. 7

ნახ. 8

ნახ. 9

საშენი მასალა ბუნებრივი არაორგანული – საშენი მასალა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი საშენი მასალების ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, მასში შედის: ქვის ბუნებრივი მასალები, მიღებული სამთო ქანების მექანიკური დამუშავებით, და ხელოვნური მასალები: კერამიკული, მინერალური ნადნობის (მათ შორის ლითონების) საფუძველზე (თიხა, მინა), აგრეთვე მინერალური მჭიდა ნივთიერებები (კირი, პორტლანდცემენტი). რთული ტექნოლოგიის გამოყენებით ქვისგან შესაძლებელიამდნარი ქვისა და მინერალური ბამბის მიღებაც.

საშენი მასალა ბუნებრივი ორგანული – საშენი მასალა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი საშენი მასალის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, მასში შედის: ხის მასალები, ჩალა, ლელქაში, შალი, კოლაგენი და სხვ.

საშენი მასალა ხელოვნური – საშენი მასალა, რომელიც მიიღება ბუნებრივი ნედლეული მასალების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ნარჩენების ან ხელოვნურად მიღებული ნივთიერებებისაგან (დამატებით იხ. საშენი მასალების კლასიფიკაცია).

საშენი მასალები და ნაკეთობები – შენობა-ნაგებობების რემონტისა და მშენებლობის დროს გამოყენებული ბუნებრივი და ხელოვნური მასალები და ნაკეთობები. საშენი მასალების ძირითადი სახეობებია: ბუნებრივი ქვის საშენი მასალები და მათგან შექმნილი ნაკეთობები (ცალკეული ქვები, ღორღი, ქვიშა, გრანიტი, ტუფი, მარმარილო და სხვ.); შემკვრელი მასალები – არაორგანული (ცემენტი, კირი, თაბაშირი და სხვ.) და ორგანული (ბიტუმი, ფისი და სხვ.); ხელოვნური ქვის მასალები, ნაკეთობები და ანაკრები კონსტრუქციები (სამშენებლო კერამიკა,

სილიკატური, მინის, ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობები და სხვ.); ხის მასალები და ნაკეთობები (კარისა და ფანჯრის ბლოკები, მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილები, დახერხილი ხის მასალა, ფანერი და სხვ.); ლითონის ნაკეთობები (მილი, რელსი, გაგლინული პროფილი და სხვ.); სინთეზური ფისები და პლასტმასები (ლინოლეუმი, მინაპლასტიკი, მინატექსტოლიტი, ფიჭაპლასტი, ქაფპლასტი და სხვ.).

საშენი მასალების კლასიფიკაცია – საშენი მასალები და ნაკეთობები, ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. ბუნებრივი – შემადგენლობისა და შიგა აგებულობის შეუცვლელად: არაორგანული (ქვის მასალები) და ორგანული (ხის მასალები, ლელქაში, ჩალა, კაჭაჭი, ნალესი, მატყლი, კოლაგენი); 2. ხელოვნური – გამოუწვავი (მყარი ნორმალურ პირობებში); ავტოკლავური (გამყარებული მაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში); არაორგანული (კლინკერული და კლინკერის, თაბაშირის, მაგნეზიისა და სხვ. შემცველი ცემენტები); ორგანული (ბიტუმი, ემულსია, პასტა); კომპლექსური (რამდენიმე სახის მინერალური ნივთიერების ნარევი); კომპაუნდირებული (ორგანული მასალების ნარევები და შენადნობები); კომბინირებული (მინერალური ნივთიერებების გაერთიანება ორგანულ ან პოლიმერულ მასალებთან); გამომწვარი (ცხელი ნადნობის გამყარება); წიდური (წიდის ქიმიური შედგენილობის მიხედვით); კერამიკული (თიხისა და მისი კომპონენტების სახეების მიხედვით); მინამასიური (შიხტის ტუტიანობის მაჩვენებლის მიხედვით); ქვის სხმული (მთის ქანის სახეობის მიხედვით); კომპლექსური (შესაერთებელი კომპონენტების მიხედვით, მაგ., წიდაკერამიკული, მინაწიდური და სხვ.). გამოყენების მიხედვით: კონსტრუქციული (აგური, ბეტონი, ცემენტი, ქვა, ლითონი, მინა, ხისა და პლასტმასის მასალები) და სპეციალური დანიშნულების (თბო-, ბგერა- და ჰიდროიზოლაციური, მოსაპირკეთებელი და სხვ.). მშენებლობის დანიშნულების, პირობებისა და შენობების ექსპლუატაციის მიხედვით შეირჩევა საჭირო ხარისხისა და დამცავი თვისებების მქონე საშენი მასალები. მაგ., გარე კედლის მასალას უნდა ჰქონდეს მინიმალური თბოგამტარობა; ჰიდროსამელიორაციო დანიშნულების ნაგებობებს – წყალშეუღწევადობა და მდგრადობა დასველება-გაშრობის მიმართ; გზის საფარს (ასფალტს, ბეტონს) – საკმარისი სიმტკიცე და მცირე ცვეთადობა და ა.შ. საშემი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს შენობისა და მისი კონსტრუქციების მედეგობის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის კონკრეტულ პირობებს.

საშენი მასალების ძირითადი სახეები – შენობა-ნაგებობების დანიშნულების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების შესაბამისად, საშენი მასალები პირობითად იყოფა შვიდ ძირითად ჯგუფად: ბუნებრივი ქვის, ხელოვნური ქვის, მჭიდა, ხე-ტყის, ლითონის, პლასტმასის და კომპოზიტური მასალები.

საშენი მასალის კოროზიამედეგობა – ნაკეთობაში ან კონსტრუქციაში საშენი მასალის უნარი, განსაზღვრულ დროში წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიული გარემოს ზემოქმედებას.

საშენი მასალის კოროზიის სიჩქარე – ნაკეთობის ან კონსტრუქციის მასალის კოროზიის მიმდინარეობის სიჩქარე დროის ერთეულში, გამოწვეული აგრესიული გარემოს ზემოქმედებით.

საშენი მასალის კოროზიის ხარისხი – კოროზიის შედეგად საშენი მასალის თვისებების ცვლილების ტექნიკური მახასიათებელი.

საშენი მასალის კოროზიული რღვევა – კოროზიის შედეგად საშენი მასალის ან კონსტრუქციის მასის, განივი კვეთის, სიმტკიცის ცვლილება ან სხვა რაოდენობრივი მახასიათებლებისა და ხარისხის მაჩვენებლების გაუარესება.

საშიში გეოლოგიური პროცესები – გეოლოგიური პროცესები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება, აგრეთვე ქონებრივი ზიანი.

საშიში ზონა – 1. სივრცე, რომელიც აქვს ყოველ მანქანას და რომელშიც მუდმივად ან პერიოდულად წარმოიქმნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ან მავნე საწარმოო ფაქტორი. ს. ზ. შეიძლება იყოს როგორც მანქანის შიგნით, ასევე მის გვერდით. საშიში ზონის არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს ელექტროდენით დაზიანების, თბური გამოსხივების, ელექტრომაგნიტური და რადიოაქტიური გამოსხივების, ხმაურის, ვიბრაციის, ულტრაბგერის, მავნე აირებისა და ორთქლის, მტვრის არსებობით ან მანქანის მოძრავ ნაწილებში ჩათრევის, მანქანიდან სხვადასხვა მოძრავი ნაწილის მოწყვეტის საშიშროებით და ა.შ. ს. ზ. სივრცე შეძლება იყოს მუდმივი (ღვედსა და ბორბალს შორის ზონა, ვალცებს შორის ზონა და ა.შ.) და ცვლადი (საგლინავი დგანების არე, მჭრელი ინსტრუმენტის ცვლა და ა.შ.); 2. ზონა, სადაც არსებობს ძაბვის ქვეშ მყოფ ელექტროდანადგარებთან შეხების ან მიახლოების საშიშროება იმ მანძილზე, რომელზეც შეიძლება მოხდეს საჰაერო შუალედის გარღვევა; 3. მშენებლობაზე სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც მოსალოდნელია სამონტაჟო ერთეულის ჩამოვარდნა; 4. სამთო აფეთქებითი სამუშაოების მიმდებარე ტერიტორია.

საშიში ნივთიერება – აალებადი, დამჟანგველი, წვადი, ფეთქებადი, ტოქსიკური, ძლიერტოქსიკური ნივთიერებები; აგრეთვე ნივთიერებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ბუნებრივ გარემოს.

საშიში საქმიანობა – საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ავარია.

საშიში საწარმო – საწარმო, სადაც მიმდინარეობს საშიში საქმიანობა.

საშიში საწარმოო ობიექტი – საწარმო, რომელშიც ხორციელდება საშიში საქმიანობა, სადაც: ა) გამოიყენება მაღალ წნევასა და ტემპერატურაზე მომუშავე მოწყობილობები, ტვირთამწე მექანიზმები, ესკალატორები, საბაგირო გზები, ფუნიკულიორები; ბ) აწარმოებენ სამთო, მიწისქვეშა და მეტალურგიულ-გადამამუშავებელ სამუშაოებს; გ) მიიღება, გამოიყენება, გადამუშავდება, წარმოიქმნება, ინახება, ტრანსპორტირდება, ნადგურდება საშიში ნივთიერებები.

საშიში სიტუაცია – სიტუაცია, როდესაც მომუშავეზე მოქმედებს ერთი ან მეტი საშიში ფაქტორი. ს. ს. დროს იქმნება უბედური შემთხვევის წარმოქმნის შესაძლებლობა.

საშიშროება – სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ფაქტორები, თავისებურებები და მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ ისეთი ზიანი მიაყენოს მომუშავეებს, როგორიცაა საწარმოო ტრავმა, პროფესიული დაავადება ან გამოიწვიოს გადაჭარბებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაძაბულობა. საშიშროების ფაქტორი შეიძლება იყოს ხმაური, იატაკი, რომლის ზედაპირზე ადვილად შეიძლება გაგიცურდეს ფეხი, სამუშაოს ტემპის სიჩქარე ან იძულებითი სამუშაო პოზა და სხვ.

საშპალე მორი – სპეციალური ხის მორი, რომლისგანაც მზადდება შპალი. უპირატესად გამოიყენება ნაძვი (ნახ. 1), სოჭი, ციმბირის კედარი, უფრო იშვიათად ლარიქსი და მუხა. ს. მ. დიამეტრი არ უნდა იყოს 26 სმ-ზე ნაკლები.

ნახ. 1

საშრობი – მასალისგან ტენის ასაორთქლებელი მოწყობილობა. ტექნიკაში უფრო გავრცელებულია მყარი მასალის გამოშრობა. მასალასთან სითბოს მიტანის მიხედვით საშრობები არის კონვექციური, კონტაქტური, რადიაციული, ინდუქციური. მუშაობის პრინციპის მიხედვით საშრობი არსებობს: აირშადრევნული, ბუნებრივი ცირკულაციის, გადახურებული ორთქლით მოქმედი, გორგოლაჭებიანი, დოლური (ნახ. 1. მერქნის ნარჩენების დოლური საშრობი კამერა), ელექტროკალორიფერიანი, ეჟექციური, ეჟექციურ-რევერსული, ვენტილაციური, იძულებითი ცირკულაციის, კალორიფერიანი, კამერული, კონდენსაციური, კონვექციული, ლენტური, სექციური, ორთქლის, პერიოდული ქმედების, კონვეიერული, მილოვანი, პირდაპირი დინების, პნევმატიკური, რევერსული, სითხიანი, სტაციონარული, უწყვეტი ქმედების, შახტური, შნეკური, ცეცხლის ჰაერული, ხვიმირიანი და სხვ.

საშრობი ფილები – სამსხმელო საშრობი დანადგარის ნაწილი საყალიბე მასალების ან ღეროების გამოსაშრობად. ამზადებენ თუჯისგან და აყენებენ საშრობის საცეცხლის თავზე. გახურებული ფილები გადასცემს სითბოს გამოსაშრობ მასალებს და ასეთ შრობას უწოდებენ კონტაქტურს.

საშრობი ღუმელი – სითბური აპარატი, რომელშიც შრობა მიმდინარეობს ქვანახშირის, მაზუთის, აირის მაღალტემპერატურიანი წვის პროდუქტების უშუალო შეხებით გამოსაშრობ მასალასთან. ს. ღ. მუშაობის რეჟიმის მიხედვით არის უწყვეტი (დოლური, გვირაბული, კონვეიერული, შახტური, პნევმატიკური მდუღარე ფენით) და პერიოდული (ორმოსებრი, კარადის ტიპის, კამერული და სხვ.) მოქმედების, ხოლო სითბომატარებლის გამოყენების მიხედვით – ერთჯერადი და რეცირკულაციური (ნახ. 1. კამერული ელექტრული საშრობი ღუმელი).

საშტატო განრიგი – ორგანიზაციის (საწარმოს და ა.შ.) მესაკუთრის, ხელმძღვანელის ან ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტი. იგი შედგება მუდმივ თანამშრომელთა თანამდებობების ჩამონათვალისგან, ერთგვაროვან თანამდებობათა რაოდენობის მითითებით (როგორც წესი, მართვის აპარატის) და თანამდებობრივი სარგოების სიდიდისგან.

საშუალება – შენობების, ნაგებობების, ელემენტებისა და ფეხით სავალი ან სატრანსპორტო გზების ყველა ან ნებისმიერი ნაწილი, რომლებიც ადგილზე მდებარეობს და გამოსაყენებლად ვარგისია.

საშუალო აქტივობის რადიოაქტიური ნარჩენი – რადიოაქტიური ნარჩენი, რომელიც შეიცავს ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე რადიონუკლიდებს მნიშვნელოვანი ოდენობით, რის გამოც აუცილებელია ამ ნარჩენების დამარხვა და იზოლაცია უფრო საიმედო პირობებში, ვიდრე ეს უზრუნველყოფილია ზედაპირული დამარხვისას.

საშუალო სიჩქარე – ვექტორი, რომელიც ტოლია დროის რაიმე (მცირე) შუალედში რადიუს-ვექტორის ნაზრდის ფარდობისა დროის ამ შუალედის სიდიდესთან.

საჩერი – დეტალი ან მისი ნაწილი (შვერის ან ღრმულის სახით) ან მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს, ან აკავებს რაღაც მდგომარეობაში მექანიზმის ნაწილებს. ს. კონსტრუქციულად მრავალგვარია: კონტრქანჩები, სპეციალური საყელურები, სარჭები, მავთულები. ს. მიეკუთვნება აგრეთვე მართვის მექანიზმები: ავტომატური, ზამბარიანი, ფირფიტებიანი, ციცხვის, ხრუტუნა და სხვ.

საჩეხი – 1. დერეფნის პირის საჩრდილობელი ფიცარი; 2. შეშის დასაჩეხი (დასაპობი) ადგილი.

საჩოგბურთო კორტი – მართკუთხედის ფორმის ჩოგბურთის სათამაშო მოედანი (ნახ. 1. უიმბლდონის საჩოგბურთო კორტი, ინგლისი), რომლის ზომებია 23,77×8,23 მ-ზე. იგი შუაზე გაყოფილია ბადით, რომელიც დამაგრებულია 0,8 სმ მაქსიმალური დიამეტრის ტროსზე. ბადის სიმაღლეა: ნაპირებთან 1,07 მ, შუაში – 0,914 მ. ს. კ. შემოსაზღვრულია საბაზო ხაზებით, რომლის სიგანე 10 სმ-მდეა. მოედნის შიგა ხაზების სიგანე კი აიღება 2,5-5 სმ-ის ფარგლებში. ოფიციალური შეხვედრების დროს საბაზო ხაზების უკანა სათამაშო სივრცე უნდა იყოს არანაკლებ 6,4 მ-ისა, ხოლო გვერდითისა – მაქსიმუმ 3,66 მ. კორტების ჰარდის საფარი შეიძლება იყოს ბუნებრივი (გრუნტი დაფარული ქვიშისა და აგურის ნაფხვენით, ბალახით, მერქნით) ან ხელოვნური (ტარაფლექსი, სუპრიმი, რეგუპოლი, ტარტანი, რეზინი, ასფალტი, ხელოვნური ბალახი და სხვ.), ხოლო შენობა – ღია ან დახურული.

ნახ. 1

საცემელა – ძირითადი სამჭედლო ინსტრუმენტი მანქანური ჭედვისათვის, რომელიც უშუალოდ ახდენს ლითონის დეფორმირებას დარტყმების ან დაწნევის საშუალებით.

საცემი – როტორული ქვასამსხვრევის მუშა დამრტყმელი ელემენტი, რომელიც ხისტადაა დამაგრებული როტორზე. მზადდება ცვეთამედეგი ფოლადისგან და მისი კონსტრუქცია მრავალჯერადი გამოყენების საშუალებას იძლევა.

საცერი – მოწყობილობა სხვადასხვა პროდუქტებისა და მასალების დასახარისხებლად სისხოს მიხედვით, რაც ხორციელდება ბადეებში გაცრით (ნახ. 1. ლაბორატორიული საცერი). განასხვავებენ ბრტყელზედაპირიან (ვიბრაციული, მოქანავე) და მრუდზედაპირიან დოლურ (მბრუნავ) ს. მათ ძირითადად გამოიყენებენ დახარისხებისას მექანიკურ ცხავებში და ფქვილის წარმოებაში. ს. ზედაპირი შეიძლება იყოს მავთულის დაწნული ბადე, ფოლადის ფურცელი ხვრეტებით ან რიკულებიანი გისოსი.

ნახ. 1

საცეცი – 1. დაკალიბრებული ფირფიტა ანაწყობ ზედაპირებს შორის ღრეჩოების შასამოწმებლად. თითო ფირფიტის სისქეა 20 მკმ-დან 1 მმ-მდე; 2. უხერხემლო ცხოველების სხეულის მოძრავი გამონაზარდები, რომლებიც ჩვეულებრივ მოთავსებულია სხეულის წინა ბოლოზე და ასრულებს საკვების მიტაცების, სუნთქვის ან შეხების ფუნქციას.

საცეცხლე – 1. საქვაბე აგრეგატის ან ღუმლის ნაწილი, რომელშიც იწვის ორგანული საწვავი მაღალტემპერატურიანი აირის მისაღებად. მისი სითბური ენერგია გამოიყენება მექანიკური და ელექტრული ენერგიების მისაღებად ან ტექნოლოგიური მიზნებისათვის; 2. მაზდეანთა (ცეცხლმთაყვანისმცემელთა) სამლოცველო, სადაც საგზებელი (მაზდეანთა საკურთხეველი) იყო მოთავსებული.

საცეცხლე სამუშაო – ნებისმიერი სამუშაო, დაკავშირებული ღია ცეცხლის გამოყენებასთან.

საცვრე (საცრემლე) – სიგრძივი ამონაღარი კედლიდან გამოშვერილი კარნიზის ფილის ქვეშ, რომელიც წყლის წვეთს მოწყვეტს და კედელზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს. (ნახ. 1, ნახ. 2).



ნახ. 1

ნახ. 2

საცივარი – ნივთიერება, სივრცე, არე, რომელიც ემსახურება გაცხელებული ნაკეთობის გაცივებას. მას მიეკუთვნება: წყალი, ჰაერი, მარილების, მჟავების, ტუტეების, ზეთების ხსნარები და სხვ.

საცმი ჰიდრავლიკური – მილის მოკლე გადანაჭერი (არხი, სქელ კედელში ხვრელი) სითხეების (ორთქლის ან გაზის) გამოსაშვებად ატმოსფეროში, ან ერთი რეზერვუარიდან მეორეში სითხის გადინებისთვის. ფორმის მიხედვით ს. ჰ. შეიძლება იყოს ცილინდრული, კონუსური და სხვ.

საცრემლე – იხ. საცვრე.

საცხი – ნივთიერება, რომელიც მანქანა-მექანიზმების დეტალების ზედაპირებზე წასასმელად გამოიყენება მათ შორის ხახუნის ძალის შესამცირებლად. ძირითადად ნავთობპროდუქტებისაგან მზადდება (მაგ., სოლიდოლი, გლიცერინი, ზეთი, გრაფიტი და სხვ.).

საცხოვრებელი (საცხოვრისი) – შენობა, რომელიც მოიცავს ერთ ან ორ საცხოვრებელ ერთეულს, რომელიც გამოიყენება, გამიზნულია ან დაგეგმარებულია საცხოვრებად, საარენდოდ, სალიზინგოდ, ოთახების გასაქირავებლად და (და)საქირავებლად.

საცხოვრებელი გარემო (ყოფითი გარემო) – ყოფაცხოვრებაში ადამიანზე მოქმედ ფაქტორთა და ელემენტთა ერთობლიობა.

საცხოვრებელი ერთეული – ერთი ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სრულ, დამოუკიდებელ საცხოვრებლებს ერთი ან მეტი პირისთვის, მათ შორის, მუდმივ პირობებს საცხოვრებლად, დასაძინებლად, სასადილოდ, საჭმლის მოსამზადებლად და სანიტარულ პირობებს.

საცხოვრებელი ნაგებობა – სახლი, აგებული სააგარაკე მიწის ნაკვეთზე, მასში ცხოვრების უფლების რეგისტრაციის გარეშე.

საცხოვრებელი ნორმალური – საცხოვრებელი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: 1. დაცულია კლიმატური ზემოქმედებისაგან (წვიმა, ქარი, თოვლი); 2. შეესაბამება მინიმალურ სანიტარულ მოთხოვნებს; 3. ერთ ოთახში მუდმივად მაცხოვრებელების რაოდენობა არ უნდა იყოს ორ ადამიანზე მეტი.

საცხოვრებელი საერთო საძინებლებით – სივრცე შენობაში, სადაც დასაძინებელი ადგილები განთავსებულია ერთ ოთახში, ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ოთახების რიგში და განკუთვნილია პირებისთვის, რომლებიც არ არიან ერთი ოჯახის წევრები, მაგრამ ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ და ჰყავთ ერთი მმართველობა (მაგ., კოლეჯის საცხოვრებელი საერთო საძინებლებით).

საცხოვრებელი სახლი გალერეის ტიპის – შენობა, ბინების გამოსასვლელით საერთო გალერეაში, რომელსაც აქვს მინიმუმ ორი კიბის უჯრედი.

საცხოვრებელი სახლი დერეფნის ტიპის – შენობა, ბინების გამოსასვლელით საერთო დერეფანში, რომელსაც აქვს მინიმუმ ორი კიბის უჯრედი.

საცხოვრებელი სახლი ინდივიდუალური – ერთიდან ოთხსართულიანამდე საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ყოველ ბინას აქვს დამოუკიდებელი გამოსასვლელი ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთზე.

საცხოვრებელი სახლი სექციური ტიპის – შენობა, შედგენილი ერთი ან რამდენიმე სექციისგან.

საცხოვრებელი სახლის მოდერნიზაცია – საცხოვრებელი სახლის მოცულობით-გეგმარებითი და არქიტექტურული გადაწყვეტების მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში (არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სათავსების, სექციების, სართულების ნაწილობრივი გადაგეგმარება, მათ შორის, ფუნქციური დანიშნულების შეცვლა), აგრეთვე კონსტრუქციულ-ტექნიკური და საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტების კორექტირება საცხოვრებელი სახლის მოცულობის ცვლილების გარეშე (გარდა ლიფტების, ნაგავსატარისა და ნაგავსაკრების მინაშენებისა).

საცხოვრებელი სახლის შენახვა – სამუშაოების კომპლექსი საცხოვრებელი სახლის შენახვის უზრუნველსაყოფად (ტექნიკური ექსპლუატაცია, სანიტარული მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი) და ადამიანების ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

საცხოვრებელი სივრცე – სივრცე შენობაში, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, დასაძინებლად, სასადილოდ ან საჭმლის მოსამზადებლად. სააბაზანო ოთახები, ტუალეტის ოთახები, საკუჭნაოები, ჰოლები, სათავსოები, დამხმარე სივრცეები და მსგავსი ფართობები საცხოვრებელ სივრცეებად არ ითვლება.

საცხოვრებელი ფიჭური – პატარა პრიმიტიული ისტორიამდელი ქვის საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც დღემდე შემორჩენილია აპულიის რეგიონში (იტალია) სახელით "ტრული".

საცხოვრებელი შენობის საექსპლუატაციო მოთხოვნები – ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი პირობები (მოთხოვნები) საცხოვრებელი შენობისადმი (ელემენტებისადმი), რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტურ ექსპლუატაციას.

საცხოვრებლად განკუთვნილი – საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეული, რომელსაც მოსარგებლე მუდმივად ან დროდადრო იყენებს ან მომავალში გამოიყენებს, როგორც საცხოვრებელ ადგილს.

საძერწი სამუშაოები – შენობის ფასადზე და ინტერიერში თაბაშირის ან ბეტონის რელიეფური ორნამენტის და სამკაულის დატანა.

საძვლე – იხ. სამარხი.

საძინებელი – საცხოვრებელ სახლში, სასტუმროში, სანატორიუმსა და მისთ. ოთახი განკუთვნილი ძილისათვის.

საძინებელი ერთეული – ოთახი ან სივრცე, სადაც ადამიანები იძინებენ და სადაც შესაძლოა, იყოს მუდმივი პირობები საცხოვრებლად და სასადილოდ. ის მოიცავს სანიტარიული ან სამზარეულო მოწყობილობებიდან რომელიმეს, მაგრამ არა ორივეს. ასეთი ოთახები და სივრცეები საცხოვრებელი ერთეულის ნაწილია, მაგრამ არა საძინებელი ერთეულების.

საძირკვავი – მანქანა, რომლის დანიშნულებაა ხეებისა და ფესვების ამოძირკვა, ქვების მოშორება მელიორაციული და საგზაო, აგრეთვე ახალი მიწების ათვისების სამუშაოების დროს. ს. საკიდი მოწყობილობა მიმაგრებულია მძლავრ ტრაქტორზე, რომელიც აღჭურვილია ჰიდრავლიკური სისტემით. იმავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მანქანაც.

საძირკველი – ნაგებობის მიწისქვეშა საყრდენი ნაწილი, რომელიც შენობის დატვირთვებს ფუძეს გადასცემს (ნახ. 1. საძირკველი: 1-ბეტონის საძირკველი; 2-ქვაბული; 3-რანდკოჭი; 4-თბილი ხის იატაკი; 5-კედელი). ს. გეომეტრიული ზომები და ჩაღრმავება დამოკიდებულია მოქმედი დატვირთვების სიდიდეზე, მშენებლობის რაიონსა და გრუნტის წინაღობაზე. გამოყენებული მასალის მიხედვით ს. შეიძლება იყოს: ყორული წყობის, ბეტონის, ყორე-ბეტონის, რკ.ბ.-ის და ხის. ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ს. მუდმივად წყლის დონის ქვევითაა. ჩაღრმავების სიდიდის მიხედვით – მცირე და ღრმა ჩაღრმავების; კონსტრუქციის მიხედვით – ლენტური, წერტილოვანი, მთლიანი (მონოლითური) და ხიმინჯოვანი; ფორმის მიხედვით – მართკუთხა, ტრაპეციული, საფეხურებიანი, არასიმეტრიული, წრიული; დამზადების მიხედვით – ასაწყობი და მონოლითური; მუშაობის მიხედვით – ხისტი და ასაწყობი. არსებობს აგრეთვე გუმბათოვანი, გარსისებრი, გობისებრი, კესონური, ნაბურღ-ნატენი და სხვ.



ნახ. 1

საძირკველი ლენტური – კაპიტალური კედლის ქვეშ უწყვეტად ამოყვანილი საძირკველი. არსებობს ყორექვის (დალაგებული ქვებისაგან), ყორებეტონის (შემვსები ხრეში, ღორღი, აგურის ნამსხვრევები, ქვის კარიერის ნარჩენები და სხვ.) და ქვიშის (მხოლოდ მცირე, ერთსართულიანი სახლებისათვის). ნებისმიერი სახის საძირკველი, მათ შორის ლენტური, საკუთარ თავზე იღებს მოსულ დატვრითვას, რომელიც გადაეცემა გრუნტს. ს. ლ. ფართო გამოყენებას განაპირობებს მოწყობის სიმარტივე. ის წარმოადგენს რკ.ბ.-ის კონსტრუქციას ერთნაირი კვეთით შენობის მთელ პერიმეტრზე (ნახ. 1). სიგანე აიღება მზიდი კედლის ზომის (პრაქტიკაში ის სავარაუდოდ 50 სმ–ია) მიხედვით; ჩაღრმავება დამოკიდებულია დატვირთვებსა და გრუნტის მახასიათებლებზე.

ნახ. 1

საძირკვლის მოწყობა ხდება წლის თბილ პერიოდში. მონოლითური საძირკვლის კონსტრუქციის ტიპი იძლევა დატვირთვების თანაბრად გადანაწილებას, თუნდაც არაერთგვაროვნად საძირკვლის დაჯდენის შემთხვევაში. მსგავსი საძირკვლის გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაშიც, თუ შენობაში იქნება მძიმე გადახურვა ან მოეწყობა მასიური კედელი (აგური, ბლოკი, ქვა). მისი გამოყენება ოპტიმალურია იმ შემთხვევაშიც, თუ გათვალისწინებულია ცოკოლის სართულის ან სარდაფის მოწყობა. სახეობის მიხედვით განასხვავებენ ორი ტიპის ს. ლ.: ბლოკურს და მონოლითურს. ბლოკური საძირკველი, რომელიც აწყობილია ბეტონის ბლოკებისგან, მონოლითურ საძირკველზე ნაკლებად მდგრადია. რაც შეეხება მოწყობის ვადებს, ბლოკური გაცილებით სწრაფად ეწყობა, რომელიც ასევე შეიძლება მოწყობისთანავე დაიტვირთოს. მონოლითური ს. ლ. მოწყობის ეტაპებია: 1) მოსამზადებელი სამუშაოები (ნაკვეთის მომზადება, საძირკვლის გაანგარიშება, მასალის შეძენა); 2) ტრანშეის მოწყობა, რომელიც შესაძლოა მოხდეს ხელით ან სპეცტექნიკის გამოყენებით. ტრანშეის ძირზე უნდა გაკეთდეს ქვიშის "ბალიში" და შესრულდეს ჰიდროიზოლაცია; 3) ყალიბის მოწყობა, რომლისთვისაც ძირითადად გამოიყენება ფიცარი; 4) არმატურის მონტაჟი (ეს პროცესი მიმდინარეობს ყალიბის მოწყობის პარალელურად); 5) ბეტონის ჩასხმა (ბეტონი უნდა ჩაისხას რამდენიმე შრედ); 6) საძირკვლის ჰიდროიზოლაცია; 7) გრუნტსა და საძირკველს შორის არსებული შრის ამოვსება (ივსება ხელით, რათა არ დაზიანდეს ჰიდროიზოლაცია).

საძირკველი ლენტური მცირე ჩაღრმავების – ლენტური ქვის ან ბეტონის საძირკვლის ტიპი, რომლის ჩაღრმავება 1,5 მ-ს არ აღემატება, ხოლო სიგანე 60-80 სმ-ის ფარგლებშია. ასეთი საძირკველი ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა გრუნტის წყლის დონე დაბალია და თვით გრუნტი არ მიეკუთვნება ბურცვად კატეგორიას (წინააღმდეგ შემთხვევაში უკეთესია ხიმინჯოვანი საძირკვლის გამოყენება).

საძირკველი სვეტური – საყრდენების ქსელი სვეტების სახით, რომლებიც ეწყობა მზიდი კედლების კონტურის ქვევით და რომელზედაც ეყრდნობა სახლის ქვედა სარტყელი (ნახ. 1). სვეტები, როგორც წესი, თავსდება მაქსიმალური დატვირთვების ადგილებში: შენობის კუთხეებში, კედლების გადაკვეთებში და დიდი მალების (მეტი 2,5 მ) ქვეშ. ს. ს. შორის დაშორებები და კვეთები განისაზღვრება გაანგარიშებით და გამოკიდებულია მის სახეობაზე, მასალაზე, შენობის კონსტრუქციულ სქემასა და წონაზე. ს. ს. ძირითადი კონსტრუქციული ელემენტია – საყრდენი (სვეტი), რომელიც შენობიდან მოსულ დატვირთვას გადასცემს გრუნტს. ის შეიძლება იყოს კვადრატული, მართკუთხა ან წრიული განივკვეთის. წრიულისათვის გამოიყენება ლითონის მილი, რომელშიც ისხმება ბეტონი. მზიდუნარიანობის გასაზრდელად, ზოგჯერ, მიმართავენ სვეტის ქვედა ნაწილის გასქელებას. სვეტის თავები იკვრება როსტვერკული სისტემით, რისთვისაც გამოიყენება ხის ძელები, ფოლადისა და რკ.ბ.-ის კოჭები.

ნახ. 1

საძირკველი უწყვეტი – 1. კაპიტალური კედლის ქვეშ მთელ პერიმეტრზე ამოყვანილი საძირკველი; 2. იხ. საძირკველი ლენტური.

საძირკველი ღობისქვეშა – საძირკვლის ტიპი, რომელიც ეწყობა ტერიტორიის შემომფარგვლელი ღობის ქვეშ. იგი შეიძლება იყოს სვეტოვანი (ნახ. 1), ლენტური (ნახ. 2), სვეტოვან-ლენტური (ნახ. 3) და ხიმინჯოვანი. სახეობა დამოკიდებულია ღობის წონაზე (მასალაზე), ღობის კონსტრუქციაზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე, გრუნტის მახასიათებლებზე და ღობის მეპატრონის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

საძირკველი წყვეტილი – საძირკველი, რომელიც ლენტური საძირკვლისგან განსხვავებით შენობის მთელ პერიმეტერს არ გასდევს და საძირკვლის კოჭით გადახურული ცალკეული სუბსტრუქციების სისტემაა.

საძირკველი ხიმინჯოვანი – საძირკველი, რომელშიც გრუნტზე დატვირთვა გადაეცემა ხიმინჯების საშუალებით (ნახ. 1). დატვირთვების ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ს. ხ. შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის: ცალკეული ხიმინჯები (საყრდენების ქვეშ), ხიმინჯების რიგი (კედლების ქვეშ), ბუჩქური ხიმინჯები (კოლონების ქვეშ). ს. ხ. გამოყენება სუსტი გრუნტებისა და მაღალი დონის გრუნტის წყლების შემთხვევაში. ხშირ შემთხვევაში ასეთი საძირკვლების მოწყობა ამცირებს მიწის სამუშაოებს და ბეტონის ხარჯს. მასალის ხარჯისა და შრომის დანახარჯების მიხედვით ს. ხ. 1,5-2-ჯერ, ხოლო დიდი სიღმისას 3-5-ჯერ ეკონომიურია ლენტურ საძირკველთან შედარებით. ის განსაკუთრებით ეფექტურია გაჯირჯვებად და ღრმად გაყინვად გრუნტებში. მასალის მიხედვით არსებობს: ხის, ლითონის, რკ.ბ.-ის, ქვის, აგურის. ს. ხ. გამოყენებაში აქვს შეზღუდვები: მათი გამოყენება არ შეიძლება ჰორიზონტალურად მოძრავ გრუნტებში, რადგან ახასიათებთ არასაკმარისი მდგრადობა ამოყირავების მიმართ და მოითხოვს უწყვეტი ხისტი რკ.ბ.-ის როსტვერკის მოწყობას; გაძნელებულია მათი გამოყენება დაბალი მზიდუნარიანობის გრუნტებში ისეთი სახლების მშენებლობისას, რომელთაც აქვთ მძიმე კედლები; რთულდება ცოკოლის მოწყობა, რადგან საჭირო ხდება ხიმინჯებს, კედლებსა და გრუნტს შორის სივრცის შევსება, რაც საკმაოდ რთულად შესასრულებელი სამუშაოებია და სხვ.


ნახ. 1

საძირკველი ხიმინჯოვანი ხრახნული – ხიმინჯოვანი საძირკველი, რომელიც ეწყობა გარე ხრახნის მქონე ფოლადის მილის ჩახრახვნით გრუნტში (ნახ. 1). პროცესი, ძირითადად, იწარმოება მძიმე ტექნიკის გამოყენებით (იშვიათად ხელით). ჩახრახვნა გრძელდება მანამ, ვიდრე მილის თავი არ მიაღწევს გრუნტის მყარ ფენას. შემდეგ ხდება მილის შევსება ცემენტ-ქვიშის ხსნარით, რათა არ მოხდეს მილის კოროზია შიგნიდან. ხიმინჯების მონტაჟის შემდეგ მიმდინარეობს კოჭოვანი როსტვერკის ან საძირკვლის ფილის მოწყობა. აღნიშნული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი გრუნტისათვის (კლდოვანის გარდა).

ნახ. 1

საძირკვლის ფილა – საძირკველი შენობის მთელი პერიმეტრისათვის რკ.ბ.-ის მონოლითური დაარმირებული ფილის სახით (ნახ. 1). ეწყობა სუსტი გრუნტების შემთხვევაში ხიმინჯების ბუჩქის თავზე ან უშუალოდ გრუნტზე დაყრდნობილი, 20-40 სმ სისქის დატკეპნილი ქვიშის ბალიშის მეშვეობით. ფილის სისქე,

ნახ. 1

ბეტონის კლასი და არმატურის სახეობა მიიღება გაანგარიშებით გრუნტის წინაღობისა და საძირკველზე მოსული დატვირთვების მიხედვით.

საძირკვლის ბუნებრივი ფუძე – ბუნებრივი განლაგების პირობებში მყოფი ფუძე-გრუნტები.

საძირკვლის კოჭი – იხ. რანდკოჭი, დირე.

საძირკვლის ფუძე – გრუნტის მასივი განლაგებული საძირკვლის ქვეშ, რომელიც მასზე მდგარი შენობისაგან იღებს დატვირთვას. ის ორგვარია: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი ეწოდება ისეთ ფუძეს (გრუნტს), რომელიც მოთავსებულია საძირკვლის ქვეშ და უძლებს მასზე აგებული შენობისგან გადმოცემულ დატვირთვებს, ხოლო ხელოვნური – ხელოვნურად დატკეპნილ ან გამკვრივებულს, რომელსაც ბუნებრივ მდგომარეობაში არ აქვს საკმარისი მზიდუნარიანობა მოცემული ჩაღრმავების პირობებში. საძირკვლის ფუძეზე გადაცემული დატვირთვა გრუნტში იწვევს დაძაბულ მდგომარეობასა და დეფორმაციას.

საძირკვლის ჩაღრმავება – მანძილი მიწის ზედაპირიდან საძირკვლის ფუძის ნიშნულამდე. ს. ჩ. განისაზღვრება: ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურებით; დატვირთვის სიდიდისა და ხასიათის მიხედვით; არსებული და დასაპროექტებელი რელიეფის თავისებურებით; ახლომდებარე ნაგებობების საძირკვლის ჩაღრმავებით; სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობებითა და სხვ.

საძირკვლის ძირი – საძირკვლის ქვედა სიბრტყე, რომლის საშუალებითაც შენობიდან დატვირთვა გადაეცემა საფუძველს (გრუნტს).

საძირკვლის ჭანჭიკი – ჭანჭიკი (ანკერი) სპეციალური ფორმის თავით, რომელიც გამოიყენება დანადგარის საძირკველთან მისამაგრებლად (ნახ. 1).

ნახ. 1

საძირკვლის ხელოვნური ფუძე – სპეციალური მეთოდებით შემკვრივებული ან გამაგრებული ფუძე-გრუნტი. გამოიყენება გამაგრების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: გამკვრივება, ცემენტაცია, სილიკატიზაცია, ვიბრირება, ბიტუმიზაცია, თერმული დამუშავება და სხვ.

საწამოო პროცესი – შრომის პროცესი, რომელსაც განსაზღვრული ტექნოლოგიური და ორგანიზაციული შინაარსი აქვს. ის მიმართულია მატერიალური კეთილდღეობის შექმნისკენ და ხასიათდება შრომის მთავარი საგნის მუდმივობით. საწარმოო პროცესი სამუშაო პროცესების, ხოლო სამუშაო პროცესი – სამუშაო ოპერაციათა ერთობლიობაა. ს. პ. შედეგად ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მაკომპლექტებელი დეტალები იქცევა მზა პროდუქციად გარკვეულ დროში.

საწარმო – დაწესებულება ან ორგანიზაცია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სადაც მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ხორციელდება პროდუქციის შექმნა ან მომსახურება. დანიშნულების მიხედვით ს. შეიძლება იყოს: ძირითადი, დამხმარე, კოოპერირებული, მომიჯნავე, სპეციალიზებული და სხვ.

საწარმოო გარემო – სივრცე, სადაც სრულდება ადამიანის შრომითი საქმიანობა; შრომითი საქმიანობის პროცესში ადამიანზე მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობა.

საწარმოო ინსტრუქცია – სპეციალურად შემუშავებული და ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული კონკრეტული სამუშაოს ჩატარების წესებისა და თანამიმდევრობის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

საწარმოო ინციდენტი – საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების დაზიანება, ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმებიდან გადახრა, აგრეთვე საწარმოო უსაფრთხოების წესებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დარღვევა.

საწარმოო სათავსი – შენობაში ჩაკეტილი სივრცე, სადაც ადამიანი ეწევა მუდმივ ან პერიოდულ შრომით საქმიანობას.

საწარმოო სათავსის მიკროკლიმატი – საწარმოო სათავსის გარემოში მეტეოროლოგიური პირობები, რომლებიც განისაზღვრება ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ტემპერატურის, ტენიანობის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარისა და თბური გამოსხივების შეხამებით.

საწარმოო საქმიანობა – პროცესი, რომელშიც ერთობლიობაში განიხილება გარე ფაქტორებისა და ადამიანის ორგანიზმის თავისებურებანი.

საწარმოო სიმძლავრე – საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა დროის ერთეულში (ჩვეულებრივ წლის განმავლობაში).

საწარმოო ტრამვა – უბედური შემთხვევა, რომელიც წარმოებაში შეემთხვევა მომუშავეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. ს. ტ. მიეკუთვნება, აგრეთვე, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის დროს მიღებული ტრამვა, მივლინებაში ყოფნის დროს მომხდარი უბედური შემთხვევა, საწარმოს ტრანსპორტით სამუშაოზე წასვლისა და სამუშაოდან დაბრუნების დროს მიღებული ტრამვა.

საწარმოო უბანი – ფიზიკური ზონა, სადაც უნდა იმყოფებოდეს ან უნდა გადაადგილდეს მუშაკები შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით და რომელსაც აკონტროლებს სამუშაოს მიმცემი.

საწარმოო უსაფრთხოება – 1. ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, გარემოს, მატერიალური ფასეულობების დაცვის უზრუნველსაყოფად; 2. შრომითი საქმიანობის პროცესში მიუღებელი რისკის არარსებობა.

საწარმოო უსაფრთხოების წესები – დადგენილი წესით დამტკიცებული საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნები, სახელმწიფო სტანდარტები, სამშენებლო, სანიტარიული, ბუნების დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.

საწარმოო ძალები – წარმოების საშუალებებისა და იმ ადამიანების ერთობლიობა, რომლებსაც ისინი მოქმედებაში მოჰყავს. ქვეყნის ეკონომიკის ზრდა უშუალოდაა დაკავშირებული ს. ძ. განვითარებასთან, რადგან ს. ძ. განვითარების დონე განსაზღვრავს ნაციონალური სიმდიდრისა და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის დინამიკას. ს. ძ. – თვითგანვითარებადი სისტემაა, რომელშიც ხდება ადამიანის ზემოქმედება შრომის საგნებზე და მისი გარდაქმნა. შესაბამისად, ადამიანი თავისი ინტელექტით, ფსიქოფიზიოლოგიური თვისებებით, პროფესიული ცოდნითა და ჩვევებით, გამოცდილებით, შრომისადმი

დამოკიდებულებით, ფასეული ორიენტაციითა და ა.შ. წარმოადგენს ამ სისტემის მთავარ ელემენტს, საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალას. ს. ძ. ნივთობრივ ნაწილს და შრომის საშუალებებს (შრომის იარაღები, საწარმოო შენობები, რკინიგზები, მილსადენები, არხები, გზები, მიწა და ა.შ.) ადამიანი იყენებს შრომის საგნებზე ზემოქმედებისათვის.

საწარმოს შიდა სტანდარტი – მეწარმის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება. ს. შ. ს. სხვა პირებისთვის სტანდარტად არ განიხილება, რეგისტრაციას არ საჭიროებს და მასზე არ ვრცელდება სტანდარტის მოქმედება.

საწდომი – იხ. სალექარი.

საწევარი – 1. სტაციონარული, გადასატანი ან გადასაადგილებელი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ტვირთების ასაწევად მცირე სიმაღლეზე. საწევარი შეიძლება იყოს ლარტყიანი, ხრახნული, პნევმატიკური და ჰიდრავლიკური. მათ გამოიყენებენ უმთავრესად სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებზე, აგრეთვე ავტოტრანსპორტის რემონტისათვის; 2. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია ექსპლუატაციისთვის ნახევარმისაბმელთან ერთად. მისი სახეებია: ბარბაცა, თვლიანი, ორღერძა, საბუქსირო, უნაგირა (ნახ. 1) და სხვ.

ნახ. 1

საწეველა – ციკლური ან უწყვეტი მოქმედების ტვირთამწევი მანქანა. ტვირთების გარდა, მისი საშუალებით გადაჰყავთ ადამიანები. ამძრავიდან ტვირთმზიდ მოწყობილობაზე ზემოქმედების გადასაცემად გამოიყენება ბაგირები, ჯაჭვები, ლარტყები, ხრახნები. უპირატესი გავრცელება მოიპოვა ბაგირულმა ამწევმა, რომელშიც ტვირთამწევი მოწყობილობა ჩამოეკიდება ფოლადის ბაგირზე, რომელიც გადახვეულია ბაგირმზიდ ბორბლებზე ან ეხვევა ამწევი ჯალამბრის დოლზე. ამძრავი ძირითადად ელექტრულია (იშვიათად ჰიდრავლიკური). საწეველებს (ამწევებს) მიეკუთვნება: ლიფტი, ესკალატორი, ფუნიკულიორი, სკიპური (საციცხვე) საწევი, სამშენებლო ამწევი (ანძური, ბაგირული, შახტური), პნევმოამწევი, ანძა-ავტომობილი და სხვ.

საწერტელი – ხელის საზეინკლო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ნაკეთობის წერტვისათვის. ის ინსტრუმენტალური ფოლადისაგან დამზადებული მრგვალი განივკვეთის ღეროა, რომლის ერთი ბოლო (სამუშაო ნაწილი) წვეტით დაბოლოებული კონუსია (ნახ. 1). კონუსის კუთხე წვეტთან – 100-120°. წერტვა ხდება ს. წვერის საწინააღმდეგო ბოლოზე ჩაქუჩის დარტყმით. ს. გაკეთებული ღრმულები გამორიცხავს ზედაპირზე ბურღის გაცურებას და უზრუნველყოფს გაბურღული ნახვრეტების ზუსტ განლაგებას.

ნახ. 1

საწვავი – იხ. სათბობი.

საწვავი აირული – წვადი (ნახშირწყალბადი, ნახშირბადის ჟანგი, წყალბადი) და არაწვადი (აზოტი, ჟანგბადი) აირების ნარევი გარკვეული რაოდენობის მინარევებით (წყლის ორთქლი, გოგირდწყალბადი, მტვერი და სხვ.).

საწვავი ბუნებრივი – მიწის წიაღში ან ზედაპირზე არსებული მყარი, თხევადი ან აირული საწვავი.

საწვავი თხევადი – თხევად აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი საწვავი.

საწვავი კომბინირებული – სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი საწვავის ნარევი.

საწვავი მყარი – წვადი ნივთიერება, რომლის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს ნახშირბადი (ქვანახშირი, მურა ნახშირი, წვადი ფიქალი, ტორფი, მერქანი და სხვ.) და აქვს მყარი აგრეგატული მდგომარეობა.

საწვავი პირობითი – საწვავის ხარჯის საანგარიშო ერთეული, რომელიც წვის უმცირეს სითბოს (29,3 მჯოული ან 7000 კკალ) შეესაბამება.

საწვავი ხელოვნური – ბუნებრივი სათბობის გადამუშავებით მიღებული ან ტექნოლოგიური პროცესის თანამდევი წვადი პროდუქტი.

საწვეთური – 1. მოწყობილობა სითხის წვეთებად მისაწოდებლად; 2. სახლის ირგვლივ მოწყობილი ღარი სახურავიდან წვიმის წყლის ჩასადენად; 3. მეტალოპლასტმასის ფანჯრის ჩარჩოს ძელაკში გაკეთებული ხვრეტი ჩარჩოს პროფილში მოხვედრილი წვიმის წყლის გარეთ გამოსაშვებად; 4. ცეცხლამრიდი კედლების პარაპეტის ლითონის საფარის ელემენტი, ქვემოთ დახრილი კიდის სახით.

ნახ. 1

საწვიმური – შენობის სახურავზე, გარკვეულ ადგილებზე, მოწყობილი თუნუქის ძაბრი (ნახ. 1). რომლის მეშვეობითაც სახურავიდან ჰორიზონტალურ ღარებში დაგროვილი წვიმის წყალი ჩადის საწვიმარ მილში.

საწიდარი – მარტენის ღუმლის ქვედა ნაწილის კამერა, სადაც მადნის დნობის პროცესში გროვდება მტვერი და წიდის უწვრილესი ნაწილაკები.

საწნახელი – ყურძნის საწური დიდი, გრძელი ჭურჭელი, რომელსაც ამზადებენ მაგარი ჯიშის ხისგან (შეიძლება იყოს ქვიტკირისაც).

საწონაკი – დაკიდებული თაღის რკალების გადაკვეთაზე მოთავსებული სფეროს ან ნახევარსფეროს ფორმის დეკორატიული ელემენტი.

საწრეტი – იხ. დრენაჟი.

საწყაო – სახელურიანი ჭურჭელი (ძირითადად ხის) სითხის, მარცვლეულის ან ფხვიერი მასალის რაოდენობის დასადგენად.

საწყისი კოდი (კომპ.) (ინგლ. source code) – პროგრამირების რომელიმე ენაზე დაწერილი კომპიუტერული პროგრამის საწყისი ტექსტი, რომელიც შემდგომში უნდა გარდაიქმნას, რომ კომპიუტერმა შეძლოს მისი აღქმა და შესრულება.

საწყისი მასალები – დოკუმენტებისა და საინფორმაციო მასალების კომპლექტი, რომელიც აერთიანებს სპეციალურ მოთხოვნებს, რეკომენდაციებს, პირობებს, ნებართვებს, სამართლებრივ მტკიცებულებებს საინვესტიციო-სამშენებლო ეტაპის განსახორციელებლად.

საწყობი – შენობა ან შენობათა კომპლექსი, სათავსი, ნაგებობა, სპეციალური ადგილი მატერიალური ფასეულობების შესანახად (ნახ. 1) და სასაწყობე მომსახურების გასაწევად. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის საწყობებს: ადრეული შეზიდვის, ზოდების, მზა ნაწარმის, ნამზადის, საწარმოო, სატრანზიტო-გადასატვირთავი, საბაჟო, სეზონური შენახვის, სარეზერვო, საბითუმო განაწილების, კომერციული საერთო სარგებლობის, საცალო, სამხედრო, შუალედური და სხვ., ხოლო შენახვის პირობების მიხედვით – საერთო დანიშნულების, რეზერვუარები, სეიფები და სპეციალიზებული. საჭიროების შემთხვევაში ს. შეიძლება იყოს სიმძლავრეები საქონლის დაფასოების, შეფუთვის, ტესტირებისა და სხვა ოპერაციებისათვის.

ნახ. 1

საწყობი ადრეული შეზიდვის – საწყობი რაიონში, სადაც ტვირთის განთავსება შესაძლებელია წლის განსაზღვრულ პერიოდში.

საწყობი კომერციული საერთო სარგებლობის – საწყობი, რომელიც ემსახურება საქონლის ნებისმიერ მფლობელს.

საწყობი საბაჟო – ტვირთების დროებითი შენახვის საწყობი საბაჟო შემოწმების გასავლელად (პაკჰაუზი).

საწყობი საბითუმო განაწილების – საწყობი, რომელიც ამარაგებს საქონლის გამტარ ქსელს.

საწყობი სამხედრო – საწყობი სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის საქონლის შესანახად, რომელიც სჭირდება ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს (ცეიჰგაუზი).

საწყობი სარეზერვო – საწყობი, სადაც ინახება სახელმწიფო საქონლის (ძირითადად კვების პროდუქტები) მარაგი საგანგებო მდგომარეობისათვის.

საწყობი სატრანზიტო-გადასატვირთავი – საწყობი რკინიგზის სადგურებზე, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, სამდინარო მისადგომებთან და საავტომობილო ტერმინალებთან, რომლებიც ემსახურება ტვირთების შენახვას ხანმოკლე ვადით.

საწყობი საცალო – სავაჭრო ორგანიზაციის საწყობი.

საწყობი საწარმოო – საწყობი, სადაც ინახება ნედლეული, მაკომპლექტებელი დეტალები, მასალები, მზა პროდუქცია და სხვ.

საწყობი სეზონური – საწყობი სეზონური ხასიათის საქონლის განთავსებისათვის.

საჭდე – ხის, მუყაოს, ტყავის (ნახ. 1), ქსოვილის (ნახ. 2), პლასტმასის ან ლითონისაგან დამზადებული მცირე ზომის დეტალი (იარლიყი, ეტიკეტი), რომელზეც საქონლის, ტვირთის, შესრულებული სამუშაოს, დავალიანების და სხვ. ესა თუ ის მონაცემი აღინიშნება.

ნახ. 1

ნახ. 2

საჭედარი (ლუმბა, ნალი) – გამწევი საქონლის ჩლიქის მოსარკინი, დასაცავი საშუალება. გამოჭედილი რბილი ფოლადის ნაჭერი (ნახ. 1), რომელსაც რამდენიმე ლურსმნით აჭედებენ ჩლიქებზე. ნალი ორგვარია: კენტჩლიქიანებისათვის (ცხენი, ჯორი, სახედარი) მრგვალი, ხოლო წყვილჩლიქიანებისათვის (ხარი, კამეჩი) – ნახევარმთვარისებრი. თავდაპირველად ამ მიზნით იყენებდნენ საქონლის ფეხებზე ამოსაკრავ მცენარეული წნულის საძირეებს. ლურსმნით დაჭედილი რკინის ნალის გამომგონებლებად ძველ რომაელებს მიიჩნევდნენ (ახ. წ. III ს.). შემდეგ ნალის ფორმა თითქმის არ შეცვლილა. საინტერესოა, რომ არგონავტების თქმულების მიხედვით, კოლხები მიწას სპილენძისჩლიქებიანი ხარებით ამუშავებდნენ.

ნახ. 1

საჭედური – 1. რკალის ფორმის რკინის დეტალი; იხ. საჭედარი; 2. ძვ. ლუგვი რკინის გადამუშავებით მიღებული რკინა, რომლისგანაც "დაგვარებით" (სასურველი ნივთის ზომისა და ფორმის შესაბამისი რკინის ჩამოჭრა ზოდიდან) ამზადებდნენ რკინის ნაჭრებს, კვერებსა და სხვ.

საჭევარი (საჭეური) – სხვადასხვა კონსტრუქციის ამძრავით საჭესთან შეერთებული სახელურებიანი (ან უსახელურებო) ბორბალი, რომლის მობრუნებითაც მიმართულებას აძლევენ თვითმფრინავს, გემს, კომბაინს, ავტომობილს და სხვ.

ნახ. 1

საჭექი – სოლისებრი ქვა ქვათაღის წყობის უმაღლეს წერტილში (ნახ. 1. საჭექი ქვა ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე, ჯერსის კუნძული სენტ-ოუენის სრუტეში, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო).

საჭიმი – 1. მოქნილი სამონტაჟე მოწყობილობა, რომელიც მუშაობს მხოლოდ ჭიმვაზე და გამოიყენება კონსტრუქციის ორი ელემენტის გარე მხარეზე გადაადგილების საწინააღმდეგოდ; 2. იხ. საკოჭი.

საჭირხნი – ჰაერის კომპრესორი, განკუთვნილი შეკუმშული ჰაერის ან საწვავი ნარევის მიწოდებისათვის შიგაწვის დგუშიანი ძრავის ცილინდრებში.

ნახ. 1

საჭრეთელი – ინსტრუმენტი მცირე სიღრმის ბუდის ან ხვრელის ამოთლა-ამოსატეხად, მასალიდან მცირე სისქის მოსათლელად (გასათლელად), დასაჭრელად და ა.შ. (ნახ. 1. ხისტარიანი საჭრეთელების ნაკრები).

საჭრისი – მჭრელი იარაღი, რომელსაც იყენებენ ნაკეთობათა დასამუშავებლად სახარატო, რევოლვერულ, შიგსაჩარხ, კარუსელურ, სარანდ, სატეხ, კბილსარანდ და სპეციალურ ჩარხებზე.

ნახ. 1

საჭრისის თავი – მრავალსაჭრისიანი ინსტრუმენტი (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება კონუსური მრუდი ფორმის კბილებიანი თვლის მოსაჭრელად მოგორვის მეთოდით.

სახაზო პერსონალი – საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ითვლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელებად მათი წარმოების ადგილას: უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი (უბნის უფროსი), სამუშაოთა მწარმოებელი, მშენებელი ოსტატი და უბნის მექანიკოსი.

სახამებელი – მცენარის ძირითადი სამარაგო ნახშირწყალი, რომელიც წარმოიქმნება უჯრედის ორგანოიდებში და გროვდება ძირითადად თესლში, ძირხვენებსა და ტუბერებში, აგრეთვე ფოთლებსა და ღეროებში. ს. ორი პოლისაქარიდის – ამილოზის (10-30%) და ამილოპექტინის (70-90%) ნაზავია; მათი საერთო ფორმულაა $(C_6H_{10}O_5)_n$. ობის სოკოების ფერმენტი გლუკოამილაზა ს. შლის გლუკოზამდე. ს. და მის წარმოებულებს იყენებენ ქაღალდის, ქსოვილების, წებოს, სამსხმელო წარმოებაში და სხვ. როგორც სამკურნალო საშუალება, სახამებელი შედის სხვადასხვა ფხვნილში, მალამოსა და პასტაში. სახამებლის 1%-იან ხსნარს იყენებენ როგორც ინდიკატორს, იოდის აღმოსაჩენად. მშენებლობაში ს. გამოიყენება შპალერის გასაკრავად, საღებავის შესასქელებლად და სხვ.

სახანძრო – ხანძრის ჩაქრობისთვის განკუთვნილი.

სახანძრო ავტომატური მექანიზმი ან სისტემა – ხანძრისაგან დამცავი მექანიზმი ან სისტემა, რომელიც საგანგებო ვითარებების დროს ადამიანის ჩაურევლად ასრულებს ფუნქციას და აქტიურდება წინასწარგანსაზღვრული ტემპერატურის მომატების, მისი ზრდის ტემპის ან წვის პროდუქტების მატების შედეგად.

სახანძრო გამაფრთხილებელი – მოწყობილობა ხანძრის შესახებ სიგნალის მისაღებად და გადასაცემად. არსებობს აირის, ალის, კვამლის აღმოსაჩენი და სხვ.

სახანძრო განგაშის საავარიო სისტემა – სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც საავარიო სიტუაციებზე, ასევე, საფრთხის შემცველ ნივთიერებებზე მითითებასა და შეტყობინებას.

სახანძრო განგაშის სამართავი ერთეული – სისტემის ნაწილი, რომელიც ავტომატური და ხელით სამართავი სახანძრო განგაშის მოწყობილობებიდან იღებს ინფორმაციას და შეუძლია უზრუნველყოს აღმომჩენი მოწყობილობებისა და რეტრანსლიატორ(ებ)ის ან სათადარიგო გადამცემ(ებ)ის ელექტრომომარაგება. შესაძლოა, სამართავი ერთეული შეტყობინების მოწყობილობებს გადასცემდეს ელექტროენერგიას, აგრეთვე, ინფორმაციას რელეებს ან მექანიზმებს, არსებული მდგომარეობის შესახებ.

სახანძრო განგაშის სიგნალი – სიგნალი, რომელსაც გამოსცემს სახანძრო განგაშის მოწყობილობა, მაგ., ხელით მართვადი სახანძრო განგაშის კოლოფი, ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი, წყლის ნაკადის გამშვები და სხვ., რომელთა გააქტიურება მიანიშნებს ხანძრის ან ხანძრის ნიშნების არსებობაზე.

სახანძრო განგაშის სისტემა – სისტემა ან კომბინირებული სისტემის ნაწილი, რომლის კომპონენტები და წრედები ისეა მოწყობილი, რომ გააკონტროლოს და დააფიქსიროს სახანძრო განგაშის ან საკონტროლო სიგნალების გამომცემი მოწყობილობების მდგომარეობა და სათანადოდ რეაგირებდეს ამ სიგნალებზე.

სახანძრო გასასვლელი – გასასვლელი საშუალებების სისტემის ის მონაკვეთი, რომელიც შენობის ან ნაგებობის ინტერიერის სხვა სივრცეებისაგან გამიჯნულია ცეცხლმედეგობის კოეფიციენტის მქონე კონსტრუქციით და ღიობის დამცავებით, რაც აუცილებელია გასასვლელთან მისადგომსა და შენობიდან გამოსასვლელს შორის გასასვლელისაკენ სავალი დაცული გზის უზრუნველსაყოფად. ს.გ. მოიცავს: შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ექსტერიერში გასასვლელ კარს, შვეული გასასვლელის შემომზღუდავებს, გასასვლელ გზა-დერეფნებს, ექსტერიერში გასასვლელ კიბე-გზებს, ექსტერიერში გასასვლელ პანდუსებსა და ჰორიზონტალურ გასასვლელებს.

სახანძრო ზოლი – გზა ან სხვა გასასვლელი, რომელიც დატოვებულია სახანძრო ტექნიკის გასატარებლად, მაგრამ სახანძრო ზოლი არ არის განკუთვნილი მხოლოდ სახანძრო ტექნიკისთვის.

სახანძრო მილდგარების სისტემა ავტომატური წყლიანი – წყალმომარაგების მქონე წყლიანი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც ავტომატურად აკმაყოფილებს სისტემის მოთხოვნას.

სახანძრო მილდგარების სისტემა ნახევრად ავტომატური მშრალი – მშრალი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც მუშაობს ისეთი მოწყობილობით, როგორიცაა წყლის მასიური ჭავლის გამშვები ონკანი, რომლიდანაც წყალი გადადის სისტემის მილებში სახანძრო

ონკანთან მოთავსებული დისტანციური სამართავი მოწყობილობის გააქტიურებისთანავე. დისტანციური გამშვები გასააქტიურებელი მოწყობილობა დაყენებულია ყველა სახანძრო ონკანთან. მილდგარების სისტემის წყლით მომარაგება შეესაბამება სისტემის მოთხოვნას.

სახანძრო მილდგარების სისტემა ხელით სამართავი მშრალი – მშრალი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელსაც არ აქვს სისტემაზე მიერთებული მუდმივი წყალმომარაგება. იგი წყლით მარაგდება სახანძრო ავტომობილების საშუალებით, რომლებიდანაც წყალი გადადის სისტემაში სახანძრო მილსადენების გავლით.

სახანძრო მილდგარების სისტემა ხელით სამართავი წყლიანი – წყლიანი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც მიერთებულია წყალმომარაგების სისტემასთან, მაგრამ არ აქვს საკმარისი წყალმომარაგება, რომელიც დააკმაყოფილებდა სისტემის მოთხოვნას. იგი წყლით მარაგდება სახანძრო ავტომობილის საშუალებით, რომლებიდანაც წყალი გადაიტანება სისტემაში.

სახანძრო მილდგარების სისტემის კლასები – ხანძარსაწინააღმდეგო მილდგარები იყოფა შემდეგ კლასებად: I კლასის სისტემა – უზრუნველყოფს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ 77 მმ სახანძრო სახელოს ქანჩის მიერთებას, და განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს. II კლასის სისტემა – უზრუნველყოფს 51 მმ სახანძრო ონკანის დახმარებით წყალი მიაწოდოს, უპირველესად, შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს რეაგირებისათვის. III კლასის სისტემა – უზრუნველყოფს 51 მმ ონკანის დახმარებით წყალი მიაწოდოს შენობაში მყოფთ და 77 მმ შლანგის მისაერთებლებს, რომლის საშუალებითაც წყლის უფრო დიდი მოცულობის გამოყენება შეუძლია სახანძრო-სამაშველო დანაყოფს და მათ, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

სახანძრო მილდგარების ტიპები – 1. ავტომატური მშრალი – მილდგარების სისტემა, რომელიც სავსეა შეკუმშული ჰაერით. სისტემას აქვს სარქველი, საიდანაც წყალი ავტომატურად გადადის სისტემის მილებში სახანძრო ონკანის გახსნისთანავე. ავტომატური მშრალი სახანძრო მილდგარების სისტემის წყალმომარაგება უნდა აკმაყოფილებდეს სისტემის მოთხოვნას; 2. ავტომატური წყლიანი – წყალმომარაგების მქონე წყლიანი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს სისტემის მოთხოვნის დაკმაყოფილებას; 3. ხელით მართვადი მშრალი – სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელსაც არ აქვს სისტემაზე მიერთებული მუდმივი წყალმომარაგება. ხელით მართვადი მშრალი სახანძრო მილდგარების სისტემების წყლით მომარაგება ხდება სახანძრო ავტომობილების საშუალებით, საიდანაც წყალი გადადის სისტემაში სახანძრო მილსადენების გავლით.

სახანძრო მილდგარი – წნევის ქვეშ მყოფი ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის დგარი.

სახანძრო რისკი – დაცვის ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების რეალიზაციის შესაძლებლობის ზომა და მისი შედეგები ადამიანებისა და მატერიალური ფასეულობების მიმართ.

სახანძრო რისკი დასაშვები – სახანძრო რისკი, რომლის დონე დასაშვები და დასაბუთებულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე.

სახანძრო რისკი ინდივიდუალური – სახანძრო რისკი, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანის გარდაცვალებამდე ხანძრის სახიფათო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

სახანძრო საშიშროება – საშიშროება, რომელიც განისაზღვრება სახანძრო-ტექნიკური მახასიათებლებით: წვადობით, აალებადობით, ზედაპირზე ალის გავრცელებით, კვამლწარმოქმნის უნარითა და ტოქსიკურობით. ამის მიხედვით სამშენებლო კონსტრუქციები იყოფა არახანძარსაშიშ, ნაკლებად ხანძარსაშიშ, ზომიერად ხანძარსაშიშ და ხანძარსაშიშ კლასებად.

ნახ. 1

სახანძრო სახელო – რეზინიანი ქსოვილისაგან დამზადებული წყლის მილი დანიშნულების ადგილას წყლის ჭავლის მისაწოდებლად (ნახ. 1).

სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა – სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობების ერთობლიობა, დამონტაჟებული ერთ ობიექტზე, რომელიც კონტროლდება საერთო სახანძრო პოსტიდან.

სახანძრო ტექნიკა – ტექნიკური მოწყობილობა ხანძრის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და ჩაქრობის, აგრეთვე ადამიანებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვისთვის.

სახანძრო უსაფრთხოება – საშიში ფაქტორების და ხანძრის ზემოქმედებისგან მოსახლეობის, ეკონომიკის, ობიექტებისა და გარემოს დაცულობის მდგომარეობა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა – სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული საკანონმდებლო აქტების, წესებისა და მოთხოვნების მიღება და დაცვა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

ნახ. 1

სახანძრო უსაფრთხოების ფუნქციები – შენობისა და ხანძრის კონტროლის ფუნქციები, რომელთა მიზანია, აამაღლოს დამკავებელთა სიცოცხლის უსაფრთხოების ხარისხი ან აკონტროლოს ხანძრისგან გამოწვეული საზიანო ეფექტების გავრცელება.

სახანძრო ხელის ინსტრუმენტი – ხელის ინსტრუმენტი კონსტრუქციის გასახსნელად ან დასაშლელად (ნახ. 1) საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ხანძრის პირობებში.

ნახ. 1

სახარისხებელი მანქანა – საშენი მასალების ზომების მიხედვით დახარისხების მექანიკური დანადგარი. არსებობს მრავალი სახის: დოლური, ინერციული (ნახ. 1), მოვიბრირე, მოქანავე, ცეცხლრიკებიანი, ცხრილიანი, ხის და სხვ.

სახარძრო გამააქტიურებელი მექანიზმი – სისტემის კომპონენტი, რომელიც იწყებს მდგომარეობის შეცვლას

ისეთ მოწყობილობებში, როგორებიცაა: კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი ან საზედამხედველო ამომრთველი.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა – გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქმიანობა მოიცავს სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვა საქმიანობას, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელებას, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანების და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას. საქმიანობის კატეგორიათა ჩამონათვალს, რომელიც გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას, განსაზღვრავს ქვეყნის კანონმდებლობა. კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე უზრუნველყოს კონტროლი გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის აუცილებელი პირობა საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი – სახელმწიფო ტყის ფონდი, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების გარდა.

სახელმწიფო ტყე – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე.

სახელმწიფო ტყის ფონდი – სახელმწიფო ტყის, ქვეყნის კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და რესურსების ერთობლიობა. იყოფა ორ ნაწილად: ტყით დაფარულ და ტყით დაუფარავ ტერიტორიებად.

სახელმწიფო ქონება – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, გარდა იმ მოძრავი ნივთისა, რომლის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც ქვეყანაში გამოიყენება სხვა სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურებთან რაიმე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.

სახელო – რეზინის, გარეზინებული ქსოვილის, ნაჭრის, პლასტმასის ან სხვა მასალის ნაკეთობა, რომელიც განკუთვნილია ფხვიერი და თხევადი, ბლანტი და მტვრიანი ნამუშევარი აირების მისაწოდებლად და გასაწმენდად. არსებობს სახელოს სახეები: ბადისებრი (ნახ. 1), ბენზინმედეგი, ბუნებრივი აირის (ნახ. 2), ვინილის (ნახ. 3), გალაქტიკის, კომპოზიტური (ნახ. 4), ჟანგბადის, მაღალი წნევის (ნახ. 5), მდინარის, მინის, მისადგმელი, მოქნილი (ნახ. 6), მსორსლავი, ორთქლსადენი, პანტოგრაფის, პნევმატიკური, პოლიპროპილენის, პროპანის (ნახ. 7), საბრუნი, სავენტილაციო, სამრეწველო (ნახ. 8), სანაწილებელი, სახანძრო, ტელესკოპური, შემონაქსოვიანი, ქშინის, შემწოვი, ხისტი და სხვ.



Бзь. 1

Бзь. 2

Бзь. 3

Бзь. 4

Бзь. 6

Бзь. 5

Бзь. 7

Бзь. 8

სახელოსნო – კონკრეტული დანიშნულების მცირე საამქრო, ძირითადად სარემონტო (მაგ., მექანიკური, მოძრავი, საგზაო, სადურგლო, საველე, სამჭედლო და სხვ.).

სახელური – ჰორიზონტალური (დაქანებული) გრძივი ელემენტი, რომელსაც ხელით ეყრდნობიან.

სახერხი საამქრო – მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც აღჭურვილია მორის დასანაწევრებელი ყველანაირი სახერხი დანადგარებით, რკინიგზის ჩიხით, ამწეებით, ავტოკარებით, სატვირთო მანქანებითა და ასეთი ინფრასტრუქტურისათვის საჭირო დამხმარე სათავსებით.

სახეწი – იხ. შაბერი.

სახეხელა – ხელის საბათქაშე ინსტრუმენტი კედელზე დატანილი ბათქაშის პირველადი დამუშავებისათვის (ნახ. 1).

ნახ. 1

სახილველი – იხ. თეატრი.

სახიფათო ბუნებრივი მოვლენა – ბუნებრივი წარმოშობის სტიქიური შემთხვევა.

სახიფათო დატბორვის ზონა – ზონა, რომლის ტერიტორია შემოიფარგლება კაშხლიდან (წამლეკი ტალღის მოძრაობის) კალაპოტის იმ განივკვეთით, რომელსაც გარღვევის ტალღა გაივლის წარმოქმნის მომენტიდან 4 საათის განმავლობაში. განსაკუთრებით საშიში დატბორვის ზონის ტერიტორია ჰიდროკვანძის ნაგებობის სადაწნევო ზედაპირიდან შემოიფარგლება კალაპოტის იმ განივკვეთით, რომელსაც გარღვევის ტალღის ფრონტი გაივლის წარმოქმნის მომენტიდან 1 საათის განმავლობაში. ის წარმოადგენს შესაძლო კატასტროფული დატბორვის ზონის საწყის ნაწილს.

სახიფათო კონცენტრაცია – კონცენტრაცია (გაზის მოცულობითი წილი ჰაერში), ტოლი გაზის აალების ქვედა ზღვრის 20%-ისა.

სახიფათო საწარმოო ფაქტორი – საწარმოო ფაქტორი, რომლის ზემოქმედებამ მომუშავეზე შეიძლება გამოიწვიოს მისი ტრავმა.

სახიფათო ტვირთები – ნივთიერებები და საგნები, რომლების ტრანსპორტირების, სატვირთავ-გასატვირთავი სამუშაოების შესრულებისა და შენახვის დროს, შეიძლება გახდეს აფეთქების, ხანძრის ან სატრანსპორტო საშუალების, საწყობების, მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების დაზიანების, აგრეთვე ადამიანებისა და ცხოველების კვდომის, დამწვრობის, დასახიჩრების, მოწამვლის, დასხივებისა და დაავადების მიზეზი.

სახლაკი – მცირე ზომის სახლი.

სახლი – 1. შენობა, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად (ნახ. 1. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი) ან კულტურული და საზოგადოებრივი დანიშნულებით. ის შეიძლება იყოს ასაწყობი, დასაშლელი, ერთ- ან მრავალბინიანი, შემსუბუქებული ტიპის, ქვის, ხის, რკ.ბ.-ის, აგურის, ფოლადის, მიწის, მინის, პლასტმასის, თოვლისა და სხვ.; 2. შენობა ან შენობების კომპლექსი; 3. ასტროლოგიური ტერმინი; 4. მიწის საკუთრების ერთეული.

ნახ. 1

ნახ. 1

სახლი ასაწყობი – სახლი, რომელიც აწყობილია ქარხნული წესით დამზადებული დეტალებისა და კვანძებისაგან (ნახ. 1. ასაწყობი სახლი).

სახლი ბლოკირებული – ერთ-, ორ- ან სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც შედგება რამდენიმე ბინისგან ცალკე შესასვლელებით (ნახ. 1. ბლოკირებული საცხოვრებელი სახლი ორ ოჯახზე).

ნახ. 1

ნახ. 1

სახლი ბლოკური – დიდი ზომის საკედლე ქვებით (ბლოკებით) აგებული სახლი.

სახლი საზოგადოებრივი – ერთი ან მრავასართულიანი, მრავალბინიანი შენობა, რომელიც შედგება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ცალკეული ბლოკებისაგან (ნახ. 1. სახლი საზოგადოებრივი).

სახლი საცხოვრებელი – დაბალსართულიანი ერთი ან რამდენიმებინიანი შენობა ერთი ან რამდენიმე ოჯახისთვის, რომელსაც აქვს ყოველ ბინაში იზოლირებული შესასვლელი (ნახ. 1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი).

ნახ. 1

სახლი სტანდარტული – სახლი, რომელიც აშენებულია ქარხნული წესით დამზადებული გარკვეული სტანდარტული ზომის, ფორმისა და კონსტრუქციის ელემენტებისგან (მაგ., ფინური სახლი).

ნახ. 1

სახლი ფინური – კოტეჯის ტიპის, ძირითადად ერთსართულიანი, ხის ასაწყობი სახლი (ნახ. 1), დამზადებული ფიცრების, ფარების, სამფენოვანი პანელების, ძელების, ძელაკების ან მორებისაგან. მომხმარებელს მიეწოდება დაშლილი სახით კონტეინერებით და აწყობა ხდება ადგილზე. ს. ფ. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია.

სახლი ქარვასლის ტიპის – საცხოვრებელი სახლი მარტოხელა ან მცირე სულადობის ადამიანებისა და ოჯახებისთვის, რომელიც შედგება 10-14 მ^2 ფართობის ოთახებისგან შეთავსებული სანკვანძითა და კარგად განვითარებული მომსახურების ბლოკით, განთავსებული სახლის პირველ სართულზე ან ცალკე შენობაში და შეერთებული საცხოვრებელ სახლთან დახურული გადასასვლელით. ს. ქ. ტ., როგორც წესი, დაგეგმარებულია კორიდორული ან გალერეიული სქემით.

სახნისი (ლემექსი) – სოლისებრი მოყვანილობის სახვნელი იარაღის შემადგენელი ნაწილი. ამზადებდნენ მთლიანი რკინის ნაჭრისგან ცხელი ჭედვით. იგი დაგებული იყო სახვნელის კბილაზე და მიწას ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჭრიდა. სახნისს სახვნელი იარაღისა და ნიადაგის შესაბამისად, სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ. საქართველოში გვხვდება წვერბუდიანი, ორფრთიანი, ცალფრთიანი, ასიმეტრიული და ეშვიანი სახნისები.

სახრახნისი – საზეინკლო-საამწყობო ხელსაწყო, ხრახნებისა და სჭვალების ჩასახრახნ-ამოსახრახნად (ნახ. 1). ჩახრახნის პროცესის დასაჩქარებლად იყენებენ მექანიკურ ს., რომელსაც ამაგრებენ ხელის საბურღი მანქანის ვაზნაში.

ნახ. 1

სახსარი – 1. სამშენებლო კონსტრუქციების და მანქანათა დეტალების მოძრავი შეერთება, რომელიც უზრუნველყოფს ბრუნვას მხოლოდ საერთო ღერძის ან საერთო წერტილის ირგვლივ; 2. ორი სხეულის მოძრავი შეერთება, რომლის დროსაც მათი ფარდობითი მოძრაობა არის მოძრაობა ღერძის ირგვლივ (ცილინდრული სახსარი) ან წერტილის ირგვლივ (ბურთულა სახსარი). მექანიზმებში სახსარს ეწოდება ბრუნვითი კინემატიკური წყვილი. არსებობს სახსრის სახეები: მარტივი, მოძრავი, კარდანის, პლასტიკური, სფერული, სრული, რთული, ცილინდრული, უნივერსალური და სხვ.

სახსარი სფერული – სახსარი, რომელშიც შესაძლებელია შეერთებული სხეულების ფარდობითი ბრუნვა წერტილის გარშემო.

სახსრიანი მექანიზმი – მექანიზმი, რომლის წევრები მხოლოდ მბრუნავ კინემატიკურ წყვილებს (სახსრებს) ქმნის. ასეთი მექანიზმები არის ბრტყელი, სფერული და სივრცული. ბრტყელსახსრიან მექანიზმებში სახსრების ღერძები პარალელურია, სფერულში – სახსრების ღერძები ერთ წერტილში გადაიკვეთება, სივრცულში – კინემატიკური წყვილების ღერძები სხვადასხვა კუთხით იკვეთება.

სახურავი – შენობის კონსტრუქციის ზედა შემომზღუდავი ნაწილი, რომელიც ასრულებს მზიდ, ჰიდროსაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო ფუნქციებს (ნახ. 1). მზიდი ნაწილები (ნივნივები, წამწეები, კოჭები, გრძივები, პანელები და ა.შ.), სახურავიდან მოსულ მუდმივ და დროებით დატვირთვებს გადასცემს მზიდ კედლებსა და ცალკეულ საყრდენებს. ს. შეიძლება მოეწყოს სხვენითა და სხვენის გარეშე. უსხვენო სახურავებს, რომლებიც შეთავსებულია სხვენიან გადახურვებთან, ხშირად უწოდებენ დახურვას ან შეთავსებულ სახურავს. არსებობს სახურავის ექვსი ძირითადი სახე: ბრტყელი, ერთფერდა, მრავალფერდა, მიდგმული, მრგვალი (წრიული) და ჰიპერბოლური.

ნახ. 1

სახურავი ბრტყელი – უმნიშვნელო ქანობის (ფაქტიურად ჰორიზონტალური) სახურავი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სამოქალაქო (ნახ. 1) და სამრეწველო მშენებლობაში. ქანობიანი სახურავისგან განსხვავებით, ბრტყელ სახურავებში არ გამოიყენება ბურულის ცალობითი და ფურცლოვანი მასალა. აქ საჭიროა ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც შექმნის სახურავის ხალიჩის უწყვეტ ზედაპირს (ბიტუმი, ბიტუმ-პოლიმერი, პოლიმერი, მასტიკა და სხვ.). ტრადიციულად გამოიყენება ნაკლებნალექიან რეგიონებში. თანამედროვე წყალუჟონადი ბურულის მასალის დახმარებით შესაძლებელია დიდი ფართობის სახურავების მოწყობა. თანამედროვე არქიტექტურაში გავრცელებულია მრავალმხრივი დანიშნულების ტერასული ბრტყელი სახურავები (ნახ. 2. როკფელერის ცენტრის სახურავის ბაღები მანჰეტენზე, ქ. ნიუ-იორკი, ნიუ-იორკის შტატი, აშშ).

ნახ. 1

ნახ. 2

სახურავი გოტიკური – მკვეთრად დაქანებულკალთებიანი, წვეტურიანი სახურავი (ნახ. 1. წმ. ვიტუსის სახელობის საკათედრო ტაძარი, ქ. პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა).

ნახ. 1

სახურავი ერთფერდა – სახურავის სახეობა (ნივნივების, წამწეების, კოჭების სისტემა), რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი ფერდი და არ არის ბრტყელი. არსებობს სხვადასხვა დანიშნულების ერთქანობიანი ერთფერდა [გამოიყენება მთლიანი სახლის (ნახ. 1) საწყობის, სამეურნეო შენობის ვერანდის, ტერასის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცირემალიანი გრძელი ფარდულის გადასახურად და სხვ.] და ხერხის კბილების ფორმის ნაკეცებიანი ერთფერდა სახურავი (ნახ. 2), რომელიც ჩვეულებრივ უზრუნველყოფს შენობის სათავსის კარგ ბუნებრივ განათებას და მაგ., საწარმოში იცავს მომუშავეებს პირდაპირი მზის სხივებისგან.

ნახ. 1

ნახ. 2

სახურავი ვალმური – სახურავის ტიპი, რომელსაც აქვს ოთხქანობიანი კონსტრუქცია (ნახ. 1). მისი ორი მხარე ტრაპეციის ფორმისაა (გრძივი მიმართულებით), ხოლო ორი დანარჩენი - სამკუთხედის ფორმის.

ნახ. 1

ნახ. 1

სახურავი კარვისებრი – სახურავი, რომლის დახრილი სიბრტყეები წარმოადგენს ტოლფერდა სამკუთხედებს, რომლებიც თავს იყრის ერთ წერტილში (ნახ. 1). ასეთი გადახურვის განმსაზღვრელია სიმეტრიულობა. გამოიყენება გეგმაში კვადრატული ან წესიერი მრავალკუთხედის ფორმის შენობებისათვის.

სახურავი მანსარდული – სახურავი, რომელსაც აკეთებენ მაშინ, როცა საჭიროა სხვენის საცხოვრებელი სათავსის (მანსარდის) მოცულობის გაზრდა. სახურავი ძირითადად შედგება სხვადასხვა დახრის კუთხის მქონე სიბრტყეებისაგან, რომელთაგან ქვედა უფრო დახრილია, ვიდრე ზედა (ნახ. 1). ასეთი სახურავები პოპულარულია ბინათმშენებლობაში, რადგან სახლის მფლობელს საშუალებას აძლევს სხვენის ხარჯზე საკმაოდ გაზარდოს საცხოვრებელი ფართობი და მოაწყოს იქ საბილიარდო, ბავშვთა ოთახი და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 1

სახურავი მრავალფერდა – გეგმაში კვადრატული ან მართკუთხა ფორმის სახურავი, რომელსაც ორი ან მეტი ფერდი აქვს (ნახ. 1). არსებობს მისი მრავალი სახეობა: წვეტურა (მარტივი სახურავის სახეობა, რომელსაც აქვს გადაბრუნებული ლათინური V-ს ფორმა), A-სებრი (ლათინური A-ს ფორმის კარკასის მქონე სახლის სახურავი, რომლის ფერდები შენობის საფუძვლის ხაზის სიახლოვიდან იწყება), რთული და სხვ.

სახურავი მრგვალი – სახურავი, რომელსაც გეგმაში წრის ფორმა აქვს.

ნახ. 1

ნახ. 1

სახურავი ნახევრადვალმური – სახურავის ტიპი, რომელსაც აქვს ორი გრძივი ექვსკუთხა ფერდი, ხოლო ტორსული ნაწილები შედგება ტრაპეციული ფერდისა და სამკუთხა ვალმისაგან (ნახ. 1).

სახურავი ოთხფერდა – ოთხქანობიანი სახურავი, რომლის ორი დიდი ფერდი ტრაპეციებია, ხოლო ტორსული კედლის მხრიდან – სამკუთხედები (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

სახურავი ორთითა – სახურავის ტიპი, რომელიც შედგება ორი მართკუთხა ფერდისაგან, რომლებიც შენობის სახურავის გრძივი სიმეტრიის ღერძისკენ არიან დახრილი (ნახ. 1).

სახურავი ორფერდა – ყველაზე გავრცელებული კლასიკური კონსტრუქცია (ნახ. 1). მას ზოგჯერ წვეტურა სახურავსაც უწოდებენ. მზიდ ელემენტებად გამოყენებულია სამკუთხა ხის ნივნივები (წამწეები). დახრილი სიბრტყეების (ქანობების) კუთხე ჰორიზონტთან შეიძლება იყოს ერთნაირი ან სხვადასხვა.

ნახ. 1

ნახ. 1

სახურავი შედური – ერთქანობიანი კბილისებრი სახურავი (ნახ. 1).

სახურავის ანაწყობი – ატმოსფერული ზემოქმედებისგან დასაცავად და დაგეგმარებაში გასათვალისწინებელი დატვირთვის მიმართ მედეგობის უზრუნველსაყოფად შექმნილი სისტემა. სისტემა შედგება სახურავის ბურულისა და სახურავის ფენილისგან ან ერთი კომპონენტისგან, რომელიც ორივეს როლს ასრულებს. სახურავის ანაწყობში შედის სახურავის ფენილი, ორთქლის შემკავებელი, ქვეშრე ან თერმული ზღუდე, იზოლაცია, ორთქლშემკავებელი და სახურავის ბურული.

სახურავის აღდგენა – მომზადებულ არსებულ სახურავის ბურულზე, მისი აყრის გარეშე, დამატებითი ბურულის დაგების პროცესი.

სახურავის ბურული – ბურული, რომელიც იგება სახურავის ფენილზე ატმოსფერული ზემოქმედებისგან დასაცავად, ცეცხლმედეგობის უზრუნველსაყოფად ან გასაფორმებლად.

სახურავის გამოცვლა – სახურავის არსებული ბურულის აყრის, დაზიანებული ფუძე-ფენის შეკეთებისა და ახალი ბურულის დაგების პროცესი. იშვიათად, მთლიანი სახურავის შეცვლა.

სახურავის განაკიდი – სახურავის შვერის ქვედა გადმოკიდებული მხარე (იხ. განაკიდი, ნახ. 1).

სახურავის განიავება (ვენტილაცია) – ბუნებრივი ან მექანიკური პროცესი, რომლის დროსაც კონდიცირებული ან არაკონდიცირებული ჰაერი მიეწოდება სახურავის ქვეშ მდებარე სხვენებს (სხვენს), მაღალ ჭერებს ან სხვა დახურულ სივრცეებს ან გამოდის ამ სივრცეებიდან.

სახურავის კალთა – ქანობიანი სახურავის ერთ-ერთი სიბრტყე.

სახურავის ლითონის პანელი – ურთიერთდაკავშირებული ლითონის ფურცლები, რომელთაგან თითოეული ფურცლის, სულ მცირე, 0,28 მ^2 ფართობი ხვდება ატმოსფერული ზემოქმედების ქვეშ.

სახურავის ლითონის ყავარი – ურთიერთდაკავშირებული ლითონის ფურცლები, რომელთაგან თითოეული ფურცლის 0,28 მ^2-ზე ნაკლები ფართობი ხვდება ატმოსფერული ზემოქმედების ქვეშ.

სახურავის მკვეთრი ქანობი – სახურავი, რომლის ქანობი მეტია, ვიდრე ორი შვეული ერთეული 12 თარაზულ ერთეულზე (17%-იანი ქანობი).

სახურავის მოდიფიცირებული ბიტუმის ბურული – პოლიმერ-მოდიფიცირებული ასფალტის ფურცლების ერთი ან რამდენიმე შრე. ფურცლები ეწებება ან მექანიკურად მაგრდება ფუძე-ფენაზე ან ბალასტის ფენაზე.

სახურავის მრავალშრიანი ბურული – ერთმანეთზე დაკრული ტოლის ორი ან რამდენიმე შრე, რომელსაც ზედა შრედ ეკვრება მინერალურზედაპირიანი ტოლი, მინერალური შემვსები, გლუვი ბურული ან მსგავსი მასალა.

სახურავის ორმაგი გადახურვა – სახურავის დამატებითი ბურულის დაგება უკვე არსებულ სახურავის ბურულზე, არსებული სახურავის ბურულის შეუცვლელად.

სახურავის პოზიტიური საწრეტი – საწრეტის მდგომარეობა, როდესაც სახურავის ფენილის დატვირთვის გათვალისწინებით კეთდება დამატებითი ქანობი, რომელიც ნალექიანობის დროს უზრუნველყოფს სახურავის დაწრეტას 48 საათის (ორი დღეღამის) განმავლობაში.

სახურავის საანგარიშო კიდე – ქანობიანი სახურავის შემთხვევაში შენობის საანგარიშო ზედაპირისა და შენობის გადახურვის სიბრტყეების გადაკვეთის წარმოსახვითი ხაზი. ბრტყელი გადახურვისას შენობის საანგარიშო ზედაპირის დამამთავრებელი ხაზი.

სახურავის სასარგებლო ფართობი – სახურავის ბურულის ფართობი, რომელიც წარმოადგენს შენობის სახურავის, ბურულის ფაქტურ ფართობს პირგადადებების ჩაუთვლელად.

სახურავის სრული ფართობი – მოცემული ფართობის სახურავზე ბურულის მასალის მთლიანი ხარჯი (პირგადადებების ჩათვლით).

სახურავის ფენილი – შენობის სახურავის დახურვა ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დასაცავად. სახურავის ფენილში არ შედის საყრდენი ნაწილები ან შვეული საყრდენები.

სახურავის ფუძე – ზედაპირი, რომელზეც ეწყობა სახურავის საფარი. ჩვეულებრივ, კეთდება მოლარტყვისა და უწყვეტი ფენილის სახით.

სახურავის შეკეთება – სახურავის შესანარჩუნებლად მასზე არსებული ბურულის რომელიმე ნაწილის გამოცვლა (რეკონსტრუქცია) ან განახლება.

სახურავსზედა ნაგებობა – სახურავის ფენილის ან შენობის, ან მისი ნებისმიერი ნაწილის თავზე აღმართული ნაგებობა.

სახურავსქვეშა აფსკი – აფსკი, რომელიც გამოიყენება სახურავის თბოიზოლაციისათვის და მზიდი კონსტრუქციის ნესტისაგან დასაცავად.

სახშობი – შტუცერის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მის ჰერმეტულად ჩაკეტვას.

საჯარო ბუღალტრული აღრიცხვა – ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც მოიცავს აუდიტორულ დასკვნას, ბალანსს, მოგებისა და ზარალის გამოთვლას და სხვა საფინანსო-ბუღალტრულ ანგარიშგებას, რომლებიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, და გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლისთვის წარსადგენად და პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.

საჯარო გაცნობა – ნებისმიერი მოქმედება (გამოქვეყნების გარდა), რომლის შედეგადაც უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებით ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა ან მონაცემთა ბაზა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

საჯარო მოსამსახურე – პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საჯარო რეესტრის წარმოება – საჯარო რეესტრის კანონით განსაზღვრული რეესტრის ფორმირება.

საჯარო ჩვენება – ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დემონსტრირება უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის ან სხვა ტექნიკური საშუალების მეშვეობით.

საჯინიბო – 1. ცხენ(ებ)ის სადგომი, თავლა; 2. მაღალი კლასის სპორტული მანქანების ავტოპარკი.

საჰაერო – მცირე ზომის ნახვრეტი შენობის ცოკოლში, კედლებში, გადახურვებში, ჩაკეტილი სივრცეების ბუნებრივი განიავებისათვის.

საჰაერო ბალიში – ჰაერის მაღალი წნევის არე მანქანის ფუძესა და საყრდენ ზედაპირს ან მოწყობილობებისა და მანქანების მექანიზმებში უძრავ და მოძრავ ელემენტებს შორის. განასხვავებენ ს. ბ. წარმოქმნის სტატიკურსა (მაღალი წნევა იქმნება ვენტილატორით ან კომპრესორით) და დინამიკურ (მაგ., მიწის ზედაპირთან მიახლოებისას საფრენი აპარატის ფრთის ქვეშ ჰაერის წნევის მომატება) ხერხებს. გამოიყენება სატრანსპორტო მოწყობილობებში (მაგ., გემი საჰაერო ბალიშზე), ხელსაწყოებში (მაგ., გიროსკოპი) და მექანიზმებში საჰაერო საკისრის დანიშნულებით, რათა შემცირდეს ურთიერთშემხებ ზედაპირებს შორის ხახუნი. ს. ბ. წარმოქმნის ცნობილი სქემებიდან ძირითადია: კამერიანი, საქშენიანი, ხვრელიანი და ფრთიანი.

საჰაერო ხრახნი – იხ. პროპელერი.

სგრაფიტო (გრაფიტო) (იტალ. sgraffiare ფხაჭნა, ბათქაშზე კაწვრა მახვილი ინსტრუმენტით<ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – 1. მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის სახესხვაობა. ბათქაშის ზედა თხელ ფენას ლითონის ინსტრუმენტით კაწრავენ იმდენად, რომ გამოჩნდეს ქვედა ფენა, რომელიც ფერით განსხვავდება ზედა ფენისაგან. წარმოიშვა XV–XVII სს.-ში იტალიაში, საიდანაც გავრცელდა გერმანიაში, ჩეხეთსა და სხვ.; 2. შენობის ფასადის დეკორატიული მოპირკეთების ხერხი (ნახ. 1. არტ ნუვოს სტილის სგრაფიტო, ბარსელონა, ესპანეთის სამეფო), რომელიც სრულდება ტრაფარეტის გამოყენებით; 3. ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ვალდებულებათა, იურიდიული ფაქტების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ნახ. 1

სეგმენტი (ლათ. segmentum მონაკვეთი) – 1. სწორი ხაზის წერტილების სიმრავლე ხაზის ორივე ბოლოს წერტილების ჩათვლით; იგივეა, რაც რიცხვითი მონაკვეთი; 2. ბრტყელი ამოზნექილი ფიგურის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია წირსა და მის ქორდას შორის; 3. სივრცეში ამოზნექილი ფიგურის (სხეულის) სხეულის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია მკვეთი სიბრტყით და მის მიერ მოკვეთილი ზედაპირის ნაწილით; 4. წრის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია წრეწირის რკალსა და მის მომჭიმავ ქორდას შორის (ნახ. 1. წრის სეგმენტი); 5. სფეროს ნაწილი, რომელიც მოთავსებულია მკვეთ სიბრტყესა და სფერული ზედაპირის ერთ-ერთ ნაწილს შორის (ნახ. 2. სფეროს სეგმენტი); 6. ყველა ნივთიერი x რიცხვების სიმრავლე, რომელიც აკმაყოფილებს უტოლობას a≤x<b (ან a<x≤b); 7. ელექტრ. გამოსახულების ნაწილი ნიშანმასინთეზირებელ სეგმენტურ ინდიკატორზე.



ნახ. 1



ნახ. 2

სეგრეგაცია (ლათ. segregatio გამოყოფა) – 1. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებაში, ვიბრაციის გავლენით მინერალურ ნარევში მარცვლების განაწილება (გაყოფა) სისხოს მიხედვით; 2. მასალის ქიმიური შედგენილობის არაერთვაროვნება, რომელიც თერმული დამუშავებისას წარმოიქმნება.

სედიმენტაცია (შუაფრანგ. sédiment<ლათ. sedimentum დალექვა, ჩაშვება<sedēre დაჯდომა, დასახლება) – 1. ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში და რომელიც ხელს უწყობს დანალექი ქანების წარმოქმნას. ძირითადი ფაქტორებია ტექტონიკური მოძრაობა და ჰავა. ს. ბუნებრივი პროცესია, რომლის შედეგად წყალში ან ჰაერში შეწონილი ან მოძრავი მყარი მასალა ნალექად გადაიქცევა. მიმდინარეობს ოკეანეებში, ზღვებში, ტბებში, მდინარეებსა და ხმელეთზე. ს. გზით წარმოქმნილი ნალექი დიაგენეზისის შედეგად გადაიქცევა დანალექ ქანად; 2. დისპერსიული სისტემების განშრევება სიმძიმის ძალის ზემოქმედებით, რასაც თან ახლავს

დისპერსიული ფაზის გამოყოფა ნალექის სახით. გამოიყენება ფხვნილების კლასიფიკაციის (იხ. სედიმენტაციური ანალიზი) და სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების მიზნით. პროცესი წარიმართება სალექარების, კლასიფიკატორების, სეპარატორების, ცენტრიდანული მანქანებისა და სხვა მოწყობილობების მეშვეობით.

სედიმენტაციური ანალიზი – დისპერსიული სისტემების ანალიზის მეთოდი, რომლის დახმარებითაც განისაზღვრება ნაწილაკის ზომები და სხვადასხვა ზომის ნაწილაკების ფარდობითი შემცველობა ნარევში სედიმენტაციის (განშრევების) სიჩქარის მიხედვით.

სედიმენტი (შუაფრანგ. sédiment<ლათ. sedimentum დალექვა, ჩაშვება<sedēre დაჯდომა, დასახლება) – იხ. ნატანი.

სედიმენტოლოგია (შუაფრანგ. sédiment<ლათ. sedimentum დალექვა, ჩაშვება<sedēre დაჯდომა, დასახლება და ბერძ. lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს დაჯდომას (შენობის) და დაჯდომად ქანებს.

ნახ. 1

სევადი (არაბ.) – 1. გრავირება ლითონზე, რომლის შტრიხი ივსება შავი ლითონის შენადნობით (ნახ. 1. ქართული სევადი); 2. შავი ფერის ნივთიერება – გოგირდში არეული დამწვარი ტყვია, სპილენძი ან ვერცხლი, რომელიც გამოიყენება ვერცხლის ან ოქროს ნაკეთობებზე სახეების გამოსაყვანად.

სევრი (ფრანგ. sèvres<საფრანგეთის ქ. სევრის სახელის მიხედვით) – ფაიფურის ნატიფი, მაღალხარისხოვანი ნაკეთობა.

სეიდაბადი – თბილისის ძველი უბანი მდინარე წავკისისწყლის მარჯვენა მხარეს.

სეირანი – მეცხოველეობის შენობის მახლობლად ან უშუალოდ მის გარშემო შემოღობილი ნაკვეთი.

სეისმოგენური ღვარცოფი – ღვარცოფის ერთ-ერთი გენეტიკური ტიპი, რომელიც წარმოიქმნება რვა და მეტი ბალის მქონე მიწისძვრის შედეგად. ს. ღ. ჩნდება ფერდობებიდან გრუნტის მასების მოწყვეტისა და, ზოგჯერ, მთის ტბებიდან წყლის გადმოდინების შედეგად. მიწისძვრით გამოწვეული ჩამონაშალი შეიძლება გარდაიქმნას ღვარცოფულ ნაკადად, მეწყერი და ჩამოზვავება ქმნის დროებით კაშხლებს, რომლის გარღვევა ღვარცოფების წარმოქმნის საწინდარია. ს. ღ. ამგვარი მოვლენების იშვიათი ტიპია და დამახასიათებელია მაღალი სეისმური აქტივობის ზონებისათვის.

სეისმოგრამა (ბერძ. seismos მიწისძვრა და gramma ჩანაწერი) – სეისმოგრაფის საშუალებით შესრულებული ჩანაწერი მიწისძვრის ბიძგებისა.

სეისმოგრაფი (ბერძ. seismós მიწისძვრა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო. რხევის ელექტროდინამიკური ს. ხელსაწყოს კორპუსი თავის თავზე იღებს ინერციული ტვირთის გადაადგილებას, რომელიც ზამბარებით არის კორპუსთან დაკავშირებული და გარდაიქმნება ელექტრონულ რხევებად. თხევად

გარემოში (ზღვებში, ჭაბურღილებში) შეკუმშული მოცულობითი ტალღის რეგისტრაციისათვის გამოიყენება პიეზოელექტრული სეისმოგრაფი.

სეისმოდაზვერვის სადგური – მოძრავი კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია სეისმური დაზვერვისას დრეკადი რხევების რეგისტრაციისათვის. ს. ს. ახდენს რხევების რეგისტრაციას სეისმომიმღები ცენტრის ავტომანქანაში (ან გემის ბაქანზე). მიმღებ პუნქტში მდებარეობს გამაძლიერებლები, სიხშირის ფილტრები, დამარეგისტრირებელი (მაგნიტური, იშვიათად ოპტიკური) და მართვის პულტი. თანამედროვე ს. ს. ახდენენ რხევების ჩაწერას ციფრული ფორმით, რომელიც ძალიან მოსახერხებელია კომპიუტერული გაანგარიშებებისას.

სეისმოიზოლაცია – სეისმოდაცვის ყველაზე ძველი მეთოდი, რომლის დროსაც აღწევენ შენობა-ნაგებობების საძირკველზე სეისმური ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას საძირკველსა და შენობის ფუძეს შორის სპეციალური სისტემების ან ელემენტების მოწყობის გზით. ასეთებია: ა) ელემენტები, რომლებიც ზრდის ნაგებობის საკუთარ რხევებსა და მოქნილობას (მოქნილი ღეროები, რეზინა – ლითონის საყრდენები და სხვ.); ბ) ელემენტები, რომლებიც ზრდის სეისმური რხევების ენერგიის შთანთქმის (დისიპაციის) უნარს (მშრალი ხახუნის დემპფერები, სრიალა საყრდენები, ჰისტერეზისული, ბლანტი დემპფერები) (ნახ. 1. ლითონის დემპფერი ქრომისა და ნიკელის მავთულით ნაქსოვი დაწნეხილი საამორტიზაციო ფენებით); გ) სარეზერვო გამოსართავი ელემენტები; დ) ჰორიზონტალური გადაადგილების შემზღუდავი საბრჯენები და სხვ.

ნახ. 1

სეისმოკაროტაჟი (ბერძ. seismos მიწისძვრა და ფრანგ. carotte ნაბურღი კერნი) – ჭაბურღილების სეისმური გამოკვლევა დრეკადი ტალღების სიჩქარის, მათი არეკვლის, გავრცელების და ჩაქრობის კოეფიციენტის განსაზღვრის გზით.

სეისმოლოგი – სეისმოლოგიის სპეციალისტი.

სეისმოლოგია (ბერძ. seismos რყევა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – გეოფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის რყევებს, კერძოდ, მიწისძვრებს. ს. ძირითადი ამოცანებია, დაადგინოს: მიწისძვრის გამომწვევი მიზეზები, მისი გავრცელების გეოგრაფია და გეოდინამიკურ პროცესებთან კავშირი; მიწისძვრის პროგნოზირებისა და სეისმური მშენებლობისთვის აუცილებელი კვლევების მეთოდები; არსებული სეისმური მონაცემებით გრუნტის შიგა აგებულება.

სეისმომდგრადობა – შენობის მიერ მიწისძვრით გამოწვეული ძალებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რაც მიიღწევა დაგეგმარებითი ღონისძიებების ჩატარებითა და სპეციალური კონსტრუქციების გამოყენებით.

სეისმომედეგი მშენებლობა – სამშენებლო ტექნიკის დარგი, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობათა სიმტკიცისა და მდგრადობის შენარჩუნებას 7-, 8- და 9 ბალიანი (12 ბალიანი სეისმური სკალით) მიწისძვრის დროს. ს. მ. ნორმატიულ დოკუმენტებში მოცემულია სეისმურ რაიონებში მშენებლობის ძირითადი პირობები: შენობის გეგმის სიმარტივე და სიმეტრიულობა, შენობის მასის სიმცირე, მისი სიმძიმის ცენტრის დაბალი მდებარეობა,

ნაგებობათა მასისა და სისტემის თანაბარსიმეტრიული განაწილება, მზიდი ელემენტების დიდი დასაშვები მოქნილობა და მათი ურთიერთშეერთების ადგილებში (კვანძებში) პლასტიკური დეფორმაციების განვითარების შესაძლებლობა; შენობის შეზღუდული სართულიანობა, განივი მზიდი კედლების ურთიერთდაშორება, შუაკედლებისა და ღიობების ზომები, სართულის სიმაღლისა და კედლის სისქის თანაფარდობა; საკედლე მასალასა და დუღაბს შორის მაღალი შეჭიდულობის უზრუნველყოფა, კედლების ურთიერთგადაკვეთის ადგილებში წყობის დაარმატურება, კედლების გასწვრივ შეკრულკონტურიანი რკ.ბ.-ის სარტყელების მოწყობა და მათთან სართულთშორისი გადახურვების საიმედოდ შეერთება. მრავასართულიან კარკასულ შენობებში კარგ შედეგებს იძლევა გრძივი და განივი ანტისეისმური დიაფრაგმების მოწყობა.

სეისმომედეგობა შენობა-ნაგებობის – შენობა-ნაგებობის უნარი შეინარჩუნოს პროექტით გათვალისწინებული სიმტკიცე და მდგრადობა საანგარიშო მიწისძვრის ზემოქმედების შემდეგ, რაც გამორიცხავს ნაგებობის გლობალურ ან ნაწილობრივ ჩამონგრევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი ან ტრამვები.

სეისმომეტრია (ბერძ. seismos მიწისძვრა და métron გაზომვა) – სეისმოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გრუნტის, ნაგებობათა და სხვა ობიექტების რყევის რეგისტრაციისთვის საჭირო ხელსაწყოებსა და მეთოდებს.

სეისმური – მიწისძვრასთან ან მის შესწავლასთან დაკავშირებული.

სეისმური დაზვერვა (სეისმოდაზვერვა) – გეოფიზიკური დაზვერვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება დედამიწის ქერქის ჩამოყალიბების შესწავლის, ნავთობისა და გაზის ბურღვითი სამუშაოების კვლევა-ძიებისათვის და სხვ. ს. დ. ხორციელდება მთის ქანების ხელოვნური აფეთქებით ან სეისმოდაზვერვითი სადგურებიდან დარტყმითი და ვიბრაციული მკვრივი ტალღების აღმრიცხველი გენერატორების ჩანაწერების გაშიფვრით.

სეისმური მშენებლობა (ანტისეისმური მშენებლობა) – ისეთი შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რომელთაც შეუძლიათ გაუძლონ მიწისძვრისას სეისმურ ზემოქმედებებს. ასეთი შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას, ძირითადი დატვირთვების გარდა, გაითვალისწინება მიწისძვრისას წარმოშობილი სეისმური ძალების ინერცია.

სეისმური ნაკერი – შენობის ვერტიკალური ნაკერი, რომელიც დიდი ზომისა და რთული კონსტრუქციის ნაგებობას დამოუკიდებლად რხევის უნარის მქონე ცალკეულ ნაკვეთურებად ჰყოფს.

სეისმური რისკი – ძლიერი მიწისძვრით განპირობებული სოციალური და ეკონომიკური დანაკარგების (ადამიანების მსხვერპლი, ტრავმატიზმი, მატერიალური ზარალი) ალბათობის მახასიათებელი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიწისძვრების სოციალური და ეკონომიკური შედეგები იქნება ტოლი ან გადააჭარბებს განსაზღვრულ მნიშვნელობას სამშენებლო ან სხვა ტერიტორიაზე განსაზღვრული ზემოქმედების დროის განმავლობაში. ს. რ. შეფასება და კონტროლი ითვალისწინებს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა: სეისმური აქტიურობის განსაზღვრა, გრუნტების მოძრაობის პროგნოზი, რღვევა, გათხევადება, დაჯდომა, წაცურება, შემჭიდროება, თელვასა და ძვრაზე სიმტკიცის დაკარგვა, გვერდითი გაფართოება; შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო ვარგისიანობა, ფუნქციონირება, სიცოცხლის უსაფრთხოების განსაზღვრა სეისმური საფრთხის სხვადასხვა

დონისას, მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში და ეკონომიკური ზარალის შედეგების შეფასება; შენობა-ნაგებობების ანტისეისმური ღონისძიებების შემუშავება.

სეისმური სარტყელი – რკინაბეტონის (ლითონის) სარტყელი, რომელიც ნაგებობას ცალკეულ ნაკვეთურებად – იარუსებად ყოფს და აძლიერებს მის სეისმომდგრადობას.

სეიფი (ინგლ. safe უსაფრთხო) – მნელად გასატეხი, უწვი ლითონის ყუთი ან კარადა შიგა ძირის ფართობით არაუმეტეს 2 მ^2 (უფრო დიდი ფართობის – ეს უკვე ფასეულობების საცავია), ძვირფასეულობის, დოკუმენტებისა და ინფორმაციის მატარებლების შესანახად (ნახ. 1).

ნახ. 1

სეიფი ჩაშენებული – სეიფი ჩაშენებული იატაკში, კედელში ან სხვა სეიფის შიგნით.

სეიფი ცეცხლგამძლე – ლითონის ყუთი ან კარადა შიგა ძირის ფართობით არაუმეტეს 2 მ^2, გათვალისწინებული ძვირფასეულობის, დოკუმენტებისა და ინფორმაციის მატარებლების შესანახად, მდგრადი ხანძრისა და გატეხის მიმართ.

სეიში – მდგარი ტალღა, რომლის დროსაც ტბის, ყურის ან ზღვის წყლის მთელი მასა იცვლება ისე, რომ გვაქვს მხოლოდ ჰორიზონტის ვერტიკალური ცვალებადობა, წინსვლითი მოძრაობა კი არ შეიმჩნევა. ამ დროს წყალსაცავის ერთ ნაპირთან წყლის დონე მაღლა იწევს, მეორე ნაპირთან – ქვემოთ, შემდეგ კი პირიქით და ა.შ.

სეიჩენტო (იტალ. seicento ექვსასი) – XVII საუკუნის იტალიური დასახელება, რომელიც იტალიური კულტურისა და ხელოვნების აღორძინების პერიოდს განიხილავს გვიანი აღორძინების ხანიდან ბაროკოს ეპოქამდე. ის იყო XVI საუკუნის ევროპაში დაწყებული მძლავრი იდეოლოგიური პროცესების ლოგიკური გაგრძელება – XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა მანერიზმი, ბაროკო, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია; შეიქმნა პირველი სამხატვრო აკადემიები, გამოიკვეთა მეცნიერების უპირატესობა შუა საუკუნეების მსოფლმხედველობასთან შედარებით და სხვ. სეიჩენტოს პერიოდის ცნობილი არქიტექტურული ძეგლებია: სახალხო მოედანი პიაცა-დელ-პოპოლო (Piazza del Popolo) (ნახ. 1), ქ. რომი (1679-1681 წწ.); სამეფო სასახლე ტურინში (Palazzo Reale) (ნახ. 2), (1646-1660 წწ.); ციხე-სიმაგრე ვალენტინო (Castello del Valentino) (1633-1660 წწ.), ქ. ტურინი; სასახლე კარინანო (Palazzo Carignano) (1679-1684 წწ.), ქ. ტურინი და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

სეკანსი (ლათ. secans გადამკვეთი) – კუთხის ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია, რომელიც მართკუთხა სამკუთხედში უდრის ჰიპოტენუზის შეფარდებას მოცემული კუთხის კათეტთან.

სეკვოია [ინგლ. Sequoia<ამერიკელი ინდიელი მეცნიერის სეკვოიას სახელის მიხედვით (ცნობილია აგრეთვე ჯორჯ გუეშის სახელით)] – მარადმწვანე გიგანტური წიწვოვანი ხე (ნახ. 1). სიმაღლეში აღწევს 110 მ-ს, დიამეტრი 6-9 მ. ს. ჩვენი პლანეტის ყველაზე მაღალი ხეა. ველურად იზრდება ჩრდილოეთ ამერიკაში – კალიფორნიასა და სამხრეთ ორეგონის მთებში. დეკორატიული მცენარეა. მოშენებულია ბაღ-პარკებში დასავლეთ ევროპის სამხრეთ ნაწილში. საქართველოში გვხვდება სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, წინანდალსა და სხვაგან. სწრაფმზარდია. ცოცხლობს 2000 წელზე მეტს. მერქანი ხასიათდება კარგი მექანიკური თვისებებით. გამოიყენება რკინიგზის შპალების, სატელეგრაფო ბოძების, ავეჯისა და ფანქრების წარმოებაში.

ნახ. 1

სეკრეტერი (ლათ. secretarius<secretum<secret საიდუმლო) – კომბინირებული საწერი მაგიდა ან კარადა, რომელსაც აქვს გადმოსაწევი ან გამოსაწევი ფიცარი საწერად (ნახ. 1). ფართოდ გამოიყენებოდა XVIII-XIX საუკუნეში. ავეჯის თანამედროვე ასორტიმენტში ს. კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისი კომპაქტური კონსტრუქციის გამო.

ნახ. 1

სეკრეცია (ფრანგ. sécrétion<ლათ. secretionem გამოყოფა, განცალკევება) – 1. მომრგვალო ფორმის მინერალური აგრეგატი, რომელიც წარმოიქმნება კრისტალური ან კოლოიდური ნივთიერებით ქანებში არსებული სიღრუეების ამოვსებით. სეკრეციისთვის დამახასიათებელია მინერალური ნივთიერების კონცენტრულ-შრეებრივი დალექვა სიღრუის კედლიდან ცენტრისკენ. ცალკეული შრეები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფერითა და შედგენილობით. მსხვილ სეკრეციას ჟეოდა ეწოდება; 2. მედიც. ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებათა (სეკრეტების) გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ.

სეკულარიზაცია – 1. საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად; 2. რისამე გადასვლა საეკლესიო, სასულიერო გამგებლობიდან საერო, სამოქალაქო გამგებლობაში.

სეკუნდი – კუთხისა და რკალის საზომი ერთეული; უდრის 1/3600 ნაწილს. აღინიშნება ორი ირიბი შტრიხით.

სელადონი (ფრანგ. Céladon<XVII საუკუნის ფრანგი მწერლის ონორე დე იურფეს რომანის "ასტრეას" ერთ-ერთი პერსონაჟის მიხედვით, რომლის ტანსაცმელი მორთული იყო ღია-მწვანე ფერის ბაფთებით) – მონაცრისფრო-მწვანე მოჭიქული ჩინური კერამიკა, ფაიფურის მსგავსი. გამოგონებული იქნა ძველ ჩინეთში, პროვინცია ჩჟეცზიანში. შემდეგ გავრცელდა იაპონიაში,

კორეაში, ტაილანდსა და სხვა ქვეყნებში (ზოგიერთი მკვლევარი ტერმინ სელადონს უკავშირებს სანკრისტულ სიტყვებს: sila მწვანე და dhara ქვა).

სელამლიქი – ქალაქის ტიპის მუსულმანური საცხოვრებელი სახლის მისაღები ნაწილი.

სელენიტი (ბერძ. selēnē მთვარე) – მბზინავი მოვარდისფრო ყვითელი ფერის ბოჭკოვანი თაბაშირი, სანაკეთო მასალა, რომელსაც აქვს აბრეშუმისებრი ელვარება და გაპრიალებულ ზედაპირზე ლამაზი მბზინავი ოპტიკური ეფექტი (ანალოგური "კატის თვალის" ეფექტის). სიმკვრივე – 2310-2330 კგ/მ³; სიმაგრე მოოსის სკალით – 1,5-2. ჩანართების სახით შეიძლება შეიცავდეს თიხის, ქვიშის, გოგირდის, ორგანული ნივთიერებების მინარევებს. გამოიყენება მოსაპირკეთებელ ქვად, წვრილმანი ნაკეთობებისა და ფიგურების დასამზადებლად და სხვ.

სელექტორული კავშირი (შერჩევითი სატელეფონო კავშირი) – ოპერატიული სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აბონენტების ერთმანეთთან და ცენტრალურ პუნქტთან კავშირს დიდი რაოდენობის სატელეფონო აპარატების პარალელურად ჩართული სისტემის მეშვეობით. გამოიყენება რკინიგზისა და მდინარის ტრანსპორტზე, ენერგოსისტემებში, მაღაროებში, აგრეთვე სააბონენტო პუნქტების განლაგებისას ერთი სატელეფონო ხაზის გასწვრივ დიდ მანძილზე.

სელექცია – 1. ცხოველთა ან მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ან ახალი ჯიშების გამოყვანა ხელოვნური შერჩევით, შეჯვარებით. შინაური ცხოველებისა და მცენარეების სელექციის (ხელოვნური გადარჩევის) გზით გამოყვანილი სახესხვაობები ცნობილია როგორც ჯიშები. ორი სხვადასხვა წმინდა სისხლის (ჯიშის) ცხოველების შეჯვარებით მიიღება ჰიბრიდი. თანამედროვე კულტივირებული მცენარეებისა და ცხოველების უდიდესი ნაწილი მრავალსაუკუნიანი ხელოვნური გადარჩევის ნაყოფია; 2. ელექტრ. მუშაობა განსაზღვრულ სიხშირეზე ან მასზე რეაგირება.

სელი – 1. მინერალური ნაწილაკების, ქვებისა და სამთო ქანების ნატეხების მაღალი კონცენტრაციის ღვარცოფული ნაკადი, რომელიც მოულოდნელად ჩნდება მთის მდინარეების აუზში. გამომწვევი მიზეზებია კოკისპირული წვიმა ან თოვლის (მყინვარის) სწრაფი დნობა. სელური ნაკადი ხანმოკლე მოვლენაა და გრძელდება 1-3 სთ. სიგრძეში შეიძლება იყოს 30 კმ-მდე და დაფაროს 100 კვ. კმ-მდე ფართობი; 2. ერთ ან მრავალწლოვანი მცენარე სელისებრთა ოჯახისა.

სელიტრა – ტრივიალური დასახელება მინერალებისა, რომლებიც შეიცავენ ტუტე და ტუტემიწა მეტალებსა (მათ შორის კრისტალჰიდრატებს) და ამონიუმს. გამოიყენება როგორც აზოტოვანი სასუქი სოფლის მეურნეობაში; კალიუმის ნიტრატი – როგორც დანამატი შავი დენთის წარმოებაში; ამონიუმის ნიტრატი – ასაფეთქებელი ნივთიერებების ამონალისა და ამოტოლის დასამზადებლად; ნატრიუმისა და კალიუმის ნიტრატები – როგორც აქტიური კონსერვანტები ყველისა და ძეხვეულის წარმოებაში და სხვ. არსებობს სელიტრას სახეობები: ამიაკის, ამონიუმის, ბარიუმის, ბარიტის, ინდური, კალიუმის, კალციუმის, კირის, მაგნიუმის, ნატრიუმის, ნორვეგიული, ჩილური და სხვ.

სელსინი [ინგლ. selsyn<self თვითონ და ბერძ. syn (chronos) ერთდროული, სინქრონული] – 1. ელექტრული მოწყობილობა მექანიკური მოძრაობის გადასაცემად გარკვეულ მანძილზე ელექტროსადენების საშუალებით; 2. ინდუქციური ელექტრული მანქანა ღერძების სინქრონულად ან სინფაზურად მოსაბრუნებლად (მაგ., მექანიკურად ერთმანეთთან

დაუკავშირებელი ხელსაწყოსა და მანქანის ლილვის). გამოიყენება კონტროლისა და მართვის, სათვალთვალო და დისტანციურ გაზომვათა სისტემებში.

სელური ნაკადი – ღვარცოფის სახეობა, რომელიც წარმოიქმნება მთებში წყალუხვობის შედეგად. ახასიათებს დიდი რაოდენობით ქვა-ტალახოვანი მასა.

სემაფორი [ფრანგ. sémaphore სიტყვასტყვით: ნიშნების (სიგნალების) მატარებელი<ბერძ. sêma ნიშანი, სიმბოლო; ნიშან-თვისება, ნიშანწყალი და -phōros ტარება, ზიდვა<phérein გადატანა, გადაზიდვა] – 1. რკინიგზის სასიგნალო მოწყობილობა [ნახ. 1. სემაფორი ნიშანს აძლევს კასლტონის რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთ კვანძთან, კასლტონის უბანი, ქ. როჩდეილი, ქალაქი-საგრაფო (მეტროპოლიის საგრაფო) დიდი მანჩესტერი, ინგლისი)]), რომლის ფრთების მდგომარეობა (ან შუქი) უჩვენებს მემანქანეს – თავისუფალია თუ არა გზა; 2. ზღვაზე – მხედველობითი სიგნალიზაცია, რომელიც ხორციელდება ხელების, ალმების (ღამით – ფარნების) მდგომარეობის ცვლით.

ნახ. 1

სემინარია (ლათ. seminarium კერა; გადატ. მნიშვნელობით – სკოლა) – სპეციალური საშუალო სასულიერო სასწავლებელი.

სემიოტიკა (სემოილოგია) (ბერძ. sēmeiōtikós მნიშვნელოვანი) – მეცნიერება, რომელიც იკვლევს ნიშნებს ფორმის, შინაარსისა და გამოყენების მხრივ და ნიშნების სისტემის ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს.

სენაკი – ბერის ან მონაზვნის საცხოვრებელი, ცალკე გამოყოფილი მცირე ოთახი მონასტერში. აქვს მინიმალური შიდა მოწყობილობა: მაგიდა, სკამი, ტახტი, ხშირად წიგნების თარო და ხატის დასადგამი; განმარტოებული სადგომი განდეგილისათვის; 2. მცირე სათავსი მონასტერში ან ციხე-სიმაგრეში; 3. ძვ. მცირე ზომის განმარტოებული სახლაკი (მცირე ზომის სახლი); კელენი; 3. ქალაქი დასავლეთ საქართველოში, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი.

სენდასტი (ინგლ. sendast<იაპონიის ქ. სენდაის სახელის მიხედვით) – რკინის შენადნობი კაჟმიწასა (10%) და ალუმინთან (5%), რომელიც გამოირჩევა მაღალი მაგნიტური შეღწევადობითა და ელექტრული წინაღობით. გამოიყენება ტრანსფორმატორების გულანებისა და მაგნიტური სადენების დასამზადებლად.

სენდვიჩპანელი – მსუბუქი უკარკასო სამფენოვანი პანელი (ნახ. 1), რომელიც შედგება ორი გარე, გლუვი ან დაპროფილებული (მინაპლასტიკი, ფანერი, ფოლადი, ალუმინი) და შუა გამათბუნებელი ფენებისაგან (ქაფპოლისტირენი, ქაფპოლიურეთანი, ბაზალტის მინერალური ბამბა). გარე ფენები (შემოსვები) უზრუნველყოფს პანელის სიმტკიცესა და მზიდ კონსტრუქციასთან მიმაგრებას. შუა ფენის (შუალი) დანიშნულებაა მიანიჭოს ს.-პ. მაღალი თბო-, ბიო-, ტენ- და ცეცხლმედეგობა. პანელის სისქეს განსაზღვრავს თბოტექნიკური და

კონსტრუქციული მოთხოვნები. ფენები ერთმანეთს უერთდება წებოს საშუალებით. ს.-პ. ფართოდ გამოიყენება სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობაში კარგი ტექნიკური მახასიათებლებისა და ესთეტიკური თვისებების გამო. მსუბუქია, რაც აადვილებს ტრანსპორტირებას და აჩქარებს მონტაჟს. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ს.-პ. ლითონის კონსტრუქციებით აგებული სწრაფად ასაშენებელი ობიექტების (სამრეცხაო, ხილ-ბოსტნეულის საცავი, სასაწყობე კომპლექსი, მაცივარი და სხვ.) შემოსვისათვის. პანელების დამზადება ხორციელდება მხოლოდ საქარხნო პირობებში (ნახ. 2).



ნახ. 1

ნახ. 2

სენსიბილიზატორი (ლათ. sensibilis მგრძნობიარე) – ნივთიერება, რომელიც ამაღლებს ასაფეთქებელი ნივთიერების მგრძნობელობას დეტონაციური ან მექანიკური იმპულსის მიმართ. მის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს: ნიტროგლიცერინი, ჰექსოგენი, ამონიტი, ტროტილი, სხვადასხვა სახის სელიტრები, ჰაერის ან გაზის ბუშტულები და სხვ.

სენსიტომეტრია (ლათ. sensitivus მგრძნობიარე და ბერძ. métron გაზომვა) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შუქმგრძნობიარე მასალების თვისებების დადგენისა და გაზომვის მეთოდებს.

სენსორი (ინგლ. sensor<ლათ. sēnsus შეგრძნება, გაგება, გრძნობა) – მოწყობილობა, რომელიც ცნობს, აღიქვამს ან ზომავს გარკვეულ ფიზიკურ თვისებას (მაგ., სინათლე, ტემპერატურა, წნევა, გამოსხივების დონე და სხვ.) და იწერს, აჩვენებს ან სხვაგვარად რეაგირებს მასზე.

სენსორული – გრძნობის ორგანოებთან დაკავშირებული, შეგრძნებაზე დამყარებული; მგრძნობელობითი.

სენსორული ანალიზი – ექსპერტების მიერ, დაწვრილებით და სტანდარტების შესაბამისად, საქონლის ხასიათისა და ორგანულობის აღწერა. გამორიცხავს რესპოდენტების სუბიექტურ შეფასებებს.

სენსორული აღქმა – ინფორმაციის მიღებისა და პირველადი გადამუშავების პროცესი.

სეპარატორი (ლათ. separatus გამომცალკავებელი) – აპარატი, რომელშიც წარმოებს 1 მმ-ზე ნაკლები სისხოს მშრალი ფხვნილისებრი მასალების დახარისხება. ასეთ აპარატებს საჰაერო სეპარატორებს უწოდებენ. მათში გამოიყენება ერთი ან რამდენიმე გაყოფის ზონა, რომლებშიც

წარმოიქმნება აირებისა და მყარი ნაწილაკების მოძრაობის დამახასიათებელი სქემა. საჰაერო ს. ფართოდ გამოიყენება საფქვავ დანადგარებში ცემენტის, თაბაშირის, კირისა და სხვათა წარმოებაში. ცხელი აირების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მასალების შრობისა და დახარისხების შეთავსება. საშენი მასალების წარმოებაში უპირატესად გამოიყენება გამტარი და ცირკულაციური სეპარატორები.

სეპარაცია (ლათ. separation გამოცალკევება) – 1. მშრალი ფხვნილისებრი მასალის დახარისხება საჰაერო სეპარატორებში, რომლებშიც უფრო მსხვილი ნაწილაკები სათანადო პირობებში გამოეყოფა აირის ნაკადიდან სიმძიმის ძალის ან ცენტრიდანული ძალების გავლენით, ხოლო წმინდა ნაწილაკები აირის ნაკადით გადადის დამლექ მოწყობილობებში. აირმასალის ნაკადის სიჩქარის რეგულირებით შეიძლება გაყოფის სასაზღვრო ნაწილაკის ზომის რეგულირება; 2. ერთი ნივთიერების მეორესაგან გაწმენდა; 3. მყარი, თხევადი ან აირული ნარევების შემადგენელ ნაწილებად დაცალკევება. არსებობს სეპარაციის სახეები: ელექტროსტატიკური, ელექტრული, ვაკუუმური, მაგნიტური, მშრალი, სველი, ხრახნული და სხვ.

სეპაროლი – მინერალური ზეთისაგან დამზადებული ყალიბების დასაზეთი სითხე, რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის ნაკეთობის ზედაპირის სიგლუვეს და ყალიბის სწრაფ და ადვილად მოხსნას კონსტრუქციისგან.

სეპტიკი (ბერძ. sēptós დამპალი, გახრწნილი) – 1. ნაგებობა მცირე რაოდენობის ჩამდინარი წყლის გასაწმენდად; 2. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ჩამდინარი წყლების დროებითი ლოკალური გამწმენდი ნაგებობის ელემენტი (სალექარი). გამოიყენება ინდივიდუალური და დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისთვის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის არარსებობის შემთხვევაში. ს. მუშაობაში ჩადებულია დალექვის გრავიტაციული და წყლების ბიოლოგიური გაწმენდის პრინციპი (ნახ. 1) ბიოფერმენტული პრეპარატების გამოყენებით (ბიოფილტრები, ბიოდატვირთვა და სხვ.). ს. ნაგებობის კონსტრუქცია და სიმძლავრე დამოკიდებულია ჩამდინარი წყლების რაოდენობაზე, გრუნტის სახეობაზე, ჰიდროტექნიკურ პირობებზე, გრუნტის წყლების დონეზე, კლიმატურ ზონაზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე, ნაკვეთის გეგმაზე, გრუნტის ფილტრაციის უნარზე, კარსტული ქანების არსებობასა და სხვ. ს. ნორმალური ექსპლუატაციისათვის აუცილებელია მისი პროფილაქტიკა (გაწმენდა ან ფილტრების გამოცვლა) წელიწადში ერთხელ.

ნახ. 1

სერალი (თურქ. séray სასახლე) – ოსმალეთის (თურქეთის) სულთნის სასახლე; მისი ჰარამხანა.

სერვანტი (ფრანგ. servante<ლათ. servus მონა) – დაბალი ავეჯის სახეობა კარადითა და უჯრებით, რომელიც იდგმება კედლის გასწვრივ და გამოიყენება ჭურჭლის, სათვალეების, კოსმეტიკური ნივთებისა და სასადილო თეთრეულის შესანახად (ნახ. 1. როკოკოს სტილის ფრანგული სერვანტი).

ნახ. 1

სერვერი (კომპ.) (ინგლ. server) – კომპიუტერი ან კომპიუტერული პროგრამა, რომელიც გამომთვლელი სისტემების ქსელში მართავს ცენტრალიზებულ საინფორმაციო რესურსთან ან სერვისთან წვდომას. ტიპური გამომთვლელი სერვერებია მაგ., მონაცემთა ბაზის სერვერები, ფაილ-სერვერები, საფოსტო სერვერები, ვებ-სერვერები და სხვ.

სერვისი (ძვ. ფრანგ. servise<ლათ. servitium მონობა<servus მონა) – 1. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლის შემადგენლობაში შედის: ადმინისტრაციული, მაგიდის, კლიენტების მომსახურეობა; სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამხედრო სამსახური, ინტერნეტი; მომსახურეობის დიზაინი, მარკეტინგი, მართვა და სხვ.; 2. ორგანიზაციებისა და საწარმოთა მარკეტინგული საქმიანობა მომსახურების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია მანქანა-დანადგარების, სამრეწველო და სხვა სახის პროდუქციის გასაღებასა და ექსპლუატაციასთან.

სერვიტუტი (ლათ. servitus მონობა, დამოკიდებულება) – ანტიკურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება გარკვეულ ფარგლებში (მაგ., მეზობლის მიწის ნაკვეთზე გავლის, წყლის გაყვანის უფლება, ნახირის გადენის უფლება და სხვ.). საერთაშორისო ს. – ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ უფლებათა გარკვეული შეზღუდვა მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ (საზღვაო და სამხედრო ბაზების, სეტლმენტების შექმნა, გზებით სარგებლობა სხვის ტერიტორიაზე და სხვ.).

სერვოამძრავი – შემსრულებელი მექანიზმი, ავტომატური მართვის სისტემებში მარეგულირებელი ორგანოს გადასაადგილებელი ან დისტანციური მართვის მოწყობილობა.

სერია (ლათ. seroes მწკრივი) – 1. ერთგვარი საგნების რიგი, ჯგუფი; საერთო ნიშან-თვისებათა მქონე საგნების, მოვლენების, მოქმედებათა რიგი; 2. ერთგვარი სტანდარტის მიხედვით დამზადებული საგნების, დეტალების რიგი; 3. დიდი კინო- ან ტელეფილმის ნაწილი, რომელსაც, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად უჩვენებენ; 4. ფასიანი ქაღალდების (ფულის ნიშნების, ობლიგაციებისა და მისთ.), დოკუმენტების თანრიგი, კატეგორია, რომლებიც ციფრებით ან ასოებით არის აღნიშნული.

სერიული – რისამე სერიებით, გარკვეული სტანდარტის მიხედვით დამზადება. მაგ., მანქანების სერიული წარმოება.

სერიული წარმოება – წარმოება, სადაც მზადდება ერთი ტიპის ნაკეთობათა დიდი პარტიები. მას შუალედური ადგილი უჭირავს მასობრივ წარმოებასა (რომელიც უახლოვდება მსხვილ სერიულს) და ინდივიდუალურს შორის (რომელიც უახლოვდება მცირე სერიულს).

სერიციტი (ეპისერიციტი, ლეპიდომორფიტი) (გერმ. sericite<შუასაუკ. ლათ. sēricus ჩინური აბრეშუმი<ბერძ. sērikón აბრეშუმი<sērikós აბრეშუმისებრ მბრწყინავი) – მინერალ მუსკოვიტის წვრილმარცვლოვანი ბოჭკოვანი სახესხვაობა, წარმოქმნილი მინდვრის შპატის ცვლილებით ფიქლებსა და ჰიდროთერმულ ქანებში. ძნელდნობადი მინერალი (ნახ. 1). არ იხსნება მჟავებში. ძლიერი გაცხელებით (წითელ ფერამდე) იშლება. კვარცთან შეზრდილი სერიციტი მეტად ძვირფასი მასალაა ფაიფურის წარმოებაში. გამოიყენება მშენებლობაში,

ნახ. 1

როგორც მოსაპირკეთებელი მასალა შენობის ინტერიერებისა და ესტერიერების გასაფორმებლად.

ნახ. 1

სერპანტინი (ფრანგ. serpentin<ლათ. serpent გველი) – იკანკელი; მთაგორიან რელიეფზე ხრახნისებურად კლაკნილი გზა (ნახ. 1).

სერპენტინი – მინერალი, მაგნიუმის სილიკატი. არსებობს ს. სამი სახეობა: მიკროქერცლოვანი ტიგორიტი, წმინდაბოჭკოვანი ქრიზოტილი და წვრილმარცვლოვანი ლიზარდიტი. ს. სერპენტინიტის ქანთმაშენი მინერალია.

ნახ. 1

სერპენტინიტი – მომწვანო ფერის მეტამორფული ქანი, რომელიც ძირითადად სერპენტინისგან შედგება (ნახ. 1). გამოიყენება შესამოს მასალად, რუბეროიდისა და ცეცხლგამძლე ნივთიერებების დასამზადებლად.

სერტიფიკატი (ფრანგ. certificat<ლათ. certum ალბათ და facere კეთება) – 1. დოკუმენტი, რომელიც საქონლის ხარისხს ამტკიცებს; 2. მოწმობა, წერილობითი ცნობა, რომელიც გაცემულია კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ და ადასტურებს მისი მფლობელის სათანადო უფლებებს; 3. საფინანსო დოკუმენტი, რომელიც ეძლევა მესაკუთრეს ფასიანი ქაღალდის სანაცვლოდ. ის ინახება საკრედიტო დაწესებულებაში ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმში, ან კიდევ დაცულია ჩანაწერების სახით შესაბამისი დაწესებულებების წიგნში; 4. მფლობელის საკუთრებაში არსებული საქონლის გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 5. პიროვნების ცოდნისა და უნარის დამამტკიცებელი დოკუმენტი.

სერტიფიკატი ტექნიკური – საინსპექციო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სერტიფიკატი ხარისხის – საქონლის ხარისხისა და სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. გასცემენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები. გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

სერტიფიკაცია – 1. ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობის დადასტურება იმ დონესთან, რომელიც ხარისხის სტანდარტს მოეთხოვება; 2. სერტიფიკატის მიღება; 3. სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ჩატარებული, განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ატესტაცია ობიექტის შესაბამისობის დადასტურების მიზნით.

სერფბორდი [ინგლ. surfboard<surf ზღვის მოქცევა და board ფიცარი] – გრძელი და ვიწრო ფიცარი (კორპისა, ქაფპლასტისა), რომელსაც იყენებენ სერფინგში.

ნახ. 1

სექსტანტი [ლათ. sextans (sextantis) მეექვსე] – ასტრონომიული კუთხესაზომი სარკულ-ამრეკლი ინსტრუმენტი, რომლითაც დაკვირვების ადგილის კოორდინატების განსაზღვრის მიზნით ზომავენ ციური სხეულების სიმაღლეს ჰორიზონტის მიმართ ან ნაპირზე მდებარე საგნებს შორის ხილულ კუთხეს. წარმოადგენს წრის 1/6 ნაწილს, დაყოფილს გრადუსებად (ნახ. 1).

სექსტილიონი – რიცხვი, რომელიც გამოისახება ერთიანით და 21 ნულით (10^{21}).

სექტორი (ლათ. sector გამომყოფი, გამკვეთი) – 1. გეომ. რაიმე სიბრტყის ან სივრცის შემოსაზღვრული ნაწილი. არის სამი სახის: ბრტყელი, წრიული და სფერული; 2. საზოგადობრივი ან სამრეწველო ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული (მაგ., ფინანსური სექტორი, კერძო სექტორი, საოჯახო სექტორი და სხვ.); 3. გადატ. რაიმე მთლიანის ნაწილი; 4. სპორტ. სტადიონის ტრიბუნების სექცია; სტადიონის ან მოედნის ნაწილი, გამოყენებული სპორტის განსაზღვრული სახეობისათვის (მაგ., ბირთვის კვრის სექტორი, სიმაღლეზე ხტომის სექტორი და სხვ.); 5. კომპ. დისკზე ინფორმაციის შენახვის მინიმალური სამისამართო ერთეული.

სექტორი ბრტყელი – მრუდხაზოვანი ფიგურის ფართობის ნაწილი, შემოსაზღვრული მის შიგნით ერთი წერტილიდან გამოსული ორი სწორით და მათ შორის რკალით.

სექტორი ეკონომიკური – ეკონომიკური მოღვაწეობის კლასიკური დანაწევრება, რომელიც მოიცავს სამ სექტორს: პირველადი – ითვალისწინებს ნედლეულის ამოღებასა და წარმოებას (მაგ., ხორბალი, ქვანახშირი, მერქანი, რკინა და სხვ.); მეორადი – ნედლეულის ან შუალედი პროდუქტის გარდაქმნას საქონლად (მაგ., ფოლადისა ავომანქანად, ქსოვილისა ტანსაცმლად და სხვ.); მესამე – მომხმარებლისადმი (ადამიანი, ფირმა, წარმოება და სხვ.) მომსახურების შეთავაზება (თეატრი, ბანკი, ბავშვის აღმზრდელი, ტრანსპორტი და სხვ.).

სექტორი სფერული – სხეული, წარმოქმნილი წრიული სექტორის ბრუნვით წრის რადიუსის გარშემო.



ნახ. 1

სექტორი წრიული – წრის ნაწილი, შემოსაზღვრული ორი r რადიუსითა და მათ შორის მოთავსებული წრეწირის L რკალით (ნახ. 1).

სექცია (ძვ. ფრანგ. section<ლათ. sectio გაკვეთა, გაყოფა, გაჭრა) – 1. რაიმე მთლიანის (მაგ., შენობის, მანქანის, დანადგარის) ნაწილი, რომელიც თავის მხრივ ნაწილებისა და დეტალებისაგან შედგება; ბლოკი; 2. ორგანიზაციის, დაწესებულების ნაწილი,

განყოფილება; 3. ყრილობის, კონფერენციის, თათბირის, სემინარისა და მისთ. ქვეგანყოფილება სპეციალური საკითხების განსახილველად.

სექცია საცხოვრებელი შენობის – შენობის ნაწილი, რომლის ოთახები უშუალოდ ან დერეფნის მეშვეობით გამოდის კიბის უჯრედზე და შენობის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილია ყრუ კედლით. საერთო დერეფნის სიგრძე, რომელსაც არ აქვს ბუნებრივი განათება ტორსების მხრიდან და უშუალოდ ესაზღვრება კიბის უჯრედს, არ უნდა აღემატებოდეს 12 მ-ს. სექციის ერთ სართულზე განლაგებული ბინების საერთო ფართობი, როგორც წესი, 500 მ^2-ზე ნაკლებია.

სექციური იზოლატორი – საკონტაქტო ქსელის სექციებად დამყოფი ელემენტი. შედგება საკონტაქტო საკიდრებში შეჭრილი იზოლატორებისა და დამატებითი სადენებისაგან. განასხვავებენ ცვლადი და მუდმივი დენის გასატარებელ სექციურ იზოლატორებს: ორსადენიანს – ერთი დამატებითი სადენით და სამსადენიანს – ორი დამატებითი სადენით.

სექციური საცხოვრებელი სახლი – თანამედროვე საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი გავრცელებული ტიპი. ის, როგორ წესი, მოიცავს ბინებს სხვადასხვა რაოდენობის ოთახებით, რაც საშუალებას იძლევა ს. ს. ს. განთავსდეს ოჯახები სხვადასხვა რაოდენობის წევრებით. სახლის მოცულობით-დაგეგმარებითი ელემენტია შენობის მთელს სიმაღლეზე განთავსებული კიბე მასზე გამომავალი ყველა ბინით, რომელსაც სექციებს უწოდებენ. საერთო დერეფნის სიგრძე, რომელსაც არ აქვს ბუნებრივი განათება ტორსების მხრიდან და უშუალოდ ესაზღვრება კიბის უჯრედს, არ აუნდა აღემატებოდეს 12 მ-ს. სექციის ერთ სართულზე განლაგებული ბინების საერთო ფართობი, როგორც წესი, 550 მ^2-ზე ნაკლებია.

სეძი – იაპონურ სახლებში: მსუბუქი გასაწევ-გამოსაწევი ტიხარი, რომელზეც გაკრულია ბუნდოვნად გამჭვირვალე სპეციალური ქაღალდი (ნახ. 1).

ნახ. 1

სვანური კოშკი – სვანეთში გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობა, ჩვეულებრივ 20-25 მეტრი სიმაღლისა (ნახ. 1). შედგება 4-6 სართულისგან. ქვედა სართული, რომლის კედლები 1,5 მ-მდე სისქისაა, მეტწილად ყრუა, შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა მოწყობილი. სიმაღლეში კოშკი ვიწროვდება და კედლების სისქეც 0,7-0,8 მ-მდე მცირდება. სართულები შიგნით ერთმანეთთან გადასატანი ხის კიბეებითაა დაკავშირებული. გვირგვინით დასრულებული კოშკის უკანასკნელ სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანი. გადახურულია ორფერდა სახურავით. აღჭურვილია სათოფურებით. სვანურ კოშკს აგებენ რიყის ქვითა და ლოდებით, იყენებენ ფიქალსაც (უშგული). კოშკებს

ნახ. 1

გარედან ლესავენ იშვიათი სიმტკიცის ბათქაშით. სვანური კოშკი ან საცხოვრებელ სახლთანაა დაკავშირებული ან ცალკე დგას.

სვანური ციხე-სახლი – საცხოვრებლის ერთ-ერთი სახე სვანეთში – კოშკისებრი საცხოვრებელი ნაგებობა, რომელსაც თავდაცვითი ფუნქციაც ეკისრება. სვანური კოშკისგან განსხვავებით ციხე-სახლი უფრო დაბალია და მასიური. შედგება სამი სართულისაგან. პირველი სართული ადამიანთა საცხოვრებლად და საქონლის სადგომადაა გამოყენებული, მეორე სართული სამეურნეო დანიშნულებისაა და მასზე ასასვლელად კედელში დატანებულია ქვის კიბე. მესამე სართული ბანია და თავდაცვითი დანიშნულება აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

სველი პერიმეტრი – სითხის ნაკადის ცოცხალი კვეთის პერიმეტრის (კონტურის) ნაწილი, რომლის გასწვრივ სითხე ეხება ნაკადის შემომსაზღვრელ მყარ კედელს.

სვეტ-თაღოვანი სისტემა – ორდერული თაღნარის იდეის ლოგიკური გაგრძელება, სადაც თაღები უშუალოდ ეყრდნობა სვეტებს (ან სვეტის კაპიტელებს) და სვეტები, ისევე როგორც კლასიკურ ორდერებში, ასრულებენ მზიდ ფუნქციას. ეს სისტემა ძირითადად გავრცელებული იყო რომის იმპერიის პერიოდში (I–V სს.).

სვეტების ბადე (კოლონების ბადე) – სამშენებლო ობიექტზე სვეტების (კოლონების) განლაგების რიგი (ნახ. 1) ანუ სვეტების განლაგების სპეციალური სქემა წერტილებში, სადაც გადაიკვეთება დაკვალვის ღერძები. პრაქტიკულად ს. ბ. კარკასული შენობის კონსტრუქციულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტის პარამეტრია (სვეტებს შორის ბიჯი და მალი). სვეტების განლაგებას განსაზღვრავს მოდულური ბადე. როგორც წესი, ბადის უჯრედის ზომა საცხოვრებელ შენობებში აიღება 6 მ-ის ჯერადი (იშვიათად 3 მ-ის ჯერადი). სამრეწველო შენობებში შიგა და განაპირა რიგის სვეტებს შორის დაშორება აიღება 6 ან 12 მ, რასაც განაპირობებს საამქროს საერთო ფართობი და ტექნოლოგიური პროცესი.



ნახ. 1

ნახ. 1

სვეტთშორისი – მანძილი სვეტების ცენტრებს შორის, რომელიც ქმნის სვეტების რიტმს.

სვეტი (კოლონა) – არქიტექტურულად დამუშავებული შენობის, ნაგებობის მზიდი კონსტრუქციული შვეული ღეროვანი ელემენტი, რომელიც მასზე დაყრდნობილი კონსტრუქციებიდან (რიგელი, წამწე, კოჭი, კამარა, სართულშუა გადახურვა და სხვ.) დატვირთვას გადასცემს საძირკველს და წარმოადგენს შენობის არქიტექტურული კომპოზიციის მნიშვნელოვან ელემენტს. კ. ძირითადი ნაწილებია: სათავე, ტანი და ბაზისი. ის შეიძლება

იყოს მთლიანკვეთიანი, შედგენილი და გამჭოლი. ტანის განივკვეთის მიხედვით – კვადრატული, მართკუთხა, მრავალკუთხა, წრიული, ორტესებრი. სიმაღლის მიხედვით – მთლიან- და ცვლადკვეთიანი. მასალის მიხედვით – ქვის (ნახ. 1), ხის, ლითონის (ნახ. 2), რკ.ბ-ის (ნახ. 3), პლასტმასის, მინის.

ნახ. 2

ნახ. 3

სვეტი ბუჩქური – იხ. სვეტი შედგენილი

სვეტი დორიული – ორდერულ არქიტექტურაში მარტივი კონსტრუქციის მასიური სვეტი, რომელიც ზევით თანდათან ვიწროვდება და დაგვირგვინებულია კაპიტელის მარტივი სქელი კვადრატული ფილით. სვეტის ტანი მთელ სიგრძეზე შემკულია მცირე სიღრმის სწორხაზოვანი კანელურებით (16-20 ცალი ერთ სვეტზე). არ გააჩნია ბაზისი (ბაზა) (ნახ. 1: დორიული სვეტები პართენონის შენობაზე, საბერძნეთის რესპუბლიკა).

ნახ. 1

სვეტი იონიური – ორდერულ არქიტექტურაში კლასიკური სვეტის ერთ-ერთი გამორჩეული სახეობა, რომელიც იდგმება საფუძველზე – ბაზაზე (ბაზისზე), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ქვის მრგვალ დისკოს დაყოფილს ღარებით. კანელურების რაოდენობა სვეტის ტანზე მეტია, ვიდრე დორიულ სვეტზე (24-მდე) და ერთმანეთისგან გამოყოფილია მცირე ზომის ბრტყელი ზოლებით. იონიური სვეტი დორიულზე უფრო ვიწროა, ზემოთ კი მთავრდება ვოლუტებით შემკული ულამაზესი ფორმის კაპიტელით (ნახ. 1).

ნახ. 1

სვეტი კანელურებიანი – სვეტი, რომელსაც ტანის მთელ სიგრძეზე შვეული ღარაკების აქვს ამოღებული (იხ. კანელურა, ნახ. 1). ძირითადად გავრცელებული იყო კლასიკურ ორდერულ არქიტექტურაში.

ნახ. 1

სვეტი კორინთული – ორდერულ არქიტექტურაში ყველაზე ლამაზი და დეკორატიული სვეტი, თავდაპირველად ძველ ელადაში, შემდეგ კი მცირე აზიისა და ევროპის კონტინენტზე (ნახ. 1). მხოლოდ მდიდრებსა და წარჩინებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა ასეთი სვეტებით შეემკოთ თავიანთი სასახლეები და თავის სახელზე აგებული საეკლესიო და საკულტო ნაგებობები.

სვეტი ოქტაგონური – რვაწახნაგა სვეტი.



ნახ. 1

სვეტი როსტრალური – ცალკე მდგარი სვეტი, შემკული ხომალდის ცხვირის სკულპტურული გამოსახულებებით. ს. რ. აგებდნენ საზღვაო ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად ან ქვეყნის საზღვაო სიძლიერის სიმბოლოდ (ნახ. 1. როსტრალური სვეტი სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის ფედერაცია). ტრადიცია მოდის ძველი რომიდან.

ნახ. 1

სვეტი რუსტისებრი – სვეტი, რომლის ტანი დეკორატიულადაა დამუშავებული მონაცვლეობით განლაგებული ცილინდრებითა და ოთხკუთხა კვადრებით (ნახ. 1).

სვეტი სოლომონის – სპილენძის, თითბრის ან ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ორი სვეტი, ბოაზი და იაქინი (ნახ. 1), რომლებიც იდგა იერუსალიმის პირველი ტაძრის – სოლომონის ტაძრის კარიბჭესთან (ნახ. 2). თითოეული სვეტის სიმაღლე 8,2 მ იყო, დიამეტრი – 1,8 მ. მათ თავზე ედგათ 2,4 მ დიამეტრის თითბრისგან ჩამოსხმული კაპიტელები.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 1

სვეტი სპირალური კანელურებით – სვეტი, რომლის ტანი ბაზისიდან კაპიტელამდე დაღარულია სპირალური კანელურებით (ნახ. 1).

ნახ. 1

სვეტი ტრიუმფული – დეკორატიული სვეტი, აგებული სამხედრო გამარჯვების აღსანიშნავად (ნახ. 1. ტრაიანეს სვეტი რომში, 113 წ., იტალიის რესპუბლიკა).

სვეტი შედგენილი – სვეტი, ირგვლივ მირთული (ან ნახევრადმირთული) უფრო მცირე დიამეტრის სვეტების ბუჩქით.

სვეტის ტანი – სვეტის ბაზისსა და კაპიტელს შორის მოქცეული გლუვი ან კანელიურებით დამუშავებული ნაწილი.

სვეტისთავი – კაპიტელი; სვეტის დამაგვირგვინებელი ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა არქიტრავი.

სვეტიცხოველი (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი) (ინგლ. Svetitskhoveli Cathedral) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი, ერთ-ერთი ოთხ დიდ კათედრალთაგან (სვეტიცხოველი, ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი). მდებარეობს თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით, საქართველოს ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში (ნახ. 1. საერთო ხედი). სამონასტრო კომპლექსში შედის: ტაძარი, გალავანი (ნახ. 2. გალავნის ფრაგმენტი), კარიბჭე (ნახ. 3. XI საუკუნის დასავლეთის კარიბჭე), სამრეკლო (ნახ. 4. სამრეკლო), სასახლეები და სასულიერო პირთა საცხოვრისები.

სვეტიცხოველში დაკრძალულია უფლის კვართი და წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი. ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე ყოფილა საქადაგო ხატი – კარედში ჩაბრძანებული სვეტიცხოვლის ჭედური გამოსახულება, რომლის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ხატი ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ნახ. 1

ჯერ კიდევ IV საუკუნეში გაქრისტიანებულ მირიან მეფეს წმინდა ნინოს რჩევით აქ პირველი ეკლესია აუშენებია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის II ნახევარში აქვე სამნავიანი ბაზილიკა ააშენა. XI საუკუნეში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (1001-1014 წწ.) მეფობის დროს ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკისძე მიიწვია. მშენებლობა 1010 დაიწყო. ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს მეფე გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეფობის პერიოდში, ხოლო დასრულებული სახე ტაძარმა მიიღო საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობის ხანაში. მშენებლობა დასრულდა 1029 წელს.

არსებობის მანძილზე ტაძარი მრავალჯერ გადაკეთდა. 1283 წელს იგი მიწისძვრამ დააზიანა. XIV საუკუნეში საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) აღადგინა გუმბათი. იმავე საუკუნის ბოლოს შუა აზიელი დამპყრობელის თემურ-ლენგის ურდოებმა დაანგრიეს დასავლეთის მკლავის ბურჯები, დააქციეს გუმბათის ყელი (მთელი ნაგებობის დანგრევა ვერ შეძლეს). XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.), ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა. 1656 წელს ქართლისა (1633-1658 წწ.) და ქართლ-კახეთის (1648-1656 წწ.) მეფე როსტომისა და მისი მეუღლის მარიამ დედოფლის თაოსნობით კვლავ აღადგინეს გუმბათის ყელი.

ნახ. 2

სვეტიცხოველი ყველაზე დიდი ისტორიული საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის. ის საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანულ საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა – იყო საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა კათალიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სვეტიცხოველში ხდებოდა საქართველოს მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, ჯვრისწერა, ქართველ უფლისწულთა მონათვლა. აქ კრძალავდნენ ქართველ მეფეებს, დედოფლებს, ბატონიშვილებსა და კათალიკოს-პატრიარქებს. ტაძარს გააჩნდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. გადმოცემის თანახმად, მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია. იქიდან მაცხოვრის კვართი ჩამოუტანია საქართველოში. მცხეთის შესასვლელში მას შეგებებია მისი და სიდონია, რომელსაც დიდი

სიხარულით ჩაუკრავს გულში კვართი და სული განუტევებია. იგი პერანგიანად დაუკრძალავთ. სიდონიას საფლავზე ამოვიდა ლიბანის კედარი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (337 წ.), მეფე მირიანმა ბრძანა სიდონიას საფლავის ადგილას ტაძარი აეგოთ. მოკვეთეს კედარი, მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი რომ აღმართეს, მეშვიდე ჰაერში გაჩერდა. ვერავინ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა. წმინდა ნინო მთელი ღამე ლოცულობდა და მოხდა სასწაული – "სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა". სვეტი გაიფოთლა და მისგან მირონმა იწყო დენა, რომელიც კურნავდა სნეულთ. სვეტს უწოდეს "სვეტი ცხოველი", სიცოცხლისა და სიხარულის მომნიჭებელი (ნახ. 5. მირონმდინარე ხის სვეტი საბურვლით). ტაძრის სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს.

ნახ. 3

სვეტიცხოვლის ტაძარი გეგმით (ნახ. 6. გეგმა) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ძლიერ წაგრძელებული მართკუთხედია (ზომები: სიგრძე – 57,7 მ, სიგანე – 27,0 მ, სიმაღლე შიგნით – 49 მ). ჯვრის სახე სივრცეშია შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს გაწვდილი ოთხი მკლავით. მკლავები მართკუთხაა, გარდა აღმოსავლეთის მკლავისა, რომელიც საკურთხევლის აფსიდით არის დაბოლოებული (ტაძარში მხოლოდ ეს ერთი აფსიდია). საკურთხევლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორ სართულად განლაგებულია სათავსები. გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობა, გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ტაძრის გარეგანი ფორმებისა და მასების განაწილება, პროპორციები ექვემდებარება შუაში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომლის ქვეშაც ორფერდა სახურავებით გადახურული ჯვრის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის დაბალი ცალფერდა სახურავით გადახურული სადგომები. ფასადების მორთულობაში ძირითადად გამოყენებულია კედლის დეკორატიული თაღედებისა და შეწყვილებული პილასტრების განვითარებული სისტემა, აგრეთვე სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია (მოაღწია მხოლოდ ნაწილმა).

ნახ. 4

ტაძრის ინტერიერში (ნახ. 7. ინტერიერი) არის მხატვრობის ფრაგმენტებიც, რომელიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. ტაძარი თავდაპირველად XI საუკუნეში მოუხატავთ, თუმცა იმდროინდელი მოხატულობიდან თითქმის აღარაფერი შემორჩა. დღეს არსებული ფრაგმენტები XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება, რომელთაგან ნაწილი განახლებულია XIX საუკუნეში. მოხატულობას თან ახლავს ბერძნულ-ქართული წარწერები. მოხატულობაში აქა-იქ ჩართულია გაურკვეველი შინაარსის ფიგურები (მოგვაგონებს უცხოპლანეტელებს), რომლებიც დამატებით შესწავლას საჭიროებს. ტაძრის სამხრეთ კედელში ჩაშენებულია XIII-XIV საუკუნეების ქვის ეკლესია. სავარაუდოდ, იგი არის სიმბოლო იერუსალიმში გოლგოთას მთაზე არსებული ტაძრისა. ეს სიმბოლური ეკლესია განკუთვნილი იყო იმ ქართველთათვის, რომელთაც იერუსალიმში სალოცავად წასვლა არ

შეეძლოთ. ტაძრის შესასვლელთან ქართლის მოქცევის დროინდელი ემბაზია, რომელიც სავარაუდოდ, თავდაპირველად ოქროთი იყო მოპირკეთებული. ეს სიწმინდე XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა გაძარცვა და მისი ოქროს საფარი სხვა უამრავ ძვირფასეულობასთან ერთად წაიღო საქართველოდან.

ტაძრის ფასადებს შორის გამოირჩევა ყველაზე რელიეფური და მხატვრულად გაფორმებული დასავლეთი ფასადი, რომელიც თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.



ნახ. 5

ფასადის მაღალი ნაწილის ფართო დეკორატიული თაღი ნახევარსვეტებს ეყრდნობა. ცენტრალური დიდი სარკმლის მდიდრულ მორთულობას კედლის მთელი არე უჭირავს. ჩუქურთმა მრავალფეროვანია, პლასტიკური, ოსტატურად შესრულებული. ვიწრო სიბრტყეებზე მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად გამოსახულია დიდი ზომის დეკორატიული სტილიზებული ვაზები. ფასადის კომპოზიცია დასრულებულია სამფიგურიანი რელიეფით – ტახტზე მჯდომი მაცხოვარი და ორი ანგელოზი აქეთ-იქით. ფასადის ქვედა ნაწილში, მარჯვნივ, მოწითალო ქვის დიდი, რელიეფური, მოჩუქურთმებული, XI საუკუნის დროინდელი ჯვარია განთავსებული. აქვე, გალავნის კუთხეში, გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ამავე საუკუნის, მელქისედეკ კათალიკოსის სასახლის ნაშთია.

სამხრეთ ფასადზე ყველაზე უკეთ ჩანს ტაძრისათვის დამახასიათებელი ასიმეტრიულობა. შემორჩენილია რელიეფურ-სკულპტურულ გამოსახულებათა კომპოზიციები: ვაზი, წმინდა გიორგი, ჯვარი აყვავებული მკლავებით, ვარდული – ქრისტიანობის მარადიული სიმბოლო, ექვსფრთიანი ანგელოზი და ქრისტეს ჯვარცმა. ცენტრალურ თაღს შიგნით მშვენიერი ჩუქურთმით შემკული სამი სარკმელია. საყურადღებოა მარჯვენა სარკმლის ირგვლივ სვასტიკის ნიშნიანი ორნამენტი (სვასტიკა უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოში, როგორც მარადიული ცეცხლისა და მზის სიმბოლო).

ჩრდილოეთი ფასადი მორთულობებით ნაკლებადაა დამშვენებული, თუმცა ცენტრალური თაღის ქვეშ მოთავსებული ადამიანის მარჯვენა მკლავის რელიეფური გამოსახულება გონიოთი (ნახ. 8. ადამიანის მკლავის რელიეფი გონიოთი), თავისი არქიტექტურულ-ისტორიული მნიშვნელობით უნიკალური მოვლენაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ამ გამოსახულებამ წარმოშვა თქმულება იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის მშენებელ არსუკიძეს, რომელმაც ხელოვნებით თავის მასწავლებელს აჯობა, მარჯვენა მოჰკვეთეს და ტაძრის ფასადზე გამოსახეს (აღმოსავლეთი ფასადის წარწერის თანახმად არსუკიძე ვეღარ მოესწრო სვეტიცხოვლის მთლიანად დასრულებას). არსებობს მოსაზრება, რომ ეს მარჯვენა გამოსახეს იმ მიზნით, რომ განედიდებინათ იმ ხუროთმოძღვრის ღვაწლი, რომელმაც სვეტიცხოვლის აგებით ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო არქიტექტურის გენიალურ ქმნილებათა შორის. სწორედ ხუროთმოძღვარ არსუკიძეს მიუძღვნა რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. ალბათ, რომანში გამოყენებული უძველესი ლეგენდა ოსტატის მოჭრილი მარჯვენის შესახებ, ხალხის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ისტორიული წყაროები ამ ფაქტის შესახებ რაიმე ინფორმაციას არ შეიცავს.

ჩრდილოეთი ფასადი მორთულია დეკორატიული თაღების სისტემით, რომელთაგან ცენტრალური თაღი ამაღლებულია, რითაც ხაზს უსვამს ტაძრის სიმაღლეს. ფასადის ზედა ნაწილში გამოსახულია ჯვარი, მის მარჯვნივ – ქრისტე, მარცხნივ უნიკალური სამშენებლო ამოკვეთილი წარწერაა (ნახსენებია იესო ქრისტე და მელქისედეკი). თაღს ქვემოთ ცენტრალური სარკმლის პერანგად გამოყენებულია ქალის თმის ნაწნავის მსგავსი ჩუქურთმა, რომელიც მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილია ქართული წნულის სახელწოდებით. ფასადის ძირში შემორჩენილია ოდესღაც არსებული სტოების ნანგრევები.



ნახ. 6

სიმეტრიული აღმოსავლეთი ფასადი გამოირჩევა ჩუქურთმების მრავალფეროვნებით და ხარისხით. ფასადების თაღოვან სისტემაში ჩართულია მაღალი სამკუთხა ნიშები, რომლებიც ხაზს უსვამენ საკურთხევლის კედლის სამ ნაწილად დაყოფას და ერთდროულად განტვირთავენ კედლის წყობას ჭარბი მასისაგან. სავარაუდოდ, ამ ნიშებს ანტისეიმური დატვირთვაც ჰქონდათ. ცენტრალური თაღის შიგა ზედა ნაწილი დამშვენებულია მარაოსებრ გაშლილი 12 სხივით (ნახ. 9. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა 12 სხივით), რომლებიც ქრისტეს თორმეტი მოციქულის სიმბოლოა, და რომლის სახელზეც აიგო სვეტიცხოველი. სხივების ბოლოებში მოთავსებულია მედალიონები მშენებლობასთან დაკავშირებული წარწერებით. ოსტატურად არის გამოყენებული პოლიქრომული ეფექტიც. ძირითადი ქვიშისფერი კედლების ფონზე გამოიყოფა საკურთხევლის სარკმლის კაშკაშა წითელი ფერის ქვით აწყობილი მოჩუქურთმებული საპირე, რომელიც ზემოდან გამოყოფილია მდიდრულად მორთული ჰორიზონტალური სარტყლით. ფასადის ზედა ნაწილში გამოსახულია ხარის თავების, ვაზის მტევნების, ანგელოზების, ლომისა და არწივის რელიეფები (ნახ. 10. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა), ხოლო ქვედა ნაწილში – ღვთისმშობლის, ქრისტესა და იოანე ნათლისმცემლის რელიეფური სახეები. ეს ფასადი ბოლოს 1674 წელს შეუკეთებიათ. ფასადის მარცხნივ, გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მდებარეობს XVIII საუკუნის ორსართულიანი ქვის შენობა, რომელიც კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის რეზიდენცია იყო.

ნახ. 7

სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადები და ინტერიერები მორთულია შესანიშნავი რელიეფებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც განუმეორებელ სილამაზესა და მომხიბვლელობას მატებენ მას.

სვეტიცხოვლის ტაძარს გარს აკრავს გალავანი (121,6×110,5 მ). იგი აგებულია 1787 წელს მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით (ისიც აქაა დაკრძალული), რასაც ადასტურებს სამხრეთის კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერა. ამავე წარწერიდან ირკვევა, რომ სვეტიცხოველს ადრეც

ჰქონია გალავანი, რომლის ფრაგმენტები ჩართულია თანამედროვე გალავნის ჩრდილოეთის კედელში. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და აგურით. გალავანი ორიარუსიანია: ქვედა ნაწილი მთლიანად ყრუა, ზედას კი გასდევს საბრძოლო ბილიკი, კედელში განლაგებული სათოფეები და სალოდეები. გალავანში ჩაშენებულია 6 ცილინდრული და 2 მართკუთხა ფორმის კოშკები. სამხრეთ კედელში გაჭრილია კარიბჭე, დასავლეთ კედელში კი ჩართულია XI საუკუნის კარიბჭე (ნახ. 3), სამრეკლო (ნახ. 4) და სხვადასხვა დროს მიშენებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარში დაკრძალული უნდა იყოს ათზე მეტი ქართველი მეფე: დავთ ულუ, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი VII, გიორგი VIII, ალექსანდრე დიდი, სიმონ I და სხვ., მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საფლავებმა მოაღწიეს.

ნახ. 8

სვეტიცხოველი განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი ძეგლია. სწორედ ამ დროს იქმნება საქართველოს ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორებიცაა: ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სამთავისი, სამთავრო, ნიკორწმინდა, მანგლისი, იშხანი და სხვ. ამ შედევრებს შორის სვეტიცხოველს გამორჩეული ადგილი უკავია. დღეს იგი აღმართულია, როგორც ქართველი ხალხის შემოქმედების, კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის მდიდარი ფანტაზიის მღაღადებელი ძეგლი, რომელიც გამოირჩევა არა მარტო მხატვრული ღირსებით, დიდებულებითა და ჰარმონიულობით, არამედ იმ განსაკუთრებული როლითაც, რომელიც მან ქართველი ერის ისტორიაში შეასრულა.

სვეტიცხოველი მცხეთის ჯვრისა და სამთავროს მონასტრებთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ნახ. 9

ნახ. 10

სვეტნარი – საერთო არქიტრავის ქვეშ განლაგებული სვეტების რიგი (ნახ. 1. სვეტნარი წმინდა პეტრეს მოედანზე, ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფო). ის შეიძლება გამოყენებული იქნეს პორტიკებისა და გალერეების სახით, რომლებიც მთავარი შენობის გაგრძელებას წარმოადგენს და ქმნის ერთიან სივრცეს სასახლეებისა თუ დიდი მოედნების კომპლექსში. ზოგჯერ ს. არის დამოუკიდებელი ნაგებობა, რომელსაც მხოლოდ არქიტექტურულ-დეკორატიული დანიშნულება აქვს. შენობის შიგნით გარს უვლის დიდ დარბაზებს, ქმნის ვრცელ გამჭოლ სივრცეებს, ერთმანეთისაგან აცალკევებს და ამავე დროს აკავშირებს ინტერიერის ცალკეულ ნაწილებს. დახურულ სვეტნარს სტოა ეწოდება. ძირითადად გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ არქიტექტურაში.

ნახ. 1

სვიდა (სუდა) (ბერძ. suídas., súdas) – ბიზანტიური ხანის ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი, შედგენილი დაახლოებით X საუკუნეში.

სვლა – 1. დანადგარის, მანქანის რომელიმე დეტალის გადაადგილება; 2. მოძრაობა რაიმე მიმართულებით (მაგ., მატარებლის სვლა); 3. მიმდინარეობა, მსვლელობა (მაგ., დროისა); 4. ჭადრაკში – ფიგურის მორიგი გადაადგილება.

სვლა სამუშაო – სვლის ისეთი პროცესი, როდესაც ესა თუ ის სამუშაო ოპერაცია სრულდება (მაგ., ნაკეთობის გაბურღვა ბურღის წინსვლითი მოძრაობისას).

სვლა უქმი – სვლის ისეთი პროცესი, როდესაც სამუშაო ოპერაცია არ სრულდება (მაგ., ნაკეთობის გაბურღვის დამთავრების შემდეგ ბურღის უკუსვლით მოძრაობა).

სვლაგეზი – 1. წინასწარდასახული გზა, გასაჩერებელი პუნქტებისა და დროის აღნიშვნით ან ჩვეულებრივად დადგენილი მოძრაობის მიმართულება; 2. პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური ოპერაციების თანამიმდევრობა.

სვრეტი – ნივთიერების ნაწილაკებს შორის არსებული უმცირესი თავისუფალი ადგილი; ფორი.

სიბლანტე – სითხეებისა და აირების თვისება – წინააღმდეგობა გაუწის თავიანთი ერთი ნაწილის გადაადგილებას მეორის მიმართ. სითხეების ს. ძირითადად განისაზღვრება მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედებით და ტემპერატურის შემცირებისას – იზრდება. აირებში ს. განაპირობებს მოლეკულების სითბური მოძრაობა, რომლის დროსაც ისინი ერთ-ერთი შრიდან მეორეში გადადის. მყარ სხეულებში ს. არის თვისება შეუქცევად შთანთქონ ენერგია პლასტიკური დეფორმაციისა და დრეკადობის დროს; 2. სითხეებისა და აირების სიბლანტის მახასიათებელი სიდიდე. არის დინამიკური და კინემატიკური. პირველი შედის ნიუტონის კანონში პროპორციულობის კოეფიციენტის η სახით, ხოლო მეორე – $\nu = \eta/\rho$, სადაც ρ სითხის ან აირის სიმკვრივეა. საერთაშორისო ერთეულთა SI სისტემაში დინამიკური სიბლანტის განზომილებაა პა·წმ, ხოლო კინემატიკურისა – $მ^2/წმ$. არსებობს სიბლანტის სახეები: აბსოლუტური, ანომალიური, დარტყმითი, დიელექტრიკული, დინამიკური, ზედაპირული, კინემატიკური, ლითონის, პირობითი, მაგნიტური, ნავთობპროდუქტების, ნარევის, რღვევის, სითხის, ფარდობითი, შესაძლო, ციკლური, წყლის, ჰაერისა და სხვ.

სიბლანტე დარტყმითი (დინამიკური სიმტკიცე, დარტყმითი სიმტკიცე) – მასალის თვისება წინააღმდეგობა გაუწიოს დამტვრევას დარტყმითი დატვირთვის დროს. მისი მახასიათებელია სტანდარტული ნიმუშის დასამტვრევად დახარჯული მუშაობის რაოდენობის ფარდობა მის მოცულობასთან ან ნიმუშის განივკვეთის ფართობთან. განზომილებაა: ჯ/მ3, ჯ/მ2. ს. დ. მნიშვნელოვანია ისეთი მასალებისათვის, რომლებიც გამოიყენება მანქანა-დანადგარების საძირკვლებში, საგზაო საფარში, სამრეწველო შენობის იატაკებში და სხვ.

სიბრტყე – 1. უმარტივესი ზედაპირი, რომელიც მიიღება წრფის უწყვეტი გადაადგილებით. აქვს ის თვისება, რომ ნებისმიერი სწორი, რომელიც აერთებს მის ორ წერტილს, ეკუთვნის ამ სიბრტყეს; 2. ზედაპირი, რომელსაც მხოლოდ ორი განზომილება აქვს. არსებობს სიბრტყის მრავალი სახე: ბრუნვის, გადასახური, გამოსახულების, გლინვის, გარდატეხის, დახრილი, დერივაციის, დიამეტრული, ეკვატორული, ვერტიკალური, ირიბი, კოორდინატთა, კრისტალოგრაფიული, მთავარი, მიწოდების, მხები, მხედველობის, მერიდიანული, მკვეთი, ნორმალური, პოლარული, რხევათა, სიმეტრიის, სრიალის, საკონტაქტო, ტექსტურის, ტორსული, ფუძის, ღერძული, ღუნვის, ჭრის, წყობის, შემოგლინვის, შუა, ძვრის, ჰაბიტუსის, ჰორიზონტალური, ჰორიზონტისა და სხვ.

სიბრტყე წყვილძალის – სიბრტყე, რომელშიც მდებარეობს მოცემული წყვილძალის შემადგენელი ძალების ფუძეები.

სიბრტყითი გამჭოლი კონსტრუქციები – კონსტრუქციები, რომლებსაც აქვთ გამჭოლი განივკვეთი (გისოსის ელემენტებით) და გარე დატვირთვებისაგან წარმოშობილი შიგა ძალვები მოქმედებენ კონსტრუქციის სიბრტყეში. შედგება ზედა და ქვედა სარტყლებისა და მათი დამაკავშირებელი გისოსის სისტემისგან. სარტყლები შეიძლება იყოს ერთმაგი ან ორმაგი განივკვეთის, ხოლო გისოსის ელემენტები მხები, დგარები და ირიბნები, განხორციელებულია ცალკეული მთლიანკვეთიანი ღეროებისგან. კოჭებისგან განსხვავებით სარტყლების შესაერთებლად მთლიანი კედლის ნაცვლად გისოსის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მასალის ხარჯს, ამსუბუქებს კონსტრუქციას, მაგრამ ზრდის შრომატევადობას.

სიბრტყითი მთლიანკვეთიანი კონსტრუქციები – კონსტრუქციები, რომლებსაც აქვთ მთლიანი განივკვეთი (გისოსის ელემენტების გარეშე) და გარე დატვირთვებისაგან წარმოშობილი შიგა ძალვები მოქმედებენ კონსტრუქციის სიბრტყეში. ასეთი ტიპის კონსტრუქციები შეიძლება იყოს ორი სახის: 1) კოჭები, გრძივები, ნივნივები, დგარები – რომელთა პარამეტრები (სიგრძე, განივკვეთის ზომები) თავსდება გამოყენებული მასალის სორტამენტის მონაცემებში; 2) შედგენილი კოჭები, დგარები, კამარები, ჩარჩოები, სამკუთხა განმბჯენიანი სისტემები – რომელთა გეომეტრიული პარამეტრები აღემატება სორტამენტის მონაცემებს. ს. მ. კ. ძირითადად მზადდება ქარხნული წესით, თუმცა შესაძლებელია მათი დამზადება ადგილზეც – სამშენებლო მოედანზე, კვალიფიციური მუშახელისა და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის არსებობის პირობებში. კონსტრუქციის ტიპის შერჩევისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული მზიდ კონსტრუქციებს შორის დაშორება (ბიჯი), მოხაზულობა, შემომფარგვლელი კონსტრუქციის სახეობა, კონსტრუქციის ფარდობითი სიმაღლე, ფორმა, განივკვეთის დასაშვები ზომები, არქიტექტურული და ხანძარსაწინაღო მოთხოვნები, ადგილობრივი პირობები, კომერციული მხარე, მშენებლობის ხანგრძლივობა და მრავალი სხვა ფაქტორი.

სიგანე – რაიმე ნაკეთობის, შენობის, ნაგებობისა და მისთ. გეომეტრიული ზომა განივი მიმართულებით – მანძილი გრძივ გვერდებს შორის (მაგ., ფიცრის სიგანე, კოჭის განივკვეთის სიგანე და სხვ.).

სიგმა (გერმ. signal<ლათ. signum ნიშანი) – 1. ძველ რომში ნახევარწრიული დასაჯდომი დივანი, რომელიც ზოგჯერ ტრიკლინიუმის ნაცვლად გამოიყენებოდა საზეიმო წვეულებების დროს. (დამატებით იხ. სტიბადიუმი). 2. ბერძნული ანბანის მეთვრამეტე ასო (მთავრული Σ, მხედრული σ).

სიგნალი (გერმ. signal<ლათ. signum ნიშანი) – 1. მხედველობითი, ბგერითი ან სხვა პირობითი ნიშანი რაიმე ცნობის, განკარგულების, ბრძანებისა და სხვ. გადასაცემად; 2. გადატ. გაფრთხილება, ცნობის მიწოდება რაიმე არასასურველის შესახებ, რაც ხდება ან შეიძლება მოხდეს; 3. შეტყობინების მატერიალური განსახიერება მოვლენაზე, შემთხვევაზე, ობიექტის მდგომარეობაზე, მართვის ბრძანებასა და ა.შ. ს. მიწოდება, გარდაქმნა – დროსა და სივრცეში ინფორმაციის სისტემის მდგომარეობის მახასიათებელი ფიზიკური სიდიდის ცვლილების პროცესია. ს. ინფორმაციის შენახვის სისტემებში კოდირებულია მატერიალური მატარებლის (ჩანაწერების) მდგომარეობა. ს. შეიძლება იყოს ხმოვანი, შუქური და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროსიგნალებს, რომელიც გამოიყენება შეტყობინების გადასაცემად, ობიექტების გამოსავლენად, სივრცეში სატრანსპორტო საშუალებების ორიენტაციის, ავტომატური მართვისათვის და სხვ.; 4. ნაგებობა, რომელიც აიგება გეოდეზიური სამუშაოების წარმოებისას. ზოგადად სიგნალის უამრავი სახეობა არსებობს: აკუსტიკური, ამკრძალავი, ამუშავების, ანალოგური, არარეგულარული, ბგერითი, ბგერითი თანხლების, ბგერითი, სიხშირის, ბოლო, გაბმული, გამოსაშვები, გასვლის, გზის, დამხმარე, დასანახი, დაშიფრული, დახურული, დემოდულირებული, დისკრეტული, დროის, დღის, ელექტრული, ელექტრომაგნიტური, ეტალონური, ვიბრაციული, ვიწროზოლიანი, იმიტირებული, კვანტური, კოდირებული, კოსმოსური, მაბრკოლებელი, მაკომპენსირებელი, მამოდულირებელი, მასინქრონებელი, მაფრთხილებელი, მახარისხებელი, მემბრანიანი, მიკროტალღური, მმართველი, მნიღბავი, მოდულირებული, მრავალარხიანი, მრავალგზისი, მფაზავი, ნებართვის, ოპტიკური, პარაზიტული, პირობითი, რეგულარული, რკინიგზის, საგანგაშო, საკონტროლო, სამანევრო, სამეტყველო, სამიმოსვლო, სარტყამი, სასარგებლო, სატაქტო, სატელეგრაფო, სატელევიზიო, სატელეფონო, საცდელი, საწყისი, საძებნო, საჭირო, სახანძრო, სახმობი, სელექტორული, სინფაზური, სინქრონიზაციის, ტონალური, უკუკავშირის, უკუქცევით გაბნეული, ურთიერთსაწინააღმდეგო, უწესივრობის, უწყვეტი, ფაზური, ფართოზოლიანი, ფერადი გამოსახულების, ფერადობის, ფერითი, ღამის, შეკავებული, შემოსვლის, ჩამქრობი, ცდომილების, ციფრული, ცრუ, წყვეტილი, ხილული, ხმოვანი და სხვ.

სიგნალი ანალოგური – სიგნალი, რომლის პარამეტრები (ამპლიტუდა, სიხშირე, ფაზა) აღიწერება დროის ფუნქციითა და შესაძლო მნიშვნელობების უწყვეტი სიმრავლით. ს. ა. ასამუშავებლად სისტემებსა და ქსელებში გამოიყენება კვანტური და ანალოგურ-დისკრეტული გარდაქმნელები. ასეთი სიგნალებით გადაიცემა სიტყვიერი ინფორმაცია, მუსიკა, გამოსახულება და სხვ.

სიგნალი სინფაზური – ანალოგური სიგნალის მდგენელი, რომელიც ხასიათდება გამოსავალზე ერთი ნიშნით, ამპლიტუდითა და ფაზით. ელექტრონიკაში, სადაც სიგნალი გადაიცემა ძაბვის გამოყენებით, ს. ს. განისაზღვრება როგორც ძაბვების ნახევარჯამი.

სიგნალიზატორი – მოწყობილობა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი სინათლის ინდიკატორის, ანბანურ-ციფრული ეკრანების ან სხვა საშუალებებისაგან, სადაც თითოეული ინდიკატორი უზრუნველყოფს ინფორმაციას ციკლის, ვითარების ან ადგილმდებარეობის შესახებ.

სიგნალიზაცია – 1. სიგნალების გადაცემა; 2. სიგნალების სისტემა, რომელსაც სადმე იყენებენ; 3. ყურადღების მიპყრობის, ცნობის, ბრძანების გადაცემისა და ორმხრივი ლაპარაკის უზრუნველსაყოფად სიგნალის გადასაცემი პირობითი ნიშნები, მოწყობილობები და სამარჯვები.

სიგნალიზაცია ავარიული – გამოიყენება მოწყობილობის ავარიულად გამორთვის შესახებ მომსახურე პერსონალის შეტყობინებისთვის. ავარიული სიგნალიზაციის მოწყობილობა ჩვეულებრივ დაკავშირებულია დაცვისა და დაბლოკვის სისტემასთან.

სიგნალიზაცია გამაფრთხილებელი – მოწყობილობა, რომელიც მომსახურე პერსონალს ამცნობს ტექნოლოგიური რეჟიმის საშიში ცვლილებების განვითარების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ავარია, ხანძარი ან აფეთქება. ს.გ. მოწყობილობა შეიძლება იყოს დამოუკიდებლად მოქმედი ან ავტომატური კონტროლის, დაცვის, მართვისა და რეგულირების ხელსაწყოებთან დაკავშირებული.

სიგნალიზაცია საკონტროლო – გამოიყენება ცალკეული მექანიზმებისა და მანქანების მუშაობისა და გაჩერების, კომუნიკაციებზე ჩამკეტი ორგანოების მდგომარეობის შესახებ ავტომატური შეტყობინებისათვის.

სიგრძე – ფიზიკური სიდიდე, რომელიც რაიმე წირის ზომას აღნიშნავს. ვიწრო გაგებით სიგრძის ქვეშ იგულისხმება სხეულის ზომა გრძივი მიმართულებით ანუ ჰორიზონტალური მიმართულებით სხეულის ორ ყველაზე დაშორებულ წერტილს შორის მანძილი, განსხვავებით ვერტიკალური ზომისგან (სიმაღლე). ფიზიკაში სიგრძე ხშირად მანძილის სინონიმად გამოიყენება და აღინიშნება ლათინური ასოთი L ან ℓ. სიგრძის ერთეული საერთაშორისო ერთეულთა SI სისტემაში არის მეტრი (მ). მეტრულ სისტემაში სიგრძის ერთეულად გამოიყენება შემდეგი სიდიდეები: კილომეტრი = 1000 მ; დეციმეტრი = 0,1 მ; სანტიმეტრი = 0,01 მ; მილიმეტრი = 10^{-3} მ; მიკრონი = 10^{-6} მ; ნანომეტრი = 10^{-9} მ; ანგსტრემი = 10^{-10} მ. სიგრძის გაზომვის საზღვაო სისტემა მიბმულია დედამიწის ზომასთან. საბაზისო ერთეულად აღებულია საზღვაო მილი, რომელიც ეკვატორზე 1843 მ-ის ტოლია, ხოლო პოლუსებზე 1861,6 მეტრის. ასტრონომიაში სიგრძის გასაზომად გამოიყენება – ასტრონომიული ერთეული, სინათლის წელიწადი და პარსეკი.

სიგრძე რკალის – რკალში ჩახაზული ტეხილის სიგრძის ზღვარი, როდესაც ტეხილების რაოდენობა უსასრულოდ იზრდება და თითოეული ტეხილის სიგრძე მიისწრაფის ნულისკენ.

სიგრძე ტეხილის – ტეხილი რგოლების (ტეხილი მონაკვეთების) სიგრძეთა ჯამი.

სიგრძე წრფივი მონაკვეთის – მანძილი წრფივი მონაკვეთის ბოლოებს შორის.

სიგრძის დაყვანის კოეფიციენტი – შეკუმშული ღეროს (სამშენებლო კონსტრუქციის) სიმტკიცეზე გასაანგარიშებელ ფორმულაში შედის გრძივი ღუნვის (მდგრადობის) კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ღეროს λ მოქნილობაზე; მოქნილობა – ღეროს საანგარიშო ℓ_0 სიგრძეზე, რომელიც გამოითვლება ფორმულით: $\ell_0 = \mu\ell$, სადაც ℓ

ღეროს გეომეტრიული სიგრძეა, ხოლო μ – სიგრძის დაყვანის (ანუ ღეროს ბოლოების ჩამაგრების) კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობები მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1

სიდამპლე – ხის მასალის თვისება სოკოვანი დაავადების შედეგად ნაწილობრივ ან სრულად დაკარგოს სიმტკიცე, რასაც თან სდევს ბუნებრივი ფერის შეცვლა.

სიდერიტი (რკინის შპატი) (ფრანგ. sidérite<ბერძ. sideros რკინა) – კალციტის სტრუქტურის მინერალი, რკინის კარბონატი (ნახ. 1).

ნახ. 1

ქიმიური ფორმულა – $FeCO_3$; შედგენილობა (%): FeO – 61,1; CO_2 – 37,9; სიმკვრივე – 3960 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით – 3,75-4,25. ფერი – მოყვითალო-თეთრი, ღია-მწვანე, რუხი, მოწითალო-ყავისფერი მინისებრი ელვარებით. გვხვდება ჰიდროთერმულ ან დანალექ ქანებში. თანამდევი მინერალებია: კასიტერიტი, კრიოლითი, გალენიტი, სფალერიტი, მაგნეტიტი, ქლორიტი, ანკერიტი, ლიმონითი, ჰემატიტი. ს. რკინის მისაღები საუკეთესო მადანია (შემადგენლობაში შედის 48%-მდე რკინა და არ შეიცავს გოგირდსა და ფოსფორს). გამოიყენება აგრეთვე ჭაბურღილების ცემენტაციის პროცესში ხსნარის სიმკვრივის გასაზრდელად (დამამძიმებელი).

სიდიდე – 1. ნივთიერი სამყაროს ობიექტის ან მოვლენის მახასიათებელი, რომელიც ხარისხობრივად საერთოა მრავალი ობიექტის ან მოვლენისთვის, მაგრამ რაოდენობრივად ინდივიდუალურია (კერძოა) თითოეული მათგანისთვის; 2. კონკრეტულ ცნებათა განზომილება: სიგრძის, ფართობის, მასისა და სხვ. გამოიყენება "სიდიდის" მრავალი ფორმა, როგორიცაა აბსოლუტური, ალგებრული, ბაზისური, დადებითი, დაყვანილი, ვექტორული, ზღვრული, თანაზომადი, კრიტიკული, მაქსიმალური, მინიმალური, მუდმივი, ნამდვილი, საშუალო, სკალარული, უარყოფითი, უსასრულო, ფარდობითი, ფიზიკური, ტოლფასი და სხვ.; 3. რისამე ზომა, მოცულობა, ტევადობა; 4. ერთ-ერთი ძირითადი მათემატიკური ცნება.

სიდიდე დისკრეტული – სიდიდე, რომლის მნიშვნელობა წყვეტილად იცვლება და ქმნის სასრულ ან თვლად სიმრავლეს.

სიდიდე მუდმივი – სიდიდე, რომლის მნიშვნელობა მოცემული ამოცანის პირობებში უცვლელია.

სიდიდე ცვლადი – სიდიდე, რომლის მნიშვნელობა მოცემული ამოცანის პირობებში შეიძლება შეიცვალოს.

სიდნეის ოპერის თეატრი (ინგლ. Sidney Opera Theatre) – მუსიკალური თეატრი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში. არქიტექტურული თვალსაზრისით XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შენობა და ერთ-ერთი ყველაზე განთქმული საკონცერტო დარბაზი მსოფლიოში (არქიტექტორი დანიელი იორნ უოტზონი). შენობა მდებარეობს ბენელონგის წერტილზე (Bennelong Point) სიდნეის ყურეში უზარმაზარი ხიდის სიახლოვეს და კომპლექსში განუმეორებელ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ქმნის (ნახ. 1). ოპერის თეატრში მოთავსებულია ავსტრალიის ეროვნული საოპერო დასი, სიდნეის თეატრალური კომპანია და სიდნეის სიმფონიური ორკესტრი. შენობა შესრულებულია რადიკალური და ნოვატორული ექსპრესიონიზმის სტილში.

ნახ. 1

შენობის სიგრძეა 185 მ, სიგანე – 120 მ და უჭირავს დაახლოებით 2,2 ჰა ფართობი. ნაგებობა მთლიანად დაყრდნობილია 580 ცალ რკ.ბ.-ის ხიმინჯს. სფერული ნიჟაროვანი სახურავი შედგება წინასწარ დამზადებული 2194 რკ.ბ.-ის სექციისაგან, რომლებსაც იჭერს 350 კმ სიგრძის ფოლადის ბაგირების სისტემა. სექციებისაგან აწყობილი სამკუთხედის ფორმის ბეტონის პანელები ეყრდნობა 32 ცალ ბეტონის ნერვიურას. ნერვიურები მთლიანობაში ქმნის ერთ მთლიან დიდ წრეს, რაც საშუალებას იძლევა სახურავს მიეცეს ერთნაირი ფორმა, ხოლო შენობას მიცემული აქვს ჰარმონიული სახე. სახურავი დაფარულია მოთეთრო-ყვითელი ფილებით, რომლებიც სხვადასხვა რაკურსით განათებისას იძლევა საოცარ ფერთა გამას. ინტერიერების მოსაპირკეთებლად გამოყებულია ვარდისფერი გრანიტი, ძვირფასი ჯიშის მერქანი და ფანერი.

სიენა (ინგლ. siena<იტალიის ქ. სიენას სახელის მიხედვით) – რკინის ოქსიდის მოყავისფრო-ყვითელი ფერის ბუნებრივი პიგმენტი, რომელიც არის რკინის ჟანგის ჰიდრატის ნარევი თიხის მინერალებთან და მანგანუმის ორჟანგთან. გამოიყენება საღებავების წარმოებაში.

სიენიტი [ფრანგ. syénite<ბერძ. syēnē<ეგვიპტის ქ. სიენეს (თანამედროვე ქ. ასუანი) სახელის მიხედვით] – მაღალი სიმტკიცის, ფერით გრანიტზე მუქი ბუნებრივი სიღრმული მაგმური მთის ქანი. გამოიყენება შენობის ფასადების და ძეგლების მოსაპირკეთებლად. დროთა განმავლობაში ადვილად იფიტება (ნახ. 1. გომის სიენიტის საბადო, საქართველო).

ნახ. 1

სივრცე – 1. მატერიალური ობიექტებისა და პროცესების თანაარსებობის ფორმა. ხასიათდება მანძილით (სიგრძით), წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთიანობით; 2. მათემ. ლოგიკურად გააზრებული ფორმა (სტრუქტურა), რომელიც წარმოადგენს სხვა ფორმებისა და ამა თუ იმ კონსტრუქციების განხორციელების გარემოს, და რომელშიც დაფიქსირებულია მათ შორის მიმართებანი, მსგავსი ჩვეულებრივი სივრცითი მიმართებებისა (მანძილი წერტილებს შორის, ფიგურების ტოლობა და სხვ.); 3. არქიტექტურული გარემოს ნაწილი, რომელიც აღიქმება შიგნიდან. სივრცის სახეებია:

ალბათური, არაევკლიდური, არეკვლის, აფინური, აჩქარების, ბნელი, ბრაუნერის, ბრტყელი, გამაგრებული, განათებული, გარემომცველი, გაუხშოებული, გრიგალური, დამუხრუჭების, დაქვემდებარებული, დაჯგუფების, დგუშზედა, ევკლიდეს, ელექტროდთშორისი, ექვსგანზომილებიანი, ვექტორული, თავისუფალი, კოსმოსური, მაგნიტური, მავნე, მეტრული, მილთშორისი, მკვდარი, მრავალგანზომილებიანი, მრუდე, ნამუშევარი, ნორმირებული, ოთხგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი, პლანეტათშორისი, რგოლური, სავნები, საინფორმაციო, სამისამართო, სამუშაო, სამგანზომილებიანი, სამყაროს, სანგრევისპირა, საცეცხლის, საჰაერო, სობოლევის, ტენიანი, ტოპოლოგური, რვაგანზომილებიანი, უდაბნოს, უჯრედებსშორისი, უჰაერო, ფაზური, ღუმლის, შვიდგანზომილებიანი, ჩამოქცეული, ცარიელი, ხუთგანზომილებიანი, ჰილბერტისა და სხვ.

სივრცე და დრო – მატერიის არსებობის საყოველთაო ფორმები, რომლებიც არ არსებობენ მატერიის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. სივრცული მახასიათებლებია სხეულთა კოორდინატები, მათ შორის მანძილები, კუთხეები სხვადასხვა მიმართულებას შორის. დროითი მახასიათებლებია მომენტები, რომლებშიც ხდება მოვლენები, და პროცესების ხანგრძლივობა. თანაფარდობებს სივრცულსა და დროითს შორის მეტრულს უწოდებენ. სივრცული და დროითი სიდიდეების გასაზომად სარგებლობენ ათვლის სისტემით. სივრცე და დრო კლასიკურ მექანიკაში პირველადი ცნებებია, დამოუკიდებელი კატეგორიებია. ამიტომ მიღებულია, რომ დრო ერთნაირად მიმდინარეობს სივრცის ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ სხეულზე. ნიუტონის მიხედვით სივრცე და დრო განსაკუთრებული საწყისებია, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ეს დამოუკიდებლობა იმაში გამოიხატება, რომ სივრცის მოცემულ ორ წერტილს შორის მანძილი და ორ მოვლენას შორის დროის შუალედი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია ნებისმიერი ათვლის სისტემაში, ხოლო ამ სიდიდეების შეფარდება (სხეულთა სიჩქარე) შეიძლება ნებისმიერი იყოს. ნიუტონის მექანიკაში როგორც სივრცე, ისე დრო აბსოლუტურია; სივრცესა და დროს არავითარი სტრუქტურა არ აქვს; სივრცე და დრო სრულიად მოწყვეტილია მატერიისაგან და ისინი არსებობენ მატერიის გარეშეც. ნიუტონის მიხედვით დრო თავისთავად არის აბსოლუტური და არაფერზე დამოკიდებული, როგორც ისეთი სუფთა ხანგრძლივობა, რომელიც თანაბრად მიმდინარეობს წარსულიდან მომავლისაკენ. ის არის ცარიელი სათავსი მოვლენებისა, რომლებსაც შეუძლიათ ის შეავსონ და შეიძლება არც შეავსონ. მოვლენის მსვლელობა არ მოქმედებს მიმდინარეობაზე. დრო – უნივერსალურია, ერთგვაროვანი, უწყვეტი, უსასრულო, ერთგანზომილებიანი. აბსოლუტური დროიდან ნიუტონმა გამოჰყო ფარდობითი დრო. დროის გაზომვა ხდება საათით, ე.ი. მოძრაობით, რომელიც პერიოდულია. ყველაფერი, რასაც საბოლოოდ ჩვენ ვზომავთ სამეცნიერო ექსპერიმენტებში – ეს არის სივრცითი ინტერვალის სიგრძე და დროის ინტერვალის შუალედი. ყველა სხვა ფიზიკური სიდიდის მნიშვნელობას ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ამ უკანასკნელთა გაზომვის შედეგად.

სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები – ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების პირობები და მახასიათებლები, რომლებიც დადგენილია დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების საფუძველზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა – საქმიანობა, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, მიწათსარგებლობის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეკრეაციის სივრცით-ტერიტორიული პირობების, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის,

ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებსა და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის განმახორციელებლები – დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები, ფიზიკური და იურიდიული პირები.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია – კანონით განსაზღვრული წესით შემუშავებული, შეთანხმებული და დამტკიცებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ ინფორმაციას.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და წესები – დაგეგმვაზე უფლებამოსილი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სივრცითი – სივრცესთან დაკავშირებული, სივრცით განსაზღვრული, სივრცეში განვითარებული (მაგ., სივრცითი კონსტრუქციები).

სივრცითი დაგეგმვის საჭიროება – სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმის პრიორიტეტებსა და სავალდებულოობას.

სივრცითი მექანიზმი – მექანიზმი, რომელშიც რგოლები ასრულებენ სივრცით მოძრაობას ან მოძრაობებს სხვადასხვა სიბრტყეში.

სივრცითი მოწყობა – ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისთვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები.

სივრცითი მოწყობის დაგეგმვა – საქმიანობა, რომელიც მიმართულია ქვეყნის მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილების გამოყენებისა და განვითარების, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და განსახლების საკითხების კომპლექსური რეგულირებისაკენ.

სივრცითი მოწყობის საინფორმაციო სისტემა – სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და დამუშავება.

სივრცითი სამშენებლო კონსტრუქცია – კონსტრუქცია, რომლის ღერძული ზედაპირი არ ემთხვევა ბრტყელი კონსტრუქციის შვეულ ღერძულ ზედაპირს. ის გაანგარიშდება ორ სიბრტყეში და ყველა ელემენტი მონაწილეობას იღებს კონსტრუქციის მუშაობაში. სივრცითი მუშაობის ეფექტის გამო ს. ს. კ. ხასიათდება დაბალი მასალატევადობით, წონით, ამაღლებული სიხისტითა და საიმედოობით. ადგილობრივი დეფექტები და დაზიანებები არ იწვევს ასეთი კონსტრუქციების ავარიულ მდგომარეობას. უმეტეს შემთხვევაში, სივრცით კონსტრუქციებში შეთავსებულია მზიდი და შემომფარგვლელი ფუნქციები, რაც მათი ეკონომიკურობის მაღალ ხარისხს განაპირობებს და ერთდროულად იძლევა დიდი მალების გადახურვის შესაძლებლობას. გეომეტრიულ ფორმის მიხედვით არჩევენ ს. ს. კ. შემდეგ სახეებს: 1) პრიზმული (ნაკეცები, თაღები); 2) ცილინდრული (ნულოვანი გაუსის სიმრუდის); 3) ელიფსური (დადებითი გაუსის სიმრუდის); 4) ჰიპერბოლური (უარყოფითი გაუსის

სიმრუდის). ნაკლები გავრცელება პოვა კომბინირებულმა გარსებმა და ნებისმიერმა ფორმებმა. კონსტრუქციული გადაწყვეტის მიხედვით კი ისინი შემდეგნაირად შეიძლება იქნეს დაჯგუფებული: ქარგილოვან-ბადისებრი; ბრტყელი მზიდი კონსტრუქციები; თხელკედლიანი გარსები; კომბინირებული; თხელკედლიანი დაკიდებული და წიბოვანი გარსები; სტუქტურები. სივრცითი კონსტრუქციების უპირატესობაა ის, რომ შესაძლებლობას იძლევა გადაიხუროს გეგმაში რთული ფორმის სათავსები, მიღწეულ იქნეს შენობის სასარგებლო მოცულობის შესაძლო მაქსიმუმი, რეაქციები საყრდენ კედლებსა და საძირკვლებზე განაწილდეს თანაბრად, ამაღლდეს ნაგებობის საიმედოობა და სხვ.

სივრცითი სისტემა (სამშენებლო მექანიკაში) – მზიდი კონტრუქციების სისტემა (ან საანგარიშო სქემა), რომელიც ხასიათდება ელემენტებში ძალვების სივრცითი განაწილებით. სივრცითი სისტემა იყოფა: მასიურ (მაგ., კაშხლები, საძირკვლები, მანქანების სადგარი და სხვ.), თხელკედლიან (ფირფიტების ან გარსების სახით), ღეროვან (ხიდების წამწეები, ანძები, ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენები), სივრცით კარკასებად (ჩარჩოს სისტემებში კავშირების საშუალებით შეერთებული სვეტები და რიგელები) და კომბინირებულად (სხვადასხვა სისტემის შეხამებით მიღებული). ხშირ შემთხვევაში, ს. ს. გეომეტრიულად უცვლელია, ახასიათებს სტატიკურად განუსაზღვრელობის (ურკვევი) მაღალი ხარისხი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის ეფექტურობას.

სივრცითი ძალთა სისტემა – ძალთა სისტემა, რომელთა ფუძეები ერთ სიბრტყეში არ მდებარეობს.

სივრცითი ძალთა სისტემის წონასწორობა – იხ. ძალთა ნებისმიერი სისტემის წონასწორობა.

სიზალი – მექსიკური აგავა დიდი სქელი ფურცლებით, რომელიც გამოიყენება ბოჭკოს საწარმოებლად.

სიზუსტე – პროცესის, ნივთიერების, საგნის განსახილველი პარამეტრის მნიშვნელობის (სიდიდის) მიახლოების ხარისხი მის თეორიულ ნომინალურ სიდიდესთან. განიხილება ს. სამი ცნება: დამუშავების, გაზომვისა და გამოთვლის. მანქანის გამართული მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აწყობის (მონტაჟის) სიზუსტეს.

სითბო – 1. თერმოდინამიკური სისტემის შიგა ენერგია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ორი მეთოდით: უშუალოდ სისტემის მუშაობითა და უშუალოდ გარემოსთან თბოგადაცემით. სითბო თერმოდინამიკის ერთ-ერთი ძირითადი სიდიდეა – სითბოს რაოდენობა შედის თერმოდინამიკის პირველ და მეორე კლასიკური განტოლებების მათემატიკურ ფორმულებში; 2. საშუალო ტემპერატურა სიცივესა და სიცხეს შორის; 3. ფიზ. მატერიის მოძრაობის ფორმა – სხეულის ნაწილაკების (მოლეკულების, ატომების და მისთ.) მოძრაობით წარმოქმნილი ენერგია; 4. გადატ. კეთილი, გულთბილი დამოკიდებულება; გულითადობა. არსებობს სითბოს შემდეგი სახეები: აალების, აორთქლების, აფეთქების, აქროლების, აქტივაციის, აღდგენის, გამოყენებული, გამოყოფილი, გამყარების, განზავების, გარდაქმნის, გარე, გახსნის, დალექვის, დაყვანილი, დაშლის, დედამიწის, დესუბლიმაციის, დისოციაციის, დნობის, კონდენსაციის, კრისტალიზაციის, კუთრი, ნარჩენი, ნეიტრალიზაციის, ორთქლწარმოქმნის, რეაქციის, სრული, სუბლიმაციის, სხივური, ფარული, ფიზიკური, ქიმიური, შეერთების, შერევის, შთანთქმის, წარმავალი, წარმოქმნის, წვის, ხახუნის, ჯოულისა და სხვ.

სითბოგადამტანები – თხევადი ან აირადი ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება მორეაგირე კომპონენტების გასახურებლად. ამ მიზნით ხშირად გამოიყენება წყალი (დუღილის ტემპერატურაზე უფრო დაბალი ტემპერატურის), გლიცერინი, ნავთობის ზეთი, გამდნარი ლითონი (ნატრიუმი, კალა, ტყვია, სპილენძი), სილიციუმორგანული სითხე, გადახურებული წყლის ორთქლი, ჰაერი, აზოტი, ჟანგბადი და სხვ.

სითბოგამცვლელი – აპარატი, რომლის საშუალებითაც მაღალი ტემპერატურის გარემოდან სითბო გადაეცემა დაბალი ტემპერატურის გარემოს. ასეთი აპარატებია: რეკუპერატორი, რეგენერატორი, შემრევი, ციკლონური სითბოგამცვლელი, დეკარბონიზატორი და სხვ.

სითბომდგრადობა შემომსაზღვრელი კონსტრუქციის – შემომსაზღვრელი კონსტრუქციის თვისება, რომელიც განისაზღვრება შიგა ზედაპირის ტემპერატურის რყევის ამპლიტუდისა და თბური ნაკადის ამპლიტუდის ფარდობით ტემპერატურის ჰარმონიული რყევების დროს.

სითბოს ათვისების კოეფიციენტი – სიდიდე, რომელიც ასახავს მასალის უნარს, მიიღოს სითბო მის ზედაპირზე ტემპერატურის ცვალებადობისას.

სითბოს აღმომჩენი – ცეცხლის აღმომჩენი, რომელიც რეაგირებს სითბოზე, მაღალ ტემპერატურაზე ან ტემპერატურის ზრდის ტემპზე ან ორივეზე.

სითბოს სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი – თბომწარმოებლურობის ფარდობა მიყვანილ თბურ სიმძლავრესთან.

სითბოშეთვისება კონსტრუქციის ზედაპირის – შემომსაზღვრელი კონსტრუქციის ზედაპირის თვისება შთანთქოს ან გასცეს სითბო.

სითბური – რაც სითბოს ავრცელებს; სითბოსთან დაკავშირებული.

სითბური გაფართოება – სხეულთა ზომების ცვლილება ტემპერატურის გავლენით. გაცხელებისას, როგორც წესი, სხეულის მოცულობა იმატებს. სხეულის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი ეწოდება მისი მოცულობის ერთეულის გადიდებას ტემპერატურის 1°C-ით გადიდების დროს, ხოლო სხეულის სიგრძის ერთეულის გადიდებას ტემპერატურის 1°C-ით გადიდების დროს ეწოდება სხეულის წირითი გაფართოების კოეფიციენტი. მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტის სიდიდე დაახლოებით სამჯერ აღემატება იმავე სხეულის წირითი გაფართოების კოეფიციენტის სიდიდეს.

სითეთრე – თეთრის თვისება; თეთრი ფერის ქონა.

სითხე – 1. ნივთიერება, რომელსაც აქვს დინების უნარი და იღებს იმ ჭურჭლის ფორმას, რომელშიც ასხია; 2. ნივთიერება კონდენსირებულ, მყარ და აირის შუალედურ აგრეგატულ მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება ზედაპირული დაძაბულობით. სხვადასხვა სითხის დინამიკური სიბლანტე სხვადასხვაა. ტემპერატურის დაწევასთან ერთად სითხის სიბლანტე იმატებს. ტექნიკური თვისებებისა და დანიშნულების მიხედვით არსებობს სითხეები: აირადი, აქროლადი, ბლანტი, ერთგვაროვანი, ზედენადი, იდეალური, კუმშვადი, მუშა, მძიმე, საწრთობი, საზეთმაცივებელი, სქელი, უკუმშველი, ცხიმგამხსნელი, წვეთოვანი, ჰიდროსამუხრუჭე და სხვ.

სითხე არანიუტონისეული – სითხე, რომელიც არ ექვემდებარება სიბლანტის ნიუტონისეულ კანონს. მას ზოგჯერ ანომალიურ სითხესაც უწოდებენ. მისი "მოძრაობის მრუდი" არ არის

წრფივი, სიბლანტე იცვლება ტემპერატურასა და წნევაზე, აგრეთვე ძვრის დეფორმაციის სიჩქარეზე, ჭურჭლის კონსტრუქციულ თავისებურებებსა და სხვ. დამოკიდებულებით.

სითხე გადამეტცივებული – სითხე, რომლის ტემპერატურა ნაკლებია კრისტალიზაციის ტემპერატურაზე, მოცემული წნევის პირობებში.

სითხე გადახურებული (სითხე მეტასტაბილური) – სითხე, გაცხელებული დუღილის ტემპერატურაზე მეტად.

სითხე ნიუტონისეული – 1. სითხე, რომელიც ექვემდებარება სიბლანტის ნიუტონისეულ კანონს. მას ზოგჯერ ნორმალურ სითხესაც უწოდებენ; 2. ნივთიერება, რომელთა დინება მოცემულია $\tau_{ij} = -p\delta_{ij} + 2\mu\dot{e}_{ij}$ კანონით, სადაც τ_{ij} არის ძაბვის ტენზორი, რომელიც წრფივადაა დაკავშირებული დეფორმაციის სიჩქარის $\dot{e}_{ij}$ ტენზორთან; δ_{ij} – კრონეკერის სიმბოლო; μ – დინამიკური სიბლანტის კოეფიციენტი; p – წნევა; 3. სითხეების დიდი კლასი, რომელთა სიბლანტე იცვლება დეფორმაციის სიჩქარის (ნაკადის ფარდობითი სიჩქარე) შესაბამისად.

სითხე წვეთოვანი – სითხე, რომელსაც აქვს გარკვეული ფორმის თავისუფალი ზედაპირი და ხასიათდება კუმშვისადმი დიდი წინააღმდეგობით – მცირე კუმშვადობით.

სითხის არათანაბარი მოძრაობა – სითხის დამყარებული მოძრაობის სახე, როცა მოძრაობის ძირითადი მახასიათებლები (სიჩქარე და წნევა) იცვლება ნაკადის მოძრაობის მიმართულებით (მაგ., წყლის ნაკადის მოძრაობა კაშხლის წინა შეტბორილ უბანზე, სითხის მოძრაობა მილსადენის კონუსურ უბანზე და სხვ.).

სითხის დამყარებული მოძრაობა – სითხის მოძრაობა, როცა ნაკადის ნებისმიერ წერტილში სიჩქარე და წნევა მუდმივი სიდიდეებია ანუ მათი სიდიდე და მიმართულება დროის მიხედვით არ იცვლება.

სითხის დაუმყარებელი მოძრაობა – სითხის მოძრაობა, როცა ნაკადის ნებისმიერ წერტილში მოძრაობის ძირითადი მახასიათებლები (სიჩქარე და წნევა) იცვლება დროის მიხედვით.

სითხის დაწნევითი მოძრაობა – სითხის მოძრაობა დახშულ სადინარში (მილსადენი, გვირაბი), როცა მათი განივკვეთი მთლიანად შევსებულია სითხით და წნევა ნაკადის ნებისმიერ წერტილში ატმოსფერულ წნევაზე მეტია. ს. დ. მ. ნაკადს არ აქვს თავისუფალი ზედაპირი.

სითხის დენის წირი – წირი, რომლის ყველა წერტილში დროის მოცემული მომენტისათვის სიჩქარის ვექტორს ამ წირის მხების მიმართულება აქვს. სითხის დაუმყარებელი მოძრაობისას ნაკადის ყოველ წერტილზე გადის მხოლოდ ერთი დენის წირი, რომელიც დროის მიხედვით (განუწყვეტლივ) იცვლის თავის ფორმასა და მდებარეობას. დამყარებული მოძრაობისას კი დენის წირი დროის მიხედვით არ იცვლება და ამიტომ, დენის წირი და სათანადო სითხის მოძრაობის ტრაექტორია ერთმანეთს ემთხვევა.

სითხის ზედაპირული ძალები – ძალები, მოქმედი სითხის განსახილველი მოცულობის გარე ზედაპირზე (მაგ., დგუშის წნევის ძალა ცილინდრში მოთავსებული სითხის ზედაპირზე; ატმოსფერული წნევა სითხის თავისუფალ ზედაპირზე და სხვ.).

სითხის თანაბარი მოძრაობა – სითხის დამყარებული მოძრაობის სახე, როცა მოძრაობის ძირითადი მახასიათებლები (სიჩქარე და წნევა) არ იცვლება ნაკადის მოძრაობის

მიმართულებით (მაგ., წყლის მოძრაობა მუდმივი განივკვეთის მქონე ღია არხში, სითხის მოძრაობა ცილინდრული განივკვეთის მილსადენში და სხვ.).

სითხის კუთრი წონა (მოცულობითი წონა) – ერთგვაროვანი სითხის G წონის ფარდობა W მოცულობასთან: $\gamma = G/W$. განზომილება ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში – ნ/მ^3.

სითხის მასობრივი ძალები (მოცულობითი ძალები) – ძალები, მოქმედი სითხის განსახილველი მოცულობის ყოველ მატერიალურ ნაწილაკზე და პროპორციული ამ მოცულობის მასისა.

სითხის მდოვრედ ცვლადი მოძრაობა – სითხის არათანაბარი მოძრაობა, რომლის დროსაც ნაკადის ცალკეული ჭავლების სიმრუდე და, მათ შორის, კუთხე ძალზე მცირეა.

სითხის მკვეთრად ცვლადი მოძრაობა – სითხის არათანაბარი მოძრაობა, რომლის დროსაც ნაკადის ცალკეული ჭავლების სიმრუდე და, მათ შორის, კუთხე დიდია.

სითხის მოცულობითი კუმშვის კოეფიციენტი – განსახილველი სითხის მოცულობის ფარდობითი შემცირება წნევის 1 ატმოსფეროთი გაზრდის შემთხვევაში უცვლელი ტემპერატურის დროს.

სითხის მოძრაობის რეჟიმი – სითხის სახეობის, მოძრაობის სიჩქარისა და მილსადენის კედლის მახასიათებლების მიხედვით, განასხვავებენ სითხის მოზრაობის ორ ძირითად რეჟიმს: ლამინარულს და ტურბულენტურს. ლამინარული ეწოდება მოძრაობას, როცა სითხის ფენები გადაადგილდება ერთმანეთის პარალელურად ანუ ერთმანეთში შეურევლად (მაგ., ნავთობი, ზეთი და მისთ.), ხოლო ტურბულენტური – სითხის ნაწილაკების უწესრიგო მოძრაობა რთული ტრაექტორიებით. ს. მ. რ. დასადგენად არსებობს პირობები, რომლის თანახმად ჭავლის სიჩქარე შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები იმ კრიტიკულ სიჩქარეზე, როდესაც ლამინარული მოძრაობა გადადის ტურბულენტურში და პირიქით. დადგენილია უფრო უნივერსალური კრიტერიუმი, რომელსაც რეინოლსის კრიტერიუმი ან რეინოლდსის რიცხვი ეწოდება: $Re = vd/V$, სადაც Re – რეინოლდსის რიცხვი; v – სითხის ჭავლის მოძრაობის საშუალო სიჩქარე; d – მილსადენის დიამეტრი; V – სითხის კინემატიკური სიბლანტე. ცდებით დადგენილია, რომ სითხის მოძრაობის ლამინარულიდან ტურბულენტურში გადასვლის მომენტში $Re = 2320$. შესაბამისად, როცა $Re < 2320$, სითხის მოძრაობა ლამინარულია, ხოლო, როცა $Re > 2320$ – ტურბულენტური. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სითხის მოძრაობის კრიტიკული სიჩქარე გამოითვლება ფორმულით: $v_{კრ} = 2320v/d$.

სითხის მოძრაობის საშუალო სიჩქარე – ცოცხალი ჭავლის კვეთში ნაწილაკების მოძრაობის საშუალო სიჩქარე.

სითხის ნაკადი – სითხის ელემენტალური ჭავლების ერთობლიობა.

სითხის სიბლანტე – სითხის თვისება, წინააღმდეგობა გაუწიოს თავისივე ნაწილაკების ფარდობით ძვრას მოძრაობის პირობებში.

სითხის სიმკვრივე – ერთგვაროვანი სითხის m მასის ფარდობა w მოცულობასთან: $\rho = m/w$. განზომილება ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში – კგ/მ^3.

სითხის ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტი – განსახილველი სითხის მოცულობის ფარდობითი ნამატი ტემპერატურის 1°C-ით გაზრდისას.

სითხის უდაწნეო მოძრაობა (ღია დინება) – სითხის მოძრაობა, რომლის დროსაც ნაკადს აქვს თავისუფალი ზედაპირი. ამ დროს სითხე მოძრაობს თვითდინებით.

სითხის უწყვეტი მოძრაობა – სითხის მოძრაობა, როცა იგი გადაადგილდება უწყვეტი ჭავლით, რომელიც მთლიანად ავსებს მილსადენის მოცულობას.

სითხის ფარდობითი სიმკვრივე – რაიმე ტემპერატურის დროს განსახილველი სითხის სიმკვრივის ფარდობა +4°C ტემპერატურის მქონე დისტილირებული წყლის სიმკვრივესთან.

სითხის ფარდობითი უძრაობა – სითხის წონასწორობის მდგომარეობა, რომლის დროსაც მოძრავ ჭურჭელში მოთავსებული სითხის ნაწილაკები არ გადაადგილდება არც ერთმანეთის და არც ჭურჭლის მიმართ, ანუ სითხის მთელი მასა უძრავია ჭურჭლის მიმართ, მაგრამ მოძრაობს მასთან ერთად, როგორც ერთი მყარი სხეული.

სითხის შიგა ხახუნი – იხ. სითხის სიბლანტე.

სითხის ჭავლის ცოცხალი კვეთი – სითხის მრუდწირული ზედაპირი, რომლის ნებისმიერი წერტილის ნორმალი ემთხვევა იმავე წერტილში სითხის დენის წირისადმი გატარებული მხების მიმართულებას, ანუ კვეთი, რომელიც მართობულია სითხის ჭავლში ნაწილაკების მოძრაობის მიმართულების.

სითხის ხარჯი (ნაკადის ხარჯი) – სითხის მოცულობა, რომელიც დროის ერთეულში გაედინება ნაკადის (ჭავლის) ცოცხალ კვეთში (სადინარში).

სიკატივი (ლათ. siccativus გამომშრობი) – ცხოველური მჟავების მეტალური მარილების ორგანული ხსნარი. გამოიყენება ლაქებისა და საღებავების შრობის დასაჩქარებლად. შედის ოლიფის, ზეთოვანი ლაქების, ზეთოვანი საღებავების შემადგენლობაში.

სიკრონი – იხ. პოლივინილქლორიდი.

სილა (სპარს.) – 1. წვრილმარცვლოვანი ქვიშა; 2. გაშლილი ხელის შემოკვრა სახეზე.

სილაბეტონი – წვრილმარცვლოვანი ბეტონი, რომლის შემადგენლობაში შედის წვრილი შემავსებელი (ქვიშა, სილა) და შემკვრელი. ის სამშენებლო დუღაბის ანალოგიურია შემადგენლობით, მაგრამ ნაკლებ მოძრავია, რაც განაპირობებს განსხვავებას მათი დაგების ხერხში. გამოიყენება იმავე მიზნებისათვის, როგორც ჩვეულებრივ მძიმე ბეტონები.

სილაკფორი – ბგერამშთანთქმელი მასალა, მიღებული ავტოკლავური გამყარებით მსუბუქი აირსილიკატისა და უჯრედოვანი ბეტონისგან. მისგან დამზადებული ფილები გამოიყენება საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების სათავსის კედლებისა და ჭერის დეკორატიული და ბგერამშთანთქმელი მოპირკეთებისათვის, სადაც არის მშრალი ან ნორმალური რეჟიმის გარემო, ჰაერის ფარდობითი ტენიანობით არაუმეტეს 75%.

სილალი (ინგლ. sylal<ლათ. silicium კაჟი და ინგლ. alloy შენადნობი) – ლეგირებული თუჯი 5-6% სილიციუმის შემცველობით. გამოირჩევა მაღალი ცოცვა- და მხურვალმედეგობით (800-900°C-მდე).

სილაჭავლური აპარატი – აპრატი ლითონის ზედაპირების, შენობის ფასადებისა და ა.შ. გასაწმენდად შეღებვის წინ. გაწმენდა ხდება შეკუმშული ჰაერის ჭავლით, მასში შეწონილი ქვიშის ნაწილაკებით.

სილიკაგელი [ლათ. silex (silicis) კაჟი და ფრანგ. gel სიბინძურე] – მყარი ჰიდროფობული სორბენტი, მიკროფოროვანი სხეული (ნახ. 1), რომელიც მიიღება პოლისილიციუმმჟავას გაჯერებული ხსნარის გავარვარებით. გამოიყენება სპირტების, ვიტამინების გასაწმენდად (როგორც ადსორბენტი), აგრეთვე ჰაერის, ნახშირმჟავა გაზის, წყალბადის, ჟანგბადის, აზოტის, ქლორისა და სხვა სამრეწველო გაზების გასაშრობად.

ნახ. 1

სილიკატი [ინგლ. silicates<ლათ. silex (silicis) კაჟი] – 1. მინერალი, რომლის შემადგენლობაში შედის სილიციუმის ჟანგი SiO_2 (კაჟმიწა); ასეთებია: მინდვრის შპატი, ქარსი, აზბესტი, ტალკი, ბენტონიტური თიხა და სხვ.; 2. რკინანახშირბადიანი შენადნობის არალითონური ჩანართის ერთ-ერთი სახე.

სილიკატები სინთეზური – სილიციუმის ან ალუმინსილიციუმმჟავათა მარტივი ან რთული მარილები. ს. ს. ცემენტის, ცეცხლგამძლე მასალების, წიდების, წითელი და სილიკატური აგურის, ფაიფურისა და ქაშანურის, მინების, ჭიქურების, მინანქრების, ადსორბენტების, კატალიზატორების შემადგენელი ნაწილია. ტექნიკაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კალციუმის სილიკატებს $3CaO{\cdot}SiO_2$; $2CaO{\cdot}SiO_2$ (პორტლანდცემენტის ძირითადი კომპონენტები), მაგნიუმისა და ალუმინის სილიკატებსა (ცეცხლგამძლე მასალების ძირითადი კომპონენტები) და სხვ.

სილიკატიზაცია – სუსტი გრუნტების გამაგრება ქიმიური საშუალებით, სახელდობრ, სილიკატური ხსნარების (მაგ., ნატრიუმისა და ქლოროვანი კალციუმის) გრუნტში დაჭირხნით. ს. გამოიყენება ქვიშოვან, დაჭაობებულ და ლიოსისებრ გრუნტებში. ზრდის გრუნტის სიმტკიცესა და მდგრადობას. შესრულების ტექნოლოგია შემდეგია: გრუნტში 1,5 მპა წნევით შეჰყავთ თხევადი მინისა და $CaCl_2$-ის ხსნარი, რომლებიც ქიმიური რეაქციის შედეგად ქმნიან უხსნად ნივთიერებას (კაჟმჟავას გელს), რომელიც წარმოქმნის წყალგაუმტარ შრეს.

სილიკატიზაცია გრუნტის – გრუნტის გამაგრება შენობისა და ნაგებობის ფუძის გასაძლიერებლად ან გრუნტისთვის წყალშეუღწევადობის თვისების მინიჭება ჰიდროტექნიკური შენობებისთვის ფილტრაციისსაწინააღმდეგო ფარდის მოწყობით. ხორციელდება გრუნტში ნატრიუმის სილიკატის დაჭირხვნით (დანამატების გარეშე) პერფორირებული მილების საშუალებით (ჯდენადი გრუნტებისათვის) ან კოაგულანტის დამატებით (ფოსფორმჟავა).

სილიკატური ბეტონის ნაკეთობები – სილიკატური ბეტონისგან დამზადებული ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციების ელემენტები (საკედლე და გადახურვის პანელი, საკედლე ბლოკი, სვეტი, კოჭი და სხვ.). ს. ნ. არის უარმატურო და დაარმატურებული. ამ ნაკეთობებს წარმატებით შეუძლიათ შეცვალონ ცემენტის ბეტონისა და რკ.ბ.-ის ნაკეთობები (მათთან შედარებით 10-15%-ით იაფია).

სილიკატური მოდული – პორტლანდცემენტის კლინკერში კაჟმიწის პროცენტული შემცველობის ფარდობა ალუმინისა და რკინის ოქსიდების პროცენტული შემცველობის ჯამთან. რიცხობრივად შეადგენს 1,7-3,5.

სილიკატური ნაკეთობანი – სხვადასხვა საშენი მასალა (აგური, კერამიკა, მინა, საკედლე ბლოკი, მინერალური ბოჭკო, ავტოკლავური მასალა და სხვ.), რომელთა ძირითადი საწყისი ნედლეულია კაჟმიწის შემცველი ბუნებრივი და ხელოვნური მასალა (ქვიშა, დიატომიტი, ტრეპელი, წიდა, ნაცარი და სხვ.). ს. ნ. დამზადება ხდება დანამატების (ფლუსი, მჭიდა ნივთიერება, პიგმენტი, ფორის წარმომქმნელი და სხვ.) ნარევის თბოდამუშავებით.

სილიკო (ლათ. silex, silicis კაჟი) – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი – ნიშნავს კაჟთან დაკავშირებულს.

სილიკოალუმინი – რთული ელექტროთერმული ტექნოლოგიით მიღებული ზღვრული ფეროშენადნობი, რომლის ძირითადი ელემენტებია სილიციუმი და ალუმინი. გამოიყენება, როგორც აღმდგენი სპეციალური შენადნობების საწარმოებლად.

სილიკომანგანუმი – ფეროშენადნობი, რომლის ძირითადი კომპონენტებია: მანგანუმი – 30-75%, სილიციუმი – 8-35% და ნახშირბადი 3%-მდე, აგრეთვე რკინა, გოგირდი, ფოსფორი და სხვ. მიიღება მანგანუმის მადნის შიხტის თერმულ ღუმლებში სილიციუმისა და მანგანუმის ერთდროული აღდგენის გზით. გამოიყენება განმჟანგველად და მალეგირებელ დანამატად ფოლადისა და ფერომანგანუმის გამოდნობისას.

ნახ. 1

სილიმანიტი – იშვიათი ძვირფასი ქვა, სილიკატების კლასის მოყვითალო ფერის მინერალი, ალუმინის სილიკატი (ნახ. 1). იყენებენ ცეცხლგამძლე კერამიკულ ნაკეთობათა და თიხამიწით მდიდარი ცეცხლგამძლე მასალების დასამზადებლად.

სილიცირება – ლითონის დეტალების ზედაპირული შრის გაჯერება სილიციუმით ანტიკოროზიული თვისებების, ცვეთამედეგობისა და მხურვალგამძლეობის გაზრდის მიზნით.

სილიციუმი [ლათ. silex (silicis) კაჟი] – ოთხვალენტიანი მეტალოიდი, ქიმიური ელემენტი ატომური ნომრით 14. სიმბოლო – Si. სიმკვრივე – 2329 კგ/მ^3 (თხევად მდგომარეობაში – 2570 კგ/მ^3); დნობის ტემპერატურა – 1414°C; დუღილის ტემპერატურა – 3265°C; სიმაგრე მოოსის სკალით – 6,5. სილიციუმი სამყაროში გავრცელებით მერვე ელემენტია წონის მიხედვით. ბუნებაში უძველესი დროიდან გვხვდება, როგორც თავისუფალი ელემენტი. ფართოდაა წარმოდგენილი ქვიშაში, მტვერში, პლანეტოიდებსა და პლანეტებში სილიციუმის დიოქსიდის სხვადასხვა ფორმით (კაჟმიწა) ან სილიკატების სახით. ს. დედამიწის ქერქში გავრცელებით მეორეა ჟანგბადის შემდეგ, რაც ქერქის 25,7%-ზე მეტს შეადგენს მასის მიხედვით. ოქსიდის ან სილიკატის ფორმით სილიციუმი გამოიყენება მინის, ცემენტისა და კერამიკის წარმოებაში.

სილიციუმის ორჟანგი – კაჟმიწა; სილიციუმის ნაერთი ჟანგბადთან. იყენებენ სილიკატურ მრეწველობაში მინის, კერამიკისა და მისთ. დასამზადებლად.

სილიციუმორგანული ნაერთი – ელემენტორგანული ნაერთი, რომელიც შეიცავს მოლეკულაში სილიციუმის ატომს, უშუალოდ დაკავშირებულს ნახშირბადთან. გამოიყენება

სილიციუმორგანული სითხეების (სილიკონური ზეთები), კაუჩუკის, წებოების, ლაქების წარმოებაში და სხვ.

სილონი – ერთგვარი სინთეზური ბოჭკო; ასეთი ბოჭკოს ქსოვილი.

სილოსი (ესპ. silos ორმო, სარდაფი მარცვლეულის შესანახად) – დიდი ტევადობის საცავი ფხვიერი მასალებისთვის (ცემენტი, ქვიშა, მარცვლეული, კომბინირებული საკვები, გრანულები და სხვ.). ის არის ვერტიკალურ ცილინდრული ფორმის ფურცლოვანი ლითონის (იშვიათად ხის ან რკ.ბ.-ის) კონსტრუქცია ბრტყელი ან კონუსური ძირით. ს. ვერტიკალური განთავსება უზრუნველყოფს ტერიტორიის მნიშვნელოვან ეკონომიას სხვა ტიპის საწყობებთან შედარებით. საწარმოს ტერიტორიაზე შესაძლებელია განლაგდეს ერთი (ნახ. 1) ან რამდენიმე ათეული სილოსიც კი, რომელთა ჩატვირთვა-განტვირთვა უმეტესად ავტომატიზებულია; 2. საქონლის წვნიანი საკვები, რომელსაც ამზადებენ დაქუცმაცებული საკვები მცენარეების უჰაეროდ დაკონსერვებით (დამჟავებით) სპეციალურ ნაგებობაში (კოშკი, ტრანშეა, ორმო).

ნახ. 1

სილოსი მარცვლეულის – ფურცლოვანი ფოლადისგან დამზადებული ცილინდრული მარცვალსაცავი ბრტყელი ან კონუსური ფსკერით. მისი შემადგენელი ელემენტებია: მოცულობითი ცილინდრი სიხისტის წიბოებით, სახურავი, სილოსის მომსახურების კონსტრუქციები (კიბე, ლუკი), სავენტილაციო, ტემპერატურის საკონტროლო და ჩატვირთვა-გადატვირთვის სისტემები. ს. მ. ჩამონტაჟებულია ტენიანობის, ტემპერატურის, მარცვლეულის დონისა და სხვა ტიპის გადამწოდები, რომელთა მეშვეობით მარტივად კონტროლდება ნებისმიერი სახის მარცვლეულის შენახვის პროცესი. ს. მ. საყრდენად გამოიყენება ბეტონის ან რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკველი, რომელსაც მიემაგრება სილოსის დგარები საანკერო ჭანჭიკების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როცა სილოსები განლაგებულია ჯგუფურად, საძირკვლისათვის იყენებენ ერთიან რკინაბეტონის ფილას. ფოლადის გარდა, ზოგჯერ, ს. მ. რკინაბეტონის კონსტრუქციებისგანაც აშენებენ.

სილოსი ცემენტის – ტევადობა მშრალი ცემენტის, სამშენებლო ნარევებისა და წვრილდისპერსიული მასალების შესანახად. სტანდარტული კონსტრუქცია წარმოადგენს ფოლადის ცილინდრს ბრტყელი ან კონუსური სახურავით, რომელშიც მოწყობილია სავენტილაციო ხვრელები და ფილტრები; ფსკერი კონუსური ფორმისაა ნახვრეტით, მომარჯვებული ცემენტის გასაცემი შნეკური ჩამკეტით. მონტაჟდება შვეულად რკინაბეტონის საძირკველზე.

სილოქსიდი [ლათ. sil(ex) კაჟი და oxys მჟავე] – კვარცისგან წარმოებული მინა (საშენი მასალა). გამოიყენება ფასადების შესამინად, ინტერიერის ტიხრებისთვის, ქიმიური ჭურჭლის დასამზადებლად და სხვ.

სილუეტი – 1. საგნის, ნაგებობის, ფიგურის და სხვათა დამახასიათებელი მოხაზულობა (კონტურები), რომელიც შორ მანძილზე, ბურუსში ან სიბნელეში აღიქმება; 2. ვისიმე ან რისამე ერთგვარი კონტურული გამოსახულება, დახატული (ან გამოჭრილი და დაკრული) სხვა ფერის ფონზე; 3. XVIII საუკუნეში გავრცელებული გრაფიკური ტექნიკის (გრავიურა, ფოტოგრაფია) სახესხვაობა. განსაკუთრებით გავრცელდა საფრანგეთში როკოკოს ეპოქაში.

სილუმინი [ლათ. sil(ex) კაჟი და oceoi ალუმინი] – ალუმინის შენადნობი სილიციუმთან (23%-მდე) და სხვა ელემენტებთან, ხასიათდება კარგი ჩამოსხმით, მაღალი სიმტკიცითა (200 მპა-მდე) და სიმაგრით, საკმაოდ კარგი პლასტიკურობით. გამოიყენება რთული კონფიგურაციის დეტალების დასამზადებლად, უმეტესად ავტო- და ავიამშენებლობაში.

სილურჯე – მერქნის სოკოვანი დაავადება, ლურჯი ან მომწვანო შეფერილობა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული. სიმტკიცეზე არ მოქმედებს, მაგრამ მერქანს აძლევს არასასიამოვნო შეფერილობას.

სილფონი – დრეკადი ერთ- ან მრავალფენიანი გოფრირებული გარსი (გარსაცმი) ლითონის, არალითონის ან კომპოზიტური მასალისგან, რომელიც ინარჩუნებს სიმკვრივეს და სიმტკიცეს კუმშვის, გაჭიმვის, ღუნვის მრავალციკლური დეფორმაციისას შიგა და გარე წნევის, ტემპერატურისა და მექანიკური დატვირთვის ზემოქმედების პირობებში. გამოიყენება როგორც მაჰერმეტიზებელი, მგრძნობიარე და ძალური ელემენტი. ს. გამოიყენება მილსადენების არმატურის (კვანძების) მოძრავი დეტალების მამჭიდროებლად გარემოს მიმართ (ნახ. 1).

ნახ. 1

სიმა (ბერძ. kuma ტალღა ან ტალღისებრი სხმული) – კარნიზის ელემენტი (ნახ. 1), წყლის ჩასადენი ღარაკი. პირველად გამოჩნდა ძველბერძნულ არქიტექტურაში დორიული ორდერის ბატონობის პერიოდში. მზადდებოდა მარმარილოს ან ტერაკოტისაგან და ძირითადი დანიშნულების გარდა იყო შენობის ფასადის ერთ-ერთი სამკაული. ხშირად სიმი შემკული იყო გეომეტრიული ჩუქურთმებით, პალმეტებით ან უფრო რთული დეკორით (განსაკუთრებით იონიურ ორდერში).

ნახ. 1

სიმაგრე (სისალე) – მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს მასში სხვა მასალის შეჭრას. მინერალური მასალებისათვის სიმაგრეს ადგენენ მოოსის სკალით. შედგება 10 მინერალისაგან, სიმაგრის პირობითი მაჩვენებლებით 1-დან 10-მდე (1 – ტალკი ან ცარცი, 2 – ქვამარილი, 3 – კალციტი, 4 – მდნობი შპატი, 5 – აპატიტი, 6 – ორთოკლაზი, 7 – კვარცი, 8 – ტოპაზი, 9 – კორუნდი, 10 – ალმასი). გამოსაცდელი მასალის სიმაგრე არის იმ ორ მინერალს შორის, რომელთაგან ერთი კაწრავს გამოსაცდელ ნიმუშს და მეორეთი კი თვით იკაწრება. მასალის ს. შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა კრიტერიუმით. ხშირ შემთხვევაში ს. განისაზღვრება ზედაპირზე დარჩენილი ნაჭდევის ზომის მიხედვით, მაგ., ბრინელის, ვიკერსისა და როკველის მეთოდებით. აღინიშნება შესაბამისად: HRB, HV და HRC. ს. იზომება სამ დიაპაზონში: მაკრო, მიკრო და ნანო. მაკროდიაპაზონი რეგლამენტირებას უკეთებს ინდენტორზე დატვირთვის სიდიდეს 2 ნ-დან 30 კნ-მდე. მიკროდიაპაზონი – 2 ნ-მდე და ინდენტორის სხეულში ჩაღრმავებას მეტი 0,2 მკმ-ზე. ნანოდიაპაზონი კი მხოლოდ ინდენტორის ჩაღრმავებაზე, რომელიც უნდა იყოს ნაკლები 0,2 მკმ-ზე. ხშირად სისალეს ნანოდიაპაზონში უწოდებენ ნანოსისალეს (ნანოსიმაგრეს). ლითონის, ბეტონის, მერქნის, პლასტმასის სიმაგრე (სისალე) განისაზღვრება ბრინელის მეთოდით, როცა სტანდარტული

ფოლადის ბურთულა გარკვეული ძალით იწნეხება მასალაში. სიმაგრე განისაზღვრება დატვირთვისა და ანაბეჭდის ფართობის ფარდობით. დიდი სიმტკიცის მასალა ყოველთვის არ არის დიდი სიმაგრის. მაგ., მერქნის სიმტკიცე ხშირად აჭარბებს ბეტონისას, მაგრამ სიმაგრე ყოველთვის ნაკლები აქვს, ვიდრე ბეტონს. გარდა ზემოთაღნიშნულისა, არსებობს ს. გაზომვის სხვა მეთოდებიც: ასკერის სკალით, ბრინელის, ბუხგოლცის, ვიკერსის, იანკის, კუზნეცოვ-ჰერბერტ-რებინდერის, მარტენსის, მოოსის სკალით, პოლდის, როკველის, შორის მიხედვით და სხვ.

ზოგიერთი ჯიშის მერქნის ზედაპირული სიმაგრეები ბრინელის მიხედვით შემდეგია: ნაძვი – 1,8; ვერხვი – 1,86; ფიჭვი – 2,5; ლარიქსი – 2,7; თხმელა – 2,7; არყის ხე – 3,0; კაკალი – 3,5; მსხალი – 3,5; რცხილა – 3,7; წაბლი – 3,7; წიფელი – 3,9; კედარი – 4,0; აკაცია – 4,0; ნეკერჩხალი – 4,05; იფანი – 4,1; ბამბუკი – 4,8; მუხა – 4,9; მაჰაგონი – 5,0; პალისანდრი ვ 5,5; აკაცია თეთრი – 7,1; ებონიტი – 8,0.

სიმაღლე – 1. ფიგურის წვეროდან ფუძეზე ან მის გაგრძელებაზე დაშვებული მართობის (პერპენდიკულარის) მონაკვეთი. ტექნ. ნაკეთობის ერთ-ერთი გაბარიტული განზომილება, დაშორება ყველაზე მაღალი წერტილიდან მიწის ზედაპირამდე; ფიზ. ხმის, ბგერის სიმაღლე; გეოდ. ნიშნული ზღვის დონიდან. სიმაღლის ცნების გამოყენების უამრავი მაგალითი შეიძლება დასახელდეს: სამშენებლო, ანტენის, აწევის, დაწნევის, დაჭირხვნის, ვარდნის, საანგარიშო, პირობითი, სიჩქარის, სრული, ტალღის, ყრილის, ჩატვირთვისა და სხვ.; 2. სივრცე და მანძილი დედამიწის ზევით; 3. იგივეა, რაც მაღლობი; 4. გადატ. რისამე მაღალი დონე; 5. სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე, რომელიც მისი უკანა ეზოსა და საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან განისაზღვრება ფორმულით H = L/Y, სადაც L არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრის (ქუჩის) მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან ქუჩის სიგანის ნახევრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ მართობული მანძილი. მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ სივრცესთან შენობის განთავსების მიხედვით იცვლება 6-დან 20 მ-მდე; Y – კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობაა: 0,35 – დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებისთვის; 0,25 – სამრეწველო ზონებისთვის; 0,4 – ყველა სხვა ზონისთვის; 6. შენობა-ნაგებობის სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე.

სიმბოლიზმი – მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის ხელოვნებასა და ლიტერატურაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ის ერთგვარი რეაქცია იყო პარნასელთა პოეზიაზე. მისთვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, იდუმალობა, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალობის შექმნაზე. სიმბოლიზმი იყო სინამდვილისადმი ოპოზიციის გამოხატვა. მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა დიდი ამაგი დასდეს ლირიკული აზროვნებისა და ხელოვნების განვითარებას, მისადმი დამოკიდებულებას და სხვ. სიმბოლისტური მიმდინარეობის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, ჟიულ ლაფორგი, გუსტავ მორო, ოდილონ რედონი, ედგარ მაკსენსი (საფრანგეთის რესპუბლიკა), რაინერ მარია რილკე (ავსტრიის რესპუბლიკა), ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ედგარ ალან პო (აშშ), ვალერი ბრიუსოვი, ალექსანდრე ბლოკი, ანდრეი ბელი, კონსტანტინ ბალმონტი, მიხეილ ვრუბელი (რუსეთის

ფედერაცია), ობრი ბერდსლეი, ჯორჯ ფრედერიკ უოტსი, უილიამ სკოტი (ინგლისი), ლესია უკრაინკა (უკრაინა), პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო ცირეკიძე, კოლაუ ნადირაძე (საქართველო) და სხვ.

სიმბოლიკა – 1. სიმბოლოთა ერთობლიობა; 2. სიმბოლო ან ნიშანი, რომელიც გამოიყენება რაიმე ობიექტის, ფუნქციის ან პროცესის წარმოსადგენად.

სიმბოლო (ბერძ. symbolon ნიშანი, ლოზუნგი<syn- ერთად და bole გადაგდება, ჩამოსხმა, დარტყმა, ჭანჭიკი, სხივი) – 1. ნიშანი ან სიტყვა, რომელიც აღიქმება როგორც იდეა, ობიექტი ან ურთიერთობა. ს. იღებს სიტყვის, ბგერის, ჟესტის, იდეის, ვიზუალური სახის ფორმას და გამოიყენება სხვისი იდეის თუ მრწამსის გადასაცემად. მაგ., რვაკუთხედი შეიძლება იყოს "სდექის" სიმბოლო; რუკაზე ლურჯი ხაზი – მდინარის; ციფრები არითმეტიკაში – რიცხვების; საკუთარი სახელები – პიროვნებების; წითელი ვარდი – სიყვარულის, თანაგრძნობის; ჯვარი – ქრისტიანობის, ნახევარმთვარე – ისლამის და სხვ.; 2. საგნის ან ცხოველის გამოსახულება, ნიშანი, რომელიც პირობითად გამოსახავს რაიმე გაგებას, მოვლენას, იდეას, საგნობრივ ვითარებას და მისთ. არსებობს სიმბოლოს სახეები: ალქიმიური, ასტრონომიული, ახალგაზრდობის, პარტიული მოძრაობის, რელიგიური, რწმენის, სარკალური გეომეტრიის, საშიშროების, სახელმწიფოს, სქესის, ქრისტიანობის, შემეცნების, შეფასების, ცოდნის, წმინდანობის, ხელოვნებისა და სხვ.

სიმდიდრე – მატერიალური აქტივების მთლიანი ღირებულება.

სიმდოვრე – მოვლენების, პროცესების მიმდინარეობა თანაბრად, რყევების გარეშე, როდესაც არ იცვლება მახასიათებელი პარამეტრები.

სიმეტრია (ბერძ. symmetria თანაშეზომილობა) – 1. რაიმე მთელის ნაწილების თანაზომიერი, პროპორციული განლაგება ცენტრის, შუაგულის მიმართ; თანაზომიერება, პროპორციულობა რისამე განლაგებაში; 2. გეომეტრიული ფიგურის თვისება – შეუთავსდეს თავის თავს გარკვეული გარდაქმნების შედეგად, რომლებიც ქმნიან ჯგუფს (ამ ფიგურის სიმეტრიის ჯგუფს). გეომეტრიული სიმეტრიის სახეებია: სარკისებრი, ღერძული, მბრუნავი, ცენტრული, სრიალის და ხრახნული. 3. სიმეტრია, ანუ სარკული არეკვლა სივრცეში a სიბრტყის მიმართ (სიბრტყეში a წრფის მიმართ) არის სივრცის (სიბრტყის) გარდაქმნა, რომლის დროსაც ყოველი M წერტილი გადადის ისეთ M' წერტილში, რომ MM' მონაკვეთი მართობულია a სიბრტყისა (a წრფისა) და ამ სიბრტყით (წრფით) იყოფა შუაზე. a სიბრტყეს (a წრფეს) ეწოდება სიმეტრიის სიბრტყე (სიმეტრიის ღერძი). ამჟამად სიმეტრიის შესახებ სწავლება საფუძვლად უდევს კრისტალოგრაფიას და ფართო გამოყენებას პოულობს მეცნიერებაში, ტექნიკაში, მრეწველობასა და სხვ.

სიმეტრია აქსიალური (რადიალური სიმეტრია) – სიმეტრიულობა რაიმე ღერძის ირგვლივ მობრუნების მიმართ ნებისმიერი კუთხით.

სიმეტრია მბრუნავი – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ობიექტის სიმეტრიას ყველა ან ზოგიერთი საკუთარი ბრუნვის m-განზომილებიანი ევკლიდური სივრცის მიმართ.

სიმეტრია სარკისებრი – სიბრტყის ასახვა თავის თავზე, რომლის დროს ნებისმიერი X წერტილი გადადის მოცემული სიბრტყის მიმართ სიმეტრიულ X′ წერტილში (ნახ. 1).

ნახ. 1

სიმეტრია სრიალის – ევკლიდური სიბრტყის იზომეტრია.

სიმეტრია სფერული – სიმეტრიულობა ბრუნვის მიმართ სამგანზომილებიან სივრცეში ნებისმიერი კუთხით.

სიმეტრია ღერძული – რაიმე ფიგურის მონაკვეთის A და B წერტილებს სიმეტრიული ეწოდება a წრფის მიმართ, თუ ეს წრფე AB მონაკვეთის მართობულია და მის შუაწერტილზე გადის.

სიმეტრია ცენტრული – ცენტრული სიმეტრია ეწოდება გარდაქმნას, თუ სიბტყეზე ნებისმიერ A წერტილისათვის მეორე O წერტილის მიმართ მოიძებნება ისეთი B წერტილი, რომ AB მონაკვეთი O წერტილით შუაზე იყოფოდეს. A და B წერტილები O წერტილის მიმართ სიმეტრიული წერტილებია.

სიმეტრიის ცენტრი – სიბრტყის ან სივრცის წერტილი, რომლის გარშემო რაიმე კუთხით მობრუნებისას გეომეტრიული ფიგურა შეუთავსდება თავის თავს. ფიგურებს, რომელთაც აქვთ სიმეტრიის ცენტრი, ეწოდება ცენტრალური. ასეთებია: წრე, ელიფსი, ჰიპერბოლა, ელიფსოიდი, ცალკალთა ჰიპერბოლოიდი, პარალელოგრამი და სხვ.

სიმკვეთრე – 1. გეომეტრიული ფიგურების ან ტექსტის მკაფიოობა (გარჩევადობა), რომელიც დამოკიდებულია ოპტიკური მახასიათებლების სხვაობაზე გამოსახულების ელემენტებსა და ცალკეული ელემენტების გადასვლის კონტურის სიდიდეს შორის; 2. ტექსტი ან სიტყვა, რომელიც გამოხატავს რაიმეს ან ვინმეს მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას; უხეში, უტიფარი, თავხედური, კადნიერი გამონათქვამი.

სიმკვრივე – სკალარული ფიზიკური სიდიდე, რომელიც განისაზღვრება სხეულის მასის შეფარდებით თვით ამ სხეულის მოცულობასთან ან ფართობთან (ზედაპირული სიმკვრივე). განასხვავებენ ს. სამ სახეობას: 1) სხეულის საშუალო ს. – სხეულის მასის ფარდობა მის მოცულობასთან. ერთგვაროვანი სხეულისათვის მას უბრალოდ სხეულის სიმკვრივეს უწოდებენ; 2) ნივთიერების ს. – სხეულის ს., რომელიც შედგება ამ ნივთიერებისაგან; 3) სხეულის ს. წერტილში – სხეულის მასის მცირე ნაწილის (m) ამ მცირე ნაწილის მოცულობასთან (V) ფარდობის ზღვარი, როცა ეს წერტილი ეკუთვნის ამ მცირე ნაწილს და როცა ეს ფარდობა მიისწრაფის ნულისაკენ: $\lim m/v$. ასეთი განმარტების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ატომურ დონეზეც კი, არ არსებობს იდეალურად ერთგვაროვანი სხეული, ამიტომ უნდა შევჩერდეთ მოცულობაზე, რომელიც შეესაბამება გამოყენებულ ფიზიკურ მოდელს. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3. სამშენებლო საქმეში ჩვეულებრივ გამოიყენება საშუალო ს. ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი სხეულის ს. გამოითვლება ფორმულით $\rho = m/v$, სადაც m – სხეულის მასა; v – მისი მოცულობა. ს. წერტილში $\rho = dm/dv$, მაშინ არაერთგვაროვანი სხეულის მასა $m = \int\rho(r)\, d^3 r = \int\rho(r)\, v = \int dm$. ტემპერატურის შემცირება ს. ზრდის, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც, მაგ., წყალი, ბრინჯაო და თუჯი. წყალს მაქსიმალური ს. აქვს 4°C-ზე და მცირდება ტემპერატურის

მომატებითაც და მოკლებითაც. ნივთიერების აირმდგომარეობიდან მყარში გადასვლისას ს. იზრდება, მაგრამ არის ისეთი ნივთიერებებიც, რომელთა ს. მყარ მდგომარეობაში გადასვლისას მცირდება (წყალი, სილიციუმი, გერმანიუმი და სხვ.). ყოფაცხოვრებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნივთიერებების სიმკვრივეები შემდეგია (კგ/მ^3): მეთანის – 0,717; აზოტის – 1,25; მშრალი ჰაერის – 1,293; ქლორის – 3,164; ჟანგბადის – 1,429; ნაძვის მერქნის – 450; ფიჭვის მერქნის – 520; მუხის მერქნის – 690; ბენზინის – 740; ლარიქსის მერქნის – 700-1100; მტკნარი წყლის 4°C-ზე – 1000; ებონიტის ხის მერქნის – 1080; გრანიტის – 2600; ალუმინის – 2700; რკინის – 7874; სპილენძის – 8940; ვერცხლის – 10500; ტყვიის – 11350; ვერცხლისწყლის – 13530; ოქროს – 19300; პლატინის – 19590 და სხვ. არსებობს სიმკვრივის სახეები: აირის, აკუსტიკური, ალბათობის, ატომგულის, გალაქტიკათშორისი გარემოს, გამოსხივების, გრავიმეტრიული, დამუხტვის, დატვირთვის, დაყვანილი, დედამიწის, დენის, დეფექტების, დისლოკაციების, ელექტრონთა, ელექტრული, ენერგიის, ვარსკვლავთშორისი გარემოს, ზოგადი, ინვარიანტული, იონიზაციის, კვადრატული, კუთრი, მზის, მაქსიმალური, მინიმალური, მორწყვის, მოცულობითი, მჟავას, მუხტის, ნამდვილი, ნაყარი, ნივთიერების, ოპტიკური, პარციალური, პულპის, რეტიკულური, საშუალო, სითბური ნაკადის, სკალარული, სპექტრული, სტაბილური, ტენზორული, ფარდობითი, ფოტოგრაფიული, ფუძის, ჭეშმარიტი, წირითი, წყლის, წყობის, ხაზოვანი, ხსნარისა და სხვ.

სიმკვრივე ენერგიის – ენერგიის რაოდენობა ერთეულ მოცულობაში.

სიმკვრივე ზოგადი (სიმკვრივე საშუალო) – ერთეული მოცულობის მქონე ნიმუშის (მასალის) მასა ბუნებრივ მდგომარეობაში (ფორების ჩათვლით). გამოითვლება ფორმულით: $\rho = m/v_ზ$, სადაც m არის ნიმუშის მასა, გ; $v_ზ$ – ნიმუშის მოცულობა ბუნებრივ მდგომარეობაში, სმ^3. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში ზოგადი სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3.

სიმკვრივე მოცულობითი – მასალის ნაწილაკების მასა, გაყოფილი ამ ნაწილაკების მიერ დაკავებულ მოცულობაზე, ანუ ტერმინი "მოცულობითი სიმკვრივე" გამოიყენება სივრცის ერთეულში განაწილებული მყარი ნაწილაკების ან სხვა ფაზური სიდიდეების აღსანიშნავად. წამოადგენს ფხვნილების, გრანულების, მინერალური კომპონენტების ნაწილაკების, ქიმიური ნივთიერებების, ფარმავცეტული ინგრედიენტების, კვების პროდუქტების ან სხვა ნებისმიერი მასის კორპუსკულარული ან მყარი ნაწილაკების თვისებრივ მახასიათებელს. ს. მ. ცვალებადი სიდიდეა; მაგ., არაერთგვაროვანი მყარი ნივთიერებებისათვის და სითხეებში, რომელშიც შეტივტივებულია მყარი ნაწილაკები, მოცულობით სიმკვრივეზე გავლენას ახდენს სტრუქტურის ფორიანობა, აგრეთვე მოლეკულური და სტრუქტურული ერთიანობის რღვევა; ფხვიერ საშენ მასალებში (ქვიშა, ღორღი, ხრეში, ცემენტი, თაბაშირი და სხვ.) კი – დატკეპვნის ხარისხი, რადგან მაგ., განსაზღვრული რაოდენობის ქვიშამ შეიძლება დაიკავოს სხვადასხვა მოცულობა, ხოლო ბუნებრივ მდგომარეობაში ის ხასიათდება ნაყარი სიმკვრივით (იხ. სიმკვრივე ნაყარი). ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში მოცულობითი სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3.

სიმკვრივე ნამდვილი – ერთეული მოცულობის მქონე ნიმუშის (მასალის) მასა აბსოლუტურად მკვრივ მდგომარეობაში. გამოითვლება ფორმულით: $\rho = m/v_ა$, სადაც m არის ნიმუშის მასა, გ; $v_ა$ – ნიმუშის მოცულობა აბსოლუტურად მკვრივ მდგომარეობაში (ფორების გარეშე), სმ^3. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში ნამდვილი სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3. საშენი

მასალების დიდ უმრავლესობას აქვს ფორები, ამიტომ ს. ნ. ყოველთვის მეტია ზოგად სიმკვრივეზე. მხოლოდ მკვრივ მასალას (ფოლადი, მინა, ბიტუმი და სხვ.) აქვს ერთნაირი ზოგადი და ნამდვილი სიმკვრივეები, რადგან მათში ფორების რაოდენობა უმნიშვნელოა.

სიმკვრივე ნაყარი (ფხვიერი მასალებისთვის) – ერთეული მოცულობის მასა ფხვიერად დაყრილი მარცვლოვანი ან ბოჭკოვანი მასალისა. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში ნაყარი სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3. ზოგიერთი საშენი მასალის ნაყარი სიმკვრივე (კგ/მ^3) და მოცულობა ერთ ტონაზე (მ^3/კგ) დაახლოებით შემდეგია: ცემენტი მშრალი – 1,5 კგ/მ^3 და 0,666 მ^3/კგ; ქვიშა სველი – 1920 და 520; ქვიშა მშრალი – 1440 და 694; ხრეში მსხვილმარცვლოვანი – 1500 და 666; ხრეში წვრილმარცვლოვანი – 1700 და 588; ღორღი წვრილმარცვლოვანი – 1600 და 625.

სიმკვრივე პარციალური – ნარევის რომელიმე განსაზღვრული კომპონენტის სიმკვრივე. ნარევის სიმკვრივე ტოლია მისი კომპონენტების პარციალური სიმკვრივეების ჯამისა. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში პარციალური სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ^3.

სიმკვრივე საშუალო – იხ. სიმკვრივე ზოგადი.

სიმკვრივე ფარდობითი – გამოსაკვლევი ნივთიერების სიმკვრივის ფარდობა ეტალონური ნივთიერების სიმკვრივესთან.

სიმკვრივე ხაზოვანი (სიმკვრივე წირითი) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც განისაზღვრება სხეულის მასის ფარდობით მის სიგრძესთან. გამოიყენება ქსოვილის, მავთულის, ძაფის, თოკის, აფსკის, ქაღალდისა და სხვა ანალოგიური მასალის სისქის, აგრეთვე კოჭების, რელსებისა და სხვათა დასახასიათებლად. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში ხაზოვანი სიმკვრივის განზომილებაა კგ/მ.

სიმპლექსი (ლათ. simplex მარტივი, ერთიანი) – 1. ტელეგრაფის ან ტელეფონის ცალმხრივი კავშირი, რომლის დროსაც ერთი სადგური მხოლოდ გადაცემას აწარმოებს, მეორე კი - მხოლოდ მიღებას; 2. ის, რაც ხასიათდება ერთი ნაწილით ან სტრუქტურით; 3. მარტივი სიტყვა.

სიმპოზიუმი (ლათ. symposium დიდი ნადიმი) – თათბირი, სამეცნიერო კონფერენცია და მისთ. რაიმე სამეცნიერო საკითხის განსახილველად.

სიმპოსიუმი – ძველ საბერძნეთში რიტუალური დიდი ნადიმი, რომელსაც თან ახლავს მხიარული სვლა.

სიმპროლიტი – ზემსუბუქი საშენი მასალა – პოლისტირენბეტონი (ნახ. 1), რომელსაც აქვს საუკეთესო სითბური და თბოენერგოეფექტური მახასიათებლები არა მარტო მსუბუქი ბეტონის კლასში, არამედ ზოგადად სამშენებლო ბეტონების ჯგუფში. გამოირჩევა ტენ- და ყინვამდგრადობით, ეკოლოგიურობით, ხანგამძლეობით. სიმკვრივე 600-800 კგ/მ^3. გამოიყენება სართულშუა და ჭერის გადახურვებში, იატაკის მოჭიმვისათვის, საკედლე დიაფრაგმების ჩამოსასხმელად, აივნების, ტერასების მოსაწყობად, სამშენებლო ბლოკების (ნახ. 2) დასამზადებლად და ა.შ.

ნახ. 1

ნახ. 2

სიმპტომი – რაიმე მოვლენის დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი.

სიმრავლე – განსაზღვრული, სრულიად განსხვავებული ელემენტების ერთ მთლიანობაში გაერთიანება. ვიღებთ ან მისი ელემენტების ჩამოთვლით, ან ამ ელემენტების მახასიათებელი თვისებების მითითებით, ე.ი. ისეთი თვისებებისა, რომელიც აქვს ამ სიმრავლის ყველა ელემენტს და მხოლოდ მათ. სწორედ ეს საერთო თვისება განსაზღვრავს თვით სიმრავლის სახელწოდებას. თუ მოცემული თვისება არ აქვს არც ერთ საგანს, მაშინ ამბობენ, რომ ეს თვისება განსაზღვრავს ცარიელ სიმრავლეს. სიმრავლის ანუ ერთობლიობის ცნება განეკუთვნება უმარტივეს მათემატიკურ ცნებას.

ნახ. 1

სიმრუდე – 1. სიდიდე, რომელიც ახასიათებს რაიმე გეომეტრიული ობიექტის (წირის, ზედაპირის, სივრცის) გადახრას მისი ერთგვაროვანი ობიექტისაგან (წრფე, სიბრტყე, ევკლიდეს სივრცე), რომელიც ითვლება უმარტივესად; 2. ხის მანკი, ხის ტანის გრძივი ღერძის გადახრა ტანის გაღუნვის გამო (ნახ. 1). ს. გაზომვის დროს ძირიდან 1 მ ტანის სიმაღლე მხედველობაში არ მიიღება. ის მანკის ცუდი სახეობაა, რადგან ასეთი ხის ტანიდან მცირე რაოდენობის დახერხილი მასალა ამოდის. ხდება გრძივი ბოჭკოების ირიბად წაჭრა, რაც აქვეითებს მასალის ხარისხს. სიმრუდე არსებობს მარტივი (ერთი გაღუნვით) და რთული (ორი ან მეტი გაღუნვით).

სიმრუდე ზედაპირის – სიმრუდე, რომელიც ახასიათებს მოცემულ წერტილში ამა თუ იმ სახით ზედაპირის გადახრას სიბრტყისგან.

სიმრუდის ცენტრი – წირის მოცემულ წერტილში გავლებული მიმხები წრეწირის ცენტრი.

სიმსხო – სისქე (მაგ., ძაფის სისქე).

სიმტკიცე – მასალის თვისება გარკვეულ დროში, პირობებსა და საზღვრებში დაურღვევლად გაუწიოს წინააღმდეგობა ამა თუ იმ გარე ზემოქმედებით (დატვირთვები, არათანაბარი ტემპერატურული, მაგნიტური და ელექტრული ველები, არათანაბარი დეფორმაციები და სხვ.) აღძრულ შიგა ძაბვებს ისე, რომ არ დაირღვეს მისი მთლიანობა, ანუ არ დაკარგოს წინაღობის უნარი. ს. ძირითადი კრიტერიუმებია: პროპორციულობის ზღვარი, დენადობის ზღვარი, ცოცვადობის ზღვარი, დაღლილობის ზღვარი და სხვ. კლასიფიკაციის მიხედვით, ს. შეიძლება იყოს სტატიკური (მუდმივი დატვირთვების მოქმედებისას), დინამიკური (ნიშანცვლადი დატვირთვების მოქმედებისას) და დაღლილობითი (ციკლური ცვლადი

დატვირთვების მოქმედებისას). განასხვავებენ ადჰეზიურ, დაღლილობით, დინამიკურ, ელექტრულ, თეორიულ, იმპულსურ, კონსტრუქციულ, მაღალტექნოლოგიურ, პრიზმულ, საკონსტრუქციო, ტექნიკურ, ციკლურ და ხანგრძლივ სიმტკიცეს. ყველაზე ხშირად პრაქტიკაში ვხვდებით სიმტკიცეზე გაანგარიშებებს გაჭიმვის, კუმშვის, ღუნვის, გრეხის, ახლეჩისა და თელვის დეფორმაციების დროს.

სიმტკიცე გაჭიმვისას – ნიმუშის გაწყვეტაზე გამოცდის დროს წარმოქმნილი გამჭიმი ძაბვის მაქსიმალური სიდიდე, რომელიც მოდის კვეთის პირველსაწყისი ფართობის ერთეულზე.

სიმტკიცე დარტყმითი – იხ. სიბლანტე დარტყმითი.

სიმტკიცე დაღლილობითი – მასალის თვისება არ დაირღვეს დროთა განმავლობაში ცვლადი სამუშაო დატვირთვების (ციკლური დატვირთვების) მოქმედებისას. მასალის რღვევა ხდება მიკრორღვევების, მათი დაგროვების და შემდეგ მაკრორღვევებად გაერთიანების შედეგად (მასალის დაღლილობა). ყველა მასალისათვის არსებობს დაღლილობითი სიმტკიცის ზღვარი, რომელიც გაცილებით ნაკლებია (40-50%-ით) მასალის სიმტკიცის ზღვარზე.

სიმტკიცე დინამიკური – მასალის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს დინამიკურ დატვირთვებს რღვევის ან ფორმის ცვლილების გარეშე. დამატებით იხ. სიბლანტე დარტყმითი.

სიმტკიცე ზედაპირული – გასაჭიმი ღეროს თხელი ზედაპირული ფენის სიმტკიცე, რომელიც ზოგჯერ მნიშვნელოვნად აჭარბებს ღეროს შიგნით მასალის სიმტკიცეს.

სიმტკიცე თეორიული – იდეალური სტრუქტურის (დაზიანებებისა და დეფექტების გარეშე) მყარი ტანის სიმტკიცე აბსოლუტური ნული ტემპერატურის პირობებში. დამოკიდებულია მასალის სტრუქტურაზე, მოლეკულურ მასასა და მოლეკულურ ორიენტაციაზე.

სიმტკიცე მერქნის – მერქნის თვისება გარკვეულ პირობებსა და საზღვრებში დაურღვევლად გაუწიოს წინააღმდეგობა ამა თუ იმ გარე ზემოქმედებას ისე, რომ არ დაირღვეს მისი მთლიანობა, ანუ არ დაკარგოს წინაღობის უნარი. მერქანს ახასიათებს საკმაოდ მაღალი სიმტკიცე ძალის მოქმედებისას ბოჭკოების გასწვრივ. ამ დროს ბოჭკოს უჯრედის გარსი მუშაობს ყველაზე ხელსაყრელ პირობებში და მერქანი ამჟღავნებს მაქსიმალურ სიმტკიცეს. მაგ., სუფთა ფიჭვის მერქნის სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობებია: გაჭიმვაზე – 100 მპა, ღუნვაზე – 75 მპა, კუმშვაზე – 40 მპა, მაგრამ რეალურ კონსტრუქციებში არ ხერხდება ასეთი მაღალი სიმტკიცის სრული გამოყენება, რადგანაც ხის კონსტრუქციების მზიდუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მერქნის რეალური ბუნებრივი მანკები – ბზარები, როკები, ირიბბოჭკოიანობა, ორგულიანობა და სხვ., აგრეთვე კონსტრუქციაზე დატვირთვების მოქმედების მიმართულება და ხანგრძლივობა.

სიმტკიცე სტრუქტურული – სიმტკიცე მასალის ნაწილაკებს შორის შინაგანი კავშირების ხარჯზე. მისი მახასიათებელია ძვრის ზღვრული დაძაბულობა, რომლის დროსაც მასალა იწყებს დინებას სითხის მსგავსად, ირღვევა შინაგანი კავშირები ნაწილაკებს შორის და, შესაბამისად, სტრუქტურაც.

სიმტკიცე ღუნვისას – ნორმალური ძაბვის მაქსიმალური სიდიდე, რომლის დროსაც ხდება ღუნვადი ძელის რღვევა ან რღვევადი პლასტიკური დეფორმაცია.

სიმტკიცე შეკუმშვისას – ნიმუშის შეკუმშვაზე გამოცდის დროს წარმოქმნილი შემკუმშავი ძაბვის მაქსიმალური სიდიდე, რომელიც მოდის კვეთის პირველსაწყისი ფართობის ერთეულზე.

სიმტკიცე ძვრისას – ნიმუშის ძვრაზე გამოცდის დროს წარმოქმნილი მხები ძაბვის მაქსიმალური სიდიდე, რომლის დროსაც ხდება ნიმუშის რღვევა.

სიმტკიცე ხანგრძლივი – დიდი ხნის განმავლობაში ცოცვადობის პირობებში მყოფი მასალის სიმტკიცე.

სიმტკიცის ზღვარი (დროებითი წინაღობა) – მასალების მექანიკური მახასიათებელი, გამოხატული პირობითი ძაბვით, რომელიც შეესაბამება იმ უდიდეს დატვირთვას, რომელიც მოქმედებს ნიმუშზე უშუალოდ რღვევის წინ, ანუ ის არის ზღვრული სიდიდე, რომლის გადაჭარბებისას მექანიკური ძაბვა დაარღვევს ამა თუ იმ ტანს კონკრეტული მასალისაგან. განასხვავებენ სტატიკურ, დინამიკურ, კუმშვისა და გაჭიმვის ს. ზ. სიმტკიცის მახასიათებლად აგრეთვე მოიაზრება დენადობის, პროპორციულობის, დრეკადობის, გამძლეობის ზღვრები და სხვ.

სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვისას – მუდმივი (სტატიკური სიმტკიცის ზღვრისათვის) ან ცვლადი (დინამიკური სიმტკიცის ზღვრისათვის) ზღვრული სიდიდე, რომლის გადაჭარბებისას მექანიკური ძაბვა გაგლეჯს (დაარღვევს) ამა თუ იმ ტანს კონკრეტული მასალისაგან.

სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას – მუდმივი (სტატიკური სიმტკიცის ზღვრისათვის) ან ცვლადი (დინამიკური სიმტკიცის ზღვრისათვის) ზღვრული სიდიდე, რომლის გადაჭარბებისას მექანიკური ძაბვა შეკუმშავს (დაარღვევს) ამა თუ იმ ტანს კონკრეტული მასალისაგან და აუცილებლად ადგილი ექნება დეფორმაციის განვითარებას.

სიმულატორი – მექანიკური ან კომპიუტერული, მოწყობილობა, რომელიც ახდენს რაიმე პროცესის, დანადგარის ან სატრანსპორტო საშუალების მართვის იმიტაციას.

სიმქისე (ხორკლიანობა) – 1. უსწორობების ერთობლიობა, რომელიც ქმნის დეტალის ზედაპირულ რელიეფს შედარებით მცირე ბიჯებით. ძირითადად ჩნდება ნაკეთობის ზედაპირული ფენის პლასტიკური დეფორმაციის შედეგად, როცა მისი დამუშავება ხდება საჭრელი ინსტრუმენტის უსწორო პირის გამოყენებით. ზედაპირის ს. ნაკეთობის ტექნიკურ მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიდიდეა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ნაკეთობის (დეტალის) საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე (ცვეთამედეგობა, დაღლილობითი სიმტკიცე, კოროზიამედეგობა, შეერთებების ჰერმეტულობა და სხვ.). ს. საზომი ერთეულია მიკრომეტრი (მკმ).

სიმქისე ზედაპირის – დამუშავებული ზედაპირის მიკროუსწორობების ერთობლიობა საბაზო სიგრძის ზღვრებში, რომელიც ქმნის ზედაპირის რელიეფს. ს. ზ. ხასიათდება რამდენიმე პარამეტრით, როგორიცაა უსწორობების შვერების საშუალო და მაქსიმალური სიმაღლეები და მათი სიგანე, საშუალო მანძილი მათ შორის და სხვ.

სიმყიფე – მასალის თვისება, დაიშალოს სტატიკური დატვირთვის დროს უმნიშვნელო დეფორმაციის შედეგად ნარჩენი დეფორმაციის გარეშე.

სიმძიმე – 1. სხეულის თვისება მიიზიდოს დედამიწისაკენ; 2. გადატ. მძიმე, ძნელი, შემაწუხებელი მდგომარეობა.

სიმძიმე აბსოლუტური – სიმძიმე, რომელიც იზომება დედამიწისა და მოცემული სხეულის ურთიერთმიზიდულობის ძალით მსოფლიო მიზიდულობის კანონით.

სიმძიმე ფარდობითი – სიმძიმე, რომელიც იზომება დედამიწის მიზიდულობის ძალისა და დედამიწის ბრუნვის ცენტრიდანული ძალის ჯამით.

სიმძიმის ცენტრი – მყარ სხეულთან უცვლელად დაკავშირებული გეომეტრიული წერტილი, რომელზეც გაივლის ამ სხეულის ნაწილაკებზე მოქმედი ყველა სიმძიმის ძალის ტოლქმედი სივრცეში სხეულის ნებისმიერი მდებარეობის დროს. იგი შეიძლება მოცემული სხეულის არც ერთ წერტილს არ დაემთხვეს (მაგ., რგოლისათვის). მყარი სხეულის სიმძიმის ცენტრის მდებარეობა სიმძიმის ერთგვაროვან ველში თანხვდება მისი ინერციის ცენტრის მდებარეობას.

სიმძიმის ძალა – სხეულზე დედამიწის ზემოქმედების ძალა ანუ დედამიწის ზედაპირის მახლობლად მოთავსებულ ნებისმიერ ნივთიერ წერტილზე მოქმედი ძალა, რომელიც განისაზღვრება, როგორც დედამიწის გრავიტაციული ძალისა და დედამიწის დღეღამური ბრუნვით განპირობებული ცენტრიდანული (გადატანითი) ინერციის ძალის გეომეტრიული ჯამი.

სიმძლავრე – 1. ენერგეტიკული მახასიათებელი, ტოლი მუშაობის ფარდობისა მისი შესრულების დროის ინტერვალთან. P სიმძლავრე F ძალისა ტოლია ამ ძალის სკალარული ნამრავლისა მისი მოდების წერტილის v სიჩქარეზე. $p = (Fv) = F \cdot v \cdot \cos\alpha$, სადაც α არის კუთხე F და v ვექტორებს შორის; 2. ფიზიკური სიდიდე, რომელიც იზომება დროის ერთეულში შესრულებული მუშაობით. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში სიმძლავრეს ზომავენ ვატებით 1ვტ = 1ჯ/წმ. ერთეულთა CGS სისტემაში – ერგ/წმ. ტექნიკაში იყენებენ აგრეთვე ერთეულს – ცხენის ძალას (75 კგმ/წმ). არსებობს სიმძლავრის მრავალი სახეობა: აკუსტიკური, აფეთქების, აფრენის, აქტიური, ბაზისური, ბგერის, გაგლეჯის, გამოსავალი, გამოსხივების, განსავითარებელი, გასაცემი, დადგენილი, დადგმული, დაუმახინჯებელი, ეკვივალენტური, ელექტროდაბრკოლებათა, ენტროპიული, ეფექტური, ზღვრული, ზღურბლიანი, თეორიული, ინდიკატორული, სიმძლავრე, კუთრი, კომპლექსური, სიმძლავრე, ლიტრული, მაქსიმალური, მიმოცვლის, მინიმალური, მისაყვანი, მიწისპირა, მოქმედი, მოჩვენებითი, მყისი, ნამდვილი, ნომინალური, ნორმალური, პიკური, პირობითი, რეაქტიული, რხევითი, საათობრივი, საგადასახადო, სამუშაო, სამუხრუჭო, საპროექტო, საწარმოო, საწყისი, სრული, უზრუნველყოფილი, ფაზური, ღუმლის, შესავალი, ჯამური, ძრავას, წარმოების, წევის, წყალდენის, წყალსადენის, წყალსადინარის, ჭარბი, ჭრის, ხანგრძლივი, ხახუნის, ხილული, ხმაურის, ჰიდრავლიკური და სხვ.

სინაგოგა (ბერძ. synagogē საკრებულო) – ებრაული სალოცავი ადგილი, ებრაული რელიგიის ძირითადი ინსტიტუტი. როგორც წესი, აქვს ერთი ვრცელი დარბაზი ლოცვისთვის, მცირე ოთახები სასწავლებლად და ხშირად საზოგადოებრივი დარბაზი და ოფისები. ზოგიერთს ასევე ცალკე ოთახი აქვს თორას სასწავლად, რომელსაც სწავლის სახლს უწოდებენ. ს. წმინდა ადგილი არ არის, ასევე ს. არ არის სავალდებულო სალოცავად. ებრაეული ლოცვები შეიძლება ჩატარდეს იქ, სადაც ათი ებრაელი შეიკრიბება. სინაგოგა არ არის ტაძარი და არ ცვლის ნამდვილ, დიდი ხნის წინ დანგრეულ წმინდა ტაძარს იერუსალიმში. სინაგოგა წარმოიქმნა პალესტინაში (ძვ. წ. IV საუკ.), ეგვიპტეში (ძვ. წ. III საუკ.). იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის (პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიები) გაფართოების შემდეგ ს. არსდება ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ (ნახ. 1. ებრაული სინაგოგა ქ. ტრენჩინაში, სლოვაკეთის რესპუბლიკა). ს. ასრულებენ ღვთისმსახურებას, კითხულობენ და კომენტარებს უკეთებენ ბიბლიასა და თალმუდს, მართავენ რიტუალურ ტრაპეზებს. შუა საუკუნეებში ვინც იუდეურ დოგმებს გადაუხვევდა, სინაგოგიდან განკვეთდნენ. ს. არქიტექტურული კომპოზიცია და დეკორი ძირითადად მავრიტანულია. ს. შენდებოდა ისეთი ორიენტაციით, რომ შენობის ძირითადი ფასადი ყოველთვის მიმართული ყოფილიყო იერუსალიმისკენ. თბილისში სამი სინაგოგაა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მოქმედი თბილისის დიდი სინაგოგა (ნახ. 2), აგებული 1910 წელს. საქართველოში სინაგოგები აგებულია ქუთაისში, ბათუმში (ნახ. 3), სენაკში, ონში, ბანძაში, ახალციხესა და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სინათლე – 1. თვალით აღქმული სხივური ენერგია, რომელიც გარე სამყაროს ხილულს ხდის; შუქი; 2. გადატ. განათებული ადგილი, სადაც სინათლეა; გარკვეულობა, სიცხადე; სიკეთე, ბედნიერება; 3. მხედველობა. სინათლის სახეებია: აირვარვარული, ანარეკლი, არაკოჰერენტული, ბუნებრივი, გაბნეული, დამაბრმავებელი, დღის, ელიფსურად პოლარიზებული, ვარდნილი, ზედა, თვალისმომჭრელი, ირიბი, კაშკაშა, კოჰერენტული, მეორეული, მზის, მთვარის, მოდულირებული, მონოქრომატული, მოციმციმე, პოლარიზებული, სივრცულ-არაკოჰერენტული, უხილავი, ქუჩის, წრფივპოლარიზებული, ჭერისა და სხვ.

სინათლე ზედა – სინათლე, რომელიც შემოდის სათავსში ზემოდან, გადახურვიდან (შუქფარანი, სარკმელი, შედური გადახურვა, გამჭვირვალე გარსი და სხვ.).

სინათლე მეორეული – შენობის შიგა კედელში სარკმლის (ფრამუგის) მოთავსებით გარე კედელს მოცილებული სათავსის ნათელი ოთახიდან განათების ხერხი.

სინათლის ნაკადი – სინათლის ენერგია, რომელიც მოედინება წერტილოვანი წყაროდან ერთი სტერადიანი სხეულოვანი კუთხით, როცა სინათლის ძალა ერთი კანდელის ტოლია. ს. ნ. საზომი ერთეულია – ლუმენი.

სინათლოვნება – ხასიათდება მასალის ზედაპირის ფარდობითი სიკაშკაშით და განისაზღვრება არეკლის კოეფიციენტით.

სინგულარული (ლათ. singulāris ცალკეული) – 1. მოცემული მათემატიკური ობიექტისთვის ამა თუ იმ მცდარობის არსებობა იმავე გვარის რეგულარულ ობიექტთან შედარებით; 2. ერთმაგი, ცალფა; ცალკეული, განსაკუთრებული.

სინგულარული ინტეგრალი – მათემ. ფუნქციის წარმოდგენის ერთ-ერთი საშუალება.

სინგულარული წერტილი – მდგომარეობის დიაგრამაზე წერტილი, რომელიც შეესაბამება არადისოცირებულ ქიმიურ ნაერთს.

სინგური – სულფიდების კლასის კაშკაშა, წითელი ფერის, ყველაზე გავრცელებული ვერცხლისწყლიანი მინერალი, ვერცხლისწყლის სულფიდი (ნახ. 1). სიმბოლო HgS; სიმკვრივე – 8090-8200 კგ/მ^3. წარმოადგენს ვერცხლისწყლისა და გოგირდის ნაერთს. შეცავს 85,83 % ვერცხლისწყალს. იხსნება მხოლოდ სამეფო წყალში. ადვილად დნება და ჰაერზე 200°C ტემპერატურამდე გაცხელებისას მთლიანად ქროლდება და წარმოქმნის ვერცხლისწყლის ორთქლს და გოგირდოვან აირს. ს. მოიპოვება ჰიდროთერმალურ მიწის ზედაპირთან ახლოს მოთავსებულ ქანებში. საბადოში სინგურთან ერთად შედის სხვა მინარევებიც, როგორიცაა კვარცი, კვარციტი, ბარიტი, ანტიმონიტი, პირიტი, გალენიტი, მარკაზიტი, იშვიათად ოქრო და სხვ. მას მოიპოვებდნენ ძველ რომშიც ვერცხლისწყლისა და წითელი ბუნებრივი პიგმენტის მისაღებად. ცნობილია ორი სახის: ბუნებრივი, მინერალური წარმოშობისა და ხელოვნური გზით მიღებული. უძველესი დროიდან ს. საღებავს იყენებდნენ ხელნაწერების და ბეჭდვითი წიგნების მოსართავად (აბზაცის პირველი ასოების გამოსაყვანად), ხატწერაში, მხატვრობაში და სხვ.

ნახ. 1

სინდიკატი (ბერძ. syndikos შეთანხმებულად მოქმედი) – მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ახორციელებს მთელ კომერციულ საქმიანობას, თუმცა მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ წარმოებრივ და იურიდიულ დამოუკიდებლობას.

სინდიყი – იგივეა, რაც ვერცხლისწყალი.

სინეგრისტი – მასალა (ანტიდამჟანგავი დისპერსიული აგენტი), რომელიც აძლიერებს მერქნის წვის ძირითადი შემანელებლის მოქმედებას.

სინეკოლოგია (ბერძ. syn თან, ერთად, oikos სახლი, გარემო და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – ეკოლოგიის განყოფილება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების მრავალსახიან გაერთიანებებს.

სინერგიზმი (ბერძ. syn თან, ერთად და ergon მუშაობა) – 1. კომპონენტების ურთიერთგაძლიერება ცეცხლდაცვის პროცესში; 2. ორგანოებისა (მაგ., კუნთებისა) და სისტემების ერთობლივი და ერთგვაროვანი მოქმედება; 3. ორგანიზმზე სამკურნალწამლო ნივთიერებათა კომბინირებული მოქმედება, რომლის ეფექტი აჭარბებს თითოეული კომპონენტის ცალკე მოქმედებას.

სინთეზი (ბერძ. synthesis შეერთება) – 1. მეცნიერული კვლევის მეთოდი, საგნის ან მოვლენის შესწავლა მთლიანობაში, მისი ნაწილების ურთიერთკავშირში (საპირისპიროა – ანალიზი); 2. შეერთება, განზოგადება; 3. ქიმიური ნივთიერების მიღება მარტივ ნივთიერებათა ან ელემენტთა შეერთების გზით; 4. ინჟინერრინგული განლაგება რთული სისტემებისა, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა წინასწარმომზადებული ბლოკებისა და მოდულებისაგან; 5. სხვადასხვა ტიპის კომპონენტების დაბალდონებრივი, ღრმა სტრუქტურული გაერთიანება.

სინთეზური – სინთეზზე დამყარებული; რაც სინთეზით მიიღება: სინთეზური კაუჩუკი – ხელოვნური კაუჩუკი; სინთეზური ბოჭკო – ბოჭკო, მიღებული მარტივი ნივთიერებებიდან (ნეილონი, კაპრონი, ლავსანი და მისთ.) და სხვ.

სინთეზური წიდა – ნადნობი, კალციუმის ჟანგის, თიხამიწის, რკინის ჟანგეულის, მლხობი შპატისა და სხვ. მასალებისგან რკალურ ღუმლებში. გამოიყენება თხევადი ფოლადის რაფინირებისათვის (დესულფურაცია, დეფოსფორაცია, განჟანგვა). მკვეთრად აუმჯობესებს ფოლადის ხარისხს.

სინთეტიკა (ინგლ. synthetic<ბერძ. synthesis შეერთება, გადაბმა, შენაერთი) – ქიმიური სინთეზის გზით მიღებული პროდუქტი (ბოჭკო, ქსოვილი, პლასტმასი, წამალი და სხვ.); ასეთი მასალის ნაწარმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ უნდა ავურიოთ ტერმინები "სინთეზური" და "ხელოვნური"; ხელოვნური მასალა არის ნედლეულის ფიზიკური მოდიფიკაციით მიღებული, მაგ., სინთეზური ბოჭკოებია კაპრონი, ნეილონი; ხოლო ხელოვნური – მინის, ვისკოზას, ბაზალტის ბოჭკოები. სინთეტიკას გააჩნია კომპლემენტარულობა ხელოვნურთან მიმართებაში. სინთეზური ტყავი – ტყავის მსგავსი აფსკის გამოზრდა ლაბორატორიულ პირობებში (გამოიყენება ტყავის ტრანსპლანტაციისათვის), ხოლო ხელოვნური ტყავი – ნედლეულისათვის (ფორებიანი პოლიმერი) გარე სახის და თვისებების მიცემა მოცემული ცხოველის ტყავის თვისებების შესაბამისად. ამ შემთხვევაში სინთეზს განიცდის პოლიმერი, და არა საბოლოო პროდუქტი.

სინი – 1. სხვადასხვა ფორმის სამზარეულო ჭურჭელი. ძირითადად მზადდება სპილენძისა და თითბერისაგან; 2. იხ. ლანგარი.

ნახ. 1

სინკლინი (ბერძ. synklinō დაბლა ვიხრები) – ჩაზნექილი ნაოჭი (ძირითადად მთის ქანების მიმართ იხმარება), რომლის ფრთები ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებითაა დაქანებული. ს. შებრუნებული ნაოჭია ანტიკლინი. განასხვავებენ სიმეტრიულ, ასიმეტრიულ და სხვ. სახის სინკლინებს.

სინკრიტი – ცემენტ-პოლიმერის (ძვ. კირისა და ქვიშის) დეკორატიული შრე (ნახ. 1) სისქით 2-4 მმ ბუნებრივი ქვის, გრანიტის, კლდოვანი ქანის, ფრანგული ქვისა და მისთ. ფაქტურის მისაღებად სპეციალური შტამპის მეშვეობით. გამოიყენება

კედლების, კოლონების, კიბეების, საფეხურების, თაროების, ბარების, აბაზანების, ქუჩის ავეჯის, საყრდენი კედლების, წყლის აუზების, შადრევნებისა და ჩანჩქერების საფუძვლებისა და სხვ. ზედაპირების დასამუშავებლად.

სინონიმი (ბერძ. synonymos<syn თან, ერთად და onoma სახელი) – სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიტყვას ემთხვევა ან ძალიან უახლოვდება, ბგერითი შემადგენლობით კი განსხვავდება მისგან (მაგ., ლამაზი და მშვენიერი, პატარა და მცირე, ნაჯახი და ცული და სხვ.).

სინოპალი – საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ნადნობი ქვის მასალა, რომელსაც აქვს არეკვლის დიდი უნარი, წარმოადგენს თეთრი ფერის ღორღს (სიმკვრივე 1200 კგ/მ^3, სიმტკიცე 250-300 მპა). ასფალტბეტონში ჩაყოლებული სინოპალი ზრდის სინათლის არეკვლას, შეჭიდულობას, ამცირებს განათების ხარჯს.

სინოპტიკა (ბერძ. synoptikós ყველაფრის ერთად განმხილველი) – მეცნიერება ამინდის წინასწარი გამოცნობის შესახებ.

სინოპტიკური რუკა – გეოგრაფიული რუკა, რომელზეც ციფრებითა და პირობითი ნიშნებით დატანილია უახლოეს დღეებში დედამიწის დიდ სივრცეზე ამინდის განმსაზღვრელი მონაცემები.

სინუსოიდი (ფრანგ. sinusoïde<ლათ. sinus მოხრილი, მოღუნული, მრუდე ზედაპირი; მრუდი, ნაკეცი და ბერძ. -oeidēs მსგავსი, მსგავსება, ფორმა<eîdos სახე, ფორმა) – მათემ. ფუნქციის y = sinx გრაფიკი (ნახ. 1), ტალღისებრი მრუდი ხაზი, რომელიც გამოსახავს სინუსის ცვლილებას α კუთხის ცვლასთან ერთად. ს. ასაგებად, დეკარტის სიბრტყეში, ჰოროზონტალურ x ღერძზე გადაიზომება α კუთხის მნიშვნელობები 0-დან 2π-მდე, ხოლო ვერტიკალურ y ღერძზე სინუსის ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობები. მიღებული წერტილების ერთობლიობა ქმნის სინუსოიდს. ს. გადაკვეთს Ox ღერძს 180°k (πk) წერტილებში; 90°+360° (π/2 + 2πk) ტიპის წერტილებში აქვს მაქსიმუმი, ხოლო –90° + 360° k (–π/2 + 2πk) წერტილებში – მინიმუმი (k = 0, ± 1, -). 2π სიდიდეს ეწოდება სინუსოიდის პერიოდი, ხოლო A-ს – ამპლიტუდა.



ნახ. 1

სინქრონიზატორი – მოწყობილობა კბილანების დაურტყმელად და უხმაუროდ ჩასართველად ავტომობილის ან სხვა რაიმე მექანიზმის გადაცემათა კოლოფში.

სინქრონიზაცია (ბერძ. syn ერთად და chronos დრო) – ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში, ერთდროულად მიმდინარეობა. ს. დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკაში. მექანიზმს ან მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ს., სინქრონიზატორს უწოდებენ (მაგ., მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს კბილანების მდოვრედ ჩართვას ავტომობილის სიჩქარის კოლოფში).

სინქრონიზმი – ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში, ერთდროულად მიმდინარეობა.

სინქრონული (ბერძ. syn ერთად და chronos დრო) – 1. რასაც სინქრონიზმი ახასიათებს; 2. ერთდროულად მიმდინარე.

სინქრონული რხევები – რხევები, რომლებიც ერთი და იმავე სიხშირით მიმდინარეობს.

სინქროტრონი [ბერძ. synchronos ერთდროული და (ēlek)tron ელექტრონი] – დამუხტული ნაწილაკების მოძრაობის რგოლური ციკლური ამაჩქარებელი, რომელშიც ნაწილაკები მოძრაობენ ორბიტაზე უცვლელი რადიუსით იმის ხარჯზე, რომ მათი ენერგიის ზრდა აჩქარებულ მონაკვეთებში სინქრონიზებულია ორბიტაზე მაგნიტური ველის ზრდის სიჩქარის შესაბამისად. ს. საშუალებას იძლევა მოახდინოს როგორც მსუბუქი (ელექტრონები, პოზიტრონები), ისე მძიმე (პროტონები, ანტიპროტონები, იონები) დამუხტული ნაწილაკების აჩქარება ყველაზე დიდ ენერგიამდე. იყენებენ გამოკვლევებისათვის ატომურ ფიზიკაში.

სინჯი – გამოსაკვლევი მასალიდან აღებული საჭირო რაოდენობის ნიმუში, რომელიც მასალის თვისებების დასადგენადაა საკმარისი. დაქუცმაცების პროდუქტის მარცვლოვანი შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით გარკვეული რაოდენობის მასალა – სინჯი გაიცრება მრგვალხვრეტებიან საცერზე. ს. მასა (კგ) დაკავშირებულია ნაჭრების მაქსიმალურ სიმსხოსთან შემდეგი დამოკიდებულებით $P = 0,02d + 0,5d$, სადაც d – ნაჭრის მაქსიმალური ზომაა, მმ. გაცრის შედეგად ს. იყოფა ზომის მიხედვით რამდენიმე კლასად. სინჯი შეიძლება იყოს: მშრალი, ნაპერწკლური, საწყისი, ტექნოლოგიური, ტიგელის, ფენური, ცვეთის, ცხელი, წყლის, ჰიდრავლიკური და სხვ.

სიონი (ინგლ. Sioni იერუსალიმის წმინდა მთის სახელის მიხედვით) – მაღალი ტაძარი, ღვთის სადგომი, უფალი. საქართველოში ამ ტაძრების საკმაო რაოდენობაა: თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი, ბოლნისის, მანგლისის, დმანისის, ატენის და სხვ.

სირაჯხანა – 1. სირაჯის დუქანი, ღვინის სავაჭრო; 2. (სირაჩხანა) ორი უბნის სახელი ძველად თბილისში: დიდი სირაჩხანა (მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დარეჯანის სასახლის ძირში) და პატარა სირაჩხანა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ჟ. შარდენისა და კ. ლესელიძის ქუჩების შესაყარზე).

სირენა (ბერძ. seirēn ცრუ ქალი) – 1. ძლიერი და მკვეთრი ხმის გამომცემი სასიგნალო მოწყობილობა; 2. იგივეა, რაც სირინოზი.

სირენგარიუმი – იასამნების ბაღი.

სირონი – 0,5 მეტრი სიგანის ტყის ზოლი, სადაც იჭრება მერქნიანი მცენარეები ტყით დაფარული ფართობების ურთიერთ გამიჯვნისას. გამოიყენება კვარტალების ხელოვნური გამიჯვნისათვის (როცა კვარტალები არ არის გამოყოფილი ბუნებრივი საზღვრით) და ბარის ტყეებში ტყეკაფის მომიჯნავე ტერიტორიისაგან გამიჯვნისათვის.

სისადმინი – (აბრევიატურა) სისტემური ადმინისტრატორი, რომელსაც ავალია კომპიუტერული ტექნიკის პარკის, ქსელისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოვლა და ზედამხედველობა ორგანიზაციაში.

სისალე (სიმაგრე) – მასალის წინააღმდეგობა (გამძლეობა) ადგილობრივი პლასტიკური დეფორმაციისადმი, რომელიც აღიძვრება მასში უფრო მაგარი სხეულის (ინდენტორის) ჩაჭდევის (დაწოლის) შედეგად. მასალის ს. შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა კრიტერიუმით. ხშირ შემთხვევაში ს. განისაზღვრება ზედაპირზე დარჩენილი ნაჭდევის ზომის მიხედვით, მაგ., ბრინელის, ვიკერსისა და როკველის მეთოდებით. აღინიშნება, შესაბამისად: HRB, HV და HRC. მინერალების ს. მათი მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური და ტიპომორფული ნიშანია;

ჩვეულებრივ განისაზღვრება შეფარდებითი მინერალოგიური სკალის ეტალონებით. სისალე განისაზღვრება როგორც ფარდობა დატვირთვის სიდიდისა ზედაპირის ნაჭდევის ფართობთან, ნაჭდევის პროექციის ფართობთან ან ნაჭდევის მოცულობასთან. შესაბამისად, განასხვავებენ ზედაპირულ, საპროექციო და მოცულობით სისალეს. ს. იზომება სამ დიაპაზონში: მაკრო, მიკრო და ნანო. მაკროდიაპაზონი რეგლამენტირებას უკეთებს ინდენტორზე დატვირთვის სიდიდეს 2 ნ-დან 30 კნ-მდე. მიკროდიაპაზონი – 2 ნ-მდე და ინდენტორის სხეულში ჩაღრმავებას მეტი 0,2 მკმ-ზე. ნანოდიაპაზონი კი მხოლოდ ინდენტორის ჩაღრმავებაზე, რომელიც უნდა იყოს ნაკლები 0,2 მკმ-ზე. ხშირად სისალეს ნანოდიაპაზონში უწოდებენ ნანოსისალეს (ნანოსიმაგრეს). გარდა ზემოთაღნიშნულისა, არსებობს ს. გაზომვის სხვა მეთოდებიც: ასკერის სკალით, ბრინელის, ბუხგოლცის, ვიკერსის, იანკის, კუზნეცოვ-ჰერბერტ-რებინდერის, მარტენსის, მოოსის სკალით, პოლდის, როკველის, შორის მიხედვით და სხვ.

სისალე ზედაპირული – დატვირთვის ფარდობა ნაჭდევის ზედაპირულ ფართობთან.

სისალე მოცულობითი – დატვირთვის ფარდობა ნაჭდევის მოცულობასთან.

სისალე საპროექციო – დატვირთვის ფარდობა ნაჭდევის პროექციის ფართობთან.

სისველე – სველის თვისება, სველად ყოფნა; ჭარბი ტენიანობა.

სისიტილი – ანტიკური ტაძარი, რომლის სვეტშორისი სვეტის დიამეტრის ტოლია.

სისტემა (ბერძ. systema შეთანწყობა, შეხამება, გაერთიანება) – 1. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე; 2. ერთობლიობა პრინციპებისა, რომლებიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს; 3. დაჯგუფება, კლასიფიკაცია; 4. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან (მაგ., მზის სისტემა, ნერვული სისტემა). 5. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა (მაგ., სოციალისტური სისტემა, კაპიტალისტური სისტემა, სახელმწიფოებრივი სისტემა); 6. რისამე მოწყობის, ორგანიზაციის ფორმა, წესი (მაგ., საარჩევნო სისტემა); 7. ორგანიზაციულად გაერთიანებულ წარმოებათა, დაწესებულებათა ერთობლიობა; 8. ცოდნის მთლიანობა ბუნებასა და საზოგადოებაზე; 9. მეცნიერებასა და ტექნიკაში – კვანძების, აგრეგატების, ხელსაწყოების, ცნებებისა და ნორმების სიმრავლე, აგრეთვე ავტომატიზებული მართვის და ფიზიკურ ერთეულთა, ათვლისა და ავტომატური რეგულირების, ადაპტური და გრავიტაციული, ზომათა მეტრული და ჩასმადაშვებათა ს. და სხვ. სამშენებლო საქმეში გამოყენებული სისტემის სახეებია: ადაპტიური, ავტომატური, ათვლის, ათობითი, აირგამოსაშვები, აირდისპერსიული, აირსაუხშოებელი, აკუსტიკური, ანთების, ანტენათა, არასიმეტრიული, არაწრფივი, აღდგენადი, აღრიცხვის, აწყობილი, ბერკეტული, ბლოკური, ბმული, გადამცემი, გათბობის, გამომსხივებელი, გამრჩევი, განათების, განმბჯენი, განმხოლოებული, განტოლებათა, გაშენების, გაშვების, გაშლის, გაცივების, გეომეტრიულად უცვლელი, გეომეტრიული, გისოსოვანი, გოტიკური წყობის, გრავიტაციული, გუმბათოვანი, დაბრკოლებამდგრადი, დაბრკოლებასაწინაღო, დაგეგმარების, დაკიდებული, დამუშავების, დამხმარე, დამხსომებელი, დანალექთა, დაშვებათა, დაცენტრებული, დახრილი ფენების, დეარაციის, დეკარტის კოორდინატთა, დენისა და ძაბვის, დიაგონალური ფენების, დისიპაციური, დისპერსიული, დისტანციური მართვის, დიფერენციალური, დუპლექსური, ელემენტთა მენდელეევის პერიოდული, ელექტროსადგურების, ენერგეტიკული, ერთბლოკიანი, ერთეულთა, ერთეულთა მეტრული,

ერთეულთა ტექნიკური, ერთკომპონენტიანი, ერთკონტურიანი, ერთსადენიანი, ერთსტადიური, ეფექტური, ვერტიკალთა, ვერტიკალური, ზედაპირთა ტრიორთოგონალური, ზომათა აბსოლუტური, ზომათა მეტრული, ზონების, თერმოდინამიკური, თერმოელექტრული, თერმოსიფონური, თერმოწყვილთა, თვლის, იზოთერმული, იზოციკლური, იმპულსური, ინვარიანტული, ინვერსიული, კავშირგაბმულობის, კამარული, კამერული, კვანტური, კვების, კოდური, კოლონების, კომბინირებული, კონდენსირებული, კონსოლური, კოორდინატთა, კოშკური, კუბური, ლავების, ლაზერიანი კავშირგაბმულობის, ლილვების, ლინზების, მაბლოკირებელი, მაგნიტური, მაეკრანებელი, მაინტეგრირებელი, მანაწილებელი, მარეგულირებელი, მართვის ავტომატური, მართვის რთული, მართვის ტექნიკური, მდგრადი, მეოთხეული, მესამეული, მეტრული, მზიდი, მზის, მიმართულ ანტენათა, მიმმართველი, მიმყოლი, მოდულური, მოლეკულურ-დისპერსიული, მონოკლინური, მრავალბლოკიანი, მრავალბმიანი, მრავალვარიანტული, მრავალკონტურიანი, ნაკადური, ნაოჭების, ნახვრეტების, ნუმერაციის, ოთხსადენიანი, ოპტიკური, ოპტიმალური, ორზოლიანი, ორკომპონენტიანი, ორსადენიანი, ოცობითი, პანელური, პერიოდული, პიეზოელექტრული, პირდაპირი რეგულირების, პლანეტათა, პოლარული, პოლიბარული, პროგრამული რეგულირების, რეგულირების, რემონტის სტაციონარული, რეფერენციის, რთული, რიგელების, საავარიო, საბრუნი, სადაწნეო, საკიდრების, სამკომპონენტიანი, სამუხრუჭო, სამფაზა, სარადიოლოკაციო, სარწყავი, სასწავლო, სატარიფო, სვეტური, სივრცულ-კოორდინატთა, სკლერონომური, სპექტრალურ-ზონალური, სტატიკურად რკვევადი, სტატიკურად ურკვევი, სხივური, ტელემართვის, ტელემეტრიული, ტრანსმისიური, ტრიგონალური, ტრიკლინური, უგანმბჯენო, უგანწესო, უსასრულოდ მძლავრი, უქმი სვლის, უცვლადი, უძრავი, უძრაობის, უწყვეტი, უწყვეტი რეგულირების, უხვრელო, ფენოვანი, ფიზიკურ-ქიმიური, ფილების, ფოტოელექტრული, ფრიქციული, ღეროვანი, ღია, შეზეთვის, შეკეთების, შემწოვი, შექცეული, შპრენგელური, ჩარჩოების, ჩარჩო-უკარკასო, ციფრული, ძირითადი, წამწეთა, წერტილთა, წონასწორული, წრფივი, წყალმომარაგების, წყალსარინის, წყვეტილი, წყლით გაცივების, ხისტი, ჰელიოცენტრული, ჰეტეროგენული, ჰოლონომური, ჰომეოსტატიკური, ჰომოგენური, ჰორიზონტალური შრეებისა და სხვ.

სისტემა გარე დაარმირების კომპოზიტური მასალით – სისტემა, რომლის შემადგენლობაში შედის თერმორეაქტიული ადჰეზივის გამყარების შედეგად წარმოქმნილი წებოს ფენა, ერთი ან მრავალშრიანი კომპოზიტური მასალა და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამცავი ფენა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის დაცვას მაღალი ტემპერატურის, ცეცხლის, ულტრაიისფერი გამოსხივების და მექანიკური დაზიანებებისგან.

სისტემა თბომომარაგების – ერთმანეთთან დაკავშირებული ენერგოდანადგარების ერთობლიობა რაიონის, ქალაქის, საწარმოს თბომომარაგებისათვის.

სისტემა კონსერვატიული – მექანიკური სისტემა, რომლისთვისაც მართებულია მექანიკური ენერგიის შენახვის კანონი: მექანიკური სისტემის კინეტიკური და პოტენციური ენერგიების ჯამი მუდმივია.

სისტემა მდგრადი – სისტემა, რომელიც შემთხვევითი აღმგზნები ზემოქმედების შემდეგ თავისით უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

სისტემა მზიდი (სატვირთო, ჩასაშვები, მუშა) – სისტემა, რომელიც შედგება მზიდი თოკის (ბაგირის), ჩასაშვები მოწყობილობისა და ჩამოვარდნის დაცვის საშუალებებისაგან. მისი დანიშნულებაა სიმაღლეზე მომუშავეთა დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან.

სისტემა ოპტიმალური – სისტემა, რომლისთვისაც არჩეული გარკვეული კრიტერიუმი (იშვიათად რამდენიმე კრიტერიუმი) იღებს ოპტიმალურ მნიშვნელობას. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს მაგ., სწრაფი ქმედება, მინიმალური დანახარჯი, სიზუსტე ან განზოგადებული კრიტერიუმი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე სიდიდის ფუნქციას. მართვის ოპტიმალური სისტემების შექმნის მიზანია ავტომატიზებული და მეთვალყურე სისტემების სისწრაფის ამაღლება შესაძლო ზღვრამდე. მათი საშუალებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს საქვაბე დანადგარის, სადნობი ღუმლის, ქიმიური რეაქტორის მუშაობის რეჟიმი, გემის, თვითმფრინავისა და სხვ. მოძრავი ობიექტის მანევრირება.

სისტემა საერთო ელექტრომომარაგების – ელექტროენერგიით მომმარაგებელი ორგანიზაციის ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების ერთობლიობა მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის.

სისტემა სკლერონომური – არათავისუფალი მექანიკური სისტემა, რომლის ყველა ბმა სკლერონომურია.

სისტემა სტატიკურად განსაზღვრული – მექანიკური სისტემა, რომელშიც უცნობი რეაქციების რაოდენობა ტოლია მოცემულ სისტემაზე მოქმედი ძალების წონასწორობის განტოლებების რაოდენობისა.

სისტემა სტატიკურად განუსაზღვრელი – მექანიკური სისტემა, რომელშიც უცნობი რეაქციების რაოდენობა მეტია მოცემულ სისტემაზე მოქმედი ძალების წონასწორობის განტოლებების რაოდენობაზე.

სისტემა ტექნიკური მომსახურების – ერთმანეთთან დაკავშირებული საშუალებების (დოკუმენტაცია, მომსახურება, რემონტი, შემსრულებლები და ა.შ.) ერთობლიობა, აუცილებელი ამ სისტემაში შემავალი დანადგარების ხარისხის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

სისტემა უცვლადი – ნივთიერ წერტილთა სისტემა (მექანიკური სისტემა), რომლის მოძრაობისას მის ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილი არ იცვლება.

სისტემა ძალთა – სხეულზე (მექანიკურ სისტემაზე) მოქმედ ძალთა რაიმე ერთობლიობა.

სისტემა წყალმომარაგების ადგილობრივი – წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა, დაპროექტებული დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების ობიექტებისათვის, 10-დან 200-მდე მაცხოვრებლისათვის.

სისტემა წყალმომარაგების ინდივიდუალური – წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა, დაპროექტებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისათვის 10-მდე მაცხოვრებლისათვის.

სისტემა წყალმომარაგების ცენტრალური – წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა, დაპროექტებული დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების ობიექტებისათვის, 200-დან 500-მდე მაცხოვრებლისათვის.

სისტემა წყალსარინის – ნაგებობების კომპლექსი გაწმენდილი ჩამდინარი წყლების თავმოყრის, საცხოვრებელი ტერიტორიიდან გაყვანისა და წყალმიმღებში ჩაშვებისთვის, აგრეთვე ამ პროცესში დაგროვილი ნალექების გაუწყლოებისთვის.

სისტემა ხაზოვანი – მერხევი მექანიკური სისტემა, რომლის მასა, დრეკადობა და ხახუნის კოეფიციენტი მუდმივია და არ არის დამოკიდებული სისტემაზე მოქმედ ძალებზე, სისტემის გადაადგილებასა და სიჩქარეზე.

სისტემა ჰაერის კონდიცირების – ტექნიკური დანადგარი, რომელიც შედგება ერთმანეთთან კონსტრუქციული ელემენტებით დაკავშირებული მოწყობილობების კომპლექტისგან, რომლის დანიშნულებაა სათავსში, ან მის ცალკეულ ზონებში, მიკროკლიმატის შექმნა და ავტომატურად შენარჩუნება.

სისტემა ჰოლონომური – არათავისუფალი მექანიკური სისტემა, რომლის ყველა ბმა ჰოლონომურია.

სისტემატიზაცია (ბერძ. systema მთლიანი, შედგენილი ნაწილებისაგან) – 1. რაიმე ობიექტების (ელემენტები, საგნები, კონსტრუქციები და სხვ.) მოწესრიგებული განლაგება მათი ნიშნების მსგავსების ან განსხვავებების მიხედვით; 2. აზრობრივი მოქმედება, რომლის პროცესში ხდება შესასწავლი ობიექტების ორგანიზება განსაზღვრულ სისტემაში, არჩეული პრინციპის მიხედვით.

სისტემატური (ბერძ. systematikos მოწესრიგებული) – 1. რაც სისტემას ქმნის; გარკვეული წესის მიხედვით განლაგებული, წარმოებული; 2. მუდმივი, განუწყვეტელი, რეგულარული.

სისტემის ადმინისტრატორი (კომპ.) (ინგლ. system administrator) – იგივე სისადმინი (ინგლ. sysadmin), პიროვნება, რომელიც მართავს კომპიუტერულ სისტემებს, უზრუნველყოფს მათი შემადგენელი კომპიუტერების (განსაკუთრებით მრავალმომხმარებლიანი კომპიუტერების, როგორიცაა სერვერები), პერიფერიული მოწყობილობებისა და მთლიანი კომპიუტერული ქსელის გამართულ ფუნქციონირებას.

სისტემის სტაბილიზაცია – სისტემის დინამიკური თვისებების ცვლილება, რომელიც მიმართულია მისი მდგრადობის გაზრდისკენ, მილევად პროცესში გადასვლის გასაზრდელად. გარე შემაშფოთებლის ზემოქმედების გავლენის შემცირება მის მდგრადობაზე. სისტემის სტაბილიზაცია მიიღწევა გასაზომი მაჩვენებლების ან სტრუქტურის ცვლილებით. კერძო შემთხვევაში, სტაბილიზაცია ესაა დინამიკური თვისებების კორექცია (შესწორება).

სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა (კომპ.) (ინგლ. system software) – კომპიუტერული პროგრამების ისეთი ტიპი, რომელიც შექმნილია, რათა უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული საშუალებებისა და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობა. ის წარმოადგენს ინტერფეისს აპარატურულ საშუალებებსა და მომხმარებელს შორის. სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის საუკეთესო მაგალითია კომპიუტერის ოპერაციული სისტემა.

სისტილი (ბერძ. systello მოჭერა, მოჭიმვა და stŷlos სვეტი, ბოძი) – ტაძარი, სადაც სვეტებს შორის შუალედები სვეტის ორმაგი დიამეტრია.

სისქე – სხეულის ერთ-ერთი გეომეტრიული ზომა. ის შეიძლება იყოს: არასამუშაო, ასფალტის, ბათქაშის, ვერტიკალური, მაქსიმალური, მინიმალური, პანელის, რეალური, სამუშაო, საშუალო, საძირკვლის ფილის, ფენილის, ფენის, შრის, ჰორიზონტალური და სხვ.

სისხო – სიმსხვილე, სიდიდე (მაგ., მარცვლის სიდიდე).

სიტალი – მონოკრისტალური მასალა, რომელიც მიიღება მინის მართვადი კრისტალიზაციის შედეგად (ნახ. 1. სიტალის დამუშავებული ქვები). სიტალებია მუქი ყავისფერი, რუხი და თეთრი ფერის, გამჭვირვალე და გაუმჭვირი, სტრუქტურა მიკრობეტონის მსგავსია, სადაც შემვსებია კრისტალები, შემკვრელი – მინა. სიტალებს აქვთ დიდი სიმტკიცე კუმშვაზე – 500-1500 მპა, გაჭიმვაზე – 25-500 მპა, ქიმიური მედეგობა – 99,8%, დაბალი ცვეთადობა – 0,016-0,03 გ/სმ^2, თბომედეგობა – 200-1100°C. იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში (მილები, ფილები, ტუმბოს დეტალები), ჰიდროტექნიკაში (ტურბინებისა და წყალდასაშვების მოპირკეთება), საგზაო და სამოქალაქო მშენებლობაში (მოსაპირკეთებელი ქვები, კიბის საფეხურები და მარშები, სანტექნიკური მოწყობილობა, სახურავის ტალღოვანი ფურცლები და სხვ.).

ნახ. 1

სიტუაციური გეგმა – ადგილმდებარეობის გრაფიკული გამოსახულება საგანგებო პირობითი ნიშნების საშუალებით.

სიფი – საგარეო ვაჭრობაში – სავაჭრო შეთანხმების სახეობა, რაც გულისხმობს საქონლის ჩატანას დამკვეთამდე საზღვაო გზით და შეიცავს მის ფასს, დაზღვევისა და გადაზიდვის ხარჯებს.

სიფონი (ბერძ. síphōn მილი) – 1. სხვადასხვა სიგრძის ორი მუხლის მქონე მოღუნული მილი (თუჯის, პლასტმასის, ფოლადის) სითხის გადასასხმელად ერთი ჭურჭლიდან მეორე, უფრო დაბალდონიან ჭურჭელში (ნახ. 1. საკანალიზაციო პლასტმასის სიფონი); 2. ასეთი მილის მქონე ჭურჭელი, ბოთლი, გაზიანი ან მინერალური წყლისათვის; 3. წევის გასაძლიერებელი მოწყობილობა ორთქლმავლის საცეცხლეში; 4. სპელეოლოგიაში: კლდოვანი ნაპრალი; 5. ჰიდროგრაფიაში: ხელოვნური ან ბუნებრივი წარმოშობის წყალქვეშა გვირაბი, რომელიც მთლიანად წყლითაა ამოვსებული.

ნახ. 1

სიღრმე – 1. მანძილი რისამე ზედაპირიდან ფსკერამდე ან რაღაც წერტილამდე; 2. ზედაპირიდან ქვევით ან ნაპირიდან შიგნით დიდ მანძილზე დაშორებული ადგილი; 3. გადატ. რისამე მაღალი დონე, სიდიადე, სიძლიერე, სიმძაფრე.

სიღრმესაზომი – 1. ხელსაწყო, რომელიც ზომავს ნახვრეტის, კილოს სიღმეს, საფეხურების სიმაღლეს და სხვ. ს. ფუძეს აყენებენ ზედაპირზე, რომლიდანაც ადგენენ სიმაღლეს. მოქმედების პრინციპის მიხედვით არსებობს: შტანგენსიღრმესაზომი (ნახ. 1. შტანგენსიღრმესაზომი ციფრული), გაზომვის ზღვრით 500 მმ-მდე და ანათვლის სიზუსტით 0,05 და 0,1 მმ; მიკრომეტრული (ნახ. 2) – გაზომვის ზღვრით 150 მმ-მდე და დანაყოფის ფასით 0,01 მმ; ინდიკატორული (ნახ. 3) – გაზომვის ზღვრით 100 მმ-მდე და დანაყოფის ფასით 0,01 მმ; 2. მანომეტრის სახესხვაობა წყალში ჩაძირვის სიღრმის დასადგენად. მოქმედების პრინციპის მიხედვით ის შეიძლება იყოს კაპილარული, ბურდონის ღია მილი, ზეთოვანი, დიაფრაგმული და ტენზორეზისტორული (ციფრული).

ნახ. 3

ნახ. 1

ნახ. 2

სიღრმული რეპერი – სპეციალური კონსტრუქციის არაწრფივი რეპერი (რომლის ძირი დგება მკვრივ, დინამიკურად მდგრად გრუნტზე), რომელიც გეოდეზიური საფუძველია შენობის, ნაგებობისა და მიწის ზედაპირზე გოდეზიური დაკვირვებების შესასრულებლად.

სიყვითლე – ქიმიური შეფერილობის მანკი, რომელიც მერქანს აძლევს ყვითელ ფერს.

სიშტოფი – თიხამიწის წარმოების ნარჩენი 60-65% აქტიური კაჟმიწის შემცველობით. გამოიყენება ცემენტის წარმოებაში როგორც დანამატი.

სიჩქარე – ვექტორული ფიზიკური ერთეული, რომელიც ახასიათებს მატერიალური წერტილის გადაადგილების სისწრაფესა და მოძრაობის მიმართულებას ათვლის არჩეული სისტემის მიმართ; განსაზღვრების მიხედვით არის წერტილის რადიუს-ვექტორის წარმოებული დროით. ტერმინი "სიჩქარე" მეცნიერებაში გამოიყენება ფართო გაგებით – მის ქვეშ იგულისხმება რაიმე სიდიდის სწრაფი ცვალებადობა დროში. ს. წერტილის მოძრაობის მხარეს ტრაექტორიის მხები მიმართულებისაა. მისი სიდიდე $v = ds/dt$, სადაც ds – წერტილის მიერ გავლილი გზა (მანძილი) დროის მცირე dt მონაკვეთში. მატერიალური წერტილის ს. ვექტორის პროექციები დეკარტის კოორდინატთა სისტემის ღერძებზე x, y და z კოორდინატებით, გამოისახება თანაფარდობით $v_x = dx/dt$, $v_y = dy/dt$, $v_z = dz/dt$. ს. ერთეული საერთაშორისო ერთეულთა SI სისტემაში არის მ/წმ. სიჩქარის მრავალი სახე არსებობს: აბსოლუტური, ადგილობრივი, ადიდვის, ალის გავრცელების, ამოქმედების, აფრენის, აწევის, ბგერის გავრცელების, ბეტონის გამყარების, ბუნებრივი, ბრუნვის, გადატანითი, გადატანითი მოძრაობის, გავრცელების, გამოდინების, გამოსავალი, გარდაქმნის, გასაშუალოებული, გაფრქვევის, გაშლის, გაცივების, გაცივების კრიტიკული, გაცივების მყისიერი, გახსნის,

გახურების, გახურების მყისიერი, გახურების საშუალო, გლინვის, გორვის, გრეხის, გრიგალური, დადგენილი, დაკლებული, დამყარებული, დასაშვები, დატვირთვის, დაღლილობის ბზარის ზრდის, დაშლის, დაჭირხნის, დაჯდომის, დეტონაციის, დეფორმაციის, დეფორმირების, დიდი, დიფუზიის, ეკონომიური, ვარდნის, ვექტორული, ზებგერითი, ზეკრიტიკული, ზღვრული, თანაბარი, კინემატიკური, კლებადი, კომერციული, კონსტრუქციული, კოროზიის, კოსმოსური, კრიტიკული, კრისტალიზაციის, კრიტიკული, კუთხური, მაგნიტური ველის ბრუნვის, მანიპულაციის, მაქსიმალური, მზარდი, მინიმალური, მიწოდების, მოჩვენებითი, მოძრაობის, მჟავაწარმოქმნის, მუდმივი, მყისი, მცირე, მხები, ნამდვილი, ნატანის ჩაძირვის, ნომინალური, პიკირების, პულსაციის, რადიალური, რეაქციის, რეგულირებადი, რექტიფიკაციის, რღვევის, რხევითი, სექტორული, საათური, საანგარიშო, საგზაო, საექსპლუატაციო, სამარშრუტო, სამგზავრო, სამსხვრევი, სამუშაო, სამუშაო სვლის, საშუალო, საშუალოტექნიკური, საწყისი, სითბური ტალღის, სინათლის, სინქრონული, სრიალის, სხივური, ტალღის გადაადგილების, ტალღური, ტანგენციური, მხები, ტექნიკური, ტრიალის, უკუგდების, უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის, უქმი სვლის, ულტრაბგერის, უცვლელი, უხელსაყრელესი, ფაზური, ფარდობითი, ფილტრაციის, ფლოტაციის, ფსკერული, ქიმიური რეაქციის, შეცხობის, შეძენილი, შეწოვის, შვეული, ჩართვის, ცვეთის, ცვლადი, ცოცვადობის, წვის, წირული, წნეხის, წრიული, წრფივი, წყლის ჭავლის, ჭრის, ხანგრძლივი, ჯგუფური და სხვ.

სიჩქარე გადატანითი მოძრაობის – გადატანითად მოძრავი მყარი სხეულის ნებისმიერი წერტილის სიჩქარე.

სიჩქარე გორვის – მგორავი მყარი სხეულის კუთხური სიჩქარე იმ სხეულის მიმართ, რომელზეც იგი მიგორავს.

სიჩქარე კომერციული – ტვირთის მოძრაობის საშუალო სიჩქარე მისი გადაცემის მომენტიდან მომხმარებელთან მიტანამდე ანუ გადაზიდვის მანძილის ფარდობა დატვირთვის, გადაზიდვის, შუალედურ პუნქტებში დგომისა და გადმოტვირთვის ჯამურ დროსთან.

სიჩქარე საწყისი – 1. სიჩქარე დროის საწყის მომენტში; 2. არტილერიაში – ჭურვის (ტყვიის) მოძრაობის საწყისი სიჩქარე ლულის არხიდან გამოსვლისას; ერთ-ერთი მთავარი ბალისტიკური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს ჭურვის (ტყვიის) ფრენის სიშორეს, სიმძლავრესა და განმგრევ მოქმედებას.

სიჩქარე სექტორული – ფიზიკური სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს მრუდზე მოძრავი წერტილის რადიუს-ვექტორის მიერ მონიშნული ფართობის ცვლილებას. ის ვექტორული სიდიდეა და ტოლია რადიუს-ვექტორის ვექტორული წარმოებულის ნახევრისა წერტილის მოძრაობის სიჩქარის ვექტორზე, ანუ მოძრავი წერტილის რადიუს-ვექტორის მიერ შემოწერილი ფიგურის ფართობის წარმოებულისა დროით. აღსანიშნავია, რომ დროის ერთეულში სექტორული სიჩქარე მუდმივი სიდიდეა. ს. ს. მჭიდროდ არის დაკავშირებული კეპლერის მეორე კანონთან.

სიჩქარე ტექნიკური – გაჩერების ორ პუნქტს შორის მოძრაობის საშუალო სიჩქარე.

სიჩქარე ფარდობითი – მოძრავი წერტილის სიჩქარე ათვლის მოძრავი სისტემის მიმართ.

სიჩქარე წრფივი – იმ სხეულის წერტილის სიჩქარე, რომელიც ასრულებს ბრუნვით მოძრაობას.

სიჩქარეთა მყისი ცენტრი (ბრუნვის მყისი ცენტრი) – მყარი სხეულის ბრტყელი მოძრაობის დროს ბრუნვის მყისი ღერძის კვალი მოძრაობის სიბრტყეზე.

სიჩქარეთა შეკრების თეორემა – წერტილის რთული მოძრაობის დროს მისი აბსოლუტური სიჩქარე ტოლია ფარდობითი და წარმტანი სიჩქარეების გეომეტრიული ჯამისა.

სიცარიელე – 1. შეუვსებლობა, რისამე არქონა; 2. სივრცეში რაიმე ნაწილაკების სრული არქონა – ვაკუუმი; 3. ორმო, გამოქვაბული, ღარი, ღრუ; 4. ფიზ. კოსმოსური სივრცე – მატერიის აბსოლუტური ანტიპოდი.

სიჭარბე – ტექნიკური ნაკეთობის (სისტემის, მოწყობილობის) ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო აუცილებელი, მინიმალურზე მეტი შესაძლებლობების არსებობა. ასეთი შეიძლება იყოს, მაგ., ამწევი ძალის, ელექტროენერგიის, სიმძლავრის, მასის, ჰაერისა და სხვათა სიჭარბე.

სიხისტე – სხეულის ან კონსტრუქციის უნარი გაუწიოს წინააღმდეგობა დეფორმაციის წარმოქმნას. აბსოლუტურად მყარი სხეულის (რომელიც სინამდვილეში არ გვხვდება) ს. უსასრულოდ დიდია, ხოლო რეზინისა – ძალიან მცირე. მათ შორის თავსდება ყველა რეალური მასალა, რომელთა ს. ზემოთხსენებულ საზღვრებშია. მარტივი დეფორმაციების შემთხვევაში (ჰუკის კანონის საზღვრებში) ს. განისაზღვრება დრეკადობის მოდულის ნამრავლით ელემენტის განივი კვეთის ამა თუ იმ გეომეტრიულ მახასიათებელზე (კვეთის ფართზე – გაჭიმვა-კუმშვისა და ძვრისას, ინერციის ღერძულ მომენტზე – ღუნვისას და ა.შ.). სიხისტის შებრუნებულ სიდიდეს მოქნილობას უწოდებენ.

სიხისტის დიაფრაგმა – შენობის მზიდი სისტემის ვერტიკალური ელემენტი, რომლებიც იღებს ჰორიზონტალურ დატვირთვებს (ქარის, სეისმურს და სხვ.) და გადასცემს მას საძირკველს. გარდა ამისა, ს. დ. იღებს ვერტიკალურ დატვირთვებს, რომლებიც უშუალოდ მასზეა მოდებული რიგელების, გადახურვის ფილების, კიბეების, საინჟინრო დანადგარებისაგან და სხვ. როგორც წესი, არის დაარმირებული რკ.ბ.-ის (იშვიათად ლითონის) ტიხარი სისქით 10-15 სმ. ს. დ. ყენდება კოლონიდან კოლონამდე, მიემაგრება მათ და მუშაობს მათთან ერთად. კონსტრუქციის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის: ორთაროიანი (ნახ. 1), ერთთაროიანი, მთლიანი (ბრტყელი), კარის ღიობით, სავენტილაციო არხებითა და შედგენილი.



ნახ. 1

სიხისტის წიბო – სამშენებლო კონსტრუქციის ელემენტი (სვეტებში, კოჭებში, ფილებში, გარსებში და სხვ.) თხელი ფირფიტის სახით, რომლის დანიშნულებაა ცალკეული ელემენტის სიხისტის გაზრდა, რომ არ მოხდეს ამ ელემენტის ადგილობრივი (საერთო) მდგრადობის დაკარგვა.

სიხშირე – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს პერიოდულ პროცესს და ტოლია დროის ერთეულში შესრულებული სრულ ციკლთა რაოდენობისა. მის შებრუნებულ სიდიდეს პერიოდი ეწოდება. ფიზიკის სხვადასხვა დარგში სიხშირე აღინიშნება ლათინური ასოთი *f* (ეფ) ან ბერძნული ასოთი ν (ნიუ). ს. ერთეული ერთეულთა საერთაშორისისო SI სისტემაში არის ჰერცი (ჰც, Hz). მბრუნავი მექანიკური ხელსაწყოებისა და დანადგარების მოძრაობის

დასახასიათებლად ტრადიციულად გამოიყენება აგრეთვე ერთეული ბრუნი წუთში. 60 ბრუნი წუთში 1 ჰერცის ეკვივალენტურია. პერიოდი, როგორც წესი, აღინიშნება ასოთი T, და არის დრო, რომელიც ერთი ციკლის შესრულებას სჭირდება. პერიოდი და სიხშირე დაკავშირებულია ერთმანეთთან ფორმულით: $T = 1/f$. SI სისტემაში პერიოდის ერთეულია წამი. სიხშირის სახეებია: აგზნების, ბგერითი, გადამტანი, გადასვლის, გვერდითი, დაბალი, დარტყმათა, დენის, დისკრეტული, ეტალონური, ზემაღალი, ზღვრული, იძულებითი რხევის, კვაზირეზონანსული, კომბინაციური, კრიტიკული, კუთხური, მამოდულირებელი, მაღალი, მთავარი,მოდულაციის, ნომინალური, ნულოვანი, პაუზების, პულსაციის, რეზონანსული, რხევათა, საკონტროლო, საკუთარ რხევათა, საკუთარი, სამრეწველო, სამუშაო, საშუალო, საწყისი, სხვაობითი, უდაბლესი, ულტრამაღალი, შერთვის, შუალედური, ცემათა, ცვლადი დენის, ციკლური, ძალწირების, ძირითადი, წრიული, ჯგუფური და სხვ.

სკალა (ლათ. scala კიბე) – გაზომვათა საშუალება, ათვლის მოწყობილობის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ნიშნულებისა და ათვლის რიცხვების ან სხვა სიმბოლოების ერთობლიობას, რაც შეესაბამება სიდიდეთა რიგ თანამიმდევრობით მნიშვნელობებს.

სკალარი (ლათ. scalaris საფეხურებიანი) – ისეთი სიდიდე, რომლის ყველა მნიშვნელობა (ვექტორულისგან განსხვავებით) შეიძლება იყოს გამოსახული ერთი ნამდვილი რიცხვით, რის გამოც, სკალარულ სიდიდეთა ერთობლიობა შეიძლება გამოისახოს წრფივ სკალაზე. სიგრძე, ფართობი, დრო, მოცულობა, მასა, სიმკვრივე, ტემპერატურა და ა.შ. სკალარული სიდიდეებია.

სკალარული სიდიდე – იხ. სკალარი.

სკალიოლა (იტალ. scalgia ქერცლი) – ალებასტრისა და მარმარილოს ნაფხვენის შეცემენტებული ხელოვნური ქვა, რომელიც პოპულარული იყო ანტიკურ და XVII-XVIII საუკუნეების არქიტექტურაში.

სკალირება (ინგლ. seoling მასშტაბის განსაზღვრა) – ანალიტიკური ინსტრუმენტის შექმნის საშუალება, რომელიც, პირველ რიგში, მისაწვდომს ხდის ვერბალური გამონათქვამების რაოდენობრივ შეფასებას და მეორეც, მკაცრად შეესატყვისება თვისებრივ მოთხოვნებს, რომლებსაც ტესტების თეორია აყენებს. ს. უზრუნველყოფს ვერბალურ გამონათქვამთა კვანტიფიკაციის შესაძლებლობას. მისი პროცედურის წესები მჭიდროდ უკავშირდება მათემატიკური სტატისტიკის სამუშაო აპარატს. ს. მთავარი ამოცანაა თვისებრივად განსხვავებული მონაცემების მიყვანა შეპირისპირებად რაოდენობრივ მაჩვენებლებთან. ის შეკრებილი სტატისტიკური, მოპოვებული მასალის ანალიზის საშუალებას იძლევა.

სკალპელი (ლათ. scalpellum<ლათ. scalpere კაწვრა, ჭრა) – 1. მრგვალი ან წახნაგოვანი ფოლადის ღერო, რომლის ერთი ბრტყელი ბოლო წამახვილებულია, ხოლო მეორე, ბლაგვ ბოლოზე ხდება ჩაქუჩის დარტყმა (ნახ. 1). გამოიყენება მოქანდაკეების მიერ, აგრეთვე სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას; 2. მედიც. ქირურგის სამუშაო ინსტრუმენტი – პატარა ქირურგიული დანა.

ნახ. 1

სკალპერი (ინგლ. scalper სპეკულანტი ბილეთებით) – დეიტრეიდერი, რომელიც ახდენს დიდი რაოდენობით გარიგებებს ერთი დღის განმავლობაში.

სკამი – დასაჯდომი ავეჯი (დგამი), ჩვეულებრივ ხისა, ფეხებიანი და ზურგიანი (ნახ. 1).

ნახ. 1

სკამი საეკლესიო – ხის საჯდომი, ტაძარში მომსვლელთათვის.

სკამლოგინი – მთლიანი ხის გრძელი და ფართო სკამი, რომელსაც საწოლადაც იყენებენ.

ნახ. 1

სკანდის ციხე (ინგლ. Skanda Castle) – შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, სოფელ სკანდის (თერჯოლის მუნიციპალიტეტი) ჩრდილოეთ მხარეს, მაღალ კლდოვან გორაკზე. ახ. IV საუკუნეში ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ ქართლის საზღვარზე, მნიშვნელოვან გზაგასაყარზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იმერეთთან და შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. ამჟამად შემორჩენილია ციხის ნანგრევები (ნახ. 1. პანორამული ხედი).

სკანერი (კომპ.) (ინგლ. image scanner) – ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ასკანერებს დოკუმენტებს, სურათებს და გარდაქმნის მათ ციფრულ მონაცემებად.

სკანირება (ინგლ. scan ხედვის არე, განშლა) – 1. სხივის ან ელექტრონების კონის მართული სივრცითი გადაადგილება (განსაზღვრული) გარკვეული კანონით, რომელიც ქმნის გამოსახულებას. ს. ახდენენ მექანიკური ან არამექანიკური მეთოდებით; 2. კომპიუტერულ საქმიანობაში – ტექსტის ან ფოტოს გადაღება სპეციალური პერიფერიული დანადგარის მიხედვით და ვიზუალური ინფორმაციის ჩაწერა; 3. რადიოლოგიაში – რადიოაქტიური პრეპარატების განაწილების გამოკვლევა, რომლებიც შეჰყავთ ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში დიაგნოსტიკური, სამკურნალო ან გამოკვლევის მიზნით.

სკანსენი (შვედ. skansen) – ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუზეუმი, სადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი და გამართულია საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები – შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის გარეუბნის სახელის მიხედვით, სადაც პირველად (1891 წ.) მოაწყვეს ასეთი მუზეუმი (ნახ. 1).

ნახ. 1

სკარნი – მეტასომური ქანი, რომელიც შედგება კალციუმის, მაგნიუმისა და რკინის სილიკატებისაგან. მინერალოგიური და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით არსებობს ორი სახის: კირისა და მაგნეზიური. კირის სკარნებთან

დაკავშირებულია რკინის, სპილენძის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ტყვიის, თუთიისა და ბორის მადნების არსებობა, ხოლო მაგნეზიური სკარნებისათვის დამახასიათებელია მაგნიუმის შემცველი მინერალები: დიოფსიდი, ფორსტერიტი, ფლოგოპიტი, დოლომიტი, აპატიტი, სფენი, ორთიტი და სკაპოლიტი.

სკარპელი (იტალ. scarpello<ლათ. scarpellum პატარა დანა) – მოქანდაკის იარაღი ქვის სუფთად დამუშავებისათვის. ის არის ლითონის ღერო, რომლის ერთი ბოლო ნიჩაბივით არის გაფართოებული და აქვს ბასრი, გალესილი პირი, ხოლო მეორე (ბლაგვი) ბოლოდან ურტყამენ ხის ჩაქუჩს.

სკაფანდრი [ფრანგ. scaphandre<ბერძ. skaphē ნავი და anēr (andros) ადამიანი] – მყვინთავის, კოსმონავტის, სტრატონავტის სპეციალური წყალშეუვალი კოსტიუმი, რომელსაც აქვს ჩაფხუტი და სასუნთქი აპარატი.

სკევომორფიზმი – ფიზიკური ორნამენტი ან დიზაინის ელემენტი, რომელიც გადმოღებულია სხვა ობიექტის ფორმიდან, მაგრამ დამზადებულია სხვა მასალასაგან ან სხვა მეთოდების გამოყენებით,

სკენა (ბერძ. skēnē კარავი, ფარდული) – ძველი ბერძნული თეატრის სასცენო ნაწილი.

სკენე – ძვ. ბერძნულ თეატრში სათავსი (დროებითი ხის ნაგებობა) პროსკენიუმის უკან, სადაც მსახიობები ტანისამოსს იცვლიდნენ (იხ. პროსკენიონი, ნახ. 1).

სკეტინგ-რინკი – მოასფალტებული მოედანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით (სკეიტბორდებით) სარბენად.

ნახ. 1

სკვერი (ინგლ. square კვადრატის ფორმის მოედანი) – კეთილმოწყობილი და გამწვანებული ტერიტორია საცხოვრებელი განაშენიანების შიგნით (ნახ. 1. მაიაკოვსკის სახელობის სკვერი დიღმის მასივში, თბილისი, საქართველო).

სკიპი (ინგლ. skip<შესაძლებელია ძვ. ისლანდ. skopa გაქცევა<ისლანდ. skoppa გატარება) – ფხვიერი მასალების ამწევ-გადამტანი რკინის ყუთი, რომელიც ავტომატურად იტვირთება და იცლება. სკიპით აღჭურვილია სკიპური გადასაადგილებელი ან სტაციონარული ამწეები. განტვირთვის ადგილზე ს. ავტომატურად აყირავდება ან გასასახსნელი ძირიდან განიტვირთება. ს. უწოდებენ აგრეთვე გრავიტაციული ბეტონშემრევის ჩამტვირთავ ციცხვს. გამოიყენება მადნის, ნახშირის, ქვიშის, ხრეშის, ღორღისა და მისთ. ასაწევად.

ნახ. 1

სკიპიდარი – მკვეთრი სუნის მქონე მოყვითალო სითხე; წყალში უხსნადი; ადვილად იჟანგება ჰაერზე. მიიღება ფიჭვის მასალის გამოხდით წყლის ორთქლთან, აგრეთვე მერქნის მშრალი გზით გამოხდის ან გამხსნელების ექსტრაქციით. გამოიყენება ლაქსაღებავის, ცხიმის, ქაფურის გამხსნელად, მედიცინაში და სხვ.

სკლერენქიმა (ბერძ. skleros მაგარი და enchyma გავსებული, ქსოვილი) – მცენარეთა მექანიკური ქსოვილი; შედგება სქელკედლებიანი, წაგრძელებული და ბოლოებწაწვეტებული, გახევებული უჯრედებისაგან.

სკლერომეტრი (ბერძ. skleros მაგარი და métron გაზომვა) – ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ ლითონებისა და მინერალების სიმაგრეს.

სკლერონი – ალუმინის შენადნობი თუთიასთან, სპილენძთან, მანგანუმთან და სხვა ლითონთან. იყენებენ მანქანათმშენებლობაში, საავიაციო მრეწველობაში.

სკლერონომური – სტაციონალური, ავტონომიური – დროსგან დამოუკიდებელი "სივრცით-დროით" კოორდინატთა სისტემაში.

სკლეროსკოპი (ბერძ. skleros მაგარი და skopeîn ყურება, შესწავლა) – ხელსაწყო ლითონებისა და სხვა მასალების სიმაგრის გასაზომად.

სკონტო – საქონელზე ფასდაკლება (3%-მდე) უშუალოდ ანგარიშსწორების დროს.

სკოპია (ბერძ. skopeîn ყურება, შესწავლა) – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი – ნიშნავს დაკვირვებას, რისამე ვიზუალურ შესწავლას.

სკოროდიტი (ბერძ. skorodon ნიორი) – მინერალი, დარიშხანის ნაერთი რკინასთან და ჟანგბადთან. წარმოადგენს ნედლეულს დარიშხანის მისაღებად. დარტყმის დროს გამოსცემს ნივრის სუნს.

სკორჩინგი (ინგლ. scorchen<ძვ. სკანდ. skorpna გაშრობა) – იხ. ვულკანიზაცია.

სკოცია (ინგლ. scotia<ბერძ. skotia სიბნელე, წყვდიადი) – კლასიკური არქიტექტურის შეზნექილი მრუდხაზოვანი მოხაზულობის არქიტექტურული ნატეხი, რომელიც მიიღება სხვადასხვა რადიუსის მქონე ორი რკალის შეუღლებით (ნახ. 1: O_1 – R_1 რადიუსის მქონე წრის ცენტრი; O_2 – R_2 რადიუსის მქონე წრის ცენტრი; T_1 – რკალების შეუღლების წერტილი). გამოიყენება სვეტის ბაზისში.



ნახ. 1

სკრაპი (ინგლ. scrap<ძვ. სკანდ. skrap ჯართი) – მეტალურგიული წარმოების ნარჩენი, რომელიც გამოიყენება ხელმეორედ გადასადნობად. ზოგჯერ ამ ტერმინით მოიხსენიებენ მთელ მეტალურგიულ და საყოფაცხოვრებო ჯართს.

სკრეპერი (ინგლ. skraper<scrape ფხაჭნა, ფხეკა) – ციკლური მოქმედების მიწისმთხრელი სატრანსპორტო მანქანა, რომელიც აწარმოებს I-III კატეგორიის გრუნტის ფენებად მოჭრას, ტრანსპორტირებას და გადაყრას (ნახ. 1). სამუშაო ორგანოს წარმოადგენს ციცხვი, რომლის

განტვირთვა შეიძლება იყოს გრავიტაციული, ნახევრად იძულებითი და იძულებითი. სკრეპერი არის: 1) მისაბმელი (მუხლუხა ან თვლიან ტრაქტორზე), ორღერძიანი შესრულების; 2) ნახევრად მისაბმელი (ორღერძიან ტრაქტორსა და გამწეზე); 3) თვითმავალი (ერთღერძიანი გამწის ბაზაზე).

ნახ. 1

სკრუბერი (ინგლ. scrubber წმინდა) – 1. მყარი და აირადი მინარევების დამჭერი აპატარი: 2. მოწყობილობა (აპარატი) მბრუნავი ღუმლებისა და საშრობი დოლების ნამუშევარი აირების მყარი ნაწილაკებისგან (მტვრისგან) გასაწმენდად. მასში გამოყენებულია სველი გაწმენდის მეთოდი. ამ ტიპის აპარატებს მიეკუთვნება ვერტიკალური სკრუბერი, რომელშიც აირის მოძრაობის სიჩქარე არ აღემატება 6 მ/წმ, ხოლო გაწმენდის ხარისხი შეადგენს 95-98%.

სკრუპულოზური [ლათ. scrīpulum (scriptulum) მცირე წონა, კენჭი] – 1. ზედმიწევნით ზუსტი; დაწვრილებითი; 2. წვრილმანური.

სკულპტურა (ლათ. sculpture გამოჭრა) – ქანდაკება, ნაქანდაკარი, ნატიფი, ნაძერწი; სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც მოცულობითი ფორმა აქვს და სრულდება მკვრივი (ქვა) ან პლასტიკური (თიხა) მასალისაგან (ნახ. 1. სკულპტურა ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში, საქართველო).

ნახ. 1

სკუფია (ინგლ. calotte<ბერძ. skuphia<ძვ. ბერძ. skyphos ფინჯანი, თეფში, ჯამი) – 1. გუმბათის დამაგვირგვინებელი ნაწილი, რომელსაც ამავე სახელწოდების თავსაბურავის ფორმა აქვს; 2. წვეტიანი, რბილი, შავი ან იისფერი ნაკეცებიანი ქუდი, რომელსაც ატარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის როგორც თეთრი, ასევე შავი სამღვდელოების მსახურნი.

სლაბი (ინგლ. slab<შუასაუკუნ. ინგლ. sclabbe, slabbe<წარმომავლობა გაურკვეველია) – მართკუთხა განივკვეთის მქონე დიდი, სქელი, ბრტყელი ქვის, ბეტონის ან ფოლადის ნამზადი (ნახ. 1).

ნახ. 1

სლაბინგი – დიდი საგლინავი დგანი, რომელშიც ხდება ფოლადის მსხვილი ზოდების გადამუშავება ბრტყელ ნამზადებად (სლაბებად).

სლოგანი (ინგლ. slogan ლოზუნგი, მოწოდება, დევიზი) – სარეკლამო ლოზუნგი, დევიზი, რომელიც შეიცავს სარეკლამო იდეის შემოკლებულ, ადვილად აღსაქმელ, ეფექტურ ფორმულირებას.

სმალტა (შუაფრანგ. smalt<იტალ. smalto ემალი, ჭიქური<ტერმინი გერმანული წარმომავლობისაა) – 1. კობალტის მინა; მუქი ლურჯი მინა, რომელიც მზადდება სილიციუმის ორჟანგის, პოტაშისა და კობალტის ნაერთისგან (ჩვეულებრივ კობალტის ჟანგი ან კობალტის კარბონატი). ს. სინათლემედეგია, გამძლეა მჟავებისა და ტუტეების მიმართ. იყენებენ მოზაიკაში, სამკაულების, საყოფაცხოვრებო (ნახ. 1. ვაზა დამზადებული სმალტის მინისაგან) და სხვა ნაკეთობების დასამზადებლად; 2. ასეთი მინის დაქუცმაცებით მიღებული პიგმენტი. გამოიყენება მინის წარმოებაში, მხატვრობაში, კერამიკაში, სხვადასხვა სახის მასალების ზედაპირის შესაღებად. სმალტა უძველესი ცნობილი პიგმენტია, რომელსაც იყენედნენ ძველ ეგვიპტეში; აღსანიშნავია, რომ შუასაკუნეების ვენეციური ლურჯი მინის წარმოება სმალტის გამოყენებით ხდებოდა; 3. სილიციუმმჟავისა და კობალტისგან მიღებული კაშკაშა ცისფერი საღებავი.

ნახ. 1

სმარაგდი (ბერძ. smaragdos მწვანე მინერალი მალაქიტის მსგავსი) – !. მწვანე ფერის მინერალი, ძვირფასი ქვა (ნახ. 1); ზურმუხტის ძველი სახელწოდება; 2. წიწვოვანი ჯიშის ხე კომპაქტურად შეკრული კონუსური ფორმის ვარჯით (ნახ. 2).

ნახ. 1

ნახ. 2

სმარტფონი (კომპ.) (ინგლ. smartphone) – მობილური ტელეფონი, რომელიც კომპიუტერის მრავალ ფუნქციას ასრულებს. როგორც წესი, მას აქვს სენსორული ინტერფეისი, ინტერნეტთან წვდომა და აქვს განვითარებული ოპერაციული სისტემა, რომელსაც შეუძლია ჩამოტვირთული აპლიკაციების შესრულება.

სმერჩი – იხ. ტორნადო.

სმითსონიტი (ინგლ. smithsonite<ინგლისელი მინერალოგის დ. სმითსონის სახელის მიხედვით) – კარბონატების ქვეკლასის მინერალი, რომელიც გვხვდება გროვების სახით თუთიის საბადოებში სფალერიტთან, ჰემიმორფიტთან, გალენიტთან და კალციტთან ერთად. ძირითადად აქვს თეთრი შეფერილობა, თუმცა არსებობს ცისფერიც (ნიუ-მექსიკო, ჩრდ. ამერიკა), რომელიც გამოიყენება საიუველირო საქმეში.

სმოგი (ინგლ. smog<smoke ბოლი, კვამლი და fog ნისლი) – ჰაერის დაბინძურების ტიპი; შავი სქელი ნისლი, რომელიც ფორმირდება ბოლისა და ჭვარტლისაგან დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში (ნახ. 1).

ნახ. 1

სნიპ (რუს. СНиП) – რუსული სამშენებლო ნორმები და წესები.

სნოს ციხე (ღუდუშაურის ციხე) ინგლ. (Sno Castle) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ისტორიულ ხევში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოს განაპირას, მდინარე სნოსწყლის მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: კოშკი, გალავანი.

ძნელად მისადგომი ციხე შედგება თითქმის წრიული გალავნისა და ერთადერთი 20 მ-მდე სიმაღლის კოშკისგან, რომლის შესასვლელი მიწიდან 6 მ-ის სიმაღლეზე იყო. ორ იარუსიანი გალავნის კედლები რელიეფის მიხედვით 4-10 მ სიმაღლისაა სათოფურებითა და სალოდეებით მომარჯვებული და, შესაბამისად, საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. ს. სნო თერგის, მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის ხეობების თავშეყრის ადგილას მდებარეობდა და სნოს ციხე, არშის ციხესთან ერთად, საქართველოსათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა.

გადმოცემის მიხედვით სნოს ციხის მფლობელი ყოფილა არხოტის მხარის მმართველი შიოლა ღუდუშაური, საიდანაც მომდინარეობს შიოლაშვილების გვარი. სნო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მშობლიური სოფელია.

ნახ. 1



ნახ. 2

სოგმანი – ქვის ფილების, ხის ფიცრების ან ლითონის დეტალების დამაკავშირებელი მოგრძო ფორმის ჩანადგამი, რომელიც ძირითადად კუმშვაზე მუშაობს და თავის თავზე იღებს ძვრის ძალებსა და მგრეხ მომენტებს. იგი თავსდება წინასწარ ამოღებულ ბუდეში. ფორმის მიხედვით ს. არსებობს: სოლისებრი, პრიზმული, პარალელეპიპედური (ნახ. 1), სეგმენტური, ცილინდრული და სხვ. მზადდება მერქნისაგან (ხის კონსტრუქციებისათვის) და მაღალი სიმტკიცის ლითონებისაგან.

ნახ. 1

სოდა (ნატრონი, ნატრიუმის ბიკარბონატი, ნატრიუმის ჰიდროკარბონატი) (ფრანგ. saude<ლათ. salsus მარილიანი) – ნახშირმჟავას ნატრიუმის მარილების ზოგადი დასახელება. არსებობს მისი მრავალი სახეობა: კალცინირებული Na_2CO_3, საჭმელი (სასმელი) $NaHCO_3$ – ნატრიუმკარბონატი, აგრეთვე ბუნებრივი, კაუსტიკური, ნეიტრალური, საფეიქრო, წყლიანი და სხვ. კაუსტიკურ ს. ტექნიკასა და ყოფაცხოვრებაში უწოდებენ მწვავე ნატრს NaOH. სოდა გამოიყენება მინის, ქაღალდის, საღებავების, საპნისა და მისთ. წარმოებაში.

სოკოები (ლათ. Mucetes ანუ Fungi) – ცოცხალ ორგანიზმთა დიდი ჯგუფი, რომელთაც არ აქვთ ფესვი, ღერო და ფოთოლი, რის გამოც უმდაბლეს ან თალუსიან მცენარეებს მიაკუთვნებენ. მოიცავს 100 000 სახეობას, მათ შორის გვხვდება შეუიარაღებელი თვალით უხილავი ორგანიზმები – მიკრომიცეტები და დიდნაყოფსხეულიანი ქუდიანი სოკოები, აბედა სოკოები და სხვ. – მაკრომიცეტები. ს. არ აქვთ ქლოროფილი. ისინი ჰეტეროტროფული ორგანიზმებია, საკვებად ხმარობენ მზა ორგანულ ნივთიერებებს მკვდარი სუბსტრატიდან (საპროფიტები) ან ცოცხალი ორგანიზმებიდან (პარაზიტები). ის, რაც სოკოების სახელწოდებითაა ცნობილი, ნაყოფსხეულია, ვეგეტატიური სხეული კი სუბტრატშია ჩამალული და შედგება წვრილი, უმთავრესად თეთრი დატოტვილი ძაფებისაგან, რასაც მიცელიუმი ეწოდება. მიცელიუმის სახელცვლილებები გვხვდება სხვადასხვა ჭიმის ან გამსხვილების სახით, როგორიცაა რიზომორფები, სკლეროციუმები და სხვ. ს. მრავლდება სპორებით და ვეგეტატიურად. სპორები თავისი წარმოშობის, ფორმისა და ფერის მიხედვით შეიძლება იყოს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი, უფერული და შეფერილი, ძაფისებრი, ცილინდრული, თითისტარისებრი, კვერცხისებრი, სფეროსებრი, ვარსკვლავისებრი და სხვ. ს. დიდ როლს თამაშობს ბუნებაში ნივთიერებათა ცვლის პროცესში, როგორც ორგანული ნივთიერებათა აქტიური დამშლელი. მათი მრავალი პარაზიტული სახეობა მცენარის, ცხოველისა და ადამიანის საშიშ დაავადებებს იწვევს. ზოგი სასარგებლოა (იყენებენ ვიტამინების, ანტიბიოტიკების, ლიმონმჟავასა და სხვათა მისაღებად). საფუარის ს. ხმარობენ სპირტის გამოხდის, პურის ცხობისა და ლუდის წარმოებაში. მშენებლობაში ს. უარყოფითი როლი აქვთ, რადგან მნიშვნელოვნად აზიანებენ ხის კონსტრუქციებს, შენობებს, ავეჯს და სხვ.

ნახ. 1

სოკო მაღაროს (ლათ. Tapinella Panuoides) – სოკოს სახეობა, რომელიც შედგება მიცელიუმის, ზონრებისა და ნაყოფიერი

ტანისაგან. ღარიბი ბამბისმაგვარი წარმონაქმნი იშვიათად გვხვდება. აქვს მოყვითალო-მომწვანო ფერი. ჩნდება მაღალი ტენიანობის (50-70%) და ნორმალური ტემპერატურის პირობებში. ხეზე შეინიშნება წვრილი პრიზმისმაგვარი წითელი ან მურა-წითელი ოქროსფერი მპალას ფენების სახით (ნახ. 1).

სოკო საწყობის – სოკოს სახეობა, რომელიც ჩნდება გრუნტთან შეხებაში მყოფ მოჭრილ ხეებზე – მათი შენახვისას ტყეში, საწყობებში ან ხანგრძლივი ტრანსპორტირების დროს. ამ სოკოებს ზოგჯერ დეფექტურ მდგომარეობამდე მიყავთ ღია ჰაერზე მომუშავე ხის სამშენებლო კონსტრუქციები (სვეტები, ანძები, კოშკები, ხიდები) ან მათი ნაწილები.

სოკო სახლის (ლათ. Serpula lacrymans) – სოკოებს შორის ყველაზე მავნე და საშიში, რომლებიც მერქანს არღვევს ხის კონსტრუქციების ექსპლუატაციის დროს (ნახ. 1). ასეთებია: ჩვეულებრივი, თეთრი, აფსკისმაგვარი და მაღაროს სოკოები.

ნახ. 1

სოკო სახლის აფსკისმაგვარი – სოკოს სახეობა, რომელიც ხის ზედაპირზე ქმნის სუსტად განვითარებულ სოკოვან კოლონიას, ზონრებსა და ნაყოფიერ ტანს. დასაწყისში სოკოს ყვითელი ფერი აქვს, ხოლო დროთა განმავლობაში გადადის მოყავისფროში. ზონრების ფერი ყავისფერი ან შავია დიდი რაოდენობის წვრილი განშტოებებით. ნაყოფიერი ტანი (ანუ სოკო) ადვილად შეიძლება მოვაძროთ ხეს. ეს სოკო ყველანაირ მერქანს აზიანებს.

სოკო სახლის თეთრი – სოკოს სახეობა, რომელიც ხის ზედაპირზე ქმნის სოკოვან კოლონიას, ზონრებსა და ნაყოფიერ ტანს, რომელთაგან, სიკვდილის შემდეგაც კი, სოკოს ლაქასა და ზონრებს თეთრი შეფერილობა აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

სოკო ტყის – სოკოს სახეობა, რომელიც უჩნდება ცოცხალ ხეებს ტყეში (ნახ. 1) და ამდენად ხის კონსტრუქციებისთვის უშუალოდ საშიში არ არის. ტყის სოკოებით დაავადებული მერქანი დაბალი ხარისხის მასალას მიეკუთვნება, თუმცა მშენებლობაში მისი გამოყენება არ არის შეზღუდული.

სოკოს ნაყოფიერი ტანი – სოკოვანი ძაფების გადახლართული ქსოვილი (მიცელიუმი), რომელიც ეკვრის ხეს და დროთა განმავლობაში აზიანებს მერქანს, რადგანაც მერქანი სოკოს მკვებავ ნივთიერებას წარმოადგენს.

სოლარიმეტრი (ლათ. sōl მზე და ბერძ. métron გაზომვა) – ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ მზიდან დედამიწაზე დაცემულ სხივურ ენერგიას.

სოლარის ზეთი – ნავთობის გამოხდის პროდუქტი, შუალედური ნავთსა და სამანქანო ზეთს შორის. იყენებენ როგორც საწვავს დიზელების, საცხს მსუბუქი მექანიზმებისათვის და სხვ.

სოლარიუმი (ლათ. sōlārium ბალკონი, ტერასა<ლათ. sōl მზე) – 1. რომაული საცხოვრებელი სახლის სამხრეთ მხარეზე მოწყობილი ტერასა ან ბრტყელი სახურავი; 2. მზის აბაზანების მისაღებად განკუთვნილი ბაქანი; 3. მზის საათი.

სოლენოიდი (ბერძ. sōlēn მილი, მილაკი და ბერძ. -oeidēs მსგავსი, მსგავსება, ფორმა<eîdos სახე, ფორმა) – მავთულის სპირალი, რომელშიც უშვებენ ელექტრულ დენს მაგნიტური ველის შესაქმნელად.

სოლვატაცია (ლათ. solvo გახსნა) – გამხსნელის მოლეკულების გახსნილი ნივთიერების ან გაჯირჯვებული მყარი ტანის მოლეკულებთან (იონებთან) კავშირი.

სოლვატი (ლათ. solvo გახსნა) – გახსნილი ნივთიერების ნაერთი გამხსნელთან. მისი კერძო შემთხვევაა სოლვატის ჰიდრატი.

სოლვენტი [ლათ. solvens (solventis) გამხსნელი] – ნავთობის ან ქვანახშირის ნედლეულიდან გამოყოფილი მსუბუქი ნახშირწყალბადების ნარევი, ადვილად აალებადი სითხე. მიიღება ქვანახშირის კოქსვისა და ნავთობის ფრაქციის პიროლიზის დროს. გამოიყენება ზეთების, ბიტუმის, კაუჩუკის, შარდოვანასა და მელამინფორმალდეჰიდური ოლიგომერების, ტერეფტალატური მჟავების პოლიეთერების, ნავთობის პოლიმერული ფისებისა და სხვათა გამხსნელად, აგრეთვე ბანერებზე გამოსახულების დასატანად, ვინილური თვითწებვადი ფირების, სამშენებლო ბადეების დასამზადებლად, სადეზინფექციო საშუალებად და სხვ. ს. გამოირჩევა თბო- და ატმოსფერომედეგობით.

სოლი – 1. უმარტივესი იარაღი (დეტალი), რომელსაც აქვს ერთი ან ორი სამუშაო წახნაგი დახრილი ზედაპირების სახით (ნახ. 1). გამოიყენება მრავალგვარი დანიშნულებით, როგორიცაა: სატეხი; დასაშლელი შეერთების დეტალი; დასაყენებელ-დასარეგულირებელი დეტალი მანქანების მონტაჟის დროს და სხვ. სოლურ შეერთებაში განივი ძალა 5-ჯერ აღემატება მასზე მოდებულ გრძივ ძალას, თუ სოლის კუთხე მცირეა და ხახუნის კოეფიციენტი ტოლია 0,1; 2. სამკუთხა კვეთის ხის ჩანადგამი, საჭექი; ასეთივე ქვა ან ლითონის ღერო.

ნახ. 1

სოლიდოლი [ლათ. solidus მკვრივი და ol(eum) ზეთი] – სქელი საზეთი ნივთიერება მანქანა-მექანიზმებისათვის; ტავოტი. მუშაობის უნარს ინარჩუნებს 70°C ტემპერატურამდე.

სოლინარი – ძვ. წყალმილი.

სოლოლაკი (სალალაკი) – თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ძველი უბანი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ამავე სახელწოდების მთის კალთაზე.

სოლყავარი – მერქნისგან (ნაძვი, ფიჭვი, ვერხვი, ლარიქსი) დამზადებული სოლისებრი ფიცარი, რომელსაც სქელი ნაწიბურის გასწვრივ აქვს ნარანდი. ბურულის მოწყობის დროს ერთი ფიცრის ვიწრო პირი ჩაიდგმება მეორეს კილოში. გამოიყენება ბურულების მოსაწყობად სასოფლო მშენებლობაში (ნახ. 1).

ნახ. 1

სომი – საჭექი; სოლისებრი საკამარე ქვა.

სორბენტი (ლათ. sorbentis შთამნთქმელი) – მყარი ან თხევადი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება აირების, ორთქლისა და გახსნილი ნივთიერებების შთანთქმისათვის. თხევად (იშვიათად მყარ) ს., რომელიც შთანთქავს აირსა და ორთქლს მთელი მოცულობით, ეწოდება აბსორბენტი. მყარი ს., რომელიც ახდენს აირის, ორთქლის ან გახსნილი ნივთიერების თავის ზედაპირზე კონცენტრაციას, ეწოდება ადსორბენტი. ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ადსორბენტებია: აქტიური ნახშირი, სილიკოგელი, ალუმინის ჟანგი. არსებობს ს., რომლებიც შთანთქმულ ნივთიერებასთან წარმოქმნის ქიმიურ შენაერთს (მაგ., ლითონების მყარი ჰიდროჟანგები, რომლებიც შთანთქავს ნახშირბადის ორჟანგს). ასეთ ს. ქემოსორბენტები ეწოდება. ს. განსაკუთრებული ჯგუფია – იონცვლადი ფისები (იონიტები).

სორბიტი (ინგლ. sorbite<ინგლისელი მეცნიერის გ. კ. სორბის სახელის მიხედვით) – რკინანახშირბადიანი შენადნობების სტრუქტურული მდგენელი. წარმოადგენს ფერიტისა და ცემენტიტის ნარევს, რომელიც წარმოიქმნება აუსტენიტისაგან გაცივების პროცესში დიფუზიური გარდაქმნის შედეგად. პერლიტისგან განსხვავდება წვრილი (დისპერსიული) სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს ფოლადის მაღალ სიმტკიცესა და ცვეთამედეგობას.

სორბიტიზაცია – ფოლადის გაკაჟების ნაირსახეობა, საშუალო ნახშირბადიანი ფოლადის თერმული დამუშავება, რაც გამოიხატება მის გახურებაში 800-950°C-მდე; ამ ტემპერატურაზე დაყოვნებით და გარკვეული სიჩქარით გაცივებით (ძირითადად ზეთში, თბილ წყალში ან შეკუმშული ჰაერის ჭავლში). ს. შედეგად ფოლადი იძენს სორბიტის სტრუქტურას. ფართოდ გამოიყენება რელსებისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ბორბლების არტახების დასამზადებლად.

სორბცია (ლათ. sorbere შთანთქმა) – აირების, ორთქლისა და გახსნილი ნივთიერებების შთანთქმა მყარი სხეულებითა და სითხეებით. განასხვავებენ შემდეგი სახის სორბციებს: ადსორბცია, აბსორბცია, ქემოსორბცია, კაპილარული კონდენსაცია. სორბციული პროცესები ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში ქიმიური ნაწარმის, აირებისა და ა.შ. გასაწმენდად.

სორმაიტი – 1. მაღალნახშირბადოვანი და მაღალქრომოვანი რკინის შენადნობების სხმულთა ჯგუფი. გამოიყენება ხელსაწყოებისა და დეტალების სწრაფად ცვეთად ზედაპირებზე რაიმეს დასადუღებლად; 2. ელექტროდის სახეობა დამზადებული რკინის საფუძველზე.

სორსალი – სრესით დამრგვალებული ცომისებრი მასა.

სორტამენტი (ფრანგული სიტყვის, assortiment-ის დამახინჯებული ფორმა<ძვ. ფრანგ. sorte სახეობა, ნაირსახეობა, სახესხვაობა; გვარი, ოჯახი, ჩამომავლობა<ლათ. sors ხვედრი, ბედი, ბედისწერა; წილი, მონაწილეობა; წოდება, ხარისხი; თანრიგი) – 1. გამოშვებული ნაკეთობების სორტების ნომენკლატურა; სახელმწიფო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის სია, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო გეომეტრიული მახასიათებელი ამ ნაწარმზე; 2. იხ. სორტიმენტი; ტერმინი უმეტესად მეტალურგიულ მრეწველობაში გამოიყენება.

სორტი (ძვ. ფრანგ. sorte სახეობა, ნაირსახეობა, სახესხვაობა; გვარი, ოჯახი, ჩამომავლობა<ლათ. sors ხვედრი, ბედი, ბედისწერა; წილი, მონაწილეობა; წოდება, ხარისხი; თანრიგი) – 1. თანრიგი, ხარისხი, სახეობა; 2. ელემენტების ფარდობითად მდგრადი და დამოუკიდებელი ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოიყოს ყველა განსახილველ სიმრავლეში (საგნების არეში); 3. კულტურული მცენარეების ჯგუფი, რომელსაც სელექციის შედეგად აქვს განსაზღვრული სასარგებლო ან დეკორატიული თვისებები, განსხვავებული ასეთივე სახის მცენარეების სხვა ჯგუფთან შედარებით.

სორტიმენტი (ფრანგული სიტყვის, assortiment-ის დამახინჯებული ფორმა; ძვ. ფრანგ. sorte სახეობა, ნაირსახეობა, სახესხვაობა; გვარი, ოჯახი, ჩამომავლობა<ლათ. sors ხვედრი, ბედი, ბედისწერა; წილი, მონაწილეობა; წოდება, ხარისხი; თანრიგი) – 1. ერთგვაროვანი ნაკეთობების ან მასალების ნიშანთვისებათა (მაგ., სახეობა, კლასი, ხარისხი, ზომა) ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ისინი მიეკუთვნებიან ამა თუ იმ სორტს; 2. ერთი და იმავე სახეობის პროდუქტის სხვადასხვა სორტების ერთობლიობა; 3. განსაზღვრული დანიშნულების ხე-ტყის მასალა; 4. ხე-ტყის მასალის წარმოებაში ტერმინი სორტიმენტი დამატებით აღნიშნავს მორების, ფიცრებისა და სხვ. მრგვალ, ნაპობ, დახერხილ ნამზადს, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ნაკეთობის დასამზადებლად.

სორტირება – რისამე განაწილება სორტებად; დახარისხება.

სოფა (ფრანგ. sofa<არაბ. ṣuffah დასაჯდომი პლატფორმა) – ფართო დაბალი დივანი, რომლის საიდაყვეები საზურგის სიმაღლის დონისაა (ნახ. 1). ევროპაში გავრცელდა XVII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიიდან. როგორ წესი, ს. დგამდნენ არისტოკრატიულ სასტუმროებში და სასახლეებში. სოფას კარკასი მზადდება ძვირფასი ჯიშის მერქნისგან (კედარი, ლარიქსი, წითელი ხე და სხვ.), გადასაკრავად გამოიყენება აბრეშუმის ქსოვილი ან ტყავი, ხოლო ბალიშების შიგთავსად – ცხვრის მატყლი ან ცხენის ძუა. (დამატებით იხ. დივანი).

ნახ. 1

სოფიზმი (ბერძ. sophisma ოსტატობა, უნარი, მოხერხება, სიბრძნე, ხრიკი, გაქნილი გამონაგონი) – ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი დასკვნა, რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა გაწზრახ უმართებულოდ შერჩევას.

სოფიის კენჭი – იხ. მოზაიკა.

სოფიტი (იტალ. soffito ჭერი) – 1. კოჭის, თაღის, კამარის, ლავგარდნისა (ნახ. 1) და შენობის სხვა ნაწილების ქვევიდან ხილული, არქიტექტურულად დამუშავებული ზედაპირი; 2. თეატრში – ნათურები ან პროჟექტორი სცენისა და დეკორაციების გასანათებლად; 3. კარნიზში დაფარული მოწყობილობა, რომელიც გაფანტულ სინათლეს გამოსცემს.

ნახ. 1

სოციალური ქსელი (კომპ.) (ინგლ. social network) – სპეციალური ვებ-საიტი ან სხვა აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები ერთმანეთთან ურთიერთობენ ინფორმაციის, კომენტარების, შეტყობინებების, სურათებისა და სხვ. მონაცემების განთავსებით. სოციალურ ქსელში ადამიანებს შეუძლიათ ისაუბრონ და გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, ინტერესები, შეიძინონ ახალი მეგობრები. ცნობილია, რომ ეს ტერმინი სამეცნიერო კონტექსტით პირველად გამოიყენა ავსტრალიის და ბრიტანეთის სოციალურმა ანთროპოლოგმა ჯონ არუნდელ ბარნსმა (John Arundel Barnes) 1954 წელს. თანამედროვე (2016 წ.) პოპულარული სოციალური ქსელებია: Facebook, Twitter, Google+, LinkedIn, Instagram, Pinterest, Reddit, Tumblr და სხვ.

სოციალური ჭრა – კანონმდებლობით გათვალისწინებული არაკომერციული მიზნით, მოსახლეობის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხე-ტყით უზრუნველყოფისათვის შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება.

სოჭი (ლათ. Abies) – ტანმაღალი, მარადმწვანე, ვერცხლისფერი შეფერილობის ხე (ნახ. 1. კავკასიური სოჭი). თვისებებით ძალიან ჩამოჰგავს ნაძვს, თუმცა მასზე ოდნავ რბილია, არ აქვს ფისსავალი გზები და არ შეიცავს ფისს. სიმკვრივე – 370-600 კგ/მ^3. გავცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. საქართველოში მხოლოდ ერთი სახეობაა – კავკასიური სოჭი და ინტროდუცირებულია 13 სახეობა. დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე და აღმოსავლეთ აზიაში (განსაკუთრებით იაპონიაში). ს. მერქანი ძირითადად გამოიყენება ქაღალდის წარმოებაში, მშენებლობასა და მუსიკალური რეზონანსული ინსტრუმენტების დასამზადებლად. ის ლამაზი, დეკორატიული ხეა. ბაღებსა და პარკებში აშენებენ უმეტესად მის მტირალა, ხშირტოტიან და ნაირფერწიწვიან ფორმებს. მსოფლიოში ს. 50-მდე სახეობაა ცნობილი, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ჯიშები: ციმბირული (ნახ. 1), კავკასიის, ევროპული, ამურის, დუგლასის (ნახ. 2), თეთრი, მაკედონიის, კილიკიის, სიცილიის, ნორდმანის (ნახ. 3), მარისის, კავაკამის, კორეული (ნახ. 4), ორფოთლიანი, ფრეიზერის, კორეის, სახალინის,

ნახ. 1

ნახ. 2

ვიჩის, დურანგო, გვატემალის, შენსიისკის, სემიონოვის, სუბალპური (ნახ. 5), გიკელი, ესპანური, ნუმიდიის, ჩენგის, ფაბრის, ფორესტის, ჰიმალაიური და სხვ.

ნახ. 3

ნახ. 4

ნახ. 5

სოჭი ერთფეროვანი (ლათ. Abies concolor) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში (ნახ.1). იზრდება სიმაღლით 60 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 1,9 მ-მდე. ქერქი მაგარი და ღია ფერისაა (ნახ. 2). ნაქურთენიც ღია ფერისაა, გულს კი აქვს ყავისფერ-მოწითალო შეფერილობა (ნახ.3). მერქანი გამოირჩევა შედარებით უხეში სტრუქტურით. არ აქვს სპეციფიკური გემო და სუნი. შრობის პროცესში არ იბრიცება. მდგრადია დარტყმითი დატვირთვების მიმართ. კარგად იჭერს წებოსა და საღებავს. ცუდად იჭერს ლურსმანს. სიმკვრივე – 435-490 კგ/მ^3; დრეკადობის მოდული – 10300 მპა; სიმტკიცის ზღვარი გაგლეჯაზე – 67,6 მპა; სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე ბოჭკოების გასწვრივ – 40,0 მპა; სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე ბოჭკოების განივად – 3,65 მპა; შევლება სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე ბოჭკოების გასწვრივ – 40,0 მპა; შევლება: რადიალური მიმართულებით – 3,3%, ტანგენციალური მიმართულებით – 7,0%. გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. თეთრი სოჭის წარმოებას კანადისა და აშშ-ის მრეწველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი მერქანი მიეკუთვნება უნივერსალურ წიწვოვან ჯგუფს და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა საშენი მასალის (დროებითი ხის კონსტრუქციები, ხის ტარა, კარისა და ფანჯრის ბლოკები, საიდინგი, ნივნივები, ყალიბები, კედლის კარკასები, სამშენებლო ფანერი, სადურგლო ნაკეთობები და სხვ.) დასამზადებლად, რომელთაგან ხაზგასმით შეიძლება გამოვყოთ საყრდენები და ხიმინჯები.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სოჭი ესპანური (ლათ. Abies pinsapo) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში (ნახ.1). იზრდება სიმაღლით 25 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 1 მ-მდე. ქერქი ყავისფერ-მონაცისფრო ფერისაა. პირამიდის ფორმის ვარჯი შემკულია უიშვიათესი სილამაზის, 15-18 სმ სიგრძის, ზევით მიმართული მოწითალო გირჩებით, რაც მცენარეს ანიჭებს მაღალ დეკორატიულ გამომსახველობას (ნახ. 2). გავრცელებულია ესპანეთის რესპუბლიკის სამხრეთში (მალაგის პროვინცია) და მაროკოს სამეფოს ჩრდილოეთის მთებში. გვხვდება საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ძირითადად გამოიყენება, როგორც დეკორატიული მცენარე ბაღებისა და პარკების გასაშენებლად.

ნახ. 1

ნახ. 2

სოჭი თეთრი ევროპული (ლათ. Abies alba) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში (ნახ.1, ნახ.2). იზრდება სიმაღლით 30-65 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 2 მ-მდე. სიმკვრივე 480 კგ/მ^3. გავრცელებულია კარპატებში, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, იტალიის მთებში, ჩეხეთისა და პოლონეთის მაღლობებზე. გამოირჩევა მაღალი ტექნიკური თვისებებით, არა აქვს ფისსავალი გზები, მედეგია ლპობისადმი, კარგად ექვემდებარება შრობას, ჭრას, ხერხვას, რანდვას, პობას. მშენებლობაში გამოიყენება, როგორც მოსაპირკეთებელი მასალა. ხარისხით ჩამოუვარდება ნაძვისა და ფიჭვის მასალას.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 1

სოჭი კავკასიური (ლათ. Abies Nordmaniana) – მარადმწვანე, წიწვოვანი ხე. სიმაღლე – 50-60 მ, ვარჯი – კონუსისებრი, დახრილი; მთავარი ღეროს ქერქი – რუხი ნაცრისფერი. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, წიწვები – ეთერზეთებს. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე ქართლში – მდ. პატარა ლიახვის აუზამდე და თრიალეთის ქედზე სოფ. მანგლისამდე, ხარობს ზღ. დ. 800-2200 მ-მდე. დეკორატიულია (ნახ. 1). გამოიყენება მშენებლობაში, ქაღალდის წარმოებაში, საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად და სხვ. შესანიშნავი დეკორატიული ხეა ბაღებისა და პარკების გასაშენებლად.

სოჭი კორეული (ლათ. Abies koreana) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში (ნახ.1). იზრდება სიმაღლით 15 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 0,8 მ-მდე. ქერქი გლუვზედაპირიანი და ღია-ნაცრისფერია. ნაქურთენიც ღია ფერისაა, გულს კი აქვს შედარებით მუქი შეფერილობა. გავრცელებულია კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთში. ძირითადად დეკორატიული დანიშნულების მცენარეა. დეკორატიულობას ვარჯის კონფიგურაციის გარდა ანიჭებს იისფერი, ზევით მიმართული, გირჩები (ნახ. 2).

ნახ. 1

ნახ. 2

სოჭი მაღალი (ლათ. Abies procera) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში (ნახ.1). იზრდება სიმაღლით 65 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 2,5 მ-მდე. ყველაზე დიდი ხე ცოცხლობს აშშ-ის ნაციონალურ ნაკრძალში „გიფორდი“ (Gifford Pinchot National Forest) სიმაღლით 85 მ და ტანის დიამეტრით 8,6 მ. ქერქი ყავისფერ-მომწვანო ფერისაა სისქით 25 მმ-მდე. სიმკვრივე 480 კგ/მ^3. გავრცელებულია აშშ-ის დასავლეთ ოკეანის სანაპიროს მცირე ტერიტორიაზე (ვაშინგტონის, ორეგონის და კალიფორნიის შტატები). მშენებლობაში გამოყენების ხაზით არავითარი შეზღუდვა არ აქვს.

ნახ. 1

სოჭი ციმბირული (ლათ. Abies sibirica) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე წიწვოვანი ხის ჯიში, ლამაზი კონუსური ვარჯით (ნახ. 1). იზრდება სიმაღლით 30 მ-მდე. აქვს ყვითელი რბილი მერქანი. სიმკვრივე – 390-430 კგ/მ^3; სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვაზე ბოჭკოების გასწვრივ – 67 მპა; სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე ბოჭკოების გასწვრივ – 39 მპა; სიმტკიცის ზღვარი სტატიკურ ღუნვაზე – 68,5 მპა; სიმტკიცის ზღვარი ახლეჩაზე: რადიალური – 6,4 მპა, ტანგენციალური – 6,5 მპა. გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ ციმბირში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში, მონღოლეთში, ყაზახეთის რესპუბლიკაში. გამოიყენება მშენებლობაში, როგორც მორი და დახერხილი მასალა (ფიცრები, ძელაკები, ძელები), გემის გემბანის იატაკებისათვის, ფანერის, მუსიკალური ინსტრუმენტების, შპალების, მაღაროს ბიგების და სხვ. დასამზადებლად.

ნახ. 1

სოხანე – ძვ. დატკეპნილი მიწის იატაკი.

სოხასტერი – ძვ. სადაყუდებლო. განდეგილის სადგომი.

სოხტოროტი – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია).

სპაიდერი (ინგლ. spider ობობა) – ავტომატური მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ნავთობისა და აირის ჭაბურღილების რემონტისას, სატუმბი კომპრესორული მილების ჩავლების, შეკავების, განთავისუფლების პროცესების ავტომატიზაციისათვის.

სპეისერი (ინგლ. spacer<ლათ. spatium სივრცე) – იხ. დისტანციური ლარტყა.

სპეკალი – ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება.

სპელეისტიკა – სპელეოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ხელოვნურ გამოქვაბულებს.

სპელეოლოგია (ბერძ. spēlaion გამოქვაბული და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – ბუნებისმეტყველების დარგი, რომელიც შეიწავლის ბუნებრივად წარმოშობილ მღვიმეებსა და ხელოვნურ გამოქვაბულებს. ადგენს მღვიმეების წარმოშობას, ასაკს, ევოლუციას, სტრუქტურას, მორფოლოგიასა და ეკოსისტემებს.

სპელესტოლოგია – ხელოვნური გამოქვაბულებისა და მიწისქვეშა ნაგებობების შესწავლა სპეციალისტების (არქეოლოგები, გეოლოგები, ისტორიკოსები და სხვ.) მიერ.

სპენი (ინგლ. spen) – ბრიტანული სიგრძის ერთეული 1 სპენი = 0,2286 მ.

სპექტრი (ლათ. spectrum მოჩვენება, წარმოდგენა, სახე) – 1. სხვადასხვა მნიშვნელობების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ფიზიკური სიდიდეების მიერ. ყველაზე ხშირად მცნება "სპექტრი" გამოიყენება რხევით პროცესებთან მიმართებით. ამ პროცესებით განიხილება მარტივი ჰარმონიული რხევების ერთობლიობა, რომლებზეც შესაძლებელია გაშლილი იქნეს რთული რხევითი პროცესი; 2. სხვადასხვა ფერის ზოლი, რომელიც მიიღება პრიზმაში ან სხვა გარდამტეხ გარემოში სინათლის სხივის გავლის დროს (ნახ. 1). არსებობს ს. სხვადასხვა სახეები: აკუსტიკური, ამპლიტუდური, აფეთქების, ბგერითი, ელექტრული სიგნალის, ვიბრაციული, ვიდეოსიგნალის, მაგნიტური, მეორეული, მზის სპექტრი, მოლეკულური, ნაპერწკლის, ოპტიკური, რადიოსიხშირული, რენტგენის, როტაციული, სიხშირული, ტემბრული, უწყვეტი, ფაზასიხშირული, ფაზური, შექცეული, შთანთქმის, წყვეტილი, ხაზოვანი, ხარისხოვანი, ხილვადი და სხვ.



ნახ. 1

სპექტრი ოპტიკური – განსახილველი სხეულის ოპტიკური გამოსხივების (გამოსხივების სპექტრი) ინტენსივობის განაწილება სიხშირეების ან ტალღების სიგრძის მიხედვით, ან შუქის შთანთქმის ინტენსივობა მისი გავლისას განსახილველ ნივთიერებაში (შთანთქმის სპექტრი). ოპტიკური სპექტრი არის ხაზოვანი, რომელიც შედგება ცალკეულ დისკრეტული სპექტრალური ხაზებისგან; ზოლოვანი, რომელიც შედგება ცალკეული დისკრეტული ჯგუფებისგან (მჭიდროდ განლაგებული სპექტრალური ზოლები); მთლიანი, რომელიც შეესაბამება შედარებით ფართო სპექტრში განლაგებული ყველანაირი სიხშირის მქონე შუქის გამოსხივებას ან შთანთქმას. ოპტიკურ სპექტრს განიხილავენ სპექტრული ხელსაწყოების დახმარებით, როგორიცაა: სპექტროგრაფი, სპექტრომეტრი, სპექტროსკოპი, სპექტროფოტომეტრი.

სპექტროგრაფი (ლათ. specere ხედვა და ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ოპტიკური ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია მიიღოს და რეგისტრაცია გაუკეთოს გამოსხივების სპექტრს. გამოიყენება სპექტრული ნივთიერებების სამეცნიერო კვლევებისა და ციური სხეულების გადაადგილებაზე დაკვირვებისათვის.

სპექტროსენსიტომეტრი – ოპტიკური ხელსაწყო ფოტომასალების სპექტრული მგრძნობელობის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის.

სპექტროსკოპი (ლათ. spectrum მოჩვენება, წარმოდგენა, სახე და ბერძ. skopeîn ყურება, შესწავლა) – ოპტიკური ხელსაწყო სპექტრული გამოსხივების ვიზუალური დაკვირვებისათვის. გამოიყენება ქიმიურ და მეტალურგიულ საწარმოებში ნივთიერების სწრაფი და ხარისხიანი სპექტრული ანალიზის ჩასატარებლად.

სპექტროსკოპია – მეცნირების დარგი, რომელიც შეისწავლის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრს, რომელსაც გამოასხივებს, შთანთქავს ან გააბნევს გამოსაკვლევი ნივთიერება. ელექტრომაგნიტური გამოსხივების ტალღის სიგრძის დიაპაზონის მიხედვით არსებობს სპექტროსკოპიის სახეები: რადიო, ოპტიკური, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, რენტგენული და გამასპექტროსკოპია. თითოეულ ატომს ან მოლეკულას აქვს თავისი დამახასიათებელი სპექტრი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნივთიერების აგებულების დადგენა. ელემენტის სპექტრის ხაზების ინტენსივობა გამოიყენება მისი კონცენტრაციის საზომად (რაოდენობრივი ანალიზი).

სპექტროფოტომეტრი (ლათ. spectrum მოჩვენება, წარმოდგენა, სახე, ბერძ. photo სინათლე და métron გაზომვა) – ბიოქიმიური პარამეტრების გასაზომი ხელსაწყო, რომელიც კომპიუტერიდან იმართება და აქვს ძალიან მაღალი სიზუსტე.

სპექტროჰელიოგრაფი (ლათ. specere ხედვა, ბერძ. hēlios მზე და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – სპექტრული ასტრონომიული ხელსაწყო მზის დისკოს გადასაღებად მონოქრომატულ სინათლეზე. ს. გვეხმარება მზის ზედაპირზე ტალღებისა და მოცემულ სპექტრში გამოსხივების წარმოშობისა და მშთანთქმელი განათების აღმოსაჩენად.

სპექტროჰელიოსკოპი – ასტროფიზიკური ინსტრუმენტი მზეზე ვიზუალური დაკვირვებისათვის მონოქრომატული განათების დროს. მისი მეშვეობით აკვირდებიან მზის აქტივობას.

სპექტრული ანალიზი – ობიექტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდთა ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება მატერიისა და გამოსხივების ურთიერთქმედებით წარმოქმნილი სპექტრის შესწავლას. ატომური და მოლეკულური სპექტრული ანალიზი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს საკვლევი ელემენტის ატომური და მოლეკულური შემადგენლობა.

სპეციალიზაცია – 1. წარმოების ორგანიზაციის რაციონალური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ნომენკლატურის შემცირებასა და ნაკეთობის გამოშვების სერიულობას ამ წარმოებაში. ს. ხორციელდება მრეწველობის დარგებში, საწარმოთა ჯგუფებში, ცალკეულ საწარმოებში, მათ საამქროებსა და უბნებში. არსებობს საგნობრივი ს. – ერთნაირი დასახელების ნაწარმის მიხედვით (მაგ., ტელევიზორები, კომბაინები); ტექნოლოგიური – ტექნოლოგიური პროცესების ცალკეული სახეობების მიხედვით (მაგ., ლითონჩამომსხმელი კერამიკული წარმოება); დეტალური – ცალკეული ტიპის დეტალებისა და კვანძების წარმოების მიხედვით (მაგ., საბურავები, ბურთულსაკისრები). ს. უზრუნველყოფს წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ხელს უწყობს შრომატევადობისა და ღირებულების შემცირებას; 2. რაიმე სფეროში სპეციალური ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენა; 3. შრომის ცალკეულ ოპერაციებად დაყოფა; 4. გონებრივ-ფიზიკური შესაძლებლობების კონცენტრირება საქმიანობის ცალკეულ მიმართულებაზე.

სპეციალიზაცია ტექნოლოგიური – ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული სტადიის ან ფაზის შესრულების გეგმაზომიერად გამოყოფისა და დამკვიდრების ოპერაცია ცალკე წარმოებად (მაგ., საკედლე პანელების დამზადება, ავეჯის ფურნიტურის წარმოება, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების წარმოება და სხვ.).

სპეციალიზებული ბრიგადა – ერთი პროფესიის რგოლებისგან შედგენილი ჯგუფი, რომელიც განსაზღვრული სახის სამუშაოს ასრულებს (25-30 კაცი).

სპეციალისტი (ფრანგ. specialiste<ლათ. specialis ინდივიდუალური, კერძო) – ადამიანი, რომელსაც სპეციალური ცოდნა აქვს მეცნიერების ან ტექნიკის რაიმე დარგში; რაიმე სპეციალობის წარმომადგენელი.

სპეციალობა (გვიანდელი შუაინგლ. specialite<გვიანდელი ლათ. speciālitās განსაკუთრებული<ლათ. specialis ინდივიდუალური, კერძო) – 1. რაიმე საქმიანობა, ხელობა, პროფესია, რომელიც საგანგებო დახელოვნებას მოითხოვს; კვალიფიკაცია (მაგ., მშენებლის, სანტექნიკოსის, შემდუღებლის და ა.შ.); 2. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ოსტატობის ცალკე დარგი.

სპეციალური (ინგლ. special<ლათ. specialis ინდივიდუალური, კერძო) – 1. განსაკუთრებული, საგანგებო დანიშნულების მქონე; 2. რაიმე სპეციალობასთან დაკავშირებული; 3. ნაგებობის კონსტრუქცია, დეტალი, ნაკეთობა და სხვ., რომელიც მხოლოდ ამ ნაგებობისათვისაა განკუთვნილი.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმება – შეთანხმება, რომლის მიღება სავალდებულოა უძრავ ქონებაში (ობიექტში) ცვლილებების შეტანამდე, ამ ქონების (ობიექტის) ისეთი გამოყენებისას, რომელიც კანონით დადგენილი წესით მოითხოვს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

სპეციალური გასართობი შენობა – სპეციალური გასართობი შენობა არის ნებისმიერი დროებითი ან მუდმივი შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც გამოიყენება გასართობი ან საგანმანათლებლო მიზნით და მასში განთავსებულია მექანიზმი ან სისტემა, რომელსაც ადამიანები გადაჰყავს ან უზრუნველყოფს სავალ გზებს სვლაგზის გასწვრივ, გარშემო ან თავზე ნებისმიერი მიმართულებით ისე, რომ გასასვლელ საშუალებებთან მისვლა გაძნელებულია ვიზუალური თუ აუდიო გასართობების გამო ან საგანგებოდაა დახლართული და ძნელად მისადგომი ატრაქციონის სახეობიდან ან გადასაადგილებელი საშუალებიდან გამომდინარე.

სპეციალური დანიშნულების მიწა – ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის კატეგორია, რომელიც გამოიყენება სატყეო მეურნეობის მომსახურებისა და წარმოების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენი მასალების მოპოვების, აგრეთვე მებაღეობისა და მეღვინეობისათვის.

სპეციალური ფირნიში – ფირნიში, რომელიც ადასტურებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მრგვალი ხე-ტყის (მორის) კანონიერ წარმოშობას და დადგენილი წესით აღირიცხება მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სპეციალური ფუნქციები – ფუნქცია ან ფუნქციათა კლასი, რომელიც გამოიყენება ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მრავალი ამოცანის ამოხსნისას (მაგ., γ ფუნქცია, სფერული ფუნქცია, ცილინდრული ფუნქცია და სხვ.).

სპეციფიკა (ლათ. specificus თავისებური) – მხოლოდ მოცემული საგნის, ნაკეთობისა და მოვლენის დამახასიათებელი განსაკუთრებული, განმასხვავებელი ნიშანი.

სპეციფიკაცია (ლათ. specificatio<species ტიპი, სახე, სახესხვაობა და facio კეთება) – 1. ნაკეთობის ტექნიკური საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ცხრილის სახითაა შედგენილი. მასში მითითებულია ნაკეთობის ნაწილები (საამწყობო ერთეულები), შემადგენელი ელემენტები, მასალები და მასები. ს. გამოიყენება ნაკეთობის დაკომპლექტებისათვის მათი აწყობისა და მონტაჟის დროს, აგრეთვე წარმოების დაგეგმვის დროს და სხვ. მიზნით; 2. რისამე სპეციფიკური თავისებურების განსაზღვრა და ჩამოთვლა. ს. შესრულების წესებს ადგენს სახელმწიფო სტანდარტი.

სპეციფიკაციის უწყისი – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მოცემული კომპლექსის ან კომპლექტის ყველა სპეციფიკაციის ჩამონათვალს.

სპეციფიკური (<ლათ. specificus თავისებური) – რაც დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული საგნის ან მოვლენისათვის; თავისებური, განსაკუთრებული, სხვისგან განსხვავებული.

სპეციფიკური ტექნიკური დოკუმენტაცია – დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ თვისებების უცვლელობის შეფასებისა და ვერიფიკაციის სისტემა ჩანაცვლებულ იქნა სხვა მეთოდებით, და რომ აღნიშნული მეთოდების შედეგად მიღებული შედეგები ეკვივალენტურია სტანდარტებით გათვალისწინებული გამოცდის მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგებისა.

სპიდომეტრი (ინგლ. speed სიჩქარე და ბერძ. métron გაზომვა) – ხელსაწყო, რომელიც უჩვენებს მანქანის მოძრაობის სიჩქარეს (კმ/სთ). არსებობს მაგნიტოინდუქციური და მექანიკური. ათვლა ხორციელდება ან ტრანსმისიიდან ან ბორბლიდან. ძირითადად, სპიდომეტრთან ერთად ერთ კვანძში ეწყობა მანძილის ამთვლელი მექანიზმი (კმ).

სპილენძი (ლათ. cuprum<კუნძულ კვიპროსის სახელწოდების მიხედვით) – ქიმიური ელემენტი, მოწითალო-მოვარდისფრო რბილი და კარგად ჭედადი პლასტიკური ლითონი (ნახ. 1). აღინიშნება სიმბოლოთი Cu, ატომური ნომრით 29. სიმკვრივე – 8920 ტ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით – 2,5-3; დნობის ტემპერატურა – 1083,4°C; დუღილის ტემპერატურა – 2567°C. გამოირჩევა მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობით. ს. გამოიყენება: მავთულისა (ნახ. 2) და დენგამტარი ნაწილების, ქიმიური აპარატების, მილების (ნახ. 3), არმატურის დასამზადებლად, საშენ მასალად, შენადნობების (თითბერი, ბრინჯაო, მელქიორი) წარმოებაში, ქიმიურ მრეწველობაში, გალვანურ ტექნიკაში, ფხვნილების მეტალურგიაში, საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

სპილენძის კარბონატები – სპილენძის ნახშირმჟავა მარილები. ბუნებაში გვხვდება ძვირფასი ქვების – მალაქიტისა და აზურიტის სახით.

სპილენძის შენადნობები – სპილენძის შენადნობები კალასთან, თუთიასთან, ალუმინთან, ტყვიასთან, ნიკელთან, მანგანუმთან, რკინასთან, ფოსფორთან, სილიციუმსა და სხვ. მალეგირებელი კომპონენტების დამატებით ს. შ. შეიძლება იყოს პლასტიკური, მტკიცე, ანტიფრიქციული, კოროზიამედეგი, მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობისა და სხვ.

სპილიტი [ინგლ. spilite<spilos (spilos spot) ლაქა, ფრიალო კლდე] – წვრილმარცვლოვანი ექსტრუზიული პალეოტიპური ბაზალტური შედგენილობის ქანი. გვხვდება იქ, სადაც ამოფრქვეული ვულკანური ლავა ჩაედინება ზღვაში. მის შემადგენლობაში შედის: კაჟმიწა (40%), ნატრიუმი, ბაზალტი, მანგანუმი, მაგნიუმი, რკინის ორჟანგი, ალუმინის ორჟანგი და სხვ. გამოიყენება საშენ მასალად.

სპირალი (ბერძ. speira ხვეულა) – 1. მათემ. მრუდი, რომელიც უსასრულო რაოდენობის ხვეულებს აკეთებს წერტილის ირგვლივ და თანდათან შორდება ან უახლოვდება ამ წერტილს (ნახ. 1); 2. ამ სახით დახვეული მავთული ან ზამბარა სხვადასხვა დანიშნულების. არსებობს სპირალის ნაირსახეობები: არქიმედეს ხვია, ლოგარითმული ხვია, ჰიპერბოლური ხვია და სხვ.

ნახ. 1

სპირალური კლასიფიკატორი – კლასიფიკატორი, რომელიც მიეკუთვნება მექანიკურ დამხარისხებელს, რომელსაც აქვს წყალში შემღვრევისა და განტვირთვის მექანიზმი სპირალის სახით. იყენებენ ქვიშების სველი მეთოდით გამდიდრებისათვის. ასეთი კლასიფიკატორები შეიძლება იყოს ერთ- და ორსპირალიანი.

ნახ. 1

სპირალური მილი – სითხის გასათბობი კლაკნილა მილი ავზებში (საქვაბეებში). არსებობს ფოლადის, სპილენძის (ნახ. 1), თუთიის, ალუმინის, მინისა და სხვ.

ნახ. 1

სპირალურობა – ხის მანკი. წარმოადგენს სპირალის მსგავს ხის ტანს, რომლის გადანაჭერი გვაძლევს ხელოვნურ ირიბფენიანობას [ნახ. 1. ფიჭვის ერთ-ეწრთი სახეობის ხის (ლათ. Pinus contorta) გამოფიტული ღერო ძლიერი სპირალურობით]. სპირალურობა სიმრუდის ნაირსახეობაა.

სპირაჯო – 1. მცირე სიგრძისა და განივკვეთის გვირაბი; 2. გეოლ. პროცესი, რომლითაც ხდება მთის ქანის მსხვრევა და მაგმის აღმავალი მოძრაობის შეჩერება.

სპირტი (ლათ. spiritus სული) – ალკოჰოლი, ორგანული შენაერთების კლასი. ნახშირწყალბადების წარმოებული, ხასიათდება მოლეკულაში ერთი ან რამდენიმე ჰიდროქსილური ჯგუფის (-OH) არსებობით. შენაერთებს, რომლებშიც ეს ჯგუფი დაკავშირებულია ნახშირბადის ატომთან ეწოდება ფენოლები. OH – ჯგუფების რაოდენობით განასხვავებენ ერთ, ორ ან მრავალატომიან ს. OH ჯგუფთან შეერთებული ნახშირბადის ატომის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ – პირველადს RCH_2OH, მეორეულს $(R_2)CHOH$ და მესამეულს $(R_3)COH$. მნიშვნელოვანი სპირტებია: მეთილური CH_3OH, ეთილური ან ღვინის C_2H_5OH, ეთილენგლიკოლი $CH_2(OH)–CH_2(OH)$, გლიცერინი $CH_2(OH)–CH(OH)–CH_2(OH)$. ს. ფართოდ გამოიყენება გამსხნელებად ეთერების, წამლების, სინთეტიკური ფისებისა და სხვათა სინთეზისთვის. ზოგი ს. სურნელოვანი ნივთიერებაა. ეთილური ს. მზადდება ალკოჰოლური სასმელები.

სპირტოვანი ლაქები – ლაქები, რომლებშიც გამხსნელად გამოიყენება ეთილური სპირტი (იშვიათად ენბუთილური). სპირტოვან ლაქებს ამზადებენ ბუნებრივი (შელაქი, კოპალი, სანდარაკი, კანიფოლი) და სინთეტიკური (ფენოლალდეჰიდური) ფისების, მერქნის ეთილის საფუძველზე. აფსკწარმომქმნელი შემცველობით განასხვავებენ სპირტულ ლაქებს (30-40%) და პოლიტურას (10-20%). გამოიყენება ავეჯის, ტყავისა და სხვათა დასამუშავებლად.

სპლიტსისტემა – კონდიციონერი განცალკევებული ტიპის, რომელიც შედგება ორი ან მეტი გარე და ერთი ან რამდენიმე შიგა ბლოკისგან.

სპონგოლითი – წვრილფოროვანი ფხვიერი ან შეცემენტებული დანალექი ქანი. შედგება ოპალის, ზოგჯერ ქალცედონის ნაწილაკგლობულებისა და ორგანული ღრუბლოვანი ნარჩენებისგან. გამოიყენება ცემენტის ჰიდრავლიკურ დანამატად, ნედლეულად აგურის წარმოებაში, აბრაზიულ მასალად და სხვ. ს. ძირითადი საბადოებია ბრაზილიასა და ავსტრალიაში. საქართველოში მოიპოვებენ თერჯოლის რაიონში (აჯამეთი, ნახშირღელე).

სპონსორი (ლათ. spondeo თავდებობა, გარანტიის მიცემა) – 1. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტს, სოციალური ღონისძიებებს და სხვ.; 2. შემკვეთი, ორგანიზატორი, მსხვილი ღონისძიებების მომწყობი.

სპრედინგი – გეოდინამიკური პროცესი, რომელიც ნიშნავს ოკეანის ფსკერის გაზრდას, გაგანიერებას.

სპრინკლერი (ინგლ. sprinkler სარწყავი, გამშხეფებელი) – ავტომატურად ჩართვადი, წყლის გამშხეფი საცმი ხანძარსაწინააღმდეგო მომარაგების სპრინკლერული სისტემების მილებზე (ნახ. 1). ს. სარქველი დაფარულია ადვილად დნობადი მინადუღით. ხანძრის დროს მინადუღი დნება და წნევის ქვეშ მყოფი წყალი იშხეფება სპრინკლერიდან და რამდენიმე კვ.მ.-ის ფართობს რწყავს, ასველებს.

ნახ. 1

სრა – სასახლე (მეფისა, თავადისა და სხვ.).

სრიალა – 1. რაც სრიალით მოძრაობს; 2. სწორი, გლუვი ზედაპირის მქონე.

სრიალი – 1. ხახუნის გამომწვევი მოვლენა, რომლის დროსაც ერთი სხეულის ერთი და იგივე წერტილი თანამიმდევრულად ეხება სხვა სხეულის სხვადასხვა წერტილებს; 2. გლუვ ზედაპირზე, წყალში ან ჰაერში მსუბუქი ნარნარი მოძრაობა.

სრიალის ხახუნი – წინააღმდეგობა, რომელიც ჩნდება ორი სხეულის ერთმანეთის მიმართ ფარდობითი სრიალის დროს. ერთ-ერთ მოხახუნე სხეულზე მოდებული ს. ხ. ძალა მეორე სხეულის მიმართ მისი ფარდობითი სიჩქარის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

სრიალის ხახუნის ნორმალური წნევა – სრული წნევა მოხახუნე ზედაპირების მთელ ფართობზე.

სრულად დაკომპლექტებული სატრანსპორტო საშუალება – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ამა თუ იმ ტიპის მრავალეტაპიანი დამტკიცების პროცესის შედეგად, აკმაყოფილებს შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს.

სრული – 1. მთლიანი, მთელი, საბოლოო, გადამწყვეტი, მტკიცე, მსხვილი, დიდი, ფართო, განიერი; 2. რასაც (ვისაც) არაფერი უშლის ხელს, არ აბრკოლებს.

სრულუფლებიანი – 1. ყველა კანონიერი უფლების მქონე; 2. გარკვეული უფლებებით აღჭურვილი; 3. შეუზღუდველი ძალაუფლების მქონე.

სრულფასოვანი – მაღალი ღირსებისა, მაღალი ხარისხისა.

სრულყოფილი – დახვეწილი, გაუმჯობესებული.

სრუტე – ორი ზღვის ან ოკეანის შემაერთებელი წყლის ვიწრო სივრცე (მაგ., ბოსფორის, დარდანელის, გიბრალტარისა და სხვ.).

სტაბილიზატორი (ფრანგ. stabilisateur<ლათ. stabilis მდგრადი, მყარი) – 1. ცვალებადი აღგზნების მოქმედების პირობებში დასარეგულირებელი სიდიდის საჭირო მნიშვნელობის გარკვეული სიზუსტით შენარჩუნების მოწყობილობა. ს. მუშაობის ხარისხი ფასდება დასარეგულირებელი პარამეტრის გადახრით მოცემული მნიშვნელობიდან; 2. პლასტმასის დანამატი, რომელიც ხელს უწყობს პლასტმასის თავდაპირველი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შენარჩუნებას ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში ანუ ამცირებს დესტრუქციის პროცესების სიჩქარეს სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებისას (ტემპერატურა, მზის რადიაცია). გამოიყენება ანტიოქსიდანტები (ეწინააღმდეგებიან ჟანგვას), ანტირადები

(აფერხებენ დაძველებას გამოსხივებისას), ინჰიბიტორები (ანელებენ ფოტოლიზის, ფოტოდაჟანგვისა და პლასტმასის გამყარების პროცესს), ფოტოსტაბილიზატორები და ა.შ.; 3. ავტომატიკაში – ხელსაწყო, რომელიც გარკვეული სიზუსტით ავტომატურად ინარჩუნებს მოცემულ რეგულირებად სიდიდეს, რომლის ცვლილება გამოწვეულია შეშფოთებით. არსებობს: ელექტროდენის, ძაბვის, მაგნიტური ველის ტემპერატურის, კუთხური სიჩქარისა და სხვ. პარამეტრების ს. მისი ძირითადი სახეებია: პარამეტრული, რომელიც წარმოადგენს პარამეტრების არაწრფივად შემზღუდველს და სტაბილიზატორი უკუკავშირით. ს. დამახასიათებელია მოცემული პარამეტრებიდან შესაძლო გადახრები; 4. ავიაციაში – თვითმფრინავის ჰორიზონტალური ფრთასხმულობის აპარატი, რომელიც ემსახურება ფრენის გრძივი მდგრადობის უზრუნველყოფას; 5. დისპერსიულ სისტემებში (დისპერგატორი, ემულგატორი, ქაფწარმომქნელი) – ნივთიერება, რომელიც ანელებს კოაგულაციაში ფაზის დისპერსიისადმი მიდრეკილებას, დალექვის (სედიმენტაციის) შემნელებელი. არსებობს სტაბილიზატორის სახეები: აირიანი, აირსავსე, ალის, ბომბის, დენის, ელექტრონული, ელექტრონულ-მექანიკური, იარაღის, კამერტონიანი, კაჟბადიანი, კვარციანი, მაგნიტოსტრიქციული, მაგნიტური, მოძრავი, ნეონური, პიეზოელექტრული, სიჩქარის, სტაციონალური, ფერორეზონანსული, ძაბვის, ჰიდრავლიკური და სხვ.

სტაბილიზაცია – მდგრადი მდგომარეობა, განმტკიცება, მუდმივობა.

სტაბილიზაცია გრუნტის – გრუნტის თვისებების შეცვლა მისი სიმტკიცის გაზრდის მიზნით. მიმართავენ საგზაო საფუძვლების გასაუმჯობესებლად (გასამაგრებლად), რისთვისაც მასში შეაქვთ მინერალური დანამატები, ამუშავებენ გრუნტს მინერალური (ცემენტი, კირი) ან ორგანული (ბიტუმი) შემკვრელი მასალებით. გრუნტის გაუმჯობესების უმარტივესი მეთოდია თიხისა და ქვიშის ან ქვის მასალების ნარევის დამატება.

სტაბილური (ლათ. stabilis მდგრადი, მუდმივი, უცვლელი) – ის, რაც სტაციონალურად, მყარად, უცვლელად მიმდინარებს (მაგ., სტაბილური კურსი, სტაბილური განათება და სხვ.).

სტაგნაცია (ლათ. stagno ვაჩერებ, უმოძრაოს ვხდი) – წარმოების, ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური პროცესების განვითარების შენელება, შეფერხება; ეკონომიკური ზრდის უკიდურესად დაბალი (3%-ზე ნაკლები) ტემპი ან ეკონომიკური ვარდნა; ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაბალი აქტივობის პერიოდი.

სტაგფლაცია (ინგლ. stagflation უძრაობა) – ეკონომიკის მდგომარეობა, როდესაც ერთმანეთს ერწყმის უძრაობა (სტაგნაცია) და ფულის გაუფასურება (ინფლაცია).

სტადია [ბერძ. stadion სტადი (სიგრძის საზომი)] – განსაზღვრული საფეხური, პერიოდი ან ეტაპი რაღაც პროცესების განვითარებაში, რომელთაც აქვთ თავისი ხარისხობრივი თავისებურებანი.

სტადიონი [ბერძ. stadion (სიგრძის საზომი); ასპარეზი, მოედანი] – სპორტული შეჯიბრებისა და ვარჯიშისთვის განკუთვნილი ნაგებობა, რომელსაც აქვს ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები და გარს ერტყმის მაყურებელთა ტრიბუნები. ს. შეიძლება გაიმართოს აგრეთვე სხვა ღონისძიებებიც, მაგ.: კონცერტი, ფესტივალი, კარნავალი და სხვ. ანტიკურ ხანაში სტადიონის სიგრძე დაახლოებით 175 მ იყო, ხოლო მოკლე და გრძივი გვერდების შეფარდება – მკაცრად 1:7.

მსოფლიოს უდიდესი სტადიონებია – 1. პირველი მაისის სახელობის სტადიონი (May Day Stadium), ქ. ფხენიანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ტევადობა 150 000 კაცი. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი (ნახ. 1). აშენდა 1989 წელს; 2. ინდოელი ახალგაზრდების სტადიონი (Stadium of the Indian Youth ან Salt Lake Stadium), ტევადობა 120 000 კაცი, აშენდა 1984 წელს, ქ. კოლკატა (ყოფილი კალკუტა), ინდოეთის რესპუბლიკა (ნახ. 2); 3. მიჩიგანის სტადიონი ენ-არბორი (Michigan Stadium), ტევადობა 109 901 კაცი, აშენდა 1927 წელს, მიჩიგანის შტატი, აშშ; ამერიკის კონტინენტზე ყველაზე დიდი სტადიონი; 4. პენსილვანიის უნივერსიტეტის სასპორტო არენა (Beaver Stadium), ტევადობა 105 572 კაცი, აშენდა 1960 წელს, შტატი პენსილვანია, აშშ; სიდიდით მეორე სტადიონი აშშ-ში; 5. აცტეკას სტადიონი (Azteca), ტევადობა 105 064 კაცი, აშენდა 1968 წელს, ქ. მეხიკო, მექსიკის შეერთებული შტატები; ყველაზე დიდი სტადიონი ლათინურ ამერიკაში; 6. ნეილენდის სტადიონი (Neyland Stadium), ტევადობა 102 455 კაცი, აშენდა 1921 წელს, ქ. ნოქსვილი, შტატი ტენესი, აშშ; 7. ოჰაიოს სტადიონი (Ohio Stadium), ტევადობა 102 329 კაცი, აშენდა 1922 წელს, ქ. კოლუმბუსი, შტატი ოჰაიო, აშშ; ოჰაიოს უნივერსიტეტის სასპორტო არენა; 8. ბრაიანტ დენი სტადიონი (Bryant Denny Stadium), ტევადობა 101 821 კაცი, აშენდა 1928 წელს, ქ. ტუსკალუკა, შტატი ალაბამა, აშშ, ; 9. ბუკიტ ჯალილი (Bukit Jalil), ტევადობა 100 200 კაცი, აშენდა 1998 წელს, ქ. კუალა-ლუმპური, მალაიზია;10. დარელ კ როიალი (Darrell K Royal, ძველი სახელი Texas Memorial Stadium), ტევადობა 100 119 კაცი, აშენდა 1924 წელს, ქ. ოსტინი, შტატი ტექსასი, აშშ; ამერიკული ფეხბურთის საუნივერსიტეტო გუნდის სასპორტო არენა; 11. მელბურნის კრიკეტის მოედანი (Melbourne Cricket Ground), ტევადობა 100 018 კაცი, აშენდა 1954 წელს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, ქ. მელბურნი, ავსტრალიის კავშირი; ყველაზე დიდი სტადიონი ავსტრალიის კონტინენტზე და ყველაზე დიდი კრიკეტის სტადიონი მსოფლიოში; 12. კამპ ნოუ (Camp Nou), ტევადობა 99 453 კაცი, აშენდა 1957 წელს, ქ. ბარსელონა, ესპანეთის სამეფო; ყველაზე ტევადი სტადიონი ევროპაში; 13. სოკერ სიტი (Soccer City), ტევადობა 94 736 კაცი, აშენდა 1989 წელს, ქ. იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; 14. როუზ ბოული (Rose Bowl), ტევადობა 94 392 კაცი, აშენდა 1922 წელს, ქ. პასადენა, შტატი კალიფორნია, აშშ; 15. ლოს-ანჯელეს მემორიალ კოლიზეუმი (Los Angeles Memorial Coliseum), ტევადობა 93 607

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

კაცი, აშენდა 1923 წელს, ქ. ლოს-ანჯელესი, შტატი კალიფორნია, აშშ; 16. სენფორდის სტადიონი (Sanford Stadium), ტევადობა 92 746 კაცი, აშენდა 1929 წელს, ქ. ათენი, შტატი ჯორჯია, აშშ); 17. ტაიგერ სტადიონი (Tiger Stadium), ტევადობა 92 542 კაცი, აშენდა 1924 წელს, ქ. ბატონ-რუჟი, შტატი ლუიზიანა, აშშ; 18. კოტონ ბოული (Cotton Bowl), ტევადობა 92 100 კაცი, აშენდა 1930 წელს, ქ. დალასი, შტატი ტექსასი; 19. აზადი (Azadi), ტევადობა 91623 კაცი, აშენდა 1971 წელს, ქ, თეირანი, ირანის ისლამური რესპუბლიკა; 20. უემბლი (Wembley), ტევადობა 90 000 კაცი, აშენდა 2007 წელს, ქ. ლონდონი, ინგლისი (ნახ. 3). გარდა ჩამოთვლილისა, შესანიშნავი სტადიონებია აშენებული: მილანში (სან სირო, იტალიის რესპუბლიკა); მადრიდში (სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონი, ესპანეთის სამეფო); პარიზში (სტად დე ფრანსი, საფრანგეთის რესპუბლიკა); რომში (სტადიო ოლიმპიკო, იტალიის რესპუბლიკა), მიუნხენში (ალიანც არენა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნახ. 5), მოსკოვში (ლუჟნიკები, რუსეთის ფედერაცია), მანჩესტერში (ოლდ ტრაფორდი, ინგლისი), ამსტერდამში (ამსტერდამ არენა, ნიდერლანდები), ათენში (ოლიმპიური სტადიონი, საბერძნეთის რესპუბლიკა), რიო-დე-ჟანეიროსა (მარაკანა, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა) და სხვ.

ნახ. 4

ნახ. 5



ნახ. 1

სტავკირხე – ხის კარკასული ეკლესიის ტიპი გავრცელებული სკანდინავიაში XI საუკუნიდან (ნახ. 1).

ნახ. 1

სტაკერი (ინგლ. stacker<stack დაწყობა თაკარებად) – მოძრავი მანქანა-მექანიზმი (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება მოკლე ხის (ლითონის) მასალის თაკარად დასაწყობად (დასაშტაბელებლად). გადაადგილდება გაგანიერებული რელსის მარგილით. თაკარას (შტაბელის) სიმაღლე სტაკერში ზოგჯერ 30-35 მ აღწევს.

სტალაგმიტი (ბერძ. stalagmos წვეთი) – გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტად აღმართული შვერილი, რომელიც წარმოქმნილია თაღიდან ჩამონადენი კირიანი წყლის წვეთებისგან (ნახ. 1. სტალაგმიტები ბაკენის კირქვის მღვიმეების სამეფო გამოქვაბულში, აღმოსავლეთ გიპსლენდის რეგიონი, ვიქტორიის შტატი, ავსტრალიის კავშირი).

ნახ. 1

სტალაგნატი (სტალაქტონი, აგლომერაციული სვეტი) – კარსტულ მღვიმეებში სვეტი ჭერიდან იატაკამდე, რომელიც წარმოიქმნება სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთებით, ან როცა სტალაქტიტი შეუერთდება იატაკს (ნახ. 1. სტალაგნატი კანგოს მღვიმეებში, სვორტბერგის მთისწინეთი, ქ. აუდსჰორნის სიახლოვეს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ნახ. 1

ნახ. 1

სტალაქტიტი (ბერძ. stalaktos ჩამონაწვეთი) – 1. დეკორატიული მოტივი "საწვეთური" – საფეხურებად განლაგებული პრიზმული ფიგურები, რაც ფართოდაა გამოყენებული ისლამურ არქიტექტურაში ლავგარდანისა და სხვა გამოშვერილი დეტალების დამუშავებისას; 2. გამოქვაბულის თაღიდან კონუსისებურ სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი, რომელიც წარმოქმნილია ჩამოჟონილი კირიანი წყლის წვეთებისგან (ნახ. 1. ჯენოლანის მღვიმე, ქ. ობერონი, ახალი სამხრეთ უელსის შტატი, ავსტრალიის კავშირი).

სტალინისტური არქიტექტურა (ინგლ. Stalinist Architecture) – ტერმინი, რომელიც საბჭოთა კავშირის არქიტექტურას დაერქვა დაწყებული 1933 წელს ბ. იოფანის საბჭოების სასახლის პროექტის ოფიციალური დამტკიცებიდან, 1955 წლამდე, როდესაც ნ. ხრუშჩოვმა დაგმო გასული ათწლეულების გადაჭარბებულობა და დაშალა საბჭოთა კავშირის არქიტექტურის აკადემია. ს. ა., როგორც ასეთი, არ არის არქიტექტურული სტილი თვითმყოფადი ფორმებით. უფრო ზუსტად ეს ტერმინი აღწერს არქიტექტურას, რომლის მეშვეობით სახელმწიფო მასებზე იდეოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა, იყენებდა რა ამგვარ კონსტრუქციებს სახელმწიფოს ძლიერების გამოხატვის საშუალებად.

ნახ. 1

პარადული მონუმენტალიზმის, პატრიოტული ხელოვნების დეკორაციებისა და ტრადიციული მოტივების კომბინაცია გახდა ზოგადად არქიტექტურაში საბჭოთა წვლილის ყველაზე მკაფიო ნიმუშები. შენობათა უმრავლესობა, სველი ბათქაშის მდიდრული ზედაპირის შიგნით, მარტივი აგურის წყობით იყო ნაგები. გამონაკლისს წარმოადგენდა ა. ბუროვის საშუალო ზომის ბეტონის ფილების სახლები და დიდი ზომის ნაგებობები, როგორიცაა ე.წ. "შვიდი დობილი" (მოსკოვის სტალინისდროინდელი ცათამბჯენები), რომლებიც სიდიდის გამო მოითხოვდა ბეტონის გამოყენებას (ნახ. 1. საცხოვრებელი სახლი კოტელნიკოვის სანაპიროზე, ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია). 1917 წლამდე რუსული არქიტექტურული სცენა იყოფოდა ე.წ. "რუსკი მოდერნად" (არტნუვოს ადგილობრივი მიმართულება, განსაკუთრებით ძლიერი მოსკოვში) და ნეოკლასიკური აღორძინება (ძლიერი სანკტ-პეტერბურგში). ნეოკლასიკური სკოლის აღზრდილი არქიტექტორები იყვნენ ა. შჩუსევი, ი. ჟოლტოვსკი, ი. ფომინი, ვ. შუკო და ა. ტამანიანი. რევოლუციის დროისათვის ისინი უკვე დამკვიდრებული პროფესიონალები იყვნენ ორმოცი წლის ასაკში, საკუთარი პრაქტიკით, სკოლებითა და მიმდევრებით. სწორედ ისინი გახდნენ ს. ა. მამები და მათ ეკუთვნით ამ პერიოდის საუკეთესო ნიმუშები. ქალაქგეგმარება ცალკე ვითარდებოდა. საბინაო კრიზისი დიდ ქალაქებში და ინდუსტრიალიზაცია მოშორებულ რეგიონებში მოითხოვდა მასობრივ საბინაო მშენებლობას, ახალი ტერიტორიების ათვისებასა და ძველი ქალაქების რეკონსტრუქციას.

ნახ. 2

თეორეტიკოსებმა შეიმუშავეს რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება, რომელიც გაცხოველებული პოლიტიზებული დებატების საგანი გახდა, თუმცა მცირე პრაქტიკული შედეგით. სტალინის პირადი გემოვნება არქიტექტურაში და ამ პროცესში ჩარევის მასშტაბი ძირითადად 1931-1933 წლების საბჭოების სასახლის პროექტის კონკურსის ირგვლივ ტრიალებს. სტალინმა ბ. იოფანი აირჩია ერთი პროექტისთვის, თუმცა ქვეყნის მშენებლობაში ყველა დანარჩენი კონკურენტი არქიტექტორიც დაასაქმა. დ. ხმელნიცკის სიტყვებით "შედარება ნაცისტურ არქიტექტურასთან გარკვეულწილად აქტუალურია, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით. სტალინს არასდროს აურჩევია ერთი არქიტექტორი ან ერთი სტილი, როგორც ჰიტლერმა აირჩია შპეერი. ვერცერთი ელიტური ჯგუფი ვერ გაიმარჯვებდა, ვერც კონსტრუქტივისტები და ვერც ტრადიციონალისტები. სტალინმა შექმნა საკუთარი შპეერი ყველაფრისაგან რაზეც ხელი მიუწვდებოდა". ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ დამოუკიდებელ ჯგუფთა დაშლამდე, სტალინის მეგაპროექტებმა ათასობით პროფესიული სამსახური შექმნა. შედეგად, ერთ დროს ხმამაღალი ახალგაზრდობა რეალურ პროექტებში დასაქმდა და მათი უფროსების მსგავსად, გამაღიზიანებელი პოლემიკისთვის ვეღარ მოიცალა. ერთბაშად ყველას უამრავი საქმე გაუჩნდა. ამ პერიოდის პირველი წლები აღინიშნა ცალკე მდგომი შენობების პროექტებით. მოსკოვის უზარმაზარი სივრცეების აღმშენებლობა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა ვიდრე ისტორიული უბნების დანგრევა. ამ პერიოდის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი შენობა დგას ერთსადაიმავე მოედანზე, სამივე აგებული 1931-35 წლებში, თუმცა თითოეული პროექტი დამოუკიდებლად დამუშავდა და

ნაკლები ყურადღება დაეთმო ადგილის საერთო ანსამბლს. სამივე შენობამ განვითარების საკუთარი ვექტორი განაპირობა მომდევნო ორი ათწლეულისთვის: 1. მოხოვაიას ქუჩის შენობა (არქ. ი. ჟოლტოვსკი), რომლის იტალიური რენესანსის მოტივები, დასაბამი გახდა ომის შემდგომი ექსტერიერის ფუფუნებისა (სტალინის იმპერიული სტილი). თუმცა მისი ზომა ეხამება მიმდებარე მე-19 საუკუნის შენობებს; 2. სასტუმრო "მოსკოვი" (არქ. ა. შჩუსევი) პროექტი, პირქუში და მძიმე, ყველაფერს მის ირგვლივ ჯუჯად წარმოაჩენს (ნახ. 2. სასტუმრო "მოსკოვი", ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია). განვითარების ეს მიმართულება მოსკოვისთვის ჩვეული არ ყოფილა, თუმცა მსგავსი ბუმბერაზი ნაგებობები ბაქოსა და კიევშიც გაჩნდა. მოსკოვის აივნების რომაული ვიწრო თაღები 1930-იან წლებში მთელ ქვეყანაში გავრცელდა. ომის შემდეგ ისინი უმეტესად სამხრეთულ ქალაქებში ჭარბობს, ამასობაში თითქმის სრულიად გაქრა მოსკოვის პროექტებში; 3. ა. ლანგმანის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შენობა (ამჟამად სახელმწიფო დუმა): მოკრძალებული, თუმცა არა პირქუში ნაგებობა მკვეთრი ვერტიკალური დეტალურობით (ნახ. 3. სახელმწიფო დუმის შენობა, ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია). ეს სტილი, ამერიკული არტდეკოს გონებამახვილი ინტერპრეტაცია, მოითხოვდა ძვირადღირებული ქვისა და ლითონის მოპირკეთებას და ამგვარად მცირე გავრცელება პოვა – საბჭოების სახლი ლენინგრადში (დანგრეული 1941 წელს) და ტვერის ქუჩა მოსკოვში. 1932-1938 წლებში აღმოცენდა განვითარების განკერძოებული მიმართულება, სახელწოდებით "ადრეული სტალინიზმი" ან "პოსტკონსტრუქტივიზმი". მისი საფუძვლები შეიძლება მოიძებნოს გამარტივებულ არტდეკოში (ვ. შუკოსა და ბ. იოფანის მეშვეობით), და თვითმყოფად კონსტრუქტივიზმში, რომელიც თანდათან ნეოკლასიციზმში გადადის (ი. გოლოსოვი, ვ. ვლადიმიროვი). ეს შენობები ინარჩუნებს კონსტრუქტივიზმის მარტივ მართკუთხა ფორმებსა და ვრცელ მინის ზედაპირებს, მაგრამ ასევე შეიცავს ორნამენტულ აივნებს, პორტიკებსა და სვეტებს. 1938 წლისთვის ის მოდიდან გადადის და ომის დასრულებამდე აღარ წარმოჩენილა. ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროექტების განხორციელება სტილებისა და ზომების შეუსაბამობის საშიშროებას წარმოადგენდა. 1935 წლის ივლისში სახელმწიფო კომისიამ შეაფასა მიმდინარე პროექტების შედეგები და საბოლოოდ გამოსცა განკარგულება მოსკოვის გენერალური გეგმის შესახებ. ეს გეგმა მკაფიოდ ასახავდა სტალინის ურბანული განვითარების ხედვას: 1. ახალი განაშენიანება მთელი არქიტექტურული ანსამბლის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს და არა ცალკეული შენობებით; 2. ქალაქის კვარტლის ზომა უნდა გაიზარდოს მიმდინარე 1,5-2-დან 9-15 ჰა-მდე; 3. ახალი განაშენიანების სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს 400 ადამიანს ჰა-ზე; 4. შენობები უნდა იყოს არანაკლებ 6 სართულის; 7-14 სართული პირველი კატეგორიის ქუჩებში; 5. სანაპიროები პირველი კატეგორიის ქუჩებია, რომელთა ზონირება ხდება პირველი კატეგორიის ბინებისა და დაწესებულებებისთვის. ამ წესებმა ეფექტურად აკრძალა იაფფასიანი მასობრივი მშენებლობა ძველ ქალაქში, პირველი კატეგორიის ქუჩებზე და დასაბამი მისცა მოსკოვის ცენტრალური ნაწილის გეგმაზომიერ არქიტექტურულ განვითარებას, რომელმაც დღევანდელი გადასახედიდანაც კი, შესანიშნავი შედეგი გამოიღო. უშუალოდ სტალინის დავალებით, 1939 წელს მოსკოვის ჩრდილოეთით გაიხსნა სახალხო სამეურნეო მიღწევათა გამოფენა, სადაც 1,36 კვ. კილომეტრ ფართობზე 250 პავილიონი იქნა

ნახ. 3

აშენებული. პავილიონები იქმნებოდა საბჭოთა რესპუბლიკებისა და რეგიონების ეროვნულ სტილში; გამოფენაზე გასეირნება ამ უზარმაზარი სახელმწიფოს მრავალფეროვნების ეფექტურ ვიზუალურ შედეგს ქმნიდა. 1939 წლის პავილიონები არის სტალინის მონუმენტური პროპაგანდის ბოლო და ერთადერთი ნიშანი მათი თავდაპირველი გარემოთი. ამგვარ პროპაგანდისტულ ნიმუშებს მხოლოდ დროებითი დანიშნულება ჰქონდა. ომისშემდგომი არქიტექტურა, ხშირად გაიგივებული უნიფორმულ სტილთან, დაიყო სულ მცირე ხუთ განვითარების ვექტორად: 1. მაღალი კლასის საცხოვრებელი და საოფისე მშენებლობა ახლადაღმოცენებულ გამარჯვებულთა თაობისთვის – ომისშემდგომი ელიტისთვის; 2. ძლევამოსილი ინფრასტრუქტურის პროექტები (მეტრო ლენინგრადსა და მოსკოვში, ვოლგა-დონის არხი); 3. ომით დანგრეული კიევის, სმოლენსკის, სტალინგრადის, ვორონეჟისა და ასობით მცირე ქალაქის აღდგენა; 4. ახალი, იაფი ტექნოლოგიების შემუშავება საბინაო კრიზისის დასაძლევად, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დადგა 1948 წელს და ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა გახდა 1951 წლიდან; 5. ახალი ქალაქების მშენებლობა, განსაკუთრებით ციმბირში: ნოვოსიბირსკი, კემეროვო, ძერჟინსკი და სხვ. ს. ა. ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი მოსკოვის მეტრო, რომლის მშენებლობა დაიწყო 1931 წელს. მეტროს მშენებლობის მეორე ეტაპზე (1935 წლიდან) შეიქმნა ისეთი გამორჩეული ნიმუშები, როგორიცაა: "მაიაკოვსკაია" (1938 წ.), "ელექტროზავოდსკაია" და "პარტიზანსკაია" (1944 წ.). 1944 წლის სადგურები გახდა პირველი მუდმივი პატრიოტული ომის მემორიალები. ეს სადგურები გამარჯვებას მიეძღვნა. ლ. პოლიაკოვის სადგური "ოქტიაბრსკაია" აიგო კლასიცისტური ტაძრის იერზე, ბრწყინვალე თეთრ-ლურჯი საკურთხევლით რკინის ჭიშკარს მიღმა – სრული განდგომა ომამდელი ათეიზმისგან. ამ საკურთხევლის სანახავად მგზავრს უნდა გაევლო თაბაშირის დევიზების, ბრინჯაოს სასანთლეებისა და სამხედრო გამოსახულებათა გრძელი რიგი; სადგური "პარკ კულტური" წმინდა გოტიკური შანდლებით იყო მორთული; გმირულ შრომას მიეძღვნა "კოლცევაიას" ხაზის მეორე მონაკვეთი და სხვ. სტალინის 1946 წლის იდეა, მოსკოვის პანორამა ცათამბჯენებით მოეფინა, იყო საფუძველი 1947 წლის იანვრის განკარგულებისა, რომლითაც დაიწყო ექვსწლიანი სახალხო კამპანია. ოფიციალური საფუძვლის ჩაყრის ცერემონიისთვის (სექტემბერი, 1947 წ.), მონიშნული იყო ადგილი რვა ცათამბჯენისთვის (ერთი, "ზარიადნოე", არ აშენდა). ჩამოყალიბდა რვა საპროექტო ჯგუფი, რომელთაც ხელმძღვანელობდა მთავარ არქიტექტორთა ახალი თაობა (37-62 წლის ასაკის). გუნდის საქმიანობას თვალყურს პირადად სტალინი ადევნებდა. ყველა წამყვანი არქიტექტორი წინასწარი პროექტებისთვის 1949 წლის აპრილში სტალინის პრემიით დაჯილდოვდა. ცვლილებები და ჩასწორებები ხორციელდებოდა თითქმის მშენებლობის დასრულებამდე. ყოველი შენობა ზემტკიცე ფოლადის კარკასით იგებოდა, ბეტონის ჭერებით, ბლოკებითა და აგურის ტიხრებით. ცათამბჯენის პროექტები მოითხოვდა მრავალ ახალ მასალას (განსაკუთრებით კერამიკულს) და ტექნოლოგიას. ამ პრობლემათა გადაჭრამ მოგვიანებით ხელი შეუწყო ბინათმშენებლობისა

ნახ. 4

და ინფრასტრუქტურის განვითარებას. მსგავსი ცათამბჯენები აიგო ვარშავაში, რიგაში, კიევში, თბილისსა და სხვა ქალაქებში; 8-12 სართულიანი კოშკები ედგმებოდა 4-5 სართულის სიმაღლის ომისშემდგომი რეგიონული ცენტრების ნაგებობებს (ნახ. 4. მეცნიერებათა აკადემიის შენობა რუსთაველის გამზირზე, თბილისი, საქართველო). სტალინის პრემიამ 1949 წლისთვის (გამოცხადდა 1950 წლის მარტში) გამოააშკარავა სტალინისტური არქიტექტურის მკაფიო, თანამედროვე მიმართულება – ექსტრავაგანტული, ძვირი შენობები კვლავაც განდიდებული იყო, მაგრამ ასევე უპირატესი იყო სტალინისტური სტილის ხელმისაწვდომობისთვის მცდელობა. ის ასევე ხაზს უსვამდე იმ დროის კლასების ფენებად დაყოფას შესაბამისი საცხოვრებელი ფართობის განაწილების მიზნით. ეროვნულ რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ საკუთარი სტალინისტური სტილები განევითარებინათ, მეტნაკლები თავისუფლებით. როდესაც ადგილობრივი ძალები არასაკმარისი იყო, იგზავნებოდა რუსი არქიტექტორები (ა. შჩუსევმა დააპროექტა ტაშკენტის აღმოსავლური იერის თეატრი; ა. ტამანიანი, ერევნის მთავარი არქიტექტორი, იყო მთავარი განმხორციელებელი სტალინისტური არქიტექტურის სომხური ნაირსახეობისა და სხვ.). სტალინისტური არქიტექტურა ომისშემდგომ პერიოდში ევროპის აღმოსავლეთში გავრცელდა. ლ. რუდნევის ვარშავის კულტურის სასახლე, საბჭოთა ხალხის საჩუქარი პოლონეთს, სავარაუდოდ ამგვარი სტილის ექსპორტის ყველაზე შთამბეჭდავი ნიმუშია (ნახ. 5. ვარშავის კულტურის სასახლე, პოლონეთი). ზოგი მათგანი დაცული ძეგლი გახდა, მათ შორის სტალინალეე ბერლინში, ძირითადად დაპროექტებული ყოფილი მოდერნისტების ჰერმან ჰენსელმანისა და რიხარდ პაულიკის მიერ. ახალი ქალაქები მსგავსად ნოვა ჰუტასი პოლონეთში, სტალინვაროსი უნგრეთში და სტალინშტადტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კლასიცისტური სტალინიზმის ესტეთიკის დანერგვის ადრეული მცდელობები იყო. დამთრგუნველი სიდიადის ცენტრალური შენობების ნიმუშებია კასა სკანტეია (რუმინეთი) და ლარგოს კომპლექსი სოფიაში (ბულგარეთი). ყველა ეს პროექტი სტალინის ეპოქას ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი მისი გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. პარლამენტის უზარმაზარი შენობა ბუქარესტში (1984 წ) ამ სტილის ყველაზე გვიანდელი ნიმუშია. აღმოსავლეთ აზიაში მოიძებნება რამდენიმე ნიმუში ჩრდილო კორეასა და ჩინეთში, მაგ., შანხაის საგამოფენო ცენტრი, თავდაპრიველად აგებული როგორც ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობის სასახლე. სტალინისტური სტილი გამოყენებული იყო საბჭოთა საელჩოებში საზღვარგარეთ, მათ შორის აღსანიშნავია საელჩო ჰელსინკიში (ფინეთი). ს. ა. სტილს მიეკუთვნება რუმინეთის პარლამენტის სასახლე ბუქარესტში; რუსეთის თეთრი სახლი, ტრიუმფის სასახლე, გალს-ტაუერი (რუსეთის ფედერაცია) და სხვ.

ნახ. 5

სტანდარტი (ინგლ. standard ნორმა, ნიმუში, საზომი) – 1. კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის (მოქმედებისათვის) ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით. ს. დაცვა სავალდებულო არ არის. ის ასევე

შეიძლება მოიცავდეს ან ექსკლუზიურად ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს საქონლის, პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ; 2. სტანდარტიზაციის ობიექტებისათვის ნორმების, წესების, მახასიათებლების კომპლექსის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ეხება სხვადასხვა სახეობის საქმიანობას ან მის შედეგებს და მიზნად ისახავს გარკვეულ სფეროში ოპტიმალური წესრიგის მიღწევას, შემუშავებულია კონსენსუსის საფუძველზე და დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ; 3. ნიმუში, ეტალონი, მოდელი, რომელიც მიიღება ძირითადად სხვა მის მსგავს ობიექტთან შესადარებლად. ს. როგორც ნორმატიულ-ტექნიკურმა დოკუმენტმა შეიძლება მოიცვას, როგორც პროდუქცია, ასევე ობიექტი. არსებობს საერთაშორისო, რეგიონული, ნაციონალური და ცალკეული ორგანიზაციების ს. სისტემის სტანდარტიზაციის მიხედვით სტანდარტი შეიძლება დავყოთ თემებად: ხარისხის, სოციალური, განათლების, ტერმინოლოგიის, ტექნიკური მოთხოვნების, შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების, დოკუმენტაციის გაფორმების, ეკოლოგიის, შინაური ცხოველების ჯიშებისა და სხვ.

სტანდარტი დეკლარირებული – სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიგა სტანდარტზე.

სტანდარტი რეგიონული – სტანდარტების საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი.

სტანდარტი საერთაშორისო – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი.

სტანდარტი საქართველოს – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საერთაშორისო ან რეგიონული სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ.

სტანდარტი სახელმწიფო – სტანდარტი, რომელიც მიღებული ან დამტკიცებულია სახელმწიფოს სათანადო ორგანოების მიერ და სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე გამოშვებულ პროდუქციაზე ვრცელდება. საქართველოში სტანდარტების შემუშავებას, რეგისტრაციასა და ამ სტანდარტების გავრცელებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. საქართველოში მოქმედი სტანდარტების სახეებია: საქართველოს სტანდარტი, საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციის სტანდარტი, სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი და საწარმოს შიგა სტანდარტი. სტანდარტის შემუშავება (რეგისტრაცია) ხდება დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის საშუალებით და შემდეგ წარმოებს მისი რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტების რეესტრში.

სტანდარტი უცხო ქვეყნის – სტანდარტი, რომელიც მიღებული ან აღიარებულია სხვა ქვეყნის მიერ.

სტანდარტიზაცია – 1. სტანდარტის დადგენისა და გამოყენების პროცესი, რომლის მიზანია სამეურნეო და სამრეწველო მოღვაწეობის მოწესრიგება ნაკეთობების რაციონალური ნომენკლატურის დადგენითა და მათდამი მოთხოვნებით. ს. ქმნის სერიული და მასობრივი

წარმოების წინაპირობას, ხელს უწყობს სპეციალიზაციას და მაშასადამე, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას წარმოებაში; 2. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების თანამიმდევრობა; 3. გადატ. შაბლონურობა, ტრაფარეტულობა.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ისო) (ინგლ. International Organization for Standardization, ISO) – საერთაშორისო სტანდარტის მიმღები ორგანო, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტების ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. ორგანიზაცია დაარსდა 1947 წლის 23 თებერვალს. ის მთელ მსოფლიოში ავრცელებს კერძო სამრეწველო და კომერციულ სტანდარტებს. ორგანიზაციის მთავარი ოფისი მდებარეობს ქ. ჟენევაში (შვეიცარია). მიღებულია, რომ ორგანიზაციის დასახელების აბრევიატურა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირია "ისო" და შეესაბამება ბერძნულ სიტყვას ισος – თანაბარი. ისო-ს მოქმედების სფერო ეხება ყველა დარგს, გარდა ელექტროტექნიკის და ელექტრონიკისა, რომლებიც შედის საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის კომპენტეციაში. ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული და რუსული. მის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს 165 ქვეყნის სტანდარტიზაციის ნაციონალური ორგანიზაციები. ხელმძღვანელი ორგანოებია: გენერალური ანსამბლეა, საბჭო და ტექნიკური ბიურო, სამუშაო ორგანოებია: ტექნიკური კომიტეტები, ქვეკომიტეტები და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფები.

სტანდარტული – 1. რაც სტანდარტს შეესაბამება; ტიპობრივი; 2. გადატ. შაბლონური, ტრაფარეტული.

სტანდარტული ნიმუში – ერთეული სიდიდის კვლავწარმოების ზომა, რომელიც ახასიათებს ნივთიერების თვისებებს ან შემადგენლობას. ს. ნ. იყენებენ მეტროლოგიურ სამუშაოებში ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის კვლევისას; მეცნიერებაში ლაბორატორიული გამოცდების ჩასატარებლად და სხვ. ს. ნ. სახეები, საერთო მოთხოვნები და წესები გაწერილია ქვეყნის ნორმატიულ და ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

სტანდარტული ტემპერატურული რეჟიმი – ტემპერატურის ცვლილების რეჟიმი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობაზე გამოცდის დროს, რომელიც დადგენილია სტანდარტით. საერთაშორისო ნორმების თანახმად "სტანდარტული ხანძრის" შესაბამისი ტემპერატურა გამოითვლება ფორმულით $T = T_0 + 345\lg(8\tau+1)$, სადაც T არის ხანძრის ტემპერატურა, °C; T_0 – საწყისი ტემპერატურა, °C; τ – დრო ხანძრის დაწყებიდან, წთ. მიღებულია, რომ ყველა სახის გამოცდა ცეცხლმედეგობაზე უნდა ჩატარდეს ამ ტემპერატურის შესაბამისად.

სტანცები (ლათ. stanza ოთახი) – ოთახები ვატიკანში, რომლებიც 1508-1517 წლებში რაფაელმა და მისმა მოსწავლეებმა მოხატეს (Stanze di Raffaello): სტანცა დელ ინჩენდიო დი ბორგო (Stanza del'Incendio di Borgo), სტანცა დელლა სენიატურა (Stanza della Segnatura), სტანცა დელიოდორო (Stanza d'Eliodoro). ამ ოთახების ყოველი კედელი ფრესკულ კომპოზიციას უკავია ანუ ყოველ ოთახში ოთხი ფრესკული კომპოზიციაა. სტანცების საუკეთესო ფრესკად და რაფაელის უდიდეს ნაწარმოებად მიჩნეულია "ათენის სკოლა" – რენესანსული ხელოვნების ერთ-ერთი შედევრი (ნახ. 1).

ნახ. 1

სტაჟიორი (ფრანგ. stagiaire სტაჟიორი) – ახალ სამუშაოზე მოწყობილი პიროვნება. მისი შესაძლებლობებისა და უნარის, შეფასებისა და გამოცდილების ათვისების მიზნით, იგი განსაზღვრული დროის პერიოდში მუშაობს შესაბამის ორგანიზაციაში.

სტარტერი (ინგლ. starter<start დაწყება, საქმეში გაშვება) – 1. ავტომატური მოწყობილობა სატრანსპორტო საშუალების ასამუსავებლად (გასაშვებად); მოქმედების პრინციპის მიხედვით არსებობს: ინერციული, პირდაპირი მოქმედების და კომბინირებული. ს. მართვა შესაძლებელია უშუალოდ პედალზე ფეხის დაჭერით ან დისტანციურად ხელით; 2. შუქტექნიკაში – მოწყობილობა ლუმინესცენციური ნათურის ასანთებად; 3. სარკინიგზო მართვის სიგნალი სადგურიდან (ან სხვა ადგილიდან) მატარებლის გასაშვებად; 4. ადამიანი, რომელიც იძლევა შეჯიბრის დაწყების სიგნალს; 5. თემა, საკითხი ან სხვა ელემენტი, რომელიც საჭიროა რაიმე კურსის შესწავლის დასაწყებად.

სტატიკა (ბერძ. statikós იძულებით დადგომა, დაყენება) – მექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ძალთა ერთი სისტემის გარდაქმნას მის ეკვივალენტურ სხვა უფრო მარტივ სისტემად და ნივთიერი სხეულების წონასწორობის პირობებს მასზე მოდებული ძალების მოქმედებისას.

სტატიკურად რკვევადი სისტემა – მექანიკურ სისტემა, რომელშიც უცნობი რეაქციების ძალთა რაოდენობა ტოლია მოცემულ სისტემაზე მოქმედი ძალების წონასწორობის განტოლებების რაოდენობისა.

სტატიკურად ურკვევი სისტემა – მექანიკურ სისტემა, რომელშიც უცნობი რეაქციების ძალთა რაოდენობა მოცემულ სისტემაზე მოქმედი ძალების წონასწორობის განტოლებების რაოდენობაზე მეტია.

სტატიკური მომენტი – მექანიკური სისტემის სტატიკური მომენტი წერტილის (სიბრტყის, ღერძის) მიმართ წარმოადგენს სიდიდეს, რომელიც მათემატიკურად გამოისახება სისტემის (სხეულის) თითოეული წერტილის მასისა და მისი შესაბამისი რადიუს-ვექტორის (მოცემულ სიბრტყემდე მანძილის) ნამრავლის ჯამით (ინტეგრალით). ნაკვთის (განივი კვეთის, ფიგურის) სტატიკური ღერძული მომენტი ეწოდება გეომეტრიულ მახასიათებელს, რომელიც გამოითვლება გამოსახულებით: ox ღერძის მიმართ $S_x = \int ydA$; oy ღერძის მიმართ $S_y = \int xdA$, სადაც y არის მანძილი ელემენტალური dA ფართობიდან ox ღერძამდე; x – მანძილი ელემენტალური dA ფართობიდან oy ღერძამდე (იხ. ინერციის მომენტი, ნახ. 1). მარტივად რომ ვთქვათ, განივი კვეთის (ნაკვთის, ფიგურის) სტატიკური მომენტი რაიმე ღერძის მიმართ, არის ამ განივი კვეთის ფართობის ნამრავლი განივი კვეთის სიმძიმის ცენტრიდან ღერძამდე მანძილზე. განზომილებაა: $სმ^3$; $დმ^3$; $მ^3$. თუ ფიგურა შედგენილია ცალკეული მარტივი ფორმის (სამკუთხედი, კვადრატი, მართკუთხედი და ა.შ.) ნაკვთებისგან, რომელთა სიმძიმის ცენტრების მდებარეობა ცნობილია, მაშინ მთელი ფიგურის ს. მ. ტოლია ამ ცალკეული ნაკვთების ს. მ. ჯამისა, რაც ეფუძნება განსაზღვრული ინტეგრალის თვისებას. ინერციის მომენტის ცნება ფართოდ გამოიყენება მექანიკისა და ტექნიკის მრავალი ამოცანის ამოხსნისას.

სტატიკური მუშაობა – ადამიანის სხეულის დაძაბვა სივრცეში სხეულის, ხელების ან ფეხების გადაადგილების გარეშე.

სტატიკური სიმტკიცის ზღვარი – მუდმივი მექანიკური ძაბვის ზღვრული სიდიდე, რომლის გადაჭარბებისას მექანიკური ძაბვა დაარღვევს ამა თუ იმ ტანს კონკრეტული მასალისგან.

ზოგჯერ მას რღვევის დროებით წინაღობასაც უწოდებენ ანუ ის არის ძაბვა, შესაბამისი უდიდესი ძალისა, რომელიც წინ უსწრებს ნიმუშის რღვევას სტატიკური მექანიკური გამოცდისას. ტერმინი წარმოდგება მოსაზრებიდან, რომლის მიხედვით მასალას შეუძლია უსასრულოდ დიდხანს გაუძლოს ნებისმიერ სტატიკურ დატვირთვას, თუ ის აღძრავს ძაბვას, რომელიც ნაკლებია სტატიკურ სიმტკიცის ზღვარზე ანუ არ აჭარბებს დროებით წინაღობას. დროებითი წინაღობის შესაბამისი დატვირთვისას კი მასალა დაირღვევა დროის სასრულ მომენტში.

სტატისტი (ბერძ. statós მდგომარე) – 1. ადამიანი, რომელიც პასიურად მონაწილეობს რამეში; 2. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი.

სტატისტიკა (ბერძ. statizein დამტკიცება, ჩვენება; ლათ. status მდგომარეობა) – 1. მეცნიერება მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების შესახებ; 2. შემთხვევით სიდიდეებზე დაკვირვების შედეგების ფუნქცია; 3. საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში; 4. მათემატიკის დარგი, რომელიც მიძღვნილია სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის, დამუშავებისა და კვლევის მათემატიკური მეთოდებისადმი მეცნიერული და პრაქტიკული დასკვნების გასაკეთებლად.

სტატისტიკა მათემატიკური – სტატისტიკის ქვედარგი, რომელიც ამ დარგის თეორიულ ასპექტებს სწავლობს.

სტატისტიკოსი – ადამიანი, რომელიც კარგადაა გათვითცნობიერებული სტატისტიკური ანალიზის მეთოდებში და შეუძლია მათი პრაქტიკულად გამოყენება.

სტატისტიკური თერმოდინამიკა – სტატისტიკური ფიზიკის განყოფილება, რომელიც სწავლობს თერმოდინამიკური სისტემის მახასიათებლებს.

სტატისტიკური მეთოდი – მეთოდი, რომლითაც ხდება ამა თუ იმ მონაცემების დამუშავება სხვადასხვა მაჩვენებლების (კოეფიციენტების) დადგენის მიზნით.

სტატისტიკური ფიზიკა – თეორიული ფიზიკის განყოფილება, რომელიც სწავლობს დიდი რაოდენობის ნაწილაკებისგან შემდგარი სისტემის თვისებებს.

სტატორი (ლათ. stator უძრავად მდგარი) – 1. ელექტრომანქანის (გენერატორი, ძრავა, ტურბინა) უძრავი ნაწილი, რომლის შიგნით ბრუნავს მოძრავი ნაწილი – როტორი.

ნახ. 1

სტატუა (ლათ. statua) – ქანდაკების ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. ადამიანის ან ცხოველის ფიგურა, რომელსაც, ჩვეულებრივ, დგამენ კვარცხლბეკზე (ნახ. 1. თავისუფლების მონუმენტური სტატუა, თბილისი, საქართველო).

სტატუეტი – მცირე ფორმის სტატუა.

სტატუსი (ლათ. status მდებარეობა, მდგომარეობა) – 1. სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგნიზაციის, თანამდებობის პირის ან მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა; 2. სოციალურ კავშირთა სისტემაში ადამიანის მიერ დაკავებული რეალური ან მოსალოდნელი ადგილი ანუ ინდივიდის რანგი. იგი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. პირველი განისაზღვრება დაკავებული თანამდებობით, ხოლო მეორე – პიროვნული თვისებებით, როგორიცაა: ასაკი, ცოდნა, გამოცდილება, კულტურა, კავშირები, ზნეობრივი თვისებები და ა.შ.

სტაციონალური (ლათ. stationarius უძრავი) – მუდმივი, ერთ ადგილას მოთავსებული, არამოძრავი.

სტაციონალური დამაგრება – დამაგრების სახეობა, რომლის დანიშნულებაა, მოახდინოს გადახურვის მზიდი კონსტრუქციების ერთ მთლიან, ხისტ სისტემად გადაქცევა და უზრუნველყოს ქარის დატვირთვით წარმოქმნილი ძალების მიღება და გადაცემა საყრდენებისათვის, რომლებიდანაც ეს ძალები გრძივი და შვეული დახრილი კავშირების (სვეტებს შორის) საშუალებით გადაეცემა საძირკვლებს.

სტაციონალური მდგომარეობა – სისტემის მდგომარეობა, როდესაც მისი ზოგი მნიშვნელოვანი თვისება დროში არ იცვლება.

სტაციონალური ძრავა – ძრავა, დამაგრებული უძრავ ხისტ საყრდენზე (საძირკველზე), რომელსაც მოძრაობაში მოყავს სტაციონალური დანადგარი.

სტაციონარული ეკრანი – ელექტროდანადგარის კონსტრუქციის აუცილებელი ნაწილი, რომელიც იცავს პერსონალს საექსპლუატაციო სამუშაოების (დანადგარის დათვალიერება, ოპერატიული გადართვა და ა.შ.), ამომრთველების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების დროს. ს. ე. მზადდება ლითონის ბრტყელი ფარების სახით. ეს შეიძლება იყოს წინაფრა, ფარდული, ტიხარი, შეკიდებული ფარი და სხვ. სტენდი – მანქანების, ხელსაწყოებისა და სხვათა ასაწყობი ან გამოსაცდელი სპეციალური დანადგარი. ცნობილია მოძრავი და უძრავი სტენდები, საამწყობო, საცდელი, უნივერსალური და სხვ. სტენდებზე გამოიყენება სპეციალური დამტვირთველები, შეხამებული საექსპლუატაციო რეჟიმთან.

სტაციონარული ქვაბი – საძირკველზე უძრავად დაყენებული ქვაბი.

სტეარიტი (ინგლ. stearyt საპნის ქვა) – ქანის მინერალური შრე სილიკატების ქვეკლასიდან. ტალკის მკვრივი სახესხვაობა. გამოიყენება ცეცხლგამძლე და ელექტროსაიზოლაციო მასალად.

სტეკა (იტალ. stecca ჩხირი, პატარა ღერო) – ხის (მუხა, კოპიტი, ბზა, აკაცია, წიფელი, ლარიქსი და სხვ.), ძვლის ან ლითონის საჭრისი, ნიჩბისებრი გაფართოებული ბოლოთი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ თიხის ან პლასტილინისგან რისამე ძერწვისას (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

სტელა (ბერძ. stēlē ბოძი, სვეტი) – ვისამე ან რისამე უკვდავსაყოფად აღმართული მემორიალური ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს შვეულად დაყენებულ ქვის ფილას (სვეტს) წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით (ნახ. 1. სტელა ქუირიგუა, მაიას ცივილიზაცია, სამხრეთ ამერიკა).

ნახ. 1

სტელაჟი (გერმ. stellage<ნიდერლ. stellen დადგმა, მოთავსება) – მრავალიარუსიანი მოწყობილობა, რომელიც შედგება ვერტიკალური დგარების ან კედლებისგან თავისი თაროებით, ყუთებით, კრონშტეინებით და რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მასალების დასაწყობებისა და შენახვისათვის, აგრეთვე გასაშრობი მასალების დასადებად (მაგ., აგური, ტორფი). ს. შეიძლება იყოს მბრუნავი (მაგ., სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის, წამლებისთვის), სტაციონალური (ნახ. 1) და გადასაადგილებელი (მექანიკური ან ელექტრული ამძრავით) ტვირთებისთვის, რომელთა გაცემა ხდება გარკვეულ ადგილებში.

სტელიტი (ინგლ. stellite<ლათ. stella ვარსკვლავი) – კობალტის ან ნიკელის საფუძველზე შექმნილი მაგარი შენადნობების ჩამოსხმული დანადნობების ჯგუფის საერთო სახეწოდება, რომელშიც ასევე შედის ქრომი, ვოლფრამი, სილიციუმი და სხვ. ელემენტები. ახასიათებთ მაღალი სიმაგრე, თბო-, ცვეთა- და კოროზიამედეგობა. გამოიყენება მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების ზედაპირის დასაფარავად მათი ცვეთამედეგობის გასაუმჯობესებლად. ს. არ არის ჭედადი და არ ექვემდებარება ჩვეულებრივ ჭრას.

სტემალიტი (ემელიტი) – სხვადასხვა ფაქტურის მქონე ფურცლოვანი მინა, რომელიც ერთი მხრიდან დაფარულია ყრუ (გაუმჭვირი) კერამიკული საღებავით. ს. დეკორატიული თვისება – მკვეთრი, გაუხუნებელი ფერი, ზედაპირის მაღალი ხარისხი – შეხამებულია ატმოსფერულ ნალექებთან, დიდ მედეგობასთან, სიმტკიცესა და ზედაპირულ სიმყარესთან. გამოიყენება შენობა-ნაგებობების გარე და შიგა მოპირკეთებისთვის და მრავალფენიანი შესაკიდებელი პანელების დასამზადებლად.

სტენდერი (ინგლ. stander<ბერძ. histánai სტენდის გაკეთება) – 1. ასავსებ-დასაცლელი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება თხევადი პროდუქტების (წყალი, ნავთობი, ნავთობპროდუქტები) დასატვირთ-გადმოსატვირთი ოპერაციების შესასრულებლად (ნახ. 1: 1-ნაპირის უძრავი მილოვანი ნაწილი; 2-ნაპირის მოძრავი მილოვანი ნაწილი; 3-ტანკერისზედა მოძრავი ნაწილი; 4-სახსრული შეერთება; 5-საპირწონე; 6-პანტოგრაფის სისტემა; 7-სპეციალური

ნახ. 1

მუფტა სტენდერის ტანკერის მილყეთან მისაერთებლად); 2. მოსახსნელი მოწყობილობა სახანძრო ჰიდრანტზე წყლის ასაღებად.

სტენდი (ინგლ. stand<ძვ. ინგლ. standan დგომა) – 1. დაფა ან კედლის ნაწილი, რომელზეც გამოფენის ექსპონატებია მოთავსებული (ნახ. 1. ელექტროგიტარების საგამოფენო სტენდი); 2. ქარხანაში ან ლაბორატორიაში: აწყობილი მანქანების, აპარატების გამოსაცდელი დანადგარი ან ადგილი; 3. ლითონის კონსტრუქციების ასაწყობი და შესადუღებელი მოწყობილობა; 4. მოედანი სასტენდო სროლისთვის. სტენდის სახეებია: დახრილი, ვერტიკალური, მოძრავი, მრგვალი, საამწყობო, სამუხრუჭო, სარეკლამო, სატრანშეო, საცდელი, საცივებელი, სტაციონალური, უნივერსალური, უძრავი, ჰორიზონტალური და სხვ.

ნახ. 1

სტერადიანი (ინგლ. stéradian<ბერძ. stereós სივრცითი და radian რადიანი) – სივრცითი კუთხის საზომი ერთეული – სივრცითი კუთხე, რომელიც ამ კუთხის წვეროზე შემოწერილ R რადიუსის სფეროზე ამოჭრის ზედაპირს, რომლის ფართობი რადიუსის კვადრატის (R^2-ის) ტოლია. სრული სფერო შეიცავს 4π სტერადიანს. სივრცითი კუთხე არ შეიძლება იყოს 4π სტერადიანზე მეტი. ტერმინი 1881 წელს პირველად გამოიყენა ამერიკელმა მათემატიკოსმა ჯ. ჰოლსტედიმ.

სტერეობატი (კრეპიდომა) (ფრანგ. stéréobate<<ბერძ. stereós მყარი, მტკიცე და batēs ფუძე, საფუძველი; საწყისი, საბაზისო, ამოსავალი წერტილი<baínein სიარული, ფეხით სეირნობა) – ანტიკური შენობის ან სვეტნარის საფეხურებად დაყოფილი ცოკოლი, რომელიც შენობის ოთხივე მხარეს გამოდის (იხ. ორდერი იონიური, ნახ. 1. პოზ. 10).

სტერეომეტრია (ბერძ. stereós მყარი, მტკიცე და métron გაზომვა) – გეომეტრიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სივრცითი ფიგურების (მაგ., პრიზმა, პირამიდა, სფერო და სხვ.) თვისებებს. ს. ძირითადი ცნებებია: წერტილი, წრფე, სიბრტყე, მანძილი, სიმრავლე, ასახვა და სხვ.

სტერეოსკოპი (ბერძ. stereós მყარი, მტკიცე და skopeîn ყურება, შესწავლა) – ოპტიკური ხელსაწყო, რომლის მეშვეობით ადგილის ან ცალკეული საგნის ფოტოსურათს სივრცულად აღიქვამენ.

სტერილიზაცია – ნივთიერებაში, მასალაში, სხეულში მიკროორგანიზმების მოსპობა გამოხარშვით, გაორთქლით, ფილტრაციით, ტემპერატურით, დასხივებით, ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებითა და სხვ. ს. ფართოდ გამოიყენება ხის კონსტრუქციებისა და ავეჯის წარმოებაში.

სტერილური (ლათ. sterilis უნაყოფო) – მთლიანად განთავისუფლებული მიკროორგანიზმებისაგან სტერილიზაციის გზით.

სტერლინგი (ინგლ. sterling) – 1. ძველებური ინგლისური ვერცხლის მონეტა; იჭრებოდა XII საუკუნიდან; 2. ინგლისური ოქროს ან ვერცხლის ფულის სინჯის დაკანონებული სტანდარტი. გირვანქა სტერლინგი – დიდი ბრიტანეთის ფულადი ერთეული, უდრის 100 პენსს.

სტექიომეტრია (ბერძ. stoikheion element და métron გაზომვა) – კანონების, წესებისა და ტერმინების სისტემა, რომელიც არეგულირებს ქიმიურ რეაქციებში ნივთიერების შემადგენლობისა და ნივთიერების მასებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის გაანგარიშების საკითხებს.

სტიბადიუმი (ლათ. stibadium ნახევარწრიული სასადილოს სოფა<ბერძ. stibas ნამჯის, ჩალის, ლერწმის ან ფოთლების საწოლი) – ძველ რომში სასადილო ოთახის ნახევარწრიული ფორმის დივანი ან ტახტი, რომელზეც ერთდროულად ეტეოდა 6-7 ადამიანი.

სტიბიუმი (ანტიმონიუმი, სურმა) [მოძვ. ინგლ. stibine სტიბნიტი<ლათ. stibium შავი სტიბიუმი (სტიბიუმის ტრისულფიდი)<შესაძლ. ბერძ. stíbi კოსმეტიკური ფხვნილი] – ქიმიური ელემენტი, სიმბოლო Sb, ატომური ნომერი 51, სტიბიუმის მადანი, მბრწყინავი ნაცრისფერი გაუმჭვირვალე მეტალოიდი. სტიბიუმის მინერალების ბუნებრივი დანაგროვი. სიმკვრივე – 6697 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 630,63°C; დუღილის ტემპერატურა – 1635°C. გავრცელებულია დაბალ და საშუალოტემპერატურულ ჰიდროთერმულ ძარღვებში ვერცხლის, კობალტის და ნიკელის მადნებთან ერთად, ასევე რთული შემადგენლობის სულფიდურ მადნებში. გამოიყენება ნახევარგამტარებში დიოდების, ინფრაწითელი დეტექტორების, ჰოლის ეფექტის მოწყობილობების წარმოებისას. არის ტყვიის შენადნობების კომპონენტი, რომელიც ზრდის მის სიმაგრეს და მექანიკურ სიმტკიცეს. გამოყენების დარგებია: ბატარეები, ანტიფრიქციული შენადნობები, ტიპოგრაფიული შენადნობები, სასროლი იარაღები და ტრასირებული ტყვიები, კაბელების გარსები, ასანთი, მედიკამენტები, წამლები, სარჩილავი მასალა და სხვ. კალასთან და სპილენძთან ერთად სტიბიუმი წარმოქმნის ლითონურ შენადნობს - ბაბიტს, რომელსაც გააჩნია ანტიფრიქციული თვისებები და გამოიყენება სრიალის საკისრებში. სტიბიუმის ნაერთები ოქსიდების, სულფიდების ფორმით, ნატრიუმის ანტიმონატი და სტიბიუმის ტრიქლორიდი გამოიყენება ცეცხლგამძლე ნაერთების წარმოებაში, კერძოდ: კერამიკული მინანქარი, მინა, საღებავების და კერამიკული ნაკეთობები. სტიბიუმის სულფიდი არის ასანთის თავის ერთ-ერთი ინგრედიენტი.

ნახ. 1

სტიბნიტი (ანტიმონიტი) [მოძვ. ინგლ. stibine სტიბნიტი<ლათ. stibium შავი სტიბიუმი (სტიბიუმის ტრისულფიდი)<შესაძლ. ბერძ. stíbi კოსმეტიკური ფხვნილი] – სტიბიუმის კრიალა, სულფიდური მინერალი ქიმიური ფორმულით Sb_2S_3 (71,38% Sbж 28,62% S); სიმკვრივე – 4500-4600 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით – 2-2,5. შედგენილობაში ხშირად შედის სხვა მინარევებიც, როგორიცაა As, Bi, Pb, Fe, Cu, Au, Ag. მყიფე, რუხი ფერის, კრისტალური აგებულებისა და მეტალური ბრწყინვალების მქონე რუხი ფერის ნივთიერება (ნახ. 1. სტიბნიტი იჩინოკავას მაღაროდან, ქ. საიჯო, ეჰიმეს პრეფექტურა, იაპონია), რომელიც ბუნებაში გვხვდება თავისუფალი ან კომბინირებული სახით სტიბიუმ-ვერცხლისწყლის მადნებში. სტიბნიტი მეტალოიდ სტიბიუმის (ანტიმონიუმის) და მისი შენაერთების მიღების ძირითადი წყაროა.

სტილბი (ბერძ. stilbō ვკაშკაშებ, ვბრწყინავ) – სიკაშკაშის ერთეული ერთეულთა CGS სისტემაში.

სტილეტი (იტალ. stiletto<ლათ. stilus მჭრელი ინსტრუმენტი) – ცივი იარაღი, ხანჯალი, ზოგჯერ სამი პირის მქონე.

სტილი (ფრანგ. style<ბერძ. stylos მახვილწვერიანი საწერი ჩხირი) – 1. ხელოვნებაში – გარკვეული ეპოქის, ერის, მიმართულების ან ცალკეული შემომქმედის დამახასიათებელი გამომხატველი ხერხების, მხატვრული თავისებურებების ერთობლიობა, რაც შეპირობებულია იდეური, საზოგადოებრივ-ისტორიული შინაარსის ერთიანობით; 2. ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჟანრს; 3. ქცევის ან მოქმედების თავისებურებანი, მანერა; 4. მასის (წონის) ერთეული XVII-XVIII საუკუნეების ირანსა და საქართველოში; შეადგენდა ლიტრის 1/20 ნაწილს.

სტილიზაცია – 1. გასული წლების არქიტექტურული სტილების იმიტაცია, მიბაძვა, ცნობილი ოსტატის სტილის მიმსგავსება ან წარსულის არქიტექტურული ძეგლის ფორმალური გადმოტანა (გადმოთამაშება). ს. როგორც წესი მოკლებულია ორიგინალის სიღრმისეულ შინაარსს, სტილის ბუნებრიობას, ფორმასა და შინაარსს შორის ორგანულ კავშირს; 2. პირობით, დეკორაციულ ფორმათა გამოყენება ხელოვნებაში.

სტილიზაცია არქიტექტურაში – ძველი მხატვრული მიმართულების (სტილის) მიბაძვა, გამოხატული გარე დეკორატიულ-გამოყენებითი ფორმების გადაღებაში, რომელიც არ შეესაბამებოდა უფრო თანამედროვე ხუროთმოძღვრების ნაწარმოებების ფუნქციებსა და კონსტრუქციებს; ასეთი ფორმალური ტენდენციების გაჩენა გამოიწვია არქიტექტურაში რომანტიკულმა მიმდინარეობამ.

სტილობატი (ბერძ. stylos კოლონა და batēs ფუძე, საფუძველი; საწყისი, საბაზისო, ამოსავალი წერტილი) – 1. ანტიკურ არქრიტექტურაში, ძველი ბერძნული ტაძრის საფეხურისებრი ცოკოლის სტერეობატის ზედაპირი (იხ. ორდერი იონიური, ნახ. 1, პოზ. 9); 2. სვეტნარის საყრდენი ქვის ფილა (ნახ. 1. სვეტების ქვეშ პირველი ჰორიზონტალური ქვის ფილა არის სტილობატი, ქვედა ორი – სტერეობატი); 3. კედლის ცოკოლის სიბრტყიდან გამოშვერილი კიბური ზედაპირი.

ნახ. 1

სტილოსი (ლათ. stylus საწერი ჩხირი) – ძვლის ან ლითონის წვერწამახული ჩხირი, რომელიც გამოიყენებოდა ძველად საწერ იარაღად.

სტილოსკოპი (ინგლ. steel ფოლადი და ბერძ. skopeîn ყურება, შესწავლა) – სპექტროსკოპი, რომელიც გამოიყენება ფოლადისა და შენადნობების ქიმიური შემადგენლობის გამოსხივების სპექტრების ვიზუალური დაკვირვებისათვის. ნივთიერების ნიმუში ორთქლდება ნაპერწკლოვან ან რკალურ განმუხტვაში და წარმოქმნილი გამოსხივების სპექტრს აკვირდებიან მონოქრომატორის უკან დამაგრებულ ოკულარში, რომლის სკალაზე დატანილია დანაყოფები, რომლებიც შეესაბამება აუცილებელ კომპონენტებს (რკინა, ნიკელი, სპილენძი, კობალტი, მაგნიუმი და სხვ.).

სტირენი (ვინილბენზოლი) [ინგლ. styrene<ბერძ. styrax სტირენი და -ēnē ბოლოსართი, რომელიც აღნიშნავს დაწყებას ან წყაროს] – არომატული ნახშირწყალბადი, რომელიც ადვილად განიცდის პოლიმერიზაციას და წარმოქმნის მაგარ მინისებრ მასას; ფართოდ იყენებენ პლასტმასებისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში, აგრეთვე პოლიეთერული ფისების გამხსნელად.

სტიუდენტის განაწილების კვანტილი (სტიუდენტის კოეფიციენტი) (ინგლ. stiudentis distribution quintiles) – 1. რიცხვითი მახასიათებელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკის ამოცანებში, ისეთებში, როგორიცაა სარწმუნო ინტერვალების აგება (სარწმუნოების ზღვრების) და სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია სპეციალურ ლიტერატურაში ცხრილის სახით; 2. დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეები.

სტიქია (ბერძ. stoicheion ელემენტი) – 1. იგივეა, რაც სტიქიონი; 2. გადატ. ვისიმე მოქმედების, მოღვაწეობის ჩვეული, კარგად ცნობილი, საყვარელი არე, გარემო.

სტიქიონი – ბუნების მძლავრი მოვლენა, დამანგრეველი ძალა (ქარიშხალი, სმერჩი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვ.).

სტიქიური – 1. სტიქიით, სტიქიონით გამოწვეული; 2. გადატ. არაორგანიზებული, შეგნებული ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარე.

სტიქიური უბედურება – 1. კატასტროფული ხასიათის უბედურება, რომელსაც თან ახლავს ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი, გამოწვეული დამანგრეველი ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური პროცესებით. ასეთ პროცესებს განეკუთვნება: წყალდიდობა, ტაიფუნი, მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, გვალვა, ცუნამი, მეწყერი, ღვარცოფული ნაკადი, თოვლის ზვავი და სხვ. უკანასკნელ პერიოდში, წარმოებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, შეინიშნება სტიქიური უბედურებით გამოწვეული ადამიანების მსხვერპლთა და ეკონომიკური ზარალის რაოდენობის განუწყვეტლივი ზრდა; 2. სწრაფად (ხშირად მოულოდნელად) განვითარებული კრიზისული ლოკალური ან რეგიონული ეკოლოგიური სიტუაცია, რომლის დროსაც არახელსაყრელად მოქმედებს ერთდროულად სამი ფაქტორი: ექსტრემალური გეოფიზიკური მოვლენა, დედამიწის ზედაპირზე ამ მოვლენით გამოწვეული ზემოქმედება და მოსახლეობის უუნარობა საკმარისი წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ზემოქმედებას.

სტოა (ბერძ. stoa<steg დახურვა, ხურავს) – 1. ანტიკური საბერძნეთის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა, კედლის გასწვრივ ერთ ან ორ რიგად განლაგებული, შენობაში შემალული სვეტნარი (ნახ. 1. ძველი ათენის აგორის რეკონსტრუირებული ათალოსის სტოა, საბერძნეთის რესპუბლიკა); 2. კარიბჭე, ნართექსი; სვეტებიანი, გვერდღია, კამაროვანი ნაგებობა – ტაძრის მთავარი შესასვლელი ან გარემოსავლელი. დროთა განმავლობაში სტოას პირვანდელი სახე შეიცვალა და სვეტებს შორის ადგილი კედლით ამოშენდა.

ნახ. 1

სტოკერი (ინგლ. stoker<stoke საცეცხლეს დატვირთვა) – მოწყობილობა, რომელიც მექანიკურად ასრულებს ზოგი სახის სამუშაოს – ყრის სათბობს ორთქლმავლის საცეცხლეში, აწვდის ნედლეულს ან დეტალებს დამამუშავებელ საჭრისს, ტვირთავს ავტომობილს და სხვ.

სტოკნოტი – დახერხილი ხის მასალისადმი წაყენებული დაწვრილებითი სპეციფიკაცია მისი საზღვარგარეთ ექსპორტისას. მასში შედის: სტოკნოტის ნომერი, დატვირთვის პორტის დასახელება, ჯიში, ზომები, სორტი, დატვირთვის დრო და დახერხილი მასალის საერთო რაოდენობა სორტების მიხედვით. აგრეთვე, მიეთითება მისაწოდებელი მასალის სახე – პაკეტებად შეკრული ან დაყრილი.

სტორნო (იტალ. storno ანგარიშის გადაყვანა) – ბუღალტრული ანგარიშის გატარება, როგორც წესი, გათვალისწინებული შეცდომით წარმოებული ჩანაწერის გასასწორებლად.

სტოქასტიკური პროცესი – შემთხვევითი, ალბათური პროცესი.

სტოქასტური ეფექტი – რადიაციულად ინდუცირებული (გამოსხივებით გამოწვეული) ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომლის წარმოქმნის ალბათობა იზრდება გამოსხივების უფრო მაღალი დოზებისას, ხოლო მათი გამოხატულების (თუ კი აქვს მას ადგილი) სიმძიმე არ არის დამოკიდებული დოზაზე.

სტრატეგია (ბერძ. stratos ჯარი და agō მიმყავს) – რაიმეს წარმოების გრძელვადიანი გეგმა.

სტრატიგრაფია – (ლათ. strātum საფარი, საწოლის გადასაფარებელი, საბანი და ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის გეოლოგიური წარმონაქმნების (ნახ. 1. გეოლოგიური ფენები, ქ. სალტა, არგენტინის რესპუბლიკა) ჩამოყალიბების თანამიმდევრობას და მათ პირვანდელ სივრცით ურთიერთდამოკიდებულებას. სტრატიგრაფია ეწოდება აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის გეოლოგიური წარმონაქმნების განლაგების თანამიმდევრობის აღწერას (მაგ., ალპების სტრატიგრაფია, კავკასიის სტრატიგრაფია, ანდების სტრატიგრაფია და ა.შ.). დედამიწის სხვადასხვა რეგიონში პალეონტოლოგიური ან ლითოლოგიური მონაცემების საფუძველზე გამოყოფენ ადგილობრივ სტრატიგრაფიულ ერთეულებს: სერიებს, წყებებს, დასტებს, ჰორიზონტებს და სხვ. ს. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძებნისა და ძიებისათვის.

ნახ. 1

სტრატოსფერო (ლათ. stratum ფენა, შრე და sphaira ბურთი, სფერო) – ატმოსფეროს ნაწილი, რომელიც მდებარეობს ტროპოსფეროს ზევით.

სტრიკტეინერი – ერთგვარი პნევმატიკურბორბლებიანი კონტეინერი ტვირთის გადასატანად საავტომობილო გზებზე.

სტრიმი – 1. პატარა ვიწრო მდინარე; 2. სითხის, ჰაერის ან აირის უწყვეტი ნაკადი.

სტრობოსკოპი (ბერძ. strobos ტრიალი, უსისტემო მოძრაობა და skopeîn ყურება, შესწავლა) – ხელსაწყო პერიოდულად მოძრავი ობიექტის ერთი და იმავე მდგომარეობის წყვეტილი დაკვირვებისათვის. ობიექტი ამის გამო წარმოგვიდგება უძრავად. ხელსაწყო აგრეთვე

გამოიყენება ობიექტის მოჩვენებით უწყვეტ მოძრაობაზე დასაკვირვებლად, რომელიც სინამდვილეში შედგება მოძრაობის ცალკეული ფაზების წყვეტილი გამოსახულებებისაგან. ს. პრინციპს იყენებენ კინოში.

სტრობოსკოპული ეფექტი – სინათლის პულსაცია (ფეთქებადობა) ძაბვის სიხშირეზე ორჯერ მეტი სიხშირით. ამ დროს გზაზე მოძრავი საგნები ადამიანის (მძღოლის) მიერ აღიქმება, როგორც გაორებული, გასამებული ან საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ან უფრო მცირე სიჩქარით მოძრავი ან უძრავი საგნები. მოძრავი საგნების მიმართ ასეთი მხედველობითი შთაბეჭდილება ძალზე სახიფათოა მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთათვის და იწვევს თვალის სწრაფ დაღლას.

სტროტექსი – თბო- და ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა, რომელიც შეიცავს პოლიეთილენს, დაარმირებულს პოლიპროპილენის ბადით. გამოირჩევა მონტაჟის სიმარტივითა და სისწრაფით. გამოიყენება შენობის სახურავის, ჭერის, კედლების საიზოლაციოდ.

სტრუქტურა (აგებულება) (ლათ. structure მშენებლობა, განლაგება, წესრიგი) – 1. მონაცემების ერთობლიობა მასალის აგებულებაზე, აღნაგობაზე, სტრუქტურული ელემენტების განლაგებაზე, მათ რაოდენობრივ თანაფარდობასა და ურთიერთკავშირზე, რომლებიც ქმნიან ერთიან მთლიანს (მაგ., ტანის აგებულება, ლითონის სტრუქტურა, გრუნტის მარცვლოვანი აგებულება და მისთ.).; მაგ., ლითონის კრისტალური გისოსის სტრუქტურა, ბეტონის ქვის სტრუქტურა, მერქნის სტრუქტურა და სხვ; მასალის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია სიმკვრივე, რომელთანაცაა დაკავშირებული სიმტკიცე და სხვა თვისებები. მასალის სტრუქტურის შესწავლისას აუცილებელია გავითვალისწინოთ „მასშტაბის დონე“. „მასშტაბის დონის“ და შესწავლის მეთოდების მიხედვით არჩევენ: მაკროსტრუქტურას – აგებულებას, დანახულს ოპტიკურ მიკროსკოპში შეუიარაღებელი თვალით; მიკროსტრუქტურას – აგებულებას ატომურ-მოლეკულურ-იონურ დონეზე, რომელიც შეისწავლება ელექტრონული მიკროსკოპის, რენტგენოსტრუქტურული ანალიზის, ტერმული, ქრომატოგრაფიული, სპექტროსკოპული და სხვა მეთოდებით. ულტრამიკროსტრუქტურის დონეზე შეისწავლება ნივთიერების კრისტალური, ამორფული აგებულება, ქიმიური კავშირების სახეობანი და სხვ.; 2. ობიექტის მდგრადი კავშირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მთლიანობას და ძირითადი თვისებების (მახასიათებლების) შენარჩუნებას გარე და შიგა ცვლილებების პირობებში; 3. სივრცითი გადახურვის სახეობა (ღეროვანი სისტემა). მშენებლობაში გავრცელებული სტრუქტურის სახეებია: ანომალური, ბადისებრი, ბეტონის, ბოჭკოვანი, გაუმჯობესებული, გეოლოგიური, გისოსის, დაფუჭვილი, დაშლილი, ერთგვაროვანი, ზოლოვანი, იზომეტრიული, კარკასული, კლისტალური, ლითონის, ლითონური, მარცვლოვანი, მთის ქანების, მინის, მკვრივი, მოზაიკური, მოწესრიგებული, მსხვილმარცვლოვანი, ნემსოვანი, ნიადაგის, ოოლითური, პერლიტური, პწკაროვანი, სადაფისებრი, საშუალომარცვლოვანი, საწყისი, სუბკრისტალური, ტალღისებრი, ტოლმარცვლოვანი, ტორსული, უჯრედოვანი, ფარულკრისტალური, ფირფიტოვანი, ფიქლის, ფიჭური, ქერცლოვანი, ქსოვილთა, შენადნობთა, შერეული, შინაგანი, შრეული, ცემენტის, ხის, წვრილმარცვლოვანი, წვრილქერცლოვანი, წრთობისა და სხვ.

სტრუქტურა ბეტონის – ბეტონის სტრუქტურა ნედლ და გამყარებულ მდგომარეობაში ერთნაირია, ამიტომ მისი კლასიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს ცემენტის ქვის შემცველობასა და განთავსებას ბეტონში. შესაბამისად, ბეტონის თვისებების განმსაზღვრელია სიმკვრივე და ფორიანობა. სხვა ყველა თანაბარი პირობებისას, მოცულობა და ფორიანობის

ხასიათი განსაზღვრავს ბეტონის ძირითად ტექნიკურ თვისებებს, როგორიცაა ხანგამძლეობა, მედეგობა სხვადასხვა პირობებში და სხვ., ამიტომ ბეტონის სტრუქტურა კლასიფიცირდება მისი სიმკვრივის მიხედვით. მისი სახეებია: 1. მკვრივი სტრუქტურა, შედგენილი მყარი მასალის უწყვეტი მატრიცისაგან (მაგ., ცემენტის ქვა), რომელშიც შერეულია სხვა მყარი მასალის მარცვლები (შემვსები), მტკიცედ დაკავშირებული მატრიცის მასალასთან. ასეთ სტრუქტურას, თავის მხრივ, შესაძლებელია ჰქონდეს შემვსების სხვადასხვა განაწილება: პირველი, როცა შემვსების მარცვლები გამოყოფილია ერთმანეთისგან ცემენტის ქვის თხელი ფენით, და მეორე, შემვსების "მცურავი" განლაგება, როცა მარცვლები განლაგებულია ერთმანეთისაგან საკმაო დაშორებით; 2. მკვრივი სტრუქტურა ფოროვანი შემვსებით; 3. უჯრედოვანი სტრუქტურა, როცა მყარი მასალის უწყვეტ გარემოში განაწილებულია სხვადასხვა ზომის ფორები, პირობითად ჩაკეტილი უჯრედების სახით; 4. მარცვლოვანი სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან გადაბმულ მყარი მასალის მარცვლების ერთობლიობას. ასეთ სტრუქტურის ფორიანობა უწყვეტი და ანალოგიურია ნაყარი მასალის ფორიანობის. ყველაზე დიდი სიმტკიცე აქვს მკვრივი სტრუქტურის ბეტონებს, ხოლო მინიმალური – მარცვლოვანს. არსებობს ბეტონის მაკროსტრუქტურა (ქვიშა, ცემენტის ქვა, ჰაერის ფორები) და მიკროსტრუქტურა (ცემენტის ქვა). საერთოდ, ბეტონის სტრუქტურა არაერთგვაროვანია – მასივში ცალკეული მოცულობები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, რაც გავლენას ახდენს მასივის თვისებებზე; არაერთგვაროვანია კონტაქტური ზონაც (ბზარები, დეფექტები, სიცარიელეები) და სხვ. ბეტონის სტრუქტურული თავისებურებები აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ბეტონისა და რკ.ბ.-ის კონსტრუქციების დაპროექტებისას.

სტრუქტურა კოაგულაციური – სტრუქტურა, რომლის ნაწილაკებს შორის ბმა ხორციელდება თხევადი გარემოს ფენებით, შედარებით სუსტი ვან-დერ-ვაალსის მოლეკულათაშორისი მიზიდულობის ძალებით. კოაგულაციური სტრუქტურის მასალებს თხევადი გარემოს შემცველობაზე დამოკიდებულებით ახასიათებს ძვრადობა, პლასტიკურობა, ტიქსოტროპიულობა და ნაკლები სიმტკიცე.

სტრუქტურა კონდენსაციური – სტრუქტურა, რომლის ნაწილაკებს შორის უშუალო კონტაქტი იქმნება ქიმიური, ვალენტური, იონური ბმების ხარჯზე. ასეთი სტრუქტურის მასალებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიმტკიცე, სიხისტე და შეუქცევადობა მექანიკური თუ თეორიული რღვევის დროს.

სტრუქტურა კრისტალიზაციური – სტრუქტურა, რომლის ნაწილაკებს შორის კონტაქტი ხორციელდება პირდაპირი შეზრდით, სივრცობრივი ბადის ან ჩონჩხის (კარკასის) მეტნაკლებად სწორი აგებულებით. კრისტალიზაციური სტრუქტურების მექანიკური თვისებები განისაზღვრება კრისტალური აგებულების ხასიათით.

სტრუქტურა მთის ქანების – მინერალური მარცვლების, ნაწილაკების, ნატეხების შემადგენლობის თავისებურებათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია მათ მორფოლოგიასთან, კრისტალურობის ხარისხთან და განლაგებასთან. მთის ქანების სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული ს. მ. ქ. გენეზისთან.

სტრუქტურა ფოლადის – ფოლადის აგებულება, ფორმა, ზომები და დამახასიათებელი ფაზების განლაგების ხასიათი. ფოლადის სტრუქტურულ-აღქმითი თვისებები დამოკიდებულია თერმულ დამუშავებაზე. მიკროსტრუქტურა შედგება ფაზებისაგან,

შესაბამისად, არსებობს ფოლადი ერთ-, ორ- და მრავალფაზიანი. სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე, თუ კომპონენტები (ფოლადში შემავალი ქიმიური ელემენტები) რა რეაქციებში შედიან ერთმანეთთან. მათ შეიძლება შექმნან შემდეგი ფაზები: თხევადი ხსნარი, მყარი ნარევი და ქიმიური ნაერთი. მყარ მდგომარეობაში ფოლადებში შეიძლება არ იყოს კომპონენტებს შორის ურთიერთქმედება, ასეთ დროს სტრუქტურა წარმოადგენს მექანიკურ ნარევს, შემდგარს ორი ან მეტი ფაზისაგან. ფოლადებში კომპონენტების ურთიერთზემოქმედების პირობები ქმნის შემდეგი ტიპის შეერთებების წარმოქმნას: 1. მყარი ნარევი, რომელშიც ძირითადი კომპონენტი (გამხსნელი) ინარჩუნებს კრისტალური მესრის თავის ტიპს, ხოლო გახსნილი კომპონენტის ატომები ცვლიან ატომების ნაწილს ამ მესერში ან ინერგება კვანძებს შორის. მყარი ნარევებია აუსტენიტი და ფერიტი; 2. ქიმიური ნაერთი, რომელსაც აქვს ახალი ტიპის კრისტალური მესერი, რომელიც განსხვადება მისი შემადგენელი კომპონენტების კრისტალური მესრისგან. ამიტომ, ქიმიურად სუფთა ელემენტის მსგავსად, დნება მუდმივ ტემპერატურაზე. ის წარმოიქმნება ქიმიური ელემენტების მკაცრი სტექიომეტრიული თანაფარდობით, ანუ აქვს ქიმიური ფორმულა (Fe_3C – ცემენტიტი), რომელიც ერთფაზიანი შენადნობია რკინის საფუძველზე (ნახშირბადის შემცველობაა 6,67%). ქიმიური ნაერთი შეიძლება იყოს ფაზაც და სტრუქტურაც (ოქსიდი FeO, კარბიდები VC, WC, TiC და ინტერმეტალოიდი FeAl); 3. მექანიკური ნარევი ფაზებისა, რომლებიც არ იხსნებიან ერთმანეთში და ინარჩუნებენ თავიანთ კრისტალურ მესერს. მექანიკური ნარევი ყოველთვის სტრუქტურაა.

ფოლადების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს პლასტიკურ დეფორმაციას, რადგან დეტალის ფორმის ცვლილება თავის მხრივ იწვევს თითოელი მარცვლის პლასტიკურ დეფორმაციას სხვადასხვა სიბრტყეში და მიმართულებით და, შესაბამისად, ეს მარცვლებიც იცვლიან ფორმას. იცვლება სტრუქტურაც. საჭიროების შემთხვევაში, საწყისი კრისტალური სტრუქტურის აღსადგენად, მიმართავენ ფოლადის რეკრისტალიზაციურ გამოწვას.

სტრუქტურული კონსტრუქციები (სტრუქტურები) – რეგულარულ-ღეროვანი ან რეგულარულ-ფირფიტოვანი ელემენტებისაგან შედგენილი სივრცითი ფილები (ნახ. 1) და გარსები. სტრუქტურებს ძირითადად ამზადებენ ფოლადის, ხისა და ალუმინისგან, იშვიათად – არმოცემენტისა და რკინაბეტონისაგან. ნებისმიერი სტრუქტურა შედგება ორი ბადისებრი სარტყლისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია დგარებითა და ირიბნებით. სტრუქტურის სახეობა დამოკიდებულია კვანძებში შემავალი ღეროების (ან წამწეების) რაოდენობაზე და მათ დახრაზე. ისეთი სტრუქტურები, რომლებიც შედგენილია ურთიერთგადამკვეთი სამი მიმართულების ხაზოვანი ელემენტებისაგან, კარგად მუშაობს გრეხაზე და ხასიათდება ამაღლებული სიხისტით. უფრო ნაკლები სიხისტე აქვთ ს. კ., შედგენილს ორი მიმართულების ურთიერთგადამკვეთი ელემენტებისაგან. ს. კ. დადებით თვისებებს მიეკუთვნება: კონსტრუქციული ელემენტების უნიფიკაცია, მონტაჟის სიმარტივე, კონსტრუქციის მაღალი სივრცითი სიხისტე, არქიტექტურული გამომსახველობა, სისტემის მრავალბმულობა, რაც ამაღლებს კონსტრუქციის საიმედოობის ხარისხს ლოკალური ავარიების შემთხვევაში, კვანძების

ნახ. 1

სიხშირე, რაც აადვილებს შეკიდებული ტრანსპორტის მოწყობილობების დამაგრებას, სამშენებლო სიმაღლის შემცირება, ტრანსპორტირების სიადვილე და სხვ. უარყოფით თვისებას კი წარმოადგენს დამზადებისა და აწყობის დიდი შრომატევადობა.

სტუკო – მაღალხარისხოვანი ბათქაში (ალებასტრისა და დაქუცმაცებული მარმარილოს ნარევი), რომელიც იძლევა გაპრიალების და საჭრისით დამუშავების საშუალებას. გამოიყენება შენობის ინტერიერებში.

სტუპა (სანსკ. stūpa კენწერო, მავზოლეუმი, ქვების გროვა, მიწის ბორცვი) – 1. ბუდისტურ არქიტექტურაში მონუმენტური სიმბოლური და მემორიალური ნახევარსფეროს ფორმის ნაგებობა, მიწის ან ქვის დიდი ბორცვი (ნახ. 1), რელიქვიების საცავი. მისი აშენება დაიწყეს ბუდიზმის მიმდევრებმა რელიგიური სიწმინდეების შესანახად და ბუდასადმი სამლოცველოდ. ამ ვეებერთელა გორაკს თავზე მსუბუქი ფანტური ედგა. პირველი სტუპა აშენდა ძვ. წ.-ით I საუკუნეში ინდოეთის სოფელ სანჩისში; 2. ხელის ინსტრუმენტი (კერამიკის, ფაიფურის, მეტალის, მერქნის) რაიმეს დასანაყად და გასასრესად. პროდუქტს ათავსებენ სტუპაში და მასზე ზემოქმედებას ახდენენ წაგრძელებული საგნით – ქვასანაყით.

ნახ. 1

სუბარენდა – არენდატორის მიერ არენდით აღებული ქონების არენდით გადაცემა სხვა პირზე. ხელშეკრულებაში ქონების პირველი არენდატორი ფიგურირებს, როგორც არენდის მიმცემი.

სუბლიმაცია (ლათ. sublimo ვამაღლებ) – იხ. აქროლა.

სუბლიმაციული შრობა – მასალებიდან (პროდუქტებიდან) ტენის მოშორება გაყინვით და შემდეგ ყინულის გადასვლით ორთქლის მდგომარეობაში გაუხშოებითა და დადებითი ტემპერატურით.

სუბსიდია (ლათ. subsidium დახმარება) – დახმარება ფულადი ფორმით სახელმწიფოს ან იურიდიული პირის მიერ სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოზე.

სუბსტანცია (ლათ. substantia არსი) – 1. ობიექტური რეალობა, პირველსაწყისი მატერია, ყველა საგნისა და მოვლენის არსი; 2. სხვაზე დამოუკიდებლად, თავისთავად არსებული.

სუბსტრატი (ლათ. substratum საფენი, საფუძველი) – 1. ორი სხვადასხვა შეჭიდული სხეულის ფუძე (მაგ., მერქანი არის სუბსტრატი, მასზე დასხმული ლაქი კი ადჰეზივი); 2. ბიოლ. საკვები გარემო (ჩვეულებრივ, მიკროორგანიზმებისათვის); 3. ფილოს. რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველი.

სუბსტრუქცია (ლათ. sub ქვეშ და structure მშენებლობა, განლაგება, წესრიგი) – 1. ნაგებობის მოსათავსებლად გაკეთებული ხელოვნური კონსტრუქცია, მოშანდაკებული ბაქანი, საყრდენი კედელი და სხვ.; 2. სამშენებლო კონსტრუქცია, რომელიც ქვემოდან იჭერს არქიტექტურული ნაგებობის რაიმე ნაწილს.

სუბტროპიკები (ლათ. sub ქვეშ და ბერძ. tropikos ტროპიკები) – დედამიწის სფეროს ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა, რომლებიც ჩრდილოეთითა და სამხრეთით აკრავს ტროპიკებს.

სუბტროპიკული – თბილი, მშრალი კლიმატი წვიმიანი სეზონებით.

სუბტროპიკული სუბურბანიზაცია (ლათ. sub ქვეშ და urbanus საქალაქო<urbs ქალაქი) – მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზონების ზრდისა და განვითარების პროცესი, რის შედეგად ხდება საქალაქო აგლომერაციის ფორმირება.

ნახ. 1

სუეცის არხი (ინგლ. Suez Canal) – სანაოსნო არხი ევროპასა და აზიას შორის აფრიკის შემოვლის გვერდის ავლით (ნახ. 1). მდებარეობს სინას ნახევარკუნძულის დასავლეთით. სიგრძე 163 კმ, სიგანე საშუალოდ 300 მ. მის ერთ ბოლოში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან მდებარეობს პორტ-საიდი, ხოლო მეორე ბოლო წითელ ზღვაზე – სუეცი. გაიხსნა 1869 წელს.

სუჭანი – ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილზე ნაქარგი დეკორატიული პანო, რომელიც ძირითადად გავრცელებულია ტაჯიკეთსა და უზბეკეთში. გამოიყენება ინტერიერების მოსართავად, მაგიდაზე, ტახტზე გადასაფარებლად, კედელზე გასაკრავად და სხვ.

სუიტი – იხ. ანფილადა.

სუკულენტი (ლათ. sūculentus<sūcus წვენი<succus წვენი, მცენარის წვენი) – მცენარეთა ჯგუფი გამსხვილებული ღეროებითა და ფოთლებით, რომლებსაც უნარი აქვთ მოაგროვონ და შეინახონ წყალი შედარებით დიდი ხნით. ყველაზე გავრცელებულ სუკულენტებად ითვლება: ეჩევერია (ქვის ვარდი), კრასულა (მსუქანა), სედუმი, კალანხოე, ალოე, ეპიფილუმი (კაქტუსი) და სხვ.

სუკცესია (ლათ. successio მემკვიდრეობა) – ერთი ტიპის ეკოსისტემის მეორეთი თანდათანობითი შეცვლა.

სულფატები (ლათ. sulphur, sulfur გოგირდი) – გოგირდმჟავას მარილები, გავრცელებული თაბაშირის ან ანჰიდრიდის სახით. არსებობს ორი სახის: საშუალო (ნორმალური) და მჟავური (ჰიდროსულფატები). ს. კრისტალჰიდრატებს აჯასპები ეწოდება, ორმაგ მარილს – შაბი. ბუნებრივი ს., როგორიცაა თაბაშირი, ალუნიტი, ანჰიდრიტი, ბატიტი – წარმოადგენენ მნიშვნელოვან სასარგებლო წიაღისეულს. პრაქტიკაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული მანგანუმის სულფატი – ღია-მოვარდისფრო კრისტალური ნივთიერება $Mn(SO_4)$, რომელიც გამოიყენება სასუქად, ფუნგიციდად, კერამიკულ პიგმენტად და ქსოვილური მასალების საღებრად.

სულფიდები (ლათ. sulphur, sulfur გოგირდი) – ბუნებრივი ლითონებისა და ზოგიერთი ნახევრლითონის გოგირდიანი ნაერთის მინერალთა კლასი.

(ლათ. sulfur გოგირდი) – 1. ქიმიური ნაერთი, რომელიც შეიცავს სულფიტის იონს SO_3^{2-}; 2. გოგირდოვანი მარილი (მაგ., H_2SO_3 არის გოგირდოვანმჟავა ანუ გოგირდის სულფიტი, ხოლო H_2SO_4 – გოგირდმჟავა ანუ გოგირდის სულფატი).

სუმილიტი – იხ. პოლივინილქლორიდი.

სულფიტი (ლათ. sulfur გოგირდი) – 1. ქიმიური ნაერთი, რომელიც შეიცავს სულფიტის იონს SO_3^{2-}; 2. გოგირდოვანი მარილი (მაგ., H_2SO_3 არის გოგირდოვანმჟავა ანუ გოგირდის სულფიტი, ხოლო H_2SO_4 – გოგირდმჟავა ანუ გოგირდის სულფატი).

სუპერთაბაშირი – მაღალი სიმტკიცის თაბაშირის შემკვრელი; იღებენ თაბაშირის ქვის თბოდამუშავების გზით, შერევით მოდიფიკატორთან ნაჯერი წყლის ორთქლის არეში წნევის ქვეშ.

სუპერმარკეტი (ლათ. super -ზე, ზემოთ, ზემოდან, მიღმა, დამატებით; განსაკუთრებით მაღალი ხარისხით და mercātus ვაჭრობა, ბაზარი, ყიდვა-გაყიდვა<mercārī ვაჭრობა, ყიდვა<merx საქონელი) – დიდი საცალო მაღაზია, სადაც იყიდება კვების პროდუქტები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელი. როგორც წესი, მუშაობს თვითმოსმახურების პრინციპით.

სუპერპლასტიფიკატორი (ლათ. super -ზე, ზემოთ, ზემოდან, მიღმა, დამატებით; განსაკუთრებით მაღალი ხარისხით და plasticus ჩამოსხმასთან დაკავშირებული<plastikós ის, რაც შეიძლება ჩამოისხას, დაყალიბდეს<plássein დაყალიბება, ფორმირება) – ბეტონის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დანამატი (ლიგნოსულფონატი), რომელიც მკვეთრად ზრდის ბეტონის ნარევის პლასტიკურობას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ბეტონის სამშენებლო-ტექნიკურ თვისებებს. ის სინთეზური პოლიმერული ნივთიერებაა, რომელიც შეყავთ ბეტონის ნარევში ცემენტის მასის 0,2-1,5%. ნარევში შეყვანიდან მისი მოქმედების დრო შეზღუდულია 2-3 სთ-ით. ტუტე გარემოს ზემოქმედებით განიცდის ნაწილობრივ დესტრუქციას, გადადის სხვა ნივთიერებაში, რომელიც უსაფრთხოა ბეტონისათვის და არ აყოვნებს მის გამაგრებას. ს. საგრძნობლად ათხელებს ბეტონის ნარევს, 20-30%-ით ამცირებს ბეტონის ნარევის წყალმოთხოვნილებას, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ დაბალი წყალცემენტის ფარდობის (0,4 და ნაკლები) ბეტონი, შევამციროთ ცემენტის ხარჯი (40%-მდე), დავაბეტონოთ რთული კონფიგურაციის კონსტრუქცია და მარტივი გზით მივიღოთ მაღალი ხარისხის ბეტონი. წყალცემენტის დაბალი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა დამზადდეს ბეტონი, რომლის სიმტკიცე ორჯერ აღემატება გამოყენებული ცემენტის მარკას.

სუპერპოზიცია (ლათ. super -ზე, ზემოთ, ზემოდან, მიღმა, დამატებით; განსაკუთრებით მაღალი ხარისხით და positiō დადება, მოთავსება, განთავსება, დადასტურება<pōnere დადება, მოთავსება) – ერთის მეორეზე დადება, ზედდება, ფუნქციის კომპოზიცია (რთული ფუნქცია). მაგ.: მექანიკაში – პრინციპი, რომლის თანახმად ნივთიერი წერტილი ორი ძალის მოქმედებით ისე მოძრაობს, როგორც ამ ძალების გეომეტრიული ჯამის ტოლი ერთი ძალის მოქმედებით; ელექტროდინამიკაში – პრინციპი, რომელიც გამოხატავს წრფივ გარემოში ელექტრომაგნიტური ველის თვისებას, რომლის თანახმადაც ელექტრომაგნიტური ველების ზედდებისას მათი ელექტრული და მაგნიტური დაძაბულობები გეომეტრიულად იკრიბება; კვანტურ მექანიკაში – ფუნდამენტური პრინციპი (ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი), რომლის თანახმად კვანტურ მექანიკაში სისტემის მდგომარეობა უნდა გამოისახებოდეს

წრფივი სივრცის ვექტორით, კერძოდ, ტალღური ფუნქციით; გეოლოგიაში – ზედაქანები, განლაგებული დედამიწის ზედაპირთან უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ქვედა ქანები; არქიტექტურაში – კლასიკური ორდერული არქიტექტურის პრინციპი: თუ შენობა ორ და მეტ სართულიანია, მაშინ პირველ იარუსზე განალაგებენ უფრო მძიმე ორდერებს (ტოსკანური, დორიული), უფრო ზემოთ – მსუბუქს (იონიური), შემდეგ კორინთულს ან კომპოზიტურს და ა.შ.

სუპერფიციესი (ლათ. superficiēs ზემო მხარე<<super -ზე, ზემოთ, ზემოდან, მიღმა, დამატებით; განსაკუთრებით მაღალი ხარისხით და faciēs სახე, სახის გამომეტყველება; შესახედაობა, გარეგნული სახე) – სხვის მიწაზე ნაგებობის აშენებისა და მცენარეების დარგვის ნებართვა.

სუპორტი (ლათ. sub ქვემოდან, ქვეშ და portāre ტარება, გადატანა) – საჭრისის დასამაგრებელი მოწყობილობა ამა თუ იმ დანიშნულების ჩარხზე. ის შეიძლება იყოს განივი, გრძივი, დახრილი, ვერტიკალური, სახეხი, წინა, უკანა, ხერხიანი და სხვ.

ნახ. 1

სურა (არაბ. sūra) – მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს, სპილენძისა და სხვ.) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთ. (ნახ. 1. ქართული სურა).

სურათი – დამოუკიდებელი მხატვრული ფერწერული ნაწარმოები; დამთავრებული ხასიათის მქონე ნახატი. სრულდება ქაღალდზე, მუყაოზე, ტილოზე, კედელზე და ა.შ. წყალში ხსნადი და ზეთოვანი საღებავების მეშვეობით. შესანიშნავი ატრიბუტია შენობის სათავსების ინტერიერების გასალამაზებლად.

სურამის კვირაცხოვლის ტაძარი (ინგლ. Surami Kviratskhoveli Church) – თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ძეგლი, კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის გვერდით, შემაღლებულ ბორცვზე, იმ ადგილას, სადაც უწინ ეკლესია ყოფილა. აგებულია 1998 წელს ქტიტორების – ვალერი გელაშვილისა და ბეითან ნოზაძის თანადგომით. არქიტექტორი – არჩილ მინდიაშვილი. კვირაცხოვლის გუმბათიანი ტაძარი სულიერ დარაჯად ადგას სურამს და სამართლიანად ითვლება თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლად.

ნახ. 1

სურამის ციხე (ინგლ. Surami Fortress) – XI-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლი (ნახ. 1. პანორამული ხედი; 2. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, მდინარე სურამულის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, გალავანი, წმინდა გიორგის ეკლესია, სასახლე.

ნახ. 1

ციხის აგების მრავალი ვერსია არსებობს (ქართული, სპარსული, თურქული), რომელთაგან რეალობასთან ყველაზე ახლოსაა თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების მოსაზრება, რომლის მიხედვით ციხე აგებულია ქართლის საერისთაოს მთავრების სურამელთა საგვარეულოს მიერ. მიჩნეულია, რომ სურამის ციხესიმაგრე მათ რეზიდენციას წარმოადგენდა. ქართულ ისტორიულ წყაროებში იგი როგორც ძლიერი ციხესიმაგრე პირველად მოხსენიებულია 1625 წელს გიორგი სააკაძესთან (1570-1629 წწ.) დაკავშირებით. 1692 წელს ციხე თურქების ხელშია. 1701 წლიდან მას მეფისწული ვახტანგი ფლობს, შემდეგ კი ყიზილბაშები. 1750-იან წლებში ციხე ირანის მმართველმა ნადირ შაჰმა დაანგრია (კეხვის ციხესთან ერთად). 1756 წელს კახეთისა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ (დ. 1720 - გ. 1798 წ.) აღადგინა. შემდეგ ხან იტრიელი მხეიძეების ხელში იყო, ხან სურამელი მურვანიშვილები ფლობდნენ. 1764 წელს ერეკლე II-მ სურამის ციხე ოსიაურის ციხესთან ერთად დროებით სარგებლობაში გადასცა თარხანოვებს. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში იგი ზემო ქართლში ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი დასაყრდენი პუნქტია. 1829 წლიდან ახალციხის მხარის შემოერთების შემდეგ სურამის ციხემ დაკარგა ძირითადი ფუნქცია და მხოლოდ ისტორიულ ძეგლად იქცა.

ნახ. 2

ციხე მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული მონუმენტური ხელოვნების ნიმუში. იგი ორი მთავარი გზის შესაყარზე მდებარეობს; ერთი მიემართება ლიხის გადასასვლელებით დასავლეთისაკენ, მეორე კი – ბორჯომის ხეობით სამხრეთისაკენ. გალავანი რელიეფს მიყვება (ნახ. 4. გენგეგმა: 1-შესასვლელი, 2-გალავანი, 3-ქვედა ეზო, 4-შიდა ციხე, 5-კოშკი, 6-წმინდა გიორგის ეკლესია, 7-სასახლე). მას რთული მოხაზულობა აქვს, რადგან მშენებლებს კლდოვანი კონცხის ყველა ადგილი გამოუყენებიათ. ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. გაირჩევა რამდენიმე



ნახ. 3

სამშენებლო ფენა. შესასვლელი ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილშია. აქ კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. გალავნის ამ მონაკვეთის ზედა ნაწილში ვიწრო სათოფურებია, ჩრდილო-დასავლეთით ყრუ კედელია. გალავნის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 8 მ სიგრძისა და 2 მ სიმაღლის კედელი, რომელზეც ეზოს მხრიდან სასახლე იყო მიშენებული (აღადგინეს 1980-იან წლებში). გალავანში აღმოსავლეთით ჩართულია შიდაციხის კედელი, რომელიც ნაკლებადაა დაზიანებული (ნახ. 5. შიდაციხის კედელი და ქვედა ეზო). გვიანდელი სამშენებლო ფენა (XVII ს.) თხელია, მის აღმოსავლეთ კედელში ერთ რიგად განლაგებულია სათოფურები. ციხის თავდაპირველი კედლის ქონგურები გამოყვანილია უხეშად და განაწილებულია არათანაბრად; უფრო გვიან ნაშენი კედლებისა კი, პირიქით ხშირი, ვიწრო და მომრგვალებულია და განლაგებულია თანაბრად. ციხის ფართობია 1200 კვ. მ. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: შიდაციხისა (ციტადელი) და ქვედა ეზოსაგან. შიდაციხეს უჭირავს მთის ზედა ნაწილი, ქვედა ეზოს კი მთის ფერდობები. შიდაციხე გეგმით არასწორი მრავალგვერდაა (52,4×29,3 მ). შედგება გალავნისა და პირამიდული კოშკისაგან (21,2×12,7 მ). მისი ტერიტორია ნანგრევებითაა დაფარული. კოშკის მხოლოდ ორი სართული იყო შემორჩენილი, მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მას რესტავრაცია ჩაუტარეს და აღადგინეს მთლიანად კოშკი, ციხის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები. კოშკს ეზოდან აქვს შესასვლელი. მე-2 სართულის სქელ კედლებში ვიწრო სარკმლებია. ნაგებობა მოპირკეთებულია თლილი ქვით.



ნახ. 4

წმინდა გიორგის ეკლესია, აგებული XI-XII საუკუნეებში, მდებარეობდა ქვედა ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში. დაშენებული იყო პირდაპირ კლდის კონცხზე. იგი 1991 წლის აპრილის მიწისძვრამ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები. დარბაზული ტიპის ეკლესია (5,9×6,1 მ), ნაგები იყო თლილი ქვით. მას ორი შესასვლელი ჰქონდა – დასავლეთითა და ჩრდილოეთით. ეკლესიას განიერი თაღი ორ თანაბარ ნაწილად ყოფდა. სამხრეთი ნაწილი აფსიდით მთავრდებოდა, ჩრდილოეთი ნაწილი კი მართკუთხა იყო. ორივე ნაწილი გადახურული იყო ერთი ცილინდრული კამარით, რომელიც აერთიანებდა მათ ერთ დიდ დარბაზად. თითოეულ დარბაზს თითო სარკმელი ჰქონდა აღმოსავლეთითა და დასავლეთით.

ნახ. 5

სასახლე მდებარეობდა ქვედა ეზოს სამხრეთ მონაკვეთში. იგი ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის ნანგრევი.

უძველესი დროიდან სურამის ციხეზე არსებობს თქმულება, თითქოს მისი უძლეველობის მიზეზი ისაა, რომ შიდაციხის აღმოსავლეთის კედელში ცოცხლად არის ჩაკირული

დედისერთა ვაჟი ზურაბი. ანალოგიური ლეგენდა არსებობს რაჭაში, სოფელ წესში არსებულ მინდა ციხის, სიღნაღის ციხის, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის, კელასურის კედლის შესახებაც. მსგავსი შინაარსის თქმულებები გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ხალხის ფოლკლორშიც. მას იცნობს: რუმინული, უნგრული, სერბული, გერმანული, ბერძნული, ბულგარული, სპარსული, იაპონური, ინდური, ბირმული და სხვ. ფოლკლორი.

სურინჯი – მოაგურისფრო მოწითალო ჟანგეულების ჯგუფის მინერალი.

სურინჯი რკინის – ბუნებრივი არაორგანული პიგმენტი ყვითელ-წითლიდან ალუბლის ფერამდე; ძირითადი კომპონენტებია რკინის ოქსიდი, თიხოვანი მინერალები და კვარცი. გამოიყენება ლაქსაღებავების წარმოებაში.

სურინჯი ტყვიის – ბუნებრივი პიგმენტი ღია ნარინჯისფრიდან წითელ ფერამდე; ძირითადი კომპონენტია ტყვიის ოქსიდი. გამოიყენება ლაქსაღებავების წარმოებაში.

სუროგატი (ლათ. surrogatus სხვის ნაცვლად მოთავსებული) – 1. ყალბი, ფალსიფიცირებული პროდუქტი; 2. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგი თვისება აქვს.

სუსპენზია (ლათ. suspensio ჩამოკიდება) – დისპერსული სისტემა სითხის დისპერსული გარემოთი და მყარი დისპერსული ფაზით, რომლის ნაწილაკები საკმაოდ მსხვილია, რაც წინააღმდეგობას უწევს ბრაუნის მოძრაობას. მაღალდისპერსიული სისტემებისაგან განსხვავებით სუსპენზიაში ნაწილაკები შედარებით სწრაფად ილექება ან ამოტივტივდება. ს. ხშირად იყენებენ სამშენებლო ტექნოლოგიებში ინერტული მასალების გამდიდრებისთვის. სუსპენზატორად იყენებენ მაგნეტიტებსა და სხვა მაღალი სიმკვრივის მასალებს.

სუსტი – 1. გამძლეობას, სიმკვრივეს მოკლებული; 2. დაბალი ხარისხისა, ცუდი, მდარე, უხეირო; 3. განუვითარებელი, მცირე შესაძლებლობის მქონე; 4. სიმაგრეს, სიცხარეს, სიმწვავეს მოკლებული (ხსნარი, ნარევი და სხვ.); 5. მცირე ძალის ან ძაბვის მქონე; 6. ძალას, ღონეს მოკლებული, გამხდარი, არაჯანმრთელი, ავადმყოფი, სნეული.

სუფთა – 1. რასაც ჭუჭყი არა აქვს; გაწმენდილი, გარეცხილი, დაგვილ-დაწმენდილი; 2. ისეთი რაზედაც (ან რაშიც) ჯერ არ დაუწერიათ არაფერი; 3. გადატ. რაც გარკვეულ ცოდნას, კვალიფიკაციას მოითხოვს; არაუხეში, ოსტატური.

სუფოზია (ლათ. suffosio ძირის გამოთხრა) – ქანებში ჩაჟონილი წყლის მიერ წვრილი მინერალური ნაწილაკებისა (მექანიკური სუფოზია) და ხსნადი ნივთიერებების გამოტანა (გამოტუტვა) გრუნტიდან. ს. არღვევს გრუნტის მიკროაგრეგატულ სტრუქტურას, წარმოქმნის მიწისქვეშა სიღრუეებს და იწვევს მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების არათანაბარ ჩაჯდომას, რის გამოც ასეთ გრუნტებზე მშენებლობა რეკომენდებული არაა.

სუფრა – 1. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი; 2. იგივეა, რაც ტაბლა; 3. პურის საჭმელად მომზადებული მაგიდა.

სფალერიტი (ბერძ. sphaleros ცრუ) – მინერალი, გოგირდოვანი თუთია; წარმოადგენს თუთიის ძირითად მადანს (სხვანაირად – თუთიის კრიალა).

სფენი (ბერძ. sphēn ტიტანიტი) – მინერალი, ტიტანისა და კალციუმის სილიკატი (ნახ. 1). ქიმიური ფორმულა $CaTiSiO_5$. არის ნახევრადძვირფასი ქვა ზურმუხტის ბზინვარებით. გვხვდება გრანიტების აქცესორულ მინერალებში, ტუტე მაგმურ ქანებში, გნეისებში, კრისტალურ ფიქლებში, კვარცულ ძარღვებსა და სხვ. მოიპოვება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. გამოიყენება მეტალური ტიტანის წარმოებაში, საავიაციო და თავდაცვით მრეწველობაში.

ნახ. 1

სფერო (ბერძ. sphaira ბურთი, სფერო) – 1. წერტილთა სიმრავლე სამგანზომილებიან ევკლიდეს სივრცეში, რომლის ყოველი წერტილი თანაბრადაა დაშორებული ერთი წერტილიდან (სფეროს ცენტრიდან). წერტილთა ამ სიმრავლეს უწოდებენ აგრეთვე სფერულ ზედაპირს. მონაკვეთს, რომელიც სფეროს ცენტრს აერთებს მის რომელიმე წერტილთან, ეწოდება სფეროს რადიუსი (R); 2. რისამე მოქმედების, გავრცელების არე; 3. საზოგადოებრივი გარემოცვა, გარემო.

სფეროიდი [ბერძ. sphaîra ბურთი, სფერო (დედამიწა) და -oeidēs მსგავსი, მსგავსება, ფორმა<eîdos სახე, ფორმა] – ბრუნვის ელიფსოიდი, როდესაც ნახევარღერძებს შორის ასეთი დამოკიდებულებაა: a = b > c.

სფერომეტრი (ბერძ. sphaira სფერო, ბურთი და métron გაზომვა) – ხელსაწყო, რითაც ზომავენ რისამე ამოზნექილ ან ჩაზნექილ ზედაპირს.

სფერული – 1. სფეროსთან დაკავშირებული; სფეროს, ბურთის მოყვანილობისა; 2. მათემ. სფეროს ზედაპირისათვის დამახასიათებელი, სფეროს მსგავსი.

სფერული ასტრონომია – ასტრონომიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მნათობთა ხილულ მოძრაობას ცის სფეროზე.

სფერული გარსი – გარსი, რომლის შუა ზედაპირი წარმოადგენს სფეროს.

სფერული გეომეტრია – მათემატიკური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გეომეტრიულ ფიგურებს სფეროზე, მსგავსად პლანიმეტრიისა, რომელიც შეისწავლის სიბრტყეზე მდებარე გეომეტრიულ სხეულებს.

სფერული გუმბათი – გუმბათი, რომლის ფორმა უახლოვდება ნახევარსფეროს.

სფერული ზედაპირი – იხ. სფერო.

სფერული მოძრაობა (სხეულის ბრუნვა უძრავი წერტილის გარშემო) – მყარი სხეულის მოძრაობა, როდესაც ამ სხეულის ერთი წერტილი უძრავად არის ჩამაგრებული, ხოლო დანარჩენი წერტილები მოძრაობენ წირებზე, რომლებიც მდებარეობენ კონცენტრირებულ სფეროებზე. ამ სფეროების ცენტრი ჩამაგრების უძრავი წერტილია.

სფერული საკისარი – გორვის საკისრების ერთ-ერთი სახე, რომლის რგოლების სამუშაო ზედაპირები არის სფერული ფორმის, რაც უზრუნველყოფს დატვირთვის მოხსნის შემდგომ თვითდაყენებას.

სფერული სამკუთხედი – გეომეტრიული ნაკვთი სფეროზე, რომელიც მიიღება სფეროს სამი წერტილით (რომლებიც არ მდებარეობენ ერთ დიდ წრეწირზე) და ამ წერტილების შემაერთებელი დიდი წრეწირების რკალებით, როცა რკალების სიგრძეები ნაკლებია დიდი ნახევარწრეწირის სიგრძეზე.

სფერული სარტყელი (სფერული შრე) – სფეროს ზედაპირის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია სფეროს გადამკვეთ პარალელურ სიბრტყეებს შორის. ს. ს. ფართობი $S = 2\pi Rh$, სადაც R – სფეროს რადიუსი, h – მკვეთ სიბრტყეებს შორის მანძილი.

სფერული სეგმენტი – სფეროს (ბირთვის) ნაწილი, რომელიც მოკვეთილია რომელიმე სიბრტყით. მისი მოცულობა: $V = \pi h^2(3R-h)/3$. გვერდითი ზედაპირის ფართობი: $S = 2\pi Rh$, სადაც R – სფეროს რადიუსი, h – სფერული სეგმენტის სიმაღლე.

სფერული სექტორი – სფეროს (ბირთვის) ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია სფეროს ცენტრში მოთავსებული წვეროს მქონე წრიული კონუსური ზედაპირით და ამ კონუსური ზედაპირით ამოკვეთილი სფერული ზედაპირით.

სფერული ტრიგონომეტრია – სფერული სამკუთხედის ტრიგონომეტრია ანუ მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის დამოკიდებულებას სფერული სამკუთხედის გვერდებსა (მათ სიგრძეებსა) და კუთხეებს (მათ სიდიდეებს) შორის.

სფერული ქანქარა – ნივთიერი წერტილი, რომელიც დაკიდებულია იდეალურად დრეკადი, უჭიმადი და უწონადი თოკის ბოლოზე და რომელსაც შეუძლია პერიოდული მოძრაობა სფერულ ზედაპირზე.

სფინქსი (ბერძ. sphinx<sphiggo ვუჭერ, ვგუდავ<sphingein მკვრივად ხატვა) – 1. ძველ ეგვიპტეში – უზარმაზარი ქვის ფიგურა – ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომი (ფარაონის ძლიერების განსახიერება). ს. ყველაზე ცნობილი ქანდაკება, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე მდებარეობს გიზის დიდი პირამიდის სამხრეთით (ნახ. 1. გიზის სფინქსი). იგი გამოკვეთეს დაახლოებით ძვ. წ. 2500 წელს, რათა დაეცვა პირამიდა. მისი თავი, სავარაუდოდ, მეფე-ღმერთის ხეფრეს ხატის მიხედვითაა შექმნილი; მითური არსების სფინქსის ქანდაკება, მეტად გავრცელდა ძველი ეგვიპტის არქიტექტურულ ანსამბლებში; 2. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ლომისტანიანი და ქალისთავიანი ფრთოსანი ურჩხული, რომელიც ცხოვრობდა თებეს ერთ-ერთი მთავარი შესასვლელის მახლობელ კლდეზე და გამვლელ-გამომვლელს გამოცანას ეუბნებოდა. გადატანითი მნიშვნელობით უცნაურ, გამოუცნობ ადამიანს ან გამოცანას ნიშნავს.

ნახ. 1

სფუმატო (იტალ. sfumato კვამლივით გამქრალი<ლათ. fūmāre კვამლი, გაბოლება) – ფერწერულ ნაწარმოებში გამოსახულების მკაფიო კონტურების ერთგვარი შერბილება, გაბუნდოვნება, რითაც სურათზე ნათლად გადმოიცემა განათებისა და სივრცის ეფექტი. თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავებული იქნა დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის მიერ.

სქელი – 1. რასაც დიდი განივკვეთი აქვს; დიდი სისქისა; 2. მჭიდრო, მკვრივი; 3. ისეთი რასაც წყალი შედარებით ნაკლები აქვს (ბეტონი, დუღაბი, ხსნარი და სხვ.); 4. მსუქანი, ტანმსხვილი, ჩასკვნილი.

სქელტანიანი – დიდი მოცულობისა, მრავალფურცლიანი.

სქელფისი – კუპრის ან ფისის გამოხდის მყარი ნარჩენი. გამოიყენება სქელფისის ლაქის დასამზადებლად, ჰიდროსაიზოლაციო მასალად ტოლისა და რუბეროიდის წარმოებაში.

სქემა (ბერძ. schema გარეგანი სახე, ფორმა, მონახაზი) – 1. ნაკეთობის ძირითადი და დამხმარე ელემენტებისა და კავშირთა ჯაჭვის ერთობლიობა, აგრეთვე საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შემადგენელი ნახაზი, რომელიც ასახავს კვანძის, მოწყობილობის, დანადგარის მუშაობის პრინციპსა და პროცესის თანამიმდევრობას და სხვ. ს. სრულდება პირობითი გრაფიკული აღნიშვნებითა და მარტივი გეომეტრიული ფიგურებით, მათ შორის კავშირების სტანდარტული აღნიშვნებით და მასშტაბის დაცვის გარეშე; 2. რისამე გადმოცემა, აღწერა ზოგადად, ძირითად ხაზებში; 3. წინასწარი მონახაზი, გეგმა. სქემის მრავალი სახე არსებობს: ასამუშავებელი, აღრიცხვის, აწყობის, ბოგური, გაგლუვების, გადათვლის, გამდიდრების, გამმართველი, განიავების, განლაგების, განივი, გაყოფის, გაშლილი, დაბრკოლებასაწინაღო, დამთხვევის, დამუშავების, დამხსომებელი, დასექციების, დაუმთხვევობის, დიოდური, დონეთა, ეკვივალენტური, ელექტროგაყვანილობის, ელექტრომეტრული, ელექტრონმილაკიანი, ელექტრული, ვარსკვლავთა, ვენტილაციის, ზოგადი, ზონური, თვისებრივი, ინტეგრალური, კინემატიკური, კომუტაციის, კონტაქტური სისტემის, ლოგიკური, მარაოსებრი, მარტივი, მეტროპოლიტენის, მიერთების, მორწყვის, მყარი, პნევმატიკური, პრინციპული, რეგენერაციული, რეფლექსური, რთული, რხევასაწინაღო, საანგარიშო, საბადოს გახსნის, საგროვებელი, საერთო, სამონტაჟო, სამწერტილიანი, სასხლეტი, სიმეტრიული, სტაბილიზაციის, რხევასაწინაღო, სტრუქტურული, სუპერჰეტეროდინული, ტალღაჯაჭვური, ტექნოლოგიური, ტიპობრივი, ტრიგერული, უნიპოლარული, ფაზაინვერსული, ფუნქციური, ქართა განმეორებადობის, "ქართა ვარდის", შეერთებათა, შეზეთვის, შემკრები, ჩამქრობი, ჩანაცვლების, ჩართვის, ხაზური, ჰიდრავლიკური და სხვ.

სქემატური – 1. სქემის სახით წარმოდგენილი; 2. ზოგადად, ძირითად ხაზებში მოცემული; გაუბრალოებულ-განზოგადებული სახით წარმოდგენილი.

სცენა – თეატრის შენობის ნაწილი – ბაქანი, რომელზეც ტარდება თეატრალური წარმოდგენა. ს. იგება იმ მასალებისგან, რომლებიც საჭიროა იმ ტიპის კონსტრუქციის შენობის იატაკისთვის, სადაც ასეთი სცენები მდებარეობს. ს. იატაკში გამავალ ღიობებს უკეთდება კარგად მორგებული, მასიური ხის, საკეტიანი ლუკი/კარი. ს. სიმაღლე იზომება სცენის იატაკის ყველაზე დაბალი წერტილიდან ან სცენის იატაკის ფენილიდან ჭერის ყველაზე მაღალ წერტილამდე.

სცენის ცხაური – სცენის თავზე მოწყობილი სტრუქტურული კარკასი, რომელსაც ეყრდნობა მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია დეკორაციისა და სხვა სასცენო ეფექტების ჩამოსაკიდებლად ან სამოძრაოდ.

სცინტალატორი – ნივთიერება ან მისი ხსნარი, რომელშიც მაიონიზებელ გამოსხივებათა ზემოქმედებით წარმოიქმნება სინათლის აალება – სცინტილაცია.

სცინტილაცია (ლათ. scintillatio ციმციმი) – ფიზ. სინათლის მყისეული აალება, რომელიც წარმოიქმნება ზოგ ნივთიერებაში (სცინტილატორებში) მაიონიზებელ გამოსხივებათა შედეგად.

სწორი – 1. გლუვი, უხორკლო (ზედაპირი); ვაკე (ადგილი); 2. პირდაპირ, მიხვევ-მოხვევის გარეშე მიმართული; 3. ვითარების შესაბამისი; მართალი, ნამდვილი, ჭეშმარიტი, წესიერი; 4. თანასწორი, თანატოლი; თანაბარი.

სწრაფმყარებადი ცემენტი-ბესალიტი – განსაკუთრებით სწრაფმყარებადი მჭიდა მასალა, მიღებული სულფოალუმინატურ-ბელიტური კლინკერისა და თაბაშირის ერთდროული წმინდა დაფქვით. მზადდება სამი მარკის – 300, 400 და 500. გამოიყენება წყალმედეგი (წყალშეუღწევი) ნაკეთობების დასამზადებლად, სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების დროს.

სჭვალი – ხრახნი, რომლის დიამეტრი d < 12 მმ. აქვს სფერული ან ბრტყელი თავი განაჭერით, რომელშიც ჩადის ხელის ან ელექტროსახრახნისის პირი, რომელთა მეშვეობით ის ჩაიხრახნება მერქანში (ნახ. 1). თუ ხრახნის დიამეტრი d >12 მმ, მაშინ მას უწოდებენ ყრუ ჭანჭიკს (ნახ. 2), რომელსაც კვადრატული ან ექვსკუთხა თავი აქვს და ჩაიხრახნება მერქანში ქანჩის გასაღების საშუალებით.

ნახ. 1

ნახ. 2

სხალთა (ინგლ. Skhalta Cathedral) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. პანორამული ხედი). მდებარეობს აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტში, მდ. სხალთის (ხიხანის) ხეობაში, სოფელ ყინჩაურში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, მცირე ეკლესია, მარანი, სამარხები.

ნახ. 1

დიდი დარბაზული ტიპის ტაძარი შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია აჭარაში. გადმოცემის თანახმად მონასტრის აგება თამარ მეფისა და აჭარის მმართველების აბუსერისძეთა სახელებთანაა დაკავშირებული. სხალთის ტაძარი დარბაზული ტიპისაა. შესასვლელი სამხრეთიდან (ნახ. 3. სამხრეთი შესასვლელი) და დასავლეთიდან (გაუქმებულია) აქვს. ნაგებია თლილი ქვის კვადრებითა და რიყის ქვით. შენობის ფართო და მაღალი შიდა სივრცე ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. ნაგებობის გრძივი კედლები პილასტრებითაა დანაწევრებული.

კედლიდან მძლავრად გამოწეულ პილასტრებს კედლის თაღები და კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. თაღების ზემოთ, პილასტრების იმპოსტების დონეზე ვიწრო სარტყელია გავლებული. უკანასკნელი აფსიდზეც გადის. თაღის მალებში კარები და სარკმლებია გაჭრილი. ამის გარდა, აქ მოწყობილია ფართო, ღრმა ნიშები. ტაძრის საკურთხევლის ნაწილი გამოყოფილია დამატებითი განიერი თაღით, რომელიც სქელ, მძიმე, წაკვეთილ პილასტრებს ეყრდნობა. აფსიდის სამი თანაბარი სიდიდის სარკმელი მოთავსებულია ერთ დონეზე. სარკმლების ქვემოთ სამი ნიშია, რომელთაგან შუა გამოირჩევა თავისი სიდიდით. მარჯვენა ნიშის თაღის ერთი ქვა ჩუქურთმით არის დაფარული. ასეთივე მოჩუქურთმებული ქვები ჩაყოლებულია კიდევ ძეგლის კედლების სხვადასხვა ადგილას. საინტერესოა ჩრდილოეთ ფასადის კედელში ჩატანებული ქვა, რომლის ჩუქურთმის მოტივი X-XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ტაძრის გარეგანი ფორმები მასიურია და მძიმე. დარბაზული სივრცის ძირითადი მასივი დახურულია მაღალი ორქანობიანი სახურავით. ფასადების დიდი გლუვი სიბრტყეები მხოლოდ კარ–სარკმლების მოჩუქურთმებული საპირეებით არის მორთული (ნახ. 4. სარკმლის მორთულობა). სარკმელთა თავზე, მხოლოდ ერთი რიგის საპირე ქვების გამოტოვებით, გავლებულია კარნიზი. ფასადს აგვირგვინებს მაღალი, კონუსისებური სახურავი. კარის მოჩარჩოება სარკმელთა საპირეებთან საერთო ხასიათისაა. ტაძარი კარიბჭითურთ მთლიანად იყო მოხატული. დღეისათვის ფრესკები ძირითადად საკურთხეველში, კამარაზე და დასავლეთ კედელზე შემორჩა. 1997 წელს ჩატარებული ფართო მაშტაბის სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორი გ. ჭეიშვილი) წარმოჩნდა, რომ სხალთის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ–ერთი საინტერესო და თავისი დროის გამორჩეული ნიმუშია. მარანი, რომელიც გზის პირას, ტაძრიდან მოშორებით მდებარეობს, მართკუთხა ფორმის მოზრდილი ნაგებობაა. მისი შიდა გადახურვა კამაროვანია. აქ დღესაც ინახება ძველი საწნახელი და მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები. სხალთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მცირე ეკლესიის მახლობლად, შუა საუკუნეებშივე გაჩნდა სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წელი ფუნქციონირებდა. სამაროვანის სიდიდე და მრავალფეროვანება მოწმობს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეში სხალთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1981 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხთა ოთხი ძირითადი ტიპი გამოვლინდა: ორმო–სამარხები,

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

ამოშენებულკედლიანი სამარხები, ქვის სამარხები და აკლდამა. მოსახლეობის სოციალურად დაწინაურებული ფენის ნაწილი ტაძარში და მის გარეთ, აღმოსავლეთის კედელთან იყვნენ დაკრძალული. საინტერესოა, რომ წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარის ჩაყოლების წესი აქ ქრისტიანულ საფლავებშიც შემორჩა: სასმისები, რკინის და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები, მონეტები და ა.შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად განახლებული ტაძარი მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა და, ამჟამად, წარმოადგენს სხალთის ეპარქიის საკათედრო ტაძარს.

ნახ. 1

სხდომათა დარბაზი – შეკრებების, თათბირების, კონფერენციების, პრეზენტაციების და მისთ. ჩასატარებელი დიდი მოცულობის დარბაზი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობაში (ნახ. 1. საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზი).

სხეული (ტანი) – სივრცის ნებისმიერი შემოფარგლული ნაწილი თავისი საზღვრებით (მაგ., სფერო, პრიზმა, ცილინდრი და სხვ.). სხეულს ვუწოდებთ ბუნებაში მილიონობით არსებულ სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის, ზომისა და მასალის ნაწილაკებს, ნაჭრებს, დეტალებს. მათგან ყველაზე მეტად ცნობილია სხეულები: აბსოლუტურად მყარი, ამორფული, ანიზოტროპიული, გეომეტრიული, დრეკადი, იზოტროპიული, პლასტიკური, უცხო, ფიზიკური, ციური, ხისტი, წონადი, ჰიგროსკოპიული და სხვ; 2. ადამიანის (ცხოველის) ორგანიზმი, მისი გარეგანი და ფიზიკური აგებულება.

სხეული არაერთგვაროვანი – სხეული, რომლის ფიზიკური თვისებები სხვადასხვა წერტილში სხვადასხვაა.

სხეული გეომეტრიული – სივრცის ნებისმიერი არე თავისი საზღვრითურთ ანუ ყველა მხრიდან შემოსაზღვრული სივრცის ნაწილი. სხეულს ყოველთვის აქვს სიგრძე, სიგანე და სიღრმე.

სხეული ერთგვაროვანი – სხეული, რომლის ფიზიკური თვისებები მის ყოველ წერტილში თანხვედრილია გარკვეული მიმართულებებით.

სხეული თავისუფალი – სხეული, რომელსაც შეუძლია სივრცეში ნებისმიერი მიმართულებით გადაადგილება.

სხეული წრფივად დრეკადი (კლაპეირონის დრეკადი სისტემა) – ნივთიერი სისტემა, რომელშიც წერტილზე მოქმედი დატვირთვის შედეგად გამოწვეული წერტილის გადაადგილების კომპონენტები წარმოადგენს ამ დატვირთვის ერთგვაროვან წრფივ ფუნქციას.

სხეულის გადატანითი მოძრაობა – სხეულის მოძრაობა, როდესაც სხეულში ნებისმიერად აღებული წრფის მონაკვეთი თავისთავის პარალელური რჩება. ასეთი მოძრაობის დროს სხეულის ყველა წერტილს ერთნაირი ტრაექტორია, სიჩქარე და აჩქარება აქვს. ეს თვისება საშუალებას იძლევა, სხეულის მოძრაობა შესწავლილი იქნეს ერთი წერტილის მოძრაობით. ს.გ. ბ. მაგალითია ორთქლის მანქანის დგუშის მოძრაობა.

სხეულის განივკვეთის გეომეტრიული მახასიათებლები – სიდიდეები დამოკიდებული სხეულის კვეთის ფორმასა და ზომებზე, რომლებიც გამოიყენება მასალათა გამძლეობის, დრეკადობის თეორიის, სამშენებლო მექანიკის ფორმულებში. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება გეომეტრიული მახასიათებლები: კვეთის ფართობი, სტატისტიკური მომენტი (ღერძული, ცენტრიდანული, პოლარული, სექტორიალური), ინერციის რადიუსი, ინერციის მომენტი, წინაღობის მომენტი და სხვ.

სხეულის მდგრადობა (მდგრადი წონასწორობა) – მცურავი სხეულის უნარი, აღიდგინოს გარე ძალების მოქმედებით დარღვეული წონასწორობა ამ ძალების ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

სხეულის ცურვადობა – სხეულის უნარი ცურავდეს სითხეში მოცემული წონისას.

სხვაობა – 1. იგივეა, რაც განსხვავება; 2. გამოკლების შედეგად მიღებული რიცხვი.

სხვენი – თავანი; შენობის ზედა სართულის ჭერის კოჭებსა და სახურავის ნივნივებს შორის მოქცეული სივრცე (ნახ. 1). აქვს არასტანდარტული ფორმა, ამიტომ ს. საცხოვრებლად მოუხერხებელ სივრცედ ითვლება. მიუხედავად ამისა, ის ხშირად დაყოფილია ოთახებად ან გამოიყენება ერთიან სივრცედ, როგორც საცხოვრებლად, ასევე ნივთების შესანახი ადგილის დანიშნულებით. მას უკეთებენ კარებსა და ფანჯრებს. ს. შეიძლება იყოს მთლიანად დახურული ან ნაწილობრივ ღია – აივნის ტიპის. საძინებლის დანიშნულებით ს., ძირითადად, იმ შემთხვევებში გამოიყენება, როცა სახლში მცირე საცხოვრებელი ფართია, მაგრამ მისი კეთილმოწყობის შემთხვევაში მსგავსი საძინებელი ოთახი იმავე კომფორტს უზრუნველყოფს, როგორსაც ჩვეულებრივი ოთახში მოწყობილი საძინებელი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ს. აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფანჯრები და კარგი სავენტილაციო სისტემა. ს. გამოიყენება სახლში ტემპერატურის კონტროლის მიზნითაც, ვინაიდან მასში ჰაერი ნელა მოძრაობს. სახლის ქვედა სართულებიდან წამოსული თბილი ჰაერი ხშირად გროვდება სხვენში, რაც მის არასტუმართმოყვარე რეპუტაციას კიდევ უფრო ამძიმებს. მაგრამ, თანამედროვე თბო- და ჰიდროსაიზოლაციო მასალების გამოყენებისას სხვენის გათბობის ხარჯი 15%-მდე მცირდება და იზრდება მისი უსაფრთხოება. სამშენებლო ნორმების მიხედვით, თუ სხვენი აქტიურად არ გამოიყენება, აუცილებელია, რომ იგი კარგად ნიავდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ს. იქმნება მაღალი ტემპერატურა, გროვდება ნესტი, რაც ხელს უწყობს ხის საშენ მასალაზე ობის გაჩენასა და ჭერის კონსტრუქციების ნაწილების ლპობას. არსებული სტანდარტებით, სხვენის სავენტილაციო ფართობი უნდა იყოს არანაკლებ სხვენის ფართობის 1/150 ნაწილი და ამ სავენტილაციო სივრცის არანაკლებ 50% განთავსებული უნდა იყოს ს. ზედა ნაწილში. ვენტილაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის გამწოვ სისტემაზე მომუშავე დანადგარები. ს. ასასვლელად ხშირად იყენებენ როგორც ჩვეულებრივ, ისე სპეციალურ დასაშვებ-ასაკეც კიბეს, რომელიც ს. იატაკშია დამონტაჟებული და ხელს უწყობს ს. ქვევით არსებულ სართულზე ფართობის ეკონომიას. უმეტეს შემთხვევებში, ს. დასაშვებ-ასაკეც კიბეებს აქვს თოკი, ზამბარის ან ჰიდრავლიკური სისტემები, რომელთა საშუალებითაც კიბეს უშვებენ და კეცავენ. ეს კიბე მზადდება ხის, ფოლადის, ალუმინის, მინის ან პლასტმასისაგან და

ნახ. 1

გამოიყენება იმ სახლებში, სადაც ს. ძირითადად ნივთების შესანახი დანიშნულება აქვს. ს. სამი ძირითადი ფორმა არსებობს: სამერცხულიანი (სახლებში რომლის ს. აქვს აივანი ან ტერასა); "ველუქსის" ტიპის (ჰაერის შახტით) და ჩვეულებრივი (მანსარდით).

სხვენი თბილი – სხვენი, რომლის სივრცეში ჰაერი ხვდება შენობის სათავსებიდან.

სხვენის გადახურვა – გადახურვა, რომელიც გამოყოფს შენობის ზედა სართულს სხვენისაგან და სართულშუა გადახურვისაგან განსხვავებით, არ აქვს მზიდი იატაკი.

სხვილოს ციხე (ინგლ. Skhvilo Castle) – X-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემოჭალის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ში, მდ. ლეხურას ხეობაში, მაღალი მთის კალთაზე (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, მთავარი კოშკი, კოშკი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, წყალსაცავი.

ციხე აგებულია XIV საუკუნეში, თუმცა ისტორიული წყაროების მიხედვით („მატიანე ქართლისა“) აქ ციხე არსებულა X საუკუნეშიც. ციხე ზევდგენიძეთა (ამილახვარნი) ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. აქ იყო მათი რეზიდენციაც. XVI-XVII საუკუნეებში ამილახვრებმა რეზიდენცია ქვემოჭალაში გადაიტანეს და სხვილოს ციხე-დარბაზმა მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია მიიღო. XVII საუკუნის 30-იან წლებში ციხე მეფე როსტომმა ძალის გამოყენებით დაისაკუთრა. 40-იან წლებში სხვილოს ციხე ირანის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის გივი ამილახვარის დასაყრდენი იყო. XVIII საუკუნის ბოლომდე სხვილოს ციხე ამილახვართა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ნახ. 1

ციხე წარმოადგენს წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ნაგებობას (18,4x37,3 მ) დასავლეთიდან ერთი შესასვლელით. ქონგურებიანი ციხის კედლების სიმაღლეა 11-14 მ, სისქე – 2 მ. კედლებს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა საბრძოლო ბილიკი და გარედან 7 ბურჯით იყო გამაგრებული. კედლები მომარჯვებული იყო სათვალთვალოებით, სათოფურებით, სალოდეებითა და მეომრების სადგომი ბაქნებით. ციხის თავსა და ბოლოში თითო თავდაცვითი კოშკი დგას. მათგან მთავარი იყო ჩრდილოეთის კოშკი (8,4x8,9 მ) (ნახ. 4. მთავარი კოშკი). პირველი სართულის გადახურვა ქვის იყო, დანარენი სართულებისა კი – ხის. თავდაპირველად ორივე კოშკი ხუთსართულიანი ყოფილა. სამხრეთის, შედარებით პატარა კოშკის (7,0x6,8 მ) პირველი და მეორე სართულები გადახურული ყოფილა ქვის კამარებით, დანარჩენი – ხის კონსტრუქციებით. ორივე კოშკს ეზოს მხრიდან ჰქონდა შვერილი ხის აივნები.

ეზოში მდგომი ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა (7,5x5,1 მ). იგი თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა (წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია). მოგვიანებით ზედ დაუშენებიათ მეორე ეკლესია (წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია). ორივე ეკლესია დარბაზულია. ნაგებია მოცისფრო ნატეხი ქვით. დასავლეთის ფასადზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერის თანახმად ეკლესია აუგიათ ზევდგენიძეებს საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) დროს.

ნახ. 2

ეკლესიის დასავლეთით ციხის კედელთან დიდი ზომის წყალსაცავია (3,5x7,4 მ), რომელიც სავარაუდოდ ციხის მთელ შემადგენლობას წყლით ამარაგებდა. ნაპოვნია წყალსადენის კერამიკული მილებიც. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს, მათგან მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი.

ნახ. 3

ნახ. 4

სხივი – 1. სინათლის ვიწრო ზოლი, რომელსაც გამოსცემს მანათობელი სხეული; 2. რისამე ენერგიის ნაწილაკების კონის ნაკადი; 3. წრფე, რომელიც ცალი მხრიდან შემოსაზღვრულია. არსებობს სხვადასხვა ტიპის სხივი: ანარეკლი, ანოდის, ანტენის, ატომური, განშლადი, გარდატეხილი, ელექტრომაგნიტური, ელექტრონული, ეტალონური, ზედაპირული, თბური, ინფრაწითელი, იონური, კათოდის, კათოდმიღმა, კოსმოსური, კრებადი, ლაზერის, მაგებმილებელი, მზის, მხედველობის, პირდაპირი, პოლარიზებული, რადიალური, რადიოაქტიური, რადიოლოკაციური, რენტგენის, სინათლის, ულტრაიისფერი, უხილავი, ხილული, ჰეტეროგენული, ჰომოგენური და სხვ.

სხივური – სხივის დამახასიათებელი.

სხივური არქიტექტურული სტილი – ფრანგული გოტიკური სტილი, გამორჩეული მასიური მრგვალი ვიტრაჟებითა და უწყვეტი აჟურით; სახელი მიიღო გოტიკური ვარდის ფანჯრებიდან (ნახ. 1: სხივური არქიტექტურული სტილის ბრწყინვალე ნიმუში – სენტ-შაპერის ტაძრის ეგვტერი, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა) შემოსული სხივების მიხედვით. ფართოდ გამოიყენება შენობების ინტერიერების გასაფორმებლად (ნახ. 2: ტორშერის პლაფონ-ბუტონი, ფლორენცია, იტალიის რესპუბლიკა).

ნახ. 1

ნახ. 2

სხივური ენერგია – ელექტრომაგნიტურ ტალღათა ენერგია.

სხივური წყალასაღები ნაგებობა – მიწისქვეშა წყლების წყალასაღები ნაგებობა, რომელიც შედგება ჰოროზონტალური ან დახრილი წყალმიმღები რადიალურად განლაგებული სხივ-ფილტრებისაგან.

სხმული – 1. დაყალიბებით მიღებული ნაკეთობა; ნამზადი ან დეტალი, რომელიც მიღებულია (დამზადებულია) გამდნარი ლითონის, მთის ქანის, წიდის, შუშის, პლასტიკური მასის და სხვ. ჩამოსხმით სამსხმელო ყალიბში (ნახ. 1). ყალიბიდან ამოღებული სხმული ექვემდებარება გაწმენდა-გახეხვას, რომლის დროსაც მოსცილდება ნამეტები. სხმულის სახეობებია: ალუმინის, ანტიკოროზიული, ანტიფრიქციული, ბაზალტის, გათეთრებული, დნობადი მოდელით, ზრდამედეგი, თეთრგულა, თუჯის, კოკილის, კოროზიამედეგი, მთლიანი, მხურვალგამძლე, ნაწრთობი, პრეციზიული, რთული, სამანქანო, სამშენებლო, საღი, სპილენძის, ფასონური, ფოლადის, ჩასატანებელი, ცენტრიდანული, ცვეთაგამძლე, წვრილი, წნეხილი და სხვ.; 2. ჩაღრმავებული, ფოსოიანი ან ამოზნექილი დეკორატიული ზედაპირი; დეკორატიული ზედაპირი ან მრუდხაზიანი ზოლი, რომელიც გამოიყენება სამშვენისად, მოსართავად ან მოსაპირკეთებლად.

ნახ. 1

ტ

ტაბაკინის მონასტერი (ინგლ. Tabakini Monastery) – VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ძლევის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი. მდებარეობს ზემო იმერეთის მხარეში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაკინში, მდინარე აჯამურის ხეობაში, ზესტაფონიდან 7 კმ-ის დაშორებით. მონასტრის ძირითადი ნაგებობებია: წმინდა გიორგის სახელობის ორნავიანი ეკლესია კრიპტითა და მინაშენით, სამრეკლო, ბერების სენაკები, თორმეტი მოციქულის სახელობის ერთნავიანი ტაძარი. წმინდა გიორგის ეკლესია (ნახ. 1) ორნავიანი ბაზილიკაა (12,09x8,18 მ). ნაშენია თლილი ქვითა და კირხსნარით. თავდაპირველად დახურული ყოფილა კრამიტით, 1980-86 წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ – თუნუქით. ინტერიერი მთლიანად მოხატული და ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერებით დაფარული იყო, რომელთა ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. კედლებზე გამოსახულია ქრისტეს, ღვითსმშობლის, წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველი სურათები. აქვეა ეკლესიის ქტიტორის, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) გამოსახულება. ეკლესიის ჩრდილოეთი ნავი დარბაზთან დაკავშირებულია ოთხკუთხა ბოძზე დაყრდნობილი განიერი ორთაღედით. ნავის აღმოსავლეთ ნაწილში აფსიდიანი სათავსია. ეკლესიას სამხრეთით აქვს დამოუკიდებელი სტოა (ნართექსი, კარიბჭე), რომელსაც ჩვეულებრივი კავშირი ეკლესიასთან არ გააჩნია, თუმცა დასავლეთის კედელი ფართო თაღითაა გახსნილი. ე.ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავშირი შესაძლებელია ამ ღიობისა და ეკლესიის დასავლეთის კარის საშუალებით ხორციელდებოდა. სტოად გაფორმებული დამოუკიდებელი ეკვდერის ასეთი შეთავსება ეკლესიასთან ქართულ ხუროთმოძღვრებისათვის ერთადერთია და უნიკალურად ითვლება. ტაძარში მშენებლობის ოთხი ფენა შეიმჩნევა: პირველი VI–VII საუკუნეების; მეორე, დაახლოებით, X საუკუნის; მესამე განახლებისა და მოხატვის – 1510-1529 წწ. და მეოთხე 1529 წლის შემდეგ. ქვიტკირის ორსართულიანი სამრეკლო (ნახ. 2), სავარაუდოდ, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული და ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფორმის

ნახ. 1

ნახ. 2

სიმკაცრითა და დახვეწილი პროპორციებით. სამონასტრო კომპლექსის ახალ ნაწილს წარმოადგენს 1990 წელს აგებული თორმეტი მოციქულის სახელობის ერთნავიანი ტაძარი (ნახ. 3) და ბერების საცხოვრებელი სახლი.

ნახ. 3

ტაბელი (ლათ. tabella ფიცარი, ცხრილი) – 1. დაფა, რომელზედაც ჩამოკიდებულია ჟეტონები მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და იქიდან წასვლის აღრიცხვისათვის; თვით ასეთი ჟეტონი; 2. რისამე მოწესრიგებული სია, განრიგი, უწყისი; 3. ბრტყელი, როგორც წესი, შვეული ზედაპირი.

ტაბერნა – სავაჭრო სადგომი, ზარაფხანა ძველ რომში. დამატებით იხ. ტავერნა.

ტაბიკურა (ომბოხი) (რუს. костыль ძვლის ჯოხი, კვერთხი) – 1. ლითონის დეტალი ყველა ტიპის რელსის ხის შპალებთან დასამაგრებლად (ნახ. 1). ტ. აქვს განსაკუთრებული კონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს თავის (ქუდის) გადანაცვლებას ერთ მხარეს. სწორედ ამ გამონაშვერით ებჯინება რელსის ფუძე შპალს. ტ. ჩასობა ხის შპალში ხორციელდება სპეციალური მოწყობილობით (ნახ. 2) ან ხელით. ხის შპალსა და რელსს შორის მოთავსებულია ლითონის ქვესადები გამჭოლი ხვრეტებით, რომელშიც გადის ტ.; 2. შენობის კარნიზის კიდულების დასამაგრებელი ზოლოვანი ლითონის ნაკეთობა.

ნახ. 1

ნახ. 2

ტაბლა – 1. სქელი ხის ფიცრებისგან დამზადებული ფეხებიანი, დაბალი სუფრა. სიგრძე – 2 მ-მდე, სიგანე – 36-40 სმ, ფეხების სიმაღლე 40 – სმ-მდე. ტერმინი იხსენიება ძველ ქართულ წყაროებში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტაბლა „ფიცრის სუფრაა ფეხედი“. ტაბლა სასულიერო მწერლობაში ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშია (VI ს.) მოხსენიებული, ხოლო საერო საისტორიო წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. სვანეთში ხის დაბალ სუფრას ტაბაკი ჰქვია, მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთში – ტაბლა, ხევში – ტაბლა-ხონჩა. სვანეთში ოთხფეხა დაბალი სუფრის პარალელურად გავრცელებული იყო მასიური ფიცრისგან გამოთლილი სამფეხიანი ხის მრგვალი ტაბლა, რომელიც ფეხების გარეშე აჭარულ ფეშხუმს ჰგავს. ეთნოგრაფ ლ. ბედუკიძის აზრით ტაბლათა სიმრგვალე უძველეს რწმენა-შეხედულებებს უკავშირდება და სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც ასტრალურ მსოფლმხედველობასთან

უნდა იყოს დაკავშირებული; 2. სარიტუალო პური; 3. მატყლის სართავი ჯარას ნაწილი; 4. ჭურჭლის დასამზადებელი ჩარხის დეტალი; 5. მატყლის საჩეჩელის ნაწილი.

ტაბლეტური კომპიუტერი (კომპ.) (ინგლ. tablet computer) – მცირე ზომის პორტატიული კომპიუტერი, რომელიც ინფორმაციის შეტანას უზრუნველყოფს პირდაპირ სენსორულ ეკრანზე და არა კლავიატურის ან კომპიუტერის თაგვის მეშვეობით.

ტაბლინუმი (ლათ. tabulīnum<tabula ფიცარი, ფირფიტა, თამასა, მაგიდა) – რომაული სახლის ატრიუმის სიღრმეში განლაგებული ოთახი, რომელიც ატრიუმისგან გამოყოფილი იყო შირმით ან ტიხრით.

ტაბლო (ძვ. ფრანგ. tablel სურათი, სახატავი ზედაპირი, პატარა მაგიდა<ლათ. tabula ფიცარი, ფირფიტა, თამასა, მაგიდა) – საკონტროლო დაფა, რომელზეც მოთავსებულია სხვადასხვა პირობითი გამოსახულება, შუქოვანი (ნახ. 1) ან სხვაგვარი სასიგნალო მოწყობილობა.

ნახ. 1

ტაბულარიუმი (ლათ. tabula ფიცარი, ფირფიტა, თამასა, მაგიდა) – სახელმწიფო არქივის შენობა ძველ რომში.

ტაბულატორი (ლათ. tabula ფიცარი, ფირფიტა, თამასა, მაგიდა) – ელექტრომექანიკური ციფრული გამომთვლელი მანქანა, რომელიც ავტომატურად ამუშავებს პერფორირებულ ბარათზე მოცემულ ციფრულ და ასოით ინფორმაციას და გამოთვლის შედეგები გადააქვს ქაღალდის ლენტზე ან სპეციალურ ბლანკზე.

ტაბულირება – სხვადასხვა მათემატიკური ცხრილის შედგენა და კონსტრუირება.

ტაბურეტი (ფრანგ. tabouret<tambour დოლი) – უბრალო უზურგო სკამი, რომელიც ერთი ადამიანის დასაჯდომადაა განკუთვნილი.

ტაგრუცი – თაბუთი, ყორღანი, "მაღლა ნაგები საფლავი" (საბა).

ტავერნა (ძვ. ფრანგ. taverne ფიცრული ფარდული, ჯიხური<ლათ. taberna ქოხმახი, სამიკიტნო, სასტუმრო) – სამიკიტნოს დასახელება იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ტავოტი – იხ. სოლიდოლი.

ტაიგა (რუს. тайга<მონღ.) – ხშირი წიწვოვანი ტყის ფართობი ევროპის, აზიისა და ამერიკის კონტინენტების ჩრდილოეთ ნაწილში (ნახ. 1. ციმბირის ტაიგა). ის დედამიწის ყველაზე დიდი ბუნებრივი ზონაა (უჭირავს ხმელეთის 11%).

ნახ. 1

ტაიპეი 101 (ტაიბეის მსოფლიო ფინანსური ცენტრი) (ინგლ. Taipei 101, ფორმალურად Taipei Financial Center Corporation) – 101 სართულიანი ცათამბჯენი ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) სიმაღლით 509,2 მ, რომელშიც შეთავსებულია თანამედროვე პოსტმოდერნისტული და ძველი ჩინური არქიტექტურული ტრადიციები (არქიტექტორი სუ უაი ლი) (ნახ. 1). ტ. იყო ყველაზე მაღალი შენობა მსოფლიოში 2003-2007 წლებში. მინის, ფოლადისა და ალუმინისაგან აგებულ შენობას იჭერს 380 ცალი მაღალი სიმტკიცის (70 მპა) ბეტონის ხიმინჯოვანი საყრდენები ჩასობილი მიწაში 80 მ სიღრმეზე. მიწისძვრისას სეისმური ძალების ჩასაქრობად შენობის 87-დან 91 სართულამდე სივრცეში განლაგებულია 660 ტონიანი სფერო-ქანქარა – ინერციული დემპფერი (დიამეტრით 5,4 მ) (ნახ. 2). ცენტრში ასეულობით მაღაზია, რესტორანი, კლუბი და ოფისია. ცათამბჯენის კონსტრუქციაში გამოიყოფა 8 სექცია, რომელთაგან თითოეული შედგება 8 სართულისაგან (ჩინურ კულტურაში ციფრი 8 ასოცირდება წარმატებასა და აღორძინებასთან). შენობის განმეორებადი სეგმენტები გვაგონებს აზიაში გავრცელებულ არქიტექტურულ რიტმს – პაგოდას (კოშკი, რომელიც აერთებს ზეცასა და მიწას). კვირის მიმდინარე დღის მიხედვით, ცათამბჯენის სექციები ნათდება სინათლის სპექტრის ფერებად, ანუ ყოველ დღეს თავისი ფერი შეესაბამება.

ნახ. 1



ნახ. 2

ტაიფუნი (ინგლ. typhoon<ჩინ. тай фын დიდი ქარი) – გამანადგურებელი ქარიშხალი (ციკლონი), რომელიც ხშირად მძვინვარებს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, იაპონიაში, ჩინეთსა და ინდოჩინეთის ქვეყნებში. გამოირჩევა დიდი დამანგრეველი ძალით.

ტაკელაჟის სამუშაოები – მანქანისა და მისი ცალკეული კვანძების გადაადგილებისა და დანიშნულების ადგილზე დაყენების ოპერაციების ერთობლიობა, დამხმარე სამუშაოების ჩათვლით. ტაკელაჟი – მანქანის მონტაჟის საწყისი და მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა ტაკელაჟის საშუალებების სწორ შერჩევასა და გამოყენებას.

ტალავერი – ვაზით ან სხვა ხვიარა მცენარეულით გადახურული მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობელი. დამატებით იხ. თალარი, ფანჩატური.

ტალანი – წინაოთახი; სათავსი ბინაში, რომლის მეშვეობით საცხოვრებელი ოთახები კიბის ბაქანს უკავშირდება.

ტალახის ნაკადი – ღვარცოფული ნაკადის ერთ-ერთი ტიპი მასალის შემადგენლობის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია უპირატესად მტვრიან-თიხოვანი და ქვიშის ნაწილაკებით, მსხვილი ნატეხების ჩათვლით. ტალახის ნაკადი მიეკუთვნება მაღალი სიმკვრივის ნაკადებს, დამახასიათებელია თიხოვანი ფიქლებითა ან ლიოსისებრი ქანებით შედგენილი ღვარცოფული აუზებისათვის. მოძრაობის ხასიათით უმრავლესობა მიეკუთვნება ბმული ღვარცოფული ნაკადების კლასს.

ტალვეგი – (გერმ. Talweg < Tal ხეობა და Weg გზა) – 1. ხეობის ფსკერი; 2. ხაზი, რომელიც აერთებს მდინარის, ხეობის, ხრამის, კოჭისა და რელიეფის სხვა წაგრძელებული ფორმის ყველაზე ჩაღმავებულ ნაწილებს.

ნახ. 1

ნახ. 1

ტალი (ნიდერლ. talie<ლათ. tālea ჩამონაჭერი) – ტვირთის ასაწევი შეკიდებული მოწყობილობა, რომელსაც აქვს ხელის, ელექტრული (ნახ. 1) ან პნევმატიკური ამძრავი; შედგება ჯალამბრისა და ურიკისაგან. აქვს ერთ- ან ორრელსიანი სამოძრაო ლიანდაგი (დახრა 2%-მდე), გადამყვანი ისრები. ელექტროტალს, რომელსაც ერთრელსიანი ურიკა აქვს, ტელფერი ეწოდება.

ტალკი (ლათ. talcum<არაბ. talg ქარსი) – 1. ვაშლისებრ მწვანე ან თეთრი მონოკლინური კრისტალური მინერალი; 2. კოსმეტიკური პრეპარატი, რომელიც შედგება სურნელოვანი ფხვნილისებრი მინერალური ტალკისაგან.

ტალრეპი – მოწყობილობა კაბელის, ბაქირის, ტროსის, ჯაჭვის, ტაკელაჟის და მისთ. დასაჭიმად. არსებობს ტალრეპის ტიპები: კავი-კავი, კავი-რგოლი (ნახ. 1), რგოლი-რგოლი, ჩანგალი-ჩანგალი და სხვ.

ნახ. 1

ტალღა (ინგლ. wave) – გარემოს მდგომარეობის ცვლილება (შეშფოთება), რომელიც ვრცელდება გარემოში და გადააქვს ენერგია. არსებობს ტალღის რამდენიმე ძირითადი სახე: ა) დრეკადი ტალღები – აღიძვრება მყარ სხეულებში, სითხეებსა და აირებში (ბგერითი და სეისმური ტალღები დედამიწის ქერქში დრეკადი ტალღების კერძო შემთხვევაა); ბ) ელექტრომაგნიტური ტალღები (რადიოტალღები, სინათლე, რენტგენის სხივები და სხვ.). ზოგადად ტალღის

მრავალი სახეობა არსებობს: აკუსტიკური, ალბათობის, ალის, ანარეკლი, არამილევადი, არაპოლარიზებული, არაწრფივი, აფეთქების, ბალისტიკური, ბგერის, ბრტყელი, გადაადგილების, გამვლელი, გამოსხივებადი, გა(ნ)ბნეული, განივი, გრეხითი, განშლადი, გარდატეხილი, გასწვრივი, გრავიტაციული, დამრეცი, დარტყმითი, დეციმეტრული, დე ბროილის, დიფრაგირებული, დიფრაქციული, დრეკადი, ელექტრომაგნიტური, ზედაპირული, ზვირთცემის, ზღვრული, ინერციული, იძულებითი, კოსმოსური, კოჰერენტული, კრებადი, მდგარი, მვარდნი, მზიდი, მიკრონული, მილევადი, მიმოქცევის, მიწისპირა, მოდულირებული, მოკლე, მომდევნო, მომვლები, მონოქრომატული, მოქცევის, მოხეტიალე, მსრბოლი, ნეგატიური, პარციალური, პირდაპირი, პოზიტიური, პოლარიზებული, რეზონანსული, საკონტროლო, საკუთარი, სამუხრუჭო, საპოლარიზაციო, საშუალო, სეისმური, სივრცული, სითბური, სიღრმის, სინუსოიდური, სპირალური, სფერული, ტროპოსფერული, უკუცემის, ულტრაბგერული, ულტრამოკლე, შუალედური, შუქის, ციური, ძაბვის, ძირითადი, წაკვეთილი, წინამავალი, წნევის, წრიული, წრფივი, ცილინდრული, ჰაერისა და სხვ.

ტალღა გრავიტაციული – ტალღის სახეობა, რომელიც არის სივრცე-დროის გავრცელებადი შეშფოთება ფარდობითობის ზოგად თეორიაში.

ტალღა დე ბროილის – ტალღა, რომელიც კვანტურ მექანიკაში აღწერს ნაწილაკების ტალღურ ბუნებას.

ტალღა ელექტრომაგნიტური – ტალღა, რომელიც ვაკუუმში ვრცელდება სინათლის სიჩქარით. მას მიეკუთვნება: მიკროტალღა; ინფრაწითელი, ხილული, რადიო, ულტრაიისფერი, რენტგენისა და გამა გამოსხივება.

ტალღა ზედაპირული – დეფექტი, რაიმე ნაკეთობის ზედაპირზე ნებისმიერი მიმართულების თანამიმდევრულად განმეორებადი ამოზნექილ-ჩაზნექილი ადგილების სახით, რაც ტალღებს მოგვაგონებს.

ტალღა ინერციული – ტალღა, რომელიც არსებობს მბრუნავ სითხეში. ამ ტალღის აღმდგენ ძალას კორიოლისის ძალა ეწოდება.

ტალღა სეისმური – რხევები, რომლებიც ვრცელდება დედამიწაში მიწისძვრის, აფეთქებებისა და რხევის სხვა წყაროების კერებიდან. ეპიცენტრიდან მოშორებით სეისმური ტალღები დრეკადი ტალღებია. განარჩევენ P გრძივ, S განივ და L ზედაპირულ სეისმურ ტალღებს. P ტალღებში რხევა მიმდინარეობს ტალღის გავრცელების მიმართულებით, S ტალღებში კი ტალღის გავრცელების მართობულად. გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარე ერთსა და იმავე გარემოში განსხვავებულია. P და S ტალღები წყაროდან ყველა მიმართულებით ვრცელდება, ამიტომ მათ მოცულობით სეისმურ ტალღებს უწოდებენ. სეისმური ტალღები სხვადასხვა დრეკადი თვისებების მქონე გარემოთა გამყოფ ზედაპირებზე გარდატყდება და აირეკლება – წარმოიქმნება გარდატეხილი და არეკვლილი სეისმური ტალღები დედამიწის ზედაპირთან (აგრეთვე ორი გარემოს გამყოფ ზედაპირთან დედამიწის წიაღში). L ზედაპირული სეისმური ტალღების ამპლიტუდა მეტია, ვიდრე გრძივი და განივი სეისმური ტალღებისა, გავრცელების სიჩქარე კი განივისაზე ნაკლებია. სეისმური ტალღების გარბენის დროის განსაზღვრით დედამიწის სხვადასხვა სიღრმეზე, გამოითვლება მათი გავრცელების სიჩქარე, რაც საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს დედამიწის სიღრმული აგებულება.

ტალღამტეხი (ბრეკვატერი) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა – წყალში შეჭრილი ქვის ზღუდე ნავსადგურის ან სანაპიროს დასაცავად ტალღებისაგან (ნახ. 1). მოლისაგან განსხვავებით ტალღამტეხი არ უერთდება ნაპირს.

ნახ. 1

ტალღის გარდატეხა – ტალღის გავრცელების მიმართულების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ტალღის გავრცელების სიჩქარის ცვლილებასთან ერთი გარემოდან მეორეში გადასვლის დროს.

ტალღის დისპერსია – ტალღის გარდატეხის მაჩვენებელის დამოკიდებულება სიხშირეზე.

ტალღის დიფრაქცია – ტალღის გავრცელების დეფორმაცია, გამოწვეული წინააღმდეგობის არსებობით. მოვლენა განსაკუთრებით ძლიერია, როდესაც დაბრკოლების ზომა ტალღის სიგრძის რიგისაა.

ტალღის ინტერფერენცია – ორი ტალღის სუპერპოზიცია რაიმე გარემოში ერთდროულად გავრცელებისას.

ტალღის სიგრძე – ტალღის სივრცითი პერიოდი, ე.ი. მანძილი ტალღის იმ ორ უახლოეს წერტილს შორის, რომელთა რხევის ფაზა ერთნაირია. ტალღის სიგრძე λ რხევის T პერიოდსა და ტალღის გავრცელების v სიჩქარესთან დაკავშირებულია თანაფარდობით: $\lambda = Tv$.

ტალღის შთანთქმა – ტალღის ენერგიის გარდაქმნა სხვა ტიპის ენერგიად, მაგ., სითბოდ.

ტალღის წრფივი გავრცელება – ტალღის გავრცელება ერთგვაროვან გარემოში წინაღობების გარეშე.

ტალღოვანი – 1. ის, რაც ტალღას გვაგონებს; 2. არათანაბარი ზედაპირი, რომელსაც გააჩნია ჩაღრმავებები და მაღლობები; 3. აღელვებული წყლის ზედაპირი.

ტალღოვანი რკინა – დაღარული ან გოფრირებული გალვანიზებული საბურულე მასალა.

ტალღოვნობა – მერქნის მანკი, უთანაბრო განახერხი, რომელიც ნაკეთობის ზედაპირს ტალღისებრ ფონს აძლევს.

ტამბური (ფრანგ. tambour დოლი) – 1. შენობაში შესასვლელი სათავსი თანამიმდევრობით გასაღები კარით, რომელიც წინააღმდეგობას უწევს გარემოდან ცივი ჰაერის შეჭრას; 2. წინკარი – ტამბური; საცხოვრებლად გამოუყენებელი სათავსი, რომელიც საცხოვრებელ ოთახებს ქუჩასთან აკავშირებს, ჩვეულებრივ, გარე კიბის საშუალებით (ნახ. 1); 3. რკინიგზის სამგზავრო ვაგონის დახურული მოედანი გარე და შიგა კარებს შორის; 4. შენობის ცილინდრული ან მრავალწახნაგა ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა გუმბათი.

ნახ. 1

ტამპონაჟი (ფრანგ. tamponnage<tampon საცობი, ტიზი) – სპეციალური ხსნარის დაჭირხვნის პროცესი ქანში (არსებულ სიცარიელეთა ამოვსება ცემენტით), რათა თავიდან იქნეს აცილებული წყლის გაჟონვა სამთო გვირაბში, ჭაბურღილსა და მისთ. იყენებენ ჰიდროტექნიკურ მშენებლობასა და სამთო საქმეში ქანის მასივის გასამაგრებლად, აგრეთვე ჰიდროსაიზოლაციო და ფილტრაციის საწინაღო ფარდის შესაქმნელად. გამოყენებული სატამპონაჟო ხსნარის მიხედვით განასხვავებენ ქანის ცემენტაციას, გათიხვას, ბიტუმიზაციასა და სილიკატიზაციას, ასევე ქანის მასივის გამაგრებას სინთეზური ფისების მეშვეობით.

ტამპონი (ფრანგ. tampon საცობი, ტიზი) – ბამბის ქულა, რომელიც მარლაში ან სხვა რბილ ქსოვილშია გახვეული. გამოიყენება ნაკეთობის ზედაპირზე ლაქსაღებავის ხელით დასატანად ან საფარის ზედაპირის გასაპრიალებლად.

ტანგენსი (ლათ. tangere შეხება) – მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია, რომელიც მართკუთხა სამკუთხედში უდრის მოცემული კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტის სიგრძის შეფარდებას მეორე კათეტის სიგრძესთან.

ტანგენსოიდა (ლათ. tangere შეხება და ბერძ. eídos სახე, მოყვანილობა) – მრუდი ხაზი, რომელიც გრაფიკულად გამოხატავს ტანგენსის ცვლილებას კუთხის ცვლილებასთან დაკავშირებით (ნახ. 1).



ნახ. 1

ტანდემი (ინგლ. tandem განლაგება წალიკად) – 1. აგრეგატში მანქანების ან მანქანის ნაწილების განლაგება ერთიმეორის მიყოლებით, ერთ ღერძზე, ერთ ხაზზე; 2. მრავალცილინდრიანი მანქანა, რომელშიც სამუშაო ცილინდრები ამ წესით არის განლაგებული; 3. ორადგილიანი ველოსიპედი, რომელზეც უნაგირები და ორი წყვილი პედალი ერთიმეორის უკან არის განლაგებული; 4. პარაშუტის სისტემა, როდესაც მგზავრი ან ტვირთი მიერთებულია ინსტრუქტორის ჩამოსაკიდ მოწყობილობას.

ტანი – იხ. სხეული.

ტანინი (ფრანგ. tanin თრიმლვა) – მთრიმლავი ნივთიერება, მოყვითალო ფხვნილი, რომელსაც იღებენ ზოგი მცენარის ქერქიდან, ფოთლიდან და ნაყოფიდან; იხმარება ტექნიკაში, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში (ღვინის წარმოებაში).

ტანძიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია – გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. მდებარეობს ქვემო ქართლის მხარის ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე ს. ტანძიაში, ბოლნისიდან 16 კმ-ის დაშორებით. აგებულია 1683 წელს დიდი ქართველი მამულიშვილის სულხან-საბა ორბელიანის მამის ვახტანგ მდივანბეგის მიერ და წლების განმავლობაში ორბელიანების კარის ეკლესია იყო. ეკლესია შეისწავლა და აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა. ეკლესია ნაგებია ალგეთის ქვითა კირით. ეკლესიის სიახლოვეს განლაგებულია სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი (ნახ. 2), სადაც დაცულია მისი ნაწარმოებების თემაზე შექმნილი ქართველი მხატვრების ფერწერული, გრაფიკული

ნამუშევრები, ფოტომასალა, დოკუმენტები და სულხან-საბას სხვადასხვა პერიოდის გამოცემები.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 1

ტარა (იტალ. tara<არაბ. tarh ნარჩენები) – ჩამოსხმული პლასტმასის, მუყაოს, ასაწყობი ხის ან ლითონის კონსტრუქცია, რომელსაც იყენებენ რაიმეს შესაფუთად, ჩასაწყობად, ჩასალაგებლად (ნახ. 1. პლასტმასის ტარა). ის შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი გამოყენების.

ტარი – ხელით სამუშაო იარაღის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ხელით ეხებიან (მაგ., ნაჯახის, ბარის, ჩაქუჩის, უროს და მისთ.). მის დასამზადებლად ძირითადად ფოთლოვანი ჯიშის მაგარი ხის მერქანი გამოიყენება.

ტარირება (გერმ. tarieren ტარის წონის განსაზღვრა) – საზომი ხელსაწყოს შემოწმება. მდგომარეობს შესამოწმებელი ხელსაწყოს ჩვენების შედარებაში სხვა, უფრო ზუსტი ხელსაწყოს ჩვენებასთან, რომელიც მიღებულია ერთნაირ პირობებში და დგინდება ხელსაწყოს ცდომილება. იმავე გზით წარმოებს ტ. და ხელსაწყოს მასშტაბის დაზუსტება. მაგ., სამუშაო დინამომეტრის ტ. წარმოებს მე-2 და მე-3 კლასის სანიმუშო დინამომეტრით და ეტალონური ტვირთების ნაკრებით. უწყვეტი მოქმედების დოზატორის ტ. ახდენენ სინჯების აწონით, რომლებსაც შეარჩევენ დოზატორის მუშაობის საკონტროლო დროში. ციკლური დოზატორის ტ. აწარმოებენ სანიმუშო გირის გამოყენებით, მანამდე კი საჭიროა ცარიელი დოზატორის სასწორების ტ. მაჩვენებელი ისრის ნულზე დაყენება.

ტარიფი (იტალ. tariffa<არაბ. tarif განცხადება) – 1. იმპორტზე დაწესებული გადასახადი ანუ ბაჟი; 2. განაკვეთთა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა მომსახურების საფასურის ოდენობას; 3. შრომის ანაზღაურების განაკვეთთა სისტემა.

ტარიფიკაცია – ტარიფების, ფასების, ანაზღაურების მკაფიოდ დადგენილი დონე; ნიხრი.

ტარკუთხვილა – ხელსაწყო კუთხვილის მოსაჭრელად ლითონის მილის გარე ზედაპირზე. არსებობს ელექტრო (ნახ. 1) და ხელის (ნახ. 2). ხელსაწყო მუშაობს გარესახრახნის პრინციპით. აქვს რეგულირების მექანიზმი და საცვლელი მჭრელი ფირფიტები, რაც საშუალებას იძლევა ხრახნი მოიჭრას სხვადასხვა დიამეტრის მილზე.

ნახ. 1

ნახ. 2

ტარტანი (ფრანგ. tartane<ძვ. ფრანგ. tiretaine მატყლი) – 1. უმაღლესი კლასის სინთეზური ხელოვნური საფარის ტიპი სტადიონებზე სარბენი ბილიკის მოსაწყობად; 2. ტრადიციული შოტლანდიური ქსოვილის ორნამენტი, რომელიც შედგება ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფერადი ხაზებისაგან (ნახ. 1); 3. იალქნიანი ნავის ტიპი.


ნახ. 1

ტაუ (წმინდა ანტონის ჯვარი, ებრაული ჯვარი) – 1. ჰერალდიკური ფიგურა; 2. ბერძნული ალფავიტის ერთ-ერთი ასო (τ).

ტაუერი – ლონდონში, XVI-XVII საუკუნემდე მეფის ციხე-დარბაზი, შემდეგ, XIX საუკუნემდე – სახელმწიფო საპატიმრო; ამჟამად – სამხედრო-ისტორიული მუზეუმი. ლონდონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა.

ტაფობი – რელიეფის უარყოფითი ფორმა, ჩაღრმავება ხმელეთის საზღვრებში (ნახ. 1. უბსუნურის ტაფობი, მონღოლეთი), ოკეანეების ან ზღვების ფსკერზე. არსებობს მისი სახეები: ტექტონიკური (დედამიწის ქერქის ჩაღუნვა), ყინულოვანი (მორენებს შორის ჩაღმავება), ვულკანური (კალდერა, კრატერი), ეროზიული, კარსტული, გამყინვარებული (შავკარსტული), ნაცრისებრი, სუფოზური (ჯდომადი) და შერეული.

ნახ. 1

ტაფტა (ფრანგ. taffetas<სპარს. taftan ქსოვილი) – ბამბის ან აბრეშუმის მტკიცე პეწიანი ქსოვილი (ნახ. 1). გამოიყენება ავეჯის, ტანსაცმლის წარმოებაში, შენობის ინტერიერის გასაფორმებლად და სხვ.

ნახ. 1

ტაქომეტრი (ბერძ. tachos სიჩქარე და métron გაზომვა) – მანქანის (მექანიზმის) ლილვის ბრუნვის სიხშირის გასაზომი ხელსაწყო.

ნახ. 1

ტაქომეტრი ელექტრული – ხელსაწყო, რომელშიც შეთავსებულია მანძილსაზომის, ციფრული თეოდოლიტისა და აღებული ანათვლების მახსოვრობის მოდული (ნახ. 1. ელექტრული ციფრული ტაქომეტრი). ის უზრუნველყოფს კუთხური და ხაზოვანი გაზომვების დიდ სიზუსტეს, ავტომატურად იწერს ანათვლებს და ამით ამაღლებს საველე სამუშაოების ეფექტურობას (სიჩქარეს).

ტაქსაცია (ლათ. taxatio შეფასება) – 1. ტყის მატერიალური შეფასება (ხეების რაოდენობის, მერქნის მარაგის, ტყის ნამატის, ხე-ტყის მასალების დასამზადებელი მოცულობის განსაზღვრა და შეფასება); 2. რისამე ნიხრის, ზომებისა და ხარისხის დადგენა.

ტაქტი (ლათ. tactus შეხება) – 1. რაიმე პროცესის ცალკეული მონაკვეთი, მაგ., აფეთქების, გამოდენის, გაფართოების, შეკუმშვის, შეწოვისა და სხვ.; 2. რისამე მექანიზმის სამუშაო ციკლის ნაწილი; 3. რაიმე ერთგვაროვანი მოქმედების, მოძრაობის თითოეული ნაწილი; დრო თანაბარ დარტყმებს შორის.

ტაქტილური გაფრთხილება – ზედაპირის სტანდარტული დეტალი, რომელიც ჩაშენებული ან მიმაგრებულია სავალ ზედაპირზე ან სხვა ელემენტზე იმ მიზნით, რომ უსინათლო ადამიანი გააფრთხილოს მიმოსვლის ბილიკზე არსებული საფრთხის შესახებ.

ტაქტური სიხშირე (კომპ.) (ინგლ. clock rate or clock speed) – კომპიუტერის ცენტრალური პროცესორის ტაქტური გენერატორის მიერ გამომუშავებული ელექტრული იმპულსების რაოდენობა ერთ წამში, რომელიც იზომება ჰერცებში ან ჰერცის [herz (Hz)] წარმოებულებში [მაგ., მეგაჰერცი (MHz), გიგაჰერცი (GHz)]. რაც მეტია ტ. ს. მით უფრო დიდია პროცესორის მიერ ელემენტარული ოპერაციების შესრულების ტემპი, ინფორმაციის დამუშავების სისწრაფე და, შესაბამისად, მაღალია კომპიუტერის მუშაობის საერთო სისწრაფე.

ტაშტი (ტასტი, გობი, ვარცლი) – ლითონის ან პლასტმასის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი (ან მოგრძო) თავღია ჭურჭელი (ნახ. 1. ალუმინის ტაშტი).

ნახ. 1

ტაძარი – 1. ქალაქის ან მონასტრის მთავარი საეკლესიო ნაგებობა, სადაც ღვთისმსახურებას ასრულებს ეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, პატრიარქი). ტაძრის ნაწილებია: 1. საკურთხეველი, სადაც მღვდელი აღასრულებს უმთავრეს საღმრთისმეტყველო მოქმედებებს; 2. ტაძრის შუა ნაწილი, სადაც მორწმუნენი იკრიბებიან ლოცვისთვის; 3. სტოა, რომელიც უწინ განკუთვნილი იყო კათაკმეველთათვის, ანუ მოსანათლად გამზადებულთა და მონანული ცოდვილებისთვის. ტაძრის სახე და მისი განვითარების ისტორია განპირობებულია არა მარტო საკულტო მოთხოვნილებებით, არამედ ხალხისა და ქვეყნის არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების დონით და, შესაბამისად, ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს. ძველ ქართულ ძეგლებში ტაძარი გვხვდება როგორც უფლის (ღმერთის) სახლის, სამლოცველო სახლის (ეკლესია), ისე უფლის (მეფე, მთავარი) რეზიდენციის, სასახლის მნიშვნელობით; ტაძარს სახელს არქმევენ ტაძრისთვის ადგილის კურთხევის დროს, როცა საძირკველში ქვაკუთხედი იდება; ტაძარს აკურთხებენ მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის მიწიერი ცხოვრების ამსახველი მოვლენების ან წმიდანთა პატივსაცემად; 2. საკულტო ნაგებობა ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად; 3. ღმრთისადმი მიძღვნილი და ღმრთისმსახურებისთვის განკუთვნილი განსაკუთრებული შენობა.

ტახტი – 1. მეფეთა დასაბრძანებელი სავარძელი (ნახ. 1); 2. ოთხფეხიანი დასაწოლი ან დასაჯდომი ავეჯის სახეობა. საქართველოსი მისი მრავალი სახეობა არსებობდა (იხ. ლამარა ბედუკიძის შრომები): თუშეთში ტახტი წარმოადგენდა კედლის გასწვრივ გაკეთებულ მაღალფეხიან ხის საწოლს, რომელიც არყის ხის მსხვილი ჯოხებით კედელთან იყო მიმაგრებული და წნელით ძირგამოწნული. ტახტზე ქერის ბზით გატენილი ლეიბი ან მხოლოდ ნაბადი ეფინა; ქიზიყური ტახტი წარმოადგენდა დიდი ზომის მაღალფეხიან ხის საწოლს, რომელსაც ჰქონდა მოაჯირიანი გვერდები და ზურგი. თავთან ედო ბალიშიანი ხის თავსადები ასახდელი სახურავით, რომელიც გამოიყენებოდა აგრეთვე წვრილმანი ნივთების ჩასაწყობად. საწოლი განსაზღვრული იყო დიდი ოჯახებისთვის. დღისით ტახტზე აფენდნენ ხალიჩას, ფარდაგს ან ჯეჯიმს; ხევსურული ტახტი წარმოადგენდა ოჯახის დასაძინებელ მაღალფეხიან ხის საწოლს. პირიქითა ხევსურეთში ტახტს ლოგინად იხსენიებენ.

ნახ. 1

ტახტი ფარშავანგის – 1739 წელს სპარსეთის ნადირშაჰის მიერ ინდოეთიდან გატანილი დიდ მოგოლთა ოქროს ტახტი (ნახ. 1). მას შემდეგ იგი წარმოადგენდა ირანის მონარქიის სიმბოლოს. ფარშავანგის ტახტი დამზადებული იქნა XVII საუკუნეში მოგოლი იმპერატორისათვის შაჰ-ჯაჰანის მიერ. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე მდიდრული ტახტი. ქვეშევრდომები უახლოვდებოდნენ მას ვერცხლის კიბეებით. ჰქონდა ძვირფასი ქვებითა და მინერალებით

ნახ. 1

მორთული ოქროს ფეხები. ზურგი შემკული იყო მინანქრით, ოქროთი, ალმასებითა და ლალებით დამშვენებული ფარშავანგის ორი კუდით. ტ. ფ. დამზადებისათვის დაიხარჯა ორი ტონა სუფთა ოქრო და ხუთ ტონაზე მეტი ლალის, ზურმუხტის და ალმასის თვალი. ირანში ამ სიმდიდრის გადატანას 21 აქლემი დასჭირდა.

ნახ. 1

ტბა – ბუნებრივი წყალსატევი (ნახ. 1. რიწის ტბა, აფხაზეთი, საქართველო), რომელსაც კავშირი არა აქვს ზღვასთან ან ოკეანესთან.

ტბების პროფილაქტიკური დაცლა – გარღვევსაშიში ტბების ხელოვნური დაცლა, კატასტროფული ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების თავიდან აცილების მიზნით. ხდება ნაგუბარი და ხშირად მყინვარულ-ნაგუბარი ტიპის ტბების პროფილაქტიკური დაცლა, რომელიც მყინვარული ღვარცოფების წარმოქმნის კერაა. მყინვარული კაშხლების წყლის კონტროლირებადი დაცლა ხორციელდება გვირაბების გაყვანის ან ფხვიერ-მონატეხი მასალის საფარის გაწმენდის გზით.

ტბეთის მონასტერი (ინგლ. Monastery of Tbeti) – ტბეთის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, X საუკუნის ქართული მართლმადიდებლური მონასტერი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მდებარეობს თანამედროვე თურქეთში, მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ქ. შავშათიდან 15 კილომეტრში, სოფელ ტბეთის (თურქული სახელწოდება *Cevizli*, ჯევიზლი, ნიშნავს „კაკლიანს“) შუაგულში. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენდა შავშეთის საერისთავოს მთავარ ჯვარგუმბათოვან ეკლესიას, რომელიც ერისთავთერისთავის აშოტ კუხის მიერ იყო აგებული. მანვე დანიშნა ტბეთის პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი, რომელმაც XI საუკუნეში ააგო ციხე-სიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესიისაგან. ტბეთის მონასტერი რამდენიმე სამონასტრო ნაგებობას მოიცავდა, რომელთაგან დღეისათვის მხოლოდ მთავარი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი (ნახ. 1. მთავარი ტაძრის ნანგრევები).

ნახ. 1

სავარაუდოდ, ნაგებობა რვამკლავიან ტაძარს წარმოადგენდა, რომელიც მალევე დაინგრა და მის ნაცვლად აიგო ახალი რვამკლავიანი ეკლესია (შესაძლებელია რეკონსტრუქციაც) (მეორე მშენებლობა). X საუკუნის ბოლოს რვამკლავიანი ეკლესიის ადგილას მესამე, უფრო მოზრდილი და განსხვავებული ტიპის ტაძარი აიგო, რომლის ნანგრევები და კომპოზიცია დღემდეა შემორჩენილი (მესამე მშენებლობა).

რვამკლავიანი ტაძრის ნაშთები გარედან მოპირკეთებულია მოწითალო-მონარინჯისფრო ქვიშაქვის დიდი კვადრატული ფორმის ფილებით. ზოგ ადგილებში გვხვდება ღია ქვიშისფერი ან უფრო მუქი მოშავო-მოწითალო ქვებიც. მათი წყობა მკაცრად მოწესრიგებულია, რიგები დაცულია და ძირითადად წახნაგიდან წახნაგზე გადადის. შიდა მოპირკეთება ჩრდილოეთის კედელზე შემოძარცვულია. შემორჩენილია მხოლოდ ქვების ბუდეები, რომელთა მოწესრიგებული წყობაც შიდა პერანგის სისუფთავესა და აკურატულობაზე მეტყველებს (დ. ხოშტარია).

ნახ. 2

მესამე ტაძრის გეგმა წარმოადგენს ჯვარს ოთხი მკლავით, რომელთაგან აღმოსავლეთისა აფსიდიანია, ხოლო დანარჩენი სამი მართკუთხაა.

მიუხედავად არაერთი გადაკეთებისა, მესამე მშენებლობის დროინდელი ზოგიერთი დეტალი ტბეთის მთავარი ტაძრის ინტერიერში დღემდეა შემორჩენილი, მათ შორისაა სატრიუმფო თაღის იმპოსტები, რომლებსაც ხვეული ჩუქურთმებით მორთული ქვედა ნაწილი და მის თავზე გამოწეული ლილვი გააჩნია, ასევე თარო, რომელიც შემკულია დისკოების მწკრივით. მესამე მშენებლობის დროინდელია ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავების წინა თაღების იმპოსტები, რომლებიც ნატიფი დამუშავებით და მდიდრულობით გამოირჩევა (დ. ხოშტარია). ინტერიერისგან განსხვავებით ტაძრის ექსტერიერის დეტალები ნაკლებადაა შემონახული, თუმცა წნული და ხვეული ჩუქურთმებით შემკული არქიტექტურული ორნამენტები დღესაც ყურადღებას იქცევს შესრულების საოცარი დონითა და მიმზიდველობით (ნახ. 2. ექსტერიერის ორნამენტი).

ნახ. 3

მთავარი ტაძრის მეოთხე რეკონსტრუქცია შესრულებული XI საუკუნის მეორე ნახევარში, მიზნად ისახავდა მოცულობის გაზრდასა და ფასადების უფრო მდიდრულად მორთვას. ამ პერიოდში ტაძარს ჩრდილოეთის მკლავზე მიაშენეს ეგვტერი და მის თავზე მოაწყვეს პატრონიკე. გადაკეთდა საკურთხეველიც. დააგრძელეს პასტფორიუმებიც, რის გამოც დაიკარგა აფსიდის გარე შვერილობა და აღმოსავლეთიდან შეიქმნა ერთიანი ფასადის სიბრტყე, რომელზედაც გაკეთდა ღრმა თაღნარი, რომლის სამი თაღიდან შუა უფრო ფართო

და მაღალია, ვიდრე ორი გვერდითი თაღი (ნახ. 3. აღმოსავლეთი ფასადი სამი თაღით). ანალოგიური თაღნარებია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზეც.

მეოთხე მშენებლობისას განახლდა და უფრო დამშვენდა საფასადო მორთულობა (მრგვალი სარკმლების საპირეები, განედლებული ჯვრის რელიეფი, აღმოსავლეთის მკლავის დახვეწილი ჩუქურთმებით (ნახ. 4. მეოთხე მშენებლობის დროინდელი შემორჩენილი ჩუქურთმის ფრაგმენტი ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე) წარმოდგენილი კარნიზები და სხვ. (შემორჩენილია დღემდე).

XIII საუკუნეში აღადგინეს სამხრეთი მკლავი (მეხუთე მშენებლობა) (ნახ. 5. მეხუთე მშენებლობის დროინდელი მორთულობა სამხრეთ ფასადზე: თაღები და შეწყვილებული სარკმლები), ხოლო XIV საუკუნეში აღადგინეს დანგრეული გუმბათი (მეექვსე მშენებლობა). აღდგენილი გუმბათი თექვსმეტწახნაგას წარმოადგენდა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებოდა სარკმლიანი და უსარკმლო წახნაგები. პ. ზაქარაიას აზრით ეს გუმბათი პროპორციებით, გაფორმებითა და ცალკეული დეტალებით ყველაზე ახლოს გერგეტის სამების გუმბათთან დგას და მისი თანადროული უნდა იყოს. სამწუხაროდ ტბეთის გუმბათმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შემორჩენილი ფრაგმენტებით დასტურდება, რომ ტაძარი ძალიან მაღალი ხარისხის ფრესკებითა და წარწერებით ყოფილა დამშვენებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ტბეთის ტაძარი მშენებლობის ხარისხით, დახვეწილი ქართული ჩუქურთმებით, ინტერიერისა და ექსტერიერის მორთულობით უცილობლად შედის შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლთა სიაში.

ნახ. 4

ნახ. 5

ტბორი (ტბორე) – დაგუბებული წყალი, ხელოვნური წყალსატევი, რომელიც განკუთვნილია წყალმომარაგებისათვის, სარწყავად, თევზის გამრავლებისთვის, ფრინველებისათვის და ასევე სანიტარული და სპორტული მოთხოვნილებებისათვის. პირობითად, ხელოვნურ წყალსატევს, რომლის წყლის მოცულობა 1 მლნ. კუბურ მეტრამდეა – ტბორი ეწოდება, ხოლო უფრო მეტი მოცულობისას – წყალსაცავი. ტ. შეიძლება საზრდოობდეს მცირე ნაკადულებით, გრუნტისა და წვიმისწყლებით. დასვენების ზონებში ტ. თევზჭერისა და სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩატარების ობიექტია. ის ხშირად გარშემორტყმულია ხე-

მცენარეულობით, რის შედეგადაც ქმნის საკმაოდ კარგ დასასვენებელ ადგილს. ტბორი, როგორც წყლის ობიექტი, შეადგენს ჰიდროლოგიურ ელემენტს.

ტეგულა – 1. ბურულის (სახურავის) კრამიტი ზევით აღუნული კიდეებით (ნახ. 1); 2. ნებისმიერი მასალის ბურული, სახურავი.

ნახ. 1

ტევადობა – შინაგანი მოცულობა; უნარი დაიტიოს რისამე გარკვეული რაოდენობა. ტევადობის სახეებია: აკუმულატორის, არაწრფივი, ბაზრის, ბუფერული, გადასასვლელი, გამავალი, გამყოფი, განაწილებული, გაბნევის, გასავლელი, დაყვანილი, დინამიკური, ეკვივალენტური, ელექტროდშორისი, ელექტროსტატიკური, ელექტრული, ენერგეტიკული, ვაგონის, კონდენსატორის, კუთრი, ლიანდაგების, ლიფტის, მაკონპენსირებელი, მანეიტრალებელი, მოძრავი შედგენილობის, ნარჩენი, ნომინალური, პარაზიტული, რეზერვუარის, სადგურის, საინფორმაციო, სამუშაო, სატელეფონო ქსელის, საწყისი, სილოსის, სტადიონის, სტატიკური, ტენდერის, შიგა, ცვლადი, წყალსაცავისა და სხვ.

ტევრი – ხშირი, დაბურული, რელიქტური ტყე.

ტელამონი (ბერძ. Telamōn მითური გმირის სახელი; telamōn მებარგული, ბურჯი, მხარდამჭერი) – იხ. ატლანტი.

ტელე – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს: 1) შორ მანძილზე მოქმედს; 2) ტელევიზიასთან დაკავშირებულს.

ტელებინოკლი (ბერძ. têle შორს და ფრანგ. binocle<ლათ. bini წყვილი, ორი და oculus თვალი) – სპეციალური ბინოკლი ძალზე დაშორებული ობიექტების ნათლად დასანახად.

ტელეგრაფი (ბერძ. têle შორს და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ელექტრო- და რადიოკავშირგაბმულობის სახეობა, კავშირგაბმულობის დაწესებულება ან ცნობების მიმღებ-გადამცემი აპარატი, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცნობის გადაცემა შორ მანძილზე.

ტელევიზია (ინგლ. television<ბერძ. têle შორს და ლათ. visio ხედვა) – გამოსახულებათა და ხმის გადაცემა შორ მანძილზე ელექტრო და რადიოკავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყენებით.

ტელეკომუნიკაცია (კომპ.) (ინგლ. telecommunication) – კომუნიკაცია მანძილზე, ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერი საკომუნიკაციო ხაზით, რომელიც შეიძლება იყოს ელექტრული, ხმოვანი (აკუსტიკური) ან ოპტიკური.

ტელეობიექტივი (ბერძ. têle შორს და ლათ. objectivus საგნობრივი) – ფოტო ან კინო აპარატურის ობიექტივი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოსახულება მივიღოთ შორი მანძილიდან.

ტელესკოპი (ბერძ. tēle შორს და skopeîn ყურება, შესწავლა) – ასტრონომიული ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ციურ ობიექტებზე დასაკვირვებლად. არსებობს სამი ტიპის: ლინზიანი (რეფრაქტორები), სარკიანი (რეფლექტორები) და სარკიან-ლინზიანი სისტემები.

ტელესტერიონი (ბერძ. têle შორს და -tērion ადგილი) – ქალღმერთების – დემეტრასა და პერსეფონესადმი მიძღვნილი მონუმენტური წმიდათაწმიდა ტაძარი ანტიკურ საბერძნეთში, დასავლეთ ატიკის ძველ ქალაქ ელევსისში [ნახ. 1. ტელესტერიონის რეკონსტრუირებული ნიმუში (მაკეტი), ელევსისის არქეოლოგიური მუზეუმი, საბერძნეთის რესპუბლიკა]. აგებულ იქნა ძვ. წ.-ის V საუკუნეში არქიტექტორ იქტინოსის პროექტის მიხედვით. ერდროულად იტევდა რამდენიმე ათას ადამიანს. ტაძრის შესასვლელთან მთავრდებოდა წმინდა გზა, რომელიც ძველად ათენიდან მოემართებოდა.

ნახ. 1

ტელეფერიკი – საჰაერო-საბაგირო გზის სახელწოდება საფრანგეთში.

ტელეფონი (ბერძ. tele შორს და phone ბგერა) – აპარატი ბგერის გადასაცემად და მისაღებად შორ მანძილზე. თანამედროვე ტელეფონები გადაცემას ახორციელებენ უშუალოდ ელექტროსიგნალებით. ტელეფონის ძირითადი სახეებია: დიდწინაღობიანი, ელექტროდინამიკური, ვიდეო, თანამგზავრული, ინდუქტორული, მობილური, მცირეწინაღობიანი, ოპტიკური, რადიო, სადენიანი, საველე, უსადენო, ფიჭური და სხვ.

ტელეფონიზაცია – ტელეფონის ქსელის გაყვანა-დამონტაჟება.

ტელფერი (ბერძ. tele შორს და phero მიმაქვს) – ტვირთის ასაწევი მანქანა (ჯალამბარი), რომელიც მოძრაობს დაკიდებულ რელსზე. შედგება ელექტროძრავისა და ბაგირის დამჭიმი დოლისაგან. გამოიყენება ტვირთის ვერტიკალური ან ჰორიზონტალური გადაადგილებისათვის.

ტემენოსი (ბერძ. temnein მოჭრილი, მოკვეთილი) – ზღუდარით შემოფარგლული წმინდა მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია ბერძნული ტაძარი და მის აღმოსავლეთის ფასადის წინ, ღია ცის ქვეშ – საკურთხეველი.

ტემპერა (იტალ. tempera, temperare საღებავებით ფერწერა) – ფერწერა ისეთი საღებავებით, რომელშიც შემკვრელ ნივთიერებად გამოყენებულია ქათმის კვერცხის გულზე ან გულისა და ცილის ნარევზე მიღებული ნატურალური ემულსია (ნახ. 1. ტემპერითა და ოქროთი ხეზე შესრულებული ნახატი - მარიამი ყრმით, XIII ს., დუჩო, სიენა, იტალიის რესპუბლიკა). ხელოვნური ტემპერის დასამზადებლად კი გამოიყენება წებოიანი დუღაბი და მცენარეული ზეთი. გასათვალისწინებელია ის, რომ ნატურალური ტემპერა არ ახშობს ბათქაშის (კედლის) ფორებს და სათავსის კედელი თავისუფლად სუნთქავს.

ნახ. 1

ტემპერატურა (ლათ. temperatura თანაშეზომილობა, ნორმალური მდგომარეობა) – 1. სისტემის თბური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი. ცნობილია: აბსოლუტური, დუღილის, დნობის, ინვერსიის, ფაზური გადასვლის, სხეულისა და სხვ. ტემპერატურები, აგრეთვე ტემპერატურული წნევები და ძაბვები. ტემპერატურის საზომ ერთეულს წარმოადგენს გრადუსი ცელსიუსის სკალაზე და კელვინი ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში; 2. ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს მაკროსკოპული სისტემის თერმოდინამიკური წონასწორობის მდგომარეობას; 3. ნივთიერების სითბოს ხარისხი, დონე. არსებობს ტემპერატურის მრავალი სახეობა: აალების, აბსოლუტური, აორთქლების, აფეთქების, ბოლო, ბუნებრივი, გათხევადების, გამყარების, გარდაქმნის, გარემოს, გაფართოების, გაფრქვევის, გაყინვის, გაძგიფვის, გახურების, გლინვის, დადებითი, დამყარებული, დარბილების, დასაკვირვებელი, დაყვანილი, დნობის, დუღილის, ევტექტიკური, ელექტრონული, ვარვარის, ზომიერი, ზღვრული, თერმოდინამიკური, თვითაალების, ინვერსიული, კაზმის, კრიტიკული, კრიოჰიდრატული, კრისტალიზაციის, ლხობის, მახასიათებელი, მომატებული, მოშვების, მოწვის, ნიადაგის, ნორმალური, ოთახის, ოპტიმალური, რადიაციული, სამუშაო, საშუალო, საწყისი, სიკაშკაშის, სპინური, ფერითი, შედუღების, შუალედური, ტემპერატურა, უარყოფითი, წრთობის, წყლის, ჭედვის, ჭრის, ხანძრის, ჰაერის, ჰომოლოგიური და სხვ.

ტემპერატურა აქტიური – ჰაერის ტემპერატურა, მეტი ბიოლოგიურ მინიმუმზე, ვეგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ტემპერატურა გამინების – ზღვრული ტემპერატურა, რომლის ქვევითაც ნივთიერება ხდება მინისებრი (მყარი), ხოლო ამ ტემპერატურის ზევით – თხევადი.

ტემპერატურა გახურების – სითბური აგენტის ზემოქმედების შედეგად სხეულის ზედაპირის საბოლოო ტემტერატურა.

ტემპერატურა დნობის – ტემპერატურა, რომელზეც კრისტალური ტანი გადადის თხევად მდგომარეობაში.

ტემპერატურა დუღილის – ტემპერატურა, რომელზეც ხდება მუდმივი წნევის ქვეშ მყოფი სითხის ადუღება. ტ. დ. შეესაბამება ადუღებული სითხის ბრტყელ ზედაპირზე გაჯერებული ორთქლის ტემპერატურას, რადგან სითხე ყოველთვის მეტადაა გადახურებული დუღილის ტემპერატურასთან შედარებით.

ტემპერატურა კრისტალიზაციის – ტემპერატურა, რომელზეც თხევადი ნივთიერება გადადის მყარ (კრისტალურ) მდგომარეობაში.

ტემპერატურა კრიტიკული – ნივთიერების ტემპერატურა, მყოფი კრიტიკულ მდგომარეობაში. სუფთა ნივთიერების კრიტიკული ტემპერატურა არის ის მაქსიმალური ტემპერატურა, რომლის დროსაც შესაძლებელია ორთქლის არსებობა სითხესთან ერთად წონასწორობაში. ორთქლის გათხევადება ხდება მხოლოდ სითხის კრიტიკული ტემპერატურის დაწევით.

ტემპერატურა მაქსიმალური – ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ყველაზე მაღალი ტემპერატურა დროის გარკვეულ შუალედში.

ტემპერატურა მინიმალური – ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ყველაზე დაბალი ტემპერატურა დროის გარკვეულ შუალედში.

ტემპერატურა ნორმალური – 20°C ტემპერატურა.

ტემპერატურა ჰაერის – ატმოსფეროს მდგომარეობის ერთ-ერთი თერმოდინამიკური პარამეტრი. იზომება თერმომეტრით. ტ. ჰ. სივრცისა და დედამიწის ყველა წერტილში მუდმივად იცვლება; დედამიწის ზედაპირზე ამ ცვლილებას საკმაოდ დიდი დიაპაზონი აქვს. დღემდე დაფიქსირებული მისი ექსტრემალური მნიშვნელობებია: +58,4˚C (საუდის არაბეთი, 13.09.1922 წ.) და –91,2˚C (ანტარქტიდა, 03.08.2004 წ.).

ტემპერატურაგამტარობა (ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი) – 1. ნივთიერების ფიზიკური პარამეტრი, რომელიც ახასიათებს მისი ტემპერატურის ცვლილების სისწრაფეს არასტაციონალურ სითბურ პროცესებში; 2. ნივთიერების თვისება მასში ტემპერატურის გათანაბრებისა, რომელიც განისაზღვრება თბოგამტარობის შეფარდებით მისი ერთეული მოცულობის თბოტევადობასთან.

ტემპერატურამდგრადობა – მასალის უნარი შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა და ფიზიკური თვისებები ტემპერატურაზე, რომელიც შეესაბამება მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებს.

ტემპერატურამედეგობა – მასალის უნარი შეინარჩუნოს თავისი თვისებები (სტრუქტურა, სიმტკიცე, თბოგამტარობა და სხვ.) მაღალ ტემპერატურაზე.

ტემპერატურული ხაზოვანი გაფართოება – ტანის ხაზოვანი ზომების ცვლილება ტემპერატურაზე დამოკიდებულებით. მისი მახასიათებელია მასალის ხაზოვანი გაფართოების ტემპერატურული კოეფიციენტი.

ტემპი (იტალ. tempo<ლათ. tempus დრო) – რისამე განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე (მაგ., მშენებლობის ტემპი, ტერიტორიის ათვისების ტემპი და სხვ.).

ტემპლეტი (ინგლ. temolate შაბლონი, ლეკალო, მოდელი) – 1. მოწყობილობის ბრტყელი მასშტაბური მოდელი, რომელიც ფოტომოდელირების ან კოპირების სხვა მეთოდითაა დამზადებული; 2. ლითონმცოდნეობაში, ლითონის ნაკეთობიდან ან ნამზადიდან გრძივად ამოჭრილი ბრტყელი ნიმუში მაკროსტრუქტურის შესასწავლად.

ტენდერი (ინგლ. tender<tend მომსახურება) – 1. საწარმოს მიერ მყიდველისათვის შეთავაზებული ფასი, რომლის განსაზღვრის დროსაც ამოსავალია არა საქონლის საკუთარი დანახარჯების დონე ან მასზე მოთხოვნა, არამედ კონკურენტთა მიერ დადებული ფასი; 2. სამუშაოს, მომსახურების, საქონლის სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ფორმა, რომლის საშუალებით შესყიდვის განხორციელება სავალდებულოა, როდესაც საქონლისა და მომსახურების ღირებულება აღემატება რაღაც გარკვეულ თანხას (მაგ., საქართველოში 100-200 ათას ლარს); 3. ორთქლმავლის მისაბმელი ნაწილი, რომელშიც სათბობისა და წყლის საჭირო მარაგია მოთავსებული; 4. ერთანძიანი იახტა 2 ან 3 სამკუთხა წინა იალქნით.

ტენზოგადამწოდი (ლათ. tensus დაძაბული, დაჭიმული და sensor გადამწოდი) – მყარი სხეულის დეფორმაციის ელექტრულ სიგნალში გარდამქმნელი (ნახ. 1. მავთულიანი გადამწოდი). კონსტრუქციულად ის არის



ნახ. 1

წვრილი მავთული, რომელიც ეკვრება გამოსაკვლევი დეტალის ზედაპირზე. კუმშვა-გაჭიმვის დეფორმაციისას ის იცვლის ელექტრულ წინაღობას, რაც აისახება სიგნალზე.

ნახ. 1

ტენზომეტრი (ლათ. tensus დაძაბული, დაჭიმული და ბერძ. métron გაზომვა) – დეფორმაციების გასაზომი ხელსაწყო. არსებობს მექანიკური (ნახ. 1) და ელექტრული ტ. გამოიყენება ძირითადად დრეკადი მასალების სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრისათვის, აგრეთვე რთულ პირობებში სტატიკური და დინამიკური დეფორმაციების გასაზომად.

ტენთბოდამუშავება – ხის მასალის შრობის ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მასალაში შიგა ძაბვების გაჩენა (განსაკუთრებით სითხეებში შრობისას). ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შრობის დამთავრების მომენტში ან ძაბვების ნიშნის ცვლილების დროს მერქანზე მოქმედებენ მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის ჰაერით, რომლის საშუალებითაც ზედაპირული ფენები ტენიანდება და წარმოიშობა შეკლების ნარჩენი დეფორმაციები, რომლებიც კომპენსაციას უკეთებენ შრობის ადრეულ ეტაპზე გაჩენილ წაგრძელების დეფორმაციებს და ამგვარად ქრება ძაბვების წარმოშობის მიზეზი. რაც უფრო სქელია მასალა, მით უფრო მეტია სისქეში ტენიანობის ცვლილება და, შესაბამისად, შიგა ძაბვების მოსახსნელად საჭირო ხდება ტ. მრავალჯერადი ჩატარება. ტ. ჩვეულებრივ საშრობ კამერებში არ წარმოებს. მისთვის შექმნილია სპეციალური ჰერმეტული კამერა აღჭურვილი კალორიფერებითა და წყლის გასაფრქვევი მილებით. ჩვეულებრივი ფიცრების (δ = 22-31 მმ) ტენთბოდამუშავების ხანგრძლივობა გრძელდება 2-6 სთ. შრობის დამთავრების შემდეგ მასალა კამერაში რჩება 1–2 დღე, რათა გაცივდეს 30-40°C ტემპერატურამდე და შემდეგ ხდება მისი გადმოტვირთვა და გაგზავნა დანიშნულებისამებრ.

ტენია (ბერძ. tainía ზონარი, ლენტი, ვიწრო ზოლი) – დორიული ორდერის არქიტექტურული ნატეხი თაროს მსგავსი, რომელზეც თანდართულია დაპროფილებული ელემენტები [ნახ. 1. ტენია პირდაპირი (Fillet raised); ნახ. 2. ტენია შექცეული (Fillet sunk)].



ნახ. 1



ნახ. 2

ტენიანობა – ტენის შემცველობა მყარ სხეულში, ფხვნილსა ან აირში. აბსოლუტური ტ. არის სითხის მასის ფარდობა მასალის მშრალი ნაწილის მასასთან, ხოლო ფარდობითი ტ. განისაზღვრება სითხის მასის ფარდობით ტენიანი მასალის (სხეულის) მასასთან. ტ. ცნებაში არ განიხილება ქიმიურად შეკავშირებული ან კრისტალებში შემავალი სითხე, რომელიც მხოლოდ ქიმიური დაშლის შედეგად გამოიყოფა. სამშენებლო კონსტრუქციებში ტ. ყველაზე დიდი გავლენა აქვს ხის კონსრტუქციებზე, ნაკლები ბეტონზე, ლითონზე, ფოროვან მასალებზე, ქვაზე. მერქნის დატენიანობა და გამოშრობა იწვევს მისი უჯრედების კედლების ზომების ცვლილებას, რასაც მოსდევს მერქნის ელემენტების გაჯირჯვებისა და შეშრობის დეფორმაციები. იმის გამო, რომ ამ დეფორმაციათა სიდიდეები სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვაგვარია, მერქნის ტენიანობის ცვლილება იწვევს დახერხილი ხის მასალის დაბრეცას, დააფრაკებასა და ბზარების გაჩენას, ხოლო მომატებული ტ. (მეტი 20%-ზე) ლპობის ძირითადი მიზეზია. ყველაზე მაღალი ტ. (200%-მდე) აქვს მდინარეში დაცურებულ მორებს. ახლადმოჭრილი ხის მერქნის ტ. 80-100 %-ია. დასაწყობების პროცესში და შრობისას მერქნის ტ. მცირდება 40-დან 10%-მდე. მშრალად ისეთი მერქანი ითვლება, რომლის ტ. W < 15 %. მერქანში შეიძლება იყოს ორი სახის წყალი (ტენი) – შეკავშირებული (ჰიგროსკოპული) და თავისუფალი (კაპილარული). შეკავშირებული წყალი იმყოფება მერქნის ბოჭკოების შიგნით, ხოლო თავისუფალი – ავსებს სიცარიელეს ბოჭკოებს შორის. მათ გარდა მერქანში აგრეთვე შეიძლება იყოს ქიმიურად შეკავშირებული წყალი, რომელსაც მხოლოდ მერქნის ქიმიური გადამუშავების დროს აქვს მნიშვნელობა. მერქნის ტ. გასაზომად არსებობს პირდაპირი და ირიბი მეთოდები. პირდაპირს და ყველაზე ზუსტს წარმოადგენს საშრობ-წონითი მეთოდი, რომელიც გამოიყენება ეტალონად. ირიბს მიეკუთვნება ნემსოვანი, ტევადობითი, ზემაღალსიხშირიანი, ოპტიკური, რადიომეტრული, ინფრაწითელი და კომბინირებული. დღეისათვის პრაქტიკაში ყველაზე მეტად არის გავრცელებული გამოშრობის, ნემსოვანი (კონდუქტომეტრული) და ტევადობითი (დიელკომეტრული) მეთოდები.

ტენიანობა აბსოლუტური – ნივთიერებაში არსებული ტენის მასის შეფარდება ამ ნივთიერების მასასთან აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში, გამოხატული პროცენტებში.

ტენიანობა მერქნის – ტენიანობა, რომელიც დამოკიდებულია მერქანში თავისუფალი და შეკავშირებული წყლის რაოდენობრივ მაჩვენებელზე. ის პროცენტებში იზომება და გამოითვლება ფორმულით: $W = [(G_1–G_2)/G_2]·100$, სადაც G_1 – ნიმუშის წონა გამოშრობამდე; G_2 – იმავე ნიმუშის წონა გამოშრობის შემდეგ. ტენის პროცენტული შემცველობის მიხედვით მრგვალი და დახერხილი ხის მასალა, ჯიშისაგან დამოუკიდებლად, იყოფა ხუთ ძირითად ჯგუფად: 1) სველი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება წყალში, W > 100%; 2) ახლადმოჭრილი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ცოცხალი ხის ტენი, 50-100%; 3) ნედლი, W = 25-50%; 4). ჰაერზე გამომშრალი, W = 20-25%; 5). ოთახში გამომშრალი, W < 15%. გარდა ამ ჯგუფებისა, შეიძლება იყოს აგრეთვე აბსოლუტურად მშრალი (W = 0) მერქანი.

ტენიანობა ფარდობითი – ნიმუშში არსებული ტენის მასის შეფარდება თვით ამ ნიმუშის მასასთან ბუნებრივ მდგომარეობაში. იზომება პროცენტებში და გამოითვლება ფორმულით $W = [(G_1–G_2)/G_1]·100$, სადაც G_1 – ნიმუშის წონა გამოშრობამდე; G_2 – ნიმუშის წონა გამოშრობის შემდეგ.

ტენიანობა ჰაერის – ჰაერში წყლის ორთქლის შემცველობა; კლიმატის ყვალაზე არსებითი თვისება. ტ. ჰ. დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ ტექნოლოგიურ პროცესში. მისი შეფასებისათვის გამოიყენება წყლის ორთქლის დრეკადობა (პარციალური წნევა) (პა) ან ჰაერის

ერთეულ მოცულობაში წყლის ორთქლის რაოდენობა (გ/მ³). აბსოლუტური ტ. ჰ. ხასიათდება ჰაერის ერთეულ მოცულობაში წყლის ორთქლის რაოდენობით ან მისი დრეკადობით; ფარდობითი ტ. ჰ. – ჰაერის ტენიანობის აბსოლუტური მნიშვნელობის ფარდობით მაქსიმალურთან (გაჯერებულთან) მოცემულ ტემპერატურაზე (%). დედამიწის ზედაპირთან ჰაერში წყლის ორთქლი შეადგენს მოცულობის 0,2-2,5%. ადამიანისათვის ყველაზე კარგია ფარდობითი ტენიანობა 40-60% ნორმალურ კლიმატურ პირობებში. სათავსებში ტენიანობის უკუგავლენის საპირისპიროდ გამოიყენება ჰაერის ვენტილაცია, კონდიცირება და სხვ.

ტენის გაცემა – მასალის თვისება დაკარგოს მასში არსებული ტენი. მის რიცხვით მახასიათებელს წარმოადგენს ნიმუშიდან აორთქლებული წყლის რაოდენობა (%) ერთი დღე-ღამის განმავლობაში 20°C ტემპერატურისა და ჰაერის 60%-იანი ფარდობითი ტენიანობის პირობებში. ტ. გ. მხედველობაში მიიღება, მაგ., ბეტონის გამყარებისას, კირის დუღაბით შებათქაშებული კედლის შრობისას. პირველ შემთხვევაში სასურველია შენელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში – ტენის სწრაფი გაცემა.

ტენმედეგობა – მასალის, საფარვლის და ნაკეთობის თვისება, გაუძლოს ტენის ზემოქმედებას ხარისხის გაუარესების გარეშე. მაღალი ტენმედეგობის მასალა ხანგრძლივად ინარჩუნებს თავის მექანიკურ (სიმტკიცე), ელექტრულ (კუთრი წინაღობა, ძაბვა) და სხვა (მაგ., ფერი) თვისებებს ინტენსიური დატენიანების პირობებში.

ტენმედეგობა აბსოლუტური – მასალის თვისება, შეინარჩუნოს თავისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ნებისმიერ ტენიან გარემოში.

ტენსაზომი – გაზის, სითხის და მყარი ტანის ტენიანობის გასაზომი ხელსაწყო (ნახ. 1. მერქნის ტენიანობის გასაზომი ნემსებიანი ტენსაზომი). ჰაერის ტენიანობის გასაზომად გამოიყენება ფსიქომეტრი და გიგრომეტრი; სითხეების (რომელშიც წყალი არ არის ძირითადი კომპონენტი, მაგ., ნავთობი, სპირტი) – ტევადური, რომლის მუშაობა დაფუძნებულია სითხეში დიელექტრიკული მუდმივას ან დიელექტრიკული დანაკარგის განსაზღვრაზე; კონდუქტომეტრიული – რომელიც დაფუძნებულია სითხის ელექტროგამტარობის განსაზღვრაზე; გიგროსკოპული ელექტროქიმიური – გამოიყენება აორთქლებადი გაზებისათვის. მყარი სხეულების ტენიანობის გასაზომად გამოიყენება ტევადური, კონდუქტომეტრიული და რადიოიზოტოპური ტ., რომლის მუშაობის პრინციპი ემყარება წყლის წყალბადის ბირთვის მიერ რეზონანსული რადიოტალღების შთანთქმას.

ნახ. 1

ტენტი (ლათ. tent გაჭიმული) – ქსოვილური, სინთეზური ან კომბინირებული ტილო, გადაჭიმული ლითონის ან ხის კარკასზე, ბუჩქის ან კლდის შვერილებზე საჭიმრების დახმარებით (ნახ. 1. ტენტისგან დამზადებული ტურისტული კარავი). ტ. დანიშნულებაა დაიფაროს ადამიანი ან მალეფუჭებადი საქონელი მზის, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან. ტ. შეიძლება იყოს საქარხნო

ნახ. 1

დამზადების ან თვითნაკეთი (მაგ., ჩამოწერილი პარაშუტი). გამოიყენება საავტომობილო ტრანსპორტის, მისაბმელის, ნახევრადმისაბმელის ძარის გადასახურავად, აგრეთვე მცურავ საშუალებებზე, საზაფხულო დანიშნულების რესტორნების, კაფეების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პლაჟების, ორანჟერეების, სათბურების კეთილმოწყობისათვის.

ტეპიდარიუმი (ლათ. tepidarium<tepidus თბილი, ნელთბილი) – თბილი სათავსი რომაულ აბანოებში.

ტერა (ბერძ. téras ურჩხული) – თავსართი იმ ჯერადი ერთეულების სახელწოდებათა შესაქმნელად, რომლებიც ოდენობით 10^{12} ამოსავალ ერთეულს უდრის.

ტერაზიტი (ლათ. terra მიწა) – კირისა და ცემენტის შეღებილი ნარევი; იხმარება ფერადი ბათქაშისათვის.

ტერაკოტა (იტალ. terracotta გამომწვარი თიხა) – მოუჭიქავი კერამიკული ნაკეთობა, რომელსაც გამომწვარი თიხის ბუნებრივი ფერი და ფაქტურა აქვს (ნახ. 1. ტერაკოტისგან დამზადებული ჭურჭელი).

ნახ. 1

ტერაომმეტრი (ბერძ. téras ურჩხული, ინგლ. ohm გერმანელი მეცნიერის გ. ს. ომის სახელის მიხედვით და ბერძ. métron გაზომვა) – ომმეტრი ძალიან დიდი წინაღობის გასაზომად ((ასეულობით ტერაომი).

ტერარიუმი (ლათ. terra მიწა) – სათავსი (ყუთი, შემოღობილი მიწის ნაკვეთი და სხვ.), სადაც ინახავენ წყალხმელეთა ცხოველებსა და ქვეწარმავლებს მათზე დაკვირვების საწარმოებლად.

ტერასა (ფრანგ. terrasse<ლათ. terra მიწა) – იხ. ბანი.

ტერასული ფიცარი ეკოდეკი – რუსული წარმოების, მერქნის ალტერნატიული, თანამედროვე საშენი მასალა, დამზადებული მერქან-პოლიმერული კომპოზიტისგან. არ საჭიროებს შეღებვას, გალაქვას, მდგრადია ბიომავნებლების, მექანიკური და ატმოსფერული ზემოქმედებისადმი, ადვილად ირეცხება. გამოიყენება ეზოს ტერასების, ბილიკების, ფანჩატურების, ღია კაფეების მოსაწყობად (ნახ. 1) და სხვ.

ნახ. 1

ტერაცო – მოზაიკური იატაკი.

ტერგალი – იხ. ლავსანი.

ტერიგენული (ლათ. terrigena მიწიერი) – არაერთგვაროვანი, ჭუჭყიანი, გასვრილი.

ტერიკონიკი (ფრანგ. terri ნაყარი ქანი და conique კონუსური) – მაღაროებიდან ამოღებული ფუჭი ქანების კონუსისებრი ნაყარი მაღაროსთან, მიწის ზედაპირზე.

ტერილენი – იხ. ლავსანი.

ტერიტორია (ლათ. territorium<terra მიწა) – გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე.

ტერიტორია სამოსახლო – ქალაქის ძირითადი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობისათვის. სამოსახლო ტერიტორიაზე ეწყობა ბაღები, პარკები, ბულვარები, იქმნება გამზირების, მოედნების, საზოგადოებრივი ცენტრების არქიტექტურული ანსამბლები და სხვ.

ტერიტორია საწარმოო – ტერიტორია, გამოყოფილი მშენებლობის განსახორციელებლად ან საწარმოო საქმიანობისათვის, ამ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩათვლით.

ტერიტორია ურბანული – ქალაქის ტიპის დასახლებათა (ქალაქის, დაბის) განაშენიანებული ტერიტორია.

ტერიტორიის ზონირება – დასახლებული პუნქტის, პარკის, ბაღის, ნაკვეთის ტერიტორიის დაყოფა ზონებად სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულებით.

ტერიტორიის საინჟინრო დაცვის სისტემა – სხვადასხვა დანიშნულების ჰიდროტექნიკური ნაგებობები, გაერთიანებული ერთიან ტერიტორიულ სისტემაში, ტერიტორიის დასაცავად წყალდიდობისა და წყალმოვარდნისაგან.

ტერიტორიის საინჟინრო მომზადება – საინჟინრო ღონისძიებების კომპლექსი ტერიტორიის ასათვისებლად. ამ ღონისძიებებში შედის: ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, გრუნტის წყლების დონის დაწევა, ტერიტორიის დაცვა დატბორვისაგან, ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, წყალსაცავების რეკონსტრუქცია და სხვ.

ტერიტორიული წყლები – ზღვის ან ოკეანის ზოლი ნაპირის გაყოლებაზე, რომელიც შედის სანაპირო სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ტერმინალი (ინგლ. terminal<ლათ. terminalis ბოლო, საბოლოო) – ტერიტორია სპეციალური დანიშნულების ნაგებობებით, საიდანაც ხდება პროდუქციის (ნავთობპროდუქტების, ხორბლის, კვების პროდუქტებისა და მისთ.) რეალიზება მსხვილ მომხმარებელზე (ნახ. 1. ჰამბურგის ნავსადგურის ტერმინალი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); 2. ბოლო სადგური (რკინიგზისა, მეტროპოლიტენისა, ნავთობსადენისა); 3. მოწყობილობა (დამაბოლოებელი მოწყობილობა, კვანძი), რომელიც მომხმარებელს აერთებს კავშირგაბმულობის ქსელთან; 4. მოწყობილობა გამოთვლითი სისტემის შემადგენლობაში; განკუთვნილია სისტემაში ინფორმაციის შესატანად და იქიდან ინფორმაციის გამოსატანად.

ნახ. 1

ტერმინოლოგია (ლათ. terminus ტერმინი და ბერძ. lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა.

ტერპლენი (ლათ. sufferre<sub- ქვევით და ferre ზიდვა) – სამხედრო არქიტექტურაში, ჰორიზონტალური მოედანი ბასტიონში ქვემეხების განსათავსებლად.

ნახ. 1

ტერსერონები (ფრანგ. tiercerons<ძვ. ფრანგ. tierce<ლათ. tertia მესამე<tres სამი) – კამარის საყრდენიდან გამომავალი მცირე ზომის დიაგონალური წიბოები, რომლებიც ლიერნებთან ერთად ქმნიან "ვარსკვლავურ ნახატს" (ნახ. 1).

ტესლა – მაგნიტური ინდუქციის ნაკადის სიმკვრივის საზომი ერთეული ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში. ტერმინი დაკავშირებულია სერბი გამომგონებლის ნიკოლა ტესლას (1856-1943 წწ.) სახელთან.

ტესტერი [ინგლ. tester<შუა საუკ. ლათ. testerium<testera თავი<გვიანდ. ლათ. testa (capitis) თავის ქალა] – 1. ხელსაწყო ან პროგრამა რისამე (მაგ., ელექტრონათურების, ელექტროწრედის) ვარგისიანობის შესამოწმებლად; 2. ადამიანი, რომელიც ამოწმებს რაიმეს, განსაკუთრებით ახალ პროდუქტს.

ტესტი (ლათ. testum თიხის ქოთანი<testa გამომწვარი თიხის ნატეხი, თიხის ქოთანი, ნიჟარა) – 1. წინასწარი პროცედურა რაიმეს ხარისხის, მწარმოებლურობის, საიმედოობის დასადგენად; 2. მოძრავი კერა რევერბერაციულ ღუმელში, რომელიც გამოიყენება ოქროსა და ვერცხლის განსაცაკავებლად ტყვიისაგან; 3. სამედიცინო ანალიზური პროცედურა; 4. ანკეტა (კითხვარი), რომელსაც ავრცელებენ, როგორც მასალას კონკრეტული სოციოლოგიური კვლევითი მიზნებისათვის.

ტესტირება (გამოცდა) – 1. შესაბამისობის შეფასების ობიექტის ერთი ან მეტი მახასიათებლის განსაზღვრა პროცედურების შესაბამისად; 2. სასწავლებელში მსმენელის ცოდნის შეფასების ერთ-ერთი მეთოდი.

ტეტერონი – იხ. ლავსანი.

ტეტრა (ბერძ. tetráedros ოთხმხრიანი, ოთხგვერდა) – რთული სიტყვის საწყისი ნაწილი, ნიშნავს ოთხს (მაგ., ტეტრალოგია, ტეტრაედრი და სხვ.).

ტეტრაედრი (ბერძ. tetra ოთხი და hedra ფუძე, ზედაპირი, გვერდი) – წესიერი მრავალწახნაგა, რომელსაც აქვს 4 სამკუთხა წახნაგი, 6 წიბო და 4 წვერო; ყოველ წვეროში თავს იყრის 3 წიბო. ტ. წარმოადგენს წესიერ სამკუთხა პირამიდას (ნახ. 1). ნებისმიერ ტეტრაედრში შეიძლება ჩაიხაზოს სფერო და ნებისმიერ



ნახ. 1

ტეტრაედრზე შეიძლება შემოიხაზოს სფერო. თუ წიბოს სიგრძეა b, მაშინ ტ. მოცულობა V = 0,1179b^3, ზედაპირის სრული ფართობი S = 1,7321b^2.

ნახ. 1

ტეტრაკიონიონი – ერთ კომპოზიციაში გაერთიანებული ცალკე მდგომი საყრდენი სვეტი სახურავის გარეშე. განსხვავდება ტეტრაპილონისაგან იმით, რომ გზების გადაკვეთის ცენტრი დახურული არ არის სახურავით (ღიაა), ხოლო ოთხი საყრდენი სვეტი ცალ-ცალკე დგას (ნახ. 1. ტეტრაკიონიონი პალმირაში, სირიის არაბული რესპუბლიკა).

ტეტრაკონქი (ინგლ. tetraconch<ბერძ. tetra ოთხი და conch ნიჟარა) – 1. ცენტრალური ტაძარი, სადაც შენობის, კვადრატული გეგმის მქონე ცენტრალურ მოცულობას ოთხი აფსიდა უერთდება (ნახ. 1. ტეტრაკონქი. სამწევრისის ოთხაფსიდიანი ტაძარი სოფელ სამწევრისში, საქართველო); 2. ოთხაფსიდიანი ცენტრული ეკლესია (ან რაიმე სხვა შენობა), რომელშიც ნახევრად წრიული აფსიდები სიმეტრიულ-ჯვრისებრ არის განლაგებული ცენტრალური (ჩვეულებრივ, გუმბათქვეშა) სივრცის ირგვლივ. ტ. გავრცელებული იყო ადრინდელ ქრისტიანულ არქიტექტურაში (VI ს.), განსაკუთრებით კი – საქართველოსა და სომხეთში (ავანი, რიფსიმეს ეკლესია, ზვართნოცი).

ნახ. 1

ტეტრაპილონი (ლათ. tetrapylon<ბერძ. tetras ოთხი და pylon ჭიშკარი) – ტრიუმფული თაღი ორი ურთიერთგადამკვეთი გასასვლელით. ის რომის ანტიკური არქიტექტურის აყვავების ხანის ტიპური ნაგებობაა (ნახ. 1. ტეტრაპილონი – იანუსის თაღი, რომი, 356 წ., იტალიის რესპუბლიკა). უმეტესად გეგმით კვადრატული, თითოეულ მხარეზე შესასვლელით. ოთხივე კუთხეში დგას კოლონა ან სხვა მზიდი კონსტრუქცია. ტ. გასავალი გზები ქმნის ჯვარს. მოპირდაპირე კედლის თაღები მკაცრად სიმეტრიულადაა განლაგებული. ასეთ თაღებს აგებდნენ მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე ან უბრალოდ, სილამაზისათვის. მათ სიმბოლური ან ეზოთერმული დანიშნულებაც ჰქონდა (იანუსის კულტის, ოთხი ევანგელისტის სიმბოლო, კარის, შესასვლელის და გამოსასვლელის ღმერთი და სხვ.). ამჟამად ტ. გვხვდება ყოფილი რომის იმპერიის სამხრეთის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, აგრეთვე მექსიკის ძველი, მსხვილი ქალაქების ტერიტორიებზე. ასეთებია: თებესა (ალჟირი), კარნუნტი (აბსტია), კაპერა (ნახ. 2), პლასენსია (ესპანეთის სამეფო), ანტინოპოლე (ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა), სალონიკი (საბერძნეთის რესპუბლიკა), პარიზი, კავაიონი, ვიენი, რუანი (საფრანგეთის რესპუბლიკა), რომი, ვერონა (იტალიის

ნახ. 1

რესპუბლიკა), აკაბა, ჯერაში (იორდანიის ჰაშემიტური სამეფო), ტრიპოლი, ლეპტის-მანგა (ლიბიის რესპუბლიკა), ანჯარე (ლიბანის რსპუბლიკა), ლატაკია, ბოსრე, უგარიტე, პალმირა (სირიის არაბული რესპუბლიკა), სტამბოლი, აფროდისია (თურქეთის რესპუბლიკა), ვიენტიანი (ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ნახ. 3), ფხენიანი (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), მეხიკო (მექსიკის შეერთებული შტატები) და სხვ.

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 1

ტეტრასტილი (ბერძ. tetra ოთხი და stŷlos სვეტი, ბოძი) – 1. ტაძარი ან სხვა შენობა, რომელსაც აქვს ოთხსვეტიანი პორტიკი (ნახ. 1. რომაული დორიული ტაძრის რეკონსტრუქცია); ასეთი არქიტექტურული სტილი წარმოიშვა ანტიკურ საბერძნეთში. 2. შენობა ან შენობის ნაწილი (პორტიკი) რომელსაც ოთხი სვეტი აქვს.

ტეტრაფორი – ოთხი კარიატიდისაგან შემდგარი ჯგუფი.

ტეტრილი (ტრინიტროფენილმეთილნიტრამინი) – ფეთქებადი ნივთიერება. გამოიყენება სამშენებლო მოედნის მოსასწორებელი სამუშაოებისათვის, აგრეთვე სამხედრო საქმეში.

ტეფლონი (პოლიტეტრაფთორეთილენი) (ინგლ. teflon) – თერმოპლასტიკური პლასტმასა, თეთრი ფერის ნივთიერება. ჩამოჰგავს პარაფინს ან პოლიეთილენს. აქვს მაღალი თბო- და ყინვაგამძლეობა, რჩება მოქნილი და ელასტიკური –70 - +270°C ტემპერატურის ფარგლებში, შესანიშნავი საიზოლაციო მასალაა (ნახ. 1. ტეფლონის რულონები). აქვს ადჰეზიის დაბალი თვისება, არ სველდება წყალში, ცხიმში, გამხსნელებში, ამიტომ უნიკალურია საოჯახო ტაფების შიგა სამუშაო ზედაპირისათვის (ნახ. 2). მედეგია ტუტეებისა და მჟავების მიმართაც. შლის მხოლოდ ფთორი და ტრიფთორქლორიდი. მშენებლობაში გამოიყენება გადახურვებში, მაღალი წნევის მილებისა (ნახ. 3) და ძლიერ დატვირთული საკისრების დასამზადებლად. 200°C ტემპერატურის ზევით ტ. იწყებს მომწამლავი ნივთიერებების გამოყოფას, ამიტომ, მაღალ ტემპერატურაზე, აუცილებელია

ნახ. 1

გავითვალისწინოთ დამატებითი დამცავი ღონისძიებები. რუსეთში ტ. სახელწოდებაა – ფთოროპლასტი. გამოიყენება პირსაბნის ნიჟარების, უნიტაზების, სამზარეულოს იატაკის ფილების, ლაქსაღებავების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის დასამზადებლად, დიდმალიან გადახურვებში, აგრეთვე სამხედრო საქმეში (ტანკის ლულის შიგა საფარი, სარაკეტო ძრავები და სხვ.).

ნახ. 2

ნახ. 3

ტექნიკა (ბერძ. technē ხელოვნება, ოსტატობა) – ადამიანის მოღვაწეობის საშუალებების ერთობლიობა, რაც ათავისუფლებს ადამიანს ფიზიკური და გონებრივი შრომისაგან. ტ. ადამიანის შემოქმედების ნაყოფია, რომელიც მასვე ეხმარება ბუნების გარდაქმნაში მის სასარგებლოდ. ტ. უზარმაზარი პროგრესი განიცადა შრომის პრიმიტიული იარაღებიდან თანამედროვე ავტომატიზებულ და რობოტიზებულ სისტემებამდე. ტ. განვითარებისა და ფუნდამენტური აღმოჩენების შედეგია ახალი, გაუმჯობესებული ტიპის მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების, ტექნოლოგიური პროცესების შექმნა და დანერგვა. ტ. ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია – ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ: განათლების, ენერგეტიკულ, კავშირგაბმულობის, კვლევით, კულტურის, საავიაციო, საგზაო, სამაცივრო, სამედიცინო, სამელიორაციო, სამეცნიერო, სამშენებლო, სამხედრო, საყოფაცხოვრებო, საწარმოო, უსაფრთხოებისა და სხვ. სახის ტექნიკას.

ტექნიკური – 1. ტექნიკასთან, მის გამოყენებასთან დაკავშირებული; 2. მანქანებისა და მექანიზმების მუშაობასთან, რისამე წარმოების პროცესთან დაკავშირებული; 3. რაც უნდა გამოიყენონ ან უნდა დაამუშაონ მრეწველობაში; 4. სხვადასხვა დამხმარე სამუშაოს შემსრულებელი რაიმე საქმეში (ტექნიკური მდივანი, ტექნიკური რედაქტორი); 5. სასწავლებლის პროფილი (მაგ., ტექნიკური უნივერსიტეტი).

ტექნიკური აღწერილობა – დოკუმენტი, რომელიც მუშავდება ტექნიკური პირობების ან საერთო ტექნიკური მოთხოვნებისა და სტანდარტის დანართის სახით. მასში შედის: ნაკეთობის დანიშნულება, გამოყენების არეალი, სასაქონლო ხარისხი, მოპირკეთების სახეები და კატეგორიები. იგი ვრცელდება ნაკეთობის ერთ ან მთელ ჯგუფზე სერიული ან მასობრივი წარმოებისათვის. ეს დოკუმენტი შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია რაიმე პროდუქციის წარმოებასა და მისი ხარისხის შეფასებისათვის სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან ერთად. როგორც წესი, ტ. ა. შედის სემდეგი ინფორმაცია: პროდუქციის სრული დასახელება, აღწერა, მისი ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალი, დოკუმენტის გამოყენების არეალი, კონსტრუქციის ან გარკვეული მოდელისათვის წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, საწყისი ნედლეულის,

მასალის, მაკომპლექტებელი დეტალების, მოწყობილობების ჩამონათვალი, უსაფრთხოების პირობები, ინფორმაცია მზა პროდუქციის შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე, შეფუთვაზე და სხვ. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტს თან ახლავს მზა პროდუქციის ესკიზი ან ფოტოსურათი.

ტექნიკური აღჭურვილობა – წარმოების იარაღებისა და საშუალებების დანამატი ძირითად ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე, რომელიც განკუთვნილია ტექნოლოგიური პროცესის გარკვეული ნაწილის შესასრულებლად. ესენია: მჭრელი იარაღები, სამარჯვები, დეტალების ტრანსპორტირებისა და საამწყობო ოპერაციების საშუალებები, თვითმავალი და სტაციონალური ამწეები, ინვენტალური ხარაჩოები, გამზომი ხელსაწყოები და სხვ.

ტექნიკური გადაიარაღება – რეკონსტრუქციის ინოვაციური პროცესის ლოკალური სახესხვაობა, რომელიც ხორციელდება ცალკე ობიექტის რეკონსტრუქციის ფარგლებში პროცესების ნაწილის შეცვლის გზით.

ტექნიკური გამოყენების კოეფიციენტი – ექსპლუატაციის გარკვეულ პერიოდში ობიექტის მუშაობაში ყოფნის დროის ინტერვალების მათემატიკური ლოდინის შეფარდება იმავე პერიოდში ობიექტის მუშაობაში ყოფნის დროის ინტერვალების, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტებით გამოწვეული მოცდენების დროის ინტერვალების მათემატიკურ ლოდინთა ჯამთან.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი სამშენებლო ობიექტების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი.

ტექნიკური დავალება – საწყისი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც წარმოებს ახალი ნაკეთობების გამოკვლევისა და დაპროექტების პროცესი, ტექნიკური საექსპლუატაციო მოთხოვნების განსაზღვრა. მასში მოცემულია სამუშაოთა წარმოების ეტაპები, ხარისხის მაჩვენებლები და ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნები.

ტექნიკური დიაგნოსტიკა – ნაკეთობებისა და ტექნიკური სისტემების მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნების დადგენა და შესწავლა მათი პარამეტრების გადახრების წინასწარი განჭვრეტის მიზნით, რასაც შეიძლება მოჰყვეს მტყუნება. ტ. დ. მეთოდების დამუშავება და გამოყენება დროულად ააცილებს მანქანა-ნაკეთობას მუშაუნარიანობის დაკარგვის შედეგად გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

ტექნიკური დოკუმენტაცია – ტექნიკური დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება წარმოების, ექსპლუატაციისა და რემონტის, პროდუქციის გამოცდის, აწყობისა და მონტაჟის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის. მისი ძირითადი სახეებია: საპროექტო-საკონსტრუქტორო და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები.

ტექნიკური ესთეტიკა – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის საჭირო გარემოსათვის საგნების შექმნის საწარმოო

საშუალებების ტექნიკურ და ესთეტიკურ პრობლემებს. ის წარმოადგენს დიზაინის თეორიულ საფუძველს. ქმნის რა მხატვრული კონსტრუირების მეთოდებს, ტ. ე. აუმჯობესებს შრომის, დასვენებისა და ყოფაცხოვრების პირობებს და დიდ როლს თამაშობს ადამიანის ჰარმონიული განვითარების საქმეში.

ტექნიკური ექსპლუატაცია – 1. შენობის ვარგის მდგომარეობაში შენახვის პროცესების ერთობლიობა; 2. ობიექტის სასიცოცხლო ციკლის სტადია, რომელზეც ხდება მისი ხარისხის რეალიზაცია, შენარჩუნება და აღდგენა.

ტექნიკური ზედამხედველი – ობიექტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის შესაბამისად, სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე.

ტექნიკური კიბერნეტიკა – სამეცნიერო მიმართულება, რომელიც უკავშირდება მართვის ტექნიკური სისტემების ერთიანი იდეებისა და მეთოდების შესწავლას. ის მოიცავს მართვის ავტომატიზებული სისტემების თეორიას, ოპტიმალური სისტემების თეორიას, ადაპტური და შემსწავლელი სისტემების თეორიასა და საიმედოობის თეორიას. ტ. კ. ახდენს მართვის სისტემების სტრუქტურისა და პარამეტრების განსაზღვრას და არ აწარმოებს ამ სისტემის გაანგარიშებასა და დაპროექტებას.

ტექნიკური კონტროლი – ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ანალიზი, რომელსაც ატარებს საწარმო. ანალიზის სახეები, მეთოდები, ტექნიკა, რეაქტივები და მისთ. დადგენილია სახელმწიფო სტანდარტით, რომელიც სავალდებულოა როგორც დამკვეთის, ისე მომხმარებლისათვის. არსებობს მისი სხვადასხვა სახე, მაგ., შესავალი, ოპერაციული, მისაღები, მიყოლებული, ამორჩევითი და სხვ.

ტექნიკური კულტურა – კულტურის სახე, რომელიც მოიცავს საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მოწინავე ტექნოლოგიას, წარმოების სრულყოფილ ორგანიზებას, მენეჯმენტს, მოტივაციას, მართვასა და სხვ.

ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია – მზიდი სამშენებლო კონსტრუქციის, შენობის, ნაგებობის საექსპლუატაციო ვარგისობის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება მზიდუნარიანობისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების დონის შემცირების მიხედვით.

ტექნიკური მდგომარეობის მუშაუნარიანობა – ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია, რომლის დროსაც ზოგიერთი შეფასების პარამეტრი არ პასუხობს პროექტის მოთხოვნებს ან სამშენებლო ნორმებს, მაგრამ კონკრეტული ექსპლუატაციის პირობებში ეს დარღვევები გავლენას არ ახდენენ კონსტრუქციის მუშაუნარიანობაზე, ხოლო ძირითადი მზიდი კონსტრუქციის მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია არსებული დეფექტებისა და დაზიანებების გათვალისწინებით.

ტექნიკური მდგომარეობის შეფასება – სამშენებლო კონსტრუქციის, შენობის, ნაგებობის დაზიანების ხარისხის დადგენა ფაქტობრივად აღრიცხული და რაოდენობრივად შეფასებული ნიშნების შედარებით იმ ნიშნებთან, რომლებიც პროექტით ან ნორმატიული დოკუმენტებითაა დადგენილი.

ტექნიკური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმი – პროექტით ან ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი პარამეტრების რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს სამშენებლო კონსტრუქციების სიმტკიცეს, დეფორმაციებს, სიმაგრეს, ტენიანობას, წყალშთანთქმას, ყინვამედეგობასა და სხვა ნორმირებულ სიდიდეებს.

ტექნიკური მეთოდი – ტექნიკური საშუალებების გაანგარიშება და გამოცდა, რომლის შედეგების მიხედვით დადგინდება ყველაზე უფრო საიმედოთა ნომენკლატურა. გამოსაცდელი ტექნიკური საშუალებები შესაძლებელია იყოს სახანძრო დაცვის პასიური და აქტიური საშუალებები, მანქანები, მექანიზმები, სამარჯვები და სხვ.

ტექნიკური მომსახურება – მანქანებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს მათი საიმედოობისა და მზადყოფნის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს. მასში შედის: პროფილაქტიკა, მიმდინარე რემონტი, კონტროლი, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებები (რეგულირება, გაწყობა საწვავით, შეზეთვა და სხვ.) კვანძებისა და აგრეგატების მოხსნის გარეშე. ტ. მ. პარამეტრებს წარმოადგენს მომსახურე პერსონალისა და სათადარიგო ელემენტების რაოდენობა და დროითი მაჩვენებლები.

ტექნიკური მომსახურების აგრეგატი – მოწყობილობა, რომელიც დამონტაჟებულია მაღალი გამავლობის ავტომობილის შასიზე, ტრაქტორის მისაბმელზე ან თვითმავალ შასიზე სხვადასხვა მანქანის ტექნიკური მომსახურებისათვის.

ტექნიკური ნორმირება – დადგენილი ტექნოლოგიური პროცესის საფუძველზე შრომისა და წარმოების რაციონალური ორგანიზაციის პირობებში სამუშაოს შესრულების დროის განსაზღვრა. ტ. ნ. საფუძველზე გაანგარიშდება დროისა და გამომუშავების ნორმები.

ტექნიკური პირობები – 1. ნაკეთობის, დეტალის, კონსტრუქციის, მასალისა და მისთ. დამზადებისათვის აუცილებელი პირობები, რომელიც პროდუქციის ხარისხს, ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებსა და მისი დამზადების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს (მაგ., წნევა ავტოკლავში, ტემპერატურა ღუმელში, შედუღების ნაკერის მინიმალური სიგრძე ლითონის ელემენტების შედუღებისას და სხვ.); 2. ტექნიკურ მაჩვენებელთა ერთობლიობა რაიმეს დახასიათებისათვის; 3. პირობები საწარმოს, დანადგარის, მანქანისა და მისთ. ნორმალური ფუნქციონირებისათვის; 4. დოკუმენტი, რომელიც ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ამა თუ იმ კონკრეტულმა ნაკეთობამ, მასალამ, ნივთიერებამ და ა.შ. ან მათ ჯგუფმა. ტ. პ. მუშავდება ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ ნაკეთობაზე, მასალაზე, ნივთიერებაზე იმ პირობით, რომ მასში ჩამოთვლილი მოთხოვნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისო სტანდარტებს, რომელიც ვრცელდება ამ პროდუქციაზე.

ტექნიკური პროექტი – პროექტის დამუშავების მეორე ეტაპი, რომელიც აზუსტებს საპროექტო მოცემულობას (ესკიზურ პროექტს), სამუშაო ნახაზების შესადგენად.

ტექნიკური რესურსი – ობიექტის ნამუშევარი მისი ექსპლუატაციის დაწყებიდან ზღვრულ მდგომარეობამდე.

ტექნიკური სართული – საგანგებო სართული მრავალსართულიან შენობაში, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის სანტექნიკური მილგაყვანილობის, სავენტილაციო არხებისათვის და მისთ. ის ჩვეულებრივ სართულზე ნაკლები სიმაღლისაა.

ტექნიკური სერტიფიკატი – საინსპექციო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

ტექნიკური სწავლების საშუალებები – სწავლების პროცესში ინფორმაციის დამუშავებისა და წარდგენის აპარატურა, მოწყობილობა და სისტემა, რომელიც ფუნქციური დანიშნულების მიხედვით არის საინფორმაციო, მაკონტროლებელი და სასწავლო. ყველაზე სრულყოფილია ავტომატიზებული სასწავლო სისტემა, რომელიც იქმნება გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე და მუშაობს დიალოგის რეჟიმში.

ტექნიკური უსაფრთხოება – შრომის დაცვის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს წარმოების საშიში ზემოქმედებისაგან მომუშავეთა დაცვის ტექნიკური ღონისძიებებისა და საშუალებების სისტემას.

ტექნიკური ქსოვილი – ქსოვილი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური დანიშნულებისათვის – საიზოლაციოდ, გადასაფარებლად, გადასახურად, შუასადებად და ა.შ.

ტექნიკური წესები – სავალდებულო მოთხოვნები, რომელიც არეგულირებს სამშენებლო ორგანიზაციის მშენებლობის ორგანიზაციას და ტექნოლოგიას მაჩვენებლების რაოდენობრივი გამოხატულების გარეშე.

ტექნოგენური (ბერძ. techne ხელოვნება, ოსტატობა და genos გვარი, წარმოშობა) – ადამიანთა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული.

ტექნოგენური ზემოქმედება – სტატიკური და დინამიკური დატვირთვები შენობებისა და ნაგებობებისაგან, ტერიტორიების შეტბორვა და დაშრობა, გრუნტების დაჭუჭყიანება, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება და გაშრობა, აგრეთვე გეოლოგიურ გარემოზე ფიზიკური, ქიმიური, რადიაციული, ბიოლოგიური და სხვა სახის ზემოქმედება.

ტექნოგენური საგანგებო სიტუაცია – მდგომარეობა, რის შედეგადაც ობიექტზე, განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში ტექნოგენური საგანგებო სიტუაციის წყაროს გაჩენის შედეგად ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, ექმნება საფრთხე მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზიანდება მოსახლეობის ქონება, სახალხო მეურნეობა და ბუნებრივი გარემო.

ტექნოგენური საშიშროება – ტექნიკური სისტემის, სამშენებლო და სამრეწველო ობიექტების შინაგანი მახასიათებელი, რომელიც რეალიზდება საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს საწარმოს პერსონალზე და გარემოზე დამაზიანებელი ზემოქმედების ან ამ ობიექტების ნორმალური ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს პერსონალზე და გარემოზე მიყენებული პირდაპირი ან ირიბი ზიანის სახით.

ტექნოგენური შეტბორვა – ტერიტორიის დატბორვა და შეტბორვა, გამოწვეული სამშენებლო და საწარმოო საქმიანობის შედეგად.

ტექნოელასტი (ბერძ. techne ხელოვნება, ოსტატობა და elastos ჭიმვადი, ბლანტი) – რულონური მიმართვადი საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო მასალა ამაღლებული საიმედოობის.

მზადდება ელასტიკური პოლიესტერისა და მოდიფიცირებული ბიტუმის დატანით მინაბოჭკოვან ან პოლიესტერულ საფუძველზე. გამოიყენება ბრტყელი სახურავებისათვის. დაგება ხდება პროპანის გაზის სანთურას მეშვეობით.

ტექნოლოგია (ბერძ. technē ხელოვნება, ოსტატობა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – 1. მზა პროდუქციის წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის მასალებისა და ნახევარფაბრიკატების მიღების, დამუშავების, ფიზიკური მდგომარეობის შეცვლის და სხვა მოქმედებათა მეთოდების ერთობლიობა. ტექნოლოგიის დამუშავება ხორციელდება დარგების მიხედვით – სამშენებლო წარმოების, მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და სხვ.; 2. ორგანიზაციული ღონისძიებების, ოპერაციებისა და მეთოდების კომპლექსი, რომელიც მიმართულია ოპტიმალური დანახარჯებით ნომინალური ხარისხის ნაკეთობის დამზადებაზე, მომსახურებაზე, რემონტზე ან ექსპლუატაციაზე. ტექნოლოგიური პროცესი განისაზღვრება პარამეტრებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ნორმალურ მსვლელობას; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერება ნედლეულის პროდუქტად გადამუშავების პროცესების შესახებ, რაც ხორციელდება ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ოპერაციების მონაწილეობით. ქიმიური გარდაქმნა ძირითადი პროცესია არა მარტო ქიმიური და ნავთობქიმიური წარმოებისათვის, არამედ საფუძველია სამშენებლო და მჭიდა მასალების, ლითონების, სამედიცინო მრეწველობისა და მიკრობიოლოგიური წარმოებების, წვის პროცესების ენერგეტიკასა და ტრანსპორტზე, ლუდის, პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგიაში და სხვ.

ტექნოლოგია ბეტონის – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ბეტონის მიღებისა (შედგენილობა, გამყარება, თვისებები, დანამატები და სხვ.) და ექსპლუატაციის პროცესებს.

ტექნოლოგია ლაზერული – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის იმპულსური, იმპულსურ-პერიოდული, უწყვეტი ლაზერული გამოსხივებით მასალების დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს.

ტექნოლოგია ლითონთა– სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც მოიცავს ლითონური მასალების მიღებისა და დამუშავების წესების ერთობლიობას.

ტექნოლოგია მერქნის გადამუშავების – სპეციალური ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მერქნის სამრეწველო გამოყენებას დამუშავებისა და გადამუშავების გზით (მექანიკური დამუშავება; ქიმიური და ბიოლოგიური გადამუშავება).

ტექნოლოგია საუკეთესო – ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, რომელიც მიმართულია გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისაკენ და რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოყენების დადგენილი ვადა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.

ტექნოლოგიური გადაწყვეტა – წარმოების ტექნოლოგიური სქემის არჩევა (ნაკადური, აგრეგატულ-ნაკადური, კონვეიერული და ა.შ.), რომელიც მოიცავს საწარმოო პროცესში ძირითადი ტექნოლოგიური ნაკადების დამუშავებას, ტექნოლოგიური დანადგარების შერჩევასა და განლაგებას, სამუშაო რეჟიმის დადგენას (ერთცვლიანი, ორცვლიანი, უწყვეტი).

ტექნოლოგიური დოკუმენტაცია – პროდუქციის დამზადების პროცესის განმსაზღვრელი გრაფიკული და ტექსტური დოკუმენტები. მას მიეკუთვნება: ტექნოლოგიური რუკა,

სამშენებლო წარმოების პროექტი, სვლაგეზის რუკა, საოპერაციო რუკა, ინსტრუქციები, საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, ხარჯების ნორმები და სხვ.

ტექნოლოგიური ექსპლუატაცია – შენობის გამოყენება დანიშნულების შესაბამისად.

ტექნოლოგიური თვისებები – მასალის უნარი, გარკვეული ოპერაციების შედეგად მიიღოს საჭირო ფორმა, ზომა და ა.შ. ისეთი ტექნოლოგიური თვისებები, როგორიცაა: დაფქვა, დახერხვა, დალურსმნა, ხეხვა და ა.შ. მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მათზეა დამოკიდებული ნაკეთობისა და კონსტრუქციის ხარისხი და ღირებულება. ზოგი მასალის ტექნოლოგიური თვისების შეფასებისთვის დამუშავებულია რიცხობრივი მაჩვენებლები (ქვის მსხვრევადობა, ბეტონის ნარევის ძვრადობა და ადვილჩაწყობადობა, საღებავის დაფარვადობა და სხვ.). მასალების უმრავლესობისათვის კი დადგენილია ტექნოლოგიური თვისებების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ტექნოლოგიური კვანძი – კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად გამართული სამშენებლო ობიექტის ნაწილი, რომლის ტექნიკური მზადყოფნა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, უზრუნველყოფს ავტონომიურად, ობიექტის სრულად მზადყოფნისგან დამოუკიდებლად, აწარმოოს გაშვება-გამართვის სამუშაოები, ინდივიდუალური გამოცდები და აგრეგატების, მექანიზმებისა და მოწყობილობების კომპლექსური შემოწმება.

ტექნოლოგიური მილსადენი – მილსადენი, სამრეწველო საწარმოს ან სამრეწველო საწარმოების გაერთიანებულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ნივთიერების (ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, რეაგენტი და სხვ.) ტრანსპორტირებისათვის, რომელიც აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისა და მოწყობილობების ექსპლუატაციისათვის.

ტექნოლოგიური მოთხოვნები – პირობების კომპლექსი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს კონკრეტულმა შენობამ, ნაკეთობამ, მასალამ, ნივთიერებამ, მანქანა-დანადგარმა ან მათ ჯგუფმა, ექსპლუატაციის პროცესში. მაგ., სამრეწველო შენობას წაეყენება შემდეგი ძირითადი ტ. მ.: შენობის ფართობმა და კონსტრუქციულმა ზომებმა უნდა უზრუნველყოს მოცემული მოცულობის პროდუქციის წარმოება; ტექნოლოგიური პროცესის უნდა მიმდინარეობდეს შრომისათვის მოხერხებულ, თავისუფალ პირობებში; შენობის არქიტექტურულმა და კონსტრუქციულმა გადაწყვეტებმა უნდა უზრუნველყოს ნორმატიული სიხისტე და ხანგამძლეობა მშენებლობის გეოგრაფიული რაიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით; შენობის ეკონომიკურობა; მშენებლობის პროცესში ქარხნული დამზადების კონსტრუქციებისა და დელალების მაქსიმალური გამოყენება; შენობის ექსპლუატაციის ხელსაყრელი პირობები; შრომის პროცესის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა; შენობაში შესასვლელების, გასასვლელების, კიბის უჯრედების, სანიტარული კვანძების, საყოფაცხოვრებო სათავსების, საინჟინრო ქსელების, სატვირთო ბაქნების და ა. შ. მოხერხებული განლაგება და სხვ.

ტექნოლოგიური პარამეტრები – გაზომვადი სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესში წარმოქმნილ ნივთიერებათა მდგომარეობას და მათ რეაქციისუნარიანობას. ტ. პ. მიეკუთვნება: ნივთიერებათა ტემპერატურა და კონცენტრაცია აპარატში შესასვლელსა და გამოსასვლელზე, თხევადი და აირადი ნივთიერებების წნევა, მიწოდებულ ნივთიერებათა მოძრაობის სიჩქარე და რაოდენობა, მათი შერევის ინტენსივობა, მყარი მასალების შემადგენლობა და დისპერსიულობა, პროცესის ხანგრძლივობა და სხვ.

ტექნოლოგიური პროცესი – ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ერთობლიობა და ურთიერთდაკავშირებული პროცესები (სტადიები), რომელიც მოიცავს: 1) მორეაგირე კომპონენტების მიწოდებას რეაქციის ზონაში; 2) ქიმიურ რეაქციას; 3) მიღებული პროდუქტის გამოყვანას რეაქციის ზონიდან. ტ. პ. განისაზღვრება პარამეტრით, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ტექნოლოგიური რეგლამენტი – ძირითადი ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რეცეპტურას, ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმსა და ოპერაციების ჩატარების თანამიმდევრობას. ტექნოლოგიური რეგლამენტის ყველა მოთხოვნის ზედმიწევნით შესრულება აუცილებელია და უზრუნველყოფს დამზადებული პროდუქციის საჭირო ხარისხს, საწარმოო პროცესის რაციონალურად და ეკონომიურად ჩატარებას, მოწყობილობის შენარჩუნებასა და შრომის უსაფრთხოებას.

ტექნოლოგიური რეჟიმი – ძირითადი ფაქტორების (პარამეტრების) ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს პროცესის სიჩქარეზე, პროდუქტის გამოსავალსა და ხარისხზე. ტ. რ. ძირითადი პარამეტრებია: ტემპერატურა, წნევა, კატალიზატორის გამოყენება და მისი აქტივობა, მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რეაგენტების არევის მეთოდი და ხარისხი. განასხვავებენ დამოუკიდებელ პარამეტრებს, რომლებიც იცვლება სხვებისგან დამოუკიდებლად, და დამოკიდებულ პარამეტრებს, რომელთა რიცხობრივი მნიშვნელობა დამოუკიდებელი პარამეტრების სიდიდეზეა დამოკიდებული. დამოუკიდებელი პარამეტრების საერთო რაოდენობას ეწოდება პროცესის თავისუფლების ხარისხი ანუ ვარიანტულობა. ტექნოლოგიური პარამეტრების ერთობლიობა განსაზღვრავს წარმოების ტექნოლოგიურ რეჟიმს.

ტექნოლოგიური რუკა – ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ფორმა, რომელშიც გაწერილია ნაკეთობის დამუშავების მთლიანი პროცესი, მითითებულია ოპერაციები და მათი შემადგენელი ნაწილები, მასალები, საწარმოო მოწყობილობები, იარაღები, ტექნოლოგიური რეჟიმები, ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო დრო, მუშახელის კვალიფიკაცია და სხვ.

ტექნოლოგიური საშუალება – ნებისმიერი ტექნოლოგია, მოწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომელთა ნორმალურად ფუნქციონირების დროს აღკვეთილია ან იზღუდება მოქმედებები, რომლებიც არ არის ნებადართული საავტორო ან სხვა უფლებების მფლობელის მიერ; ტექნოლოგიური საშუალება ქმედითად ჩაითვლება, თუ დაცული ნაწარმოების ან სხვა ობიექტის გამოყენებისას უფლებათა მფლობელი მასთან წვდომას აკონტროლებს იმ პროცესების მეშვეობით (დაშიფრვის, კოპირების შეზღუდვისა და სხვა გზით), რომლებიც ემსახურება დაცვის მიზანს.

ტექნოლოგიური სისტემა – მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს სადგურზე ნავთობპროდუქტების, აირების და სხვა ტვირთების მიღებას, შენახვასა და გაცემას.

ტექნოლოგიური ღუმელი – თბური დანადგარი, რომელშიც მიღებული სითბო გადაეცემა გადასამუშავებელ მასალას და ამის შედეგად მიმდინარეობს ქიმიური პროცესები განსაზღვრული პროდუქტის წარმოქმნით.

ტექნოლოგიური შედუღებადობა – ლითონის ტექნოლოგიური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის რეაქციას შედუღებაზე, აგრეთვე უნარი, წარმოქმნას შენადუღი შეერთება მოცემული საექსპლუატაციო თვისებებით.

ტექნოლოგიურობა – ნაკეთობის შესაბამისობა წარმოებისა და ექსპლუატაციის მოთხოვნებთან. ტ. უზრუნველყოფა ნაკეთობის კონსტრუქციის დამუშავებისას უნდა მოხდეს. ტექნოლოგიურია ისეთი კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის საექსპლუატაციო ხარისხს და მისი დამზადება მოითხოვს შრომისა და მასალების მინიმალურ დანახარჯებს. ტ. მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ახალ კონსტრუქციაში იმ დეტალებისა და კვანძების გამოყენება, რომლებიც უკვე შედიოდნენ ამავე ნაკეთობის ძველ კონსტრუქციაში, აგრეთვე ნორმალიზებული და სტანდარტიზებული დეტალებისა და საამწყობო ერთეულების გამოყენება.

ტექნოსფერო (ბერძ. technē ხელოვნება, ოსტატობა და sphaira სფერო, ბირთვი) – ქალაქის ან სამრეწველო ზონის რეგიონი, საწარმოო ან საყოფაცხოვრებო გარემო.

ტექსი – ბოჭკოს ან ძაფის ხაზოვანი სიმკვრივის არასისტემური ერთეული, რომელიც ტოლია მასის ფარდობისა სიგრძესთან: 1 ტექსი = 1 გ/კმ = 1 მგ/მ.

ტექსტილი (ლათ. textile ქსოვილი, მატერია) – ნაკეთობა, რომელსაც იღებენ საქსოვ დაზგებზე ურთიერთმართობული და ერთმანეთთან ხლართებით შეერთებული გრძივი (ქსელი) და განივი (მისაქსელი) ძაფებისაგან. ტექსტილი შეიძლება იყოს: ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის, ქიმიური ბოჭკოსი და სხვ. საქსოვი დაზგიდან მოხსნილ ტ. ეწოდება ხამი ქსოვილი, ხოლო ტ. მისაღები ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობას – საფეიქრო წარმოება.

ტექსტოლიტი (ლათ. textum ქსოვილი და ბერძ. lithos ქვა) – ელექტროსაიზოლაციო კონსტრუქციული ფენოვანი ფურცლოვანი მასალა ბოჭკოვან ქსოვილზე, რომელიც გაჟღენთილია თერმორეაქტიული ფისით (ბაკელიტი, პოლიეთერი, ეპოქსიდი). ტ. მინაბოჭკოზე ეწოდება მინატექსტოლიტი. ტ. კარგად მუშავდება ყველა სახის მექანიკური დამუშავებით. გამოიყენება კბილანების, სრიალის საკისრების, პანელების, შუასადებების, ტექნიკური დანიშნულების ამორტიზებული ნაკეთობების დასამზადებლად. ტ. ნაკეთობანი უზრუნველყოფენ უხმაურობას მუშაობისას, აქვს სამსახურის დიდი ვადა, ლითონის ნაკეთობებთან შედარებით ნაკლები ხვედრითი წონა. მზადდება ფურცლების სახით (ნახ. 1).

ნახ. 1

ტექსტურა (ლათ. textura ქსოვილი, აგებულება, კავშირი) – უპირატესი ორიენტაცია მარცვლებისა პოლიკრისტალში ან მოლეკულებისა მყარ სხეულში ან თხევად კრისტალებში, ნივთიერების აგებულების თავისებურება, რომელიც განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილების, ფენების განლაგებით (ნახ. 1).

ნახ. 1

ტექტონიკა (ბერძ. tektonikós მშენებლობის ხელოვნება) – 1. არქიტ. შენობის ნაწილების, ურთიერთგანლაგებისა და მისი ფორმების, პროპორციების შეფარდების თავისებურებანი; 2.

გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობასა და დეფორმაციებს და მათთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ტექტონიკური მოძრაობა – მიწის ქერქის მოძრაობა, რომელიც იწვევს ქანების განლაგების ფორმის ცვლილებას.

ტეშენიტი [ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ყოფილი ქალაქის, Teschen-ის (გერმ.) მიხედვით] – ანალციმური გაბრო; სიღრმისეული ქანი, წითელი ფერის მოსაპირკეთებელი ქვა. მოიპოვება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სოფელ კურსებში. იქვე მუშაობს მოსაპირკეთებელი ფილების დამამზადებელი ქარხანა. დამატებით იხ. ანალციმი და გაბრო.

ტეჩნორა – იხ. არამიდი.

ტეხილი – ნიმუშის ან ნაკეთობის რღვევის შედეგად მიღებული ზედაპირი. არსებობს ტ. შემდეგი სახეები: მყიფე (მინის, კერამიკის, ნაწრთობი ფოლადებისათვის); ბლანტი – ზედაპირზე ადგილობრივი პლასტიკური დეფორმაციის ნაკვალევით (ლითონებისათვის); დაღლილობითი – რღვევა მრავალჯერ განმეორებადი დატვირთვების მოქმედების შედეგად (მზიდუნარიანობა) და შენელებული – რღვევა ხანგრძლივად მოქმედი სტატიკური დატვირთვის შედეგად. ტ. შეიძლება განვიხილოთ, როგორც რღვევის პროცესის მყისიერი ფოტოსურათი. ამიტომ ტეხილის ანალიზი და სწორი "წაკითხვა" დიდ როლს თამაშობს ავარიების მიზეზების კვლევაში. ტეხილის სტრუქტურის მიკროსკოპული ანალიზს ეწოდება ფრაქტოგრაფია.

ტეხისის ეკლესია (ინგლ. Tekhisi Church) – ტეხისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ზუსტი თარიღი უცნობია). მდებარეობს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თლუღში, შემაღლებულ ადგილზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს ნიკორწმინდისა და ხოტევის მთავარანგელოზის ტაძრები. ეს სამი საყდარი თითქოს ღვთიურ სამკუთხედს ჰქმნის და მცველად ადგას საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, ქვემო რაჭის ძირძველ მოსახლეობას. ადრეფეოდალური ხანის ტეხისის ეკლესია (5x8,8 მ) ნაგები იყო თლილი ქვით და შემკული ყოფილა ჩუქურთმებითა და მოხატულობით. დროთა განმავლობაში დანგრეული ნაგებობა აღადგინეს XVII საუკუნეში (ისტორიკოს გ. ბოჭორიძის აზრით), ხოლო XIX საუკუნეში გადაკეთებული იქნა (მიემატა დასავლეთი ნაწილი და სამრეკლო). 1926 წლის აღწერით ეკლესიაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ჩუქურთმებიანი ტრაპეზის მთლიანი ქვა, სამხრეთისა და დასავლეთი კარი, მხატვრობის ნაწილი, წარწერები და სხვ. 1927 წელს საბჭოთა მთავრობის მითითებით ეკლესია ახალგაზრდობას დაუქცევია და თლილი (ნაწილობრივ შირიმის) ქვების დიდი ნაწილი სკოლის მშენებლობისთვის გამოუყენებიათ, ხოლო ნაწილი მოსახლეობას დაუტაცია. 1991 წელს საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დანგრეული სკოლის ეზოდან, მოსახლეობას კი საკუთარი კარ-მიდამოდან, ქვები ეკლესიის ტერიტორიაზე დაუბრუნებიათ.

ნახ. 1

ნანგრევებადქცეული ტაძრის აღდგენა (ნახ. 2) რამდენიმე წლის წინ რაჭის ეპისკოპოსის მეუფე ელისეს (ჯოხაძე) ლოცვა-კურთხევითა და დავით გურგენიძის თანადგომით განხორციელდა. ტაძარი ბაზილიკური ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც შესაძლებლობის ფარგლებში ავთენტურობა შეუნარჩუნდა. ეკლესიას მამა სერაფიონის ძალისხმევით დაუბრუნდა გადარჩენილი სიწმინდეები – უძველესი სამღვდელმსახურო რკინის ჯვრები და ხატი (ნახ. 3).

ნახ. 2

ნახ. 3

ტვარონი – იხ. არამიდი.

ტვირთამწევი მანქანა – მოწყობილობა ტვირთის ან ხალხის გადასაყვანად ვერტიკალურ ან დახრილ სიბრტყეზე (სატვირთო და სამგზავრო ლიფტი, ამწე, შახტური და სამშენებლო ამწე, საწევარა, ტალი, ტელფერი, მრავალჭაღი, თვითმავალი ამწე და სხვ.). ტ. მ. შეიძლება იყოს სტაციონარული და გადასაადგილებელი, პერიოდული და უწყვეტი მოქმედების, ელექტრული ან შიგაწვის ამძრავით. მათი ტვირთამწეობა რამდენიმე კგ-დან რამდენიმე ტ-დეა.

ტვირთამწეობა – სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-მექანიზმების ძირითადი საექსპლუატაციო მახასიათებელი. ის არის ტვირთის მაქსიმალური მასა, რომელიც შეუძლია გადაიტანოს ან აწიოს სატრანსპორტო ან ტვირთამწე საშუალებამ.

ტვირთბრუნვა – დროის ერთეულში გადაზიდული ტვირთის რაოდენობა.

ტვირთი – 1. საგანი ან საგანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება გადატანას, გადაზიდვას, ტრანსპორტირებას. ის შეიძლება იყოს მყარი, თხევადი, აირის. ტ. უამრავი სახეობა არსებობს, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: ადვილად აალებადი, არაგაბარიტული, გაუწონასწორებელი (დებალანსი), თავმოყრილი, მალფუჭებადი, მშრალი, ნაკრები, ნაყარი, ბალანსირი, საკონტროლო, ცალობითი, ცოცხალი და სხვ.; 2. მეტნაკლებად მძიმე საგანი; სიმძიმე; 3. გადატ. სიმძიმე, სიძნელე; გაჭირვება.

ტვირთნაკადი – ტვირთის ტრანსპორტირება დროის გარკვეულ მონაკვეთში რაიმე მიმართულებით.

ტვირთსათრევი ფანჯარა – პატარა ფანჯარა, გამოჭრილი ხის ძელურაში ორ ერთმანეთზე დადებულ მორში (ნახ. 1). ის შიგა მხრიდან იხურება ფიცრებისგან გაკეთებული თლილი ჩამკეტით.

ნახ. 1

ტვირთტევადობა – სატრანსპორტო საშუალებაში ან სათავსში მოსათავსებელი ტვირთის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ტვირთჩამჭერი (ტვირთსატაცი) – მოწყობილობა ან მექანიზმი, რომლითაც აღჭურვილია ტვირთამწევი მანქანა და გამოიყენება სხვადასხვა ტვირთის ჩასაბმელად, გადასატანად და განსატვირთავად. შესაბამისად, არსებობს ტ. ფხვიერი ტვირთებისათვის (გრეიფერი, ციცხვი) და ჩასასხმელი ტვირთებისათვის (ბადიები, სპეც. ტევადობები). ტ. ერთ-ერთ სახეს მიეკუთვნება ამწევი ელექტრომაგნიტები, ვაკუუმური ტვირთჩამჭერები, ავტოჯალამბრები და სხვ.

ტვიფრა – 1. სხეულის ზედაპირზე (ლითონზე, მერქანზე და სხვ.) გამოსახულების, ნახატის, ნახჭის დატანის – ამოტვიფრის პროცესი; 2. ლითონის ფორმის მეშვეობით დეტალების ან სხვა წვრილმანი საგნების სერიულად დამზადების პროცესი.

ტვიფრი (შტამპი) (იტალ. stampa ბეჭდვა) – 1. ესტამპი, ანაბეჭდი გრავიურიდან; 2. ლითონის ფორმა მანქანების დეტალების ან წვრილმანი საგნების სერიულად დასამზადებლად.

ტიგელი (ბუთა) – ცეცხლგამძლე კერამიკული ან ლითონის ჭურჭელი, რომელშიც ადნობენ ან ახურებენ სხვადასხვა მასალას, ნივთიერებას.

ტივი – ერთიმეორეზე მიჯრით შეკრული დიდი მორები (ძელები) მდინარეზე დასაცურებლად (ნახ. 1).

ნახ. 1

ტივტივა – 1. სითხის დონის სარეგულაციო მოწყობილობა, რომელიც სითხეში არ იძირება; 2. კორპის ან ხის ნაჭერი, რომელიც ანკესის ძაფზე ან სათევზაო ბადეზეა მიბმული. ის არც თვითონ იძირება და არც მათ აძლევს წყალში ჩაძირვის საშუალებას.

ტიზი – ის, რაც გამოიყენება რაიმე ხვრელის დასაგმანად; საცობი.

ტიკი – 1. სელის ან ბამბის მკვრივი ქსოვილი, ჩვეულებრივ ზოლიანი; იყენებენ მატრასებისათვის, ავეჯის შალითებად, ფარდებად და სხვ.; 2. ოთხში (გუდად) ამოღებული; შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი; 3. იხ. ტიკის ხე.

ტიკის ხე – მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ჯიშის ხე (ნახ. 1). იზრდება ინდოჩინეთში, სუმატრასა და იავაზე. სიმაღლეში აღწევს 40 მ-ს. ზრდასრული ტ. ხ. დიამეტრია 1,2-1,8 მ. აქვს მკვრივი, მაგარი, მტკიცე, ოქროსფერ-მოყავისფრო შეფერილობის მერქანი, მსხვილი სასიამოვნო

ტექსტურა, შეიცავს ეთეროვან ფისებს, გამოირჩევა მაღალი მედეგობით ბიომავნებლებისა და ნესტისადმი. გამოიყენება მშენებლობაში (ძირითადად მაღალხარისხოვანი პარკეტის დასამზადებლად, ნახ. 2), საბაღე ავეჯის წარმოებაში, გემთმშენებლობაში (გემბანებისათვის), მსუბუქი ავტომანქანების სალონების გასაწყობად და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ტილო (აფრისი) – სელის ძაფის უხეში მტკიცე სქელი ქსოვილი, რომელშიც ძაფები ერთის გამოტოვებით ურთიერთმარობულად არის გადახლართული. გამოირჩევა მაღალი ცვეთამედეგობით. გამოიყენება სათავსის ჭერის მოსაწყობად, ზეთის საღებავებით სახატავად (ხის ჩარჩოზე გადაჭიმული), ტექნიკური მიზნებისათვის, იალქნების, კარვების, ზურგჩანთების, შალითების, ფეხსაცმლის და სხვა ნაკეთობათა დასამზადებლად, სადაც საჭიროა მასალის დიდი სიმტკიცე. თანამედროვე ტილო, როგორც წესი, მზადდება ბამბის ან სელის ძაფებისაგან, თუმცა ისტორიულად მას ქსოვდნენ კანაფის ძაფებისაგან.

ტიმოთესუბნის მონასტერი (ინგლ. Timetesubani Monastery) – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიული თორის შუაგულში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა წაღვერიდან 3 კმ-ში, მტკვრის მარჯვენა შენაკადის მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, ეკლესია, სატრაპეზო, გალავანი, საძვალე, სამონასტრო ნაგებობათა ნაშთი.

ნახ. 1

კომპლექსის მთავარი ნაგებობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აიგო თამარის მეფობის ეპოქაში (XII-XIII საუკუნეების მიჯნა) თორის ერისთავთ-ერისთავის, დიდი ქართველი სამხედრო მოღვაწის, შალვა ახალციხელის მიერ. მანვე საგრძნობლად გააფართოვა მონასტერი. ტაძარი აშენებულია მოვარდისფრო ქართული აგურით. ტაძრის ზომებია: სიგრძე 11,0 მ, სიგანე – 19,0 მ, სიმაღლე (ჯვართან ერთად) – 28 მ. ჩახაზული ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას აღმოსავლეთ მხარეს 3 შვერილი აფსიდა აქვს. გუმბათის

ყელი დაყრდნობილია 2 თავისუფლად მდგარ სვეტსა და საკურთხევლის კედლის შვერილებზე და შემკულია ლაჟვარდოვანი ჭიქურის ფილებით. მოგვიანებით ტაძრისათვის დასავლეთის მხრიდან აგურის, ხოლო სამხრეთის მხრიდან – გათლილი ქვის კარიბჭეები მიუშენებიათ (ნახ. 2. სამხრეთი კარიბჭის ფრაგმენტი).

ნახ. 2

მხატვრობა შესრულებულია XIII საუკუნის დასაწყისში და თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ ტიმოთესუბნის ტაძარში ერთ-ერთი ყველაზე რთული მხატვრობაა თავისი პერიოდისათვის. იკონოგრაფიული პროგრამა-შემადგენლობით იგი არაჩვეულებრივად მდიდარი და ტიპურად ქართულია.

ტაძრის ჩრდილოეთით სამონასტრო ნაგებობათა ნაშთია. შემონახულია აგრეთვე XI საუკუნის თლილი ქვით ნაგები წმინდა ბარბარეს სახელობის დარბაზული ეკლესია (ნახ. 3. ბარბარეს სახ. ეკლესია). მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობების ნანგრევი (ნახ. 4. სამონასტრო ნაგებობათა ნაშთი). ცენტრალური ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვისგან ნაგები თაღოვანი საძვალეა.

ნახ. 3

ნახ. 4

ტიმპანი (ბერძ. tympanon დოლი<tympo ვურტყამ, ვცემ) – 1. ფრონტონის თარაზულ და დახრილ ზოლურებს შორის მოქცეული ჩაღრმავებული სამკუთხა ან მრუდხაზოვანი არე (ნახ. 1); 2. კედლის ნახევარწრიული ფრაგმენტი თაღოვანი კარის (ფანჯრის) კარნიზის თავზე; 3. შენობის ინტერიერში კედლის ურბანული დეკორატიული ელემენტი სხვადასხვა ფორმის პატარა ფრონტონის სახით; 4. პილასტრს, თაღსა და არქიტრავს შორის მოქცეული მრუდხაზოვანი ან სამკუთხა არე.

ნახ. 1

ტინი – ძვ. მაგარი, გამჭვირვალე, პიტალო დიდი კლდე.

ტინოლი – რუსული წარმოების პასტისებრი ნივთიერება, რომელიც შეიცავს 63% კალასა და 37% ტყვიას. გამოიყენება ფლიუსად ელექტრორკალურ შედუღებაში.

ტიოკოლი (ინგლ. thiokol<ბერძ. thion გოგირდი) – შავი ფერის ნახევრადსულფიდური სინთეზური კაუჩუკი, რომელსაც წარმატებით იყენებენ მეტალოპლასტმასის ფანჯრების მინა-პაკეტების ჰერმეტიზაციისათვის, აგრეთვე შენობა-ნაგებობებში სხვადასხვა ტიპის ღრეჩოს, ნაპრალის, ბზარის ამოსავსებად.

ტიპაჟი – 1. რაიმე ნაკეთობათა ტიპების, მოდელების ერთობლიობა; 2. ხელოვნ. ადამიანთა რაიმე საზოგადოებრივი თანრიგის, ტიპის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

ტიპი (ბერძ. typos ანაბეჭდი, ფორმა, ნიმუში) – 1. საგნების, მოვლენების გარკვეული ჯგუფის ნიმუში, მოდელი, ფორმა; 2. ამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელი გუმბათისებრი ქოხი, აგებული ხის ტოტების, ლერწმის ღეროებისა და მისთ.; იგივეა, რაც ვიგვამი; 3. ხელოვნ. მხატვრული სახე, რომელშიც განზოგადებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თვისებები.

ტიპიზაცია (ინგლ. typification<ბერძ. typos ანაბეჭდი, ფორმა, ნიმუში) – 1. მასობრივი მშენებლობისათვის გათვალისწინებული უნიფიცირებული ნაწილების, კომპლექსების, დეტალების ნომენკლატურის შედგენა და დაპროექტება; 2. ტიპური კონსტრუქციების ან ტექნოლოგიური პროცესების დადგენა რიგი ნაკეთობების ან პროცესებისათვის საერთო ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე. ტ. სტანდარტიზაციის ერთ-ერთი მეთოდია, რომელსაც ხშირად საბაზო კონსტრუქციათა მეთოდს უწოდებენ; 3. ერთ გარკვეულ ტიპზე დაყვანა.

ტიპობრივი (ტიპური) – გარკვეული ტიპის შესაბამისი, დამახასიათებელი; სტანდარტული.

ტიპობრივი პროექტი – საცხოვრებელი სახლის, საზოგადოებრივი ან სამრეწველო შენობის პროექტი, რომელიც უნიფიცირებულ კონსტრუქციებსა და არქიტექტურულ დეტალებზეა დაფუძნებული.

ტიპოლოგია (ბერძ. typos ანაბეჭდი, ფორმა, ნიმუში და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – საგნების ან მოვლენების კლასიფიკაცია მათი საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით.

ტიპური ქალაქური სახლი – ქალაქის საერთო განაშენიანების ერთიან სივრცეში ჩართული სახლი.

ტირი – სპეციალურად მოწყობილი ადგილი (ღია ან ნახევრად დახურული) მიზანში ან სასწავლო სროლისათვს პერსონალური პნევმატიკური ან ცეცხლსასროლი იარაღიდან. ავტომატური, მსხვილკალიბრიანი ან საცდელი ცეცხლსასროლი იარაღისათვის გამოიყენება დასახლებული პუნქტებიდან დაშორებული სასროლეთი – პოლიგონი.

ნახ. 1

ტირიფი (ლათ. salix) – ხის ჯიში; მიეკუთვნება ტირიფისებრთა ოჯახის ფოთოლმცვივან მცენარეთა გვარს (ნახ. 1). გვარი მოიცავს 600-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი და ცივი ჰავის სარტყლებში. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია 17 სახეობა.

უმეტესობა მთის შუა, სუბალპურ და ალპურ სარტყლებში იზრდება. ეტანება მთის ჩრდილოეთ ფერდობებსა და ნოყიერ ტენიან ნიადაგს. დაბლობში კი, მდინარეთა ნაპირების გასწვრივ და ჭალის ტყეებში ხარობს. მეტწილად გავრცელებულია წნორი ანუ თეთრი ტ. მის ყვითელყლორტებიან ფორმებს "მანეულსა" და "ყვითელ ტირიფს" – საგანგებოდ აშენებენ და საკალათე წნელად და ჭიგოდ იყენებენ. ნამდვილი საკალათე ტ. – "მანეული" ჩვენში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ბაკურიანისა და ციხიჯვრის მიდამოებში. ტ. ძირითადად დეკორატიული ხეა. მშენებლობაში არ გამოიყენება.

ნახ. 1

ტირიფი თეთრი (ლათ. salix alba) – ფოთლოვანი ხის ჯიში, სიმაღლით 20-30 მ, აქვს მოყვითალო მერქანი და მომწვანო ქერქი (ნახ. 1). საქართველოში გავრცელებულია ყველგან – ზღვის დონიდან 1600 მ-მდე, ძირითადად, მდინარეთა ნაპირების გაყოლებით. ქერქი გამოიყენება მედიცინაში მთრიმლავი ნივთიერებების მისაღებად, წვრილი ტოტები – კალათების მოსაწნავად. დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში, როგორც შესანიშნავი სილამაზის დეკორატიული ხე.

ტიტანი (ლათ. titanium<ბერძ. titanos ტიტანი) – 1. დაბალი სიმკვრივის (4500 კგ/მ^3) და დიდი სიმტკიცის (700-1200 მპა) კოროზიამედეგი მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის მსუბუქი ლითონი (ნახ. 1. ტიტანის ზოდი). მაღალი ღირებულებისა და დეფიციტურობის გამო ტიტანი (ძირითადად ტიტანის შენადნობები) მშენებლობაში გამოიყენება მხოლოდ უნიკალური ნაგებობებისათვის; 2. ბერძნულ მითოლოგიაში უკვდავი არსებები, გიგანტები, რომლებიც შეებრძოლნენ ოლიმპიელ ღმერთებს; 3. იტყვიან ძალიან დიდ მოაზროვნეზე, გენიოსზე; 4. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 5. წყლის ასადუღებელი დიდი ჭურჭელი განსაკუთრებული მოწყობილობისა.

ნახ. 1

ტიტანის თეთრა – ტიტანის მეტალის ორჟანგი. გამოიყენება მშენებლობაში კედლების, ჭერის შესათეთრებელ ნივთიერებად.

ტიტანიტი – იხ. სფენი.

ტიტვრა – ნაკეთობის (სხეულის) ზედაპირზე რაიმე ნახატის დატანა.

ტიტული (ლათ. titulus წარწერა, საპატიო წოდება, სამართლებრივი საფუძველი) – 1. კაპიტალური მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის დასახელება იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც შეტანილია სატიტულო სიებში; 2. წიგნის სათაური; წიგნის პირველი გვერდი, რომელზეც მოთავსებულია სათაური, ავტორის გვარი, გამოცემის ადგილი, წელი და სხვა; სატიტულო ფურცელი; 3. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება.

ტიუდორის ყვავილი – 1. კვადრატული ორნამენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს სუროს ოთხი ფოთლის სტილიზებული გამოსახულება; 2. დიდი ბრიტანეთის ტრადიციული ჰერალდიკური ემბლემა (ტიუდორების დინასტიის) შესრულებული ბუნებრივ ფერებში: თეთრი ყვავილი დადებული ალისფერ ყვავილზე (ნახ. 1).

ნახ. 1

ტიქსოტროპია (ბერძ. thíxis შეხება და tropos მობრუნება) – პლასტიკურ-ბლანტი ნარევის უნარი, შეიცვალოს თავისი რეოლოგიური თვისება მექანიკური ზემოქმედების შედეგად და აღიდგინოს იგი ამ მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ამ თვისებას იყენებენ ბეტონის ნარევის ტუმბოებით გადატანის, ვიბროშემკვრივებისა და ნაკეთობის დამზადების დროს.

ტიხარი – 1. საძგიდე, ძგიდე; ოთახის სივრცის გამომყოფი კედელი, რომელსაც კაპიტალური კედლისაგან განსხვავებით კონსტრუქციული დატვირთვები არ გადაეცემა; 2. შუა საუკუნეების არქიტექტურაში ხის კედელი კორიდორის ბოლოში, რომელიც, როგორც წესი, ამთავრებდა კორიდორს. ტიხარი შეიძლება იყოს: აგურის, ასაწყობი, ბადური, ბლოკის, გამყოფი, გასაწევი, ერთმაგი, თბოშეუღწევი, თიხაწნული, მზიდი, მონოლითური, მოფიცრული, მრავალშრიანი, პანელური, რკინა-აგურის, სამფენოვანი, ყრუ, წყალშეუღწევი, ხანძარსაწინაღო, ხისა და სხვ.

ტიხარი კარკასული – შენობის მზიდი ნაწილის კარკასის სივრცეში მოწყობილი ტიხარი, რომელიც შედგება დგარების, შევსებისა და შემოსვისაგან (ნახ. 1).

ნახ. 1

ტიხარი საფილტრავი – ზედაპირი ნახვრეტებით (ღრეჩოებით) ან ზედაპირი ფორებიანი მასალისაგან, რომელიც ატარებს დისპერსიულ გარემოს, თხევადი არაერთგვაროვანი სისტემების გაყოფისას ფილტრებსა და ცენტრიფუგებში.

ტიხარი საფილტრავი არაკუმშვადი – საფილტრავი ტიხარი, რომელიც წნევის სხვაობის გაზრდისას არ განიცდის ფორების დეფორმაციას.

ტიხარი საფილტრავი კუმშვადი – საფილტრავი ტიხარი, რომელიც წნევის სხვაობის გაზრდისას განიცდის ფორების დეფორმაციას და მათი თავისუფალი კვეთის შემცირებას.

ტიხარი სტაციონალური – ტიხარი, აწყობილი ხის, ალუმინის, ფოლადის ან პოლივინილქლორიდის პროფილების კარკასზე, რომელზეც მიმაგრებულია პანელი (ნახ. 1. ყრუ სტაციონალური ტიხარი). ასეთი კონსტრუქციებს გამოარჩევს

ნახ. 1

ის, რომ ტ. ს. ემაგრება იატაკსა და ჭერს, რის შემდეგაც მათი კონფიგურაცია აღარ იცვლება.

ტკეპნა – 1. დაწოლით ან დარტყმით რისამე შემჭიდროება და მოსწორება; 2. გრუნტის, ხრეშის, ქვიშის და მისთ. შეუკავშირებელი მასალების ზედაპირული დარტყმითი შემჭიდროება.

ტკეჩადობა – მინერალის გახლეჩის უნარი ამა თუ იმ მიმართულებით, რომლის შედეგადაც მასზე წარმოიქმნება ბრტყელი ზედაპირები. ტკეჩადობის სიბრტყე მინერალის კრისტალური სტრუქტურის ყველაზე მჭიდრო ბადეების პარალელურია, ვინაიდან ქიმიური ბმის ძალები ასეთ ბადეებს შორის ყველაზე სუსტია. ტკეჩადობის სიბრტყის ორიენტაციაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ქიმიური ბმის ტიპიც (მაგ., ალმასისა და სფალერიტის სტრუქტურები მსგავსია, მაგრამ მათი ტკეჩადობის მიმართულება განსხვავდება იმის გამო, რომ ალმასში გვაქვს ბმის კოვალენტური ტიპი, სფალერიტში კი ნაწილობრივი იონური). მინერალოგიაში განასხვავებენ ტკეჩადობის 5 სახეს: ფრიად სრულს (მაგ., ქარსები, ქლორიტები), სრულს (მაგ., გალენიტი, კალციტი), საშუალოს (მაგ., მინდვრის შპატები), არასრულს (მაგ., აპატიტი, კასიტერიტი) და ფრიად არასრულს (მაგ., კორუნდი, ოქრო). ტკეჩადობა მინერალთა ერთ-ერთი დიაგნოსტიკური თვისებაა.

ტკეჩი – 1. სიგრძეზე ვიწროდ დაჭრილი თხელი ფიცრები (ნახ. 1. საბათქაშე ტკეჩი); 2. ზოგი ხის (თხილის, შინდისა და მისთ.) სწორი წვრილი ტოტის სიგრძივ ანახეთქი; იხმარება კალათის (გოდრის) დასაწნავად.

ნახ. 1

ტკეჩი საკასრე – დაპობით ან დახერხით მიღებული ტკეჩი კასრის ტანის დასამზადებლად. ძირითადად გამოიყენება მუხის, ვერხვის, წიფლის, წაბლისა და წიწვოვანი ჯიშის მერქანი.

ტკეჩი საპარკეტე – დახერხილი ნამზადი-ფრიზა, რომლისაგანაც შემდეგ პარკეტი მიიღება. ამ მიზნით მაგარი ფოთლოვანი ჯიშის (მუხა, წიფელი, იფანი) მერქანი გამოიყენება, თუმცა ზოგჯერ ლარიქსისა და ფიჭვის მერქანსაც იყენებენ.

ტლეჯა (ლითონის) – ვიწრო ლითონის ლენტის მიღების ხერხი.

ტოლდიდი – ეკვივალენტური, ტოლი, ჰომოლოგრაფიკული, ერთნაირი.

ტოლდიდი ფიგურები – ბრტყელი ფიგურები ტოლი ფართობებით ან გეომეტრიული სხეულები ტოლი მოცულობებით.

ნახ. 1

ტოლი (ფრანგ. tôle ფურცლოვანი რკინა<ლათ. tabula ფირფიტა, ფიცარი) – 1. სახურავისა და კონსტრუქციების ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რომელიც მიიღება საბურულე მუყაოს გაჟღენთვით ქვანახშირის ან ფიქალის კუპრით. გამოდის რულონების სახით (ნახ. 1). სხვა საბურულე მასალებთან შედარებით (პერგამინი, რუბეროიდი) ტოლის

სამსახურის ვადა გაცილებით ნაკლებია, ამიტომ ის უპირატესად გამოიყენება დროებითი ნაგებობების ბურულის მოსაწყობად, სამაგიეროდ ფართოდ იყენებენ სამშენებლო კონსტრუქციების ჰიდრო- და ორთქლსაიზოლაციოდ; 2. ამხანაგი, მეგობარი, სწორი; თანაბარი, თანასწორი; 3. იგივეა, რაც ტრინიტროტოლუოლი.

ტოლმხარა – თანაბარმხრებიანი ბერკეტი.

ტოლუოლი (მეთილბენზოლი) (ინგლ. toluene<ესპ. tolu ტოლუანური ბალზამი, კოლუმბიის ქ. სანტიაგო დე ტოლუს სახელის მიხედვით) – არომატული უფერო თხევადი ნახშირწყალბადი, რომელიც შედის ქვანახშირის ფისის და ნავთობის შემადგენლობაში; გამოიყენება ორგანულ სინთეზში გამხსნელად, აგრეთვე, ფეთქებადი ნივთიერებების, საღებავების, სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში და სხვ.

ტოლფასი – იხ. ეკვივალენტი.

ტოლქმედი – სხეულზე მოდებული სამი და მეტი ძალის ძალთა სისტემის ეკვივალენტური ძალა, რომელიც სხეულის მოძრაობის სიჩქარეზე ისეთივე გავლენას ახდენს, როგორც ეს ძალთა სისტემა. ძალთა სისტემას აქვს ტ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის არსებობს დაყვანის ისეთი ცენტრი, რომლის მიმართ სისტემის მთავარი მომენტი ნულის ტოლია. წყვილძალას (ორი ძალის სისტემა) არ აქვს ტოლქმედი.

ტოლქმედი ძალა – ისეთი ერთი ძალა, რომელიც ძალთა მოცემული სისტემის ტოლფასია.

ტოლჩა (ინგლ. pewter<შუაფრანგ. peutre<წარმომავლობა უცნობია) – ნაცრისფერი ჭედადი ლითონური შენადნობი. ტრადიციულად შედგება 85-99% კალისა და სპილენძის, სტიბიუმის (სურმა), ბისმუტის და ზოგჯერ ტყვიისაგან. იშვიათად გამოიყენება ვერცხლიც. არქეოლოგიური ძიების შედეგების თანახმად, ტ. პირველად გამოყენებული იქნა ბრინჯაოს ხანაში ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ტოლჩისგან დამზადებული საგნები აღმოაჩინეს ძვ. წ. 1450 წლის ეგვიპტურ სარკოფაგში. თანამედროვე ტიპური ევროპული ტოლჩა შეიცავს 94% კალას, 5% ბისმუტსა და 1% სპილენძს (ტყვია საერთოდ ამოიღეს შენადნობიდან მომწამლავი თვისებების გამო, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს ანტიკვარულ ნაკეთობებში). კალაზე დამზადებული ასეთი ნაკეთობები (ძირითადად ჭურჭელი) ფართოდ გამოიყენებოდა ძველ ეგვიპტეში, რომსა და შემდეგ ევროპაში, ვიდრე ყოფაცხოვრებაში არ შემოვიდა ფაიფური, კერამიკა და მინა. XIX საუკუნიდან დღემდე ტოლჩისგან ამზადებენ (ჩამოსხმის გზით) ჩაიდნებს, მაღალყელიან დოქებს (საქართველოში ძირითადად გამოიყენება ღვინის ჩამოსასხმელად), სასანთლეებს, სანათურებს, სადგამებს, ნაკეთობებს მოვერცხლისათვის, სამკაულებს, სამშვენისებსა და სხვ.

ტომპაკი (თითბრის ნაირსახეობა) (ფრანგ. tombac<მალ. tambaga სპილენძი) – სპილენძის შენადნობი თუთიასთან (3-12%), შეიცავს აგრეთვე ტყვიას, რკინას, ფოსფორს, დარიშხანს; კარგად მიედუღება ფოლადს, გამოიყენება ფოლადი-თითბრის ბიმეტალების მისაღებად. აქვს ოქროსფერი შეფერილობა; გამოიყენება მხატვრულ ნაკეთობათა, ორდენების, მედლების, ფურნიტურისა და სხვათა დასამზადებლად.

ტონა (ფრანგ. tonne<ლათ. tunna კასრი) – მასის მეტრული ერთეული (სისტემის გარეშე), რომელიც ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში გამოიყენება კილოგრამთან ერთად 1 ტ = 1000 კგ.

ტონა-ძალა – ძალისა და წონის ერთეული. მეტრული 1ტძ = 1000კგძ = 9,80665კნ.

ტონალობა – არქიტექტურაში ფერების შერჩევა, ერთი ტონის სიჭარბე.

ტონაჟი – 1. რაიმე საქონლის გამოშვება წონით; 2. სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთმზიდაობა; 3. გემის წყალწყვა ან ტვირთმზიდაობა.

ტონდო (იტალ. tondo წრიული) – წრიული ფორმის დეკორაციული დეტალი.

ტონი (ბერძ. tonos აწევა, ამაღლება<ბერძ. teino გაჭიმვა, გაძლიერება) – 1. საღებავის ელფერი, ხასიათი სიმკვეთრისა და კოლორიტის მიხედვით; 2. ფერწერაში სურათის ძირითადი ფონი; 3. ბგერა, რომელსაც იწვევს ჰაერის პერიოდული რხევა და აქვს გარკვეული სიმაღლე. ტონი შეიძლება იყოს: დაბალი, დამატებითი, დამთხვევის, კომბინაციური, მაღალი, მუსიკალური, ნაწილობრივი, პარციალური, სუბიექტური, სხვაობითი, ძირითადი, ჯამური და სხვ.

ტონირება – 1. ქანდაკების დეკორატიული გაფორმება; 2. შავ-თეთრი ფოტოსურათის ქიმიური რეაქტივებით დამუშავება მისთვის რაიმე გარკვეული ელფერის (ტონის) მისაცემად; 3. ქიმიური ნივთიერებებით მყარი სხეულის ზედაპირის დამუშავება.

ტოპაზი [ძვ. ფრანგ. topace<ბერძ. topazos<ქვის სახელწოდება მომდინარეობს წითელი ზღვის კუნძულ ტოპაზოს (ამჟამად ზაგარბადი) სახელის მიხედვით] – ნახევრად ძვირფასი ქვა, ალუმინის სილიკატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური ფორმულა $Al_2SiO_4(F,OH)_2$; სიმკვრივე 34903570 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით 8. ფერი: უფერო, წყლისებრ-გამჭვირვალე, ყვითელი, მონაცრისფრო, მომწვანო, ყავისფერი, იშვიათად ვარდისფერი, იისფერი, მწვანე, ცისფერი, ჩალისებრ-ყვითელი (ნახ. 1). გამოირჩევა მაღალი მდგრადობით. არ იხსნება მჟავებში. იშლება ფოსფორის მარილში. გამოიყენება საიუველირო ხელოვნებაში, აგრეთვე სიმაგრის მინერალოგიური სკალის (მოოსის სკალა) ეტალონად, ფარდობითი სიმაგრის დასადგენად კაწვრის მეთოდით.

ნახ. 1

ტოპიარია (ბერძ. tópos ადგილი) – ძველ რომში წარმოშობილი საბაღო დეკორატიული ხელოვნება – ხეებისა და ბუჩქებისათვის სხვადასხვა ცხოველის, პირამიდებისა და მისთ. ფორმის მიცემა (ნახ.1. ლევენს ჰოლის ბაღი, ქ. კენდალი, ინგლისი).

ნახ. 1

ტოპო (ბერძ. topos ადგილი, ადგილმდებარეობა) – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი – ნიშნავს რაიმე ადგილთან დაკავშირებულს (მაგ., ტოპოლოგია, ტოპოგრაფია და სხვ.).

ტოპოგრაფია (ბერძ. tópos ადგილი, მდებარეობა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – გეოდეზიიის ნაწილი, რომლის ამოცანას შეადგენს კარტოგრაფიის უზრუნველყოფა მაღალი სიზუსტის გეოდეზიური საფუძვლის ბაზაზე შექმნილი მსხვილმასშტაბიანი რუკებით; იმავე ბაზაზე საკუთარი საყრდენი საფუძვლის შექმნა შედარებით მცირე სივრცეებისათვის; ადგილის აგეგმვა; განაზომთა მათემატიკური დამუშავება გამონათვალთა გრაფიკულად გამოხაზვა ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების სახით. ტ. შეისწავლის აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების დახაზვის მეთოდებს. ტ. სფეროს ინტერესებში შედის ტოპოგრაფიული რუკების შედგენა-განახლების მეთოდიკა, სიზუსტისა და კლასიფიკაციის საკითხებისა და ადგილის სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავება; 2. ქვეყნის ან ადგილის ზედაპირი და მისი ნაწილების, პუნქტების ურთიერთგანლაგება.

ტოპოგრაფიული აგეგმვა – სამუშაოების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს ტოპოგრაფიული რუკის შედგენას, ადგილის დაგეგმარებასა და ტოპოგრაფიული ინფორმაციის მიღებას სხვა ფორმაში. აერთიანებს მიწისზედა და მიწისქვეშა კონსტრუქციებს. აგეგმვის საბოლოო პროდუქტია ადგილის ტოპოგრაფიული გეგმა, რომელიც წარმოადგენს რელიეფის ადგილისა და სიტუაციის ელემენტების კარტოგრაფიულ გამოსახულებას. მიწისზედა აგეგმვა არის გეგმური, სიმაღლებრივი და კომბინირებული. GPS-ისა და GLONASS-ის გამოჩენამ შესამჩნევად შეამსუბუქა ტოპოგრაფიული აგეგმვითი სამუშაოების ჩატარება. ტოპოგრაფიული გეგმის ძირითადი მახასიათებლებია: მასშტაბი (1:100 – 1:1000), რელიეფის კვეთის სიმაღლე (0,10 მ; 0,25 მ; 0,50 მ; 1,00 მ და ა.შ.), კოორდინატების სისტემა (ადგილობრივი, პირობითი და ა.შ.) და სიმაღლეების სისტემა (ბალტიის ზღვის, პირობითი).

ტოპოგრაფიული გადაღება – მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ზედაპირის გადაღება მისი შესწავლის მიზნით.

ტოპოგრაფიული მიმბმელი – ტოპოგრაფიული ხელსაწყო, დაყენებული მოძრავ ფუძეზე და აღჭურვილი მოწყობილობით წერტილის ადგილმდებარეობის მართკუთხა კოორდინატების ავტომატური განსაზღვრისათვის და გავლილი გზის გეგმაზე გამოსახაზად.

ტოპოგრაფიული სახაზავი – სახაზავი სამუშაო ზომებით, რომლითაც შესაძლებელია ტოპოგრაფიულ გეგმაზე მართკუთხა ბადის აგება (ნახ. 1). ასეთი სახაზავის გადაადგილება ხდება საწყისი მდგომარეობის პარალელურად.

ნახ. 1

ტოპოლოგია (ბერძ. topos ადგილი, ადგილმდებარეობა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მათემატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის გეომეტრიული ფიგურების უზოგადეს თვისებებს.

ტოპონიმიკა (ბერძ. topos ადგილი, ადგილმდებარეობა და onyma სახელი) – 1. რაიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა (დასახლებული პუნქტების, მდინარეების, მთების, ხეობებისა და მისთ.) ერთობლიობა; 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ სახელებს.

ტორევტიკა (ბერძ. toreuo ვჭრი, ვთეგავ) – ლითონზე მხატვრული რელიეფის დამუშავების ხელოვნება. ლითონის საგნების რელიეფურად და მხატვრულ-სკულპტურულად დამუშავების, ჭედვის, კვერვის ხელოვნება, ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც უპირატესად ვერცხლის მჭედლობას გულისხმობს. ტ. გავრცელებული იყო უძველესი დროიდან (ბრინჯაოს ხანა) მცირე აზიაში, ასურეთში, ბაბილონში, საქართველოში (ნახ. 1. ვერცხლის თასი, თრიალეთის კულტურა, სავარაუდოდ ძვ.წ.-ის III ს.), სპარსეთსა (ნახ. 2. აქემენიდური ტორევტიკა, ვერცხლი, ძვ.წ.-ის V ს.) და სხვა ქვეყნებში.

ნახ. 1

ნახ. 2

ტორკრეტბეტონი (ლათ. tor ბათქაში, cret შემკვრივებული და ფრანგ. béton ბეტონი<ლათ. bitūmen მინერალური ფისი; ასფალტი) – ქვიშა-ცემენტის ნარევი დისპერსიული ჩანართებით, რომელთა მაქსიმალური ზომა არ აღემატება 8 მმ-ს და დატანილი მაღალი წნევის ქვეშ დასამუშავებელ ზედაპირზე. თუ შემვსების ზომაა 8-25 მმ, მაშინ საქმე გვაქვს ნაშხეფ-ბეტონთან, რომელიც ზედაპირზე დაიტანება შპრიც-მანქანის მეშვეობით. ტორკრეტბეტონის ნარევში შედის შემდეგი კომპონენტები: 1. შემკვრელი კომპონენტი (უბრალო პორტლანდცემენტი ან პორტლანდცემენტი წიდით); 2. შემვსები, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ფრაქციის მთის ქანებს (ქვიშა, მსუბუქი შემვსები, ხრეში ან ღორღი); 3. მინერალური ან ქიმიური დანამატები, რომელთა დანიშნულებაა: ბეტონს მიანიჭოს პლასტიკურობა, დააჩქაროს გამყარებისა და სტაბილიზაციის პროცესი და მიაღწიოს სხვა ეფექტებს (კალმაფლექსი, მიკროკაჟმიწა, ნაცარი); 4. წყალი, როგორც ამდუღაბებელი; 5. ბოჭკოები, როგორც მაარმირებელი კომპონენტები (მავთული, ნადნობი, ფურცლის მოგრძო ნაჭრები და სხვ.); 6. პიგმენტი (საჭიროების შემთხვევაში ბეტონის დეკორატიული ზედაპირის მისაღებად). ამ ჩამონათვლიდან საჭირო კომპონენტების რაოდენობა განისაზღვრება პროექტის მიხედვით. ტორკრეტირებისათვის არსებობს მშრალი და სველი მეთოდი. მშრალი პროცესისათვის გამოიყენება მშრალი ცემენტი დანამატებით და წყალი წნევის ქვეშ. ამ ორი ფაზის შერევა და დატანა ზედაპირზე ხორციელდება გამფრქვევი მოწყობილობით, ხოლო სველისას – გამფრქვევ დანადგარს (ბეტონტუმბო) მიეწოდება წინასწარ მომზადებული ბეტონის ხსნარი. ორივე შემთხვევაში ტორკრეტირება მიმდინარეობს რეზინის სპეციალური შლანგისა და შეკუმშული ჰაერის გამოყენებით. ბეტონის მინიმალური დანაკარგების მიზნით, შლანგის მიმართულება მართობული უნდა იყოს დასამუშავებელი ზედაპირის. ტორკრეტბეტონის გამოყენება საშუალებას იძლევა სწრაფად და ხარისხიანად დაიფაროს დიდი ფართობები და მივიღოთ მტკიცე და გლუვი ზედაპირი მინიმალური დანახარჯებით.

ტორკრეტირება (ლათ. tor ბათქაში და cret შემკვრივებული) – სპეციალური პნევმატიკური აპარატის ან ცემენტსატყორცნის მიერ შეკუმშული ჰაერით მოწოდებული ცემენტის ხსნარის (ან ტორკრეტბეტონის) ფენის დატანა რაიმე ზედაპირზე (ნახ. 1). ტ. იყენებენ დანადგარს, რომელშიც შედის ცემენტსატყორცნი (ბეტონშპრიცმანქანა) და კომპრესორი. მიღებული შრის სისქეა 10-15 მმ. ტ. ფენილი გამოირჩევა მაღალი მექანიკური სიმტკიცით, სიმკვრივით, წყალშეუღწევადობითა და ყინვამედეგობით. შემავსებლის სისქის მიხედვით განასხვავებენ ტორკრეტბეტონსა (10 მმ-მდე) და შპრიცბეტონს ანუ ნაშხეფბეტონს (25 მმ-მდე). ტორკრეტს იყენებენ თხელკედლიანი რკ.ბ.-ის კონსტრუქციების (გარსი, კამარა, რეზერვუარი და სხვ.) აგების, გვირაბის მოპირკეთების, ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტების ჰიდროიზოლაციისა და ნაკეთობების რემონტისა და გაძლიერებისას. ტორკრეტი, სისქით არანაკლებ 3 სმ-ისა, დაიტანება 2 ან 3 ფენად.

ნახ. 1

ტორნადო (ესპ. tronada ჭექა-ქუხილი) – ჰაერის მძლავრი მბრუნავი სვეტი, რომელიც ერთბაშადაა კონტაქტში დედამიწის ზედაპირთან და საავდრო ღრუბლებთან. ტ. უმეტესობა წარმოიშობა ატმოსფეროში ელჭექის დროს თბილი ტენიანი და მშრალი ცივი ჰაერის შეჯახებისგან გამოწვეული არასტაბილურობის გამო. ქარის მიმართულების ცვლა და მისი სიჩქარე, სიმაღლის ზრდასთან ერთად, წარმოქმნის უხილავ ჰორიზონტალურ ბრუნვის ეფექტს ატმოსფეროს ქვედა ფენებში. ყველაზე ძლიერ ტ. უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვს და ქარის სიჩქარე ამ დროს 500 კმ/სთ-საც კი აჭარბებს ხოლმე.

ნახ. 1

ტოროიდა – ზედაპირი, რომელიც მიიღება წრეწირის ბრუნვის შედეგად ამ წრეწირის სიბრტყეში მდებარე იმ წრფის გარშემო, რომელიც არ კვეთს მოცემულ წრეწირს (ნახ. 1). ტ. ზედაპირის ფართობი და მოცულობა გამოითვლება ფორმულებით: $S = 4\pi^2Rr$; $V = 2\pi^2Rr^2$, სადაც r – მოცემული წრეწირის რადიუსი, R – მანძილი წრეწირის ცენტრიდან ბრუნვის ღერძამდე.



ნახ. 1

ტორსი (იტალ. torso გული, გულ-გული) – 1. რაიმე კონსტრუქციის ან ნაკეთობის ბოლოების განივი კვეთი; 2. ადამიანის სხეულის სკულპტურული ან ფერწერული გამოსახულება.

ტორსიონი (ფრანგ. torsion დაგრეხა, გრეხა) – დაბალი სიხისტის მოქნილი ლილვი ბრუნვის მომენტის გადასაცემად. არის ზამბარა ან თხელი ღერო, რომელიც მუშაობს გრეხაზე. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მექანიზმში ხისტი ლილვის მონტაჟი კონსტრუქციული მოსაზრებით შეუძლებელია.

ტორუსი (ლათ. torus შესივება, ამოზნექილობა, მრგვალი სხმული, მუთაქა, კულული, ნასკვი, ღვედი) – 1. არქიტ. არქიტექტურული ნატეხი (წარბი) – ნახევარწრიული განივკვეთის ამობურცული დეტალი, რომელიც გამოიყენება სვეტის ბაზისის ქვედა ნაწილში; კლასიკური იონიური სვეტის ბაზისის ლილვი (ნახ. 1. ერექთეიონის იონიური მარმარილოს სვეტის ტორუსი, დაახლ. ძვ. წ. 421-406 წწ.). ტორუსი ასევე გვხვდება სხვა არქიტექტურულ ორდერებშიც; 2. ტოროიდი; გეომეტ. ბრუნვის ზედაპირი, რომელიც მიიღება წრეხაზის მსახველის ბრუნვით ისეთი ღერძის გარშემო, რომელიც ამ წრეხაზის სიბრტყეში მდებარეობს და არ კვეთს მას (ნახ. 2}.

ნახ. 1


ნახ. 2

ტორუსი ბაგირისებრი [ინგლ. rope torus/twisted cord (cable)] – არქიტექტურული ნატეხი, ტორუსის ფორმის კარნიზი, რომელსაც სპირალურად დახვეული ბაგირის სახე აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

ტორუსი კანელურებით (ინგლ. fluted torus) – არქიტექტურული ნატეხი, ტორუსის ფორმის კარნიზი, რომელსაც კანელურებიანი სახე აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ტორუსი ჩალის ძნულისებრი (ინგლ. reeded torus) – არქიტექტურული ნატეხი, ტორუსის ფორმის კარნიზი, რომელსაც მიჯრით მიწყობილი ჩალის ღეროების სახე აქვს (ნახ. 1).

ტორფი (გერმ. torf<არაბ. turap მიწა) – მკვრივი მასა, წვადი სასარგებლო წიაღისეული, რომელიც წარმოქმნილია ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად, ჭარბი დანესტიანებისა და თითქმის უჰაერობის პირობებში (ნახ. 1. ჭაობის შავი ტორფი; ნახ. 2. ტორფიანი გრუნტი). აქვს რთული ქიმიური შემადგენლობა. მისი წვადი ნაწილის ძირითადი კომპონენტებია: ნახშირბადი (50-60%), წყალბადი (5-6,5%), ჟანგბადი (30-40%), აზოტი (1-3%), გოგირდი (0,1-1,2%, ზოგჯერ 2,5%-მდე). ბუნებრივ პირობებში ჭარბად შეიცავს ტენს (88-96%) და ფორიანია (96-97%), აქვს ერთგვაროვანი ან შრეებრივი ტექსტურა; ყვითელი, მურა ან შავია. სიმკვრივე 300 კგ/მ^3. თბოუნარიანობა (40%-იანი ტენიანობის დროს) 2650-3120 კკალ/კგ. თბოენერგეტიკის გარდა გამოიყენება სოფლის მეურნეობაში (სასუქი), მშენებლობაში (საწვავი, თბოსაიზოლაციო მასალა), ქიმიურ მრეწველობაში და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ტორფსაიზოლაციო მასალები – საიზოლაციო მასალები, რომლებიც მიიღება ახალი ტორფისაგან პულპის მომზადების გზით, შემდეგი დაყალიბებითა და თბური დამუშავებით. საყალიბე მასა შედგება წყლისა და 5-10% ტორფისაგან; საშუალო სიმკვრივეა 200-300 კგ/მ^3.

ტორფული კოქსი – მცირენაცრიანი ტორფის თერმული დაშლის მყარი ნახშირბადიანი ნარჩენები. გამოირჩევა იმით, რომ მცირე რაოდენობით შეიცავს გოგირდსა და ფოსფორს, შესაბამისად, წვისას ნაკლებად ტოქსიკურია. გამოიყენება ლითონების შედუღების და ჭედვისას, თუჯის გამოსადნობად, ფეროშენადნობებში, ნედლეულად რკინის მადნების აგლომერაციისათვის და სხვ.

ნახ. 1

ტორშერი (ძვ. ფრანგ. torche ჩალის წნული<ლათ. torqua დაგრეხილი რამ; გრეხილი ლითონის საყელო<torquēre დაგრეხა) – იატაკზე დასადგმელი მაღალფეხიანი სანათი არმატურა (ნახ. 1).

ტოტემი (ამერიკანიზმი<ოჯიბვეს ენა nindoodem ჩემი ტოტემი) – სათაყვანო საგანი (ხშირად ცხოველი ან მისი გამოსახულება), რომელსაც პირველყოფილ საზოგადოებაში მიეწერებოდა ოჯახის წარმოშობა და კეთილდღეობა.

ტოტი – 1. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი; შტო, რტო; 2. გადატ. მდინარის განშტოება; 3. შედგენილი სვეტის ერთი ნაწილი.

ტოქსიკური ნივთიერებები – 1. ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებანი, მათი შენაერთები ან შენაერთების ნარევი, რომლებსაც თავიანთი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით შეუძლიათ მავნე ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე; 2. შხამიანი, მომწამვლელი.

ტრაექტორია (ლათ. trajectorius გადაადგილებასთან დაკავშირებული) – უწყვეტი წირი, რომელსაც აღწერს ნივთიერი წერტილი მოძრაობის დროს. თავისუფალი ნივთიერი წერტილის ტრაექტორიის სახე დამოკიდებულია მასზე მოქმედ ძალებზე, მოძრაობის საწყის პირობებზე, აგრეთვე იმაზე, თუ ათვლის რომელი სისტემის მიმართ განიხილება მოძრაობა. ის შეიძლება იყოს სწორხაზოვანი ან მრუდწირული. არათავისუფალი ნივთიერი წერტილისათვის ტრაექტორიის სახე დამოკიდებულია მექანიკურ ბმებზე. თუ წერტილის მოძრაობა განისაზღვრება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით, მაშინ ლაპარაკია დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ტრაექტორიაზე.

ტრაექტორია აბსოლუტური – წერტილის ტრაექტორია ათვლის უძრავი სისტემის მიმართ.

ტრაექტორია გლუვი – ტრაექტორია, რომლის წერტილის მხები რეაქცია ნულის ტოლია.

ტრაექტორია ფარდობითი – წერტილის ტრაექტორია ათვლის მოძრავი სისტემის მიმართ.

ტრაექტორიის რეაქცია – არათავისუფალ ნივთიერ წერტილზე მოქმედი პასიური ძალა, როდესაც წერტილი იძულებულია იმოძრაოს გარკვეული წირის გასწვრივ ან გარკვეულ ზედაპირზე.

ნახ. 1

ტრავეა (ლათ. trabs სხივი) – რომანულ და გოტიკურ არქიტექტურაში ნავის სივრცითი უჯრედი, შემოზღუდული 4 საყრდენით, რომლებზეც დაყრდნობილია ჯვრისებრი ან შეკრული კამარა (ნახ. 1).



ნახ. 1

ტრავერსა – დიდგაბარიტიანი სამშენებლო კონსტრუქციის ასაწევად გამოყენებული დამატებითი მოწყობილობა, რომელიც ჩამოეკიდება ამწის კავზე და საშუალებას იძლევა ასაწევ ტვირთს ბაგირი ჩაებას ორ (ან მეტ) წერტილში (ნახ. 1).

ტრავერსი (ფრანგ. traverse გადასვლა<ლათ. transversus განივი) – 1. ჰორიზონტალური ან სპეციალური ფორმის კოჭი, რომელიც ეყრდნობა ვერტიკალურ დგარებს. ის სხვადასხვა კონსტრუქციებისა და მანქანების ნაწილს წარმოადგენს ძირითადად სადგარებში. მაგ., ბეტონშემრევი კონუსური დასახრელი დოლით, შედგება ჩარჩოსაგან, რომელზეც სპეციალურ დგარებში ჩადგმულ საკისრებში დაყენებულია ტ., რომელსაც ეყრდნობა შემრევი დოლი; 2. დამცავი ნაგებობა; 3. ალპინ. მიმართულება, რომელიც მართობულია მთაზე ასვლის (დაშვების) მიმართულების; 4. ალპინ. არანაკლები ორი მწვერვალის დალაშქვრა იმ პირობით, რომ დაშვება წინა

მწვერვალიდან უნდა მოხდეს შემდეგი მწვერვალის მიმართულებით და არ უნდა ემთხვეოდეს ასვლის მარშრუტს; 5. მიმართულება, მართობული ხომალდის მოძრაობის მიმართულების.

ტრავერტინი [იტალ. travertino<ლათ. Tibur ძვ. იტალიაში არსებული ქ. ტიბურის (ახლანდელი ტივოლი) სახელის მიხედვით] – 1. ფორიანი, მცირე სიმკვრივის ნახევრად კრისტალური მყარი წვრილმარცვლოვანი ქანი, რომელიც წარმოიქმნება ცხელი ან ცივი წყაროებისგან, კალციუმის კარბონატის (უფრო ხშირად არაგონიტის) დალექვის შედეგად. ხშირად შეიცავს მცენარეების ანაბეჭდებს, ხმელეთის ან მტკნარი წყლის მოლუსკების (გასტროპოდების) ნიჟარებს. სიმკვრივე 1400-1800 კგ/მ^3. იყენებენ საშენ მასალად და კირის გამოსაწვავად. ხშირად ტ. გამოიყოფა მიწისქვეშა წყლებიდან და მღვიმეებში ქმნის სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს. ტ. დაგროვებით ზოგ მღვიმურ მდინარეთა კალაპოტებში ბუნებრივი კაშხლებია გაჩენილი. საქართველოში ტ. კარგადაა გამოხატული თრუსოს ხეობაში. ასევე ფართოდ ცნობილია ბრითათის ტ. გვხვდება ასევე მდინარე პატარა ლიახვის სათავესა და მდინარე ლეხურას ხეობაში, ჯვრის უღელტეხილზე, რაჭაში, იმერეთსა და სვანეთში. დიდი რაოდენობით მოიპოვება რუსეთში (პიატიგორსკი, კამჩატკა), იტალიაში, ირანში, გერმანიაში, თურქეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და სხვ. ძირითადად იყენებენ როგორც დეკორატიულ მასალას (მას რომაულ ქვასაც ეძახიან); 2. კირიანი ტუფი.

ნახ. 1

ტრაკაცია – წინასწარი წინადადება საქონლის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ, იმ მიზნით, რომ გაირკვეს დაინტერესებულ პირთა რეაქცია.

ტრამვაი (ინგლ. tramvay<tram ვაგონი და way გზა) – ქუჩის რელსიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახე, როგორც წესი, ელექტრო გაწევით; გამოიყენება მეტწილად ქალაქებში ფიქსირებულ მარშრუტებზე მგზავრების გადასაყვანად. შედგება ერთი ან რამდენიმე ვაგონისაგან.

ტრამპლინი (ფრანგ. tremplin<იტალ. trampolino<trampolo ოჩოფეხები) – 1. თხილამურებით ხტომისათვის გამოყენებული სპეციალური ასასხლეტი მოწყობილობა ხტომის სიგრძისა და სიმაღლის გასადიდებლად (ნახ. 1. ტრამპლინი ჰოლმენკოლბაკენი, ქ. ოსლო, ნორვეგია); 2. გადატ. საყრდენი, ამოსავალი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის.

ნახ. 1

ტრანზიტი (ლათ. transitus გავლა) – ტვირთების გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა შუალედური პუნქტის გავლით.

ტრანს (ლათ. trāns -ით, გავლით) – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი – აღნიშნავს: 1) მოძრაობას რისამე გავლით (მაგ., ტრანსციმბირის მაგისტრალი), ფარგლებს გარეთ არსებობას; 2) რისამე საშუალებით გადაცემას ან აღნიშვნას.

ტრანსბორდერი [ლათ. trāns განივ, გასწვრივ, გაღმა მხარეზე და ძვ. ფრანგ. bordure ნაწიბური, ნაკერი, ფარის კიდე, საზღვარი<შუა ზემოგერმანული bort გვერდი (განსაკუთრებით გემისა), მხარე] – სარელსო ტრანსპორტის ძრავიანი ურიკა, რომელიც საამქროს ერთი მალიდან მეორე მალში ტვირთის გადასაადგილებლად გამოიყენება (ნახ. 1).

ნახ. 1

ტრანსეპტი (ლათ. trāns -ით, გავლით და saepēs ზღუდე, გალავანი) – არქიტ. ბაზილიკის საკურთხევლის აფსიდსა და ნავებს (ნეფებს) შორის მოთავსებული განივი ნავი (ნეფი) (ნახ. 1. წმინდა პავლეს დიდი ტაძრის ტრანსეპტი, ქ. ლონდონი, ინგლისი; ნახ. 2. ტრანსეფტი ტაძრის გეგმაზე).

ნახ. 1



ნახ. 2

ტრანსვერსალურად იზოტროპიული მასალა – მასალა, რომლის ფიზიკურ-მქანიკური თვისებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ორი ურთიერთმართობი მიმართულებით.

ტრანსვერსალური (შუასაუკ. ლათ. trānsversālis<transverse განივი და -all ბოლოსართი) – ხაზი, რომელიც კვეთს ორ ან მეტ ხაზს.

ტრანსლიტერაცია – ერთი დამწერლობის ასოების გადმოცემა სხვა დამწერლობის ასოებით.

ტრანსმისია (ლათ. trānsmission გადაცემა, გადასვლა) – მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ბრუნვითი მოძრაობის გადასაცემად ძრავადან ენერგიის მომხმარებელ სამუშაო მანქანამდე. ზოგჯერ ტრანსმისიას ძალურ გადაცემასაც უწოდებენ.

ტრანსნაციონალური კომპანია – ფირმა, რომელიც თავისი ოპერაციების ძირითად ნაწილს განახორციელებს ქვეყნის გარეთ.

ტრანსპაკეტი (ლათ. trāns -ით, გავლით და გერმ. pack ფუთა, შეკვრა) – გარკვეული რაოდენობის მასალა (ტვირთი), რომელიც სატრანსპორტოდაა შეკრული ან შეფუთული.

ტრანსპირაცია (ლათ. trāns -ით, გავლით და spiro სუნთქვა, ამოსუნთქვა) – წყლის აორთქლება მცენარეთა მიერ. მცენარე წყალს ძირითადად ფოთლებიდან აორთქლებს. წყლის ორთქლი

მეზოფილის უჯრედებიდან ატმოსფეროში გამოიყოფა ბაგეების ან ეპიდერმისის უჯრედების გარეთა კედლებიდან. ტ. უზრუნველყოფს ფესვებიდან ფოთლებისაკენ წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების მოძრაობას, იცავს ფოთლებს გადახურებისაგან.

ტრანსპორტი (ინგლ. trāns- გაღმა მხარეზე, შორეულ მხარეზე, გადაღმა, მიღმა, გამჭოლად და portāre ტარება, გადატანა) – საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს მგზავრების, ტვირთის ან ინფორმაციის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანას. ტ. არის პირადი და საერთო გამოყენების, აგრეთვე სამრეწველო დანიშნულების. ტრანსპორტის მრავალი სახეობა არსებობს: საჰაერო, საწყლოსნო, სახმელეთო, მიწისქვეშა და მიწისზედა, პერიოდული და უწყვეტი, თვლებიანი და გრავიტაციული, სარელსო და საავტომობილო, ქარხნისა და საამქროსშიგა, ჰიდრავლიკური და პნევმატიკური, საბაგირო და მონორელსური და სხვ. მანქანები, რომლებიც სატრანსპორტო ქსელში მოძრაობს არის ავტომობილები, ავტობუსები, მატარებლები, თვითმფრინავები, გემები და სხვ., ხოლო მართვა მოიცავს ამ მანქანებისა და კონსტრუქციების ოპერირებასა და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს, როგორიცაა ფინანსირება, პოლიტიკა და იურიდიული მომსახურება.

ტრანსპორტი გარე – ტრანსპორტის სახე, რომლითაც ტვირთები გადააქვთ საერთო სარგებლობის გზების გამოყენებით. ამ დროს კონსტრუქციების, მასალების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე ხდება კარიერებიდან, ქარხანა-მომწოდებლიდან, ცენტრალური საწყობებიდან ან საკუთარი სამრეწველო საწარმოებიდან.

ტრანსპორტი გორგოლაჭიანი – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მოძრავი გორგოლაჭებითაა აღჭურვილი (გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორი). ის ძირითადად, საცალო და ფხვიერი ტვირთების გადასაადგილებლად გამოიყენება.

ტრანსპორტი ვერტიკალური – სატრანსპორტო საშუალება მგზავრების ან ტვირთის ვერტიკალურად გადასაადგილებლად (ლიფტი, ელევატორი და სხვ.).

ტრანსპორტი ლენტური – სატრანსპორტო საშუალება, რომლის სამუშაო ორგანოა ფოლადის ან რეზინიანი ქსოვილისგან დამზადებული ლენტა. გამოიყენება ფხვიერი მასალის (ქვიშა, ნახშირი, ფქვილი, მარცვლეული და მისთ.) გადასაადგილებლად მცირე მანძილზე (400 მ-მდე).

ტრანსპორტი მილსადენის – პერსპექტიული ტრანსპორტის სახე. მისთვის დამახასიათებელია მცირე ოპერაციულობა, ნაკლები შრომატევადობა და პროცესის ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი. ამ სახის ტრანსპორტის უარყოფითი მხარეა მაღალი ენერგოტევადობა და მილსადენების ინტენსიური ცვეთა.

ტრანსპორტი რკინიგზის – თანამედროვე სატრანსპორტო საშუალება, რომლის განვითარებას ხელი შეუწყო სხვადასხვა სახის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობამ და მცირე ხარჯმა; მოძრავი შემადგენლობის სამსახურის შედარებით დიდმა ვადამ და მაღალმა სიმტკიცემ, მნიშვნელოვან მანძილზე ტვირთების ტრანსპორტირებამ; კლიმატური პირობებისაგან დამოუკიდებელმა მუშაობამ. მის წილად მოდის ტვირთების საერთო მოცულობის 13-18%. წყლის ტრანსპორტთან ერთად ის ტვირთების გადაზიდვის ყველაზე იაფი საშუალებაა.

ტრანსპორტი საავტომობილო – ტრანსპორტის სისტემის ნაწილი, რომელიც მოიცავს საავტომობილო ტრანსპორტირებას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას: მგზავრთა გადაყვანას, ტვირთების გადაზიდვას, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სატრანსპორტო-საექსპედიციო და სხვა სახეობის მომსახურების გაწევას, ტვირთების დაცვასა

და სხვ. ტ. ს. ამავე დროს ის ძირითადი საშუალებაა, რომელიც სხვა სახის ტრანსპორტთან კომბინაციაში გამოიყენება.

ტრანსპორტი სალოკომოტივო – მიწისქვეშა ტრანსპორტის ძირითადი სახე, რომელიც გამოყენებულია ჰორიზონტალურ გვირაბებში მარგი წიაღისეულის, ფუჭი ქანისა და სხვა ტვირთის რკინიგზაზე მოძრავი ვაგონებითა და ლოკომოტივებით ტრანსპორტირებისათვის.

ტრანსპორტი საობიექტო – ყველა სახის ტრანსპორტი, რომელიც გამოიყენება უშუალოდ სამშენებლო მოედნის ფარგლებში.

ტრანსპორტი სატრაქტორო – ტრანსპორტის სახე, რომელიც გამოიყენება ტვირთების გადასაადგილებლად ცუდ გზებზე და უგზოობის პირობებში.

ტრანსპორტი საქალაქო – სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის კომპლექსი (ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, სამარშრუტო მიკროავტობუსი, მეტროპოლიტენი, საბაგირო გზა და სხვ.), რომელსაც გადაჰყავს მოსახლეობა და გადააქვს ტვირთი ქალაქის ტერიტორიაზე და უახლოეს საგარეუბნო ზონებში, ასევე ასრულებს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ტ. ს. მოიცავს: სატრანსპორტო საშუალებებს (მოძრავი შემადგენლობა); საგზაო მოწყობილობებს (ლიანდაგის გზებს, გვირაბებს, ესტაკადებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სადგურებს, გაჩერებებს); ნავმისადგომებსა და ნავსადგურებს; ენერგომომარაგების საშუალებებს (საწევ ელექტროსადგურებს, საკაბელო და საკონტაქტო ქსელებს, გამწყობ სადგურებს; სარემონტო სახელოსნოებს, ქარხნებს, დეპოს, ფარეხებს, ტექნიკური მომსახურების სადგურებს; მანქანების გამშვებ პუნქტებს; ხაზოვან მოწყობილობებს (კავშირი, სიგნალიზაცია, ბლოკირება); სადისპეტჩერო სამმართველოს.

ტრანსპორტი საჰაერო – ტრანსპორტის სახე ტვირთების მისაწოდებლად დიდი ტვირთამწეობის თვითმფრინავებით რთულად მისადგომ რაიონებში. გამოიყენება შვეულმფრენები და დირიჟაბლები. თანამედროვე შვეულმფრენების ტვირთამწეობა 40 ტ-ს აღწევს, ხოლო დირიჟაბლებით შესაძლებელია ერთჯერადად ასობით ტონა ტვირთის გადატანა. ძირითადად გამოიყენება კავშირგაბმულობის სამხედრო დანიშნულების ობიექტების ასაგებად მაღალმთიან ადგილებში; მაგ., ანტენების, ანძების, კოშკების, რადიორეფლექტორების, სამშენებლო კონსტრუქციების, საცხოვრებელი კონტეინერებისა და მისთ. დამონტაჟება.

ტრანსპორტი სპეციალური – ტრანსპორტის სახე, რომელსაც მიეკუთვნება: საბაგირო გზა, მილსადენი, ლენტური ტრანსპორტიორი, ჰიდრო- და პნევმოტრანსპორტი. გამოიყენება ნავთობპროდუქტების, სამთო გამონამუშევრების, ფხვიერი მასალებისა და მისთ. დიდ მანძილზე გადასატანად. ტ. ს. მიეკუთვნება აგრეთვე ავტობეტონსაზიდი, ავტობეტონტუმბო, ავტობეტონსარევი და სხვა ტექნოლოგიური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება.

ტრანსპორტი უწყვეტი მოქმედების – საკონვეიერო, ჰიდრავლიკური, დაკიდებული ბაგირგზები სარკინიგზო უსასრულო ბაგირით.

ტრანსპორტი შეკიდებული – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ბაგირზე, რელსებსა ან ჭერზეა ჩამოკიდებული (საბაგირო ტრანსპორტი, ტელფერი, ტალი და სხვ.).

ტრანსპორტი წყვეტილი მოქმედების – რკინიგზის ტრანსპორტი სალოკომოტივო წევითა და დაკიდებული ბაგირით, საავტომობილო, სატრაქტორო, კაბელ-ამწე, სასკიპე საწეველა და სხვ.

ტრანსპორტი ჰიდრავლიკური (ჰიდროტრანსპორტი) – მყარი ფხვიერი მასალების გადატანა (ტრანსპორტირება) სითხის ნაკადის მიერ მილსადენებში, ღარებში, არხებსა და სხვ.

ტრანსპორტი ჰორიზონტალური – ტრანსპორტის სახე, რომლითაც ტვირთები გადააქვთ მიღების ადგილიდან სამშენებლო ობიექტამდე ან უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე, როდესაც მიმდინარეობს სამშენებლო კომპლექსის მშენებლობა. განასხვავებენ გარე და საობიექტო ჰორიზონტალურ ტრანსპორტს.

ტრანსპორტიორი (კონვეიერი) (ლათ. transporto გადამაქვს) – 1. ადამიანი ან მოწყობილობა, რომელიც გადაზიდავს რაიმეს; 2. დიდი სატრანსპორტო საშუალება ფხვიერი, დამსხვრეული ან საცალო ტვირთების გადასატანად, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეში (დახრილად). ტ. ფართოდ გამოიყენება კარიერებსა და ინერტული მასალების სასაწყობო მეურნეობაში, ქარხნისა და საამქროს შიგნით ტვირთების გადასატანად და სხვ. ტრანსპორტიორი შეიძლება იყოს: ბაგირ-დისკური, ბაქნიანი, გამაუწყლოებელი, განივი, განმტვირთავი, გრძივი, გორგოლაჭიანი, დახრილი, თეფშა, ლენტური (ნახ. 1), მარცვლის, მიმღები, მკვებავი, მოძრავი, პნევმატიკური, პორტალური, საკიდლიანი, საკრები, სანგრევის, სატყორცნი, სიგრძივი, ტილო-თამასოვანი, ფირფიტებიანი, ღარიანი, ჩამტვირთავი, ჩამჩიანი, ციცხვიანი, ხვეტია, ხრახნული, ჯაჭვთამასოვანი, ჯაჭვიანი, ჰიდრავლიკური და სხვ.

ნახ. 1

ტრანსპორტირი (ლათ. trānsportāre გაღმა მხარეზე გადატანა<ლათ. trāns -ით, გავლით და portāre ტარება, გადატანა) – ნახაზებზე კუთხეების ასაგები და გასაზომი ხელსაწყო, რომელსაც აქვს გრადუსებად დაყოფილი ნახევარწრე.



ნახ. 1

ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტი – სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში განლაგებული მდინარე, ტბა და სხვა ზედაპირული წყალსატევი, რომლის ნაპირების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეკუთვნის ამ სახელმწიფოს.

ტრანსფეკარი – თვითმავალი რკინიგზის ვაგონი, რომლის ხვიმირი ფხვიერი მასალებისთვისაა განკუთვნილი.

ტრანსფერი – 1. უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში; 2. სახელობით ფასიან ქაღალდებზე უფლების გადაცემა ერთი პირის მიერ მეორისათვის; 3. სახელმწიფოთა შორის მოსახლეობის გაცვლა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა; 4. სპორტსმენების (მაგ., ფეხბურთელების) ყიდვა-გაყიდვა); 5. სწავლებისა და აზროვნების ფუნდამენტური უნარი, რომელიც თან ახლავს ცოდნის შეძენას, სტრატეგიების გააზრებასა და განწყობათა გამოხატვას – ყველაფერს, რასაც შევისწავლით ერთი კონტექსტისთვის, ხოლო გამოყენება შესაძლებელია განსხვავებულ

ვითარებაში გახდეს საჭირო. ტ. შეიძლება იყოს ახლო და შორი, პოზიტიური და ნეგატიური, მარტივი და რთული, კაპიტალური და სპეციალური, მიზნობრივი და გამოთანაბრებითი და სხვ.

ტრანსფერი გამოთანაბრებითი – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

ტრანსფერი კაპიტალური – ტრანსფერის სახეობა, რომელიც გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. ის არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

ტრანსფერი მიზნობრივი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები.

ტრანსფერი სპეციალური – ტრანსფერის სახეობა, რომელიც გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება.

ტრანსფერკარი (ინგლ. transfercar<ლათ. trānsfero გადამაქვს, გადავაადგილებ და ინგლ. car ვაგონი, ურიკა) – თვითგანტვირთადი ელექტროძრავიანი ნახევარვაგონი; უპირატესად იყენებენ მეტალურგიულ ქარხნებში.

ტრანსფინიტური რიცხვები – უსასრულო სიმრავლისათვის რიგობითი რიცხვის ცნების განზოგადება. ტრანსფინიტური ინდუქცია ხდება ტრანსფინიტური რიცხვებით.

ტრანსფორმატორი (ლათ. transformo გარდამქმნელი<trāns -ით, გავლით და formo სახის მიცემა) – სტატიკური ელექტრომაგნიტური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ელექტრომაგნიტური ინდუქციის საშუალებით ცვლადი დენის წრედში ერთი ძაბვის მეორე ძაბვად გარდაქმნისთვის, სიხშირის შეუცვლელად და მცირე სიმძლავრის დანაკარგებით (ნახ. 1). ტ. შედგება ერთი ან რამდენიმე კოჭისაგან, რომელზეც დახვეულია იზოლირებული გამტარები და მოქცეულია ერთიან მაგნიტურ ველში. ეს გამტარები დახვეულია მაგნიტურ გულარზე, რომელიც დამზადებულია ფერომაგნიტური მასალისგან. თუ ტ. შედგება ერთი კოჭისაგან მას ავტოტრანსფორმატორი ეწოდება. არსებობს ტრანსფორმატორის სახეები: ავტო, ანოდური,

ნახ. 1

ბაზისური, ბრუნვის, გადასვლითი, გამოსავალი, დაბალი სიხშირის, დამწევი, დასექციებული, დატვირთვის, დენის, დიფერენციალური, ვარვარის, ზეთის, იმპულსური, კავშირის, კასკადის, მათანხმებელი, მაღალი სიხშირის, მიკროფონის, მცირე სიმძლავრის, ორგრაგნილიანი, პიკური, რეზონანსული, საზომი, საკომუტაციო, სამუხტავი, სამფაზიანი, საშემდუღებლო, საცდელი, საჰაერო, სიხშირის, სტაციონარული, ტონალური, ტოროიდული, ღეროიანი, ღუმლის, შესავალი, შუალედური, ჩამამიწებელი, ძაბვის, ძალური, წევის, ხაზისა და სხვ.

ტრანსფორმაცია – გარდაქმნა, სახეცვლილება.

ნახ. 1

ტრანსფორმირებადი ტიხარი – საოფისე ტიხრები, რომლებიც გამოიყენება საოფისე სათავსის ოპერატიული გადაგეგმარებისათვის. ასეთი ტიხრები არის ჭერზე შეკიდებული (ან იატაკზე გორგოლაჭებით დაყრდნობილი) დასაკეც-გასაშლელი კონსტრუქციები (ნახ. 1).

ტრანსცენდენტური – მათემ. რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ, რაც ალგებრულად არ გამოისახება.

ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი [რუს. Транссибирская железнодорожная магистраль (Транссиб), Великий Сибирский Путь (ისტორიული სახელი)] – ელექტროფიცირებული რკინიგზა, რომელიც ევრაზიის კონტინენტს ჭრის და რუსეთის დედაქალაქს მოსკოვს აკავშირებს აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უმსხვილეს სამრეწველო ქალაქებთან. მაგისტრალის სიგრძეა 9288,2 კმ. ის ყველაზე გრძელი რკინიგზაა მსოფლიოში (ნახ. 1). მისი მშენებლობა დაიწყო 1891 წელს და სრულად დამთავრდა 2002 წელს. მაგისტრალის უმაღლესი წერტილია იაბლონის უღელტეხილი (1019 მ ზღვის დონიდან). ტ. ს. მ. საწყისი პუნქტია მოსკოვი (იაროსლავის სადგური), ხოლო საბოლოო – ქ. ვლადივოსტოკი. გამტარუნარიანობა შეადგენს 100 მლნ. ტ. ტვირთს წელიწადში. მაგისტრალის მშენებლობაში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ მშენებლებსაც, რომლებმაც ციმბირულ მონაკვეთში დააარსეს მშენებელთა დაბა ნია-გრუზინსკაია.

ნახ. 1

ტრანშეა (ფრანგ. tranchee თხრილი) – ვიწრო და გრძელი, საშუალო სიღრმის თხრილი, რომელსაც მრავალგვარი გამოყენება აქვს: სამხედრო დანიშნულების (ნახ. 1. სათავდაცვო ტრანშეა); სამთომადნო მრეწველობაში ღია, ტრაპეციული კვეთის ამონაღები; ლენტური საძირკვლის მოსაწყობად (ნახ. 2); მილებისა და კაბელების ჩასაწყობად (ნახ. 3), სადრენაჟო (ნახ. 4) და სხვ. ტრანშეის გასათხრელად იყენებენ სატრანშეო და შებრუნებულციცხვიან ექსკავატორებს. არსებობს ტრანშეას სახეები: ამოსასვლელი, დანაწევრებული, გამხსნელი,

კაბელის, მააკუმულირებელი, მთავარი, მოსამზადებელი, მოქმედი, მრუდხაზოვანი, სწორხაზოვანი, შესავალი, წყალამოსაღვრელი, წყალსაგდები, წყალსარინი და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

ტრანშეასათხრელი – მანქანა, რომელიც გამოიყენება ვერტიკალურკედლებიანი ტრანშეის გასათხრელად. სამუშაო ორგანოს მოწყობილობის მიხედვით ტ. არის ხვეტია სამუშაო ორგანოთი, ჯაჭვური მრავალციცხვიანი, როტორული მრავალციცხვიანი და როტორული უციცხვო (ფრეზერული). დამატებით იხ. ექსკავატორი სატრანშეო.

ტრაპეზი (ბერძ. trapeza მაგიდა) – 1. ქრისტიანულ ტაძარში ღვთისმსახურების უსისხლო მსხვერპლშეწირვის ადგილი, საიდანაც ხდება კურთხევა. ბიზანტიურისგან განსხვავებით ძველი ქართული ტრადიციით, ტრაპეზად მოიაზრება, როგორც საკურთხევლის ნაწილი, ისე თავად ოთხკუთხა ქვის ან ხის მაგიდა, რომელიც საკურთხევლის შუაგულში მდებარეობს (როგორც ნიშანი ყველგანმყოფი ერთი ღმერთისა) ან უშუალოდ აღმოსავლეთ კედელთანაა მიდგმული. ტრაპეზზე საიდუმლოდ, უხილავად სუფევს თვით უფალი, როგორც მეუფე და მბრძანებელი ტაძრისა. მასთან მიახლება და ამბორი მხოლოდ ღვთისმსახურებისთვისაა დასაშვები. ტრაპეზი ოთხკუთხა და მირონცხებული მაგიდაა ძვირფასი ქსოვილით შემკული. მასზე ასვენია ლიტურგიისათვის აუცილებელი სიწმინდეები: ოდიკი, სახარება, წმიდა სანაწილე, ჯვარი, შვიდსანთლა (ნახ.

ნახ. 1

1); 2. მაგიდა, სუფრა; 3. საერთო მაგიდა მონასტერში, საკვების მისაღებად.

ტრაპეცია (ლათ. trapezium<ბერძ. trapezion პატარა მაგიდა<trapeza მაგიდა) – 1. ამოზნექილი ABCD ოთხკუთხედი (ნახ. 1), რომლის ორი გვერდი AD და BC პარალელურია (ფუძეები), ორი AB და CD არაპარალელური (ფერდები). ტრაპეციის შუა ხაზი EF მისი ფუძეების ნახევარჯამის ტოლია. ფუძეების შემაერთებელ BH მართობს ტრაპეციის სიმაღლე ეწოდება; 2. ცირკში – ტანვარჯიშული იარაღი – წყვილი ბაგირით, თოკით ჩამოკიდებული ჰორიზონტალური ღერძი.



ნახ. 1

ტრაპეციოიდი (ბერძ. trapezion ტრაპეცია და eidos მსგავსება) – ტრაპეციის მსგავსი ოთხკუთხედი პარალელური გვერდების გარეშე.

ტრაპი (შვედ. trappa კიბე) – 1. წყლის მიმღები და გადამყვანი მოწყობილობა საკანალიზაციო ქსელში (ნახ. 1); 2. საჭიროებისამებრ მისადგმელი კიბე გემზე, თვითმფრინავზე (ნახ. 2); 3. სცენაზე ასასვლელი კიბე.

ნახ. 1

ნახ. 2

ტრასა (გერმ. trasse გზის მიმმართველი ხაზი<ფრანგ. trace ხაზი, შემომფარგვლელი) – 1. ხაზი, რომელიც აღნიშნავს რისამე (მაგ., გზის, არხის, მილსადენისა და მისთ.) მიმართულებას; გეზნიშანი; 2. გზა, მარშრუტი ზოგი სპორტული შეჯიბრების ჩასატარებლად (ფორმულა ერთის სარბოლო ტრასა, სათხილამურე ტრასა [ნახ. 1. სათხილამურე ტრასა, გუდაური, საქართველო), მარათონის ტრასა და სხვ.]; 3. კვალი, რომელსაც ჰაერში ტოვებს სატრასირებელი ტყვია ან ჭურვი; 4. ავიაციაში – ზოლი, რომლის თავზეც გადის საავიაციო ხაზი – თვითმფრინავების რეგულარული ფრენის მარშრუტი.

ნახ. 1

ტრასატი (გერმ. trassat<იტალ. trassare გაანაღდოს თამასუქით) – პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს თანხა გადასაპირებელი თამასუქის მიხედვით (თამასუქი გაანაღდოს).

ტრასი (იტალ. terrazzo ფენილი) – ვულკანური წარმოშობის ფორებიანი ტრაქიტული ტუფი, რომელსაც მშენებლობაში ხშირად უწოდებენ პემზას. გამოიყენება ცემენტისა და მსუბუქი ბეტონების წარმოებაში, იატაკების თბოსაიზოლაციოდ და სხვ. დამატებით იხ. პემზა.

ტრასირება (ფრანგ. trais ნიშანი) – 1. გზის, სარწყავი არხის, მილსადენის ან სხვა ხაზოვანი ნაგებობის დაპროექტება და გაყვანა ადგილზე; 2. ტრანშეის გრძივი ღერძის დადგენილი მდგომარეობა გეგმასა და პროფილში; 3. ვალის გადახდის ხერხი უცხოურ ვალუტაში.

ტრაფარეტი (იტალ. traforetto გახვრეტილი) – 1. თხელი ფირფიტა, რომელშიც ამოჭრილია რაიმე სახე ან ასოები; იყენებენ, მაგ., კედლის მოსახატად, წარწერების გასაკეთებლად; 2. გადატ. ერთხელ და სამუდამოდ მიღებული, გაცვეთილი ფორმა, მზა ნიმუში, შაბლონი.

ტრაქელიუმი (კაპიტელის ყელი) (ბერძ. tráchēlos კისერი, ყელი) – კლასიკურ დორიულ და იონიურ ორდერებში სვეტის კაპიტელის ყელის სახელი (ნახ. 1). ტ. არის სივრცე ექინის ანულეტებსა და სვეტის კაპიტელისა და ტანის შეერთების განმსაზღვრელ ღარებს შორის. დამატებით იხ. ჰიპოტრაქელიუმი.

ნახ. 1

ტრაქიტი (ბერძ. trachys მქისე, ხორკლიანი) – ეფუზიური პორფირული ქანი (ნახ. 1). ვულკანურ მინაში ჩართული პორფირული გამონაყოფები და მიკროლითები. წარმოადგენს პლაგიოკლაზს, ბიოტიტს, პიროქსენს ან ანფიბოლს. საშუალო ქიმიური შედგენილობა: SiO_2 (58-64%), TiO_2 (15-20%), Fe_2O_3 (2-3%), FeO (2-3%), MgO (1-2%), CaO (2-4%), Na_2O (3-6%), K_2O (4-6%). არსებობს ტრაქიტული შედგენილობის მქონე ვულკანური მინა და პემზა. გამოიყენება მშენებლობაში საშენ მასალად, აგრეთვე დეკორატიულ და სანახელავო ქვად.

ნახ. 1

ტრაქტატი (ლათ. tractatus განხილვა) – საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება.

ტრაქტი (ლათ. tractus ადიდვა, გამოჭიმვა<traho მივათრევ) – 1. შუა საუკუნეებში გაუმჯობესებული გრუნტის გზა, აგრეთვე დიდი, ფართო გზა, რომელიც აერთებდა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტებს. ტრაქტის საშუალებით ხდებოდა მგზავრების რეგულარული გადაყვანა, ტვირთისა და ფოსტის გადატანა. ბოლო შემთხვევაში ტ. ეწოდებოდა საფოსტო ტრაქტი, შესაბამისად, გზებზე გაჩნდა საფოსტო სადგურები. ტ. ინფრასტრუქტურის ელემენტებს შეადგენდა მუდმივი ეზოები (სამიკიტნოები), გზისპირა სასტუმროები სასაუზმეებით. ინტენსიურმა მოძრაობამ ტრაქტების გასწვრივ გამოიწვია დასახლებული და საცხოვრებელი პუნქტების გაჩენა, რამაც დასაბამი მისცა ახალი დიდი ქალაქების მშენებლობას. XIX საუკუნიდან, როცა დაიწყეს ტრაქტზე მყარი საფარვლის მოწყობა, სახელი შეეცვალა და დღემდე უწოდებენ გზატკეცილს; 2. ტელეკომუნიკაციის

ორგანიზების ელემენტი (ტრაქტების ფენა); 3. ცოცხალი ორგანიზმის ღრუ ბგერის წყაროს ახლოს, რომელშიც იფილტრება ბგერა.

ტრაქტორი (ლათ. tractor<traho მივათრევ) – თვითმავალი მანქანა, რომელიც განკუთვნილია მასთან მისაბმელი ან მასზე დაკიდებული მანქანა-იარაღების (მოწყობილობების) მოქმედებაში მოსაყვანად, საბიძგებლად, გამწევებად. სავალი ნაწილის კონსტრუქციის მიხედვით ტ. არის მუხლუხა და თვლებიანი. ტრაქტორებზე ძირითადად ყენდება დიზელის ძრავა, იშვიათად კარბურატორიანი შიგაწვის ძრავა, ხოლო ტრანსმისიად გამოიყენება მექანიკური და ჰიდრომექანიკური გადაცემები.

ტრეგერი – მოწყობილობა გეოდეზიური ინსტრუმენტის (თეოდოლიტი, ტაქეომეტრი და სხვ.) დასამაგრებლად სადგამზე (შტატივზე) (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ტრევირა (ლავსანი) – პლასტმასის ნაირსახეობა, რომელიც წარმოადგენს ცეცხლმედეგ პოლიესტერის ბოჭკოს და გამოიყენება ქსოვილების წარმოებაში (ნახ. 1. საავეჯე ტრევირას ქსოვილი). ტ. მიესადაგება ნებისმიერ დიზაინერულ კონცეფციას, უზრუნველყოფს კომფორტის უმაღლეს დონეს და შესანიშნავი მასალაა სასტუმროს, ბარის, რესტორნის, ღამის კლუბის, კაზინოს, სილამაზის სალონის ინტერიერის მოსაწყობად (კედელი, რბილი ავეჯი, დახლი, მაგიდის გადასაფარებელი, ფარდა, ზეწარი და სხვ.).

ტრეიდერი (ვაჭარი) (ინგლ. trader ვაჭარი) – საბროკერო ფირმის მუშაკი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საბირჟო ვაჭრობაში; ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ბირჟაზე გარიგების დადების უფლება აქვს. ტ. სამუშაო პირობები – სახლი, ოფისი, კომპიუტერი, ინტერნეტი, ხელშეკრულება ბროკერთან, ცოდნა. ის ყიდულობს და ყიდის ფასიან ქაღალდებს (აქციები, ვალუტა, ობლიგაციები) ერთადერთი მიზნით – შექმნას შემოსავალი. ტ. მუშაობს ფინანსურ ორგანიზაციაში და ასრულებს გარიგებებს კომპანიის და კლიენტების ფინანსებითა და ინტერესებით. დამოუკიდებელი ტ. გარიგებებს ასრულებს საკუთარი ფინანსებით.

ტრეიდერი პოზიციური – ტრეიდერი, რომელიც ახდენს მოკლევადიან (რამდენიმედღიან) გარიგებებს.

ტრეილერი (ინგლ. trailer<trail თრევა, ზიდვა) – მრავალღერძიანი ღია ან დახურული მისაბმელი, რომელსაც ტვირთის გადასაზიდად იყენებენ შორ მანძილებზე (ნახ. 1).

ნახ. 1

ტრეკი (ინგლ. track კვალი, გზა) – სპორტული ნაგებობა წრიული (ოვალური) ტრასით ველო- და მოტოსპორტში შეჯიბრებათათვის.

ნახ. 1

ტრეკი სარბოლო – ავტოდრომი, სასპორტო ნაგებობა, სადაც ტარდება შეჯიბრი ველო- და მოტოსპორტში (ნახ. 1), სპორტულ სიარულსა და სირბილში, ცხენოსნობაში და სხვ.

ტრელაჟი (ფრანგ. treillage<ლათ. trilix სამფენოვანი) – 1. მსუბუქი ცხაური ხვიარა მცენარეებისათვის საბაღე არქიტექტურაში (ნახ. 1). დახურული ფანჩატური ან კედელი, შექმნილი მის საძირკველთან დარგული ხვიარა ან მოსაფენი მცენარეებისაგან (ყურძენი, სვია, სურო და სხვ.), რომლებიც მოედება ცხაურის ზედაპირს. ტ. დასამზადებლად გამოიყენება ხის, ბამბუკის, თოკის, ლითონის კონსტრუქციები, თუმცა ამ უკანასკნელს ერიდებიან, რადგან ზაფხულში მზის სხივები აცხელებს ლითონს, რაც ხელს უშლის მცენარის ზრდა-განვითარებას; 2. ავეჯის ნაკეთობა – მაგიდა დასაკეცი სამნაწილიანი სარკით (ნახ. 2).

ნახ. 1

ნახ. 1

ტრენინგი (ინგლ. training სწავლება, აღზრდა) – წვრთნა, წვრთნის რეჟიმი; მენეჯერებისა და პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მომსახურება სწავლების აქტიური ფორმებით: საქმიანი თამაშები, სიტუაციის ანალიზი და სხვ.

ტრეპელი (კროკუსი, მთის ფქვილი, ინფუზორული მიწა) (გერმ. tripel<ჩრდილოეთ აფრიკის ქ. ტრიპოლის სახელის მიხედვით) – წვრილფორებიანი ფხვიერი ან სუსტად შეცემენტებული დანალექი ქანი (ნახ. 1). ძირითადად შედგება ოპალის, ზოგჯერ ქალცედონის სფერული ფორმის 0,01-0,02 მმ ზომის ნაწილაკების – გლობულებისაგან. მეტად მსუბუქია. იყენებენ საიზოლაციო,

ნახ. 1

აბრაზიულ და საშენ მასალად, აგრეთვე როგორც შთანთქმელს და კატალიზატორს.

ტრესტი (ინგლ. trust რწმუნება) – 1. მეწარმეთა გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები კარგავენ წარმოებრივ, კომერციულ და იურიდიულ დამოუკიდებლობას და ერთიან მმართველობას ექვემდებარებიან; 2. სოციალისტური მრეწველობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც აერთიანებდა რაიმე დარგის საწარმოებს (ფაბრიკებს, ქარხნებს, შახტებს, სამშენებლო სამმართველოებსა და მისთ.).

ტრეჩენტო (იტალ. trecento სამასი) – XIV საუკუნის იტალიური დასახელება, რომელიც კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში გამოიყენება იტალიური აღორძინების ხელოვნების განვითარების პროტორენესანსული პერიოდის აღსანიშნავად. ტრეჩენტო არის პროტორენესანსული პერიოდის დასასრული.

ტრი (ბერძ. tri- სამი) – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი – ნიშნავს სამი რისამე შემცველს, სამი რამისაგან შემდგარს (მაგ., ტრიპლექსი, ტრიპტიხი და სხვ.).

ტრიალი – 1. მოძრაობა რისამე ირგვლივ, წრიულად ან საკუთარი ღერძის გარშემო; ბრუნვა; 2. გადატ. მუშაობა, გარჯა, საქმიანობა; 3. ფულის მიმოქცევა.

ტრიანგულაცია (ლათ. triangulum სამკუთხედი) – 1. გეოდ. საყრდენი გეომეტრიული პუნქტების ქსელის შექმნის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ადგილმდებარეობის პუნქტების სამკუთხა ქსელის აგებას (ნახ. 1), სადაც გაზომილია ყველა კუთხე და ზოგიერთი ბაზისური გვერდების სიგრძეები (ადგილის ტოპოგრაფიული გადაღებისთვის); 2. მათემ. ზედაპირის დაყოფა სამკუთხედებად; 3. ნებისმიერი კონსტრუქცია, დაფუძნებული მეზობლად განლაგებული სამკუთხა სისტემაზე, ამ კონსტრუქციისათვის მედეგობის (მდგრადობის) მისანიჭებლად.

ნახ. 1

ტრიანგულაციური პუნქტი (გეოდეზიური პუნქტი) – გეოდეზიური ნიშანი კოორდინატებიტა და აბსოლუტური სიმაღლის აღმნიშვნელით. განლაგებულია ისე, რომ პუნქტიდან იმზირებოდეს მინიმუმ ორი მეზობელი პუნქტი. როგორც წესი, ტ. პ. იდგმება მაღლობზე (მთის წვერზე). კონსტრუქცია შეიძლება იყოს ხის, ლითონის (ნახ. 1), ბეტონის (ნახ. 2) ან ქვის.

ნახ. 1

ნახ. 2

ტრიბოლოგია (ბერძ. tribos ხახუნი და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – სამეცნიერო მიმართულება, რომელიც შეისწავლის ერთმანეთის მიმართ გადაადგილებადი ზედაპირების ურთიერთქმედებას, როდესაც ისინი განიცდიან ხახუნის მოქმედებას. ტ. სწავლობს ხახუნის პრობლემებს გამოყენებითი თვალსაზრისით, რათა გაახანგრძლივოს მანქანის სამუშაო ელემენტების ფუნქციონირება.

ტრიბოლუმინესცენცია (ბერძ. tribos ხახუნი და lumenescentia სუსტი სინათლე) – ნათება, რომელიც წარმოიქმნება ხახუნით, რისამე გატეხით, გაჭყლეტითა და სხვ.

ტრიბოტექნიკური ნაერთი – ნივთიერება, რომლის შეტანა ორი სხეულის ხახუნის სიბრტყეში ძირეულად ცვლის იქ მიმდინარე პროცესებს კონტაქტში მყოფი ზედაპირების თვისებების შეცვლით. ტ. ნ. არ წარმოადგენს საპოხ ნივთიერებას, რომელიც ანცალკევებს ხახუნის ზედაპირებს.

ტრიბუნა (ლათ. tribuna<ლათ. tribunus ტომის ბელადი) – 1. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის (ნახ. 1); 2. სტადიონებზე, მოედნებზე ნაგებობა, რომელსაც აქვს საფეხურებივით ამაღლებული რიგები მაყურებელთათვის (ნახ. 2. ქ. ფოთის სტადიონის ტრიბუნა, საქართველო); 3. გადატ. ადგილი, სფერო, საშუალება, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური, პუბლიცისტური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ნახ. 1

ნახ. 2

ტრიბუნა გადახურული – ორი ან ორზე მეტი რიგის სიმაღლის ტერასულად განთავსებული დასაჯდომები, რომლებიც ეყრდნობა მათთვის აგებულ ნაგებობას. იგი შენობის ელემენტად არ ითვლება.

ტრიგა – სამცხენიანი ეტლის ქანდაკება, რომელიც ზოგჯერ აგვირგვინებს ტრიუმფალურ თაღს ან შენობას (ნახ. 1).

ნახ. 1

ტრიგლიფი (ბერძ. trigluphos<ბერძ. treîs სამი და gluphē ჩუქურთმა, ამოჭრა) – კლასიკური დორიული ორდერის ფრიზზე – მეტოპის შემცვლელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ოთხკუთხა პროფილის ვერტიკალურ ოდნავ გამოწეულ ფილას, რომელსაც აქვს ორი მთელი და კიდეებში ნახევარ-ნახევარი ღარაკი (ნახ. 1).

ნახ. 1

ტრიგლიფონი – იგივეა, რაც ფრიზი (ტრიგლიფონი ძველი ბერძნული სახელია). დორიული ორდერის ანტაბლემენტზე ტრიგლიფონი არის ტრიგლიფებისა და მეტოპების ერთობლიობა.

ტრიგონომეტრია (ბერძ. trigonon სამკუთხედი და métron გაზომვა) – მათემატიკის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს: სინუსს, კოსინუსს, ტანგენსს, კოტანგენსსა და სხვ.

ტრიედრი (ბერძ. tri- სამი და he□dra ფუძე, წახნაგი) – ერთი წერტილიდან გამოსული სამი ურთიერთმართობი ერთეულოვანი ვექტორის ერთობლიობა (სისტემა).

ტრიერი (ფრანგ. trieur არჩევა, დახარისხება) – სასოფლო-სამეურნეო მანქანა მარცვლეულის დასახარისხებლად და გასაწმენდად მინარევებისაგან.

ტრივიალური – სიახლეს მოკლებული, არაორიგინალური, გაცვეთილი, ბანალური, უფერული, უხამსი, ვულგარული.

ტრიკლინიუმი (ლათ. trīclīnium<ბერძ. triklīnion<triklīnos ოთახი სამი ტახტით<tri- სამი და klinē ტახტი; სარეცელი) – სასადილო ოთახი რომაულ საცხოვრებელ სახლში (ნახ. 1. რომაული ტრიკლინუმი მიუნხენის არქეოლოგიურ კოლექციაში, გერმანია).

ნახ. 1

ნახ. 1

ტრიკონქი (ბერძ. treîs სამი და kónkhē ორკარედი ნიჟარა, საჭმელად ვარგისი მოლუსკი, ნიჟარის მსგავსი ღრუ) – სამაფსიდიანი ნაგებობა; ჯვრის სამი მკლავი (აღმოსავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის); შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრის ტიპი (მისი აღმოსავლეთი ნაწილი), რომლის სამფურცლოვანი (სამაფსიდიანი) გეგმა შედგენილია ტაძრის შიგა კვადრატულ გეგმაზე სამი მხრიდან მიკედლებული

აფსიდებით (ნახ. 1. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ვორონეცის მონასტერში, ქ. გურა ჰუმორულუი, რუმინეთი).

ტრიკოტაჟი (ფრანგ. tricotage ნაქსოვი ნაკეთობა) – ტექსტილური მასალა (ტრიკოტაჟის ტილო) ან მზა ნაკეთობა ტრიკოტაჟის ტილოსგან, აგრეთვე მთლიანად მოქსოვილი ნაკეთობა, რომლის სტრუქტურა წარმოადგენს მარყუჟებით შეერთებული ძაფების ერთობლიობას. ტრიკოტაჟული ნაკეთობისათვის დამახასიათებელია გაჭიმვადობა, ელასტიკურობა და სირბილე.

ტრილატერაცია (ლათ. trilaterus სამგვერდიანი) – გეოდეზიური პუნქტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მეთოდი ადგილზე მოსაზღვრე სამკუთხედების აგების გზით, სადაც იზომება სამკუთხედების გვერდების სიგრძეები. წარმოადგენს ადგილზე გეოდეზიური კოორდინატების განსაზღვრის ერთ-ერთ მეთოდს ტრიანგულაციისა (იზომება შესაბამისი სამკუთხედების კუთხეები) და პოლიგონომეტრიის (იზომება კუთხეები და მანძილები) მეთოდებთან ერთად.

ტრილიონი (ფრანგ. trillion) – ათასი მილიარდი, ანუ რიცხვი 10^{12} (ზოგიერთ ქვეყანაში რიცხვი 10^{18}).

ტრიმერი (ინგლ. trimmer<trim წესრიგში მოყვანა) – 1. გამოსატყორცნი კონვეიერი, თვითმავალი დამტვირთავ-განმტვირთავი მანქანა, რომელიც ანიჭებს ტვირთს (მაგ., გრუნტს) კინეტიკურ ენერგიას როტორის ფრთების, დისკის ან მოძრავი ლენტის საშუალებით. ტვირთი გადაიტყორცნება 30 მ მანძილამდე; 2. სახერხი დანადგარი, რომელიც ერთ ღერძზე დამაგრებული რამდენიმე ხერხისაგან შედგება. გამოიყენება მორებისა და ფიცრების განივად დასახერხად. აღჭურვილია მექანიკური ან პნევმატიკური მიმწოდი მოწყობილობით.

ტრინიტროტოლუოლი (ტროტილი) – მყარი კრისტალური ან ფხვნილისებრი ძლიერფეთქებადი ნივთიერება (ტროტილი). გამოიყენება აფეთქებითი სამუშაოებისათვის, საბრძოლო მასალების წარმოებაში.

ტრიპ-ფოლადი – 0,3% ნახშირბადის შემცველი საკონსტრუქციო ფოლადი, რომელიც დამატებით ქრომს, ნიკელს, მანგანუმს, სილიციუმს და მოლიბდენს შეიცავს.

ტრიპლეტი (ფრანგ. triplet<ლათ. triplus სამმაგი) – 1. სამი ნაწილისაგან შემდგარი რაიმე სისტემა, მოწყობილობა; 2. რაიმე ნივთის მესამე ეგზემპლარი.

ტრიპლექსი (ლათ. triplex სამმაგი) – მინა, რომელიც შედგება გამჭვირვალე პლასტმასით (აფსკით, სპეციალური სითხით) დაწებებული ორი ან სამი ფენისაგან; დაზიანებისას ნამსხვრევები არ სცვივა.

ტრიპლიკატი (ბერძ. tri- სამი და ლათ. plicatus დაკეცილი) – დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სამ ეგზემპლარად. საერთაშორისო ვაჭრობაში: კონტრაქტის მესამე ეგზემპლარის ბეჭდით დამოწმება.

ტრიპოლისი (ბერძ. tri- სამი და polis ქალაქი) – სამი ქალაქის ჯგუფი.

ტრისკელიონი (ტრისკელი, "სიცოცხლის სპირალი") (ბერძ. triskelés სამფეხა; სამფეხი<tri- სამი და skélos ფეხი) – ორნამენტული მოტივის დეტალი, სადაც გამოსახული სამმაგი სპირალი ერთგვარ მბრუნავ სიმეტრიას ქმნის (ნახ. 1. ფერადი ლითონებისგან დამზადებული, ტრისკელიონის ფორმის თანამედროვე ნაკეთობები) სამმაგი სპირალი შეიძლება შედგებოდეს ურთიერთდაკავშირებული არქიმედეს სპირალებისგან ან გამოსახავდეს ადამიანის სამ მოხრილ ფეხს. ამ მისტიკურ სიმბოლოში კარგად იყო შერწყმული სილამაზე (სიმეტრია, გეომეტრია) და ენერგია. ტ. გავრცელებული იყო ძველი მალტის კულტურაში, ცნობილი იყო თანამედროვე ევროპისა და ცენტრალური აზიის ძველ მკვიდრთათვის, ასევე კრეტა-მიკენელთა (ეგეოსის კულტურა), ეტრუსკთა და იაპონელთათვის. ითვლება, რომ ტრისკელიონი ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა ირლანდიაში. იქ უძველესი კელტური ტ. აღმოჩენილია ნიუგრეინჯში (კორიდორული სამარხი – აგებულია დაახლ. ძვ. წ. მე-4, მე-3 ათასწლეულების მიჯნაზე; ზოგიერთი წყაროს მიხედვით დაახლ. ძვ. წ. 3200 წელს; მდებარეობს ქ. დუბლინის სამხრეთით, დაახლ. 40 კილომეტრში) – წინაისტორიული, ნეოლითური, არქეოასტრონომიული მეგალითური ძეგლის ქვის ლოდების [ნახ. 2. შესასვლელის ქვა (მეგალითური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუში) ზედაპირზე ამოკვეთილი ტრისკელიონით, მითის საგრაფო, ირლანდიის რესპუბლიკა]. ტრისკელიონი აგრეთვე ტრადიციული სიცილიური (ხმელთაშუაზღვის უდიდესი კუნძლი, იტალიის რესპუბლიკის დამოუკიდებელი რეგიონი) სიმბოლოა. ის გამოსახულია სიცილიის დროშასა და გერბზე. ტერმინი წარმოიშვა ძვ. წ. VIII საუკუნეში, ხმელთაშუა ზღვაში ახალი ტერიტორიების აღმოჩენის მიზნით წარგზავნილი ბერძნული ექსპედიციის მიერ კუნძულ სიცილიის აღმოჩენის შემდეგ. შემორჩენილია ძველი ბერძნული კერამიკული ნაკეთობანი, რომლებზედაც გამოსახულ მებრძოლთა ფარებზე ტრისკელიონი ჰერალდიკური ემბლემის ფორმითაა ნაჩვენები.

ნახ. 1

ნახ. 2

ტრისტილი (ბერძ. tri- სამი და stŷlos სვეტი, ბოძი) – ანტიკური ტაძრის კლასიკური პორტიკი სამი სვეტით მთავარ ფასადზე (ნახ. 1. რომაული ტაძრის სამსვეტიანი პორტიკის ნანგრევები, ქ. ტრიპოლი, ლივანის რესპუბლიკა).

ნახ. 1

ტრიუმი – 1. სათავსი თეატრის სცენის ქვეშ; 2. გემის ნაწილი ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის.

ტრიუმო (ფრანგ. trumeau ხბოს, ნუკრის ფეხი) – 1. ორნამენტებით მორთული კედელი ფანჯრებს შორის (შუაკედლისი); 2. შუაკედლისზე ან იატაკზე განთავსებული მაღალი სარკე; 3. შენობის ცოკოლის შესასვლელის ცენტრალური შვეული ქვის საყრდენი.

ტრიუმფი [ლათ. triumphus<ბერძ. thriambos სადღესასწაულო სვლა ღვინისა და მხიარულობის ღმერთის ვაკხას (ბახუსის) პატივსაცემად] – 1. გამარჯვებული ჯარის საზეიმო შესვლა ძველ რომში. ეწყობოდა სენატის გადაწყვეტილებით და წარმოადგენდა მხედართმთავრისათვის უმაღლეს ჯილდოს; 2. გადატ. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება.

ტრიუმფული (სატრიუმფო, ტრიუმფალური) – ტრიუმფის ხასიათისა, საზეიმო, სადღესასწაულო; რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად; ჭიშკრის მსგავსი ერთ- ან სამთაღიანი არქიტექტურული ნაგებობა ქუჩის, მოედნის დასამშვენებლად (ძველ რომში – გამარჯვებული სარდლის, იმპერატორის პატივსაცემად და უკვდავსაყოფად).

ტრიუმფული თაღი (სატრიუმფო თაღი, ტრიუმფალური თაღი) (ფრანგ. Arc de Triomphe) – ცალკე მდგომი სტაციონალური ან დროებითი მემორიალური ნაგებობა თავისებური კარიბჭის სახით, ერთ ან სამმალიანი თაღოვანი გასასვლელით, აგებული რომელიმე გამოჩენილი პიროვნების უკვდავსაყოფად ან რაიმე ისტორიული ამბის აღსანიშნავად [ნახ. 1. პარიზის ტრიუმფული თაღი (სრული სახელი: ფრანგ. Arc de triomphe de l'Étoile – ვარსკვლავის სატრიუმფო თაღი; შენდებოდა 1806-1836 წწ.). პირველად გაჩნდა ძველ რომში და შემდეგ ფართოდ გავრცელდა რენესანსის ეპოქაში.

ნახ. 1

ტრიფოლიუმი (სამყურა) (ლათ. trifolium<trēs სამი და folium ფოთოლი) – 1. ტაძრის ტიპი სამი აფსიდით; 2. ორნამენტული მოტივი სამყურა ფოთლის სახით; გოტიკურ ხელოვნებაში მიიღება სამკუთხედის წვეროებზე შემოწერილი წრეხაზებით.

ტრიფორა (იტალ. trifora<ბერძ. tri- სამი და ლათ. foris კარს მიღმა, გარეთ<fores კარი) – რომანულ-გოტიკური არქიტექტურის ეპოქის სამფრთიანი ფანჯარა, რომლის ღიობი სამადაა გაყოფილი შუა სვეტებით და დაგვირგვინებულია წრიული ან ისრისებრი მოხაზულობის თაღებით. განაპირა ფრთების თაღების ქუსლები ეყრდნობა შუა სვეტების ანალოგიურ ნახევარსვეტებს, ხოლო ფანჯრის მთელი ღიობი დაგვირგვინებულია ერთი საერთო თაღით – ტიპმანით, რომლის სივრცე შევსებულია წრიული, ფიგურული ნახვრეტებით, დეკორატიული სამშვენისებით ან გერბებით (ნახ. 1. ტრიფორა წმინდა მარკოზის ბაზილიკაზე, ქ. ვენეცია, იტალიის რესპუბლიკა).

ნახ. 1

ტრიფორიუმი (საქცეველი) (ბერძ. tri- სამი და ლათ. foris კარს მიღმა, გარეთ<fores კარი) – რომაულ და გოტიკურ არქიტექტურაში ვიწრო გრძივი გალერეა ტაძრის გრძივი ნავების გამყოფი თაღების თავზე კედლის სისქის გარგლებში, რომელიც იხსნება ცენტრალურ ნეფში სამმაგი ან ორმაგი თაღის ღიობებით (ნახ. 1. ტრიფორიუმი ბენედიქტეს სააბატო სენ-რემიში, ქ. რეიმსი, საფრანგეთის რესპუბლიკა). ტ. ხშირად დეკორატიული დანიშნულება აქვს.



ნახ. 1

ტროგი (მყინვარული ხეობა) (გერმ. trog ვარცლი) – მყინვარის მიერ გამომუშავებული მაღალმთიანეთის ხეობა, რომელიც გამოირჩევა ვარცლისებრი მოხაზულობით (U-სებრი) და დამუშავებულია მყინვარის მიერ. ტროგული რელიეფი განეკუთვნება ძველი გამყინვარების რელიეფის ფორმებს. იგი გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ადგილას (გამყინვარების მხარეებში). ტ. სხვა მყინვარულ ფორმებთან ერთად იქმნება მყინვარული ეროზიის შედეგად. დამახასიათებელია ფართო ძირი და ციცაბო ფერდობები. წარმოადგენს მთის ხეობას, რომელშიც მოძრაობდა მყინვარი და რომელმაც გამოიმუშავა ალუვიური ტერასები და ბრტყელი კალაპოტი (ნახ. 1). ხშირად ჩაკეტილია მყინვარული ცირკებითა და მორენებით. იქ, სადაც მყინვარი აღწევს ან აღწევდა ზღვის დონეს, ტროგული ხეობა გრძელდება ფიორდის სახით, რომელიც თავის მხრივ, ზღვითაა დაძირული. საქართველოში ტროგული ფორმები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით კავკასიონის მაღალმთიან ქედებზე: გაგრის, ბზიფის, კოდორის, ლეჩხუმის, გერმუხის, ქართლისა და სხვ. მცირე ტროგები გვხვდება სამხრეთ საქართველოშიც.

ნახ. 1

ტრომელი – ცხავი, ცხრილი, საცერი, დოლი და მისთ., რომლებიც გრანულირებული (ფხვნილოვანი) მასალების დასაცალკევებლად გამოიყენება.

ტრომპი (ფრანგ. trompe რქა, ხორთუმი) – ნახევარძაბრის, კონუსის ნაწილის ან სფერული გუმბათის ნაოთხალის ფორმის კამარა, რომელიც მოთავსებულია სათავსის კუთხეში და მართკუთხა გეგმიანი მოცულობიდან წრიულ ან მრავალწახნაგა გუმბათის ყელზე და რვაკუთხა ან თექსვმეტკუთხა ზედა ნაწილზე გადასვლის საშუალებას იძლევა (ნახ. 1).

ნახ. 1

ტროოსტიტი (ფრანგ. troostite ფრანგი ქიმიკოსის ლ. ჯ. ტროოსტის სახელის მიხედვით) (ტროსტიტი, ტრუსტიტი) – რკინანახშირბადიანი შენადნობების (თუჯი, ფოლადი) სტრუქტურული მდგენელი; მაღალდისპერსიული პერლიტი. ტ. წარმოიქმნება აუსტენიტის დაშლის შედეგად 600°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე

დიფუზური გზით. დაშლის პროცესში შეიცავს ცემენტიტს ან მარცვლოვან ცემენტიტს. პერლიტს, სორბიტი და ტროოსტიტი ერთნაირი სტრუქტურებია, რომელთაც აქვთ ერთნაირი ბუნება (ფერიტი + ცემენტიტი), თუმცა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დისპერსიულობის ხარისხით.

ტროპოპაუზა (ბერძ. trópos<tropé გარდამტეხი და paûsis შეჩერება) – დედამიწის ატმოსფეროს ფენა, ეგრეთ წოდებული გარდამავალი ფენა ტროპოსფეროსა და სტრატოსფეროს შორის. სისქე რამდენიმე ასეული მეტრიდან 2-3 კმ-მდე. ტ. სიმაღლე დამოკიდებულია გეოგრაფიული განედზე (პოლარულში დაბლაა, ტროპიკულში მაღლა), წელიწადის დროზე (ზაფხულში უფრო მაღლაა, ვიდრე ზამთარში), აგრეთვე ციკლონურ მოქმედებაზე (ციკლონებში უფრო დაბლაა, ვიდრე ანტიციკლონებში).

ტროპოსფერო (ბერძ. trópos<tropé გარდამტეხი და sphaira სფერო, ბირთვი) – დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი, რომელშიც სიმაღლის მატებასთან ერთად ეცემა ტემპერატურა. ტ. საშუალო სიმაღლეა: პოლარულ განედებში 8-10 კმ, ზომიერში – 10-12 კმ, ტროპიკულში – 16-18 კმ. ტ. თავზე განლაგებულია სტრატოსფერო, რომლისგანაც იგი გამოყოფილია გარდამავალი ფენით – ტროპოპაუზით, რომელშიც სიმაღლის მატებასთან ერთად ტემპერატურა აღარ იცვლება. ტ. განთავსებულია ატმოსფეროს ჰაერის მასის 80%-ზე მეტი, ძლიერ გავრცელებულია ტურბულენტობა და კონვექცია, თავმოყრილია წყლის ორთქლის უმეტესი ნაწილი, ჩნდება ღრუბლები, წარმოიშობა ციკლონები და ანტიციკლონები, აგრეთვე სხვა პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ ამინდსა და კლიმატს. ტ. ნაწილს, რომელშიც დედამიწის ზედაპირზე შესაძლებელია მყინვარებისა და თოვლნარების წარმოშობა, უწოდებენ ჰიონოსფეროს.

ტროსი – თოკის, კანაფის, ბაგირის, ფოლადის მავთულის ან ბოჭკოვანი მასალისგან დამზადებული ნაკეთობების საერთო დასახელება.

ტროტილი – ფეთქებადი ნივთიერება. იგივეა, რაც ტრინიტროტოლუოლი.

ტროტუარი (ფრანგ. trottoir<trotter ჩქარი სიარული) – ოდნავ შემაღლებული საქვეითო გზა ქუჩის, მოედნის კიდეებზე, მოასფალტებული ან ქვის ფილებით დაფენილი (ნახ. 1).

ნახ. 1

ტროფეი (ბერძ. tropaion ძეგლი, მტრის იძულებითი გაქცევის აღსანიშნავად) – 1. დეკორატიული ელემენტი მოგროვილი სამხედრო იარაღის სახით, როგორც გამარჯვების სიმბოლო; 2. მონადირის ან მეთევზის ნადავლი; 3. სპორტულ შეჯიბრში მოპოვებული ჯილდო; 4. რამე ძეგლი ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად.

ტროქილი – ასტრაგალებით დამუშავებული იონიური ორდერის სვეტის ბაზისის ფოსო (ნახ. 1).



ნახ. 1

ტრულო (იტალ. trullo<აპულიური დიალექტი truḍḍu<გვიანდ. ბერძნული trȳllos გუმბათი<ლათ. trulla ციცხვი, ჩამჩა) – ტრადიციული ქვის ფიჭური საცხოვრებელი სახლი იტალიაში, აპულიის რეგიონის დასახლებებში, რომელსაც ჰქონდა კონუსური ქვის სახურავი და აგებდნენ წინაისტორიული ტექნოლოგიით – მშრალი წყობით, დუღაბის გარეშე. როგორც წესი, ტრულო გამოიყენებოდა დროებით თავშესაფრად, სამეურნეო საწყობად ან როგორც სოფლის მშრომელების მუდმივი საცხოვრებელი სახლი. დღემდე შემორჩენილი ყველაზე ძველი ტრულო, რომლის აგების წელი (1559 წ.) შენობის კედელზეა ამოჭრილი, აპულიის რეგიონში, იტრიას ველზე მდებარეობს. ამავე რეგიონის კომუნა ალბერობელოში ტრულოების მთელი უბანია (ნახ. 1), რომელიც შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (1996 წ.). ტრულოები განსაკუთრებით პოპულარული იყო XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, როდესაც რეგიონში ძლიერ განვითარდა მევენახეობა.

ნახ. 1

ტუალეტი (ფრანგ. toilette<toile ტილო<ლათ. tēla ქსოვილი) – 1. საპირფარეშო; 2. სარკიანი მაგიდის სახეობა; 3. ჩაცმულობა, მორთულობა (უპირატესად ქალისა).

ტუბი – თავსახურიანი რბილი მილი (პლასტმასის, ტყვიის, თუთიისა და სხვ.), რომელშიც მოთავსებულია პასტა, მალამო, კრემი, ზეთის საღებავი ან სხვა რამ მისთანა; შიგთავსი გამოდის ხელის მოჭერით.

ტუბინი (ინგლ. tubing<tube მილი) – სეგმენტის სახის ლითონის (ნახ. 1) ან რკინაბეტონის ფილა, რომელსაც იყენებენ მაღაროებისა და გვირაბების გასამაგრებლად. ყველაზე მეტად გავრცელებულია გვირაბის კედლების ამოსაფენი (სამაგრი) ტუბინები, ჩვეულებრივ წრიული ფორმისა.

ნახ. 1

ტუია (ლათ. Thuja) – წიწვოვან მცენარეთა გვარი კვიპაროსისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 20-60 მ. აქვს ბრტყელი ყლორტები, ქერქლისებრი მოპირისპირედ განლაგებული წიწვები, პატარა და მოგრძო გირჩა. გვარი შეიცავს 5 სახეობას, რომლებიც ბუნებრივად არის გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკული ზომიერი ჰავის სარტყლებში. საქართველოში მის ინტროდუცირებულ სამ სახეობას იყენებენ მწვანე მშენებლობაში (ნახ. 1). შესანიშნავი დეკორატიული ხეა. მერქანი რბილია, მაგრამ გამძლე. ტ. ამზადებენ ბოძებსა და შპალებს, ხმარობენ ქაღალდის მრეწველობაში.

ნახ. 1

ნახ. 1

ტუმბა (ბერძ. tymbos ყორღანი) – 1. დაბალი მასიური ბოძი, ბოძკინტი, რომელიც ტროტუარს გამოჰყოფს ქუჩისგან; 2. პატარა დაბალი კარადა საწოლთან დასადგამად (ნახ. 1) ან საწერი მაგიდის საყრდენად; 3. მრგვალი ნაგებობა აფიშებისა და განცხადებების გასაკრავად; 4. ძვ. ბერძ. საფლავსზედა ძეგლი.

ტუმბლერი (ინგლ. tumbler<tumble გადაბრუნება) – ელექტრული დენის მცირეგაბარიტული მექანიკური გადამრთველი ორ ან სამ მდგომარეობაში.

ტუმბო – ჰიდრომანქანა, რომელიც მიყვანილ ენერგიას გარდაქმნის სითხის ნაკადის ჰიდრავლიკურ (მექანიკურ) ენერგიაში. ტუმბო-დანადგარით წარმოებს აგრეთვე ჩაკეტილი მოცულობიდან აირების გამოდევნა. არსებობს ტუმბოს მრავალი სახეობა: ალვეიერის, ამომწოვი, ბალანსირული, ბენზინის, გრიგალური, დაკიდებული, დამხმარე, დგუშიანი, დიაგონალური, დიაფრაგმიანი, დიფერენციალური, დიფუზიური, ელექტრომაგნიტური, ერთსაფეხურიანი, ეტალონური, ექსცენტრიკული, ვერცხლისწყლიანი, ზეთის, თვითშემწოვი, ინდუქციული, ინჟექტორული, კაფსულიანი, კბილა, კბილანა, კონდენსატის, მარტივი ქმედების, მაუხშოებელი, მაღალვაკუუმური, მაღაროს, მაჩქარებელი, მბრუნავი, მემბრანიანი, მექანიკური, მიმწოდი, მკვებავი, მოცულობითი, მრავალსაფეხურიანი, ნავთობის, ნელსვლიანი, ორთქლის, ორთქლჭავლური, ორმაგი ქმედების, ორყვინთა, პნევმატიკური, პულპის, რადიალურ-დგუშიანი, როტაციული, საბურღე, საკანალიზაციო, საკონდენსაციო, საქრევი, საწვავის, საჭირხნი, სახანძრო, სითბური, სიღრმითი, სპირალური, სორბციული, სწრაფსვლიანი, უდგუშო, ფეკალური, ფრთიანი, ქსლის, ღერძული, ყვინთიანი, შემწოვი, შლამის, შნეკური, ჩამოსასხამი, ჩაყვინთული, ცალმაგი, ცენტრიდანული, ციბრუტა, ძრავიანი, წყალამოსაღვრელი, წყალჭავლური, წყლის, ჭავლური, ხელის, ჰაერისა და სხვ.

ტუმბო გრიგალური – 1. ვაკუუმური ტუმბო, რომლის მუშაობის პრინციპია დაბალი წნევის შექმნა გრიგალის ღერძზე, რომელიც იქმნება სამუშაო გაზის ნაკადის გავლით აგრიგალებული კამერის მხების მიმართულებით. ტ. გ. გაზის გაუხშოების დონეა 3 კპა-მდე (≈20 მმ ვერცხლ. წყ. სვ.); 2. ჰიდრავლიკური მანქანა, რომელიც ენერგიას გადასცემს სითხის აგრიგალებით სამუშაო ღერძის საშუალებით.

ტუმბო დგუშიანი – ტუმბო დგუშის უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით, რომლის სამუშაო ორგანოებია ერთი ან რამდენიმე დგუში (ნახ. 1). ძირითადად გამოიყენება წყალმომარაგების სისტემებში, კვებისა და ქიმიურ მრეწველობაში, ყოფაცხოვრებაში, ბენტონიტის ხსნარის გადასატუმბად (სიმკვრივით არაუმეტეს 25 კგ/მ^3) და სხვ.

ნახ. 1

ტუმბო ვაკუუმური – ჭურჭლიდან გაზისა და ორთქლის მოსაცილებელი მოწყობილობა გაუხშოებული გაზის (ვაკუუმის) მისაღებად. არსებობს ტ. ვ. შემდეგი ნაირსახეობები: მექანიკური (დგუშებიანი, წყალრგოლიანი, მოლეკულური), ჭავლური (დიფუზიური, ორთქლზეთიანი), სორბციული, იონური, კრიოგენული (კონდენსაციური) და კომბინირებული სორბციული (გეტერულ-იონური). ტ. ვ. ძირითადი პარამეტრებია: ზღვრული ვაკუუმი და ამოტუმბვის სიჩქარე.

ტუმბო ინდუქციული – ტუმბო, რომელიც გამოიყენება დენგამტარი სითხეების გადასაადგილებლად ელექტრომაგნიტური ძალების მეშვეობით, რომლებიც წარმოიშობა ტუმბოს ინდუქტორისა და ინდუქცირებული სითხის მაგნიტური ველების ურთიერთქმედებით. გამოიყენება თხევადი ტუტე მეტალების (1000°C-ზე მეტი ტემპერატურით) მისაწოდებლად მეტალურგიაში, ატომურ ენერგეტიკასა და ტექნიკის სხვა დარგებში.

ტუმბო მოცულობითი – ტუმბო, რომელშიც სითხეების ან აირების გადაადგილება ხორციელდება სამუშაო კამერის მოცულობის პერიოდული ცვლილებით. ძირითადი სახეებია: დგუშიანი, დიაფრაგმული, ფრთიანი, როტორული და სხვ.

ტუმბო პულპის – სატუმბავი აგრეგატი პულპის გადაასადგილებლად მილებში წნევის ქვეშ. გადასატანი მასალის მიხედვით მას აგრეთვე უწოდებენ ნახშირმწოვს, მადანმწოვს, მიწისმწოვსა და ა.შ.

ტუმბო რადიალურ-დგუშიანი – როტორული ტუმბო, როტორის ბრუნვითი და დგუშის უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით (ნახ. 1). როტორის ბრუნვის ღერძი დგუშის ღერძთან ადგენს 45-დან 90°-მდე კუთხეს, წნევა 10 მპა-მდე. გამოიყენება მაღალი წნევის ჰიდრავლიკურ სისტემებში.

ნახ. 1

ტუმბო სიღრმითი (სიღრმული, ჩაძირული) – ცენტრიდანული დგუშიანი ან სხვა ტიპის ვერტიკალური ელექტროტუმბო, რომელიც ჩვეულებრივ ყენდება ჭაბურღილებში ჩაძირულ მდგომარეობაში. ტ. ს. აქვს შედარებით მცირე განივი ზომები. გამოიყენება მიწისქვეშა წყლით წყალმომარაგების, მშენებლობაზე მიწისქვეშა წყლის დონის დაწევის, ნავთობმოსაპოვებელი სამუშაოებისათვის და სხვ. (ნახ. 1).

ნახ. 1

ტუმბო სორბციული – ვაკუუმური ტუმბო, რომლის მოქმედება დაფუძნებულია აირშთანთქმელების მიერ ქიმიურად აქტიური აირების შთანთქმაზე (სორბციაზე). სორბციული ტუმბოს ნაირსახეობებია: ადსორბციული, ჰეტერული და კრიოგენური.

ტუმბო ღერძული – ტუმბო, რომელშიც სითხე გადაადგილდება სამუშაო თვლის ღერძის გასწვრივ. გამოირჩევა კონსტრუქციის სიმარტივით, მცირე გაბარიტებითა და მაღალი მ.ქ.კ. -ით. ტ. ღ. ჰაერისა და აირების გადასაადგილებლად უწოდებენ ვენტილატორს ან კომპრესორს.

ტუმბო ყვინთიანი – დგუშიანი ტუმბო, რომლის სამუშაო ორგანოა წაგრძელებული დგუში (ყვინთა). გამოიყენება მცირე ნაკადებისთვის, როცა სისტემაში მოითხოვება მაღალი წნევა და ერთდროულად სითხის ზუსტი დოზირება.

ტუმბო შნეკური – ხახუნის ტუმბო, რომელშიც თხევადი გარემო გადაადგილდება ხრახნული შნეკის დახმარებით მისი ღერძის მიმართულებით.

ტუმბო ჭავლური – ტუმბო, რომლის მოქმედება დაფუძნებულია ამოსაქაჩი (გადასაქაჩი) სითხის წატაცებაზე სხვა სითხით, გაზით ან ორქთლით (ნახ. 1. ჭავლური ტუმბოს სქემა: 1-კონუსური შესაყარი საცმი; 2-შემწოვი მილყელი; 3-შერევის კამერა; 4-დიფუზორი). აირით ან სითხით რეზერვუარების დამჭირხნ ჭავლურ ტუმბოს უწოდებენ ინჟექტორს, გამოსატუმბს – ეჟექტორს, ხოლო ჰიდრონარევის ტრანსპირტირებისას – ჰიდროელევატორს. ჭავლის ნივთიერების აგრეგატულ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით არსებობს თხევადჭავლური, გაზჭავლური და ორთქლჭავლური ტუმბოები.

ტუმბო-ფრქვევანა – ინდივიდუალური ერთყვინთიანი საწვავის ტუმბო გაერთიანებული ერთ აგრეგატში ფრქვევანასთან. გამოიყენება დიზელის საწვავ კამერაში საწვავის შესაფრქვევად. ტუმბოსა და ფრქვევანას ერთ აგრეგატში გაერთიანება ამცირებს საწვავის კუმშვადობის გავლენას და დრეკად რხევებს ტუმბოში ჩვეულებრივ საწვავის მიმწოდებელ სისტემასთან შედარებით.

ტუნდრა (ინგლ. tundra<ფინ. tunturi უტყეო, შიშველი მაღლობი) – დედამიწის არქტიკული სარტყლის სამხრეთი ზონა – უტყეო სივრცე, სადაც მარადი გაყინულობაა.

ტუნელი (ფრანგ. tonele<tonnelle ძაბრისებრი ქსელი) – ჰორიზონტალური მიწისქვეშა გვირაბი, რომელსაც აქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსასვლელი მიწის ზედაპირზე და ემსახურება ტრანსპორტის მოძრაობას, წყლის გატარებას, საკომუნიკაციო ხაზებსა და ა.შ. (მაგ., მიწისქვეშა გადასასვლელი, გასასვლელი სპორტულ სტადიონზე, საიდანაც მოთამაშეები ამოდიან სათამაშო მინდორზე და სხვ.).

ტურბე – საძვალე ნაგებობა მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ტურბინა (ფრანგ. turbine<ლათ. turbo გრიგალი, ბრუნვა დიდი სიჩქარით) – პირველადი ძრავა სამუშაო ორგანოს, როტორის ბრუნვითი მოძრაობით და უწყვეტი სამუშაო პროცესით – გარდაქმნის სამუშაო სხეულის (ორთქლი, აირი, წყალი) კინეტიკურ ენერგიას მექანიკურში. ის ნიჩბებიანი მანქანაა: მრუდხაზოვან ნიჩბებზე, რომლებიც როტორზეა დამაგრებული, მოხვედრილი აირის, ორთქლის, წყლის ჭავლის ზემოქმედებით ბრუნვით მოძრაობაში მოდის როტორი. ტ. ფართოდ იყენებენ ელექტრული გენერატორების ამძრავებად.

ტურბოგენერატორი – გენერატორი, რომელსაც ამოძრავებს ორთქლის ტურბინა.

ტურბოკომპრესორი – 1. ტურბოკომპრესორიანი ძრავის ძირითადი აგრეგატი, რომელიც შედგება მექანიკურად დაკავშირებული კომპრესორისა და საავიაციო აირტურბინისაგან; 2. აირების შესაკუმშ და მისაწოდებელი ნიჩბოვანი კომპრესორი, რომელიც უზრუნველყოფს დგუშიან კომპრესორზე მაღალ მარგი ქმედების კოეფიციენტს და გამორიცხავს მიწოდებული აირის წნევის პულსაციას.

ტურბომატარებელი – ერთი ან რამდენიმე ვაგონისაგან შემდგარი მატარებელი, რომელიც აღჭურვილია აირტურბინული ძრავით.

ტურბულენტობა – მცირე მოცულობის გრიგალისებრი, ქაოტური მოძრაობა ქარის საერთო ნაკადში, რომელიც იწვევს ტურბულენტური სითბოს გაცვლას დედამიწის ზედაპირსა და ატმოსფეროს შორის.

ტურბულენტური დინება – სითხის ან აირის დინება, რომლის დროსაც სითხის ნაწილაკები მოძრაობს მოუწესრიგებლად, ქაოტურად, რთული ტრაექტორიით.

ტურელი (ფრანგ. tourelle<ლათ. turris კოშკი) – 1. არქიტექტურული ელემენტი კედლიდან ან სახურავიდან გამოშვერილი პატარა კოშკის სახით (ნახ. 1); 2. სამხ. ტყვიამფრქვევის ან ავტომატური ქვემეხის დასამაგრებელი მოწყობილობა.

ნახ. 1

ტურმალინი (ფრანგ. tourmaline<სინგ. turmali სარდიონი) – სხვადასხვა ფერის მინერალი, ალუმინისა და ბორის სილიკატი (ნახ. 1); მისი გამჭვირვალე კრისტალები განეკუთვნება ძვირფას ქვებს; იყენებენ აგრეთვე ზუსტი ხელსაწყოებს დასამზადებლად და რადიოტექნიკაში. 450-650°C ტემპერატურაზე გაცხელებით მიიღება გაკეთილშობილებული ძვირფასი ქვა (წითელ-ყავისფერი ხდება ვარდისფერი, ხოლო მწვანე – ზურმუხტისფერი). ხელოვნური ტ. არ არსებობს; გვხვდება მისი იმიტაცია მინისაგან.

ნახ. 1

ნახ. 1

ტურნიკეტი (ფრანგ. tournique<tourner ტრიალი, ბრუნვა) – მოწყობილობა მბრუნავი ჯვრის სახისა (პარკების, სტადიონების, სადგურებისა და მისთ. შესასვლელებში) მიმსვლელთა თითო-თითოდ გასატარებლად (ნახ. 1).

ტუფბეტონი – მსუბუქი ბეტონი, რომლის შემვსებია ვულკანური ტუფი. სიმკვრივე – 1200-1800 კგ/მ^3. გამოიყენება საკედლე პანელების დასამზადებლად, აგრეთვე მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დასამზადებლად.

ტუფი (იტალ. tufo<ლათ. tōfus) – მკვრივი ვულკანური წვრილმარცვლოვანი ქანი, რომელიც წარმოიქმნება ვულკანის ამოფრქვევის დროს ამოსროლილი მასალის (ვულკანური ფერფლი, წიდა, ლაპილები) შეცემენტების შედეგად. ზოგჯერ დანალექი ფოროვანი ქანია. აქვს სხვადასხვა ფერი. ძვირფასი საშენი მასალაა (ნახ. 1). გამოიყენება როგორც მსუბუქი საკედლე მასალა და მსუბუქი ბეტონის შემავსებელი. საქართველოში ცნობილია ტ. მრავალი სახესხვაობა, რომელთაგან აღსანიშნავია: თეძმის, ბოლნისის, აკაურთის (მწვანე ტუფი), გორიჯვრის, ზემო სკრის (იისფერი ტუფი), სამშვილდის (ყვითელი ტუფი) და სხვ. საბადოები. ტუფის გათლილი ფილებითა და კვადრებითაა მოპირკეთებული საქართველოს მთავრობის სასახლე, თბილისის სიონის ტაძარი, საქართველოს ფოსტა (ბოლნისის ტუფი), ფოკის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის ეკლესია, ელიას მთაზე მდებარე წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი (წითელი ტუფი) (ნახ. 2) და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ტუფი ბოლნისის – ვულკანური ქანი. კვარცპორფირული შედგენილობის ტუფლავა ან ლავა. ყვითელ ფონზე სხვადასხვა ტონის ყავისფერი კლაკნილი ზოლები, რომელსაც რკინის ჰიდროჟანგი აჩენს, ორიგინალურ იერს და სილამაზეს სძენს მას (ნახ. 1). საბადო მდებარეობს თბილისიდან 60 კმ-ზე ბოლნისის რაიონის სოფლების ხატისოფლის, სარაჩლოს, ფახრალოს, შიხალის, ქვეშის, ზედა გულავერის მიდამოებში.

ნახ. 1

პროდუქტიული ფენა წარმოადგენს ზედაცარცული ასაკის ვულკანოგენური წყების ერთ-ერთ ჰორიზონტს. ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე – 1975-2280 კგ/მ^3, დროებითი წინაღობა გაჭყლეტაზე მშრალ მდგომარეობაში – 403-1229 კგ/სმ^2, წყალშთანთქმა – 3,5-10,35%, ყინვაგამძლეობა – ნორმალური. კარგი დეკორატიული თვისებების გამო ტ. ბ. ფართოდ იყენებენ მონუმენტურ ნაგებობათა მშენებლობაში. ბოლნისის ტუფის საბადოს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ამუშავებდნენ.

ტუფი თემძის – ვულკანური ფერფლისგან შემდგარი დაახლოებით ანდეზიტური შედგენილობის ეოცენური ასაკის ნაცრისფერი, ალაგ-ალაგ მომწვანო ფერის ქანი. თემძის ტუფი ნაწილობრივ გათიხებული და გაცეოლითებულია. ადვილად იფიტება. იყენებენ სამშენებლო მიზნებისათვის, გავრცელებულია თემძის ხეობაში. აქ გვხვდება ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის მოიისფრო და მომწვანო ფერის ტუფიც, რომელიც სასიამოვნო შესახედავია. გამოყენებულია ქართლის ისტორიულ ძეგლებსა (მაგ., სვეტიცხოვლის ტაძრის გუმბათი) და თანამედროვე ნაგებობებში, როგორც მოსაპირკეთებელი მასალა.

ტუფი კლინოპტილოლითური – საშუალო სიმტკიცის საშენი მასალა, რომელიც შეფერილია თეთრ, ნაცრისფერ, მომწვანო და ვარდისფერ ფერებში. ქანებში მათი შემცველობა ჩვეულებრივ 50-90%-ია. ქ. კ. ძირითადად შედგება მინარევებისაგან, როგორიცაა მონტმორილონიტი, ქლორიტი, სელადონიტი, კვარცი და სხვ.

ტუფიტი – ვულკანოგენურ-დანალექი ქანი, რომელიც შედგება ვულკანის ამოფრქვევის დროს ამოსროლილი (წიდა, ფერფლი, პემზა, ქანის ნატეხები) და მასთან შერეული დანალექი (10-50%) მასალისაგან. ნატეხები შეცემენტებულია კარბონატული ან თიხოვანი მასით. გამოიყენება საშენ მასალად (ნახ. 1. სომხური სევკარული ტუფიტი).

ნახ. 1

ტუფლავა – ვულკანური ქანი, რომელიც წარმოადგენს შედუღებულ ლავას, ვულკანურ ფერფლსა და ვულკანურ მინის ნატეხებს. გარდამავალი ქანია ლავასა და ტუფს შორის. გამოიყენება საშენ მასალად.

ტუში – სპეციალური წყლის საღებავი შავი ან წითელი ფერისა, რომელსაც იყენებენ სახაზავად, სახატავად, საწერად და სხვ.

ტყე – 1. მეტნაკლებად ვრცელი ფართობი ხეებით დაფარული; 2. გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ გარემოზე.

ტყე მეორე ჯგუფის – ტყე, რომელიც გაშენებულია მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში და აქვს დამცავი და შეზღუდული საექსპლუატაციო მნიშვნელობა.

ტყე მესამე ჯგუფის – უხვტყიანი რაიონი, რომელსაც ასაექსპლუატაციო დანიშნულება აქვს და გამოიყენება სახალხო მეურნეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მერქანზე.

ტყე პირველი ჯგუფის – ტყე, რომელიც ასრულებს წყალდაცვის, ფერდოს გამაგრების, ქარსაფრისა და სხვ. ფუნქციებს.

ტყე ტროპიკული – ტყე, არსებული დედამიწის ზედაპირის იმ ნაწილში, სადაც ყოველწლიურად, სულ მცირე, 1500 მმ ნალექი მოდის (ეკვატორული, სუბეკვატორული და ტროპიკული სარტყლები). ამ ტყეებს დედამიწის ზედაპირის ფართობის მცირე პროცენტი უჭირავს, მაგრამ ჟანგბადის 40%-ს გამოიმუშავებს.

ტყე-პარკი – კეთილმოწყობილი ტყის მასივი, ორგანიზებული განსაზღვრული ლანდშაფტურ-მოცულობით-დაგეგმარებითი სისტემით ნარგავების თანდათანობითი რეკონსტრუქციისათვის, სავალი გზების, სასეირნო ხეივნების, საცალფეხო ბილიკების, მდელოების, წყალჩასაღვრელებისა და სხვ. ორგანიზებით. გამოიყენება მოსახლეობის ხანმოკლე დასვენებისათვის ბუნებრივთან მიახლოებულ გარემოში.

ტყეთმოწყობა – სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შემადგენელი ნაწილი.

ტყეკაფი – ტყის ფონდის უბანი, რომელზეც განსაზღვრულია მოსაჭრელი ხეების რაოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები. ტ. ფართობი მიიღება 7-15 ჰა.

ტყეკაფის ათვისება – ხე-ტყის (მათ შორის, ძირნაყარი) დამზადება, ნარჩენებისაგან ტყეკაფის გაწმენდა და დამზადებული ხე-ტყის სახელმ წი ფო ტყის ფონდიდან გამოზიდვა.

ტყეკაფის მონიშვნა – ტყეკაფის გამიჯვნა მოსაზღვრე ტერიტო რიისაგან, დასამზადებელი ხე-ტყის აღრიცხვა, ტყეკაფის აღრიცხვის უწყისის, ტყეკაფის პასპორტისა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის შედგენა.

ტყვია – მონაცრისფრო-ცისფერი რბილი და მძიმე ლითონი (ნახ. 1. თვითნაბადი ტყვია; ნახ. 2. ტყვიის გრანულები). სიმბოლო – Pb; სიმკვრივე – 11341,5 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 327,46°C; დუღილის ტემპერატურა – 1749°C; აორთქლებას იწყებს 400-500°C ტემპერატურაზე. ტ. ძირითადად მიიღება გალენიტის შემცველი მადნისაგან ფლოტაციის მეთოდით. გამოიყენება: აკუმულატორების, კაბელების, საკისრების შენადნობების (ბაბიტების), საფანტის, ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიის; ქიმიური პროცესებისათვის ჭურჭლისა და კამერების; ქიმიური აპარატურის ამონაგის, γ- და რენტგენის სხივებისაგან დამცავი ტანსაცმლის, სათვალის, იზოტოპების შესანახი და გადასატანი კონტეინერების დასამზადებლად; ტეტრაეთილტყვიისა და ტყვიის პიგმენტის მისაღებად და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ტყვიის თეთრი – თეთრი პიგმენტი, რომლის შერევით ოლიფასთან თეთრი ფერის საღებავი მიიღება.

ტყვიის მწვანა – პასტა, რომელიც მიიღება მშრალი ტყვიის კრონის, მშრალი რკინის ლაჟვარდის, შემვსებისა და ოლიფის შერევით. გამოიყენება ატმოსფერმედეგი საფარვლების წარმოებაში.

ტყით დაფარული ფართობი – 0,3 ჰა და მეტი ფართობი, რომელიც წარმოდგენილია 2 მეტრი და მეტი სიმაღლის ხეებით ან 1,5 მეტრი და მეტი სიმაღლის მერქნიანი ბუჩქოვანი მცენარეების ერთობლიობით, რომელთა ვარჯების პროექცია შეადგენს ფართობის 30%-ს და მეტს.

ტყითმოსარგებლე – ქვეყნის კანონმდებლობით უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს ტყითსარგებლობას.

ტყითსარგებლობის სახეები – ქვეყნის ტყის ფონდის ტერიტორიაზე განხორციელებული ტყითსარგებლობის სახეებში შედის: ხე-ტყის დამზადება; სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოება; ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლის, ნაყოფის, ძირკვის, ლაფნის, ფიჩხის, ნეკერის და სხვ.) დამზადება; ტყის არამერქნული რესურსებით (სოკოებით, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულით, სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეებითა და მათი პროდუქტებით) სარგებლობა; სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა; სპეციალური, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა; სამონადირეო და თევზის მეურნეობის მოწყობა; ნადირობა; სახელმწიფო ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა; არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა; ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობა და სხვ. მოსახლეობის ტყეში ყოფნა ტყითსარგებლობად არ ითვლება.

ტყის აღდგენა – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ტყით დაუფარავ ფართობებზე, დაბალი სიხშირისა და დეგრადირებულ კორომებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, ტყის გაშენება და გაშენებული ნარგაობის მრავალწლიანი მოვლა.

ტყის განახლება – ახალი თაობის ტყის წარმოქმნის პროცესი განაკაფებზე, ნახანძრალებზე, დამრეცებზე და სატყეო მიწების სხვა კატეგორიებზე. განასხვავებენ ბუნებრივს და ხელოვნურს. ტ. გ. პროცესის დასაჩქარებლად, ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, მიმართავენ ბუნებრივ განახლებას ხელოვნურის ელემენტების ჩართვით (ახალი ნერგების დარგვა, გადარგვა, გამოხშირვა, გასუფთავება, ქიმიური ღონისძიებები და სხვ.), რაც კარგ შედეგებს იძლევა. ხელოვნური განახლება ძირითადად გამოიყენება კლიმატური კატასტროფების (გვალვა, ხანძარი, მეწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და სხვ.) შედეგად განადგურებული ტყის მასივების აღსადგენად, რაც ითვალისწინებს ტერიტორიის გასუფთავებას და მასზე ახალი ტყის გაშენებას.

ტყის გაწმენდა – სატყეო-სამეურნეო სამუშაოების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ტყიდან და ტყეკაფიდან ყოველგვარი ზედმეტის გატანას (მაგ., ტყის ჭრის ნარჩენები, გამხმარი ხეები, ბუნებრივად ჩამოცვენილი ტოტები და სხვ.).

ტყის კულტურები – თესვით ან დარგვით გაშენებული ტყის მერქნიან სახეობათა ნარგავები.

ტყის მოვლა – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ტყის მდგრადი და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება, ტყის ბუნებრივი სასარგებლო თვისებებისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ფონდის დაცვა ხანძრების, ბიოლოგიური მავნებლებისა და ფიტო დაავადებებისაგან.

ტყის მოწყობა – ღონისძიებების ერთობლიობა, მიმართული სატყეო მეურნეობის რაციონალურ გამოყენებაზე. მისი შემადგენელი ნაწილია ტყის ფონდის ინვენტარიზაცია, რომლის მონაცემებზე დაფუძნებულია ტყის სახელმწიფო აღრიცხვა.

ტყის რესურსი – ტყის ფონდში არსებული მიწის ნაყოფიერი ფენა, მერქნიანი და არამერქნიანი მცენარეების პროდუქტები, არამერქნული რესურსი და ხის მეორეხარისხოვანი მასალები.

ტყის სანერგეები – ტყის მიწების კატეგორია, რომელშიც შედის ნაკვეთები, სადაც გამოჰყავთ მცენარეთა ნერგები შემდეგში სატყეო კულტურის შესაქმნელად (ნახ. 1).

ნახ. 1

ტყის საწყობები – არასატყეო მიწების კატეგორია, გამოყენებული ტყის პროდუქციის შესანახად.

ტყის სერტიფიცირება – კომპეტენტური ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის, მისი რესურსების, ტყის დაცვის ღონისძიებებისა და სხვათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარება.

ტყის სიმწიფის ასაკი – მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ტყის ფუნქციურ დანიშნულებას. ამ პერიოდში შესაძლებელია ტყეში ხეების გამოხშირვითი ჭრა, რომლის დაწყება დამოკიდებულია ხეების ჯიშზე და წლოვანების მიხედვით შეადგენს: ფიჭვი სამხრეთის რაიონების – 65, ფიჭვი ჩრდილოეთის რაიონების – 70-80, ლარიქსი – 60, ნაძვი და სოჭი – 80-90, მუხა – 60-120, კოპიტი – 60, რცხილა – 80, არყის ხე – 70, ვერხვი – 50, თხმელა – 40 წელი და სხვ.

ტყის სუბალპური ზოლი – ტყის სუბალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი.

ტყის ფონდი – სახელმწიფო ტყის ფონდი, გარდა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიებისა.

ტყის ფონდის მონიტორინგი – ტყის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა.

ტყის წარმომქმნელი ჯიშები – ხის ჯიში, რომელიც თავისი არეალის ზღვრებში ქმნის ნარგავების ძირითად იარუსს, რომელიც გამოირჩევა ბიოლოგიური და მორფოლოგიური მდგრადობით და სპეციფიკური კომპლექსით თანმხლები მცენარეებისა და ცხოველების მიმართ.

ტყის ჯგუფი – სატყეო კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი. არსებობს ტყის სამი ჯგუფი: I – დამცავი ფუნქციების მქონე, რომელშიც შედის ტყეები,

განლაგებული მდინარეების, ტბების, წყალსაცავების ნაპირებზე, რკინიგზის მაგისტრალების, საავტომობილო ცენტრალური გზების, არხების გასწვრივ; ეროზიის საწინააღმდეგო და სახელმწიფო დამცავი ზოლები, მთიანი ტერიტორიები, ნაციონალური ნაკრძალები და პარკები, საკურორტე ზონები, განსაკუთრებით ძვირფასჯიშიანი ტყის მასივები; II – ტყეები, გაშენებული მჭიდროდ დასახლებულ და განვითარებულ სატრანსპორტო ქსელის მქონე რეგიონებში; III – ტყეები საექსპლუატაციო დანიშნულების. ტყეების დაყოფა ჯგუფებად ეყრდნობა ეკოლოგიურ მოთხოვნებს და ითვალისწინებს ბუნების დაცვით ფუნქციებს.

ტყრუშული ღობე – ძვ. მსხვილი წნელის ღობე (ნახ. 1).

ნახ. 1

უ

უადი – სეზონური მდინარე არაბეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოებში.

უაიტ-სპირიტი – ნავთობის ფრაქცია. გამოიყენება ლაქებისა და საღებრების გამხსნელად.

უარყოფითი – 1. რაც გამოხატავს უარყოფას, უკუგდებას, ცუდს, ჩრდილოვანს და მისთ.; 2. მათემ. ნულზე მცირე, რაც აღინიშნება "მინუს" ნიშნით; 3. ელექტრობის იმ სახეობასთან დაკავშირებული, რომლის მატერიალურ ნაწილაკებს ეწოდებათ ელექტრონები.

უბანი – 1. დასახლებული ადგილი (ქალაქის, დაბის ან სოფლის ნაწილი); 2. ამა თუ იმ დანიშნულების ფართობი (მაგ., სამშენებლო უბანი, ავეჯის დამამზადებელი უბანი, საწარმოო უბანი და სხვ.); 3. გადატ. საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული სფერო, დარგი; 4. ასაშენებელი ობიექტის ნაწილი, რომლის საზღვრებშიც ვითარდება და ერთმანეთს უთავსდება საობიექტო ნაკადის შემადგენლობაში შემავალი სპეციალიზებული ნაკადები.

უბე – 1. სამკუთხედის ფორმასთან მიახლოებული ზედაპირი, შექმნილი თაღის აწევის ისრითა და მართკუთხა ღიობით, რომელშიც ეს თაღია ჩაწერილი (ნახ. 1); 2. ორ განსხვავებულ გარემოს შორის მოქცეული ადგილი (მაგ., მაღლობებს შორის ვაკე; მოხნულფართობებს შორის მოუხნავი ფართობი და სხვ.); 3. ოკეანის, ზღვის, ტბის, წყალსაცავის ხმელეთში შეჭრილი მცირე ნაწილი; ყურე; მსოფლიოში ცნობილი უბეებია: მექლენბურგის, ლიუბეკის, კილის, ვისმარის, პომორის, ჩეშის, სამსუნის, სენის, ზიენტიაუს, პროას და ა.შ.

ნახ. 1

უბედური შემთხვევა – 1. ტრავმით დამთავრებული უეცარი და დაუგეგმავი შემთხვევა; 2. ტექნოლოგიური (კონსტრუქციული, საწარმოო, სატრანსპორტო, საექსპლუატაციო და სხვ.) მიზეზებითა და გარე შემთხვევითი ხასიათის ზემოქმედებათა შედეგად გამოწვეული საგანგებო შემთხვევა, რომელსაც მოსდევს ადამიანების ტრავმა, ნაგებობებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა დაზიანება, მწყობრიდან გამოსვლა ან ნგრევა და სხვ.

უბისის მონასტერი (უბისის სამონასტრო კომპლექსი) (ინგლ. Ubisa Monastery) – IX-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი (ნახ. 1, ნახ. 2: საერთო ხედი). მდებარეობს იმერეთში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ქ. ზესტაფონიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ის დაშორებით, სოფელ უბისას ჩრდილო-აღმოსავლეთით (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი

ნაგებობებია: წმინდა გიორგის ეკლესია მინაშენებით, კოშკი ("უბისის სვეტი"), კარიბჭე და ახალი გალავანი.

ნახ. 1

უბისის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა IX საუკუნეში და იგი ცნობილი მწიგნობრისა და საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც აფხაზთა მეფის მოწადინებით, მშენებლობის ადგილად უბისა შეარჩია. 1141 წელს, საქართველოს მეფე დიმიტრი I-ის დროს, მონასტერი განახლდა, ხოლო გვიან შუა საუკუნეებსი (XIV ს.) წმ. გიორგის სახელობის მთავარი ტაძარი უნიკალური ფრესკებით შეიმკო. XVI-XIX საუკუნეებში უბისის საონასტრო კომპლექსის მოვლისა და განახლების ეტაპი დაკავშირებულია იმერეთის მთავრების – აბაშიძეების მოღვაწეობასთან.

კომპლექსის გალავნის ცენტრში აღმართული მთავარი ნაგებობაა წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (ნახ. 4), რომელსაც გეგმაში მართკუთხა ფორმა აქვს მინაშენებით სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. შირიმის ქვით ნაგები ეკლესიის კედლები სადადაა გადაწყვეტილი, რაც კომპლექსის მშენებლობის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. კარგად თლილი მოყვითალო ქვების წყობა ზუსტი და სიმეტრიულია. ეკვდერები უშუალოდ ტაძარზეა შემოყოლებული და სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობის შესახედაობას ანიჭებს მას. ჩრდილო ეგვტერი თავისი შესასვლელით უშუალოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული, ხოლო სამხრეთ ეკვდერში დამოუკიდებელი კარით შეიძლება მოხვედრა. თავად ტაძარი მაღალია, მინაშენები კი მასზე ბევრად დაბალი. შიდა დანაწევრებული სივრცე შექმნილია პილასტრებზე დაყრდნობილი თაღედით. აღმოსავლეთი ფასადი შემკულია ლომის ბრტყელი რელიეფური გამოსახულებიანი ჩადგმული ფილით. სამხრეთი ეკვდერის სარკმლის თავსართი გამშვენებულია სადა, ქვაზე ამოტვიფრული, ბადისებრი ნაქარგობის მსგავსი ჩუქურთმით (ნახ. 5. სამხრეთი ეკვდერის სარკმლის თავსართის რელიეფი).

ნახ. 2



ნახ. 3

უბისის ტაძრის მხატვრობამ ქართული ფერწერული სკოლის უნიკალური ნიმუშები

შემოგვინახა. იგი XIV საუკუნეშია შესრულებული და მხატვარ დამიანესა და მის მოსწავლეს გერასიმეს ეკუთვნის. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი კომპოზიციის (”საიდუმლო სერობა”) ქვედა ნაწილში შემორჩენილი წარწერა (შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე). ტაძრის ფრესკულ მხატვრობაში გამოვლენილია რეალისტური ახალი სტილი, მიმართულება. წმინდანთა სახის გადაწყვეტაში იკონოგრაფიული მეთოდი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მანერას, პეზაჟი უფრო ემსგავსება ნამდვილს. მოხატულობაში წარმოდგენილია ყველა საუფლო დღესასწაულის კომპოზიციები: ხარება (ნახ. 6), ბზობა, ჯვარცმა, აღდგომა, ნათლისღება, მამა ყოვლისმპყრობელი (ნახ. 7) და სხვ. ფრესკებს შორის გამოირჩევა „უბისის წმინდა გიორგის ფრესკა“ (ნახ. 8) და „საიდუმლო სერობა“ (ნახ. 9). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უბისას ტაძრის ფრესკები ქართული საეკლესიო მხატვრობისა და კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშია.

ნახ. 4

სამონასტრო კომპლექსში გამორჩეულია კოშკი („უბისის სვეტი“) (ნახ. 10), რომელიც ჩვენამდე გადაუკეთებლადაა მოღწეული. სვეტში შესასვლელი პირველი სართულიდან ყოფილა. პირველ სართულშია საკუჭნაო (2,20×2,20 მ), ღრმა და ფართო დარაბებიანი განჯინებით. იქ მისადგმელი კიბით ჩადიოდნენ მეორე სართულიდან, რომელიც საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენდა (2,55×3,00 მ), დიდი ბუხრით, განჯინებითა და საპირფარეშოთი. კარგად ყოფილა გაშუქებული სამი სარკმელითა და ფართო კარით. ამ ოთახიდან ქვის მოსახერხებელი კიბის საშუალებით მესამე სართულის ოთახში (3,05×3,30 მ) ადიოდნენ, რომელიც სალოცავად და სამუშაოდ იყო განკუთვნილი. მის სამ კედელში თითო სარკმელია დატანებული. აქვე ყოფილა ღრმა ნიშები, ალბათ, სქელტანიანი ხელნაწერი წიგნების დასაწყობად. ამ სართულის ოთახის კუთხეში მეოთხე სართულზე ასასვლელი ხვრელია. ეს თავდასაცავად განკუთვნილი სართულია სალოდეებით. ცნობილია, რომ თამარ მეფეს დიდად ჰყვარებია უბისის სამონასტრო კომპლექსი და მუდმივად ზრუნავდა მის კეთილმოწყობაზე. მონასტერში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა წიგნების გადაწერა, არსებობდა ჭედურობისა და ხატწერის სკოლები.

ნახ. 5

ნახ. 6

ყურადღებას იქცევს მდ. ძირულას მარცხენა მხარეს, ტაძრის სიახლოვეს, "ყინყიბოურის" მაღალ გორაკზე შემორჩენილი ნანგრევები, სადაც დაცულია წყლისა და ღვინის შესანახი 100-200 ფუთიანი ტევადობის ქვევრები.

ნახ. 7

ნახ. 8

ნახ. 9

ნახ. 10

უდაბნო – 1. განმარტოებით მდგარი ძველი მონასტერი; 2. გაუკაცრიელებული უწყლო და უმცენარო ტერიტორია; 3. VI საუკუნის ქართული მონასტერი შუა საუკუნეების დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში (საქართველო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი).

უზორიტი – დეკორატიულ-მოსაპირკეთებელი ფილები მინის წარმოების ნარჩენებისაგან. გამოიყენება კედლების გარე და შიგა ზედაპირების, კოლონების მოსაპირკეთებლად, იატაკების მოსაწყობად, შენობების ფასადების და ინტერიერების გასაფორმებლად, საბაღე ავეჯის (ნახ. 1) დასამზადებლად და სხვ.

ნახ. 1

უზუფრუქტი – უფლება სხვისი ქონებითა და მისი შემოსავლით სარგებლობისა იმ პირობით, თუ ამ ქონებას არაფერი დააკლდება; უძრავი ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში. პირი

უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, თუმცა მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არ აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან გადაცემისთვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობის მონაწილე; უზუფრუქტი შეიძლება იყოს სასყიდლიანი და უსასყიდლო, დროებითი ან მისი მიღების (უზუფრუქტუარის) სიცოცხლის ხანგრძლივობის მანძილზე.

უთო (სპარს.) – 1. გლუვძირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო ქსოვილის გასასწორებლად (ნახ. 1. ელექტროუთო; ნახ. 2. ძველებური ნახშირის უთო); 2. მეტალოპლასტმასის კონსტრუქციების საამწყობო საამქროს დანადგარი, რომელიც ახდენს პლასტმასის პროფილების კუთხურ შეერთებას (ნახ. 3).

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

უკანასაყრდენი – კედელი ან ზედაპირი, რომელზეც მაგრდება მოსაპირკეთებელი მასალა.

უკმარამოჭმა – ნაგლინის ზედაპირის დეფექტი ლაქების ან ზოლების სახით, რომელიც ამოჭმის ტექნოლოგიური პროცესის დარღვევისას წარმოქმნება.

უკმარგახეხილი – გახეხილი მასალის ზედაპირის გაუხეხავად დარჩენილი უბანი.

უკმარტვირთული – 1. არასრულად დატვირთული; 2. სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობის ნაწილობრივი გამოყენება.

უკონდიციო – უხარისხო, საჭირო კონდიციის არმქონე, გამოსაყენებლად უვარგისი.

უკოჭო გადახურვა – სართულშუა ბრტყელი გადახურვა კოჭებისა და რიგელების გარეშე. მასში შედის 3 ძირითადი ელემენტი: კაპიტელი, სვეტებსშორისი ფილა და ცენტრალური ფილა. კაპიტელი ეყრდნობა სვეტის გაფართოებას, სვეტებსშორისი ფილა – კაპიტელს, ხოლო ცენტრალური ფილა – სვეტებსშორის პანელებს. გამოიყენება შენობებში ბრტყელი ჭერით

(მრავალსართულიანი საწყობი, მაცივარი, ხორცკომბინატი და სხვ.), სადაც საჭიროა დიდი შიდა სივრცე და დატვირთვები თანაბრადაა განაწილებული გადახურვაზე.

უკუგამოსყიდვა (ბაიბეკი) (ინგლ. buyback გამოსყიდვა) – საქონელგაცვლის გრძელვადიანი ოპერაცია, რომლის დროსაც მანქანა-მოწყობილობების მისაწოდებლად გაცემული კრედიტი შემდეგში იფარება მათი მეშვეობით წარმოებული პროდუქციით.

უკუპროპორციული სიდიდეები – სიდიდეები, რომელთა ნამრავლი მუდმივია.

უკუქმედება – ძალა, რომლითაც ნიუტონის მესამე კანონის თანახმად მეორე ნივთიერი წერტილი მოქმედებს პირველზე.

უკუწნევა – მილსადენების არმატურაში ჭარბი წნევა არმატურის გამოსასვლელში (დამცავ სარქველში, კონდენსატსარინში და სხვ.). უ. არის ჯამი გამოსაშვებ სისტემაში სტატიკური წნევისა და წნევისა, რომელიც გამოწვეულია სამუშაო გარემოს მოძრაობის წინააღმდეგობით.

ულვაშა ხოჭო – საკმაოდ მოზრდილი მწერი (სიგრძე 25-35 მმ), რომელიც ჭუპრებთან ერთად აზიანებს ხის შიგა ნაწილს და ზედაპირზე არ გამოდის.

ულტიმო – კომერციულ და საბირჟო პრაქტიკაში: თვის ბოლო დღე, რომელიც დადგენილია როგორც გარიგების დამთავრების ვადა.

ულტრა (ლათ. ultra უფრო, მეტი, ზე-, გარეშე) – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნავს რისამე ფარგლებს გარეთ მყოფს, უკიდურესს (ულტრაიისფერი სხივები), ულტრამოკლეს (ტალღები) და სხვ.

ულტრაბგერა – 16-20 კჰც-ზე მაღალი სიხშირის რხევები, რომლებსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს. უ. სიმძლავრე რამდენიმე კილოვატს აღწევს. ხშირად გვხვდება ბუნებაში – ახლავს ფოთლების შრიალს, ზღვის მოქცევის ხმაურს, შედის ქარის ხმაურში, მას გამოსცემენ ღამურები, თევზები, მწერები. უ. შეიცავს მანქანის ხმაური. ცხოველთა სამყაროში მისი დახმარებით სრულდება მთელი რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები: ღამურების ექოლოკაცია, მწერების სიგნალები და სხვ. ულტრაბგერული რხევა ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში (მყარ და მსხვრევად მასალათა მექანიკური დამუშავება, შედუღება, მოკალვა, ლითონის ზედაპირიდან ჟუჟყისა და ცხიმის მოშორება, შენადნობთა მიღება, რჩილვა, კომპოზიტური მასალების მექანიკური დამუშავება, დეფექტოსკოპია, აირთა ანალიზი, ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკური კონტროლი, გაზომვები და ა.შ.) და მედიცინაში. ზოგჯერ ულტრაბგერის წარმოქმნა თან ახლავს ზოგი მოწყობილობის (რეაქტიული ძრავის, აირტურბინის, მძლავრი პნევმოძრავის და სხვ.) მუშაობას, როგორც თანაური პროცესი. დაბალსიხშირული უ. მაღალსიხშირულ ხმაურთან ერთად კარგად ვრცელდება ჰაერში, მაგრამ სმენადი ბგერითი ტალღებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად სუსტდება რხევის წყაროდან დაშორებასთან ერთად და ახასიათებს საჰაერო სივრცეში არათანაბარი ინტენსივობა.

ულტრალამი (ინგლ. Laminated Veneer Lumber დახერხილი მასალა დაწებებული შპონისაგან)) – მაღალი სიმტკიცის ამერიკული წარმოების კომპოზიტური ერთგვაროვანი კონსტრუქციული მასალა (ფიცარი, ძელი, ფილა), დამზადებული 3 მმ სისქის ბუნებრივი მერქნის ანათალი შპონებისაგან და გაუმჯობესებული ტექნოლოგიურად (ნახ. 1). უ. ტექნიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად აჭარბებს მთლიანკვეთიანი, დაწებებული მერქნის თუ უმაღლესი ხარისხის დახერხილი ხის მასალის პარამეტრებს. ფანერისგან განსხვავებით მასში შპონების ბოჭკოების

მიმართულება პარალელურია. მაღალი დრეკადობის მოდული, წინაღობა ღუნვაზე, ბიომედეგობა, ეკოლოგიურობა და სხვა ფიზიკური მახასიათებლები უზრუნველყოფენ ულტრალამისგან დამზადებული კონსტრუქციების მაღალ მზიდუნარიანობას და დამსახურებულად აყენებენ მას თანამედროვე მშენებლობაში გამოყენებული ყველაზე პერსპექტიული ტექნოლოგიური კონსტრუქციული მასალების გვერდით. შპონების შესაწებებლად გამოიყენება ფენოლფორმალდეჰიდური, ფენოლ-რეზორცინული და სხვ. სახის წებოები. დადებითი თვისებები: ერთგვაროვნება, მაღალი სიმტკიცე, წყალმედეგობა, ცეცხლმედეგობა, ატმოსფერომედეგობა, მანკების გავლენის დაბალი დონე, ბზარმედეგობა, ხანგრძლივად გეომეტრიული ფორმის შენარჩუნება, საწყის ნედლეულად შედარებით დაბალი ხარისხის მერქნის გამოყენება, ადვილდამუშავებადობა, საიმედოობა მუშაობაში და სხვ. უარყოფითი თვისებები: შედარებით მაღალი ფასი (დაახლოებით 1,5-ჯერ ძვირია ჩვეულებრივ მერქანთან შედარებით).

ნახ. 2

მასალა პირველად შეიქმნა აშშ-ის ტყითსარგებლობის ფედერალურ ლაბორატორიაში 1935 წელს, ხოლო მისი კომერციული წარმოება დაიწყო 1960-იან წლებში (კომპანია „ვეიზერჰაუზერი“). ევროპაში LVL-ის დამზადება, სავაჭრო მარკით Kerto, პირველად დაიწყო ფინურმა კომპანიამ Metsa Wood და ამჟამად წელიწადში ნაწარმის მოცულობა დაახლოებით შეადგენს 200 ათას მ3-ს. 2009 წლიდან ქარხანა (Талион Терра) მუშაობს რუსეთშიც (ქ. ტორჟოკი) წარმადობით 150 ათასი მ3 პროდუქცია წელიწადში, შემდეგ ანალოგური ქარხანა ამუშავდა ქ. ნიაგანშიც (ЛВЛ Югра).

ნახ. 1

ცნობილია ულტრალამის 5 სახეობა: Ultralam Rb, Ultralam Rs, Ultralam R, Ultralam X და Ultralam I. მათი დრეკადობის მოდულის მნშვნელობები სახეობების მიხედვით იცვლება ზღვრებში: 16000-12700 მპა, ხოლო საანგარიშო წინაღობა ღუნვასა და კუმშვაზე ბოჭკოების გასწვრივ – 23,5-22 მპა.

გამოყენების სფერო: დაბალსართულიანი შენობების მზიდი კარკასის ელემენტები (სვეტი, რიგელი, კოჭი, ნივნივი, გრძივი), კარ-ფანჯრები, ტიხრები, აივნისა და კიბის მოაჯირები, მაუერლატები, სასოფლო დანიშნულების შენობები (ნახ. 2), კანოე, ბაიდარკები და იახტები (ნახ. 3), კარკასული სახლები (ნახ. 4), საცხენოსნო-სპორტული კომპლექსები, მრავალბინიანი სახლები, კარის კარკასები, სართულშუა გადახურვები, კარკასულ-პანელური სახლები (ნახ. 5), ხიდები (ნახ. 6), სამშენებლო სისტემები, მანსარდები, დაშენებები, დროებითი ნაგებობები, სტრუქტურული კონსტრუქციები (ნახ. 7), გუმბათები (ნახ. 8), ენერგოეფექტური სახლები და სხვ.

ნახ. 3

ნახ. 4

ნახ. 5

ნახ. 6

ნახ. 7

ნახ. 8

ულტრამარინი (ბერძ. ultramarin<ლათ. ultra უფრო, მეტი, ზე-, გარეშე და marinus ზღვის) – სინთეზური არაორგანული ცისფერი პიგმენტი, რომელიც არის გოგირდის შემცველი ნატრიუმის ალუმინსილიკატი.

ულტრამეტამორფიზმი (ლათ. ultra უფრო, მეტი, ზე-, გარეშე და ბერძ. metamorphō გადავაქცევ) – დედამიწის ქერქის ღრმა ფენებში სამთო ქანების რეგიონული მეტამორფიზმი, რომელსაც თან ახლავს მიგმატიტების განვითარება.

ულტრამიკროსკოპი (ინგლ. ultramicroscope<<ლათ. ultra უფრო, მეტი, ზე-, გარეშე, ბერძ. mikrós პატარა, მცირე და skopeîn ყურება, შესწავლა) – ოპტიკური ხელსაწყო ძალიან მცირე ზომის (2^{10} ნმ-მდე) ნაწილაკების აღმოსაჩენად, რომელთა აღმოჩენა ჩვეულებრივი მიკროსკოპით შეუძლებელია. უ. საშუალებით შესაძლებელია მათი კონცენტრაციისა და საშუალო ზომის

დადგენა. გამოიყენება დისპერსიული სისტემების გამოსაკვლევად, ჰაერისა და წყლის სისუფთავის საკონტროლოდ და სხვ.

ულტრამოკლე – ზღვრულად მოკლე.

ულტრამჩატე დიატომიტი – მასალა, დამზადებული კაჟმიწის ორგანული დანალექი ქანების (დიატომიტი, ტრეპელი) საფუძველზე, რომელიც ძირითადად შედგება ამორფული კაჟმიწისაგან ორგანული ამოწვადი დანამატით. ნაკეთობის ფორმირებას ახდენენ პლასტიკური მეთოდით ლენტურ წნეხებზე შემდეგი შრობითა და გამოწვით. საშუალო სიმკვრივე 400-500 კგ/მ^3.

ულტრამჩატე ქაფდიატომიტი – უმჩატესი კერამიკული მასალა, დამზადებული დიატომიტური შლიკერისა და ტექნიკური ქაფის შერევით შემდგომი ფორმირებით, შრობითა და გამოწვით. საშუალო სიმკვრივე 300-400 კგ/მ^3.

ულტრაღვარცოფული ნაკადი – გრანდიოზული მასშტაბის ღვარცოფული ნაკადი.

ულუმბოს მონასტერი (ინგლ. Ulumbo Monastery) – XIX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი ქართლში, მდინარე ჭერათხევის მარჯვენა შენაკადის, ალისწყლის ხეობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ალის მახლობლად (ნახ. 1. ადგილმდებარეობის რუკა). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მონასტერი VI საუკუნის შუაწლებში დაუარსებია საქართველოში მოსული 13 ასურიელი მამათაგან ერთ-ერთს მიქაელ ულუმბოელს (დაკრძალულია იქვე). როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა (ამირეჯიბთა სიგელი), XIII საუკუნეში აქ უკვე დიდი ტაძარი მდგარა. XIV-XV საუკუნეებში მონასტერი საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა. ხორეზმელი ემირის თემურ-ლენგის ლაშქრობის შედეგად დანგრეული ტაძარი 1400-1415 წლებში ალის ხეობის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს ხელახლა აუშენებია. ამჟამად მის ადგილზე ღთისმშობლის დარბაზული ეკლესია დგას (ნახ. 2. ღვთისმშობლის ეკლესია), რომელიც, როგორც სამხრეთის შესასვლელის (კარის) თავზე მოთავსებულ მხედრულ წარწერაშია ნათქვამი, 1871 წელს სანახევროდ დანგრეული ძველი ეკლესიის (სავარაუდოდ სიგრძით 24 მ) აღმოსავლეთ მონაკვეთის კედლებზე დაუშენებიათ. ახლანდელი ეკლესია (16,0x9,3 მ) ძველზე უფრო პატარაა. ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. აქვს ორი მოქმედი კარი – სამხრეთისა (ნახ. 3. სამხრეთის კარი) და დასავლეთის, რომელთაგან სამხრეთის კარი ძველ ეკლესიას ეკუთვნის. განირჩევა 2 სამშენებლო ფენა. ტაძრის კედლებში ჩართულია სანახევროდ მიწით დაფარული ძველი ეკლესიის ფრაგმენტები,

ნახ. 1

ნახ. 2

რომელთა მიხედვით დადგენილია, რომ ძეგლს ჩუქურთმები და მოხატულობა ამკობდა (სავარაუდოდ XI საუკუნის). შიდა სივრცის გადახურვა თაღოვან-კამაროვანია. ეკლესიას 6 სარკმელი აქვს: ორ-ორი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში და თითო-თითო დასავლეთით და აღმოსავლეთით (ანათებს აფსიდიან საკურთხეველს). მხატვრობის საყურადღებო მცირე ფრაგმენტები შეიმჩნევა ჩრდილოეთის კედელზე.



ნახ. 3

ულუსი (მონღ. ulus ბანაკი, ურდო) – 1. გვარ-ტომობრივი გაერთიანება განსაზღვრული ტერიტორიით, რომელიც ემორჩილებოდა ხანს (ბელადს) შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ფეოდალიზმის პერიოდში; 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთში (ბურიატიაში, კალმიკეთსა და იაკუტიაში); 3. მონღოლური თემი ქ. ქაბულში (ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა).

უმაღლესი – ყველაზე მაღალი, დიდი, უდიდესი, ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე განვითარებული, შედარებით მაღალი, ყველაზე მაღალი ინსტანციისა.

უმბრა (ლათ. umbra ჩრდილი) – თიხოვანი წარმომავლობის ყავისფერი მინერალური პიგმენტი შეფერილი რკინისა და მანგანუმის ჟანგით. გამოირჩევა ამაღლებული სინათლემედეგობითა და მედეგობით ტუტეებისა და ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ. უძველესი დროიდან იყენებდნენ ფერწერაში, როგორც პიგმენტს. მოიხმარება საღებავების, ლინოლეუმის, მუშამბისა და სხვათა წარმოებაში.

უმტყუნებლობა – 1. მაქსიმალური ალბათობა, რომლის დროსაც მოვლენა (შეცდომა) ითვლება პრაქტიკულად შეუძლებლად; 2. ტექნიკაში, ობიექტის თვისება შეინარჩუნოს სამუშაო მდგომარეობა განსაზღვრულ დროში. გამოიყენება უ. შემდეგი მაჩვენებლები: უმტყუნებლად მუშაობის ალბათობა (ალბათობა იმისა, რომ მოცემული ნამუშევრის ზღვრებში ობიექტის მტყუნება არაა მოსალოდნელი); გამა-პროცენტული ნამუშევარი მტყუნებამდე (ნამუშევარი, რომლის განმავლობაში ობიექტის მტყუნება არ ხდება პროცენტებით გამოხატული ალბათობით); საშუალო ნამუშევარი მტყუნებამდე (ობიექტის ნამუშევარის მათემატიკური მოლოდინი პირველ მტყუნებამდე); საშუალო ნამუშევარი მტყუნებაზე (აღდგენადი ობიექტის ჯამური ნამუშევრის ფარდობა მტყუნებების რიცხვის მათემატიკურ მოლოდინთან ამ ნამუშევრის განმავლობაში); მტყუნებების ინტენსივობა (ობიექტის მტყუნებების გაჩენის ალბათობის პირობითი სიმკვრივე, რომელიც განისაზღვრება იმ პირობით, რომ დროის განსახილველ მომენტამდე მტყუნება არ ხდება); მტყუნებების ნაკადის პარამეტრი (აღდგენადი ობიექტის საკმაოდ მცირე ნამუშევრის მოსალოდნელი მტყუნებების რიცხვის მათემატიკური მოლოდინის ფარდობა ამ ნამუშევრის მნიშვნელობასთან); მტყუნებების ნაკადის გასაშუალებული პარამეტრი (აღდგენადი ობიექტის საბოლოო ნამუშევრის მოსალოდნელი მტყუნებების რიცხვის მათემატიკური მოლოდინის ფარდობა ამ ნამუშევრის მნიშვნელობასთან).

უმფორმერი (გერმ. umformer გარდამქმნელი) – ელექტრული მანქანა, რომელიც მუდმივ დენს გარდაქმნის ცვლად დენად.

უმცირეს კვადრატთა მეთოდი – მათემატიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ამოცანების ამოსახსნელად, დაფუძნებული კვადრატების ჯამის მინიმალიზაციაზე, ზოგი ფუნქციის უცნობი ცვლადების გადახრებით.

უმცირესი სიმრუდის პრინციპი (ჰერცის პრინციპი) – მექანიკის ვარიაციული პრინციპი, რომლის თანახმად, აქტიური ძალების არარსებობისას ნივთიერი წერტილის მოძრაობის ყველა კინემატიკურად შესაძლო (ბმებით განპირობებული) ტრაექტორიებს შორის ნამდვილი იქნება უმცირესი სიმრუდის მქონე ტრაექტორია.

უნგრული პარკეტი – პარკეტის სახეობა, რომლის ელემენტების პირით ზედაპირს არ აქვს როკები და ბზარები, თუმცა დასაშვებია წერტილოვანი 1 მმ-მდე ზომის როკების არსებობა ფართობის არაუმეტეს 3%-ისა. ფერი დამოკიდებულია მერქნის ჯიშზე.

უნივერმაღი (უნივერსალური მაღაზია) – სავაჭრო დიდი მაღაზია საქონლის ფართო ასორტიმენტით, განლაგებული ცალკე შენობაში ან სავაჭრო ცენტრში (ნახ. 1. უნივერმაღის ინტერიერი). გამოირჩევა მაღალი რენტაბლობით, საქონელბრუნვითა და დაბალი საექსპლოატაციო ხარჯებით შენობის შენახვაზე. ერთი უ. მშენებლობა გაცილებით ნაკლებია ჯდება, ვიდრე იმავე ფართობის რამდენიმე მაღაზიისა. უმეტესად აშენებენ დიდი ქალაქის ცენტრალურ რაიონებში.

ნახ. 1

უნივერსალი (ინგლ. universal<ლათ. universalis საერთო, საყოველთაო) – 1. პირი, რომელიც თავისი პროფესიით ყველა სპეციალობას ფლობს; 2. ავტომობილის ძარის ტიპი (სამი რიგი სავარძლებითა და ხუთი კარით).

უნივერსალური – მრავალმხრივი, ყოველმხრივი, ყოვლისშემცველი; სხვადასხვა მიზნით გამოსაყენებელი.

უნივერსალური ელექტროძრავა – თანამიმდევრობითი აგზნების ერთფაზიანი კოლექტორული ძრავა, რომელიც მუშაობს, როგორც ცვლად, ისე მუდმივ დენზე. ორივე შემთხვევაში აქვს თითქმის ერთნაირი სამუშაო მახასიათებლები.

უნივერსალური სერიული მაგისტრალი (კომპ.) [ინგლ. Universal Serial Bus (USB)] – პერიფერიული მოწყობილობების კომპიუტერთან მიერთების სტანდარტიზებული ტექნოლოგია. სხვადასხვა თავსებადი მოწყობილობების მისაერთებლად გამოიყენება კომპიუტერის შესაბამისი პორტი.

უნივერსალური სერიული მაგისტრალის ფლეშ-მეხსიერება (კომპ.) (ინგლ. USB flash drive) – მცირე ზომის, პორტატიული მონაცემების შემნახველი მოწყობილობა, რომელიც უერთდება კომპიუტერის უნივერსალურ სერიულ მაგისტრალს (USB). ფლეშ-მეხსიერებების ტევადობები, მონაცემების ჩაწერისა და წაკითხვის სიჩქარეები განსხვავებულია.

უნივერსამი (ლათ. universalis საერთო) – სუპერმარკეტის პრინციპზე აგებული მაღაზია, რომელშიც საქონელი განთავსებულია ღია ვიტრინებში (ნახ. 1) და მყიდველს საშუალება აქვს მისთვის საჭირო პროდუქცია აიღოს დამოუკიდებლად, ხოლო ფულს გამოსვლისას იხდის სალაროში. სუპერმარკეტისაგან განსხვავდება შედარებით მცირე ზომებით. უ. უმეტესობა სპეციალიზებულია კვების პროდუქტებზე.

ნახ. 1

უნივერსიტეტი (ლათ. universitas ერთობლიობა, ერთობა) – 1. უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს სხვადასხვა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური განყოფილებანი (ფაკულტეტები); 2. სახელწოდება დაწესებულებისა, რომელიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარული ცოდნის ასამაღლებლად. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ აკადემიური ხარისხი. ითვლება, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია დაფუძნებული იყო ძვ. წ. 387 წელს ბერძენი ფილოსოფოსი პლატონის მიერ აკადემოსში ათენთან ახლოს და ასწავლიდნენ ფილოსოფიას, მათემატიკასა და ტანვარჯიშს. ის მიიჩნევა თანამედროვე ევროპული უნივერსიტეტების წინაპრად. უძველეს დროში უნივერსიტეტების არსებობდა ისეთ ქვეყნებსი, როგორებიცაა ჩინეთი, ეგვიპტე და ინდოეთი. შუასაუკუნეების ევროპის პირველი უნივერსიტეტი იყო მანგანის უნივერსიტეტი კონსტანტინოპოლში (ამჟამად სტამბოლი, თურქეტის რესპუბლიკა) დაფუძნებული 849 წელს, შემდეგ მას მოჰყვა ბოლონიის უნივერსიტეტი ბოლონიაში (იტალიის რესპუბლიკა) და პარიზის უნივერსიტეტი პარიზში (საფრანგეთის რესპუბლიკა). შემდეგ გავრცელდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში. ახალგაზრდა მამაკაცები უნივერსიტეტში შედიოდნენ ტრივიუმისა (მოსამზადებელი კლასი გრამატიკაში, რიტორიკასა და ლოგიკაში) და ქვადრივიუმის (მოსამზადებელი კლასი არითმეტიკაში, გეომეტრიაში, მუსიკასა და ასტრონომიაში) შესწავლის დასრულების შემდეგ.

ნახ. 1

საქართველოში ფუნქციონირებს 15 სახელმწიფო და 23 კერძო უნივერსიტეტი, რომელთაგან მაღალი რეიტინგით გამოირჩევიან: თბილისის სახელმწიფო (ნახ. 1), საქართველოს ტექნიკური, ქუთაისის სახელმწიფო, ბათუმის შოთა რესთაველის სახელმწიფო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები და სხვ.

უნივერსლური ათობითი კლასიფიკაცია (უაკ) (ინგლ. Universal Decimal Classification) – ყველა ბეჭდვითი საინფორმაციო წყაროს ათობითი კლასიფიკაციისა და ინდექსაციის ერთიანი საერთაშორისო უნივერსალური სისტემა. ის წარმოდგენილია ცხრილების სახით, რომლის ათ ძირითად განყოფილებაში (კლასში) ჩამოთვლილია მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების ყველა ნაწილი. ამ ცხრილების მიხედვით ნებისმიერ ბეჭდვით წყაროს მიენიჭება ინდექსი და მოიძებნება მისთვის ადგილი ერთიან ბიბლიოგრაფიულ კართოთეკაში.

უნივერსუმი (ლათ. universum ერთობლიობა, ერთობა, ერთიანობა<summa rerum ერთობლიობა ყველაფრის, მსოფლიო როგორც ერთიანი) – ობიექტური რეალობა დროსა და სივრცეში. ზოგადად იგივეა, რაც სამყარო, მთელი ქვეყანა, მსოფლიო.

უნიტაზი (ესპანური კომპანია Unitas-ის სახელის ან ინგლისელი მწარმოებლის, თომას უილიამ ტვაიფორდის მიერ შექმნილი ტუალეტის მოწყობილობის მოდელის – Unitas-ის მიხედვით<ლათ. unitas ერთიანობა, ერთნაირობა, ერთფეროვნება; თანხმობა<ūnus ერთი) – სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა ფეკალური მასისა და წყლის ჩასადენად საპირფარეშოში. ჩამრეცხი სისტემა შეიძლება იყოს ავტომატური ან ნახევრადავტომატური. როგორც წესი, ამზადებენ სანტექნიკური კერამიკისაგან (ნახ. 1). ძირითადი კონსტრუქციული ნაწილებია: ჯამი, ჩამრეცხი ავზი და საჯდომი. არსებობს უ. ჩამრეცხი ავზის გარეშეც, რომლის მოვალეობას ასრულებს ჩამრეცხი ონკანი.

ნახ. 1

უნიფიკაცია (ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ) – გაერთგვაროვნება; ერთიანი ნორმების შემუშავება; გაერთსახოვნება.

უნიფიცირებული ნაკეთობა – ნაკეთობა, მიღებული უნიფიკაციის შედეგად ხარისხობრივად ახალ მდგომარეობაში, რომელიც გამოიყენება ორ ან მეტ კონსტრუქციაში. ის უზრუნველყოფს ურთიერთ შეცვლადობას მანქანების კონსტრუქციულ-უნიფიცირებული რიგის ზღვრებში, ოჯახში ან სისტემაში. მანქანების (კვანძების) კონსტრუქციულ-უნიფიცირებული რიგი არის ერთი და იმავე ან მომიჯნავე ფუნქციური დანიშნულების მანქანების (კვანძების) ერთობლიობა, რომელიც ქმნის ოპტიმალურ ტიპურ ზომათა რიგს, აგებულს მანქანის ძირითადი კვანძებისა და აგრეგატების კონსტრუქციულ მსგავსებაზე. კონსტრუქციულ-უნიფიცირებული მანქანების ოჯახი არის საბაზო მანქანის (ან რამდენიმე საბაზო მანქანის) და ყველა ერთი და იმავე ზომისა და ერთნაირი ან განსხვავებული ფუნქციური დანიშნულების მოდიფიკაციების ერთობლიობა, რომლებსაც აერთიანებთ მთავარი პარამეტრის ერთი მნიშვნელობა, რაც უზრუნველყოფს ამ ოჯახის მანქანების ძირითადი კვანძებისა და აგრეგატების მაღალ უნიფიკაციას.

უნიფლექსი – რულონური საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო მასალა პოლიეთერის ან მინაბოჭკოს საფუძველზე, რომელიც ორივე მხრიდან გაჟღენთილია ბიტუმ-პოლიმერული შემკვრელით. უ. მიეკუთვნება ბიზნეს-კლასის იდეალურ მასალას ნებისმიერი სახის თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციებისა და სახურავების ჰიდროიზოლაციისათვის. მასალა პირის მხრიდან დაფარულია ქვიშის მოყრით, ხოლო ქვედა მხრიდან – პოლიმერული აფსკით. გამოიყენება ბურულის ხალიჩის ზედა ფენის მოსაწყობად, ხოლო თუ მასალა ორივე მხრიდან დაფარულია პოლიმერული აფსკით – რულონის ხალიჩის ქვედა ფენის მოსაწყობად, აგრეთვე სხვადასხვა კონსტრუქციებისა და ნაგებობების ჰირდროიზოლაციისათვის. მისი ძირითადი მწარმოებელია რუსული კომპანია "ტექნონიკოლი". ძველი ბურულის მოუხსნელად სახურავის რემონტის დროს გამოიყენება უნიფლექსი ბენტი (ნახ. 1). ის არის ულპობ პოლიეთერის ან მინაბოჭკოს ქსოვილის

ნახ. 1

საფუძველზე დამზადებული რულონური მასალა, რომლის საფუძვლის ორივე მხარეზე დატანილია ბიტუმ-პოლიმერის შემკვრელი. უნიკალური რელიეფის გამო, ძველ და ახალ ფენებს შორის რჩება ბურულის სასუნთქი არხები, რაც გამორიცხავს საჰაერო ბუშტების გაჩენას და ზედაპირი მიიღება სწორი, ტალღების გარეშე.

უნჯუფა – ძვ. თბილი სახლი.

ურასა – იაკუტების საცხოვრებელი სახლის სახეობა, რომლის ჩონჩხს წარმოადგენს მიწაში ჩაფლული ბოძების რიგი, ზემოდან შეკრული ხის ქერქით.

ურბანიზაცია (ფრანგ. urbanisation<ლათ. urbanus საქალაქო<urbs ქალაქი) – სოფლის მაცხოვრებელთა მიგრაცია დიდ ქალაქებში.

ურბანიზმი (ფრანგ. urbsnisme<ლათ. urbs ქალაქი) – თეორია, რომელიც ქადაქებს მატერიალური და სულიერი კულტურის თავმოყრას დიდ ქალაქებში და ქალაქის შემდგომ განვითარებას.

ურბანისტი – ურბანიზმის მიმდევარი.

ურბანისტიკა – არქიტექტურის დარგი, რომლის საქმეა თანამედროვე დიდი ქალაქების დაპროექტება და მშენებლობა.

ურბანული განახლება (ინგლ. Urban Renewal, ან Urban Regeneration) – სახელმწიფო პროგრამა აშშ-სა და მრავალ სხვა განვითარებულ ქვეყანაში, რომელიც მიზნად ისახავს მჭიდროდ დასახლებული ქალაქური უბნების გადახალისებას. ეს პროცესი 1940-იან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალაქის ზოგად იერზე. ეს მექანიზმები გადამწყვეტ როლს ასრულებს მსოფლიოს ქალაქების ისტორიასა და დემოგრაფიაზე. უ. გ. ითვალისწინებს მცირე თუ დიდი წარმოებების დანგრევას, ადამიანთა გადასახლებას და უძრავი ქონების ნაციონალიზაციას, დაკნინებული საცხოვრებელი უბნების, კომერციული და ინდუსტრიული კვარტლების გადახალისების აუცილებლობას და სხვ.

ნახ. 1

ურდული – 1. საკვალთი, საგდული, რაზა; კარის საკეტი ძელაკი ან ლითონის ღერო; 2. კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი მოწყობილობა (ნახ. 1).

ურელსო ტრანსპორტი – პერიოდული მოქმედების სატრანსპორტო მანქანა, რომელიც გადაადგილდება რელსების გარეშე. პირობითად უ. ტ. შეიძლება იყოს შიდასაამქრო (ტვირთების გადატანა საამქროს, საწყობის ტერიტორიაზე, დასატვირთ-გადმოსატვირთ მოედნებზე და ა.შ.) და შიდასაქარხნო (ტვირთების გადატანა ქარხნის ტერიტორიაზე საამქროებს შორის, დასატვირთ და გადმოსატვირთ პუნქტებს შორის, კარიერებიდან საამქროებამდე და ა.შ.). უ. ტ. მოძრავ შემადგენლობებს მიეკუთვნება: ხელისა და თვითმავალი ურიკები, სატვირთო მოტოროლერები, ელექტრო- და ავტოსატვირთელები, ავტოსაწევრები მისაბმელით, თვითსაცლელი ავტომობილები, მიწასაზიდი ავტომობილები, ელექტრო ავტოსაწევრები დისტანციური მართვით, დიზელ-ტრალერმზიდები და სხვ.

ურთიერთმოქმედება – 1. ურთიერთზე, ერთმანეთზე მოქმედება, ზეგავლენა; 2. ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედება.

ურთიერთშეცვლადობა – ერთი და იმავე ნაკეთობის (დეტალის, საამწყობო ერთეულის) თვისება, რომელიც აწყობის პროცესში მისი დაყენების ან შეცვლის საშუალებას იძლევა წინასწარი მორგების გარეშე, მუშაობისადმი მოთხოვნების დაცვით. უ. საფუძველია ნაკეთობის (დეტალის, საამწყობო ერთეულის) ზომებისა და სხვა პარამეტრების დაშვებათა რაციონალური სისტემა. ის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საშუალებას იძლევა.

ურთიერთშეწონილი ფასი – მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების შედეგი, როდესაც საქონლის რაოდენობა, რომლის შეძენა სურს მყიდველს, შეესაბამება მის იმ რაოდენობას, რომელსაც გამყიდველი სთავაზობს ბაზარს, ანუ უ. ფ. ისეთი დონის ფასია, როდესაც მოთხოვნის მოცულობა შეესაბამება მიწოდების მოცულობას.

ურთხელი (უთხოვარი) (ლათ. Taxus) – ფოთლოვანი მცენარეების ურთხლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მოწითალო-მოყავისფრო თხელი ქერქით (ნახ. 1). სიმაღლეში იზრდება 28 მ-მდე, იზრდება ძალიან ნელა, მაგრამ ხასიათდება სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობით. ხის მაქსიმალური დაფიქსირებული დიამეტრია 4 მეტრი. ქერქისგან ხდიან წებოს. არსებობს ლამაზი ლეგენდა, უთხოვრის შესახებ, რომელიც თამარ მეფეს სახელთან არის დაკავშირებული: ერთ გლეხს ხეივანი გაუშენებია და თამარ მეფის ხე მოსწონებია, უთხოვია მისთვის ეჩუქებინა, მაგრამ თამარ მეფეს უარი უთქვამს, ამიტომაც ამ ხეს უთხოვარი დაერქვა.

ნახ. 1

ნახ. 1

ურიგელო კონსტრუქციული სქემა – სისტემა, რომელსაც არ აქვს რიგელები და გადახურვა მუშაობს როგორც ფილა, დაყრდნობილი ცალკეულ კოლონებზე (ნახ. 1).

ურიკა – 1. მანქანის ან მექანიზმის კვანძი, რომელიც ჩვეულებრივ გადაადგილდება ბორბლებზე (გოგოლაჭებზე). დანიშნულების მიხედვით არსებობს ურიკის სახეები: აკუმულატორიანი, ამწის, არათვითმავალი, გადამწოდი, გადასაადგილებელი, გასაწყობი, თვითმავალი, დაკიდებული, ლიანდაგსაზომი, მოძრავი, მუხლუხა, ორთვალა და ორღერძა, პლატფორმიანი (ნახ. 1), სატვირთო,

ნახ. 1

სატრანსპორტო, ჩამომყრელი, ხელისა და სხვ. სავალი ურიკებით არის აღჭურვილი ბეტონდამგებები რკ.ბ.-ის ნაკეთობათა წარმოებაში, გადამწოდი ურიკა-მბიძგავებით – საყალიბე საამქროებში. გადამწოდი ურიკებია გამოყენებული აგურის დამწყობ-განმტვირთავ და ტრანსპორტირების მოწყობილობებში; 2. ურმის მსგავსი თვლებიანი მომცრო საზიდარი (მაზიდა), რომელსაც ამოძრავებენ ხელით, რამეზე მიბმით ამ მასზე დადგმული ძრავით.

ნახ. 1

ურნა (ლათ. urna<urceus დოქი, კოკა, თუნგი) – 1. კრემაციაქმნილი მიცვალებულის ნეშტის შესანახი კერამიკული, ქვის, იშვიათად – ლითონის ჭურჭელი; 2. ლარნაკი; სითხის შესანახი კერამიკული ან ლითონის ჭურჭელი ანტიკურ რომში; 3. საყოფაცხოვრებო ნაგვის მოსათავსებელი ჭურჭელი (ნახ. 1); 4. სპეციალური ყუთი, რომელსაც აქვს ჭრილი ბიულეტენების ჩასაყრელად ფარული კენჭისყრის დროს.

ურნალი – 1. სამშენებლო მანქანა სახიმინჯე უროს ან ვიბროჩამსობის ჩამოსაკიდად და მიმმართველად, ჩასმისას ხიმინჯის მოსაჭიმად, ასაწევად და მიმმართველად (ნახ. 1). უ. არის ელექტრული, დიზელის, მარტივი, უნივერსალური, თვითმავალი, არათვითმავალი. უ. შედგება მიმმართველი ანძისაგან ხიმინჯისა და უროსათვის; ტვირთამწევი მექანიზმისაგან უროსა და ხიმინჯის ასაწევად; ჩარჩოსაგან, რომელზეც მონტაჟდება ყველა მექანიზმი; სავალი მექანიზმისაგან თვითმავალი ურნალებისათვის; 2. სამთოტექნიკური ნაგებობა, რომელიც უშუალოდ შახტის თავზეა აღმართული. გამოიყენება შახტიდან მადნეულის ამოსაღებად და სატრანსპორტო საშუალებებში ჩასატვირთად. ის შეიძლება იყოს დროებითი (ასაწყობ-დასაშლელი) და მუდმივი მოქმედების (სტაციონალური); მისი დამზადებისათვის ძირითადად ხისა და ფოლადის კონსტრუქციები გამოიყენება; 3. დანადგარი, რომლის მეშვეობით ხდება მსხვილი ლითონის ჯართის დამსხვრევა; 4. მოწყობილობა დარტყმითი მექანიკური გამოცდებისთვის.

ნახ. 1

ურო (ვარიოზი) (ინგლ. hammer<ძვ. სკანდ. hamarr ქვის ინსტრუმენტი) – 1. დიდი ჩაქუჩი (ნახ. 1); 2. ლითონის ნამზადების სამჭედლო მანქანა, რომელიც მუშაობს ვარდნილი ნაწილის დარტყმის მეშვეობით. არსებობს უ. ჭედვის (ნახ. 2. სამჭედლო ურო), მოცულობითი და ფურცლოვანი შტამპვისათვის. ამძრავის მიხედვით უ. არის ორთქლჰაეროვანი, რომელიც მოქმედებს ორთქლის ან შეკუმშული ჰაერისაგან; პნევმატიკური, რომელიც მოქმედებს ჰაერის შეკუმშვა-გაჯერების ხარჯზე; მექანიკური, რომლის მოძრავი ნაწილები მექანიკურად არის დაკავშირებული ძრავთან; ჰიდრავლიკური, რომლებიც მოძრაობაში მოიყვანება მაღალი წნევის სითხის დაწნევითა და სხვ. მუშაობის ხერხის მიხედვით განასხვავებენ მარტივ (ვარდნილი ურიკა) და ორმაგი მოქმედების უ. (უფრო ხშირად გამოიყენება), როდესაც ვარდნილ ნაწილებს დამატებით აჩქარებას ანიჭებენ. არსებობს უ. შაბოტის გარეშე, რომელსაც აქვს ერთმანეთის შემხვედრად თანაბარი სიჩქარით მოძრავი კინემატიკურად დაკავშირებული კუტი, რის შედეგადაც დარტყმის ენერგია არ გადაეცემა საძირკველს. სულ უფრო მეტ

გავრცელებას პოულობს მაღალი სიჩქარის უ., რომელთა კუტის სიჩქარე აღწევს 25 მ/წმ (ჩვეულებრივ უ. კუტის სიჩქარეა 3-6 მ/წმ); 3. 7,26 კგ წონის სფერული სატყორცნელი სასპორტო იარაღი (ნახ. 3).

ნახ. 1

ნახ. 2

ნახ. 3

უსადენო დამცავი სისტემა – სისტემა ან სისტემის ნაწილი, რომელსაც შეუძლია შეტყობინების მიღება-გაცემა სადენის გარეშე.

უსადენო ლოკალური ქსელი (კომპ.) [ინგლ. Wireless Local Area Network (WLAN)] – უსადენო კომპიუტერული ქსელი, რომელიც აკავშირებს მოწყობილობებს ერთი ან რამდენიმე მიმდებარე შენობის ფარგლებში სხვადასხვა რესურსის განაწილებისა და მონაცემთა გაცვლის მიზნით.

უსადენო წვდომის წერტილი (კომპ.) (ინგლ. wireless access point) – კომპიუტერულ ქსელში უმეტესად სადენით ჩართული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, სათამაშო კონსოლები და სხვ. შესაბამისი აპარატურული საშუალებებით უსადენოდ უკავშირდება იმავე ქსელს.

უსასრულო – საზღვრების არარსებობა და საგნის რაოდენობრივ და თვისებრივ მახასიათებელთა უსაზღვრობა. შემეცნების პროცესში უსასრულო ობიექტების აზრობრივი განხილვა არის გარკვეული აბსტრაქცია, რადგან უსასრულობა არ შეიძლება იყოს ემპირიულად განცდადი. ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში უსასრულოს ცნება მოდელირდება უსასრულო სიმრავლეთა ცნებით.

უსასრულობა – ადამიანური აზროვნების კატეგორია, რომელიც გამოიყენება უსაზღვრო, ამოუწურავი საგნებისა და მოვლენების დასახასიათებლად, რომელთათვისაც შეუძლებელია საზღვრისა და ზომის რაოდენობრიობის მითითება. ხშირად გვხვდება მათემატიკასა და ფიზიკაში, და აღნიშნავს მახასიათებელს საზღვრის ან დაბოლოების გარეშე. მათემატიკის სხვადასხვა დარგში წარმოიშვა სასრულის საპირისპიროდ.

უსასრულოდ დიდი – ცვლადი სიდიდე, რომელიც მოცემულ პროცესში ცვლილებისას ხდება და რჩება აბსოლუტური სიდიდით მეტი ნებისმიერ წინასწარ დასახელებულ რიცხვზე.

უსასრულოდ მცირე – ცვლადი სიდიდე, რომელიც მოცემულ პროცესში ცვლილებისას ხდება და რჩება აბსოლუტური სიდიდით ნაკლები ნებისმიერ წინასწარ დასახელებულ რიცხვზე.

უსასრულოდ მცირე გაღუნვა – ცნება, რომელიც პირველად წარმოიშვა სამგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეში S ზედაპირის დეფორმაციის აღწერისას, რომლის დროსაც S ზედაპირზე წირის სიგრძის ცვლილება წარმოადგენს უფრო დაბალი რიგის მცირე სიდიდეს, ვიდრე ამ წირის წერტილებს შორის სივრცითი მანძილის ცვლილება.

უსასრულოდ მცირე სიდიდე – ცვლადი სიდიდე, რომლის ზღვარი ნულის ტოლია. უ. მ. ს. მათემატიკური ანალიზის ძირითადი ცნებაა, რომელიც გამოიყენება უფრო რთული ცვლადი სიდიდეების შესასწავლად.

უსაფეხურო გადაცემა – გადაცემის თანაფარდობის (რიცხვის) მდოვრედ შეცვლის მექანიზმი, რომელიც შეიძლება იყოს მექანიკური, ელექტრული და ჰიდრავლიკური. შედარებით ფართოდაა გავრცელებული მექანიკური უსაფეხურო გადაცემა: ფრიქციული – დრეკადი ელემენტით (სოლური ღვედი ან სპეციალური ჯაჭვი) და გასაწევი კონუსური ბორბლებით, ხისტი რგოლებით (გორგოლაჭებით, ჯამებით), შუალედური ბურთულებითა (სფეროებით) და სხვ. მექანიკურ და ჰიდრავლიკურ უ. გ. ვარიატორებს უწოდებენ.

უსაფრთხოება – 1. მოღვაწეობის მდგომარეობა, რომლის დროსაც გამორიცხულია საშიშროების გამოვლენა. უ. განსაზღვრავს იმის თავდაჯერებულობას, რომ არსებული საფრთხეები არ გამოიწვევს ზიანს. სამუშაო ადგილი შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ, თუ იქ წარმოქმნილი რისკები წინასწარაა გამოვლენილი და შეფასებული; 2. დაცვის ობიექტის მდგომარეობა, რომლის დროსაც მასზე ნითიერებების, ენერგიებისა და ინფორმაციების ყველა ნაკადის ზემოქმედება მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობას არ აღემატება; 3. შინაგანი და გარეგანი საფრთხეებისგან პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობა. უ. ნიშნავს არა მარტო საფრთხეებისგან სოციუმის რეალურ დაცულობას, არამედ ნებისმიერ პირობებში მის სტაბილურ განვითარებას; 4. უბედური შემთხვევების ავარიებისა და კატასტროფების არასასურველი შედეგებისაგან ადამიანის, გარემოს, სამრეწველო ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცული მდგომარეობა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ტერმინ „უსაფრთხოებას" საფუძვლად უდევს ტერმინი „საფრთხე", რომელიც ამავე ლექსიკონში განმარტებულია, როგორც საშიში, სახიფათო რამე, ხიფათი, საშიშროება. არსებობს უსაფრთხოების სახეები: ბიომეტრული, ბირთვული, ვირუსული, ელექტრო, ინფორმაციული, მეტეოროლოგიური, მშენებლობის, რადიაციული, საგზაო, საველე, საზღვაო, სანიტარული, სარკინიგზო, სატრანსპორტო, საწარმოო, სახანძრო, საჰაერო, ტექნოგენური, ფრენის, შრომის დაცვისა და სხვ.

უსაფრთხოება ბუნებრივი – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანისა და გარემო ობიექტების დასაცავად ისეთი ბუნებრივი ფაქტორებისაგან, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ქარიშხალი და ა.შ.

უსაფრთხოება ეკოლოგიური – პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობა საფრთხეებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება გარემოზე ანთროპოგენული ან სხვა ზემოქმედების შედეგად.

უსაფრთხოება შრომის – შრომის პირობების მდგომარეობა, რომლის დროსაც მომუშავეზე არ მოქმედებს საშიში და მავნე ფაქტორები.

უსაფრთხოების არქიტექტურა – უსაფრთხოებას მიკუთვნებული ობიექტებისა და მონაწილეების არქიტექტურა, აგრეთვე, ინფორმაციისა და ნაკადების სრული უმრავლესობა უსაფრთხოების მახასიათებლების რეალიზაციის მიმართ.

უსაფრთხოების დეკლარაცია – დეკლარაცია, რომელშიც ასახულია სამრეწველო ობიექტის საფრთხეთა ხასიათი და მასშტაბი, რომელიც წარმოიქმნება საწარმოო საქმიანობის პროცესში, აგრეთვე სამრეწველო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსი და ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციაში მოქმედებისათვის მზადყოფნა. დეკლარაცია უნდა შემუშავდეს როგორც მოქმედი, ისე დაპროექტების სტადიაზე მყოფი საწარმოსათვის.

უსაფრთხოების ნიშანი – გარკვეული სიდიდისა და ფერის ფირფიტა ტექსტით ან გამოსახულებით: ამკრძალავი, მაფრთხილებელი, მაჩვენებელი.

უსაფრთხოების სისტემა – ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია როგორც შიგნიდან, ისე გარედან ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედებისგან დასაცავად.

უსაფრთხოების სისტემის ტექნიკური საშუალებები – ტექნიკურ გადაწყვეტილებათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტის კონტროლს. თანამედროვე უსაფრთხოების სისტემები ესაა მაღალტექნოლოგიური პროგრამულ-სააპარატო კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ თვალთვალის, პერიმეტრის დაცვის, სახანძრო და დამცავი სიგანლიზაციის სისტემებს, ასევე, დაშვების მართვისა და კონტროლის სისტემებს და სხვ.

უსაფრთხოების ტექნიკა – ორგანიზაციული ღონისძიებებისა და ტექნიკური საშუალებების სისტემა, რომლის მიზანია საშიში საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილება. უ. ტ. იგულისხმება: საწარმოო მოწყობილობების, პროცესების უსაფრთხოება; საწარმოში ახალი მანქანების, მექანიზმების, ინსტრუმენტების, შემოღობვითი და მაბლოკირებელი სისტემების, ავტომატური სიგნალიზაციის, კომპიუტერული სისტემების დანერგვა და სხვ.

უსახო – სადა ზედაპირის მქონე, რაზედაც არაფერი არ არის გამოსახული.

უსწორმასწორო – არასწორი, მრუდე, უთანასწორო, ოღროჩოღრო.

უსწორო – იხ. უსწორმასწორო.

უტილი (ლათ. utilis გამოსადეგი) – მოუჭიქავი გამომწვარი ნაკეთობა კერამიკულ წარმოებაში.

უტილიზაცია (ინგლ. utilization<ლათ. utilis სასარგებლო) – 1. რაიმეს სასარგებლოდ გამოყენება (მაგ., ნარჩენების უტილიზაცია); 2. ძირითადი ნედლეულის ნარჩენების კვლავ სასარგებლოდ გამოყენების პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა უვარგისი ნარჩენებიდან კვლავ მივიღოთ სახალო მეურნეობისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, მასალა, ენერგია, ნაკეთობა და სხვ. ასეთებია: ქაღალდი, მუყაო, გაზეთი, ქსოვილი, შესაფუთი მასალები, მინისტარა, მინაშპალერი, აგური, ბეტონი, მინა, ლითონები, ქიმიური რეაქტივები, ბიტუმი, ზეთი, ასფალტი, სხვადასხვა სახის პლასტმასი (პოლიეთილენტერეფტალატი,

პოლივინილქლორიდი, პოლიეთილენი, პოლისტირენი და ა.შ.), ავტომობილის საბურავი, რეზინა, ჩამდინარი წყლები, აკუმულატორი, მავთული, მექანიკური და ელექტროხელსაწყო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, ბიოგაზი და სხვ.

უტილიტარული (ლათ. utilitas სარგებლობა) – პრაქტიკული, გამოყენებითი.

უტოლობა – მათემ. ტერმინი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ესა თუ ის სიდიდე მეტია (>) ან ნაკლებია (<) მეორეზე.

უტყეო მიწა – სპეციალური სამეურნეო დანიშნულების სავარგულები და მიწა, უვარგისი ტყის გასაშენებლად ან ვარგისი სამელიორაციო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ.

უფლება აქცესორული – უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება ის არსებობდეს (მაგ., იპოთეკის უფლება აქცესორული უფლებაა ვალის მოთხოვნის უფლებასთან მიმართებაში).

უფლებრივი ზონირება – ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი დასახლებათა ტერიტორიების ცალკეული ზონებისათვის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პირობების დადგენა.

უფლისციხე (ინგლ. Uflistsikhe) – კლდეში ნაკვეთი ქალაქი, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და საქალაქო ცენტრი. მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორის აღმოსავლეთით 10 კმ-ში, სოფელ ქვახვრელის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას (ნახ. 1. უფლისციხის ადგილმდებარეობის რუკა; ნახ. 2. პანორამული ხედი; ნახ. 3. საერთო ხედი). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: დიდი კლდეკარი (გრძელი ნაგებობა ანუ გვირაბი), მცირე კლდეკარი, დასავლეთის ეკლესია, ეზოიანი და ერდოიანი სახლები, ერთსვეტიანი (ნახ. 4) და კესონებიანი (ნახ. 5) დარბაზები, კოხტა სახლი, მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობა, მიუვალი ნაგებობა, სადა ოთახი, ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი (ნახ. 6) დარბაზების (მთავარი ტაძრის) კომპლექსი, უფლისწულის ეკლესია (ნახ. 7; ნახ. 8), ქარაფისპირა სახლი, ქუჩისპირა ბაქანი, შეწყვილებულ კოჭებიანი დარბაზი, წითელი ოთახის კომპლექსი, მაგისტრალური და დამხმარე გზების სისტემა, წყალსაწრეტი არხების ქსელი, ეკლესია და სხვ.

ნახ. 1

უ. წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეში იხსენიება, თუმცა ნაქალაქარში დაცულია არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან იქმნებოდა უ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომლის ძირითადი ნაწილი უმთავრესად გამოკვეთილია ადრინდელ ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV საუკუნეები), როცა იგი შიდა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცენტრი და დიდხანს სამეფო ქალაქიც იყო. ძვ. წ. II-I სს. უ. ტიპური ელინისტური ქალაქია თავისი ციტადელით, ქალაქით, საგარეუბნო

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, სოციალური იერით, ვაჭრობით, ხელოსნობით და ა.შ. IV ს.

30-იან წლებში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, უ. საქალაქო ცხოვრება დაქვეითდა, მაგრამ ფეოდალურ ხანაში იგი მაინც უძლიერეს ციხესიმაგრედ ითვლებოდა. VIII ს. ქართლის ქალაქებს შორის ერთ-ერთი უპირველესი ფორპოსტი იყო საქართველოს არაბებისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. IX-X სს. ციხე-ქალაქი პოლიტიკური მოვლენების ცენტრში მოექცა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. მის დასაუფლებლად იბრძოდნენ ქართველი ბაგრატიონები, ტაო-კლარჯეთისა და სომხეთის მეფეები, აფხაზეთისა და კახეთის მთავრები, არაბი სარდლები. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ერთი პერიოდი, უფლისციხე საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის რეზიდენცია გახდა და იქ შიდა ქართლის მმართველად, რამდენიმე წლის განმავლობაში, დედამისი, გურანდუხტ დედოფალი იჯდა. მონღოლების მრავალგზისი შემოსევების (XIII ს. პირველი ნახევარი) შედეგად უ. ძლიერ დაზიანდა, ხოლო XV ს. საბოლოოდ დაეცა და გვიანდელ ფეოდალურ ხანაში დაიცალა მოსახლეობისგან.

ნახ. 2

ნახ. 3

უფლისციხე გამოკვეთილია კვერნაქის ქედის სამხრეთ ფერდობზე ქვიშაქვის მასივში და მისი საერთო ფართობი 9,5 ჰექტარია. უშუალოდ კლდეში ნაკვეთი კომპლექსი მიეკუთვნება შუა საუკუნეებს. შედარებით უკეთაა დაცული შიდა ქალაქი (ფართობი 4 ჰა), რომელიც მთელი ძეგლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. იგი დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან ბუნებრივადაა დაცული. აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდან კი შემოვლებული ჰქონდა კლდეში გაჭრილი დიდი თხრილი, რომელსაც შიგა მხარეს ოთხკუთხაკოშკებიანი განიერი კედელი მიუყვებოდა. ქალაქი დასერილია კლდეში ნაკვეთი ქუჩების ქსელით, მათგან ერთი მაგისტრალურია, ხოლო დანარჩენი – გვერდითი, რომელთა გაყოლებით სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, დარბაზი და ნაგებობაა შემორჩენილი. გამოქვაბულები განლაგებულია ცალკე ჯგუფებად, ზოგი ერთმანეთთან დაკავშირებულია ფართო გასასვლელებითა და გზა-ბილიკებით. ქალაქის ზედა ნაწილში განლაგებული დარბაზების კომპლექსიდან

ნახ. 4

აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზი, რომლის ნახევარწრიული კამარა დამუშავებულია კლდეშივე ნაკვეთი რვაკუთხა კესონებით (ნახ. 5).

კლდეში ნაკვეთი საცხოვრებელი და საზოგადო დანიშნულების სათავსები ტერასებადაა განლაგებული. ქალაქს შემოვლებული ჰქონდა მძლავრი ქვის გალავანი რამდენიმე შესასვლელით. ჩრდილოეთით მდებარე მთავარი შესასვლელი (დიდი კლდეკარი) წარმოადგენს კლდეში ამოკვეთილ თავგახსნილ გვირაბს (სიგრძე 150 მ, სიგანე 2,5 მ, სიმაღლე 10 მ-მდე). თარიღდება ძვ. ს. IV-III საუკუნეებით. ის იყო უძველესი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მცირე კლდეკარი, რომელიც მთლიანად კლდეშია ჩაკვეთილი (სიგრძე 60 მ, სიგანე 1,5 მ) და წარმოადგენს შიდა ქალაქში ძირითად შესასვლელს. არსებობდა აგრეთვე, სამხრეთით მდებარე, საიდუმლო გვირაბი (პოტერნა) დიამეტრით 3 მ, რომელიც მდ. მტკვრის ნაპირზე ჩადიოდა.

ნახ. 5

შიდა ქალაქის შუა უბანში, ამაღლებული კლდის მასივზე მდებარეობს აგურით ნაშენი უფლისწულის ეკლესია (სამეკლესიიანი ბაზილიკა) გეგმაში ზომებით 18,5x13,8 მ, რომელიც სტილისტიკური ნიშნებით IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება. იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემონახული (ნახ. 7). დაგეგმარების მხრივ აღსანიშნავია დაახლოებით ერთი სქემით განლაგებული კომპლექსები: ეზო, წინიდან პორტალის მსგავსი ღია სადგომი, სიღრმეში კი სიგრძივი (თუ ერთი ან ორი ოთახია) ან სიგრძივი და განივი ღერძების მიხედვით (თუ ოთახთა რაოდენობა მეტია) დაჯგუფებული ოთახები. ეს კომპლექსები თავისი სტრუქტურებით ვანის ქვაბებს ენათესავება.



ნახ. 6

უფლისციხესა და მის ცივილიზაციაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი არტეფაქტები: გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის წარმართული სალოცავის ნანგრევები ყათლანიხევის ბორცვზე, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, მარნები, ვაზის სასხლავი დანები,

ნახ. 7



ნახ. 8

ბრინჯაოსა და კაჟის ნამგლები, ანტიკური კერამიკული მილები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები და სამშვენისები, ქანდაკებები, რკინის სახნისები, კევრები, ყურძნის მარცვლის წიპწები და ა.შ. ხელოსნური ნაწარმის სიმრავლით, მრავალფეროვნებითა და მხატვრული სინატიფით უფლისციხე ძველი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად ითვლება. ამჟამად, უფლისციხის კომპლექსი საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს წარმოადგენს.

უფორმო – რასაც გარკვეული ფორმა არ აქვს; რაც ფორმას არ შეესაბამება.

უფსკრული – 1. მეტისმეტად ღრმა, თვალჩაუწვდენი ხევი, ხრამი; 2. გადატ. დიდი ხიფათი, ფათერაკი, დაღუპვა; შეურიგებელი უთანხმოება.

უქიმერიონი – 1. VI საუკუნის ისტორიული ციხე-სიმაგრე დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა; 2. გორა ქუთაისში სადაც დგას ბაგრატის ტაძარი.

უცვლელი სისტემა – მექანიკური სისტემა, რომელშიც ცალკეულ ნივთიერ წერტილებს შორის მანძილი უცვლელი რჩება.

უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა.

უძრავი საყრდენი – საყრდენი, რომელიც ახორციელებს სხეულის ერთ წერტილში უძრავად ჩამაგრებას.

უძრავი ქონება – უძრავ ქონებაზე მიკუთვნებადობის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ობიექტის მტკიცე კავშირი მიწასთან და მისი გადაადგილებადობის შეუძლებლობა დიდი მატერიალური დანახარჯების გარეშე. მას მიეკუთვნება: შენობები, ნაგებობები და დაუმთავრებელი მშენებლობები. მშენებლობა უძრავ ქონებად რეგისტრაციის დროს ფიქსირდება როგორც შენობა. უძრავი ქონების რეგისტრაციისას კი აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ობიექტის ტექნიკური (მაგ., მონტაჟი სპეციალურ საძირკველთან, სტაციონალური კომუნიკაციების მიყვანა, მშენებლობის კაპიტალურობა, ნულოვანი ციკლის სამუსაოების ხასიათი და სხვ.) და იურიდიული კრიტერიუმები.

უძრავი ქონების დეველოპმენტი – დაპროექტების პროცესი, რომელიც მატერიალურ-ნივთობრივი შემადგენლობის მხრივ მოიცავს 2 ნაწილს: 1) სამშენებლო ან სხვა რაიმე სახის სამუშაოები შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე; 2) ფუნქციური გამოყენების თვალსაზრისით, შენობა-ნაგებობების ან მიწის შეცვლა.

უწესივრობა – ობიექტის მდგომარეობა, რომლის დროსაც ის არ შეესაბამება ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილ ერთ მოთხოვნასაც კი.

უწვი მასალა – მასალა, რომელიც ცეცხლისა ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით არ აალდება, არ ღვივდება და არ ნახშირდება. მას მიეკუთვნება: ლითონი, ბეტონი, დუღაბი, ბლოკი, აგური, არმოცემენტი, მინა, ქვა და სხვ.

უწონობა – მატერიალური სხეულის მდგომარეობა, რომელშიც მასზე მოქმედი გარე ძალები ან მისი მოძრაობა არ იწვევს ნაწილაკების ურთიერთდაწოლას. სხეული იმყოფება უწონობის

მდგომარეობაში, თუ სხეულში გამოყოფილ ნებისმიერ ელემენტზე მოქმედი შიგა ძალების ტოლქმედი წულის ტოლია.

უწყება – 1. მოკლე ოფიციალური წერილი, შეტყობინება ვისიმე სადმე მიწვევის შესახებ; 2. დაწესებულება ან დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ემსახურება სახელმწიფო მმართველობის რომელიმე დარგს.

უწყვეტი გარემო – გარემო, რომელიც განიხილება როგორც უწყვეტი და მხედველობაში არ მიიღება მისი დისკრეტული ატომურ-მოლეკულური აგებულება. განასხვავებენ: ერთგვაროვან, არაერთგვაროვან, იზოტროპიულ და ანიზოტროპიულ უ. გ. ფართოდ გამოიყენება აირებისა და სითხეების მექანიკაში, დრეკადობის თეორიაში, ელექტროდინამიკაში და სხვ.

უწყვეტი გარემოს მექანიკა – მექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის აირის, სითხის, პლაზმისა და დეფორმირებადი მყარი სხეულის მოძრაობასა და წონასწორობას. უ. გ. მ. განეკუთვნება ჰიდროაერომექანიკა, აირების დინამიკა, დრეკადობის თეორია, პლასტიკურობის თეორია და სხვ. უ. გ. მ. ძირითადი დაშვებაა ის, რომ ნივთიერება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უწყვეტი, მთლიანი გარემო, უგულებელვყოთ მისი მოლეკულური (ატომური) აგებულება და ერთდროულად მისი ყველა მახასიათებელი (სიმკვრივე, ძაბვა, ნაწილაკთა სიჩქარეები და სხვ.) ჩავთვალოთ უწყვეტი განაწილების მქონე სიდიდეებად. ეს გამართლებულია იმით, რომ მოლეკულათა ზომები ბევრად მცირეა იმ ნაწილაკთა ზომებზე, რომლებიც განიხილებიან ამ დარგში თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დროს.

უწყვეტი კვების წყარო (UPS) – მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ქსელში ძაბვის მნიშვნელოვანი ვარდნის ან "დენის წასვლის" შემთხვევაში აპარატურას (არა მარტო კომპიუტერულს) გარკვეული დროის განმავლობაში კვლავ მიეწოდება ელექტროენერგია.

უხილავი ზედაპირი – ექსპლუატაციაში მყოფი ნაკეთობის ზედაპირი, უხილავი წინა და გვერდითი მხრიდან.

უხმაურო – რაც ხმაურს არ იწვევს, რასაც ხმაური არ ახლავს; ჩუმი.

უჯარმის ციხე (ინგლ. Ujarma Fortress) – ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი, ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთის მხარეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმის ჩრდილოეთით 4 კმ-ის დაშორებით, გომბორის უღელტეხილის მახლობლად, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე (ნახ. 1. უჯარმის ციხე-ქალაქის რეკონსტრუქცია. ავტორი აკად. ირაკლი ციციშვილი). უჯარმის აშენების პერიოდად III-IV საუკუნეთა მიჯნა, მეფე ასფაგურის მეფობის პერიოდი მიიჩნევა. მის მშენებლობა-გაძლიერებაზე ზრუნავდნენ მეფეები ვახტანგ გორგასალი და დაჩი (V საუკუნის მეორე ნახევარში ცოტა ხნით უჯარმა ქართლის სამეფოს დედაქალაქიც კი იყო). მათ დროს აიგო ციტადელი მძლავრი კოშკებითა და მტკიცე კედლებით, სასახლეებით და ეკლესიებით. მას



ნახ. 1

შემდეგ რაც ვახტანგ მეფემ V საუკუნის მეორე ნახევარში უჯარმა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია, ციხე-ქალაქმა განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა. IV-VIII უჯარმა საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ისტორიაში. უჯარმის კომპლექსი ორ ნაწილად იყოფა: ქვედა ციხე (გალავანი, კოშკები) და შიდა ციხე (სასახლე, კუთხური კოშკი, ეკლესია „ჯვარ-პატიოსანი“, დიდი შენობა, დიდი წყალსაცავი, მცირე წყალსაცავი, ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, გალავანი, კოშკები). გამოვლენილია ძეგლის მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი: პრველ პერიოდში (III-X საუკ.) მიმდინარეობდა ციხე-ქალაქის მშენებლობა ერთიანი გეგმით; მეორე პერიოდში (X-XIII საუკ.) ძირითადად აღუდგენიათ მორღვეული და დაზიანებული ზღუდე-კოშკები, აუგიათ საცხოვრებელი თუ სამეურნეო შენობები; მესამე პერიოდში (XVI-XVIII საუკ., გვიანი ფეოდალური ხანა) წარმოებდა შიდა ციხის ნაგებობათა და კოშკების მცირე შეკეთება. ყველა კოშკი (სულ 17 კოშკი) და გალავანი (სიგრძით დაახლოებით 700 მ) აგებულია ადგილობრივი ქვის წესიერი კვადრებით. ქვების გარეპირი მოსწორებულია და ნაპირები წათლილი, რაც მათ მკვეთრ მართკუთხოვან ფორმას ანიჭებს. ქვები დაწყობილია ზუსტ ჰორიზონტალურ რიგებად კირის დუღაბის თხელ ფენაზე. ქვების ზომები იცვლება 12-26 სმ-ის ფარგლებში, თუმცა კუთხეების გადაბმის ადგილებში გვხვდება 50-70 სიგრძის კვადრებიც. ქვების წყობის ხასიათის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უჯარმაში გვაქვს ელინისტური სამშენებლო ტექნიკის ე.წ. იზოდომის თვალსაჩინო მაგალითი. ამჟამად ციხის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი (ნახ. 2. უჯარმის ციხის ნაშთის საერთო ხედი; ნახ. 3. ციხის ნანგრევები). უჯარმის ციხე-ქალაქისათვის ადგილმდებარეობის შერჩევა, საერთო კომპოზიცია, ნაგებობათა დიადი, სადა, ხალისიანი ფორმები, არქიტექტურული ფორმებისა და დეტალების დახვეწილი გემოვნება და მშენებლობის სრულყოფილი ტექნიკა საფუძველს იძლევა უჯარმა საქართველოს ციხე-სიმაგრეთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო და თავისებურ ძეგლად განვიხილოთ.

ნახ. 2

ნახ. 3

უჯერი (გაუჯერებული) – ის რაც არ შეიცავს რაიმე ნივთიერების ზღვრულ რაოდენობას. მაგ., უჯერი დუღაბი, რომელშიც გახსნილი ნივთიერების კონცენტრაცია ნაკლებია, ვიდრე გაჯერებულ დუღაბში, და რომელშიც, მოცემულ პირობებში, კიდევ შეიძლება ამ ნივთიერების გახსნა.

უჯრა – გამოწევით გასახსნელი რისამე შესანახი ყუთი (მაგიდისა, კარადისა და მისთ.).

უჯრედი – 1. თითოეული მართკუთხედი, რომელიც მიღებულია პარალელური და მართობული ხაზების გადაკვეთით; 2. რისამე (ბადის, ფიჭის, სტრუქტურისა და სხვ.) ცალკეული დანაყოფი; 3. ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული – ცოცხალი ნივთიერების ძირითადი ფორმა, რაც დამახასიათებელია ცხოველური და მცენარეული სამყაროსათვის.

უჯრედოვანი – უჯრედების მქონე, უჯრედებისგან შემდგარი.

უჯრედოვანი მინა – იხ. ქაფმინა.

უჯრედული ლენტი – ბამბეულის ლენტი სარჟული ან დიაგონალური გადახლართვით. გამოიყენება ელექტროსამონტაჟო სამუშაოებში, სამხედრო ტანსაცმლისა და აღჭურვილობის წარმოებაში, ზედა ტანსაცმლის ნაკერების კიდეების შემოსაკონტურებლად, ნაკეთობების შესაფუთად, საკანცელარიო საქონლის (საქაღალდეების) დასამზადებლად, წიგნის ყდაში ჩასასმელად და სხვ.

ფ

ფაბლეტი (კომპ.) (ინგლ. phablet) – სმარტფონი ისეთი ზომის ეკრანით, რომელიც შუალედურია ტიპურ სმარტფონსა და პლანშეტურ კომპიუტერს შორის.

ფაბრიკა (ლათ. fabrica სახელოსნო) – მანქანების გამოყენებაზე დაფუძნებული გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმო, სადაც ესა თუ ის პროდუქცია იწარმოება (ნახ. 1. სამკერვალო ფაბრიკა). ეკონომიკური თვალსაზრისით ფაბრიკასა და ქარხანას შორის განსხვავება არ არის.

ნახ. 1

ფაბრიკატი (ლათ. fabricates დამზადებული) – გადამამუშავებელი მრეწველობის დამთავრებული პროდუქტი, მზა ნაწარმი.

ფაბრიკაცია (ლათ. fabricātiōn<fabricātus გაკეთება<შუა ფრანგ. fabrique ფაბრიკა<ლათ. fabrica ხელობა, განსაკუთრებით ლითონების დამუშავება და მშენებლობა; სახელოსნო) – 1. რაიმეს დამზადების ან გამოგონების პროცესი; 2. გადატ. რაიმე ნაყალბევის შეთხზვა-გავრცელება.

ფაგი (ბერძ. phagos მჭამელი) – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს მჭამელს, შთანმთქმელს (მაგ., ბაქტერიოფაგი).

ფაზა (ფრანგ. phase<ბერძ. phasis გამოჩენა) – 1. პერიოდი, საფეხური რომელიმე მოვლენის განვითარებაში; 2. გენერატორის გრაგნილების ცალკეული ჯგუფი, აგრეთვე მასთან შეერთებული სადენი, რომლითაც ელექტროდენი გადაიცემა; 3. შენადნობის სტრუქტურული მდგენელი, რომელსაც აქვს ერთგვაროვანი (ჰომოგენური) კრისტალური აგებულება და აგრეგატული მდგომარეობა, გამოყოფილი სხვა ნაწილებისაგან ზედაპირული საზღვრით, რომლის დარღვევისას შემადგენლობა და თვისებები იცვლება ნახტომისებურად. ფაზის სახეებია: აირგანაწილების, აირული, ბოლო, გეომეტრიული, დისპერსიული, თანაწონასწორული, თხევადი, ინკონგრუენტულად დნობადი, თერმოდინამიკური, ინკონგრუენტულად ხსნადი, კონგრუენტული, კონდენსირებული, კრისტალთშორისი, მდოვრე, მთვარის, მოსაზღვრე, მყარი, პირველადი, რხევის, საწყისი, ტოპოლოგიური, უწონასწორო, შეუღლებული, ძვრის, ცვლადი შედგენილობისა და სხვ.

ფაზა რხევებისას – სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს რხევითი პროცესის მდგომარეობას დროის თითოეულ მომენტში. იზომება პერიოდის მეათედებში, ხოლო სინუსოიდური სიდიდეებისათვის – რკალურ და კუთხურ ერთეულებში.

ფაზენდა (პორტ. fazenda მამული) – ზოგიერთ ქვეყანაში (ბრაზილია, არგენტინა, პორტუგალია) მსხვილი მამულის აღმნიშვნელი ტერმინი.

ფაზომეტრი (ბერძ. phasis გამოჩენა და métron გაზომვა) – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება როგორც ერთფაზა, ისე სამფაზა ცვლადი დენის წრედებში სიმძლავრის კოეფიციენტის გასაზომად.

ფაზური სიჩქარე – ნივთიერი წერტილის გადაადგილების სიჩქარე, რომელსაც სივრცეში მოცემული მიმართულებით აქვს რხევითი მოძრაობის მუდმივი ფაზა. როგორც წესი, ეს მიმართულება თანხვედილია ტალღური ვექტორის მიმართულების, და ფაზური ეწოდება სიჩქარეს, რომელიც იზომება სწორედ ამ მიმართულებით (თუ სხვა მიმართულება არ არის მითითებული).

ფათხა (ფათხი, ჩხაჟი) – ბადის საქსოვარი ჩხირი. დამატებით იხ. ჩხირი.

ფაიალიტი (რკინის ქრიზოლითი) [ფრანგ. fayalite<კუნძულ ფაიალის (აზორის კუნძულები) სახელის მიხედვით] – რკინით მდიდარი ოლივინის ჯგუფის მომწვანო-მოყვითალო ფერის მინერალი. ფორმულა – Fe_2SiO_4. სიმკვრივე – 4390 კგ/მ^3. გავრცელებულია დედამიწის ტუტე და მჟავე მაგმურ ქანებში. გამოირჩევა მაღალი სიმკვრივით. იხსნება მარილმჟავაში. გამოიყენება მეტალურგიაში დანამატად თერმო- და კოროზიამედეგი ლითონის შენადნობების მისაღებად.

ფაილი (ინგლ. file<ლათ. filum ძაფი) – აზრობრივად რაიმე საერთო ნიშნების მქონე მონაცემთა ერთობლიობა. ფ. სახით ინფორმაციის შენახვის მეთოდი ფართოდ გამოიყენება კომპიუტერის დამახსოვრების მოწყობილობებში. ფ. დაწყება-დასასრული სპეციალური ნიშნებით აღინიშნება.

ფაილური სისტემა (კომპ.) (ინგლ. file system) – ოპერაციულ სისტემებში მონაცემების შენახვის საერთო სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც ხდება კომპიუტერის ფაილების ორგანიზება, შენახვა და მათთვის სახელების მინიჭება.

ნახ. 1

ფაიფური (თურქ. farfur, fagfur<სპარს. "ფეგ ფუნ" – არაბებში ჩინეთის იმპერატორის ტიტულის მიხედვით) – სხვადასხვა სახის ნაკეთობა, რომელიც მზადდება ორგზის გამომწვარი და მოჭიქული მინარევიანი (მარმარილო, ცარცი და სხვ.) მაღალხარისხოვანი თიხის მინირებული მასისაგან (ნახ. 1. ჩინური ფაიფურის ვაზა). ფ. ჩვეულებრივ იღებენ კაოლინის, პლასტიკური თიხის, კვარცისა და მინდვრის შპატის წვრილდისპერსიული ნარევის მაღალ ტემპერატურაზე გამოწვით. ტექნიკის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ფ. სახესხვაობანი: თიხამიწიანი, ცირკონიუმიანი, ბორკალციუმიანი, ლითიუმიანი და სხვ.

ფაკულტეტი (ლათ. facultas შესაძლებლობა, უნარი) – უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება, სადაც ასწავლიან გარკვეულ მომიჯნავე სასწავლო დისციპლინებს.

ფალანგი – იხ. ხარაჩო.

ფალსიფიკაცია (ლათ. falsifico ვაყალბებ) – რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლა მცდარით, ყალბით; რისამე გაყალბება, ხარისხის გაუარესება.

ფალცი (გერმ. falz<falzen გაღუნვა) – 1. ფიცრის (ქვის და მისთ.) გაყოლებაზე ამოღარული ხაზი, რომელშიც იდება მასთან შემაერთებელი დეტალის შვერილი (ნახ. 1); ნარიმანდი; 2. ლითონის ფურცლების (თუნუქის) შეერთების ადგილი, ნაკერი (ნახ. 2).



ნახ. 1

ნახ. 2

ფანერი ამაღლებული წყალმედეგობის – ფანერი, რომელსაც აქვს ამაღლებული სიმტკიცის ზღვარი ახლეჩაზე (შპონებს შორის წებოვანი ნაკერის) ადუღებულ წყალში გამოხარშვის შემდეგ. ფ. ა. წ. მიეკუთვნება არყის ხის ფანერი მარკით ФСФ (რუსული წარმოების) (იხ. ფანერი სამშენებლო, ნახ. 1), რომელიც დამზადებულია ფენოლფორმალდეჰიდურ წებოზე, სწორედ ამ წებოს გამოყენება ანიჭებს ფანერას წყალმედეგობას, რადგანაც ის მედეგია ტენის, სოკოებისა და მავნე მიკროორგანიზმების მიმართ.

ფანერი გარანდული – ხის ძვირფასი დეკორატიული ჯიშებიდან (მუხა, კაკალი, კოპიტი, ნეკერჩხალი, წიფელი) დამზადებული ფანერი, რომელიც ავეჯისა და სამშენებლო ნაკეთობების დასაფანერებლად გამოიყენება.

ფანერი დაბაკელიტებული – ფანერი, დამზადებული წყალმედეგი ბაკელიტის წებოზე არყის ხის შპონისაგან (ნახ. 1. დაბაკელიტებული ლამინირებული ფანერი). გამოიყენება მომატებული ტენიანობის პირობებში მომუშავე მსუბუქი კონსტრუქციული ელემენტებისათვის.

ნახ. 1

ნახ. 1

ფანერი დეკორატიული – ფანერი, დამზადებული ფისში გაჟღენთილი შპონების შეკვრის დაწნეხით მაღალ ტემპერატურაზე. ცხელი დაწნეხა უზრუნველყოფს ზედაპირის დეკორატიული გამომსახველობის მკვეთრ გაუმჯობესებას (ნახ. 1). ხშირად ზედაპირის ტექსტურის გასალამაზებლად იყენებენ ფისში გაჟღენთილ ქაღალდს, ქსოვილს, აფსკსა და 0,08-0,1 მმ სისქის მიკროშპონს, რომელსაც იღებენ წვრილფოროვანი ჯიშის ხის მორის დაჩურჩვნით.

ფანერი კომბინირებული (ფანერის ფილა) – ფანერი (ფანერის ფილა) შპონის ფენებით, დამზადებული სხვადასხვა ჯიშის მერქნისაგან, განლაგებული სიმეტრიულად ცენტრალური ფენის მიმართ.

ფანერი ლამინირებული – ფანერი ლამონირებული ზედაპირით (ნახ. 1), რომელიც მზადდება ხის სქელი შპონების (0,35-4 მმ) ფურცლების შეწებებით ჩვეულებრივი ფანერის ანალოგიურად. გამოირჩევა მაღალი სიმტკიცითა და ფორმის სტაბილურობით. აკეთებენ 3 ან 5 ფენიანს წყალმედეგი წებოების გამოყენებით. მცირე წონა, მაღალი მდგრადობა ტემპერატურული ცვალებადობის მიმართ, შესანიშნავი ფაქტურა, დაბალი ფასი – ეს ის თვისებებია, რომელიც ლამინირებულ ფანერს ხდის ძალზე პოპულარულს სამშენებლო საქმეში. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ამ ფანერზე ყალიბების დასამზადებლად, რომლებსაც იყენებენ სამოქალაქო თუ სამრეწველო დანიშნულების ორიგინალური ნაგებობების მშენებლობისათვის. ეს ყალიბები თავისი სიმსუბუქით, მოხერხებულობით, მრავალჯერადი გამოყენებადობით, ზედაპირის თვისებებით, ფასით, ხელმისაწვდომობით გაცილებით მიმზიდველი მასალაა, ვიდრე ლითონი, ფიცარი ან პლასტმასა.

ნახ. 1

ფანერი სამშენებლო (ფირფიცარი) – კონსტრუქციული, მრავალფენიანი, ქარხნული წესით დამზადებული ფურცლოვანი საშენი მასალა. შედგება კენტი რაოდენობის შპონების თხელი ფენებისაგან. შპონები მზადდება არყის ხის ან სხვა წიწვოვანი ჯიშის მერქნისაგან. მეზობელი შპონების ბოჭკოები ურთიერთმართობი მიმართულებითაა განლაგებული (ნახ. 1. მრავალფენიანი სამშენებლო ფანერი), ხოლო ფანერის გარე შპონებს ერთნაირი მიმართულება აქვთ. სამშენებლო საქმეში ძირითადად გამოიყენება დაწებებული და დაბაკელიტებული წყალმედეგი ფანერი. ფანერის შპონების დაწებება ხდება ფენოლფორმალდეჰიდური ტიპის წყალმედეგი სინთეზური წებოების გამოყენებით, რაც იძლევა ამაღლებული წყალმედეგობის მარკის ფანერს, რომლის გამოყენება დაშვებულია ტენიანობის ყველა ჯგუფის შენობა-ნაგებობების კონსტრუქციებში. დაწებებული ფანერის ფურცლების სისქეა 1,5-15 მმ. 15 მმ-ზე მეტი სისქის ფანერს ფანერის ფილები ეწოდება და მისი სისქე 120 მმ-ს აღწევს. დაწებებული ფანერის სიმტკიცე გარე ფენების მიმართულებით უფრო მაღალია, ვიდრე განივად, რადგანაც გრძივად ფენების რაოდენობა ერთით მეტია და გარე ფენები განლაგებულია ღუნვისას მაქსიმალური ძაბვების ზონაში. ჭრაზე ფანერის სიმტკიცე 2,5-ჯერ აღემატება მერქნის სიმტკიცეს ჭრაზე ბოჭკოების მიმართულებით, რაც ფანერის დიდ უპირატესობაზე მიუთითებს. მანკების გავლენაც ფანერაში მცირეა. ჯვარედინა სტრუქტურის გამო ფანერს მერქანთან შედარებით ნაკლები ანიზოტროპიულობა ახასიათებს. ამასთან, მას უფრო მაღალი სიმტკიცის მაჩვენებლები, დაბალი ბგერა- და თბოგამტარობა, ქიმიურად აგრესიული გარემოსა და ატმოსფერული ზემოქმედებისადმი მაღალი მედეგობა აქვს. ამ დადებითი თვისებების ერთობლიობა სამშენებლო კონსტრუქციებში მისი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, უპირველეს ყოვლისა, შემომფარგვლელი კონსტრუქციების, წებოფანერის კოჭების, პანელების, წიბოვანი და ქარგილოვან-ბადისებრი

ნახ. 1

თაღების დასამზადებლად. ზედაპირის სისუფთავის მიხედვით არსებობს გაუხეხავი ზედაპირებით, ერთ მხარეს გახეხილი და ორივე მხარეზე გახეხილი ფანერი. ფენების რაოდენობის მიხედვით – სამფენიანი, ხუთფენიანი და მრავალფენიანი. მერქნის ჯიშის მიხედვით – არყის ხისა და წიწვოვანი მერქნის (ლარიქსი, ფიჭვი, სოჭი, ნაძვი).

ფანერის ამობერილობა – ფანერის დეფექტი, რომელიც მის ზედაპირზე ამობურცული წარმონაქმნების სახით გამოიხატება, რაც ზედაპირული შპონის ფურცელსა და შიგა ფენების ფურცელს შორის შეუწებავი ადგილების არსებობით ან მათ შუა მოხვედრილი უცხო სხეულითაა გამოწვეული.

ფანერის მილები – არყის ხის მერქნისაგან ფენოლფორმალდეჰიდურ წებოზე დამზადებული ნაკეთობები, რომელიც უძლებს შიგა 12 ატმ. წნევას. გამოიყენება სითხეებისა და ფხვიერი მასალების პნევმოტრანსპორტირებისათვის (დიამეტრი 1,5 მ-მდე).

ნახ. 1

ფანზა (ჩინ. fan მეცნიერება და czi ქალის სახელის წარმომქმნელი აფიქსი) – ქვის, ალიზის ან ხის კარკასიანი პატარა სახლი ჩინეთში (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანკოილი – მარტივი დანადგარი, რომელიც შედგება გათბობისა და გაგრილების სითბოს მცვლელითა და ვენტილატორისაგან (ნახ. 1). არის სისტემის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელ, კომერციულ და ინდუსტრიულ შენობებში ტემპერატურის კონტროლის მიზნით იმ სივრცეში, რომელშიც ის დამონტაჟებულია ან ემსახურება რამდენიმე სივრცეს ერთდროულად. დანადგარის სამუშაო ციკლი ხორციელდება ჩართვა-გამორთვის მექანიზმით ან თერმოსტატით.

ფანტური – ბუდისტური სტუპას თავზე დადგმული დეკორატიული დანიშნულების მსუბუქი ნაგებობა (ნაკეთობა).

ფანჩატური – ფოთლის დერეფანი; საჩრდილობელი; ცოცხალი მცენარის ტოტებითა და ფოთლებით გადახურული მსუბუქი უკედლებო საბაღე ნაგებობა (მახ. 1; ნახ. 2). დამატებით იხ. თალარი, ტალავერი და მყოდოლი.

ნახ. 1

ნახ. 2

ფანჯარა (სპარს.) – 1. სარკმელი; შემინული ღიობი კედელში სათავსის განათებისათვის; 2. ძვ. სარკმლის ბადე ან შემაღლებული (გადასავარდნი) ადგილის მოაჯირი. ამ მნიშვნელობით ტერმინმა თითქმის XIX საუკუნამდე მოაღწია, როდესაც მან თავისი დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო.

ნახ. 1

ფანჯარა ასაწევი [ინგლ. sash (double hung) window] – ჰოლანდიური ფანჯრის ტიპი შვეულად მოსრიალე ფრთებით, რომელსაც აქვს ასაწევ-დასაშვები ინერციული მექანიზმი. ფრთები იწევა ღიობის ნახევრამდე, ფიქსირდება საჭირო სიმაღლეზე და ქმნის ღია სივრცეს. ძირითადად გამოიყენება კოტეჯების, აივნების, ზამთრის ბაღების, ვერანდების, ოფისების და მისთ. შესამინად (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა გადმოსაწევი (ინგლ. hopper window) – ფანჯრის ტიპი, რომლის მოძრავი ფრთა სახსროვნად არის დამაგრებული ფანჯრის ჩარჩოს ქვედა ჰორიზონტალურ ძელთან და იღება ზევიდან ქვევით (ნახ. 1). ძირითადად გამოიყენება ფრამუგების მოსაწყობად.

ნახ. 1

ფანჯარა გამოშვერილი (ინგლ. projected window) – კომბინირებული ფანჯრის ტიპი დაყოფილი ჰორიზონტალურ ნაწილებად, რომლის ზოგი ფრთა სათავსის შიგნით იღება, ზოგი – გარეთ (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა გასაწევ-გამოსაწევი გასაწევ-გამოსაწევი (ინგლ. sliding window) – ფანჯრის ტიპი, რომლის ფრთა თავის სიბრტყეში მოძრაობს (ნახ. 1).



ნახ. 1

ფანჯარა გოტიკური – 1. ისრული, გოტიკური თაღით დაგვირგვინებული სარკმელი (ნახ. 1. წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ერთ-ერთი სარკმელი, ს. იგთფილდი, შროფშირის საგრაფო, ინგლისი); 2. იხ. ტრიფორა.

ნახ. 1

ფანჯარა დაკიდებული (ინგლ. awning window) – გადმოსაწევი ფანჯრის შებრუნებული ვარიანტი, როცა მოძრავი ფრთა სახსროვნად არის დამაგრებული ფანჯრის ჩარჩოს ზედა ჰორიზონტალურ ძელთან და იღება ქვევიდან ზევით (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა თაღოვანი – თაღოვანი ზღუდარით დამთავრებული ფანჯარა (ნახ. 1).

ფანჯარა კასრისებრი – ერკერის ტიპის, კედლის სიბრტყიდან წინ გამოწეული ფანჯარა, რომელსაც კასრის ნახევრის ფორმა აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფანჯარა კოლოფა – ერკერის ტიპის, კედლის სიბრტყიდან წინ გამოწეული ფანჯარა, რომელსაც ოთხკუთხედის ფორმა აქვს (ნახ. 1).

ფანჯარა კომბინირებული (ინგლ. combination window) – ფანჯრის ტიპი, რომლის ერთი ჰორიზონტალური დიდი ნაწილი ყრუა, ხოლო მეორე შედარებით ვიწრო ნაწილი – მოძრავი.

ფანჯარა მანსარდული – სახურავზე (ქანობის სიბრტყეში) განლაგებული ფანჯრის სახეობა, რომელიც გამოიყენება სხვენის გასანათებლად და გასანიავებლად (ნახ. 1. მანსარდული ფანჯარა აივნით).

ნახ. 1

ნახ. 1

ფანჯარა მარაოსებრი – 1. ფანჯარა კარის თავზე; 2. ფანჯარა, რომლის ზედა ნაწილი შედგება მარაოსებრ განლაგებული ნახევარწრეებისაგან (მახ. 1). აღმოცენდა რომაულ არქიტექტურაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ნახევარწრიული ფორმები, თაღები და კამარები. გამოიყენებოდა ტაძრებსა და მონასტრებში. ფ. მ. ითვლება რომაული სტილის შენობების ძირითად დეკორატიულ ელემენტად.

ფანჯარა ნახევარწრიული სარკისებრი – 1. ერკერის ტიპის, კედლის სიბრტყიდან წინ გამოწეული ფანჯარა, რომელსაც ნახევარწრის ფორმა აქვს; 2. დამატებით იხ. ფანჯარა კასრისებრი.

ფანჯარა ჟალუზური (ინგლ. louvred window) – ფანჯრის ტიპი, რომლის ჩარჩოში ჩასმულია ორი ან მეტი, შედარებით ვიწრო, ჰორიზონტალური ფრთა, რომლებსაც საშუალება აქვთ მობრუნდნენ საკუთარი ჰორიზონტალური ღერძის გარშემო (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფანჯარა საბრუნი ვერტიკალური [ინგლ. pivoting (vertical) window] – საგდულიანი ფანჯრის ტიპი, რომლის მოძრავი ალათა შეიძლება შემობრუნდეს საკუთარი ვერტიკალური ღერძის მიმართ 90^0-მდე კუთხით (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა საბრუნი ჰორიზონტალური [ინგლ. pivoting (horizontal) window] – საგდულიანი ფანჯრის ტიპი, რომლის მოძრავი ალათა შეიძლება შემობრუნდეს საკუთარი ჰორიზონტალური ღერძის მიმართ 90^0-მდე კუთხით (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა საგდულიანი საგდულიანი (ინგლ. casement window) – ფანჯრის ტიპი, რომელსაც მოძრავი ფრთები (საგდულები) აქვს. როგორც წესი, ასეთი ფანჯრები იღება სათავსის შიგნით (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა დასაკეცი (ინგლ. folding window) – ფანჯრის ტიპი, რომელიც შედგება ერთმანეთთან სახსრულად დაკავშირებული რამდენიმე ფრთისაგან. საჭიროების შემთხვევაში, ეს ფრთები იკეცება ერთმანეთზე და ხსნის ღია სივრცეს (ნახ. 1). გამოიყენება ოფისებში ტიხრებად, ზამთრის ბაღში, ეზოში ან ქუჩაში გასასვლელად და სხვ.

ნახ. 1

ფანჯარა სამფრთიანი (ინგლ. mull window) – ფანჯარა, რომლის ღიობი სამნაწილადაა გაყოფილი (ნახ. 1). თითოეული ფრთა შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი.

ნახ. 1

ფანჯარა ფრანგული (ინგლ. french window) – 1. სამშენებლო დიზაინის თანამედროვე მიმდინარეობა – დიდი ზომის ფანჯრები (იატაკიდან ჭერამდე), რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, კოტეჯების, აგარაკებისა და მისთ. პანორამული შემინვისათვის. ის ხშირად კარის ფუნქციასაც ითავსებს (ნახ. 1); 2. საგდულიანი ფანჯრის ტიპი, რომლის ფრთები სათავსის გარეთ იღება.



ნახ. 1

ფანჯარა ყრუ (ინგლ. deadlight window) – ფანჯარა, რომლის ღიობი შევსებულია უძრავი ფრთით (ალათით) (ნახ. 1).

ნახ. 1

ფანჯარა ხარის თვალი – მრგვალი ან ოვალური ფორმის ფანჯარა (ნახ. 1). გავრცელდა საფრანგეთის ბაროკოს სტილის არქიტექტურაში.

ფანჯარა ჰოლანდიური – იხ. ფანჯარა ასაწევი.

ნახ. 1

ფანჯარა-აკორდეონი (ინგლ. accordion window) – დასაკეც-გასაშლელი ფრთებიანი ფანჯარის ტიპი. ძირითადად გამოიყენება ვიტრაჟებისა და ტიხრების მოსაწყობად (ნახ. 1).

ფანჯრის ალათი – მინების დასამაგრებელი, მოძრავი (ზოგჯერ უძრავი) კარკასი, რომელიც კედელში ჩამაგრებულ ჩარჩოში თავსდება.

ფანჯრის ბლოკი – ფანჯრისა და მისი ჩარჩოსაგან შემდგარი ნაკეთობა.

ფანჯრის ბრუნსაკეტი – საფანჯრე ფურნიტურის ელემენტი, რომლის ბრუნვითაც ხდება ფანჯრის ჩაკეტვა (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფანჯრის ფრთა – ასაწყობი ერთეული ჩარჩოვანი კონსტრუქციის ფანჯრის ბლოკისა, რომელიც უერთდება ჩარჩოს სახსრული ან მოსრიალე მაკავშირებლებით. თუ ფრთა ყრუა (არ იღება), მაშინ მისი შეერთება ჩარჩოსთან ხორციელდება უსახსროდ (ნახ. 1. ფანჯრის ფრთა:

მარცხნივ – გაღება-გადმოკიდება; შუაში – ყრუ; მარჯვნივ – მოძრავი).

ფარადა (ინგლ. farad<ინგლისელი ფიზიკოსის მ. ფარადეის სახელის მიხედვით) – ფიზ. ელექტრული ტევადობის საზომი ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში. 1 ფარადა არის ისეთი კონდენსატორის ტევადობა, რომელზეც 1 კულონი მუხტის მოთავსებისას შემონაფენებს შორის ძაბვა იქნება 1 ვოლტი.

ფარგალი (ლათ. circulus წრე) – სახაზავი იარაღი წრეწირისა და მისი რკალის გამოსახაზად, ხაზოვანი ზომების ასაღებად და გადასატანად.

ფარდაგი – მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად ან კედელზე გასაკრავად.

ფარდახტი – ბათქაში; განსაკუთრებული ხსნარით (გაჯისა და კირლამის ნარევით) შელესილი შრე კედლის ან ჭერის ზედაპირზე.

ფარდობა – ერთი სიდიდის მეორეზე გაყოფით მიღებული შედეგი. ფ. სიდიდით ხასიათდება ესა თუ ის მოვლენა, ნარევის შედგენილობა, გადაცემა მექანიკურ ამძრავებში და სხვ. მაგ., გადაცემის ფ., წყალცემენტის ფ. ბეტონის ნარევში, მასების ფ. ფრაქციების მიხედვით, კონსტრუქციების ზომების ფ., მათემატიკურ სიდიდეთა ფ. და სხვ.

ფარდობითი კუთრი წონა – განსახილველი სითხის წონის ფარდობა იმავე მოცულობის დისტილირებული წყლის წონასთან +4°C ტემპერატურისას.

ფარდობითი მოძრაობა – წერტილის (სხეულის) მოძრაობა ათვლის იმ მოძრავი სისტემის მიმართ, რომელიც თვითონ გარკვეული სახით გადაადგილდება რომელიმე სხვა, ათვლის ძირითადი სისტემის მიმართ (რომელსაც პირობითად "უძრავს" უწოდებენ).

ფარდობითი სიმკვრივე – მოცემული კომპონენტის სიმკვრივისა და ჰაერის ნარევის საშუალო სიმკვრივის რიცხვითი სიდიდეების ერთმანეთთან შედარება.

ფარდობითი შევიწროება – მასალის პლასტიკურობის მახასიათებელი გაჭიმული ნიმუშის განივკვეთის შემცირების მიხედვით (მაგ., ლითონის გაჭიმულ ნიმუშში ე.წ. "ყელის" გაჩენა). განასხვავებენ თანაბარ, შეყურსულ და სრულ ფარდობით შევიწროებას.

ფარდობითი ცდომილება – სიდიდის გაზომვის აბსოლუტური ცდომილების შეფარდება გასაზომი სიდიდის ზუსტი მნიშვნელობის მოდულთან.

ფარდობითი წონასწორობა – მექანიკური სისტემის წონასწორობა მოძრავი სისტემის მიმართ.

ფარდობითობის თეორია – ფიზიკური თეორია, რომელიც შეისწავლის სივრცისა და დროის თვისებებს. ფ. თ. კვანტურ მექანიკასთან ერთად თანამედროვე ფიზიკისა და ტექნიკის საფუძველია.

ფარდული – 1. სამეურნეო დანიშნულების მავთულბადით შემოფარგლული სასაწყობო მცირე ნაგებობა; 2. დგარებზე შეყენებული ჩარდახი, სვეტებზე დაყრდნობილი სახურავი (ნახ. 1).

ნახ. 1

ფარენჰაიტის თერმომეტრი – თერმომეტრი, რომლის სკალაზედაც ყინულის დნობის წერტილი აღნიშნულია +32 გრადუსით, ხოლო წყლის დუღილის წერტილი +212 გრადუსით. იყენებენ ინგლისსა და აშშ-ში.

ფარეში – ხის (ან რკინის) ჩხირი რისამე ნაწილების ერთმანეთზე გადასაბმელად; ჭანჭიკი.

ფართო – 1. რასაც დიდი განი აქვს; 2. ბევრის მომცველი, ბევრისთვის განკუთვნილი; მასობრივი, მრავალრიცხოვანი.

ფართო არეალის ქსელი (კომპ.) [ინგლ Wide Area Network (WAN)] – სატელეკომუნიკაციო ან კომპიუტერული ქსელი, რომელიც ვრცელდება დიდ გეოგრაფიულ ფართობზე. ინტერნეტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ფართო არეალის ქსელი.

ფართობთა კანონი – ცენტრალური ძალების ზემოქმედებით ნივთიერი წერტილის (სხეულის მასების ცენტრის) მოძრაობის კანონი, რომლის თანახმად: ა) წერტილის ტრაექტორია წარმოადგენს ძალების ცენტრზე გამავალ სიბრტყეში მდებარე ბრტყელ წირს; ბ) ფართობი, რომელსაც შემოწერს ძალების ცენტრიდან გავლებული წერტილის რადიუს-ვექტორი, იზრდება დროის პროპორციულად, ე.ი. წერტილი მოძრაობს მუდმივი სექტორული სიჩქარით ($V = dS/dt = const$).

ფართობი (ფართი) – ბრტყელი გეომეტრიული ფიგურისა და ზედაპირის ერთ-ერთი რაოდენობრივი მახასიათებელი. მართკუთხედის ფართობი ტოლია ორი მიმდებარე გვერდის სიგრძეთა ნამრავლის. ნებისმიერი ბრტყელი ფიგურის ფართობი განისაზღვრება როგორც მასში ჩაწერილი ან მასზე შემოწერილი საფეხურებიანი (ერთმანეთის მიმდებარე რამდენიმე მართკუთხედის) ფიგურების ზღვარი (ფართობების ჯამი). მას ხშირად იყენებენ ტექნიკურ გაანგარიშებებში: არმატურის კვეთი, განივი კვეთი; დაყვანილი, თელვის, სასარგებლო, საანგარიშო, საყრდენი, შეხების, შუბლური და სხვა ფართობი.

ფართობი არაიზოლირებული – საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობი, რომლითაც სარგებლობა დამოკიდებულია სხვა საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობით სარგებლობაზე.

ფართობი არასაცხოვრებელი – შენობის ის ნაწილი, რომელიც არ გამოიყენება საცხოვრებლად.

ფართობი იზოლირებული – საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობი, რომლითაც სარგებლობა არ არის დამოკიდებული სხვა საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობით სარგებლობაზე.

ფართობი სასარგებლო – საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების ფართობების ჯამი; ბინის საერთო ფართობი.

ფართობი საცხოვრებელი – 1. შენობის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად; 2. ბინის საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობი.

ფართობი საწარმოო – ყველა სათავსის ფართობი, დაკავშირებული ძირითად საწარმოო პროცესთან.

ფართოშრიანობა – მერქნის მანკი, ხის წლიური რგოლების სისქის გაზრდა. ახასიათებს მიანდის ნაძვს, რომელიც იზრდება ტენიან ადგილებში. მერქანი რბილია და ნაკლები სიმტკიცის.

ფარი – 1. არხის წყლის შესაგუბებელი და დასაცლელი ჰიდრავლიკური კონსტრუქცია (ჩამკეტი ფ.); 2. ბულდოზერისა და გრეიდერის სამუშაო ორგანო, რომელიც განკუთვნილია გრუნტის მოსაჭრელად ან მოსასწორებლად და აღჭურვილია მჭრელი დანით; 3. ძვ. საბრძოლო იარაღი.

ფაროსი (ინგლ. pharos<ბერძ. pharus<ეგვიპტის ქ. ალექსანდრიასთან მდებარე კუნძულ ფაროსის სახელის მიხედვით) – შუქურა ძველ საბერძნეთსა და რომში.

ფარული სამუშაოები მშენებლობაში – სამუშაოები, რომელთა შემოწმება ნატურაში შეუძლებელია მიმღები კომისიის მიერ, შენობებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაში ჩაბარებისას (მაგ., არმატურის დაყენება მონოლითური რკ.ბ.-ის კონსტრუქციების მოწყობისას). სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო ორგანიზაცია წარუდგენს მიმღებ კომისიას დასათვალიერებლად და შესამოწმებლად ფარულ სამუშაოს, სანამ ის არ დაიფარება მომდევნო სამუშაოთი.

ფარული ფასი (ჩრდილოვანი ფასი) – პროდუქტის ან მომსახურების ალტერნატიული ღირებულება, რომელიც შეიძლება საბაზრო ფასისგან ან რეგულირებადი ტარიფისგან განსხვავდებოდეს. ეკონომიკურ ანალიზში ფარული ფასები გამოიყენება საზოგადოებისათვის რესურსის რეალური ღირებულების და პროდუქტის რეალური სარგებლის უკეთესად ასახვისთვის.

ფარღია – ძვ. ლოჯია, აივანი, "სახლი გვერდღია" (საბა). დამატებით იხ. პასტადი.

ფარჩხატი – ერთმანეთს დაშორებული ნაწილებისაგან შემდგარი; თხელი, მეჩხერი.

ფარცვა – იხ. ნარიმანდვა.

ფარცხი – სასოფლო-სამეურნეო იარაღი ნიადაგის წმინდად გასაფხვიერებლად. ამავე დროს ფ. ჰქვია მექანიკური შემრევების იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ახდენს ზემოქმედებას შესარევ მასალაზე ხვეტიების საშუალებით. მაგ., შლამშემრევი ცემენტის წარმოებაში ტრავერსაზე დაკიდებული ფარცხებით, რომლებიც გადაადგილდება ავზში და ახდენს წყალში მექანიკურად შერეული ნედლეული მასალის (კირქვის, თიხის, მერგელის) დაქუცმაცებას.

ფასადების ჰიდროფობიზაცია – ფასადების დამუშავება სპეციალური ქიმიური ნივთიერებებით (ჰიდროფობიზატორებით), ყინვაგამძლეობისა და თბოსაიზოლაციო თვისებების ასამაღლებლად, მარილებისა და ობის გაჩენის საწინაარმდეგოდ, გრუნტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ფასადი (ფრანგ. façade<იტალ. facciata<faccia სახე; წინა მხარე<ლათ. faciēs სახე, სახის გამომეტყველება; შესახედაობა, გარეგნული სახე) – 1. შენობის მთავარი მხარე, რომელიც ჩვეულებრივ ქუჩაში ან ღია სივრცეში გამოდის. განასხვავებენ წინა, გვერდითა, უკანა, ქუჩისა და ეზოს ფასადებს. ფ. დეკორსა და პროპორციებს განსაზღვრავს არქიტექტურული ნაგებობის დანიშნულება, კონსტრუქციული და სტილისტური გადაწყვეტები, ადგილმდებარეობა, ლანდშაფტი და სხვ. ფასადის ელემენტებია: არქიტექტურული პორტალი, პორტიკი, ფრონტონი, სვეტნარი, პილასტრები, კარიატიდა, მოაჯირი, კარი, ფანჯრები და სხვ. ფ. შეიძლება იყოს: ქვის, აგურის, ხის, ალუმინის, უჟანგავი ფოლადის, მინის, პლასტმასის, მონოლითური ბეტონის, ბათქაშის (შეღებილი), შუქგამჭვირვალე, ვერტილირებადი, საიდინგის, კომპოზიტური პანელების და სხვ. ფასადების მხატვრული გაფორმებისათვის

გამოიყენება ფასადური სისტემები, კერძოდ: ნაძერწი რელიეფი, შორენკეცი (კერამიკული ფილა), ჩუქურთმებიანი და ჩვეულებრივი ბუნებრივი ქვა (მარმარილო, გრანიტი, კირქვა, ტრავერტინი, დიორიტი, გაბრო და ა. შ.), დეკორატიული ბათქაში (მინერალური, პოლიმერული, მოზაიკური, სტრუქტურული და ა. შ.), საღებავი და სხვ.; 2. ტექნიკურ ხაზვაში: შენობის ვერტიკალური სიბრტყის ორთოგონალური გეგმილის ნახაზი; 3. დაპროექტების შაბლონი პროგრამირებაში.

ფასადი აგურის – ფასადი, რომელიც გადაწყვეტილია სამშენებლო აგურის წყობით (იხ. აგური სამშენებლო, ნახ. 1). არსებობს ორი სახის: 1. აგურს ერთდროულად შეთავსებული აქვს მზიდი და საფასადე ფუნცია; 2. აგური გამოიყენება მხოლოდ ფასადის მოსაპირკეთებლად. მშენებლობაში გავრცელებულია ვენტილირებადი ფასადის მოსაპირკეთებელი სიღრუებიანი აგური (ნახ. 1), რომელიც არა მარტო შენობის გარე მორთულობის შესანიშნავი საშუალებაა, არამედ მკვეთრად აუმჯობესებს მის ენერგოეფექტურობას. წარმატებით გამოიყენება, როგორც ძველი სახლების ფასადების მოსაპირკეთებლად (ნახ. 2), არამედ ახალ მშენებლობებშიც. შენობის აგურით მოპირკეთება ამცირებს გათბობის ხარჯს, მონტაჟი სწრაფად მიმდინარეობს, ფასადის ზედაპირზე არ ჩნდება მარილიანი ლაქები, მრავალსართულიან სახლებში სართულშუა გადახურვის უბნებში არ ჩნდება „სიცივის ბოგირები“, ამაღლებს კედლების ბგერაიზოლაციას, არ საჭიროებს ძვირადღირებულ სარემონტო სამუშაოებს და სხვ. ფასადის აგურს შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი ფერი. პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ყავისფერი, წითელი და თეთრი ფერის საფასადე აგური. ეს მასალები განსხვავდებიან ფორმის, ზომებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს დეკორატიული სილიკატური (ნახ. 3), დეკორატიული ჰიპერდაწნეხილი, კერამიკული (ნახ. 4) და „რაუფის“ მარკის (ნახ. 5) საფასადე აგური.

ნახ. 1

ნახ. 2



ნახ. 3

ნახ. 4

ნახ. 5

ფასადი გამჭვირვალე – ფასადის ორიარუსიანი მოდელი, რომელიც მოიცავს ქვედა ტექნიკურ მოდულს გათბობის, გაცივებისა და ვენტილაციის საინჟინრო დანადგარებით, და ზედა მოდულს – მთლიანად ან ნაწილობრივ გამჭვირვალეს გაღებისა და მზის სხივებისგან დაცვითი სისტემით. ხშირ შემთხვევებში ასეთი ფასადები აღჭურვილია ფოტოგალვანური ელემენტებით, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას.

ფასადი ვენტილირებადი – კონსტრუქცია რომელიც შედგება ფასადის დამცავ-მოსაპირკეთებელი მასალისა (ნახ. 1) და კედელზე მისი სამაგრი ქვეკონსტრუქციისგან. ქვეკონსტრუქცია მაგრდება შენობის ფასადზე ისე, რომ მოსაპირკეთებელ მასალასა და კედელს შორის დარჩეს საჰაერო შრე, რომელიც მოქმედებს ბუნებრივი სავენტილაციო გამწოვი მილის პრინციპით – ატმოსფერულ ნალექებს და ტენს აცილებს შენობის კედლებს, უზრუნველყოფს კედლების მუდმივ დაცვას, ამცირებს თბოდანაკარგებს. ვენტილირებადი ფასადი გამოიყენება როგორც ახალი, ასევე ძველი შენობების რეკონსტრუქციისათვის. ფ. ვ. გამოირჩევა შემდეგი უპირატესობებით: შენობის მზიდი კონსტრუქციების მუდმივი დაცვა კლიმატური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან; კედლების თერმული დეფორმაციის

ნახ. 1

თავიდან აცილება; ფასადის მონტაჟის შესაძლებლობა წელიწადის ყველა დროს; მოსაპირკეთებელი კედლების დეფექტებისა და ზედაპირის გასწორების შესაძლებლობა; ნებისმიერი მასალით აშენებული კედლის (ბეტონი, აგური, ბლოკი, ხე, ლითონკონსტრუქცია) მოპირკეთების შესაძლებლობა; ფასადის ხანგრძლივი საექსპლოატაციო ვადა (50 წლამდე). მთელი ამ ხნის განმავლობაში არ საჭიროებს რემონტს; შენობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში ფასადის კონსტრუქციების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა; პრესტიჟულობა; კარგი თბოიზოლაცია (ნახ. 2), ცეცხლმედეგობა (ნახ. 3), მაღალი ჰიდრო- და ბგერაიზოლაცია; არქიტექტურული შემოქმედების ფართო შესაძლებლობა და სხვ. გარდა აღნიშნულისა ფასადის ზედაპირი წინააღმდეგობას უქმნის ღია ალს, ირეკლავს მზის სხივებს, ხელს არ უწყობს წვას, გაცხელებისას არ გამოყოფს მავნე ქიმიურ ნივთიერებებს და სხვ.



ნახ. 2



ნახ. 3

ფასადი სხივგამტარი – ფასადი, რომლის მზიდი და არამზიდი კონსტრუქციები შედგება სხივგამტარი ან თვითმზიდი სხივგამტარი ელემენტებისგან. ფასადს შეიძლება ჰქონდეს ბრტყელი (ზოგჯერ დახრილი), გუმბათისებრი, კამარისებრი, ნაოჭისებრი და სხვ. ფორმა. ფ. ს. ელემენტების ცეცხლმედეგობის ზღვარი არ არის ნორმირებული.

ფასეტი (ფრანგ. facette პატარა სახე) – 1. რისამე ირიბად შემოჭრილი კუთხე ან კიდე, დაცერებული გვერდითი წახნაგი (მაგ., სარკის ფასეტი) (იხ. ნაზოლი, ნახ. 1); 2. გახეხილი ქვის წახნაგი; 3. გეომ. მრავალწახნაგას ან გეომეტრიული სტრუქტურის ელემენტი, რომლის განზომილება ერთი ერთეულით ნაკლებია თვით სტრუქტურის ზომებზე; 4. საჭრელი ქვის ერთი პატარა გაპრიალებული ბრტყელი ზედაპირი; 5. კლდის გაპრიალებული ზედაპირი წყლის ან ქარით მოტანილი ქვიშის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად; 6. სვეტის ნებისმიერი წახნაგი მრავალკუთხედის ფორმისა.

ფასეულობათა ანალიზი – ხარჯების შემცირების ერთ-ერთი მეთოდი, რომლის დროსაც პროდუქტის შემადგენელი კომპონენტების შესწავლა ხდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა მათი დიზაინის შეცვლა, სტანდარტიზაცია ან ნაკლებდანახარჯიანი საწარმოო მეთოდით მიღება.

ფასი – 1. საქონლის ღირებულება ფულად გამოსახულებაში; 2. საბაზრო ურთიერთობათა რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს მწარმოებლებსა და მომხმარებელს შორის და ამით წონასწორობაში მოჰყავს ბაზარზე საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდება; 3. რისამე წინა მხარე; 4. სამხ. მუდმივი ან ძელმიწური საცეცხლე წერტილი, რომლის ნაგებობის მხარე, მოწინააღმდეგისკენ არის მიმართული; 5. ყიდვა-გაყიდვის, გარიგების სახეობა

საქონლის საზღვაო გადაზიდვის დროს. არსებობს ფასების სხვადასხვა სახეები: აბსოლუტური, ადმინისტრაციული, "დამამშვიდებელი", ზღვრული მაქსიმალური, ზღვრული მინიმალური, მერყევი, მიზნობრივი, მიწოდების, მოთხოვნის, მოქნილი, მსოფლიო, მტკიცე, მწარმოებლის, ნომინალური, საბაზისო, საბაზრო, საბითუმო, საფაქტურო, საცალო, საცნობარო, ტრანსფერული, ფიქსირებული, შევაჭრებითი, წონასწორობისა და სხვ.

ფასი მიწოდების – ფასი ნაჩვენები ოფერტში დაქვითების გარეშე.

ფასი მოთხოვნის – ფასი არსებული მყიდველის ბაზარზე.

ფასი მონოპოლიური – მონოპოლიების მიერ დადგენილი ფასი, რომელიც არის წარმოების ფასზე მაღალი ან დაბალი დონის.

ფასი მოქნილი – ფასი, რომელიც დგინდება დროის მოცემულ მომენტში ბაზრის კონიუნქტურის მაჩვენებლებზე დამოკიდებულებით. ასეთი ფასების დადგენა გამართლებულია მხოლოდ ისეთ ბაზარზე, სადაც შესაძლებელია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი რყევები დროის მცირე პერიოდში.

ფასი მსოფლიო – ფასი, რომელიც განისაზღვრება საქონლის სახეობასთან დამოკიდებულებით, ზოგიერთი საქონლის (ნედლეულის) მიხედვით ქვეყანა ექსპორტიორების ან ქვეყანა იმპორტიორების ფასების დონით, სხვა საქონლისათვის – ბირჟებზე, აუქციონებზე, ხოლო მზა პროდუქციაზე – მსოფლიოს წამყვანი ფირმების მიხედვით.

ფასი მტკიცე – ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ხელსეკრულების მოქმედების ვადაში.

ფასი მცოცავი – ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, რომელიც დგინდება ზოგიერთი პირობების გათვალისწინებით.

ფასი ნომინალური – ფასი, რომელიც ქვეყნდება პრეისკურანტებში, ცნობარებში.

ფასი საბაზისო – საქონლის ასორტიმენტის ან ფიქსირებული პარამეტრების ხარისხის შესაბამისი ფასი, რომელიც მიწოდებული საქონლის საბოლოო ფასის დადგენის საფუძველია.

ფასი საბაზრო – თავისუფალი საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური საქონლის, სამუშაოს, მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. ს. ფ. შეიძლება იყოს საბითუმო და საცალო.

ფასი საბითუმო – ფასი, რომელსაც იხდიან სავაჭრო ორგანიზაციები ან საწარმოები საქონლის დიდი პარტიების შესყიდვისას. პრაქტიკულად, ფ. ს. არ ასახავს რეალურ მდგომარეობას.

ფასი საცალო – ფასი, რომელსაც იხდიან სავაჭრო ორგანიზაციები, საწარმოები ან ცალკეული პირები საქონლის მცირე პარტიების შესყიდვისას.

ფასი საცნობარო – ფასი, რომელიც არის გასული პერიოდისათვის ფაქტობრივად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი ფასი და იყენებენ მოლაპარაკების დროს.

ფასიანი ქაღალდები – დადგენილი ფორმის საფინანსო დოკუმენტი, რომელშიც აისახება მისი მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები და რომლის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: ჩეკი,

თამასუქი, აკრედიტივი, აქცია, ობლიგაცია, კონოსამენტი, ლომბარდის საგირავნო ბილეთი, შემნახველი ბანკის წიგნაკი, ფულად-ნივთობრივი ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგება ხვდა და სხვ. ფ. ქ. შეიძლება იყოს სახელობითი და წარმომადგენლობითი.

ფასონური – 1. გარკვეული ფასონის, ნიმუშის მიხედვით გაკეთებული; 2. რასაც რთული განივკვეთი, რთული კონფიგურაცია აქვს; რელიეფური.

ფასონური ნახვრეტი – ნახვრეტი, რომლის ფორმა განსხვავდება წრისაგან.

ფასცია (ინგლ. facia<ლათ. fascia სახვევი, ზოლი, კარის ჩარჩო) – 1. არქიტექტურული ნატეხი, ზოგიერთი კლასიკური არქიტექტურული ორდერის (დორიული, ტოსკანური) არქიტრავის ჰორიზონტალური ნაშვერის შუბლი (ნახ. 1); 2. თელის ან არყის ხის წნელებით, წითელი შნურით ან ღვედით შეკრული ძნული – რომის მეფეებისა და კონსულების ძალაუფლების ატრიბუტი. არსებობს მოსაზრება, რომ ძველად ფასციას ნაჯახთან ერთად იყენებდნენ გასაროზგად და სიკვდილით დასჯის ინსტრუმენტად. იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბენიტო მუსოლინიმ, რომელიც შეპყრობილი იყო რომის იმპერიის აღდგენის იდეით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფასცია აირჩია თავისი პარტიის სიმბოლოდ, საიდანაც გაჩნდა მისი დასახელება – ფაშისტური; 3. შემაერთებელი ქსოვილის თხელი გარსი, რომელიც ფარავს ცალკეულ კუნთებს ან კუნთების ჯგუფს, აგრეთვე ზოგიერთ ორგანოს.

ნახ. 1

ფასწარმოქმნა – ფასების ჩამოყალიბების, მათი დონისა და თანაფარდობის განსაზღვრის პროცესი. როგორც წესი, ფასწარმოქმნაში გაითვალისწინება: პირდაპირი და ზედნადები ხარჯები, მეწარმის მოგება და არაპირდაპირი ხარჯები.

ფასწარმოქმნა მშენებლობაში – სამშენებლო ბაზარზე მომსახურებისა და მასალების ღირებულების წარმოქმნის მექანიზმი.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ დასკვნა – შესაბამისი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი ან უარყოფითი დასკვნა, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული ან უარყოფილი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ღირებულებით (ერთეულების გათვალისწინებით) მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

ფაუნა (ლათ. fauna რომაულ მითოლოგიაში ტყეებისა და მინდვრების ღმერთი, ცხოველების დამცველი) – რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის ცხოველთა ყველა სახეობის ერთობლიობა; ცხოველთა სამყარო.

ფაუტი – ფუტურო, დამპალი და მშრალად გამოფიტული, სიმკვრივეს მოკლებული ხე.

ფაქსიმილე (ლათ. facsimile გააკეთე მსგავსი) – 1. ვისიმე ხელმოწერა, ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი; 2. ხელნაწერის, საბუთის, ხელმოწერისა და მისთ. ზუსტი ასლი, რომელიც გადაღებულია ფოტომექანიკური წესით.

ფაქსიმილია – კლიენტის მიერ თავისი პირადი ხელმოწერის ზუსტი შესრულება მექანიკური საშუალებების გამოყენებით.

ფაქტი (ლათ. factum გაკეთებული) – 1. სინამდვილე, რეალურობა; 2. ნამდვილი, ჭეშმარიტი, არა გამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა; 3. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გამოსატანად.

ფაქტორები ტემპერატურული – ცალკეულ ექსტრემალურ სიტუაციებში (ხანძარი საწარმოში, სინათლის გამოსხივების ზემოქმედება, ზვავი, კატასტროფები ზღვაში და სხვა კრიტიკული სიტუაციები) აღძრული მაღალი და დაბალი ტემპერატურების ზემოქმედება. ტემპერატურული ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ჩნდება ხანძარი, დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში ადგილი აქვს გათბობისა და წყალსადენების ქსელის გაყინვას, ცალკეული საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობის გაჩერებას.

ფაქტორები ფიზიკური – ადამიანზე მოქმედი გარემოს ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედება. ასეთებია: ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობა, მზის რადიაცია, ატმოსფერული წნევა, გრავიტაცია, დედამიწის მაგნიტური ველი, ატმოსფერული ელექტრობა, კოსმოსური გამოსხივება და სხვ.

ფაქტორი (ლათ. factor შემქმნელი, მიზეზი) – 1. საწარმოს (ეკონომიკის) განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რესურსი (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობა); 2. აგენტი, რომელსაც ევალება და აქვს საქონლის გაყიდვის უფლებამოსილება; 3. მიზეზი, მამოძრავებელი ან ზემოქმედი ძალა რომელიმე პროცესის ან მოვლენისა, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს ან მის ცალკეულ ნიშნებს. მაგ., გადამყვანი, გრანულომეტრული, დინამიკური, კონცენტრაციის, სიმძლავრის, წყალცემენტის, კლიმატური და სხვ. ფაქტორები.

ფაქტორიალი (ლათ. factorialis მოქმედი, თანამამრავლი) – მათემ. ნატურალური რიცხვების ნამრავლი 1-დან რომელიმე მოცემულ რიცხვამდე. აღინიშნება ! სიმბოლოთი.

ფაქტორინგი (ინგლ. factor აგენტი, შუამავალი) – ფინანსური ინსტრუმენტი, როდესაც დაფინანსების საფუძველია ფაქტორის (ბანკის) მიერ კლიენტის (გამყიდველის) დებიტორული დავალიანების შესყიდვა. ფ. ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ აძლევს რა გადავადებული გადახდის შესაძლებლობას მყიდველს, გამყიდველი მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ანაზღაურებას იღებს საქონლის მიწოდებისთანავე. ფ. წარმოადგენს კომპლექსურ მომსახურებას. ფინანსირების მიღმა იგი ასევე მოიცავს გადაუხდელობის რისკის დაზღვევას, საინფორმაციო-ანალიტიკურ და შემგროვებლის მომსახურებას.

ფაქტურა (ლათ. factura დამუშავება, აგებულება) – 1. კედლის, ჭერის და სხვა არქიტექტურული ფორმის, ელემენტის და, აგრეთვე, მხატვრული ნაწარმოების (ფერწერა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება და ა.შ.) ზედაპირის თავისებურება, აღნაგობა, ხილული აგებულება, დამუშავების ტექნიკა და სხვ.; მასალის ფ. ხასიათდება რელიეფის და ბზინვის ხარისხით. 2. გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი და საქონლის ან მომსახურების და მათი ღირებულების ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, გასაყიდი ფასი და სხვ.

ფაქტურა გლუვი – თანაბრად მქისე ზედაპირი დამუშავების კვალის გარეშე, მიღებული დამზადების პროცესში.

ფაქტურა წერტილოვანი – სამშენებლო ქვის დამუშავებული ფაქტურის ტიპი.

ნახ. 1

ფაცეტი (ფრანგ. facette<face სახე) – დაწახნაგებული მინის გაპრიალებული ზედაპირი (ნახ. 1). დამატებით იხ. თრაში.

ფაციესი (ლათ. facies სახე, იერი) – დანალექი ქანების (ან თანამედროვე ქანების) იმ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც გვიჩვენებს მათი წარმოქმნის პირობებს.

ნახ. 1

ფაცხა – ლარი, ლაჭყორი, ჩოდოლი, ჩალური, ხარგა; უფიცრო და უყავრო, პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ტიპი – წნული ქოხი დასავლეთ საქართველოში (ძირითადად სამეგრელოსა და აფხაზეთში) (ნახ. 1).

ნახ. 1

ფახვერკი (სათხელელი) – შენობის გრძივი დაბოლოების შემომზღუდავი სიბრტყის თვითმზიდი კარკასი (ხის, ლითონის, რკინაბეტონის), რომელიც ქარის დატვირთვებს (ჰორიზონტალური დატვირთვა) გადასცემს შენობის ძირითად (გრძივ) კარკასს (ნახ. 1).

ფეანდაზი – იგივეა, რაც ფეინდაზი; გრძელი და ვიწრო ძვირფასი ნოხი დასაფენად.

ფეთქებადი აირები – აირები (მეთანი, უმაღლესი ნახშირბადები, წყალბადი, ნახშირბადის ჟანგი და სხვ.), რომლებიც ფეთქდება გარკვეული პროპორციით ჰაერთან შერევისას. მეთანის ნარევი ატმოსფერულ ჰაერთან ფეთქდება მასში მეთანის შემცველობის 5-დან (აფეთქების ქვედა ზღვარი) 16%-მდე (აფეთქების ზედა ზღვარი) ფარგლებში. შედარებით ძლიერი აფეთქება ხდება მეთანის 9,5% კონცენტრაციის დროს, როდესაც რეაქციაში შედის მეთანისა და ჟანგბადის მთელი შემცველობა. მეთან-ჰაერის ნარევის აალება ხდება 650-750°C ტემპერატურის დროს. აალების შესაძლებლობა იზრდება მაღალი ტემპერატურის წყაროს ზემოქმედების დროსა და აირის წნევის ზრდისას, კატალიზატორების არსებობისას და დამოკიდებულია ასაფეთქებელი ნარევის ხასიათზე. მეთანისა და ჰაერის ნარევის აფეთქებას თან სდევს სითბოს მნიშვნელოვანი გამოყოფა. აფეთქების პროდუქტების ტემპერატურა

აღწევს 2000-2500°C-ს, ხოლო აფეთქებით გამოწვეული წნევა – ათეულობით ატმოსფეროს. გაზების ნარევის აფეთქების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გამოვრიცხოთ წვადი გაზების დაგროვება ფეთქებადსაშიშ კონცენტრაციამდე, აგრეთვე არ დავუშვათ აალების წყაროს არსებობა ფეთქებადი ნარევის შესაძლო გამოყოფის ზონებში.

ფეთქებადი ნივთიერებები – ქიმიური ნაერთი, ნარევი ან მექანიზმი, რომლის უმთავრესი ან ზოგადი დანიშნულებაა ფუნქციონირება აფეთქების საშუალებით. ტერმინში ნაგულისხმევია შემდეგი (მაგრამ არა მხოლოდ ისინი): დინამიტი, დენთი, საფანტი ფხვნილი, მაპროვოცირებელი ასაფეთქებელი ნივთიერება, დენოტატორები, დისტანციური ასაფეთქებელი, პეტარდა, დეტონაციური კაბელი, საალებელი (ამაალებელი) კაბელი, საალებლები (ამაალებლები), ფეიერვერკები და ა.შ.

ფეთქებადმდგრადობა – მოწყობილობების, სამშენებლო კონსტრუქციების, სატრანსპორტო საშუალებების, ენერგეტიკული სისტემების თვისება სიმტკიცის მარაგისა და მიზანშეწონილი განლაგების წყალობით წინ აღუდგეს აფეთქების დამანგრეველ ქმედებას.

ფეთქებადსაშიში ობიექტი – ობიექტი, სადაც ინახება, გამოიყენება, იწარმოება ან ტრანსპორტირდება ისეთი ნივთიერება, რომელსაც გარკვეულ პირობებში აქვს აფეთქების უნარი.

ფეთქებადსაწინააღმდეგო დაცვა – ტექნოლოგიური, სამშენებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია აფეთქების თავიდან ასაცილებლად, ან აფეთქების დამანგრეველი და გამანადგურებელი ფაქტორების შესამცირებლად.

ფეთქვა – წვადი ნარევის ორთქლის ხანმოკლე აალება, გამოწვეული მასთან ღია ცეცხლის ან გავარვარებული საგნის შეხებით. ფეთქვის დროს გამოყოფილი სითბო არ არის საკმარისი დანარჩენი ნივთიერების გასახურებლად აალების ტემპერატურამდე, ამიტომ წვადი მასალა არ ინთება.

ფეთქვის ტემპერატურა – მინიმალური ტემპერატურა, რომლის დროსაც იწყება წვადი მასალის ორთქლის საწყისი ფეთქვა.

ფეთხაინი – თბილისში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქვემოთუბანში მდებარე ერთ-ერთი მიკროუბანი.

ფეკალია – ადამიანის შარდისა და განავლის ნარევი.

ფეკალური (ინგლ. fecal<ლათ. faex ნალექი) – ფეკალიასთან დაკავშირებული, ფეკალიების შემცველი, ფეკალიებისათვის განკუთვნილი (მაგ., სასუქი).

ფელოგენი (კორპის კამბიუმი) (ბერძ. phellos კორპი) – მცენარის მეორეული წარმოშობის ქსოვილი, რომელიც შედგება თხელკედლიანი პარენქიმული უჯრედებისგან.

ფელოდერმა (ბერძ. phellós კორპი და dérma ტყავი) – მცენარის საფარი ქსოვილის (პერიდერმის) შიგნითა ფენა, რომელიც წარმოიშობა ფელოგენის უჯრედების გაყოფით ხის ტანის ზედაპირის პარალელურად.

ფენა – 1. დახერხილ მასალებში გრძივი განიერი მხარე; 2. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, ზოლად გაშლილი სხვა ნივთიერებათა შორის და მათგან განსხვავებული; შრე; 3. გადატ.

საზოგადოებრივი ჯგუფი, საზოგადოების ნაწილი, რომელიც გამოირჩევა რაიმე თავისებურებით.

ფენილი – 1. გადახურვის კოჭებზე, ნივნივებზე, ლართხებზე, ბაღის ბილიკებზე, ტერასებზე (ნახ. 1) და მისთ. მიჯრით დაწყობილი ფიცრები (ფიცარფენილი, ფიცარნაგი) ან ძელები (ძელჭერი); 2. საავტომობილო გზის ან ქუჩის სავალი ნაწილის საფარი ან საფუძველი. შეიძლება იყოს ასფალტფენილი, ბეტონფენილი, ქვაფენილი (ნახ. 2. ქვაფენილი) და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ფენოვანი საბადო – სწორი ფორმის საბადოს ტიპური მაგალითი, სადაც მარგი წიაღისეული განლაგებულია ფენების სახით.

ფენოლი (კარბოლმჟავა) (ბერძ. phaino ვანათებ და ლათ. oleum ზეთი) – 1. არომატული ნახშირწყალბადი, დამახასიათებელი სუნის უფერო ნემსისებრი კრისტალური მყარი ნივთიერება. ქიმიური ფორმულა – C_6H_5O; სიმკვრივე – 1070 კგ/მ^3; დრობის ტემპერატურა – 40,5°C; დუღილის ტემპერატურა – 181,7°C; აალების ტემპერატურა: 79°C (დახურულ ტიგელში), 85°C (ღია ტიგელში). წყალში იხსნება ზომიერად, სპირტში და აცეტონში – კარგად. ფ. არომატული ნაერთების უმარტივესი ოქსინაწარმია. კანზე მოხვედრისას იწვევს დამწვრობას. მიეკუთვნება საშიშ მომწამლავ ნივთიერებას. გამოიყენება ბისფენოლ A-ს (რომლისაგან მიიღება პოლიკარბონატი და ეპოქსიდური ფისი), ფენოლფორმალდეჰიდური ფისის, ციკლოჰექსანოლის (რომლისგანაც მიიღება ნეილონი და კაპრონი), ანტიოქსიდების, სხვა ფენოლების (მაგ., კრეზოლის), სამკურნალო პრეპარატების (მაგ., ასპირინის), ანტისეპტიკების (მაგ., ქსეროფორმი, ორასეპტი, ფუკორცინი), პესტიციდების საწარმოებლად, აგრეთვე სადეზინფექციო საშუალებად.

ფენოლკრეოზოლფორმალდეჰიდი – იხ. პოლიმერი ფენოლკრეოზოლფორმალდეჰიდური.

ფენოლფორმალდეჰიდი – ფენოლისა და ფორმალდეჰიდის პოლიმერიზაციის პროდუქტი.

ფენომენოლოგია (ბერძ. phainomenon მოვლენილი და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – XX საუკუნის იდეალისტური ფილოსოფიის მიმდინარეობა, რომელიც ფენომენს აღწერს ისე, როგორც მას განიცდის კონკრეტული ადამიანი. იგი ცდილობს თავიდან აიცილოს წინასწარ მიკერებული სამეცნიერო, რელიგიური თუ კულტურული კვლევები და ტრადიციები; სწავლობს და მივყავართ აპრიორული შემეცნების სისტემამდე; განიხილავს კონკრეტულ გამოცდილებას და ცდილობს აღწეროს იგი შესაძლებელი მინიმალური ცდომილებით.

ფენოპლასტი – პლასტიკური მასალა (ტექსტოლიტი, მინატექსტოლიტი, აზბოტექსტოლიტი, გეტინაქსი, ფენოქაფპლასტი, ფიჭაპლასტი) დამზადებული ფენოლფორმალდეჰიდური ფისების ფუძეზე. ფ. დამზადებულ ნაკეთობებს ახასიათებს მაღალი თბო-, წყალ- და მჟავამედეგობა, კარგი ელექტროსაიზოლაციო თვისებები, მექანიკური სიმტკიცე და სხვ. დამზადებული მასალის სახეობა დამოკიდებულია შემვსებზე, რომლის მიხედვით ფ. არის ორი სახის: დისპერსიულ შემვსებზე და დაარმირებული. შემვსები წარმოადგენს დაწნეხილ ფხვნილს. მის გარდა ფ. შემადგენლობაში შედის: ფენოლფორმალდეჰიდური ფისი, ორგანული კაჟმიწა, პლასტიფიკატორი, სტეარინის ზეთი, ოლეუმი (SO^3-ის ხსნარი გოგირდმჟავაში) და პიგმენტი. ფ. წარმოების პროცესი დაფუძნებულია ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტის გამყარებაზე, რომელიც მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე. მიღება ხდება ჩამოსხმის ან დაწნეხვის მეთოდით. მზა პროდუქცია იყოფა ექვს ჯგუფად: საერთო დანიშნულების, უამიაკო, ელექტროსაიზოლაციო, ტენ- და ქიმიურად მედეგი, დარტყმამედეგი და მხურვალგამძლე. ყველა ტიპის ფ. გამოირჩევა სიმტკიცით, სიმსუბუქით, სიიაფით, პლასტიკურობით, თბოსაიზოლაციო თვისებებით, დაბალი ბგერაგამტარობით, ულტრაიისფერი სხივების კარგი გატარებით, ადვილად იღებება, მედეგია ქიმიურად აგრესიული გარემოს მიმართ, აქვს მაღალი ანტიფრიქციული მახასიათებლები და სხვ. გამოიყენება მშენებლობაში (მაღალი ბგერასაიზოლაციო ბეტონები), საავეჯო, გემთ-, ავია- და ავტომობილების წარმოებაში და სხვ.

ფერადი ეტალონების კართოტეკა – სხვადასხვა ფერის ბარათების კომპლექტი, სადაც თითოეულ ფერს მინიჭებული აქვს განსაზღვრული ნომერი (მაგ., გერმანული სტანდარტი DIN 5033 - 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9).

ფერადი ლითონები – რკინის გარდა ყველა ლითონის სამრეწველო სახელწოდება. ის იყოფა შემდეგ ჯგუფებად: მსუბუქი (ალუმინი, მაგნიუმი, ტიტანი, ბერილიუმი, ლითიუმი და სხვ.), მძიმე (სპილენძი, ნიკელი, კობალტი, ტყვია, კალა, თუთია და სხვ.), ძნელდნობადი (ვოლფრამი, მოლიბდენი, ტანტალი, ქრომი, ცირკონიუმი, ნიობიუმი და სხვ.), კეთილშობილი ანუ ძვირფასი (ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინური ლითონები), გაფანტული (გალიუმი, ინდიუმი, თალიუმი), იშვიათმიწიერი (სკანდიუმი, იტრიუმი, ლანთანი და ყველა ლანთანოიდი), რადიოაქტიური (ტექნეციუმი, ფრანციუმი, რადიუმი, პოლონიუმი, აქტინიუმი, თორიუმი, პროტაქტინიუმი, ურანი და ყველა ტრანსურანული ელემენტი). მეტალებს, რომელთა მოპოვება და გამოყენება შეზღუდულია, უწოდებენ იშვიათს. მას მიეკუთვნება ყველა გაფანტული, იშვიათმიწიერი, რადიოაქტიური, ძნელდნობადების უმეტესი ნაწილი და ზოგი მსუბუქი მეტალი.

ფერდი (მთის კალთა) (ინგლ. chamfer<ახ. ფრანგ. chamfrein წათლილი კიდე) – 1. მდინარის, მთის (ნახ. 1), ნაკეთობის, დეტალის და მისთ. დაქანებული გვერდი; 2. არქიტექტურული ნატეხი, სიბრტყის კიდეზე სიმეტრიული დახრილი ზედაპირი (ნახ. 2); შენობის ფასადის ან ინტერიერის გრძივი ელემენტი (კარნიზი), რომელსაც ზედა მხრიდან აქვს ქანობი (ჩამონათალი).

ნახ. 1

ნახ. 2

ფერდო – რაიმეს დაფერდებული ადგილი, გვერდი.

ფერდობი – იხ. ფერდი.

ფერდობის დატერასება – ფერდობზე საფეხურების მოწყობა (ხელოვნური ტერასა) სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების გასაშენებლად, ასევე წყლისმიერ ეროზიასთან ბრძოლის მიზნით (ნახ. 1). ღვარცოფულ აუზებში ფერდობის დატერასება, ხეებისა და ბუჩქნარის გაშენებასთან ერთად, ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებისა და ღვარცოფული აქტიურობის შემცირების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. ტერასების გაჭრა ხდება 35°-მდე ქანობის ფერდობზე; მისი სიგანე არანაკლებ 3 მეტრია. ტერასებს შორის მანძილი დამოკიდებულია ფერდობის ქანობსა და ზედაპირის მდგომარეობაზე; როგორც წესი, ის შეადგენს ათეულ მეტრს. დატერასებული ფერდობი პრაქტიკულად გამორიცხავს ზედაპირულ ჩამონადენს და თავსხმა წვიმების დროს მცირემიწიანი უბნების სიბრტყით ჩამორეცხვას. ამის შედეგად, ხდება მაქსიმალური ხარჯის მრავალჯერადი შემცირება, ხოლო კალაპოტში შეტივნარებული ნატანის მოცულობა ათჯერ და ასჯერ მცირდება.

ნახ. 1

ფერვა – 1. ლითონის საგნებისათვის (ოქრო, ვერცხლი) ფერის დადება, დაფერვა; 2. ლითონის საგნების ხეხვით გაპრიალება; გაფერვა.

ფერთა ატლასი – სისტემატიზებული აქრომატული და ქრომატული ფერების ალბომი ან კრებული.

ფერი – 1. ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ხარისხობრივ-სუბიექტური მახასიათებელი, რომელიც განისაზღვრება ფიზიოლოგიურ-მხედველობითი შეგრძნების საფუძველზე და დამოკიდებულია მთელ რიგ ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ფერის აღქმას განაპირობებს ადამიანის ინდივიდუალურობა; 2. შთაბეჭდილება, რომელსაც თვალზე ახდენს საგნის მიერ არეკლილი სინათლე ანუ რაიმეს გარეგნული შეფერილობა.

ფერის ნაჯერობა – ქრომატული ფერის იმავე სინათლოვნების აქრომატულისაგან განსხვავების ხარისხი.

ფერის ტონალობა – გვიჩვენებს, ხილული სპექტრის რომელ უბანს ეკუთვნის მასალის ფერი. რაოდენობრივად იზომება ტალღების სიგრძით.

ფერის ტონი – სპექტრის ერთი ფერის მსგავსი ელფერების ერთობლიობა.

ფერიტი (ლათ. ferrum რკინა) – 1. რკინის შენადნობის ფაზური მდგენელი, რომელიც წარმოადგენს ნახშირბადისა და მალეგირებელი ელემენტების მყარ ხსნარს α-რკინაში (α-ფერიტი). აქვს მოცულობითცენტრალური კუბური კრისტალური მესერი. 1401°C-ზე მეტ ტემპერატურაზე რკინანახშირბადიან შენადნობებში ქმნის ნახშირბადის მყარ ხსნარს β-რკინაში (β-ფერიტი), რომელიც განიხილება როგორც მაღალტემპერატურული ფერიტი. ფ. ქიმიურად თითქმის სუფთა რკინაა. მალეგირებელი ელემენტების (Cr, Mn, Ni) დამატებით მტკიცდება. არალეგირებული ფ. შედარებით რბილი და პლასტიკურია; 2. ფერომაგნიტური ნახევარგამტარი.

ფერმა (ლათ. firmus მაგარი, გამძლე) – 1. იხ. წამწე; 2. სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის რომელიმე სპეციალურ დარგთან (მაგ., მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მემცენარეობა და სხვ.).

ფერმენტი (ლათ. fermentum შედედება) – ცოცხალ უჯრედში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ რეაქციებს.

ფერმერი (ფრანგ. fermier<ferme ფერმა) – სოფლის მეურნეობის მუშაკი, რომელსაც სოფელში აქვს საკუთარი წარმოება.

ნახ. 1

ფერმუარი (ფრანგ. fermoir<fermer დაკეტვა) – 1. ქვის, ხის დასამუშავებელი სატეხი, ასეთი იარაღი ტყავის სატვიფრავად; 2. შესაკრავი აბზინდა წიგნზე, ალბომზე, ყელსაბამზე, საფულეზე, ხელჩანთაზე (ნახ. 1) და მისთ.

ფერო (ლათ. ferrum რკინა) – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს რკინას (მაგ., ფერომანგანუმი, ფეროშენადნობი).

ფეროალუმინი– ფეროშენადნობი, რომელშიც მალეგირებელ ელემენტად გამოყენებულია ალუმინი.

ფერობორი – ფეროშენადნობი, რომელშიც მალეგირებელ ელემენტად გამოყენებულია ბორი.

ფეროვანადიუმი (ლათ. ferrum რკინა და თანამედროვე ლათ. Vanadium<ძველსკანდინავიური Vanadis<სკანდინავიელი სილამაზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ფრეიას სახელის მიხედვით) – რკინის შენადნობი ვანადიუმთან, რომელშიც შედის: 35-45% ვანადიუმი, 1-3% სილიციუმი, 0,5-1,5% ალუმინი და დანარჩენი რკინა მინარევებით. მიიღება სილიკოთერმული ან სილიკოალუმინთერმული მეთოდით ვანადიუმის ხუთჟანგის სილიციუმით აღდგენით.

გამოიყენება შავ მეტალურგიაში ფოლადის, შენადნობებისა და თუჯის ლეგირებისათვის წვრილკრისტალური სტრუქტურის მისაღებად.

ფეროვოლფრამი – ფეროშენადნობი, რომელშიც მალეგირებელ ელემენტად გამოყენებულია ვოლფრამი.

ფერომაგნეტიზმი (ლათ. ferrum რკინა და ბერძ. Magnēs lithos ქვა მაგნეზიიდან) – ფერომაგნეტიკებისათვის დამახასიათებელ მაგნიტურ მოვლენათა და თვისებათა ერთობლიობა.

ფერომანგანუმი (ლათ. ferrum რკინა და ბერძ. Magnēs lithos ქვა მაგნეზიიდან) – რკინის შენადნობი მანგანუმთან; გამოიყენება ფოლადის წარმოებაში.

ფეროსილიციუმი [ლათ. ferrum რკინა და silex (silicis) კაჟი] – ფეროშენადნობი, რომლის ძირითადი კომპონენტებია რკინა და სილიციუმი. გამოიყენება ფოლადის განჟანგვისა და ლეგირებისათვის, აგრეთვე ჟანგეულებიდან ლითონების აღსადგენად.

ფეროქრომი (ლათ. ferrum რკინა და ბერძ. chrōma ფერი) – რკინისა და ქრომის შენადნობი ქრომთან. ქიმიური ფორმულა – FeCr. შემადგენლობაში წონითი მასის მიხედვით შედის: ქრომი – 50-70%, ნახშირბადი – 5%-მდე, სილიციუმი – 8%-მდე, გოგირდი – 0,05%-მდე, ფოსფორი – 0,05%-მდე და რკინა. მიიღება მაღალი ტემპერატურის პირობებში (2800°C) ქრომიტის აღდგენით ელექტრორკალური კარბოთერმული მეთოდით. ძირითადად გამოიყენება უჟანგავი ფოლადების წარმოებაში, რომელშიც ქრომის შემცველობა დაახლოებით 18%-ია.

ფერსო – წრიულად შეკრული ხის რკალი, ჩამოგებული ურმის თვლის (ბორბლის) სოლებზე (ფერსოს ირგვლივ რკინა ეკვრის).

ნახ. 1

ფერფლი (ნავლი) – 1. ნივთიერების წვის შედეგად წარმოქმნილი ფხვნილისებრი ნარჩენი; 2. ორგანული ნივთიერების მინერალური კომპონენტი, რომელიც ფასდება წვის შედეგად მიღებული ნარჩენით; 3. ვულკანის ამოფრქვევის ერთ-ერთი პროდუქტი (ნახ. 1); 4. ადამიანის სხეულის ნარჩენი კრემაციის ან წვის შემდეგ; 5. რაიმეს ნგრევის ნარჩენები; ნანგრევები.

ფერწერა (ფერით წერა) – სახვითი ხელოვნების დარგი, მხატვრული ნაწარმოები, რომელიც იქმნება ხისტ ან მოქნილ ზედაპირზე საღებავების დატანით. ის ასახავს ამა თუ იმ იდეოლოგიურ კონცეფციას, ზემოქმედებას ახდენს ადამიანის შემეცნებაზე, აიძულებს მას განიცადოს მხატვრის მიერ ასახული სინამდვილე. აქვს დოკუმენტურ-საინფორმაციო ღირებულება. სურათი შეიძლება იყოს ნატურალური ან რეპრეზენტატული (ნატურმორტულ ან პეიზაჟურ მხატვრობაში), ფოტოგრაფიული, აბსტრაქტული, სიმბოლური, თხრობითი, ემოციური ან პოლიტიკური. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხატვრობაში ყოველთვის ჭარბობდა სულიერი მოტივები და იდეები, რომელთა მაგალითებია კერამიკულ ნაკეთობებზე დატანილი უძველესი მითოლოგიური ფიგურებიდან დაწყებული და დამთავრებული ბიბლიური სცენებით სიქსტეს კაპელას (ვატიკანი) კედლებსა და ჭერზე (მხატვარი მიქელანჯელო) და ბუდის ცხოვრების ამსახველი სცენები რელიგიური

წარმომავლობის აღმოსავლურ მხატვრობაში. არსებობს მხატვრობის ხუთი სახეობა: დაზგური (შესრულებული მოლბერტზე გადაჭიმულ უხეშ ტილოზე ზეთის, ტემპერას, აკრილის საღებავებით), მონუმენტური (შესრულებული შენობის კედელზე ან ჭერზე წყლის საღებავებით, ფრესკული მხატვრობა), დეკორატიული (უშუალოდ დაკავშირებულია შენობების არქიტექტურულ გაფორმებასთან ან საგნების მოხატვასთან) თეატრალურ-დეკორატიული (დაკავშირებულია თეატრალური წარმოდგენების გაფორმებასთან) და მინიატურული (გალაქული და მოჭიქული ნაკეთობების ზედაპირის მოხატვა). საგნებისა და მოვლენების მიხედვით ფერწერა იყოფა ჟანრებად, რომელთაგან მთავარია: პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, მარინა, ისტორიული, ბატალური, არქიტექტურული, ჟანრული, ანიმალისტური, ყოფითი, რელიგიური და სხვ.

ფერხული – ძვ. ქვის მრგვალი წყობა.

ფესვი – 1. მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რითაც ის მიწაშია დამაგრებული და იღებს საზრდოს; 2. მათემ. სიდიდე, რომელიც მისი ამ თუ იმ ხარისხში აყვანის დროს იძლევა ახალ რიცხვს.

ფესვი საყრდენი – ფიცრისებრი ფესვი, ბრტყელი ფესვი; არაღრმად დატოტვილი ხის ტანის ყოველ მხარეს გამოზრდილი დიდი ზომის ფესვები (ნახ. 1. ფართოფოთოლა ფიკუსი [ლათ. Ficus macrophylla), ალერტონის ბოტანიკური ბაღი, კუნძული კაუაი, ჰავაის შტატი, აშშ]. ჩვეულებრივ გხვდება ტროპიკული ტყის საკვებით ღარიბი ნიადაგის პირობებში. ისინი იცავენ ხეს წაქცევისაგან და აგროვებენ დამატებით საკვებ ნივთიერებებს.

ნახ. 1

ფესტონი (იტალ. festone<festa დღესასწაული, ზეიმი) – ფერწერული ან ძერწული სამკაული ტალღისებრი ორნამენტის (ნახ. 1), გირლანდისა (ნახ. 2. ფესტონები კლასიკურ ფასადზე) და სხვა სახით.

ნახ. 1

ნახ. 2

ფესურა – ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა ღერო, რომელიც, როგორც წესი, იზრდება ჰორიზონტალურად.

ფეტრი – იხ. თექა.

ფექრალი (რკინაქრომალუმინი) – საერთო დასახელება მხურვალმედეგი შენადნობებისა რკინის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ქრომსა და ალუმინს, რომლებშიც შეთავსებულია მხურვალმედეგობა მაღალ კუთრ ელექტროწინაღობასთან. მზადდება უმეტესად მავთულისა და ლენტის სახით. გამოიყენება, როგორც ნიქრომის შემცვლელი წინაღობის ელემენტების დასამზადებლად, რომელთა მუშაობის ტემპერატურა არ აღემატება 1000°C.

ფეხი – 1. ზოგი ნივთის საყრდენი; 2. თოფის სასხლეტი; 3. ადამიანის ქვედა კიდური, ცხოველის კიდური – სასიარულო ორგანო.

ფეხურა – შვერილები და ჩაღრმავებები ქვის კედელში, დატოვებული სხვა კედელთან კავშირისათვის.

ფთორთაბაშირი (ფთორჰიდრიტი) – ქიმიური წარმოების ნარჩენი, რომელიც შეიცავს 80-90% უწყლო კალციუმის სულფატს. ქიმიური ფორმულა – $CaSO_4$.გამოიყენება თაბაშირის მჭიდა მასალების წარმოებაში.

ფთორი [ინგლ. fluorine<ლათ. fluor(ic) დენადი ფლუსი] – მკრთალი-მოყვითალო ფერის, მკვეთრი სუნის, ძლიერ მომწამლავი აირი. ქიმიური სიმბოლო F. სიმკვრივე: თხევად მდგომარეობაში – 1505 კგ/მ^3, აირად მდგომარეობაში – 1696 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – –219,67°C; დუღილის ტემპერატურა – –188,11°C. ბუნებაში ძირითადად თავმოყრილია მინერალ ფლიუორიტში. გამოიყენება თაბაშირის მჭიდა მასალების წარმოებაში, სარაკეტო საწვავის დამჟანგავად (ქლორის ტრიფთორიდი), ურანის იზოტოპების გასაყოფად (ურანის ჰექსაფთორიდი), მაცივებელ აგენტად (ფრეონი), ქიმიურად ინერტული პოლიმერების წარმოებაში (ტეფლონი), ალუმინის მისაღებად (ნატრიუმის ჰექსაფთოროალუმინატი) და სხვ.

ფთორპლასტი (ფთორლონი) – ფთორის შემცველი პოლიმერების ტექნიკური დასახელება. მას მიეკუთვნება პოლიტეტრაფთორეთილენი, პოლიტრიფთორქლორეთილენი, პოლივინილიდენფთორიდი, აგრეთვე ფთორისგან წარმოებული თანაპოლიმერები. ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში: კაბელების გამაცხელებელი ძარღვის საიზოლაციოდ, ანტიფრიქციულ მასალად მანქანებში, სადებების, საყელურების, მაღალი წნევის ჰიდროსისტემების შლანგების დასამზადებლად. გამოირჩევა ქიმიური მედეგობით აგრესიული გარემოს მიმართ.

ფიალი – პინაკლების, წვეტურების, კონტრფორტების დეკორატიული დაგვირგვინება – ჯვარედი ყვავილით შემკული წვეტი.

ფიანდაზი (სპარს.) – იატაკზე დასაგები გრძელი და ვიწრო ქსოვილი სასიარულოდ.

ნახ. 1

ფიასკო (იტალ. fiasco ბოთლი) – სრული მარცხი, კრახი.

ფიბრა (ლათ. fibra ბოჭკო, ძარღვი) – 1. მოქნილი და მკვრივი ქაღალდის მასა, ქიმიურად დამუშავებული და დაწნეხილი; იყენებენ საიზოლაციო მასალად და ტყავის შემცვლელად. უშვებენ ფურცლის, მილის ან ღეროს სახით; 2. მასალა წვრილი ბოჭკოების ან ვიწრო ზოლების სახით, რომელიც გამოიყენება ბეტონის ან პლასტმასის კონსტრუქციების

დისპერსიული დაარმირებისათვის. ამ დროს იმატებს მასალის წინაღობა ჭიმვაზე, ცვეთაზე, დარტყმით დატვირთვებზე. ფიბრა შეიძლება იყოს ფოლადის (ნახ. 1), მინის (ნახ. 2), ბაზალტის (ნახ., პოლიმერისა (ნახ. 4. პოლიპროპილენის ფიბრა) და სხვ.

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

ფიბრობეტონი (ლათ. fibra ბოჭკო, ძარღვი და ფრანგ. béton ბეტონი<ლათ. bitūmen მინერალური ფისი; ასფალტი) – ახალი კონსტრუქციული მასალა, დაარმატურებული წვრილი არაორგანული ან ორგანული ბოჭკოებით – ფიბრათი, რომელიც თანაბრადაა განაწილებული ბეტონის მოცულობაში (ნახ. 1). დისპერსიული ფიბრა, ცემენტის ქვის სიმტკიცეს გაჭიმვასა და ღუნვაზე 50-200%-ით ადიდებს. დისპერსიული დაარმირება ბეტონის მოცულობაში შეიძლება მიმართული იქნეს ორიენტირებულად ან გაბნეული ქაოტურად. ორიენტირებული დაარმირება ხორციელდება ნაქსოვი და უქსოვი ბადით, გაუხშოებელი ქსოვილით, ფოლადის ბოჭკოთი როცა დაყალიბება ხდება მაგნიტურ ველში და სხვ. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს 0,1-0,5 მმ დიამეტრის ფოლადის ფიბრით დაარმირებულ ბეტონს. ფიბრის სიგრძეა 10-50 მმ და ის შეადგენს ბეტონის მასის 3-9%, რაც იძლევა 70-200 კგ-ს 1 $მ^3$ ბეტონზე. ფიბრის სიგრძის გაზრდა იწვევს ბეტონის ნარევის ადვილჩაწყობადობის გაუარესებას. ფიბრის ბეტონთან შეჭიდულობის გაზრდის მიზნით იყენებენ პერიოდული პროფილის მავთულს და ფიბრას მოღუნული ბოლოებით. ფიბრობეტონის დაარმირებისათვის ასევე გამოიყენება მინის, ცელულოზის, ჯუტის, ნეილონის, ბაილონის, პოლიეთილენისა და სხვ. ბოჭკო, რომელიც არ განიცდის კოროზიას ჰიდრატირებული ცემენტის ტუტე გარემოში. ფ. იყენებენ კონსტრუქციაში, რომელსაც მუშაობა უხდება გაჭიმვაზე, ღუნვაზე, ცვეთაზე, განიცდის დარტყმას, აფეთქებასა და ვიბრაციულ დატვირთვას. დისპერსიული ბოჭკოს გამოყენება ყველაზე ეფექტურია წვრილმარცვლოვან ბეტონში, ექსპლუატაციის განსაკუთრებულ პირობებში, არის გამოცდილება მისი გამოყენებისა ხიმინჯის თავის დაბეტონებისათვის.

ნახ. 1

ფიბრობეტონებში ძირითადად გამოიყენება ფოლადის, ბაზალტის, მინისა და სინთეზური (პოლიპროპილენი, ნეილონი, პოლიეთილენი) ფიბრები. ფოლადის ფიბრის არმატურა გამოიყენება ქარხნული წარმოების მონოლითურ და ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებში. ფიბრის დიამეტრია – 0,2-1,2 მმ, სიგრძე – 50-120 მმ. გამოყენებული ფიბრის დიამეტრი

მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონსტრუქციაში ბზარწარმოქმნის ხასიათს. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ კომპოზიტში გამოყენებული ფიბრული ბოჭკოს დიამეტრი განსაზღვრავს ბზარების გახსნის საწყის სიგანეს: 0,3 მმ დიამეტრის ფოლადის ფიბრის გამოყენებისას ბზარის გახსნის საწყისი სიგარძეა 1-3 მკმ, 0,9 მმ-ის დროს – 7-10 მმ და ა.შ. ბაზალტის ბოჭკოებზე დამზადებული ბეტონები ყველა დაძაბული მდგომარეობისათვის გამოირჩევა მაღალი სიმტკიცითა და უნარით აიტანოს დიდი დეფორმაციები დრეკად მდგომარეობაში (ბაზალტს აქვს მაღალი დრეკადობის მოდული და სიმტკიცის კარგი მაჩვენებლები გაგლეჯაზე). ის უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა ფოლადის ბადეებით დაარმირებულ ანალოგურ არმოცემენტის კონსტრუქციებთან შედარებით, რადგან ბაზალტის ბოჭკო არა მარტო აჭარბებს ფოლადის ბოჭკოს მითითებული პარამეტრებით, არამედ უზრუნველყოფს ცემენტის ცომის დაარმირების დისპერსიულობის ხარისხს.

ჩვეულებრივი ალუმინბორსილიკატური მინა არ არის მედეგი ბეტონის ტუტე გარემოს მიმართ, ამიტომ მინაფიბრობეტონებში გამოიყენება ცირკონიუმის მინაბოჭკო დიამეტრით 8-10 მმ, რომელიც სიმტკიცით შეესაბამება მაღალნახშირბადიან ცივჭიმულ მავთულს, სიმკვრივით კი რამდენჯერმე ნაკლებია. დრეკადობის მოდული სამჯერ აჭარბებს კომპოზიტის მატრიცის დრეკადობის მოდულს. არსანიშნავია ისიც, რომ ასეთი წვრილი ბოჭკოების წარმოებას და შემდეგ მის შეხვევას კომპლექსურ ძაფად, სჭირდება ძვირადღირებული მოწყობილობა. თვით ცირკონიუმის მინის წარმოება ძვირადღირებულია (სჭირდება მრავალკომპონენტიანი შიხტა), რაც საბოლოო ჯამში აისახება მინის ფიბრის ფასსზე. მათი ბეტონში თანაბარი განთავსებაც რთული პროცესია (ამტვერება, კონტაქტური ფორმირება), რაც კიდევ უფრო ზრდის მინაფიბრობეტონის ღირებულებას, ამიტომ, მიუხედავად შესანიშნავი ტექნიკური მახასიათებლებისა, მინის ფიბრების გამოყენება ფიბრობეტონებში ჯერჯერობით შეზღუდულია, თუმცა ვხვდებით არაერთ არქიტექტურულად შესანიშნავად გაფორმებულ შენობის ფასადებს, სადაც წარმატებითაა გამოყენებული მინაფიბრობეტონის დადებითი მხარეები.

პოლიპროპილენის ბოჭკოებს ახასიათებთ კარგი შეჭიდულობა ბეტონის მატრიცასთან, თუმცა საკმარისად დეფორმატიულია, რადგან მისი დრეკადობის მოდული ოთხჯერ ნაკლებია მატრიცის დრეკადობის მოდულთან შედარებით. ამიტომ, ასეთი ბოჭკოების გამოყენება ეფექტურ მზიდ არმატურად მიზანშეუწონელია და ის, როგორც წესი, გამოიყენება დამატებითი (კონსტრუქციული) დაარმირებისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონსტრუქციის დაზიანებები ტრანსპორტირებისა და მონტაჟის დროს, ნაწილობრივ ამაღლდეს დარტყმითი სიმტკიცე, წინაღობა ცვეთისადმი და სხვ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მცირე გამჭიმავი ძაბვების არსებობისაც კი, პოლიპროპილენის ბოჭკოებით დაარმირებული ელემენტები განიცდიან შედარებით დიდ დეფორმაციებს, რაც გამოწვეულია პოლიპროპილენის დაბალი ადჰეზიით ცემენტის მატრიცასთან. გარდა ამისა, ნაკეთობა დროთა განმავლობაში კარგავს სიმტკიცეს და ზედაპირი ხდება მაღალცვეთადი.

ფიბროინი – ფიბრული ცილა, გამოყოფილი ობობასებრი და სხვა მწერების მიერ, რომელიც შეადგენს ობობას ქსელისა თუ მწერის შეხვეული პარკის საფუძველს, კერძოდ კი – თუთის აბრეშუმხვევიას აბრეშუმის ძაფის შემადგენელ ნაწილს.

ნახ. 1

ფიბროლითი (ლათ. fibra ბოჭკო და ბერძ. lithos ქვა) – საშენი მასალა, რომელიც შედგება მერქნის წვრილი ნარჩენების, ქიმიური დანამატებისა და მაგნეზიური შემკვრელისაგან (ნახ.

1. ფიბროლითური ფილები). ხასიათდება კარგი თბოსაიზოლაციო თვისებებით, ადვილად მუშავდება, ჭედვადია, ბიო- და ცეცხლმედეგია. გამოიყენება ისევე, როგორც არბოლიტი.

ფიბროლითი აკუსტიკური – მასალა, რომელიც მიიღება მერქნის, მატყლის ან სინთეზური ბოჭკოსა და მინერალური შემკვრელისაგან (პორტლანდცემენტი, თაბაშირი). ფ. ა. ბგერაშთანთქმის კოეფიციენტია არანაკლები 0,4.

ფიბროლითი მაგნეზიური – ფიბროლითი, დამზადებული სპეციალური მინერალების გარეშე.

ფიბროცემენტი (ლათ. fibra ბოჭკო, ძარღვი და ძვ. ფრანგ. ciment საშენი ხსნარი, დუღაბი, ხის ფისი<ლათ. caementum სამტეხლოს ქვა, უხეში ქვა, დუღაბის მოსამზადებელი დამსხვრეული ქვა<caedere ჩეხა, პობა, ჭრა, დანამცეცება) – საშენი მასალა, რომლის შედგენილობაში შედის ცემენტი (80-90%), მაარმირებელი ფიბრა (ბოჭკო) და მინერალური შემვსები. პირველად, დაარმირებული პროდუქტი ცემენტის საფუძველზე მიღებული იქნა ავსტრიელი ლუდვიგ ჰაჩეკის (1856-1914 წწ.) მიერ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. მან მაარმირებლად გამოიყენა აზბესტის ბოჭკო და შექმნა იმ დროისათვის შესანიშნავი იაფფასიანი ცეცხლ-, ტენ- და ცვეთამედეგი მასალა, რომელიც მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული და ფართოდ გამოიყენებოდა მშენებლობებზე 1976 წლამდე, ვიდრე არ გავრცელდა აზრი აზბესტის მტვრის მავნებლობის შესახებ (იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს). შემდეგ დაიწყეს ფიბროცემენტში მაარმირებლად ცელულოზის, არამიდის, ბაზალტის და სხვ. ბოჭკოების გამოყენება, რამაც ამერიკის, ევროპისა და აზიის სამშენებლო ბაზარზე გააჩინა უამრავი კონსტრუქცია, ნაკეთობა, დეტალი დამზადებული ფიბრებით დაარმირებული ცემენტის საფუძველზე. კომპოზიტურ ცემენტში ქაოსურად განლაგებული ცელულოზის მოკლე ბოჭკოები მნიშვნელოვნად ზრდის ნაკეთობის (მაგ., ფილის) სიმტკიცეს, ტენმედეგობას, სიხისტეს ღუნვაზე, ამცირებს ტემპერატურული ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტის სიდიდეს და ასრულებს მაარმირებელი მასალის მოვალეობას. არამიდის ბოჭკო ზრდის ფიბროცემენტის სიმტკიცეს, თერმოსტაბილურობას, დარტყმა- და ცეცხლმედეგობას, დიელექტრიკულ თვისებებს და უზრუნველყოფს კონსტრუქციის ნორმალურ მუშაობს დიდ ტემპერატურულ დიაპაზონში; ხოლო ბაზალტის ბოჭკოები მკვეთრად აუმჯობესებს სიმტკიცის მახასიათებლებს და ზრდის დრეკადობის მოდულის მნიშვნელობას. მინერალური დანამატები ზრდის ფიბროცემენტის ფილის შინაგან პლასტიკურობას, თვით ცემენტი კი კომპოზიტის მატრიცული (შემკვრელი) მასალაა. ფიბროცემენტის ნაკეთობების, პირველ რიგში ფილების, წარმოებაში გამოიყენება ავტოკლავური დაწნეხის მეთოდები. ფილის დაწნეხის მომენტში წნევა შეადგენს 650 ნ/სმ2. შემდეგ მის გამყარებას სჭირდება 6-8 სთ. ამის შემდეგ ნაკეთობას ათავსებენ ავტოკლავში (ტემპერატურა 175°C, წნევა 10 ატმ.) ტემპერატურა და ორთქლის წნევა საბოლოოდ ასრულებენ გამყარების პროცესს. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებულ ნაკეთობას აქვს ერთგვაროვანი სტრუქტურა. ფიბროცემენტის ფილების დამზადება და გამოყენება რეგულირდება DIN EN 12467 ევროპული სტანდარტით. თანამედროვე ფიბროცემენტი ეკოლოგიურად სუფთა მასალაა. მის შედგენილობაში არ შედის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი კომპონენტები, ფიბროცემენტური მასალები არ ევემდებარება კოროზიას, ლპობას, სოკოების გაჩენას; მდგრადია მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისადმი (ულტრაიისფერი გამოსხივების). აქვთ კარგი ბგერა- და თბოსაიზოლაციო თვისებები, მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. ფიბროცემენტი გამოიყენება სამხედრო, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში, არქიტექტურაში ვენტილირებადი ფასადებისათვის, ისტორიული შენობების რესტავრაციაში, ავეჯის წარმოებაში, შენობების სარემონტო სამუშაოებში, საკედლე პანელების, ტიხრებისა და მოსაპირკეთებელი ფილების

(ფურცლების) დასამზადებლად. ფილებს აქვთ სასიამოვნი გარეგნობა და ფაქტურა, ფერთა დიდი გამა და ფაქტურა. ფიბროცემენტის ნაკეთობების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ფიბროცემენტის საიდინგი (იხ. საიდინგი), რომელიც საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთის ქვეყნებში.

ფიგურა (ლათ. figura გარეგანი სახე, იერი) – 1. საგნის გარეგნული მოხაზულობა, სახე, ფორმა; 2. მათემ. სიბრტყის (სივრცის) ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია ჩაკეტილი ხაზით (ზედაპირით); 3. მნიშვნელოვანი, შესამჩნევი პიროვნება; 4. ადამიანის ან ცხოველის სკულპტურული, სახვითი ან გრაფიკული გამოსახულება, აგრეთვე ადამიანის სხეულის მდებარეობა, პოზიცია; 5. ჭადრაკის სათამაშო ელემენტების (მეფე, დედოფალი, კუ, მხედარი, ეტლი) დასახელება.

ფიგურა გეომეტრიული – წერტილთა ყოველნაირი სიმრავლე (სასრული ან უსასრულო) სიბრტყეზე, სიბრტყის ნაწილზე, მრუდწირულ ზედაპირზე ან სივრცეში, რომელიც შემოზღუდულია ყველა მხრიდან (მაგ., წერტილი, ორი წერტილი, მონაკვეთი, სხივი, წრფე, სამკუთხედი, წრეწირი და ა.შ.).

ფიგურული – არასწორხაზოვანი მოხაზულობის, რთული ფორმის მქონე.

ფიდერი (ინგლ. fideer<ლათ. feed კვება) – 1. მკვებავი საკაბელო ან საჰაერო ხაზი, რომლითაც ელექტროდენი ელექტროსადგურიდან მიეწოდება ენერგიის მანაწილებელ ქვესადგურს; 2. მოწყობილობა რადიოსიხშირის ელექტრული რხევების გადასაცემად ანტენისათვის ან პირიქით; 3. სათევზაო ფსკერული მოწყობილობა ინტეგრირებული საკვებურით.

ფიზიკა (ბერძ. physikē ბუნება) – საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნების უმარტივეს და უზოგადეს კანონზომიერებებს, მატერიის აგებულებას, თვისებებს და მოძრაობის ზოგად ფორმებს სივრცესა და დროში. ფ. სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ერთად იკვლევს: მყარ სხეულებს, სითხეებს, აირებს, ატომურ ბირთვს, ატომებს, მოლეკულებს, პლაზმას, ელექტრობას, მაგნეტიზმს, ოპტიკას, ფიზიკურ ველებს, თერმოდინამიკას, კვანტურ მექანიკას, ფარდობითობის თეორიასა და ა.შ.

ფიზიკური პირი – ცალკეული ქმედითუნარიანი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გამოვიდეს მეურნეობრიობის ობიექტად ან დაქირავებულ მომუშავედ, იყოს სამართალურთიერთობათა ერთ-ერთი მხარე იურიდიულ პირებთან ან ცალკეულ მოქალაქეებთან.

ფიზიკური საფრთხე – ფიზიკურ საფრთხეს ქმნის ქიმიური ნივთიერებები, როგორებიცაა: წვადი სითხე, კრიოგენული სითხე, ფეთქებადი, აალებადი (მყარი, თხევადი ან აიროვანი) ნივთიერება, ორგანული ზეჟანგი (მყარი ან თხევადი), მჟანგავი (მყარი ან თხევადი), მჟანგავი აირი, თვითაალებადი (პიროფორული) (მყარი, თხევადი ან აიროვანი) ან არამდგრადი (რეაქტიული) (მყარი, თხევადი ან აიროვანი) ნივთიერება, ან წყალ-რეაქტიული (მყარი ან თხევადი) ნივთიერება.

ფიზიკური ქანქარა – მყარი სხეული, რომელსაც შეუძლია ბრუნვა სიმძიმის ძალის გავლენით იმ უძრავი ჰორიზონტალური ღერძის გარშემო, რომელიც არ გადის ამ სხეულის სიმძიმის ცენტრზე.

ფიზიკური შედუღებადობა – მასალის თვისება წარმოქმნას მონოლითური შეერთება ქიმიური ბმის სახით.

ფითხი (რუს. шпатель) – 1. ნაკვერცხლის ასაღები რკინის ნიჩაბი; 2. საგოზავი ნივთიერება; 3. ინსტრუმენტი ბრტყელი, ფართო, ბლაგვი პირით, რომელიც გამოიყენება ნივთიერებების შესარევად და ზედაპირზე დასატანად (ნახ. 1).

ნახ. 1

ფითხნა – უსწორმასწორო ზედაპირის შევსების (გასწორების) პროცესი საფითხის (საგოზავის) გამოყენებით.

ფიკაცია (ლათ. -ficāre კეთება) – სიტყვის ბოლოსართი, რომელიც ნიშნავს კეთებას, მოწყობას.

ფილა – მკვრივი მასალა, რომელსაც დიდი ფართობის ბრტყელი ზედაპირი აქვს. სისქის მიხედვით არსებობს თხელი და სქელი. მშენებლობაში ფ. ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ნაკეთობაა. მას იყენებენ სახურავებში, სართულშუა გადახურვებში, საძირკვლებში, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში, საგზაო მშენებლობაში, მოსაპირკეთებელ სამუშაოებში; აივნების, იატაკების, ეზოებისა და ტროტუარების მოსაწყობად და ა.შ.; 2. ბრტყელი სხეული, რომლის სისქე გაცილებით ნაკლებია სიგრძესა და სიგანესთან შედარებით. ფ. უამრავი სახეობა არსებობს, მაგ., ბეტონის, დეკორატიული, ზემაგარი, თბოსაიზოლაციო, კედლის, ლავგარდანის, ლითონის, მერქნის, მერქნის ბოჭკოს, მერქნის ბურბუშელის, მერქნის ნარჩენების, მინის, მინაპლასტიკის, მინატექსტილიტის, რაფის, რკინაბეტონის, სადურგლო, საიატაკე, საიზოლაციო, საყრდენი, საწნეხი, უჯრედებიანი, ფანერის, ფიბროლითის, ქვის, ცემენტბურბუშელისა და სხვ.

ფილა "მარბლიტი" – ფილა, დამზადებული კრისტალური ჩანართებიანი გაუმჭვირი მინისაგან, რომელიც არეკვლისას იძლევა სანაკეთო ქვის ეფექტს. ფილებს იყენებენ გარე და შიგა მოპირკეთებისათვის (ნახ. 1). მათი ზომებია: 100x100-დან 1000x2500 მმ-მდე, სისქე 5-12 მმ.

ნახ. 1

ფილა (პანელი) გადახურვის – შენობის მზიდი სისტემის ელემენტი, რომელიც იღებს მასზე მოქმედ ვერტიკალურ დატვირთვებს და გადასცემს რიგელებს; აგრეთვე, იღებს კუმშვისა და ძვრის ძალებს, რომელიც წამოიშობა გადახურვის დისკოში ფილის (პანელის) ღუნვაზე მუშაობისას. გადახურვის ფილები ძირითადად მზადდება რკინაბეტონისაგან, იშვიათად ხისა და ლითონისაგან სამფენოვანი ფილების სახით. არსებობს რკინაბეტონის ფილის სახეები: მთლიანკვეთიანი (ნახ. 1), სიღრუეებიანი (ნახ. 2; ნახ. 3. სიღრუეებიანი ფილის დაარმირების სქემა) და წიბოვანი (ნახ. 4).

ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ფილა ბრტყელი – სამშენებლო ფილა, რომლის ზედაპირი ბრტყელია.

ფილა თხელი – ფილა, რომლის სისქე 5-ჯერ ან მეტად მცირეა მის მალთან შედარებით, რომლის გასწვრივაც აღიძვრება მაქსიმალური მღუნავი მომენტი. ასეთი ფილების გაანგარიშება წარმოებს ფირფიტების ღუნვის ტექნიკური თეორიის საფუძველზე.

ფილა კაპიტელსზედა – ჰორიზონტალური ფილა (ან ძელი) სვეტის თავზე (ან კაპიტელის თავზე), რომელიც ზრდის მზიდ ფართობს არქიტრავის (გადახურვის ძელის) დაყრდნობის ადგილზე.

ფილა კერამიკული მოჭიქული – მოსაპირკეთებელი ფილა, ამზადებენ თიხისაგან ნახევრადმშრალი დაწნეხის მეთოდით და შემდგომი გამოწვით. არის თეთრი, ფერადი და დეკორატიული. შეიძლება იყოს ფორმით კვადრატული და მართკუთხა (ნახ. 1). ფილები არაა გათვალისწინებული იმ ზედაპირებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან მექანიკური, მაღალი ტერმპერატურის, ყინვის, მჟავებისა და ტუტეების ზემოქმედებას.



ნახ. 1

ნახ. 1

ფილა კერამიკული ფასადის – ფილა, რომელიც გათვალისწინებულია ძირითადად ქვის შენობების მოსაპირკეთებლად. არის მოჭიქული, არამოჭიქული, გლუვი და რელიეფური ზედაპირით (ნახ. 1. კერამიკული ფასადის ფილა რელიეფური

ზედაპირით). მზადდება თიხისაგან, დანამატებით ან მათ გარეშე.

ფილა კონტურზე დაყრდნობილი – ფილის სახეობა, რომელიც დაყრდნობილია ოთხივე კიდით და მიმდებარე გვერდების სიგრძეთა შეფარდებაა 2:1 ან ნაკლები. ასეთი ფილა იღუნება (მუშაობს) ორი მიმართულებით.

ფილა კოჭური – ფილის სახეობა, რომელიც დაყრდნობილია ოთხივე კიდით და მიმდებარე გვერდების სიგრძეთა შეფარდება მეტია 2:1- ზე. ასეთი ფილა იღუნება (მუშაობს) მხოლოდ ერთი, მოკლე გვერდის მიმართულებით. კოჭურია აგრეთვე ყველა ის ფილა, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ორი, ერთმანეთის მოპირდაპირე კიდით.

ფილა ლელქაშის – საშენი მასალა, რომელიც მზადდება ლელქაშის ღეროების დაწნეხითა და შეკრულია მოთუთიებული მავთულით (ნახ. 1).

ნახ. 1

ფილა მდფ (ინგლ. Medium Density Fibreboard, MDF) – მერქანბოჭკოვანი ფილა საშუალო სიმკვრივის, დამზადებული დაწნეხით წვრილდისპერსიული ხის ფქვილისაგან, მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში (ნახ. 1). მდფ ჩვეულებრივ შედგება ხის ბოჭკოს (82%), შარდოვანაფორმალდეჰიდური ფისოვანი წებოს (9%), წყლის (8%) და პარაფინის ცვილისგან (1%). სიმკვრივე 600-800 კგ/მ^3. მდფ-ს სამრეწველო წარმოება დაიწყო აშშ-ში 1966 წ. მასალის სიმკვრივეა 600-800 კგ/მ^3. დამზადების მომენტში მდფ-ს შეიძლება მიენიჭოს ცეცხლ-, ბიო- და წყალმედეგი თვისებები. გამოიყენება ავეჯის წარმოებაში, სათავსის კედლების მოსაპირკეთებლად, როგორც ეკონომპანელი სავაჭრო შენობებში და ლამინანტის დასამზადებლად. მდფ-ის ფილებს ფარავენ ემალით, პლასტიკით ან პოლივინილქლორიდის აფსკით, რაც საგრძნობლად აძვირებს მას მერქანფენოვან პლასტიკებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მდფ-ის დაჭრისას ჰაერში დიდი რაოდენობით გამოიყოფა მტვერი და თავისუფალი ფორმალდეჰიდი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანოა, ამიტომ მასალაზე მუშაობა მიმდინარეობს ვენტილირებად და კონტროლირებად გარემოში.

ნახ. 1

ფილა მინა-მარმარილოს – ბრტყელი ფილა, რომელიც მზადდება მინისა და მარმარილოს ნაფხვენებისაგან (ნახ. 1). გათვალისწინებულია შენობის შიგა კედლების დამცავ-დეკორატიული მოპირკეთებისათვის. ზომები იცვლება 140-დან 500 მმ-მდე, სისქე 5-12 მმ.



ნახ. 1

ფილა მინის – ფილა, რომელიც მიიღება სპეციალური შემადგენლობის მინის უწყვეტი გლინვის მეთოდით, ფართო დიაპაზონის ფერთა გამით, მქრქალი ან გაპრიალებული ზედაპირით (ნახ. 1). ფილების ფორმა კვადრატულია, უკუმხარეს აქვს დაღარული ზედაპირი. განკუთვნილია სანიტარული კვანძების მოსაპირკეთებლად. გამოდის კვადრატული ან მართკუთხა ფორმის, ზომებით 50-150 მმ, სისქით 4-6 მმ.

ნახ. 1

ფილა მოსაპირკეთებელი – კედლის, იატაკისა და შენობის სხვა ნაწილების დასაფარად გამიზნული სამშენებლო ნაკეთობა, რომელსაც აქვს დაცვითი და დეკორატიული მნიშვნელობა. დანიშნულებისა და მასალის მიხედვით შეიძლება იყოს ქვიშაცემენტის, კერამიკული, მეტლახის, მომინანქრებული, მოჭიქული, მოზაიკური, მინის, ბუნებრივი ქვის, მინაკერამიკის, ხის, ფოლადის, თუჯის, რეზინის, პოლივინილქლორიდის, პოლისტირენისა და სხვ.

ფილა მოჭიქული (ემალირებული) – ფილა, რომელსაც აქვს ფერადი მინით დაფარული ზედაპირი, რაც იძლევა სერიოზულ ესთეტიკურ მახასიათებლებს (ფერი, ბზინვა, სურათი, შეფერილობა და ა.შ.), აგრეთვე ტექნიკურ თვისებებს (სიმაგრე, ჰაერ- და ტენშეუღწევადობა და სხვ.). დამატებით იხ. ფილა კერამიკული მოჭიქული.

ფილა ორმაგი სიმრუდის – სამშენებლო ფილა, რომელსაც აქვს ორი მიმართულების სიმრუდე. გამოიყენება რკ.ბ.-ის ასაწყობ ჰიპერბოლურ-პარაბოლოიდურ გარსებში.

ფილა პოლისტირენის – ფილა დამზადებული პოლისტირენისაგან, მინერალური შემვსებისა და პიგმენტების დამატებით (ნახ. 1). გამოდის სხვადასხვა ზომის კვადრატული და მართკუთხა ფორმით. გამოირჩევა დაბალი თბომედეგობით.

ნახ. 1

ფილა რეზინის – თანამედროვე საშენი მასალა, რომელიც შედგება რეზინის მასისა და ფერადი შემავსებლისაგან, შეერთებული სპეციალური შემადგენლობის პოლიურეთანით (ნახ. 1). დასამზადებლად გამოიყენება დანაწევრებული რეზინის ნაფხვენი, მიღებული ავტომობილის მეორადი საბურავების (ან სხვა ნაკეთობების) გადამუშავებით. ფილას აქვს რეზინისათვის დამახასიათებელი თვისებები: ელასტიკურობა, დრეკადობა, მცირე დეფორმადობა, დარტყმისა და ბგერაშთანთქმადობა, ცვეთა- და ყინვამედეგობა, მდგრადობა მექანიკური დაზიანებებისა და



ნახ. 1

ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ და სხვ. ტრანსპორტირებისას არ ზიანდება; ეკოლოგიურად სუფთაა. ბეტონისა და კერამიკულ ფილებთან შედარებით ფ. რ. აქვს რიგი უპირატესობებისა: არ ტყდება, არ იხლიჩება, ადვილი მოსავლელია, აქვს ექსპლუატაციის დიდი ვადა. წარმატებით გამოიყენება საბავშვო და სასპორტო მოედნების, საცურაო აუზების, სამრეწველო საწარმოების, აგარაკების, ბაღის ბილიკების, სკვერებისა და მისთ. მოსაწყობად (ნახ. 2). საშუალებას იძლევა განვახორციელოთ საინტერესო დიზაინერული გადაწყვეტები; ფერების სხვადასხვა გამა დადებითად მოქმედებს ბავშვების განწყობაზე, ალამაზებს სკვერებსა და მოედნებს და ქმნის დასვენებისა თუ მუშაობის საუკეთესო გარემოს. ამავე დროს მაქსიმალურად ამცირებს ბავშვთა ტრავმატიზმს საბავშვო მოედნებზე.

ნახ. 2

ნახ. 1

ფილა რეზინის ეკოფლორი – რუსული წარმოების თანამედროვე საშენი მასალა, რომელიც მიიღება რეზინის ნაფხვენისა (ფრაქცია 2-4 მმ) და პოლიურეთანული წებოს ცივი დაწნეხით. გამოდის 500×500 მმ ზომით მოხატულობის გარეშე (ნახ. 1) და 300×300 მმ – მოხატულობით, აგრეთვე ძელურას სახით ფორმით "აგური". იდეალური მასალაა საბავშვო მოედნებისა და ზონების მოსაწყობად. ტრამვაუსაფრთხო რეზინის ფილა ეკოფლორი შეიძლება დაიგოს ნებისმიერ ზედაპირზე (ბეტონი, ასფალტი, გრუნტი, ქვიშა, ანაცერი); მონტაჟი არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნასა და ინსტრუმენტებს.

ფილა რკინაბეტონის – დაარმატურებული ბეტონისაგან დამზადებული ბრტყელი ან მრუდზედაპირიანი სამშენებლო კონსტრუქცია (კონსტრუქციული ელემენტი), რომლის სისქე გაცილებით ნაკლებია დანარჩენ ორ ზომაზე [იხ. ფილა (პანელი) გადახურვის; ფენილი; პანელი].

ფილა საზუსტებელი – ბრტყელი პრიზმული ფოლადის ფილა ლითონის ფურცლების, წნელებისა და ნაკეთობების საწრფეველად სპეციალური ჩაქუჩის დარტყმით.

ნახ. 1

ფილა სინთეზური გრანიტის – ფილა, რომელიც მიიღება ბრძმედული წიდის, ღორღისა და სხვა მასალების შენადნობისაგან მართული კრისტალიზაციით ან დაწნეხით. აქვს გრანიტის ანალოგიური ტექსტურა (ნახ. 1), გააჩნია მაღალი წყალ- და დარტყმამედეგობა. გამოიყენება შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერების მოსაპირკეთებლად.

ნახ. 1

ფილა სმალტის – მზადდება გალღობილი მინამასის (სმალტის) სპეციალურ ფორმაში დაწნეხით. გამოირჩევა მქრქალი ზედაპირით (ნახ. 1. სმალტის სააბაზანო ფილები). ფილების ზომები მერყეობს 85-150 მმ ფარგლებში, სისქე 5-20 მმ. დამატებით იხ. სმალტა.

ფილა სქელი – ფილა, რომლის სისქე 5-ჯერ და მეტად დიდია მის მალთან შედარებით, რომლის გასწვრივაც აღიძვრება მაქსიმალური მღუნავი მომენტი. ასეთი ფილების გაანგარიშება წარმოებს სქელი ფილების თეორიის საფუძველზე.

ფილა ტორფის – საშენი მასალა ფილის სახით, რომელიც მიიღება ტორფის დაწნეხით და შემდგომი თბური დამუშავებით. ფილის წყალმედეგობა დაბალია, სიმკვრივე 150-250 კგ/მ^3. ძირითადად გამოიყენება თბოსაიზოლაციო მასალად (ნახ. 1. ტორფის თბოსაიზოლაციო ფილები).

ნახ. 1



ნახ. 1

ფილა ქაფპოლისტირენის – სამშენებლო ფილა გლუვი ან სახიანი ზედაპირით (ნახ. 1), დამზადებული სუსპენზირებული აფუებული პოლისტირენის ფუძეზე დანამატებით ან დანამატების გარეშე. სიმკვრივე - 15-50 კგ/მ^3. გამოიყენება ნაგებობის შემომზღუდი კონსტრუქციების, მათ შორის ბურულების თბოისაიზოლაციოდ.

ნახ. 1

ფილა ცემენტ-ბურბუშელას – კონსტრუქციული მასალა, რომელიც შედგება პორტლანდცემენტში არეული დაწნეხილი ხის ბურბუშელას, დანამატებისა და წყლისაგან (ნახ. 1). გამოირჩევა ყინვამედეგობით, არატოქსიკურობითა და დამუშავების სიმარტივით. გამოიყენება შემომზღუდავი კონსტრუქციების, ტიხრებისა და იატაკებისათვის.

ფილა ცილინდრული – სამშენებლო ფილა, რომელსაც აქვს ერთი მიმართულების სიმრუდე (ნახ. 1. ცილინდრული კერამიკული ფილა).

ნახ. 1

ნახ. 1

ფილა წიდა-სიტალის – ფილა, რომელიც მიიღება მეტალურგიული ბრძმედის წიდისაგან, მინის მართული კრისტალიზაციით. ასეთი ფილები გამოიყენება აგრესიული გარემოს პირობებში არსებული კედლების მოპირკეთებისათვის (ნახ. 1). გამოდის გვერდის ზომით 150-დან 600 მმ-მდე; სისქით 4-12 მმ.

ფილა ხის ორიენტირებული (OSB) (ინგლ. Oriented Strand Board) – ხის ფილა გრძელი ბურბუშელასაგან (ხის ნაჭრებისაგან) სისქით 0,6 მმ-მდე და სიგრძით 140 მმ-მდე (ნახ. 1). მზადდება მაღალი ტემპერატურისა და წნევის ქვეშ დაწნეხის მეთოდით. შესაწებებლად გამოიყენება წყალმედეგი წებოები (იზოციანური, შარდოვანა-მელამინურ-ფენოლფორმალდეჰიდური). ხის ნაჭრები ხალიჩის მაგვარად ეწყობა სამ ფენად. გარე ფენებს ქმნის ნაჭრები, რომლებიც ორიენტირებულია მზა ფილის გრძივი ღერძის გასწვრივ, ხოლო შუა ფენის ნაჭრები განლაგებულია მათ მართობულად. ასეთი სტრუქტურის შექმნით ვიღებთ ანიზოტროპიულ მასალას – ამაღლებული სიმტკიცით ღუნვაზე და ამაღლებული დრეკადი სიმტკიცით ფილის მთავარი გრძივი ღერძის მიმართ. შინაარსით ფილა OSB "გაუმჯობესებული მერქანია", უფრო მტკიცე და მოქნილი, რადგან ბრტყელ ნაჭრებში შენარჩუნებულია მერქნის ყველა დადებითი თვისება დეფექტებისა და მანკების გარეშე. ფილა OSB წარმოადგენს ხის წარმომავლობის პირველ ფილას შექმნილს მშენებლობისათვის. ის თანდათან აძევებს ხმარებიდან ფანერსა და მერქანბურბუშელოვან ფილებს. ზედაპირის სპეციალური დამუშავება (Conti Finish) უზრუნველყოფს ფილის წყალ- და ცეცხლმედეგობას, რომლითაც მნიშვნელოვნად უსწრებს მასიურ მერქანს. ის მედეგია ატმოსფერული ცვლილებებისადმი (ტენიანობა, ტემპერატურა), ადვილად სუფთავდება მტვერისაგან და მუშავდება ყველა იმ ინსტრუმენტით, რომელსაც ვიყენებთ სადურგლო წარმოებაში. ეს ფილები იმითაც გამოირჩევა, რომ ადვილად იჭერს ტანში ლითონის მაკავშირებლებს. OSB ფილების წარმოებისათვის ძირითადად იყენებენ ფიჭვისა და ვერხვის ნარჩენებს. ფილაში მერქნის რაოდენობაა 95%, ხოლო შემკვრელის – 5%, ამიტომ ეს მასალა ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ფილაა დღემდე არსებულ სხვა ხის ფილებთან შედარებით, როგორც მზა მასალის, ისე წარმოების მხრივ. წებოს სიმცირე უზრუნველყოფს ფილის სიმსუბუქეს (სიმკვრივე 650 კგ/მ^3),

ნახ. 1

დაბალ თბოგამტარობას, ბგერაშთანთქმის კარგ უნარს, დამუშავების სიმარტივეს და არაჩვეულებრივ ესტეთიკურ გარეგნობას. გამოდის ოთხი სახის: OSB-1, OSB-2, OSB-3 და OSB-4. აქედან ყველაზე მოთხოვნადია OSB-3 მისი უნივერსალურობისა და დაბალი ფასის გამო. OSB-4 გამოირჩევა მაღალი ტენმედეგობითა და ზემაღალი სიმტკიცით. ფილების ძირითადი ზომებია: სისქე – 6, 8, 10, 12, 15, 18 და 22 მმ; სიგანე – 1045 (OSB-3, სისქით 6 მმ) და 1250 მმ (ყველა დანარჩენი სისქის); სიგრძე – 2500 მმ.

ფილაკი – მცირე ზომის (მოსაპირკეთებელი) ფილა.

ნახ. 1

ფილაქანი – სუფთად გათლილი ქვის ფილა იატაკის დასაგებად (ნახ. 1); თვით ასეთი იატაკი.

ფილაქვა – ფილის სახით თხლად გათლილი ქვა.

ფილთაქვა – იგივეა, რაც როდინი, ქვასანაყი.

ფილიალი (ლათ. filialis შვილობილი) – რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სხვაგან და აქვს ერთგვარი დამოუკიდებლობა.

ფილიგრანი (იტალ. filigrana<ლათ. filum ძაფი და graneus მარცვლოვანი) – ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და ა.შ. წვრილი გრეხილი მავთულით შექმნილი იუველირული (მხატვრული) ნაკეთობა, რომელსაც წნული მაქმანის სახე აქვს (ნახ. 1. სამაჯური: ტიხრული მინანქარი, ოქრო, ფილიგრანი- ავტორი ეკა სამხარაძე, გალერეა შარდენი, საქართველო).

ნახ. 1

ფილიზოლი – რუსული წარმოების რულონური მიმართვადი საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო მასალა პრემიუმის კლასის. მზადდება საფუძვლის (პოლიესთერი, მინაქსოვილი, მინის ტილო) ორივე მხარეს ბიტუმ-პოლიმერული შემკვრელის დატანით. ზედა მხარე დაფარულია მსხვილმარცვლოვანი გრანიტის, მინერალური ნაფხვენის ან ფიქალის ფენით, რომელიც ასრულებს დამცავ და დეკორატიულ ფუნქციას, ხოლო ქვედა მხრიდან მიკრულია თხელი აფსკი, რომელიც დაგების მომენტში სანთურას ალით დნება და ხელს უწყობს დაწებების პროცესს. გამოიყენება მცირექანობიან სახურავებში, შენობებისა და ნაგებობების საძირკვლების, აგრეთვე მილსადენების ჰიდროიზოლაციისათვის.

ფილოდენდრონი – ტროპიკული მარადმწვანე ხვიარა ბუჩქი ან ხე, რომელიც უმეტესად გამოიყენება ბაღ-პარკების დეკორატიულ მცენარედ.

ფილტრატი – 1. მიწისქვეშა დასალევად ვარგისი წყალი; გაფილტრული (ფილტრში გატარებული) სითხე.

ფილტრაცია (ლათ. filtratio<filtnim ქეჩა) – სითხეების ან აირების მოძრაობა ფორებიან გარემოში (მაგ., წყლის, ნავთობის ან აირებისა გრუნტში). არსებობს ფილტრაციის სახეები: ანიზოტროპიული, დოპლერის, ელექტრონული ფოსტის, კონტენტური, კოლაბორაციული,

მათემატიკური, მიკრო, რადიოელექტრონული, სენსორული ინფორმაციის, შეთანხმებული, ჰიდროტექნიკური და სხვ.

ფილტრაციის ველი – ტერიტორია ჩამდინარი წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის.

ფილტრაციის კოეფიციენტი – ფილტრაციის სიჩქარე ჰიდრავლიკური გრადიენტის გათვალისწინებით, რომელიც ტოლია ერთის. განზომილებაა მ/დღეღამეში.

ფილტრი (ლათ. filtrum ქეჩა, ქეჩის ნაჭერი) – 1. ფორებიანი მოწყობილობა სითხიდან ან აირიდან მინარევებისა და მყარი ნაწილაკების მოსაცილებლად; 2. მოწყობილობა არაერთგვაროვანი მყარი და თხევადი ფაზების სისტემების გასაყოფად, შესასქელებლად ან გამჭვირვალობის მისაღებად. თვით პროცესს გაფილტვრა ეწოდება. ფ. იყენებენ ნამუშევარი აირების გასაწმენდად მტვრისაგან. ყველაზე მაღალი გაწმენდის ხარისხით გამოირჩევა ნაჭრის (ქსოვილის) ფილტრი (99,9%), რომელიც აგრეთვე გამოიყენება საოჯახო მტვერსასრუტებში. არსებობს ფილტრის მრავალი სახეობა: ავტოპარამეტრული, აირული, აკვარიუმის, ამყოლი, ანტიინტერფერენციული, არაწრფივი, ბიოლოგიური, გადამღობი, გამყოფი, გამჭოლი, გლაუკონიტის, დაბრკოლებასაწინაღო, დაფუჭვილი, დენების, დისკოიანი, დროსელიანი, ელექტრული, ელექტროსტატიკური, ზედა სიხშირეთა, ზეთის (ნახ. 1), ზოლურგადამღობი, ზოლური, იმპულსური, კოაქსიალური, კოქსის, ლითონის, აკორექტირებელი, მანელებელი, მასწორებელი, მაღალი სიხშირის, მექანიკური, მიმმართველი, მიმღები, მტვრის (ნახ. 2. მტვერსასრუტის ფილტრი), ნახშირის, ონკანის, ოპტიმალური, პარამეტრული, რეზონანსული, რთული, საწვავის, სახელოებიანი, სითხიანი, სინათლის, სიხშირულ-ამპლიტუდური, ტევადობის, უდანაკარგო, უკუმგდები, უნაცრო, ფაზური, ფერადი, ფირფიტოვანი, ქვანახშირის, ქვედა სიხშირეთა, ქსოვილის, ჩასასობი, ძაბვათა, წამჭრელი, წმინდა გაწმენდის, წრფივი, წყლის, ციფრული, ჰაერისა და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ფილტრი ბოჭკოვანი – სამრეწველო ფილტრი, რომლის ფორებიანი ტიხარი შესრულებულია ბოჭკოვანი მასალისაგან.

ფილტრი ბრტყელი – სამრეწველო ფილტრი, უძრავად დამაგრებული ხისტ კარკასზე ღრმა ჯიბეების ან ბრტყელი ფორმის სახით (ნახ. 1). გამოიყენება ჰაერის გასაწმენდად სხვადასხვა სავენტილაციო დანადგარებში, სადაც ჰაერის მოცულობა, დაქვემდებარებული ფილტრაციას, მეტია ნომინალურზე. ასეთებია სათავსები, რომელშიც დაყენებულია მაცირკულირებელი და გამწოვი სისტემები, ლაქსაღებავების კამერები, ლითონების დამუშავების, ქიმიური პროდუქციის, სამკურნალო პრეპარატების საწარმოები და სხვ.

ნახ. 1

ფილტრი დისკოიანი – დოლური ფილტრი სეგმენტური საფილტრავი ელემენტებით.

ფილტრი დოლური – უწყვეტი მოქმედების ვაკუუმური ფილტრი ცილინდრული ფორმის მოქნილი მფილტრავი ტიხრით, რომელიც დამაგრებულია მბრუნავ დოლზე.

ფილტრი ლაბორატორიული – ლაბორატორიულ პირობებში გამოცდებისათვის საჭირო მოწყობილობა, რომელიც სუსპენზიის ფაზებად (თხევადი, მყარი) დასაყოფად ან ფილტრის პარამეტრების (გაფილტვრის სიჩქარე, მფილტრავი ტიხრის წინაღობა, ნალექის შრის სისქე, ნალექის შრის კუმშვადობა და სხვ.) განსაზღვრისთვისაა განკუთვნილი.

ფილტრი მარცვლოვანი – სამრეწველო ფილტრი, რომლის ფორებიანი ტიხარი არის მარცვლებით მოფენილი ფენა, რომელიც ქმნის უძრავ მტკიცე სისტემას (ნახ. 1). აირის ნაკადში შეტივტივებული მტვრის ნაწილაკების დაჭერა ხდება ფენის შიგა ზედაპირზე.

ნახ. 1

ფილტრი სამრეწველო – 1. წყლის (ნახ. 1), ზეთის, ბენზინის, ნავთის, ნავთობის და მისთ. სითხეების გასაწმენდი ფილტრი, რომელსაც სამრეწველო დანიშნულება აქვს; 2. მშრალი მექანიკური მტვრის დამჭერი დამტვერიანებული აირის გასაწმენდად, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება საფილტრავი და რეგენერაციული ციკლები (ნახ. 2. სამრეწველო დანიშნულების საჰაერო ვენტილატორი-ფილტრი). საფილტრავ ციკლს მიეკუთვნება გასაწმენდი მასალის დამტვერიანება, რეგენერაციულს – გაწმენდა.

ნახ. 1

ნახ. 2

ფილტრი სახელოიანი – სამრეწველო ფილტრი, რომლის ფორებიანი ტიხარი შედგება სახელოს მსგავსი საფილტრავი ელემენტებისგან. სახელო შეიძლება იყოს ღია ან დახურული ცალი მხრიდან. გასაწმენდი ჰაერის ტემპერატურაა +260°C-მდე, საწყისი დამტვერიანება – 200 გ/მ^3-მდე. გაწმენდის შემდეგ, დამტვერიანება შეადგენს არაუმეტეს 10 გ/მ^3, ხოლო გაწმენდილი ჰაერის სისუფთავე – 99%-ს. ასეთი სახის ფილტრები



ნახ. 1

გამოირჩევა ეკონომიკურობით, ეფექტურობით, ხანგამძლეობითა და საიმედოობით ექსპლუატაციაში. გასაწმენდი მასალის რეგენერაციის მეთოდის მიხედვით ფ. ს. არსებობს: მექანიკური დაფერთხვით, იმპულსური გაქრევით (ნახ. 1) და შექცეული გაქრევით. ფ. ს. გამოიყენება კვების, ფქვილის, ქიმიურ, ცემენტის, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ხის დამამუშავებელ, სამთომომპოვებელ საწარმოებში, თამბაქოს ფაბრიკებში, ფეროშენადნობ ქარხნებში, აგრეთვე მინის, პლასტმასების, ნახშირბადის წარმოებაში და სხვ.

ფილტრი ქსოვილის – არაერთგვაროვანი სისტემების დასაცალკევებელი, შესასქელებელი ან გასასუფთავებელი ფილტრი, სადაც პროცესისათვის გამოიყენება ბამბის, შალის, სინთეზური და მისთ. საფილტრავი ქსოვილების ტიხრები.

ფილტრი ჰაერის – ჰაერგამწმენდი დანადგარის ელემენტი, რომელიც გამოიყენება მტვრისაგან ჰაერის გასაწმენდად (გასაფილტრავად), რომელიც მიეწოდება სათავსს სავენტილაციო და საკონდიციონერო სისტემით ან გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესებში (მაგ., ჟანგბადის მიღება), გაზის ტურბინებში, შიგაწვის ძრავებში, სამრეწველო ობიექტებზე (ნახ. 1. ჰაერის საფილტრავი მძლავრი სისტემა) და სხვ. ფ. ჰ. მრავალი სახეობა არსებობს, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქაღალდის, ბოჭკოვანი, ნახშირის, ზეთისა და ღრუბლის (ქაფპოლიურეთანი) ფილტრები, რომლებითაც მტვრის ნაწილაკების დაწერა ხდება გაჭუჭყიანებულ ჰაერთან უშუალო კონტაქტის გზით (ნახ. 2. მცირე ზომის მოდიფიცირებული ჰაერის ფილტრები). სავენტილაციო სისტემებში ჰაერის ფილტრები კლასიფიცირდება გასაწმენდი ჰაერის ხარისხის მიხედვით. რაც უფრო მცირე ზომისაა მტვრის ნაწილაკები, მით მეტია გამწმენდი ფილტრის კლასი. საერთაშორისო კლასიფიკაციით არსებობს ფილტრის ოთხი კლასი ჰაერის უხეში გაწმენდის (G1, G2, G3 და G4), ხუთი კლასი წმინდა გაწმენდის (F5, F6, F7, F8 და F9), ხუთი კლასი განსაკუთრებული წმინდა გაწმენდის (H10, H11, H12, H13 და H14) და სამი კლასი ულტრა-წმინდა გაწმენდის (U15, U16 და U17). გაწმენდის კლასის გარდა ფილტრების მნიშვნელოვან პარამეტრებს წარმოადგენს მტვერტევადობა და აეროდინამიკური წინაღობა.

ნახ. 1

ნახ. 2

ფილტრის ტალახმოცულობა – დაბინძურებული ნივთიერებების მასა, რომლის დაჭერაც შეუძლია გამწმენდ ფილტრს.

ფინანსები (ფრანგ. finances ფულადი სახსრები<ლათ. financia შემოსავალი) – ყველა მატერიალური რესურსის ერთობლიობა, მოქცეული ცალკეული პირის, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს მმართველობაში. სიტყვა ფინანსები ყოფიერებაში ხშირად იხმარება, როგორც ფულის აღმნიშვნელი სიტყვა. ფ., როგორც მეცნიერების დარგი – შეისწავლის ფულს და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელიც უკავშირდება მატერიალური რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და მოხმარებას. არსებობს სახელმწიფო, ადგილობრივი მუნიციპალური, პირადი, ოჯახის, მცირე ბიზნესის, კორპორაციული, საბანკო და არაკომერციული ორგანიზაციების ფ. ფინანსების მართვას სწავლობს მეცნიერება – ფინანსური მენეჯმენტი. საბანკო ფ. მართვა შეისწავლება საბანკო საქმის მეცნიერების

ფარგლებში. ფინანსურ ბაზრებს სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ეწოდება ფინანსური ეკონომიკა. სტატისტიკის მცირე, თანამოსახელე ნაწილი შეისწავლის ფინანსურ სტატისტიკას. ფინანსური ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს შეისწავლის გამოყენებითი მათემატიკის მეცნიერება. ფინანსური ნაკადების კონტროლი შეისწავლება ფინანსური კონტროლის დისციპლინის ფარგლებში.

ფინანსური აქტივობა (საქმიანობა) – იმ მეთოდებისა (ტექნიკის) და პროცედურების გამოყენება, რომლებსაც კერძო პირები და ორგანიზაციები, საკუთარი ფინანსების სამართავად მიმართავენ.

ფინანსური მენეჯმენტი – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფინანსების მართვის ხელოვნებას.

ფინანსური მომსახურება – ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება.

ფინანსური ოპერაცია – ყველა სახის ანგარიშის (საანგარიშსწორებო, სადეპოზიტო, საბროკერო და სხვ.) გახსნა, განკარგვა, დახურვა, აგრეთვე ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტით სარგებლობა, მათ შორის, კლირინგი და ანგარიშსწორება ნაღდი ან უნაღდო ფორმით (მათ შორის, საინკასაციო მომსახურება), ფასიანი ქაღალდების გამოშვება, დაზღვევა, გადაზღვევა, საკრედიტო რიკის გაყიდვა, აქტივების გაგირავება და სხვ.

ფინი – 1. ჰორიზონტალური მორი ან სქელი ძელი, განლაგებული ნივნივების მართობულად (გადახურვებში) ან სათავსის იატაკის განივად მასზე შეფიცვრის მოსაწყობად; 2. იხ. ნახევარმორი.

ფინომეტრი – მანომეტრის სახეობა, რომელიც გვიჩვენებს აირის რაოდენობასა და წნევას ჟანგბადის და მისთ. ბალონებში.

ფიონი – ქარი, რომელიც წარმოიქმნება ტენიანი ჰაერის მიერ მთის გადალახვის დროს, სხვავასხვა ექსპოზიციის ფერდობებს შორის წნევათა სხვაობის შედეგად. ფიონის შემთხვევაში ჰაერის ტემპერატურა სწრაფად მატულობს და, შესაბამისად, თოვლის სწრაფ დნობას აქვს ადგილი. დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთის ქარს აქვს ფიონური ხასიათი და მას "ზენა" ქარს უწოდებენ.

ნახ. 1

ფიორდი (ინგლ. fjord<ძვ. სკანდ. fjörthr ლიმანი) – ვიწრო ყურე, რომელიც ზღვის მთიან სანაპიროზე გვხვდება (ნახ. 1). წარმოქმნილია მყინვარების მოქმედების შედეგად. მისი კალთები კლდოვანი, მაღალი და ციცაბოა. ფ. მრავლადაა სკანდინავიაში, განსაკუთრებით ნორვეგიაში, რომელსაც ფიორდების ქვეყანასაც უწოდებენ.

ფირმა (იტალ. firma<ლათ. firmus მუდმივი) – იურიდიული პირის უფლების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი.

ფირმის ლიკვიდური სახსრები – სახსრები, რომელიც შედგება ფულის, ფასიანი ქაღალდების, ბანკებში არსებული რესურსებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგის ზოგი ელემენტისგან.

ფირნი – მთიან რეგიონებში ან ჩრდილოეთის ქვეყნებში გარდამავალი სტადია თოვლსა და ყინულს შორის (მკვრივი მსხვილმარცვლოვანი გაყინული თოვლის გროვები).

ფირნიში – აბრა; წარწერებიანი ან ნახატებიანი დაფა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულებების, მაღაზიებისა და ა.შ. შესასვლელებთან, მათი დანიშნულებასა და საქმიანობის აღსანიშნავად.

ფირუზი – ლაჟვარდისფერი არაგამჭვირვალე საიუველირო ქვა (ნახ. 1. ცისფერი ფირუზის ქვები). არის სპილენძისა და ალუმინის ჰიდრატირებული ფოსფატი ქიმიური ფორმულით $CuAl_6(PO_4)_4(OH)_8 \cdot 4H_2O$. სახელწოდება სპარსულია, რაც "ბედნიერების ქვას" ნიშნავს. ფერი – ცისფერი, მწვანე, ნაცრისფერი. ფირუზს სხვა სახელითაც მოიხსენიებენ, როგორიცაა, მაგ., აცტეკების ქვა, არაბული ქვა, ბედნიერების ქვა, ზეციური ქვა და სხვ., თუმცა სახელი "ფირუზი" ევროპაში შემოვიდა თურქეთის გავლით ირანიდან და ხორესანიდან XVII საუკუნეში (ფრანგ. turquois თურქული). არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ ფირუზის გამოყენება სამკაულად ჯერ კიდევ ჩვ. ერამდე 6 ათასი წლის წინ დაიწყეს (ცენტრალური ამერიკა, ეგვიპტე, შუა აზია), შემდეგ კი გავრცელდა მთელ მსოფლიოში (სპარსეთი, შუამდინარეთი, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, კავკასია და სხვ.). გარდა სანახელავო ქვისა, ფირუზი გამოიყენებოდა (განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში) მეჩეთების, სასახლეების, საკულტო ნაგებობების მოსაპირკეთებლად, ტახტრევნების მოსართავად, აბანოებში და სხვ. აღსანიშნავია კურორტ ბორჯომში (საქართველო) 1892 წელს ირანის კონსულისათვის აგებული ორსართულიანი ულამაზესი შენობა, რომლის აივნის შიგნით, კედლები და ჭერი, სარკესავით მბრწყინავი ფირუზის ქვებით იყო დაფარული, ხოლო თბილისის არქიტექტურისგან მკვეთრად განსხვავებული, სპარსული სტილის ფირუზისფერი, ლამაზად მუჩუქურთმებული აივნის ფასადი ყველა გამვლელ-გამომვლელს თვალს სჭრიდა.

ნახ. 1

ფირფიტა – კონსტრუქციული ელემენტი, რომლის ერთი ზომა (სისქე) გაცილებით ნაკლებია დანარჩენ ორ ზომაზე (სიგრძე, სიგანე). ფირფიტის სახეობებია: გადამხრელი, გამომყვანი, გისოსოვანი, დამცავი, დარჩილული, დასაჭერი, დეფლექტორული, დრეკადი, ვერცხლის, ვინილის, თუთიის, მაძლიერებელი, მინის, ორთოქრომატული, ოქროს, პანქრომატული, პობედიტის, საკეტი, საკონტაქტო, სამაგრი, სამიზნებელი, სასიგნალო, სპილენძის, უკუმჭრელი, ფიბრის, ფოტოგრაფიული, ქარსის, შუალედური, შუქმგრძნობიარე, ჩასადგმელი და სხვ.

ნახ. 1

ფირფიტა დრეკადი – ფირფიტა, რომლის ჩაღუნვაც იმავე რიგისაა, რაც მისი სისქე.

ფირფიტა თხელი – ფირფიტა, რომლის სისქე არ არის მისი ფუძის უმცირესი განზომილების 1/5 -ზე მეტი (თუ 1/5 -ზე მეტია, მას ეწოდება ფილა).

ფირფიტა მართკუთხა – ფირფიტა, რომლის შუა სიბრტყეს აქვს მართკუთხედის ფორმა.

ფირფიტა ორთოტროპიული – ანიზოტროპიული მასალისგან დამზადებული ფირფიტა, რომელსაც აქვს ურთიერთმართობული დრეკადობის მთავარი მიმართულებები.

ფირფიტა სქელი – ფირფიტა, რომლის სისქე იმავე რიგისაა, როგორიც სხვა განზომილება.

ფირფიტა წრიული – ფირფიტა, რომლის შუა სიბრტყეს აქვს წრის ფორმა.

ფირფიტის შუა სიბრტყე – სიბრტყე, რომელიც ფირფიტის სისქეს შუაზე ყოფს.

ფირფიტის ჩაღუნვა – ფირფიტის შუა სიბრტყის წერტილების გადაადგილება ამ სიბრტყის მართობულად.

ფირფიცარი – იხ. ფანერი სამშენებლო.

ფისი – ქვანახშირის, ტორფის, ხის კუპრის გამოხდის ნარჩენი (პიროლიზის შემდეგ). შავი ფერის მყარი ან ბლანტი მასა (ნახ. 1. ბიტუმის ფისი). არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური. ფისები გამოიყენება საგზაო მშენებლობაში; ავეჯის გასაპრიალებლად; სათბობი ბრიკეტების წარმოებაში; ლაქების, ელექტრო- და ჰიდროსაიზოლაციო მასალების, ტოლის, რუბეროიდის, წებოების, სინთეზური ქსოვილების დასამზადებლად, ანტიკოროზიული დაფარვებისათვის და სხვ.

ნახ. 1

ფისი ბუნებრივი – სხვადასხვა გამჭვირვალობისა და შეფერილობის ამორფული ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს მცენარეები ნორმალური ფიზიოლოგიური ნივთიერებათა ცვლის ან ჭრილობის პირობებში (ნახ. 1. ხის ფისი). ფ. ბ. დნება გაცხელებისას, იხსნება ან იჯირჯვება ორგანულ გამხსნელებში, ქმნის აფსკს. ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფისებია: ქარვა, კანიფოლი, კოპალი, შელაქი და სხვ. (შელაქს გამოყოფენ მწერები). გამოიყენება ლაქების, წებოების, ქაღალდის, გრამფირფიტების წარმოებაში. თანამედროვე პირობებში ბუნებრივის ნაცვლად, ხშირად გამოიყენება სინთეზური ფისები.

ნახ. 1

ფისი ეპოქსიდური – ეპოქსიდის ჯგუფის შემცველი ოლიგომერები, რომლებსაც თვისება აქვთ გამამაგრებლის (პოლიამინები და სხვ.) ზემოქმედებით წარმოქმნან პოლიმერები. ეპოქსიდური ფისისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის წებოებს, პლასტმასებს, ელექტროსაიზოლაციო ლაქებს, ტექსტოლიტს (მინა- და ნახშირბადპლასტიკები), თხევად კომპაუნდებს, პლასტიკურ ცემენტებს და სხვ. ასეთ ფისებზე დამზადებული მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ნახშირბადპლასტიკის კომპოზიტური მასალა, რომელშიც ეპოქსიდური ფისი გამოიყენება როგორც მატრიცა, ხოლო ნახშირბადის ბოჭკოები – როგორც შემავსებელი (იხ. კომპოზიტური მასალა). კომპოზიტური მასალები ეპოქსიდური ფისების საფუძველზე წარმატებით გამოიყენება თვითმფრინავ-, მანქანათ- და რაკეტმშენებლობაში, კევლართან კომბინაციაში მისგან ამზადებენ ბრონეჟილეტებს. მშენებლობაში ეპოქსიდური ფისებისა და მის საფუძველზე დამზადებული მასალების გამოყენების სფეროა:

პოლიმერბეტონი, ლაქ-საღებავები, უნაკერო იატაკები, დეკორატიული მოსაპირკეთებელი ფილები და პანელები, საავტომობილო გზები, აეროდრომების ასაფრენ-დასაფრენი ზოლები, რკინაბეტონის კონსტრუქციების რემონტი, ხის კონსტრუქციების აღდგენა-გაძლიერება, მილსადენების ჰიდროიზოლაცია, ელექტროტრანსფორმატორები და სხვ.

ფისი სინთეზური – ოლიგომერების ტრადიციული დასახელება, რომელიც მიიღება ძირითადად პოლიკონდენსაციით. სინთეზურ ფისებს შორის მნიშვნელობით გამორჩეულია ალკიდური, კარბამიდული, ეპოქსიდური და ფენოლფორმალდეჰიდური ფისები. ფ. ს. გამოიყენება საწყის მასალად პლასტმასების, წებოებისა და ლაქების წარმოებაში.

ფისი ფენოლფორმალდეჰიდური – სინთეზური ფისი, რომელიც გამყარებულ მდგომარეობაში გამოირჩევა მაღალი ელექტროსაიზოლაციო და მექანიკური თვისებებით. გამოიყენება ფენოლპლასტების, წებოების, ლაქსაღებავების, ჰერმეტიკების წარმოებაში და სხვ.

ფიტარეთის მონასტერი (ინგლ. Pitareti Monastery) – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მდინარე ქციის ხეობაში, თბილისიდან 100 კმ-ის დაშორებით (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, გალავანი, ბაქანი, საძვალე, მარანი და სხვადასხვა დამხმარე სამეურნეო შენობები. მონასტერი აგებულია საქართველოს მეფის ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდში (1213-1222 წწ.).

ნახ. 1

ტაძრის კაპიბჭეზე არსებული წარწერის თანახმად (XIV ს.) ტაძრის სავარაუდო ქტიტორი ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფისძე ყოფილა. მას შეუძენია ტანძია და თევდორეწმინდანი და ფიტარეთის საყრდისათვის შეუწირავს. შემდეგ ამ გვარის შთამომავლები ბარათაშვილ-ორბელიშვილები არიან. XVI ს. პირველ ნახევარში ფიტარეთი გიორგი ბარათაშვილს ეკუთვნოდა, 1536 წლიდან – ორბელი ბარათაშვილს, რომლის მემკვიდრეს ყაფლან ორბელის შვილს 1627-1671 წლებში, ქართლის მდივანბეგსა და სახლთუხუცესს, 61 სოფელი გაუშენებია და ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსიც საფუძვლიანად განუახლებია. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ფიტარეთის წინამძღვარს (1696-1730 წწ.) იობს აუშენებია მარანი. წინამძღვარი იობი ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა (დ. 1675 - გ. 1737 წ.) და დიდ ქართველ მწერალ და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანთან (დ. 1658 - გ. 1725 წ.) დაახლოებული პირი იყო. მან გაამრავლა და გაამდიდრა ფიტარეთის ბიბლიოთეკა, ხელს უწყობდა მწიგნობრობისა და სულიერების განვითარებას. საბედნიეროდ, შემოსევებს გადაურჩა სახარება (1673 წელს იესე ორბელაშვილისა და მისი მეუღლის თამარ დიასამიძის შეკვეთით დამზადებული და შეწირული ფიტარეთის მონასტრისათვის), რომელიც ამჟამად

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მომხვდური მტრების თარეშის გამო მონასტერი დაცარიელდა. ტაძრის ინტერიერში დაცული საფლავის ქვების წარწერების მიხედვით, აქ დაკრძალული არიან: საორბელოს პატრონები ყაფლან და პაპუნა ორბელიშვილები, ასევე საულხან-საბა ორბელიანის მეუღლე დარეჯან ბაგრატიონი და სხვ.

ნახ. 2

ფიტარეთის ტაძრის გეგმა კვადრატულს უახლოვდება. სამხრეთიდან აქვს კარიბჭე. ტაძრის შიდა სივრცეს აღმოსავლეთით ფარგლავს სამნაწილიანი საკურთხეველი, რომლის ცენტრში აფსიდია მოთავსებული, გვერდებზე კი სადიაკვნე და სამკვეთლოა.

ტაძრის გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით მდგარ ორ პილონს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თაღები შეისრული მოხაზულობისაა, რომლებიც გუმბათის ძირს გამავალ რთული პროფილის შვერილ სარტყლამდე სამ-სამ საფეხურს აკეთებს. გუმბათის მაღალი ცილინდრიც სარტყლითვე მთავრდება, მხოლოდ ქვედა სარტყელთან იგი მარტივპროფილიანია.

გუმბათის ყელში (ნახ. 3. გუმბათის ყელის მორთულობა) თორმეტი სარკმელია. სამ-სამი – აღმოსავლეთის მხარეს გამოდის და გვერდით მკლავებშია მოუთავსებული. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ აღმოსავლეთით სამივე სარკმელი მაღალია და ერთ რიგზეა განალაგებული.

გუმბათის ყელის მაღალი და ვიწრო სარკმლები მოარშიებულია ფართო ორნამენტებით. ყოველი სარკმლის არეს სამ-სამი ლილვისაგან შემდგარი გლუვზედაპირიანი პილასტრები შემოსაზღვრავს, თარების ორნამენტული მოტივი „ბაგირი“ (გრეხილი) ორ-ორი ლილვითაა მიერთებული ცილინდრულ ყელთან. ბაზისები და კაპიტელები რთულადაა მორთული. თაღედი მთლიანად ეყრდნობა სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგენილ სარტყელს. თაღედს ზემოთ უშუალოდ გასდევს ორი ლენტით მიღებული ფრიზი. ფრიზის ზემოთ კი ორსაფეხურიანი, გუმბათის დამაგვირგვინებელი კარნიზია გაწყობილი. თაღედის კოპების რიგში, ზოგი კოპია, ზოგიც – ადამიანის თავის გამოსახულება (ნახ. 4. გუმბათის თაღების კოპების რიგი).

ნახ. 3

კარიბჭე სამი ნაწილისაგან შედგება. მთავარს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც გარედან ღიაა და შიგნით ტაძრის კარს ესაზღვრება. კარიბჭის ამ ნაწილის პარადულობას ხაზს უსვამს კამარის დამუშავება რვა სხივით. კარიბჭის აღმოსავლეთის მონაკვეთი ეგვტერს უჭირავს. კარიბჭე სამხრეთის მხრიდან სამნაწილიანია. შუაზე ორფერდა სახურავიანი აწეული ნაწილია, გვერდებზე კი,

პირველის საწინააღმდეგოდ მიმართული, თითო ქანობია. კარიბჭეს მხოლოდ ფასადი აქვს დამუშავებული. დასავლეთის მხარე შიშველია, ხოლო აღმოსავლეთისაზე მხოლოდ წრიული სარკმელია მოჩუქურთმებული.

ნახ. 4

ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა კონცენტრირებულია ცენტრზე, ჯვრის მკლავის არეში. ღრმა და მაღალ ნიშებს შემოუყვება შეწყვილებული ნიშები. ნიშების თაღებს ვიწრო ჩუქურთმოვანი არშია და ფესტონები ამშვენებს. ფესტონები დაზიანებულია. ჩუქურთმიანია აგრეთვე მარჯვენა ნიშის პლაფონი, მარცხენა კი გლუვზედაპირიანია.

მთავარ (სამხრეთის) ფასადზე შვიდი სარკმელია განლაგებული. ამათგან მთავარია ცენტრალური. იგი შემოფარგლულია ფართო არშიით და გრეხილი ლილვებითაა შემოსაზღვრული. ფასადის მორთულობის ელემენტების მეტი ნაწილი, თავმოყრილია ზედა ნაწილში, მთავარი სარკმლიდან კარნიზამდე. აქ ძირითადია ის სწორკუთხა მოჩუქურთმებული ჯვარი (ნახ. 5. ტაძრის სამხრეთი ფასადის ჯვარი), რომელიც აგვირგვინებს ფასადს. ჯვრის საყრდენად გამოყენებულია სარკმლის თავსართები, რომლებიც სარკმლიდან მოცილებულია, ხოლო მათ მაკავშირებლად გამოყენებულია სხივებრ განლაგებული ქვები. გარდა ამისა ამ ფასადს ამშვენებს ჯვრის ფუძის გვერდებზე ამოკვეთილი ლომების გამოსახულება.



ნახ. 5

ტაძარი თავიდანვე ლორფინით იყო გადახურული. მას სხვადასხვა დროს რესტავრაციაც გაუკეთდა, მაგრამ აღდგენისას ყოველთვის მხოლოდ ქვას იყენებდნენ და ჩვენამდეც ასე მოაღწია.

მთავარი ტაძრის გალავნის სამხრეთ ნაწილში ჩაშენებულია სამსართულიანი სამრეკლო (ნახ. 6. სამრეკლო). პირველ სართულზე სამონასტრო კომპლექსის შესასვლელია, მეორე სართულზე სათავსოა სამხრეთის კედელში ორი ვიწრო სარკმლით, ხოლო მესამე სართულზე სამრეკლოა ოთხივე მხრიდან ორთაღიანი გახსნილი კედლებით.

ნახ. 6

კომპლექსს შემოვლებული აქვს ორი გალავანი – ძველი და ახალი, რომელთაგან ახალი, სათოფურებიანი უკეთ არის შემონახული და XVII-XVIII სს. თარიღდება, ხოლო ძველი XII-XIII სს. განეკუთვნება და მისი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

ფიტარეთის ტაძარი ცნობილია ასევე თავისი მრავალფეროვანი, უხვი ჩუქურთმებით (ნახ. 7-ნახ. 10: ჩუქურთმები), რომლებიც შესრულების საკმაოდ მაღალი

ოსტატობით ხასიათდება და ამ ტაძარს გამოარჩევს თავისი ეპოქის სხვა ძეგლებისაგან.

ნახ. 7

ნახ. 8

ნახ. 9

ნახ. 10

ფიტინგი (ინგლ. fitting<fit არგებს, ამონტაჟებს, აწყობს) – მილსადენის შემაერთებელი ნაწილი – მოკლე რგოლი მილების მოსატრიალებლად, წყლის გადასაგდებად, მიმართულების შესაცვლელად, განშტოების, მოხვევის, განსხვავებულ დიამეტრზე გადასვლის ადგილებში (ნახ. 1) და სხვ. ამჟამად, ყველაზე მეტად გავრცელებული მეტალოპლასტმასის მილგაყვანილობის აწყობისათვის გამოიყენება სამი სახის ფ.: 1) კუთხვილიანი (დასაშლელ-ასაწყობი); 2) კომპრესიული (პირობითად დასაშლელი); 3) წნეხფიტინგი (არაგასართი). ფორმის მიხედვით ფ. არსებობს: პირდაპირი, კუთხური, სამკაპა, ჯვრისებრი, გადამყვანი და სხვ. ამათგან ყველაზე მეტად არის გავრცელებული კუთხვილიანი (ნახ. 2) ფიტინგები, რომლებიც გამოირჩევა მობილურობით, საიმედოობით, ხანგამძლეობითა და მონტაჟის სიმარტივით.

ნახ. 1

ნახ. 2

ფიტო (ბერძ. phyto მცენარე) – რთული სიტყვის თავსართი, რომელიც აღნიშნავს მცენარეს ან მცენარესთან დაკავშირებულს.

ფიტოგეოგრაფია (ბერძ. phyto მცენარე, gê დედამიწა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ბოტანიკის და ფიზიკური გეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის მცენარეთა გეოგრაფიულ გავცელებას დედამიწაზე და ადგენს ამ გავრცელების კანონზომიერებებს.

ფიუჟენი [ინგლ. fusion<ლათ. fusion(-)<fundere დასხმა, გავსება, დანთება, გახურება] – თანამედროვე სტილისტიკებიდან ყველაზე ახალგაზრდა მიმართულება. ეს სტილი ჩამოყალიბდა სხვადასხვა კულტურის, ტრადიციის, დროებისა და ტექნოლოგიების გადაკვეთით. გამოირჩევა თავისი სიყვარულით ყველაფერი არაჩვეულებრივის და ეგზოტიკურის მიმართ, არ მისდევს ძველ ტრადიციებს, მაგრამ არსებობს მათთან თითქოს პარალელურ სამყაროში, სადაც საკუთარი კანონები აქვს. ფ. ინტერიერში გულისხმობს აღრევას თანამედროვე რეტრომოტივების, ახალი მასალების, ტექნოლოგიებისა და ხელნაკეთებისას, რომელიც დამზადებულია ერთ ეგზემპლარად. ინტერიერი ისე გამოიყურება, თითქოს სახლში ცხოვრობდა მოგზაურთა არაერთი თაობა. ფ. მთავარი შტრიხი – შინაგანი ჰარმონიის შეგრძნება და სიმყუდროვეა (ნახ. 1).

ნახ. 1

ფიუჩერსი (ინგლ. futures მომავალი) – ფორვარდული გარიგების სტანდარტული ფორმა, რომელიც მოძრაობს ორგანიზებულ ბაზარზე ბირჟის შიგნით ცენტრალიზებული ანგარიშსწორებით. შეიძლება იყოს საანგარიშსწორებო და მიწოდების.

ნახ. 1

ფიფქი – ახალმოსული, მშრალი, დაუმჯდარი თოვლი; თოვლის კრისტალი.

ფიქალი – ბრტყლად გათლილი და სუფთად დამუშავებული წვრილმარცვლოვანი ქვა (ნახ. 1). ფიქალი შეიძლება იყოს: არგილითური, აჯასპის, თიხიანი,

კაჟიანი, კირქვიანი, კრისტალური, მეტამორფული, ნახშიროვანი, ფურცლოვანი, ქარსოვანი, ქვიშაქვის, ცარცისა და სხვ.

ნახ. 1

ფიქსატორი (ფრანგ. fixateur<ლათ. fixus მაგარი, ურღვევი, მტკიცე) – სამონტაჟე მოწყობილობა, რომელიც ზღუდავს კონსტრუქციის ელემენტის მდგომარეობას ერთი ან ორი მიმართულებით რაღაც დასაშვებ საზღვრებში (ნახ. 1. ოთახებსშორისი კარის მაგნიტური ფიქსატორი).

ფიქსაცია (ინგლ. fixation<ლათ. fixus მაგარი, ურღვევი, მტკიცე) – რაიმეს დამაგრება განსაზღვრულ მდგომარეობაში, რაც ხორციელდება სპეციალური ფიქსატორების საშუალებით, მაგ., გადამრთველით ან აწყობის ფიქსატორით. ის გვხვდება მანქანის გადაცემათა კოლოფშიც.

ფიქსერი – ბიტუმ-პოლიმერული ცივი მასტიკა რბილი კრამიტის დასაწებებლად დიდქანობიან სახურავზე.

ფიცარი – დახერხილი ხის მასალა, რომლის სიგანე ორჯერ და უფრო მეტად ჭარბობს მის სისქეს (ნახ. 1). ფიცრის სისქე იცვლება 1,1-10 სმ-მდე, ხოლო სიგანე – 6-25 სმ. მაქსიმალური სიგრძეა 6,5 მ, გრადაციით 0,25 მ. არსებობს თხელი ფიცარი სისქით h ≤ 3,5 სმ და სქელი ფიცარი h ≥ 3,5 სმ. თუ ფიცარს ოთხივე გვერდი სუფთად აქვს ჩამორანდული, მას სუფთა ფიცარი ეწოდება. თუ ორი დიდი გვერდი გარანდული აქვს, მაშინ ის ნაშურიან ფიცარს წარმოადგენს. დანიშნულებისა და ფორმის მიხედვით ფ. სახეებია: ასაკრავი, გაგანიერებული, გათლილი, გამოსაწევი, გვერდითი, დამოკლებული, იატაკის, კონუსისებრი, მისაკრავი, მისაჭერი, მრუდე, ნაგვერდული, ნარიმანდიანი, ნახევრადჩამოგანილი, რადიალური, სალავგავარდნე, სამზარეულოს, საპირაპირე, სახურავის, სუფთად ჩამოგანილი, ტანგენციური, შეწებილი, ერთფენიანი, მრავალფენიანი, ჩამოგანილი, ჩამოტორსილი, ჭერისა და სხვ.

ნახ. 1

ფიცარფენილი – ფიცარნაგი; მიჯრით დალაგებული ფიცრებით შექმნილი ზედაპირი.

ფიცრების შემჭიდროება – ფიცრების (ძელების) შეერთება სიგანეში (ნაწიბურებით) წებოს ან მაკავშირებლების გამოყენებით [ნახ. 1. ფიცრების შემჭიდროება: 1-ბრტყელი ჯიფთით (პირმიდგმით); 2-მეოთხედით; 3-ძელაკით; 4-ღარითა



ნახ. 1

და ქიმით; 5-ღარითა და სამკუთხა ქიმით; 6-კოტათი]. გამოიყენება ფარების დასამზადებლად, სათავსის ჭერისა და იატაკის მოსაწყობად, კედლებისა და ტიხრების მოსაპირკეთებლად და სხვ.

ფიჭპლასტი (იზოშაუმი, პიათერმი, სტიროფორი) – მასალა, შედგენილი რეგულარულად განმეორებადი გამჭოლი უჯრედებისგან, რომლებიც მიმართულია პანელის ან ფილის ზედაპირის მართობულად (ნახ. 1). უჯრედის კედლები მზადდება თერმორეაქტიულ პოლიმერებში გაჟღენთილი მოქნილი ან ხისტი ფურცლოვანი მასალის (ქაღალდი, კრაფტ-ქაღალდი, ბამბის ქსოვილი, მინაქსოვილი, ფანერის შპონი, ალუმინის ფოლგა, მერქანბოჭკოვანი ფილა და სხვ.) ცხელი დაწნეხით. უპირატესობა ეძლევა არაწვად მასალებს. უჯრედის აგებულება ძალიან ჩამოჰგავს ფუტკრის ფიჭის აგებულებას, საიდანაცაა წარმოშობილი ამ პლასტმასის დასახელებაც. ფ. მაღალი თბო- და ბგერასაიზოლაციო თვისებების მისაცემად უჯრედებს ავსებენ ფხვნილისებრი ქაფპლასტით და კონსტრუქციის წახნაგებს შემოაწებებენ სხვადასხვა ტიპის ფურცლოვან უწვად მასალას, რათა კონსტრუქციას მიეცეს დამთავრებული სახე. ფ., როგორც კონსტრუქციული მასალის ღირსება ის არის, რომ მცირე სიმკვრივის (15-60 კგ/მ³) პირობებში შეუძლია აიტანოს საკმაოდ დიდი დატვირთვები.


ნახ. 1

ფიჭვი (ლათ. Pínus) – ძვირფასი ხის ჯიში (ნახ. 1. კავკასიური ფიჭვი), რომელმაც ფართო გამოყენება პოვა მშენებლობაში. ხასიათდება ტანის სისწორით, სიმსუბუქით, მაღალი ტექნიკური თვისებებით. აქვს მკვეთრად გამოხატული მუქი წითელი ან ღია ყვითელი ფერის გული. დიდი რაოდენობით შეიცავს ფისს (18-20 კგ ფისი 1 მ^3 მერქანზე), რაც უზრუნველყოფს მერქნის მაღალ მდგრადობას ლპობის საწინააღმდეგოდ. სიმკვრივე მშრალ მდგომარეობაში იცვლება ზღვრებში 400-710 კგ/მ^3. საუკეთესო თვისებებით ხასიათდება ფ. მერქანი წლოვანებით 80-100 წელიწადი. მისი სიმაღლე აღწევს 40 მ-მდე, ტანი კი თითქმის ცილინდრულია, რაც აადვილებს დამუშავებას და ზრდის მერქნის გამოსავლიანობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთნაირი ტენიანობის პირობებში ნაქურთენის და გულის სიმტკიცე თითქმის ტოლია, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ განივკვეთის 85-90%. ფ. ივითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას. ის გვალვაგამძლე და სინათლის მოყვარული მცენარეა. დაჩრდილვას ვერ იტანს. ტყეებს (ფიჭვნარებს) ქმნის, როგორც მდიდარ, ისე მწირ და ქვიან ნიადაგზე. კირქვებსა და ტორფიან ჭაობებზე ცოცხლობს 300-350 წელს. გვარი აერთიანებს 100-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. საქართველოში გავრცელებულია 4 სახეობა: კავკასიური (სოსნოვსკის), ბიჭვინთის, ელდარისა და კოხის ფ. ყველა სახეობა ორწიწვიანია. ფ. მერქანზე დიდი მოთხოვნილებაა. ის ლარიქსივით არ იბრიცება და საკმაოდ გამძლეა. ფ. ძელებით აგებული სახლი რამდენიმე ასეულ წელს ძლებს. ის შესანიშნავი საშენი მასალაა და პრაქტიკულად ნებისმიერი კონსტრუქციის დასამზადებლად გამოიყენება.

ნახ. 1

ფიჭვი ანგარის – ჩვეულებრივი ფიჭვის ნაირსახეობა, მცენარე ფიჭვის გვარისა (ნახ. 1). სიმკვრივე 540 კგ/მ^3; სიმაგრე ბრინელის მიხედვით – 2,5. გავრცელებულია ციმბირში, მდ. ანგარას ბასეინში (რუსეთის ფედერაცია). სიმაღლეში იზრდება 50 მ-მდე. ტანის დიამეტრი – 2 მ-მდე. ნელა იზრდება. სიმწიფეს აღწევს 150-200 წლის შემდეგ. მიეკუთვნება უნიკალური ჯიშის ხეს. გამოიყენება მშენებლობასა და ავეჯის წარმოებაში, ადრეთვე გემთ- და ვაგონმშენებლობაში.

ნახ. 1

ფიჭვი ბიჭვინთის – მცენარე ფიჭვის გვარისა. 25-40 მ-მდე სიმაღლის, სწორტანიანი, გაშლილვარჯიანი ხე (ნახ. 1). მიეკუთვნება მესამეული პერიოდის რელიქტურ და ენდემურ ჯიშებს. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროებზე ანაპის მიდამოებიდან (კრასნოდარის მხარე) ფსირცხამდე (აფხაზეთი) და სამხრეთ ყირიმში. გვხვდება ზღვის დონიდან 300-400 მ-ზე. იზრდება როგორც ზღვისპირული ვაკის ნიადაგზე (ბიჭვინთის კონცხი), ისე მთის კალთების ღორღიან თხელ ნიადაგზე და კირქვებზე. ფ. ბ. სწრაფმზარდი, სინათლისა და სითბოს მოყვარული, მეტნაკლებად გვალვა- და ქარგამძლე ჯიშია. გამოიყენება ბაღ-პარკების მოსაწყობად შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ზოლში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, როგორც დეკორატიული ხე.

ნახ. 1

ფიჭვი დუგლასის – რბილმერქნიანი ხე, რომელიც ყველაზე გავრცელებულია დიდი ბრიტანეთის, კანადის, ახალი ზელანდიისა და აშშ-ის სამშენებლო ინდუსტრიაში (ნახ. 1. დუგლასის ფიჭვის ტყე ვაკატიპუს ტბასთან, ქ. ქვინსტოუნის სიახლოვეს, ახალი ზელანდია).

ნახ. 1

ფიჭვი ელდარის – მარადმწვანე ხე, სიმაღლით 12-15 მ, ვარჯი – ფართოდ გაშლილი, ღია მწვანე ფერის გრძელი წიწვებით. ველურად გავრცელებულია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, ელიარ-ოუღის ქედზე (ივრის ზეგანი). გამოიყენება ბაღებსა და პარკებში, როგორც დეკორატიული ხე, აგრეთვე მთის ფერდობების გასამაგრებლად.

ნახ. 1

ფიჭვი კავკასიური – მარადმწვანე წიწვოვანი ხე, სიმაღლით 20-25 მ, ვარჯი – პირამიდული, კონუსური (ნახ. 1) ან მომრგვალო ფორმის, წიწვები ტოტებზე წყვილ-წყვილად განლაგებული, ბლაგვწვერიანი, შეიცავს ეთერზეთებს; გავრცელებულია თითქმის მთელს საქართველოში, ქიზიყის (კახეთი) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის (ქვემო ქართლი) ტერიტორიების გარდა. მერქანი გამოიყენება ისევე, როგორც ჩვეულებრივი ფიჭვისა.

ნახ. 1

ფიჭვი ციმბირული (ციმბირული კედარი) (ლათ. Pinus sibirica) – ფიჭვისებრთა ოჯახის მარადმწვანე ხე. სიმაღლეში იზრდება 35-44 მ-მდე. გავრცელებულია ციმბირისა და ურალის ტერიტორიაზე (რუსეთის ფედერაცია). აქვს 13 სმ-მდე სიგრძის გირჩები, რომელთა მარცვლები ითვლება დელიკატეს საკვებ პროდუქტად (ნახ. 1). გამოიყენება სამშენებლო საქმეში, ავეჯისა და მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებაში, ფანქრების დასამზადებლად და სხვ.

ფლატე – მდინარის, ხევის ჩამონგრეული ნაპირი.

ფლეგმატიზატორი (ინგლ. phlegmatizer<ბერძ. phlegma ლორწო) – დამატებითი კომპონენტი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიური პირობებიდან გამომდინარე პროცესი უნდა ჩატარდეს წვადი ნივთიერების ისეთი კონცენტრაციის დროს, რომელიც აღნიშნული ნივთიერების აალების კონცენტრაციულ ზღვრებშია. ფ. შეჰყავთ სარეაქციო ნარევში, რის შედეგადაც ნარევი ხდება არაწვადი. იგი შეიძლება იყოს ინერტული კომპონენტი ან ინჰიბიტორი.

ნახ. 1

ფლერონი (ჯვარედი ყვავილი) (ძვ. ფრანგ. floron<flor ყვავილი, ყვავილობა; რჩეული ნაწილი; უმანკოება, ქალწულობა<ლათ. flōs ყვავილი) – 1. არქიტექტურასა და ორნამენტიკაში, ნაძერწი, ამოჭრილი ან ნახატი სამკაული, ჯვრისებრად განშტოებული ღეროს მქონე, სტილიზებული ყვავილის სკულპტურული გამოსახულების სახით, რომელიც აგვირგვინებს კლასიკური კორინთული ორდერის, გოტიკური შენობისა (მაგ., კოშკს, ფრონტონს, შპილს და სხვ.) (ნახ. 1. ფლერონი ბრიუსელის რატუშაზე, ბელგიის სამეფო) და სხვა ნაწილს; ერთგვარ მცენარეთა ყვავილების ფორმის სტილიზებული

ჩუქურთმა ან მოტივი, რომელიც განსაკუთრებულად გამოიყენება შენობებზე, მონეტებზე და წიგნებზე; 2. ვინიეტი, თავსართი.

ნახ. 1

ფლეში (ფრანგ. flèche ისარი) – 1. პატარა ხის შპილი; 2. სამხედრო არქიტექტურაში გამოშვერილი მახვილი ან ბლაგვი კუთხის მქონე V-სებრი მცირე სავლე სიმაგრე (ნახ. 1. ბაგრატიონის ფლეში, ს. ბოროდინო, რუსეთის ფედერაცია); დამატებით იხ. რედანი. 3. პატარა კოშკი სახურავის კეხის ნაწილში.

ფლიგელი (გერმ. flügel ფრთა) – 1. საცხოვრებელი სახლის გვერდითი მინაშენი (ნახ. 1); 2. დიდი სახლის ეზოში მოქცეული მცირე სახლი (ნახ. 2).

ნახ. 1

ნახ. 2

ფლინტგლასი (ფლინტი) (გერმ. flintglas<flins კაჟი და glas მინა) – ერთგვარი ტყვიაშემცველი ოპტიკური მინა, რომელსაც ახასიათებს სინათლის გარდატეხის დიდი კოეფიციენტი. გამოიყენება სხვადასხვა ოპტიკური დეტალებისა და რთული ობიექტივების დასამზადებლად.

ფლისკინა – ბირქი, ბლისკინა; ციხე-სიმაგრის (ციხე-ქალაქის) ირგვლივ თავდაცვის მიზნით გარშემორტყმული წყლით სავსე თხრილი.

ფლოგოპიტი – ქარსების ჯგუფის სილიკატების კლასის მინერალი. ქიმიური ფორმულა – $KMg_3(AlSi_3O_{10})(F,OH)_2$. მინარევებია: Na, Ti, Mn, Rb და სხვ. აქვს ფირფიტისებრი ან პრიზმული კრისტალები, ქერცლოვანი აგრეგატები. ჩვეულებრივ, მწვანეა ან მურა, ხოლო სახეობები, რომლებიც რკინას არ შეიცავს, უფერულია. აქვს სრულყოფილი ტკეჩადობა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2,2-5; სიმკვრივე 2780-2850 კგ/მ^3. გვხვდება მეტამორფულ ქანებში. გამოიყენება ელექტროსაიზოლაციო მასალად.

ფლოემა (ბერძ. phloios ქერქი) – ლაფანი, მცენარის ტანის (ღეროს) ქსოვილი, რომელიც ემსახურება ფოტოსინთეზის შედეგად ფოთლებში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებების გატარებას მცენარის სხვა ნაწილებისაკენ (ვარჯი, ტანი, ფესვები).

ფლოკულაცია (ლათ. flocculus ფიფქი) – შედარებით მცირე მანძილებზე კოლოიდური ნაწილაკების ერთმანეთთან მიახლოებისა და ურთიერთფიქსაციის მოვლენა, რაც ჩვეულებრივ იწვევს ფაშარი ფიფქისებრი კოაგულანტების – ფლოკულების წარმოქმნას. მიმდინარეობს წყლის ფრთხილი შენჯღრევით, რაც იწვევს წვრილი ნაწილაკების კონგლომერაციას უფრო მსხვილი ნაწილაკების წარმოქმნით. წარმოქმნილი კონგლომერატი სწრაფად ილექება ფსკერზე.

ფლომასტერი (ინგლ. flowmaster<ტერმინი წარმოდგება სავაჭრო მარკისგან "Flo Master") – ხელსაწყო საწერად, სახატავად, სახაზავად, რომელსაც კორპუსის შიგნით მოთავსებული აქვს სპეციალური ფერადი მელნით გაჯერებული ე.წ. "მკვებავი"; მასთან მიერთებულია მილოვანი ღერო, რომლიდანაც ქაღალდზე და მისთ. შეხებისას თანაბრად გამოდის მელანი.

ფლორა (ლათ. flora ყვავილებისა და გაზაფხულის ქალღმერთი) – ქვეყნის, გარკვეული ტერიტორიის ერთეულის, კუნძულის, კონტინენტისა და სხვათა ისტორიულად ჩამოყალიბებული მცენარეთა სახეობების ერთობლიობა; მცენარეთა სამყარო.

ნახ. 1

ფლორინგი (ინგლ. flooring<flōr იატაკი) – გარანდული და ნარიმანდამოღებული საექსპორტო დახერხილი მასალა (ნახ. 1).

ფლოტაცია (ფრანგ. flottation ცურვა წყლის ზედაპირზე) – ლითონის მადნის გამდიდრების ერთ-ერთი წესი – გარემოში მინერალების ერთმანეთისგან განცალკევების მეთოდი, დაფუძნებული ჰაერის ბუშტებში მინერალის ნაწილაკების შეერთების თვისებაზე, რომლის საშუალებითაც მიიღება მადნის კონცენტრატი. ის ხორციელდება ფლოტაციის აფსკური, ზეთიანი ან ქაფიანი მანქანებით.

ფლოტაციური მანქანა – მექანიკური, პნევმატიკური ან კომბინირებული დანადგარი, რომლის მეშვეობით ხდება სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება.

ფლოტაციური რეაგენტი – აქტიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ფლოტაციის პროცესის რეგულირებისათვის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებისას. ფ. რ. ცვლის სხვადასხვა მინერალების ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობას და არეგულირებს ქაფწარმოქმნას. შემადგენლობის, სტრუქტურისა და თვისებების მიხედვით ფ. რ. სხვადასხვაგვარია – შეზღუდული და შეუზღუდავი, კარგად- და ცუდადხსნადი წყალში და სხვ.

ფლუატები – სილიციუმფთორწყალბადმჟავას მარილები, რომელთა ხსნარები გამოიყენება კირქვების ზედაპირის გაჟღენთვისათვის გამოფიტვისაგან მათი დაცვის მიზნით.

ფლუგარი – ბრტყელი სასუნთქი დეტალი სახურავის სავენტილაციო მილყელებისათვის.

ფლუგერი (ნიდერლ. vleugel ფრთა) – მეტეოროლოგიური ხელსაწყო, რომელიც უჩვენებს ქარის მიმართულებას და სიჩქარეს; წარმოადგენს ანძაზე, შპილზე, სახურავზე, ლატანზე დამაგრებულ თავისუფლად მოძრავ ფირფიტას, ისარს (ნახ. 1).

ნახ. 1

ფლუორესცენცია (ლათ. fluor ნაკადი და escentia სუსტი მოქმედების აღმნიშვნელი ბოლოსართი) – ლუმინესცენცია, რომელიც გაღიზიანების (განათების) შეწყვეტის შემდეგ ძალიან მალე ქრება.

ფლუორიტი (ლათ. fluor ნაკადი და ბერძ. ites წაგრძელება) – ფთორიდების კლასის ყვითელი, მწვანე, იისფერი მინერალი (ნახ. 1). ქიმიური ფორმულა – CaF_2; სიმკვრივე – 3175-3184 კგ/მ^3. გვხვდება ჰიდროთერმული საბადოს ძარღვებში, დოლომიტებსა და კირქვებში. მადანი შეიცავს იშვიათმიწა ელემენტებს, ზოგჯერ – რადიოაქტიურ ურანსა და თორიუმს. გამოიყენება მეტალურგიაში (ფლუსად), კერამიკულ წარმოებაში (ემალად, ჭიქურად), ოპტიკასა (ლინზების, ობიექტივების დასამზადებლად) და სხვ.

ნახ. 1

ფლუსი (გერმ. fluss<fliessen დენა) – ნივთიერება (უმეტესად ნარევი) ორგანული ან არაორგანული წარმოშობისა, რომელიც გამოიყენება შედუღების პროცესში შესადუღებელი ლითონის ნაკეთობის ზედაპირიდან მჟანგავი ქიმიური ელემენტების მოსაცილებლად, ზედაპირული დაჭიმულობის მოსახსნელად, თხევადი სარჩილის განდენადობის გასაუმჯობესებლად და შედუღების ადგილის დასაცავად ატმოსფერული ზემოქმედებისაგან. დანიშნულების მიხედვით არსებობს ფლუსის შემდეგი სახეები: ტემპერატურული აქტიურობის ინტერვალის მიხედვით – დაბალტემპერატურული (450°C-მდე) და მაღალტემპერატურული (450°C-ზე მეტი); გამხსნელის ბუნების მიხედვით – წყლიანი და უწყლო; მოქმედების განმსაზღვრელი აქტივატორის ბუნების მიხედვით – დაბალტემპერატურული (კანიფოლური, მჟავური, გალოგენური, ჰიდრაზინური, ფთორბორული, ანილინური, სტეარინული) და მაღალტემპერატურული (გალოგენური, ბორ-ნახშირმჟავური); მოქმედების მექანიზმის მიხედვით – დამცავი, ქიმიური მოქმედების, ელექტროქიმიური მოქმედების, რეაქტიული; აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით – მყარი, თხევადი, პასტისმაგვარი. შავი ლითონების შესადუღებლად გამოიყენება აქტიური (ცინკის ქლორიდი) და საშუალო ან მცირე აქტივობის (ამონიუმის ქლორიდი) ფ.; ალუმინის შენადნობებისათვის – მრავალკომპონენტიანი სარჩილი, რომელშიც შედის თუთია, კადმიუმი, ბისმუტი და სხვ. მეტალები, აგრეთვე ბინარული ორთოფოსფორის კონცენტრირებული მჟავა; უჟანგავი ფოლადებისათვის – ორთოფოსფორის მჟავა; მაღალტემპერატურული რჩილვისათვის – ბორის მჟავას, ბორაკის, ბორის ანჰიდრიდის, სპილენძის, ბრინჯაოს, თითბრისა და სხვ. ფლუსი.

ფლუქსმეტრი (ლათ. fluxus დინება და métron გაზომვა) – ხელსაწყო მაგნიტური ნაკადის გასაზომად.

ფლუქტუაცია (ლათ. fluctuātiōn ღელვა, რხევა) – რაიმე სიდიდის შემთხვევითი გადახრა მისი საშუალო მნიშვნელობიდან.

ფოთის საკათედრო ტაძარი (ინგლ. Poti Cathedral) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ბიზანტიური არქიტექტურული სტილის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი ქ. ფოთში (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი).

ნახ. 1

აგებულია 1906-1907 წლებში. არქიტექტორები ა. ზელენკო და რ. მარფელდი. ის კონსტანტინოპოლში მდებარე აია სოფიას ტაძრის შემცირებულ ასლს წარმოადგენს. ტაძარი 2000 მლოცველს იტევს. ინტერიერი გამოირჩევა ჰაეროვნებით, სიმსუბუქითა და კარგად განათებული დიდი სივრცით (ნახ. 3. ინტერიერი). შესასვლელის სამთაღიანი პორტიკი (ნახ. 4. ტაძრის შესასვლელი) საზეიმო განწყობილებას ქმნის და არქიტექტურულად კარგად არის შერწყმული ნაგებობასთან. ტაძრის აშენებაში დიდი წვლილი ქალაქის თვითმმართველობამ შეიტანა, რომელსაც ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე მეთაურობდა. ტაძრის ორნამენტები და ბარელიეფები აღებულია საქართველოსა და ტრაპიზონის მთებში არსებული ქართული მონასტრებიდან. ტაძარს სამი კანკელი გააჩნდა, კანკელის უმთავრეს ხატებს შორის სამი ხატი წმინდა ნინოს, წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. დავით აღმაშენებლისა გახლდათ. 1932 წელს საკათედრო ტაძარი თეატრად გადააკეთეს და მხოლოდ 2005 წელს დაუბრუნდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

ნახ. 2

ნახ. 3

ნახ. 4

ფოთლოვანა – იხ. ლარიქსი.

ფოთოლი – მცენარის ორგანო, რომელიც ჰაერიდან ნახშირორჟანგს შთანთქავს, მიწიდან ფესვების მეშვეობით წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ ნივთიერებებს იღებს, ასრულებს ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში (ვეგეტატიური გამრავლება და სხვ.).

ნახ. 1

ფოიე (ფრანგ. foyer კერა, ფოკუსი) – თეატრში, კინოში და მისთ. – დარბაზი, სადაც იმყოფება მაყურებელი სანახაობის დაწყებამდე და შესვენებებს შორის (ნახ. 1).

ფოკის მონასტერი (ინგლ. Foka Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფოკის წმინდა ნინოს მონასტერი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირას, სოფელ ფოკაში. მონასტრის დაარსება საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელ წმიდა ნინო კაბადოკიელის სახელთანაა დაკავშირებული. წმიდა ნინო საქართველოში სომხეთიდან შემოვიდა და ფარავნის ტბასთან შეჩერდა. XI საუკუნეში სწორედ მისი სახელობის ტაძარი ააგეს (ნახ. 2. საერთო ხედი). ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ადგილობრივი მოვარდისფრო ანდეზიტური ტუფის კვადრებით. საკურთხევლის აფსიდში ორი მაღალი ნახევარწრიული ნიშაა. დეკორატიული მორთულობა მხოლოდ სამხრეთ ფასადზეა შემონახული. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარ-სარკმლები შემკულია ჩუქურთმებით. ინტერიერში შემონახულია ძველი მხატვრობის ფრაგმენტები.

ნახ. 1

ფოკის ეკლესია მნიშვნელოვანია მასზე დატანილი წარწერებიდან გამომდინარე, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ ტაძრის აგება და შემდგომი შეკეთების პერიოდები. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წინ, იმ ადგილას სადაც წმინდა ნინომ პირველად

დადგა ფეხი ქართულ მიწას, განთავსებულია გათლილი ქვის მემორიალური მცირე ობელისკი (ნახ. 3. წმინდა ნინოს ობელისკი) შესაბამისი წარწერით. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის ადგილას 1989 წელს დაარსდა მამათა მონასტერი, ხოლო 1992 წელს ახლოსვე გაიხსნა დედათა მონასტერიც.

ნახ. 2

ნახ. 3

ფოკუსი (ლათ. focus კერა) – 1. მათემ. მეორე რიგის წირის (ელიფსის, ჰიპერბოლის, პარაბოლის) წერტილი, რომელიც ამ წირის სიბრტყეში მდებარეობს და ის თვისება აქვს, რომ წირის ნებისმიერი წერტილიდან ფოკუსამდე მანძილის ფარდობა ამ წირის დირექტრისამდე მანძილთან არის მუდმივი სიდიდე და ამ წირის ექსცენტრისიტეტის ტოლია; 2. ფიზ. გარდატეხილი ან არეკლილი სხივების გადაკვეთის წერტილი; 3. წერტილი, რომელშიც ფოტოგადაღების დროს საგანი მაქსიმალურად მკაფიო გამოსახულებას იძლევა; 4. გადატ. რისამე შუაგული, ცენტრი, შუაწერტილი; 5. ილეთი, ტრიუკი, რაც თვალებს ატყუებს და მაყურებლის განცვიფრებას იწვევს მოჩვენებითი ზებუნებრიობით; დამყარებულია ხელის მოქნილობაზე, რაიმე კანონზომიერების ცოდნაზე; 6. ხრიკი, ფანდი, ოინი.

ფოლადბეტონი (ლითონბეტონი) – სპეციალური ცვეთამედეგი ბეტონი, რომელიც მზადდება პორტლანდცემენტზე კვარცის ქვიშის, ლითონის ბურბუშელისა და ნაქლიბის ნარევისაგან. გამოიყენება ისეთი ნაგებობების ელემენტებში, სადაც ადგილი აქვს ცვეთასა და დარტყმით ზემოქმედებებს (საწყობი, ანგარი, მეტალურგიული ქარხნის იატაკი, ბუნკერი, პლატფორმა და სხვ.).

ფოლადი (სპარს.) – რკინის, ნახშირბადისა და სხვა ელემენტების შენადნობი. მაღალი სიმტკიცისა და დაბალი ფასის გამო ფ. წარმოადგენს ძირითად კომპონენტს შენობების, ნაგებობების, ხომალდების ასაგებად, ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, ხელსაწყოების, ავტომობილების, მანქანების, ხელსაწყოების, იარაღის საწარმოებლად და სხვ. სიმკვრივე დამოკიდებულია მალეგირებელ კომპონენტებზე და მერყეობს ზღვრებში: 7750-7850 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 1450-1520°C; ტემპერატურული ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტი – (11,0-11,9)10^{-6} 1/°C; იუნგის მოდული – 210 გპა; ძვრის მოდული – 80 გპა; პუასონის კოეფიციენტი – 0,28-0,3. ნახშირბადი ფოლადს ანიჭებს სიმტკიცეს, სიმაგრეს, ამცირებს პლასტიკურობასა და სიბლანტეს. მისი შემცველობა ფოლადში იცვლება ზღვრებში – 0,022-2,14%, თუმცა გამოჩნდა თანამედროვე ფოლადები ნახშირბადის შემცველობით 3,4%-მდე. ფოლადის წარმოების უძველესი ხერხია ცივსაბერი პროცესი, რომელსაც საფუძვლად

ედო ქურაში (მოგვიანებით შახტურ ღუმელში) რკინის აღდგენა მადნიდან ხის ნახშირით. ძველი ქართველი მელითონეები სიტყვა ფოლადს უწოდებდნენ მაგარ რკინას, რომელიც რუსულ ენაში "ბულატის" სახელწოდებით დამკვიდრდა. ადრეული მეტალურგიის უდიდეს მიღწევად ამ სახის ფ. ითვლება, რომლის ნამზადის ზედაპირი ტალღოვანია ან ქსოვილისებრი ბოჭკოვნებით გამოირჩევა, ახასიათებს მაღალი ფხამახვილობა, დიდი დრეკადობა და სიმტკიცე. ფოლადის მასობრივად გამოყენება დაიწყო XVII საუკუნიდან, როდესაც დამუშავებული იქნა ეფექტური მეთოდები ტიგელური ფოლადის მიღებისა, ხოლო XIX საუკუნის შუახანებში ბესემერის პროცესის გამოყენებამ საწყისი დაუდო სერიული ფოლადების ახალ ეპოქას. მას მოჰყვა სიმენს-მარტინის, თომასისა და სხვ. პროცესები, რომლებმაც გააუმჯობესეს ფოლადის ხარისხი (რბილი ფოლადი შეიცვალა ჭედადი ფოლადით). დანიშნულების მიხედვით ფოლადი არის საკონსტრუქციო, კოროზიამედეგი (უჟანგავი), საიარაღო, მხურვალმტკიცე და კრიოგენული; ქიმიური შედგენილობის მიხედვით – ნახშირბადიანი და ლეგირებული, მათ შორის ნახშირბადის შემცველობის მიხედვით: ნახშირბადმცირე (0,25%-მდე C), საშუალონახშირბადიანი (0,3-0,55%-მდე C) და ნახშირბადუხვი (0,6-2% C); მალეგირებელი ელემენტების მიხედვით: მცირედ ლეგირებული (მალეგირებელი ელემენტების რაოდენობა 4%-მდე), საშუალოდ ლეგირებული (11%-მდე) ან უხვად ლეგირებული (11%-ზე მეტი); სტრუქტურის მიხედვით – აუსტენიტური, ფერიტული, მარტენსიტური, ბეინიტური და პერლიტური. თუ სტრუქტურაში ჭარბადაა ორი ან მეტი ფაზა, მაშინ ფოლადებს ყოფენ ორფაზიან და მრავალფაზიანად; ხარისხის მიხედვით (მავნე მინარევებისა და აირების შემცველობის მიხედვით) – ჩვეულებრივი (ნახშირბადიანი), ხარისხიანი (ნახშირბადიანი კონსტრუქციული), მაღალხარისხიანი (ნახშირბადიანი და ლეგირებული კონსტრუქციული და ინსტრუმენტალური) და განსაკუთრებით მაღალხარისხიანი (ლეგირებული ინსტრუმენტალური სპეციალური). ზოგადად ფოლადის მრავალი სახეობა არსებობს: აზოტიანი, ალუმინიანი, ანტიკოროზიული, არადწფორმირებადი, არაევტექტოიდური, არალეგირებული, არამაგნიტური, ბეინიტური, ბერილზოლოვანა, ბესემერის, ბორშემცველი, გაგლინული, გადამეტხურებული, განუჟანგავი, გასაუმჯობესებელი, გაუმჯებესებული, გემთსაშენი, გრაფიტიზებული, დააზოტებული, დაბალლეგირებული, დაბალნახშირბადიანი, დაკალიბრებული, დამასკოს, დამშვიდებული, დასააზოტებელი, დაცემენტებული, დეფორმირებადი, დიამაგნიტური, დინამოს, ევტექტოიდური, ელექტროტექნიკური, ვაკუუმირებული, ვანადიუმიანი, ვერცხლა, ვოლფრამიანი, ვოლფრამმოლიბდენიანიზეევტექტოიდური, ზეწვრილმარჩვლოვანი, ზოლოვანი, თბომდგრადი, თბომედეგი, თვითწრთობადი, თომასის, თხელფურცვლოვანი, კარბიდული, კონვერტერის, კობალტიანი, კოროზიამედეგი, ლეგირებული, ლედებურიტებული, მაგნიტური, მაგნიტურრბილი, მაგნიტურსალი, მაგნიტურხისტი, მანგანუმიანი, მანქანათსამშენებლო, მარტენის, მარტენსიტული, მარტენსიტულად დაძველებადი, მაღალლეგირებული, მაღალმანგანუმიანი, მაღალი სიმტკიცის, მაღალი შეწრთობადობის, მაღალქრომიანი, მაღალხარისხოვანი, მდარე ხარისხის, მდუღარე, მემკვიდრეობით მსხვილმარცვლოვანი, მემკვიდრეობით წვრილმარჩვლოვანი, მეტად მაღალხარისხოვანი, მიკროლეგირებული, მიტკეცილი, მოთუთიებული, მოკალული, მოლბობილი, მჟავა, მჟავაგამძლე, მჟავამედეგი, მოლიბდენიანი, მომინანქრებული, მცირედ ლეგირებული, მშვიდი, მჭრელი, მხურვალგამძლე, მხურვალმედეგი, მხურვალმტკიცე, საწრთობი, ნაწრთობი, ნაჭედი, ნახევრად თბომედეგი, ნახევრად მშვიდი, ნახშირბადმცირე, ნახშირბადიანი, ნახშირბადუხვი, ნეობიუმიანი, ნიკელიანი, ნიკელმანგანუმიანი, ნორმალიზებული, ორფაზა, ორფაზა ფერიტულ-მარტენსიტული, პერლიტური, პლასტიკური,

პრეციზიული, რბილი, რესორის, საავტომატე, საარმატურო, საბურულე, საბურღი, საგვერდვე, საზამბარე, საზომი ინსტრუმენტის, საიარაღო, საიარაღო არალეგირებული, საიარაღო დაბალლეგირებული, საიარაღო ლეგირებული, საიარაღო ლეგირებული ცხელი დეფორმირებისათვის, საკონსტრუქციო, სამანქანო, სამოქლონე, სამსხმელო, სანაკეთო, სამშენებლო, სარელსო, სასაკისრე, საქვაბე ფურცლოვანი, საშტამპე, საშუალოლეგირებული, საშუალონახშირბადიანი, საშუალოსორტული, საცემენტაციო, სილიკონიანი, სილიციუმიანი, სილიციუმქრომიანი, სპეციალური, სპილენძიანი, სორტული, სქელფურცლოვანი, სწრაფმჭრელი, სხმული, ტიგელის, ტრანსფორმატორის, უჟანგავი, უნივერსალური, უძველებელი, უწრთობი, უხვადლეგირებული, ფართოზოლიანი, ფართოზოლიანი უნივერსალური, ფერიტული, ფოსფორიანი, ფურცლოვანი, ქრომვანადიუმიანი, ქრომვოლფრამიანი, ქრომიანი, ქრომნიკელიანი, შედუღებადი, ჩვეულებრივი, ცვეთაგამძლე, ცვეთამდგრადი, ცვეთამედეგი, ცივი დეფორმირებისათვის, ცივი შტამპვისათვის, ცივნაგლინი, ცივნაჭიმი, ცხლადგლინული, ცხლად დეფორმირებისათვის, წვრილმარცვლოვანი, წვრილსორტული, წრთობადი, ჭედადი, ხარისხოვანი, ჰადფილდის და სხვ.

ფოლადი რკინაბეტონთან და მერქანთან ერთად ყველაზე გამოყენებადი საშენი მასალაა მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად. აშშ-ში ლითონებისა და შენადნობების სტანდარტიზაციის ხაზით მომუშავე ცნობილი ორგანიზაციებია: AISI (თუჯისა და ფოლადის ამერიკული ინსტიტუტი), ACI (სხმულების ამერიკული ინსტიტუტი), ANSI (სტანდარტიზაციის ამერიკული ნაციონალური ინსტიტუტი), AMS (აეროკოსმოსური მასალების სპეციფიკაცია), ASME (ინჟინერ-მექანიკების ამერიკული საზოგადოება), ASTM (მასალების გამოცდის ამერიკული საზოგადოება), AWS (შემდუღებლების ამერიკული საზოგადოება), SAE (ინჟინერ-ავტომობილისტების საზოგადოება).

ფოლადი "ვუცი" – ტიგელური ფოლადი ხაზოვანი სტრუქტურით, რომელიც წარმოიშობა მარტენსიტურ ან პერლიტურ მატრიცაში მიკროკარბიდული ფენებით ნახშირბადუხვ ფოლადებში ან მცირენახშირბადიან ფოლადების ფერიტულ და პერლიტურ სარტყლებში. ფოლადის შენადნობის ეს ნოვატორული მატრიცა, დამუშავებული იქნა ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში სამხრეთ ინდოეთში და იქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ის ცნობილი იყო ძველ დროში სხვადასხვა სახელით, როგორიცაა: Wootz, Ukku, Hindvi Steel, Hinduwani Steel, Teling Steel და Seric Iron. ძვ. წ. V საუკუნიდან ტიგელური ინდური ფოლადი ექსპორტირდებოდა (ტორტის ფორმის გლიბებით) რომში, ეგვიპტეში, ჩინეთსა და არაბეთში, როგორც ყველაზე საუკეთესო ფოლადი მსოფლიოში.

ფოლადი დაბალლეგირებული – ლეგირებული ფოლადის სახეობა, რომელშიც მალეგირებელი ელემენტების ჯამი 2,5%-ზე ნაკლებია.

ფოლადი დაკალიბრებული – ცხლად ნაგლინი ფოლადის სახეობა, რომლის ნაგლინისათვის ზუსტი ზომების მისაღებად, დამატებით ცივი ადიდვა გამოიყენება.

ფოლადი დამასკოს – ფოლადის სახეობა თვალით შესამჩნევი ზედაპირული არაერთგვაროვნებით, უმეტესად ნახჭისა და ლაქების სახით, რომელიც მიიღება სხვადასხვა მეთოდით. ასეთი ფოლადით (ინგლ. wootz) ახლო აღმოსავლეთში ამზადებდნენ ცივ იარაღს (ხმალი), რომლის ზედაპირი გვაგონებდა გამდინარ წყალს (ნახ. 1; ნახ. 2. დანა „ზვიგენი“ დამზადებული დამასკოს ფოლადისაგან). ფოლადის სახელი დაკავშირებულია სირიის

დედაქალაქ დამასკოსთან, სადაც პირველად დაიწყეს აღნიშნული ფოლადის წარმოება და გამოყენება. დამასკოს ფოლადის მიღების ტექნოლოგია დღესაც უცნობია.

ნახ. 1

ნახ. 2

ფოლადი ზოლოვანი – ზოლების სახით მიღებული ფოლადი, რისთვისაც ცხელი, თბილი ან ცივი გლინვა გამოიყენება.

ფოლადი თბომდგრადი – ჰეტეროგენული სტრუქტურის საკონსტრუქციო დაბალლეგირებული ფოლადის სახეობა, რომელიც სითბოსადმი მდგრადობით გამოირჩევა. გამოიყენება მზიდი ფოლადის დეტალებისა და კონსტრუქციების დასამზადებლად, რომლებსაც მუშაობა უხდებათ 600°C ტემპერატურამდე გარემოში.

ფოლადი ინსტრუმენტული – მაღალი სიმაგრის, სიმტკიცისა და ცვეთამედეგობის ფოლადი სხვადასხვა ინსტრუმენტის ან მისი სამუშაო ნაწილის დასამზადებლად. დაბალსიჩქარიანი საჭრელი ინსტრუმენტისათვის, როცა დასამუშავებელი დეტალის ნაწიბური ცხელდება 200-300°C, გამოიყენება ნახშირბადიანი ფოლადი (0,6-1,3% ნახშირბადის შემცველობით), უფრო მაღალი სიჩქარის ჭრის დროს – ლეგირებული ფოლადი, რომელიც შეიცავს ქრომის, ვოლფრამის, ვანადიუმისა და სხვა ელემენტების დანამატებს, მათ შორის სწრაფმჭრელი ფოლადი 9 ან 18% ვოლფრამის დანამატით, რომელიც გამოირჩევა მაღალი წითელმედეგობით.

ფოლადი კოროზიამედეგი – მარტენსიტული, ფერიტული, აუსტენიტური ან შუალედურ სტრუქტურებიანი კლასის ლეგირებული ფოლადი, რომელიც 11,7-30% ქრომს შეიცავს. ხასიათდება მაღალი კოროზიამედეგობით ატმოსფერული ზემოქმედების, აგრეთვე მდინარის და ზღვის წყლის, მარილხსნარების, ტუტეების, ზოგიერთი მჟავის მიმართ.

ფოლადი ლეგირებული – ფოლადი, რომელსაც საექსპლუატაციო და ტექნოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად დამატებული აქვს მალეგირებელი ელემენტები (ნახ. 1). ფ. ლ. შეიძლება იყოს: დაბალლეგირებული (მალეგირებელი ელემენტების რაოდენობა 2,5%-დე), საშუალოდ ლეგირებული (2,5-10%) ან უხვად ლეგირებული (10%-ზე მეტი). ფ. ლ. კლასიფიკაცია ხდება სტრუქტურის, დანიშნულებისა და შედგენილობის მიხედვით. სტუქტურის მიხედვით ფ. ლ. იყოფა რამდენიმე კლასად: პერლიტური კლასი (პერლიტის ან მისი რომელიმე სახეობის – სორბიტის, ტროსტიტისა და მისთ. სტრუქტურის მქონე ფოლადები); მარტენსიტული კლასი (დაბალია ამ კლასის

ნახ. 1

ფოლადების წრთობის კრიზისული სიჩქარე; ნორმალიზაციის შემდეგ მათ აქვთ მარტენსიტის სტრუქტურა); აუსტენიტური კლასი (დამახასიათებელია აუსტენიტის დაშლის მეტად დაბალი ტემპერატურა); ფერიტული კლასი (შეიცავს აუსტენიტის არის შემამცირებელ ელემენტებს); კარბიდული კლასი (გაერთიანებულია ისეთი ფოლადები, რომლებშიც ნახშირბადისა და კარბიდის წარმომქმნელი ელემენტები შედარებით დიდი რაოდენობითაა). დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ კონსტრუქციულ, საიარაღო და განსაკუთრებული თვისებების მქონე უჟანგავ, მხურვალმტკიცე, მხურვალმედეგ, ცვეთაგამძლე და სხვა ფოლადებსა და შენადნობებს. ხოლო შედგენილობის მიხედვით – ნიკელიან, ქრომიან, ქრომნიკელიან, ქრომნიკელმოლიბდენიან, ქრომმანგანუმაზოტიან და სხვ. ლეგირებულ ფოლადებს. ფ. ლ. მარკირება ხდება მათი ქიმიური შედგენილობის შესაბამისად.

ფოლადი მაღალი სიმტკიცის – ფოლადის სახეობა, რომლის დროებითი წინაღობა გაგლეჯაზე 1500 ნ/მმ^2-ს აღემატება.

ფოლადი მდუღარე – ნახშირბადმცირე ფოლადი, რომელიც ფოლადსადნობი ღუმლიდან გამოდის მცირედ განჟანგული, ამიტომ მისი გაცივებისას ბოყვში გრძელდება მასში არსებული ნახშირბადის დაჟანგვა ნადნობში გახსნილი ჟანგბადით, რაც გარეგნულად გამოისახება გაზის ბუშტულების გამოყოფით (ფოლადის დუღილი). ფ. მ. უფრო იაფია, ვიდრე მშვიდი ან ნახევრადმშვიდი ფოლადი, მაგრამ ჩამორჩება მათ ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, ამიტომ ფ. მ. დამზადებული ნაკეთობები საპასუხისმგებლო დანიშნულების ობიექტებზე არ გამოიყენება.

ფოლადი ნახშირბადუხვი – ფოლადი, რომელშიც ნახშირბადის შემცველობაა 0,6-2%. ასეთი ფოლადის დანიშნულებაა ბაგირის მავთულის წარმოება, რისთვისაც იყენებენ პატენტირებას – კაზმს სწრაფად აცივებენ წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის (ფერიტი + პერლიტი) მიღებამდე და დაუყონებლივ მიმართავენ ცივ დეფორმაციას – ადიდვას. ამ გზით მიღებული მავთულის მექანიკური სიმტკიცეა 3000-5000 მპა. ფ. ნ. კონსტრუქციულ დეტალებს არ აკეთებენ ფოლადის მცირე სიბლანტისა და ცუდი შედუღებადობის გამო.

ფოლადი საავტომატე – ფოლადის სახეობა, რომელიც იოლად მუშავდება საჭრისით, რაც მიიღება ფოლადში გოგირდის, სელენის, ტელურის, კალციუმის დამატებით. ძირითადად გამოიყენება ნაკლებდატვირთული დეტალებისათვის (ქანჩი, ჭანჭიკი, ხრახნი და მისთ.). ცვეთამედეგობის გასაუმჯობესებლად მიმართავენ ცემენტაციასა და წრთობას.

ფოლადი საიარაღო – ნახშირბადიანი ფოლადის სახეობა ნახშირბადის შემცველობით მეტი 0,7%-ზე. გამოირჩევა მაღალი სიმაგრითა და სიმტკიცით (თერმოდამუშავების შემდეგ) და გამოიყენება იარაღების (ინსტრუმენტების) დასამზადებლად. არსებობს ხარისხიანი (გოგირდის შემცველობა 0,03%, ფოსფორის – 0,035%) და მაღალი ხარისხის (გოგირდი 0,02%, ფოსფორი 0,03%). ასეთი ფოლადების უპირატესობაა დაბალი თვითღირებულება და საკმაოდ მაღალი სიმაგრე; უარყოფითი – დაბალი ცვეთა- და თბომედეგობა.

ფოლადი საკონსტრუქციო – ფოლადის სახეობა, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში კონსტრუქციების და მანქანათმშენებლობაში დეტალების, მექანიზმების, კონსტრუქციების დასამზადებლად, რომელსაც აქვს განსაზღვრული მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებები. კონსტრუქციული ნახშირბადიანი ფოლადების ხარისხს განსაზღვრავს მის შედგენილობაში მავნე მინარევების არსებობა, როგორებიცაა ფოსფორი და გოგირდი. ფოსფორი ფოლადს ანიჭებს სიმყიფეს, ხოლო გოგირდი – ყველაზე მავნე მინარევი –

წითელმეტეხობას. ჩვეულებრივი ხარისხის ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადები ფართოდ გამოიყენება მშენებლობასა და მანქანათმშენებლობაში როგორც იაფი, ტექნოლოგიური მასალა, რომელსაც აქვს ყველა თვისება მასობრივი დანიშნულების კონსტრუქციების დასამზადებლად. ფ. ს. განჟანგვის ხარისხს განსაზღვრავს მასში სილიციუმის (Si) პროცენტული შემცველობა, რომელიც შეიძლება იყოს 0,07-0,12%-ის ფარგლებში. მცირედნახშირბადიანი ფ. ს. ამზადებენ დეტალებს ცივი დაშტამპვის მეთოდით, ხოლო ნახშირბადუხვი ფოლადისაგან – ზამბარებს, რესორებს, მაღალი სიმტკიცის მავთულებსა და სხვ.

ფოლადი საკონსტრუქციო ამაღლებული დამუშავებადობის (ავტომატური) – ფოლადები გოგირდისა და ფოსფორის მაღალი შემცველობით, აგრეთვე ფოლადები, რომლებიც სპეციალურად არის ლეგირებული სელენით (Se), ტელურით (Te) ან ტყვიით (Pb). ეს ელემენტები უზრუნველყოფს ჭრის სიჩქარის გაზრდას, ჭრისათვის საჭირო ძალისა და საჭრისის ცვეთის შემცირებას, დასამუშავებელი ზედაპირის სისუფთავესა და სხვ. მათი გამოყენება მიზანშეწონილია წარმოებებში დეტალების მასობრივად დასამზადებლად ჩარხ-ავტომატზე. ლაზერული ჭრის ტექნოლოგიის დამუშავების შემდეგ შექმნილი იქნა საკონსტრუქციო ფოლადის სპეციალური სახეობები.

ფოლადი საკონსტრუქციო თბომდგრადი – ფოლადი, რომელიც გამოიყენება ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობაში ქვაბების, ჭურჭლების, ორთქლგამაცხელებლების, ორთქლსადენების დასამზადებლად, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგებში ნაკეთობების მაღალ ტემპერატურაზე მუშაობისას. თბომდგრადი ფოლადებისათვის სამუშაო ტემპერატურა აღწევს 600-650°C, ამავე დროს დეტალების შეუცვლელად მუშაობის ხანგრძლივობა უნდა იყოს 10000-20000 სთ-ის ფარგლებში. 6 მპა-მდე წნევისა და 400°C ტემპერატურამდე საექსპლუატაციო პირობებში გამოიყენება საქვაბე ფოლადი ნახშირბადის შემცველობით 0,08-0,27%.

ფოლადი საკონსტრუქციო ლეგირებული – ლეგირებული ფოლადის სახეობა, მიღებული თერმული დამუშავებით (წრთობით), რაც უზრუნველყოფს მაღალ კონსტრუქციულ სიმტკიცეს. მალეგირებელი ქიმიური ელემენტებია: ქრომი (Cr), მანგანუმი (Mn), ნიკელი (Ni), მოლიბდენი (Mo), ვანადიუმი (V) და ბორი (B). ნახშირბადის (C) შემცველობა ლეგირებულ ფოლადებში 0,25-0,5%-ია. გამოიყენება მანქანების საპასუხისმგებლო და მძიმედდატვირთული დეტალების დასამზადებლად.

ფოლადი საკონსტრუქციო რესორ-ზამბარის – ლეგირებული ფოლადის სახეობა. გამოიყენება რესორებისა და ზამბარების დასამზადებლად. იწარმოება მავთულისა და ზოლოვანი ლენტის სახით, რომელთაც ამტკიცებენ მარტენსიტში ცივი პლასტიკური დეფორმაციითა და გამოწრთობით. ასეთ ფოლადებს წაეყენებათ მოთხოვნები – მცირე პლასტიკური დეფორმაციისადმი (დრეკადობის ზღვარი) მაღალი წინაღობა და რელაქსაციისადმი მედეგობა (წინაღობა რელაქსაციური ძაბვებისადმი). ეს მახასიათებლები უზრუნველყოფს ზამბარის ზუსტ და საიმედო მუშაობას და მუდმივობას დროში ისეთი საექსპლუატაციო თვისებებისა, როგორიცაა მგრეხი მომენტი და ძალოვანი პარამეტრები.

ფოლადი საკონსტრუქციო სასაკისრე – ფოლადის სახეობა, რომელიც ლეგირებულია ქრომით. ასეთი ფოლადი გამოირჩევა მაღალი სიმტკიცითა და სტრუქტურის ერთგვაროვნებით, რომელსაც წაეყენება განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნები.

ფოლადი სილიკონიანი – ელექტრული სპეციალური ფოლადი (ლამინირებული ფოლადი, სილიკონური ელექტროტექნიკური ფოლადი, სილიციუმიანი ფოლადი, სარელეო ფოლადი, სატრანსფორმატორო ფოლადი), რომელსაც აქვს კონკრეტული მაგნიტური თვისებები: ჰისტერეზისის მცირე ფართობი, რაც უზრუნველყოფს ციკლში სიმძლავრის დანაკარგის შემცირებას, მცირე დანაკარგებს გულანაში და მაღალ გამტარობას. ფ. ს. შემადგენლობაში შედის: 0-დან 6,5%-მდე სილიციუმი (კომერციულ ფოლადებში 3,2%), მანგანუმი და ალუმინი, თითოეული 0,5%-მდე; ნახშირბადის, გოგირდის, ჟანგბადისა და აზოტის შემცველობა რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს, რადგან ეს მინარევები მნიშვნელოვნად ამცირებენ ფოლადში მაგნიტურ გამტარობას და ზრდიან ჰისტერეზისის დანაკარგებს. ამათგან ყველაზე მავნე მინარევია ნახშირბადი, რომელიც იწვევს მაგნიტურ დაძველებას, ამიტომ მისი შემცველობა არ უნდა არემატებოდეს 0,005%, რაც მიიღწევა ფოლადის გამოწვით. დნობის ტემპერატურა – 1500°C (სილიციუმის შემცველობისას 3,1%); სიმკვრივე – 7650 კგ/მ^3 (სილიციუმის შემცველობისას 3%). ფ. ს. მომხმარებელს მიეწოდება საიზოლაციო საფარვლით, თერმული დამუშავებითა და განსაზღვრული მაგნიტური თვისებებით. გამოყენებისას მასალის პერფორაცია არ ასუსტებს მის ელექტროტექნიკურ თვისებებს. ძირითადად გამოიყენება ელექტროტრანსფორმატორებში. სილიკონიანი ფოლადის მარკები და ტექნიკური მონაცემები მოცებულია ამერიკულ ნორმებში (ASTM A976-03).

ფოლადი სპეციალური – ლეგირებული ან ნახშირბადიანი ფოლადი, რომელიც რაიმე სპეციალური დეტალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების დასამზადებლად გამოიყენება. გამოირჩევა სისუფთავითა და განსაკუთრებულად მყარი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით.

ფოლადი სწრაფმჭრელი – ლეგირებული ფოლადის სახეობა, რომელსაც ძირითადად, იყენებენ ლითონსაჭრელი ინსტრუმენტების დასამზადებლად, რომლებსაც მუშაობა უხდებათ მაღალი სიჩქარის (ბრუნვათა რიცხვის) პირობებში. ფ. ს. უნდა ჰქონდეს მაღალი მედეგობა რღვევის, სიმაგრის (ცივ და ცხელ მდგომარეობაში) და სიწითლის მიმართ. ფ. ს. ლეგირება ვოლფრამით, მოლიბდენით, ვანადიუმითა და კობალტით უზრუნველყოფს ფოლადის წითელმედეგობას და სიმაგრეს მაღალი ტემპერატურის პირობებში. ბოლო პერიოდში ფ. ს. გამოყენება შეიზღუდა ზემაგარი შენადნობების ფართოდ გავრცელების გამო.

ფოლადი უჟანგავი – ფოლადი, რომელიც არ განიცდის კოროზიას ჰაერზე, ზღვის და მდინარის წყალში. უჟანგავი ფოლადი შეიცავს ქრომს (არანაკლებ 12%). მექანიკური და ქიმიური მდგრადობის ასამაღლებლად ფოლადში შეჰყავთ აგრეთვე ნიკელი, მანგანუმი, მოლიბდენი, ვანადიუმი, ნიობიუმი, ნახშირბადი და სხვა ელემენტები. გამოიყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და ყოფაცხოვრებაში.

ფოლადი უმველებელი – ნახშირბადმცირე (0,15%-მდე) ფოლადი სტაბილური მექანიკური თვისებებით. საჭირო თვისებები მიიღწევა დნობის ტექნოლოგიით (განჟანგვა ალუმინით) ან თერმული დამუშავებით და მცირე რაოდენობით დანამატების (ალუმინი, ტიტანი, ვანადიუმი, ნიობიუმი) შეყვანით. ძირითადად გამოიყენება საქვაბეებსა და მანქანათმშენებლობაში.

ფოლადი ჩვეულებრივი – ფოლადის სახეობა, რომელშის მავნე მინარევის ფოსფორის შემცველობა 0,04%-ს, ხოლო გოგირდის 0,05%-ს არ აღემატება.

ფოლადი ცვეთამედეგი – ფოლადის სახეობა, რომელიც ხასიათდება მაღალი წინაღობით ზედაპირული ხეხვისა და კონტაქტური ცვეთის მიმართ. გამოიყენება მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, სამთომომპოვებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ფოლადი ხარისხიანი – ფოლადის კატეგორია, რომელსაც დამზადებისას წაეყენება მკაცრი ტექნიკური მოთხოვნები (სტრუქტურის ერთგვაროვნება, შედგენილობის სიწმინდე, მაღალი სიმტკიცე და სხვ.).

ფოლადის გამოწვა – თერმული დამუშავების პროცესი – ფოლადის გაცხელება განსაზღვრულ ტემპერატურამდე, დაყოვნება და შენელებული გაცივება (ღუმლიდან გამოუღებლად) წონასწორული სტრუქტურის მისაღებად.

ფოლადის მილი არალითონური საფარველით – ფოლადის მილი, დაფარული შიგა და გარე მხრიდან არალითონური შრით (მინაპლასტიკით, მინატექსტოლიტით, თხევადი მინით, პლექსიგლასითა და სხვ.).

ფოლადის მილი ლითონური საფარველით – ფოლადის მილი, დაფარული შიგა და გარე მხრიდან ლითონური შრით (სპილენძი, თუთია, ოქრო, ვერცხლი და სხვ.).

ფოლადის მოშვება – ფოლადის თერმული დამუშავების სახე, რომელიც ხორციელდება წრთობის შემდეგ რაღაც ტემპერატურამდე გაცხელებით და შემდეგი გაცივებით (ჰაერზე ან წყალში). მოშვების შემდეგ ფოლადი ხდება მყიფე, რაც სასურველი არ არის, ამიტომ, ფოლადის სიმტკიცისა და პლასტიკურობის საჭირო ფარდობის მიხედვით, განასხვავებენ მის სამ სახეს: დაბალს (120-250°C), საშუალოს (300-400°C) და მაღალს (450-650°C). ფერად ლითონებში მოშვების პროცესს ხელოვნური დაძველება ეწოდება.

ფოლადის რეკრისტალიზაციური გამოწვა – სამოქლონო ფოლადის გამოწვა ტემპერატურაზე, რომელიც მეტია რეკრისტალიზაციის საწყის ტემპერატურაზე ცივჭედვის თავიდან ასაცილებლად და გარკვეული სიდიდის მარცვლების მისაღებად. ცივნაჭედი ფოლადის გაცხელებისას 400-450°C ტემპერატურაზე არ შეიმჩნევა დეფორმირებული მარცვლების ფორმისა და ზომის ცვლილება. მექანიკური თვისებები იცვლება უმნიშვნელოდ და მხოლოდ ადგილი აქვს შიგა ძაბვების დიდი ნაწილის მოხსნას. უფრო მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებისას ფოლადის მექანიკური თვისებები მკვეთრად იცვლება: სიმაგრე და სიმტკიცე მცირდება, პლასტიკურობა კი იზრდება. წაგრძელებული მარცვლების ადგილზე ჩნდება ახალი წონასწორული მარცვლები. რეკრისტალიზაცია იწყება დეფორმირებული მარცვლების გაჩენის ჩანასახშივე, რის გამოც ხდება ახალი მარცვლების წარმოქმნა მანამ, სანამ მთლიანად არ გაქრება დეფორმირებული სტრუქტურა. რეკრისტალიზაციის ტემპერატურად ითვლება ტემპერატურა, რომელზეც ცივ მდგომარეობაში დეფორმაციას დაქვემდებარებულ ლითონებში იწყება ახალი მარცვლების წარმოქმნა. მაგ., მცირედ ლეგირებული ფოლადებისათვის ეს ტემპერატურაა 600-700°C, რომელიც ამავე დროს არის რეკრისტალიზაციური გამოწვის ტემპერატურა.

ფოლადის სიცივით დამუშავება – ფოლადის თერმული დამუშავება ნაწრთობი ფოლადის გაცივებით, რომლის სტრუქტურაშიც არის ნარჩენი აუსტენიტი, 0°C-ს ქვემოთ ტემპერატურაზე (ჩვეულებრივ –80°C), ჰაერზე შემდგომი გახურებით. ამ პროცესს თან სდევს მარტენსიტის წარმოქმნა. ფ. ს. დ. მიმართავენ ნახშირბადის მაღალი შემცველობის ნაწრთობი დეტალების დამზადებისას, რომელთაც აქვს მაქსიმალურად მტკიცე და სტაბილური ზომები.

ფოლადის სრული გამოწვა – ფოლადის გამოწვა, რომელიც ხდება ძალიან მაღალ ტემპერატურაზე ფოლადისათვის წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის მისანიჭებლად, სიმაგრის შესამცირებლად და პლასტიკურობის ასამაღლებლად.

ფოლადის სხმული – ზოდის ფორმის მყარი ფოლადი, მიღებული გამდნარი ფოლადის ჩამოსხმით სამსხმელო ყალიბში.

ფოლადის ხარისხი – ფოლადის ფიზიკური, ქიმიური, ტექნოლოგიური და სხვა თვისებების სხვადასხვაობა განაპირობებს მის ფართო კლასიფიკაციას გამოყენების, დანიშნულების, წარმოების მეთოდების, ქიმიური შედგენილობის, ფიზიკური და ტექნოლოგიური თვისებების მიხედვით. ფ. ხ. შეფასების ერთიანი გაგება არ არსებობს, რადგან ფოლადს მუშაობა უხდება მუდმივად ცვლად გარემოში, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მის თვისებებს. ფოლადის ხარისხი განისაზღვრება ფიზიკური, ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებებით, რასაც განაპირობებს შენადნობის ქიმიური შედგენილობა და ლითონის სტრუქტურა. ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს მავნე მინარევები (გოგირდი, ფოსფორი), არალითონური ჩანართები და აირები (აზოტი, ჟანგბადი, წყალბადი). ფოლადში მავნე მინარევებისა და აირების შემცველობის მიხედვით განასხვავებენ: ჩვეულებრივ (ნახშირბადიანი ფოლადები), ხარისხიან (ნახშირბადიანი კონსტრუქციული ფოლადები), მაღალხარისხიან (ნახშირბადიანი და ლეგირებული კონსტრუქციული და ინსტრუმენტალური ფოლადები) და განსაკუთრებით მაღალხარისხიან (ლეგირებული ინსტრუმენტალური სპეციალური ფოლადები) ფოლადებს.

ფოლადის ჰომოგენიზაციური გამოწვა – გამოწვა ხანგრძლივი დაყოვნებით 900°C-ზე მეტ ტემპერატურაზე (როგორც წესი 1100-1200°C) ლეგირებული ფოლადის ფასონურ სხმულებსა და ზოდებში ქიმიური შედგენილობის გასათანაბრებლად.

ფოლადფიბრობეტონი – ბეტონი, დისპერსიულად დაარმირებული ფოლადის ბოჭკოებით – ფიბრებით, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ახალი კომპოზიტური მასალა, თვისობრივად განსხვავებული ბეტონმატრიცისაგან (ნახ. 1; ნახ. 2. ფოლადის ფიბრები). ფ. შემადგენლობაში შედის სამი კომპონენტი: მსხვილი შემავსებელი (ღორღი), ფოლადის ფიბრები და შემკვრელი ნივთიერება. ფ. სიმტკიცე დამოკიდებულია ბეტონის კლასზე და საწყისი მასალის – ფოლადის ფიბრების სახეობაზე, მის სიგრძესა და განივკვეთის ზომებზე, ზედაპირის ხარისხზე და სხვ. რკინაბეტონთან შედარებით ფოლადის ფიბრებით ბეტონის დაარმირება (2-3%) 140-150%-ით ზრდის მასალის სიმტკიცის ზღვარს, ბზარმედეგობას – 30-80%-ით, ხოლო ბზარების გახსნის სიდიდე მცირდება 6-10-ჯერ.

ნახ. 1

ნახ. 2

ფოლგა (პოლონ. folga<ლათ. folium ფურცელი) – სხვადასხვა ლითონის (ალუმინი, კალა, ტყვია და სხვ.) და მათი შენადნობებისაგან დამზადებული სიფრიფანა ფურცელი ან ლენტი (ნახ. 1); მიიღება გაგლინვით, ელექტროლიტური მეთოდით, ფუმეშრეზე დალექვით ვაკუუმში. გამოიყენება კვების, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, პოლიგრაფიაში, სარკის წარმოებაში, სამშენებლო თბოსაიზოლაციო მასალების შესაფუთად და სხვ.

ნახ. 1

ფოლგაიზოლი – იხ. კილიტაიზოლი.

ფოლვარკი (პოლონ. folwark<გერმ. vorwerk ხუტორი) – ცალკე დასახლება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; კარმიდამო, მამული.

ფოლხვა – გადახრა, დაცილება ფიქსირებული მდგომარეობიდან, რაც იწვევს ე.წ. თამაშს დეტალების, ლილვების, ღერძების, კბილანების შეერთებასა და მოდებაში. არჩევენ განივ და გრძივ, თვლების, რადიალურ, საკისრების, საჭის, ღერძისა და სხვა სახის ფოლხვას.

ფონდი (ფრანგ. fonds<ლათ. fundus ფუძე, საფუძველი, ძირი) – 1. იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არ ჰყავს წევრები. რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. რეგისტრაციისათვის აუცილებელია ყველა დამფუძნებლისა და გამგეობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება და წესდება; 2. რაიმე მიზნისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები; რისამე მარაგი (მაგ., წიგნების ფონდი, საბინაო ფონდი და სხვ.).

ფონდუკუგება – პროდუქციის გამოშვება წარმოებითი ფონდების (ძირითადი კაპიტალი) ღირებულების ერთეულზე. ფ. ახასიათებს წარმოებითი ძირითადი ფონდის გამოყენების ეფექტურობის დონეს. მიიღება მზა პროდუქციის ღირებულების გაყოფით ძირითადი ფონდების ღირებულებაზე.

ფონი – 1. მდინარის თხელწყლიანი ადგილი, სადაც შესაძლებელია ფეხით გადასვლა; 2. რისამე (შენობის, ქანდაკების) უკანა ხედი; 3. ზედაპირის ძირითადი ფერი, ტონი, რომელზეც იხატება სურათი.

ფონო (ბერძ. phōnē ბგერა) – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი – ნიშნავს ხმას, ბგერას.

ფონოგრამა (ბერძ. phōnē ბგერა და gramma წერილი, ჩანაწერი) –ხმის, ბგერის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე და მისთანებზე.

ფონოგრაფი (ბერძ. phōnē ბგერა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ხმის, ბგერის ჩასაწერი ფირზე, ფირფიტაზე და მისთ.

ფონოთეკა (ბერძ. phōnē ბგერა და theke საწყობი) – ხმის ჩანაწერების (ფონოგრამების) საცავი, არქივი.

ფონომეტრი (ბერძ. phōnē ბგერა და métron გაზომვა) – ბგერის ძალის გასაზომი ხელსაწყო.

ფონონი (ბერძ. phōnē ბგერა) – კრისტალური მესერის ატომების რხევითი მოძრაობის კვანტი.

ფოპმალური – არაარსებითი; მოჩვენებითი; რაც მხლოდ ფორმას იცავს და საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება.

ფორვარდი (ინგლ. forward წინ, წინა) – 1. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე ვალდებულებას იღებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს მეორე მხარეს (მყიდველს) საქონელი (საბაზო აქტივი), ან შეასრულოს ალტერნატიული ფულადი ვალდებულება, მყიდველი ვალდებულებას იღებს მიიღოს საბაზო აქტივი და მოახდინოს ანგარიშსწორება. ამ ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს უჩნდებათ შემხვედრი ფულადი ვალდებულებები, რომელიც დამოკიდებულია საბაზო აქტივის მაჩვენებლებზე ვალდებულების შესრულების მომენტისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში; 2. სპორტული გუნდის (ფეხბურთი, ჰოკეი და სხვ.) წევრი, რომელიც თავდასხმაში თამაშობს.

ფორვარდი ანაგარიშსწორების – საბირჟო გარიგება მიწოდების გარეშე, რომელიც არ სრულდება საბაზო აქტივის მიწოდებით.

ფორვარდი მიწოდების – ვადიანი საბირჟო გარიგება, რომელიც სრულდება საბაზო აქტივის მიწოდებით.

ფორვარდი ღია თარიღით – ფორვარდული ხელშეკრულება, რომელშიც არ არის მითითებული შესრულების თარიღი (ვადა).

ფორთის ტაძარი (ინგლ. Forti Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც მდებარეობს ისტორიულ სამცხეში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). გარეგანი მასებით, პროპორციით ფორთის ტაძარი შუალედ საფეხურზე დგას ადრინდელი ფეოდალური ხანისა და XI-XIII საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებას შორის. გუმბათს ამკობს დეკორაციული თაღები და ხერხისებრი კარნიზი, რომლის გამოც გუმბათის საბურავს ნახევრად დაკეცილი ქოლგის სახე აქვს. გეგმით სწორკუთხა შენობის აღმოსავლეთი აფსიდი კედლის სიბრტყეშია მოქცეული. შიგნით მკაფიოდ არის გამოყოფილი მაღალი ჯვაროვანი შუა სივრცე და უფრო დაბალი ნაწილები კუთხეებში, ჯვრის მკლავებს შორის. აქვეა ორი თავისუფლად მდგარი გუმბათქვეშა ბურჯი და ბოძების კიდევ ერთი წყვილი დასავლეთ მკლავში. ქართველი ისტორიკოსის პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) მოსაზრებით დღევანდელი ფორთის ტაძარი სინამდვილეში ხანძთის ტაძარია.

ფორი (ბერძ. poros გასასვლელი, ხვრელი) – ნივთიერების ნაწილაკებს შორის არსებული სიცარიელე (ნახ. 1. ფორებიანი ვულკანური ქვა); ახასიათებს ზოგიერთ საშენ მასალას (ბეტონს, მერქანს, ქაფპლასტს, ფიჭაპლასტს და მისთ.). შეიძლება იყოს: ბრმა, დახშული, მარტივი, მოარშიებული და სხვ.

ნახ. 1

ფორიანობა – მასალის ფორების მოცულობის ფარდობა მასალის საერთო მოცულობასთან; მასალის ფორებით შევსების ხარისხი, ანუ მასალის მოცულობის რა ნაწილია დაკავებული ფორებით. მასალის ფორიანობა იცვლება დიდ ფარგლებში, 0,2-0,8% – გრანიტისა და მარმარილოსათვის და 98%-მდე ქაფმასალებისა და მინერალური ბამბისათვის. ფორების რაოდენობასა და ხასიათზე (ზომები და ფორმა, ღია თუ დახურული) დამოკიდებულია მასალის უმნიშვნელოვანესი თვისებები: სიმკვრივე, სიმტკიცე, ხანმედეგობა, თბოგამტარობა, წყალშთანთქმა, წყალჟონადობა და სხვ. ღია ფორები ზრდის მასალის წყალჟონადობას და აუარესებს ყინვამედეგობას, თუმცა ბგერასაიზოლაციო მასალებში ღია ფორები სასურველია, რადგან ისინი ნთქავს ბგერის ენერგიას. ღია ფორების ხარჯზე დახურული ფორების გაზრდა ამაღლებს მასალის ხანმედეგობასა და ამცირებს თბოგამტარობას.

ფორიანობა ზედაპირული – ნიმუშის ზედაპირზე (ძირითადად მერქნის) ფორების ჯამური ფართობის შეფარდება ნიმუშის ზედაპირის მთელ ფართობთან, გამოსახული პროცენტებში.

ფორიანობა მოცულობითი – ნიმუშში (ძირითადად მერქნის) არსებული ფორების ჯამური მოცულობის ფარდობა აბსოლუტურად მშრალი ნიმუშის სერთო მოცულობასთან, გამოსახული პროცენტებში.

ფორიანობა საცრისებრი – ფორიანობა, რომელიც სხეულში გამჭოლადია ანუ ერთი ზედაპირიდან მეორე, მოპირდაპირე ზედაპირზე გადის.

ფორიანობა ღია – ფორიანობის სახეობა, როდესაც ფორები უერთდება ერთმანეთს, გამოდის სხეულის გარეთაც და ივსება წყლით გაჯერების ჩვეულებრივ პირობებში (წყლიან ავზში ჩაძირვისას). ის ზრდის მასალის წყალშთანთქმის მაჩვენებელს და ამცირებს ყინვამედეგობას.

ფორმა (ლათ. forma სახე, იერი, მოწყობილობა) – 1. საგნის, ნაკეთობის გარეგნული მოხაზულობა, კონტური; 2. რაიმეს დადგენილი ნიმუში; 3. მოწყობილობა, რაიმესთვის გარკვეული მოხაზულობის მისაცემად. მაგ., იგივე ყალიბი სამსხმელო წარმოებაში, ბეტონის, თაბაშირის, კერამიკული და სხვა მასალების ნაკეთობების დასამზადებლად და სხვ.; 4. მხატვრული გამოსახვის ხერხებისა და საშუალებების სიტემა.

ფორმა დრეკადი ელემენტით – ფორმა, რომლის ერთ-ერთ ელემენტში გამოყენებულია ფოლადის დრეკადი (ან დრეკადპლასტიკური) მუშაობა გარკვეული ტექნოლოგიური ოპერაციის შესასრულებლად.

ფორმა მრავალადგილიანი – ფორმა, რომელშიც ერთდროულად შეიძლება დამზადდეს ორი ან მეტი ნაკეთობა (ბლოკი, აგური, კიბის საფეხური, სვეტი, რიგელი და სხვ.

ფორმა ოჟივური – ორ- ან სამგანზომილებიანი გარსშემოდენილი ფორმა – შუალედური კონუსსა და ელიფსოიდს შორის. ტერმინი გამოიყენება თვითმფრინავის ფრთის, ჭურვის, ტყვიის აღწერისას, აგრეთვე არქიტექტურაში სივრცითი კონსტრუქციების დასახასიათებლად.

ფორმა უნივერსალური – ტრანსფორმირებადი ფორმა, რომელშიც შესაძლებელია დამზადებული იქნეს სხვადასხვა ფორმის ნაკეთობა ზღვრული ზომის ფარგლებში.

ფორმა ძალური – ფორმა, რომელიც იღებს ძალას ნაკეთობის წინასწარ დაძაბული არმატურისგან.

ფორმა წონასწორობის – თავისუფლების ხარისხის ნებისმიერი რიცხვის მქონე მექანიკური სისტემის გეომეტრიული ფორმა, რომლის დროსაც მასზე მოქმედი ძალები იმყოფება წონასწორობაში.

ფორმალდეჰიდი (ინგლ. formaldehyde<ლათ. formica ჭიანჭველმჭავა და aldehydus ალდეჰიდი) – ორგანული ნაერთი, უფერო აირი მკვეთრი სუნით. არის ჭიანჭველამჭავას ანჰიდრიდი. საერთაშორისო დასახელებაა "მეთანალი". ფ. მიღების ძირითადი მეთოდია მეთანოლის დაჟანგვა ვერცხლისწყლის ან რკინა-მოლიბდენის კატალიზატორის თანდასწრებით 650°C ტემპერატურაზე ატმოსფერული წნევის დროს. ფ. მომწამვლელი ნივთიერებაა და თან შეტანილია კანცეროგენური ნივთიერებების სიაში. მშენებლობაში გამოიყენება თერმორეაქტიული პლასტმასების წარმოებაში (ფენოპლასტი, ამინოპლასტი), მერქანბურბუშელოვანი ფილების დასამზადებლად (ასრულებს შემკვრელის ფუნქციას), ანტისეპტიკად, სოფლის მეურნეობაში ფუმიგატორად, ტყავის მრეწველობაში მთრიმლავ ნივთიერებად, კოსმეტიკურ მრეწველობაში, ფარმაკოლოგიაში და სხვ. ფორმალდეჰიდი შეტანილია კანცეროგენური მასალების სიაში.

ფორმალინი (ლათ. formica ჭიანჭველამჭავა) – მძაფრი სუნის სადეზინფექციო საშუალება – ფორმალდეჰიდის 40%-იანი წყალსხნარი. სადეზინფექციო და საფიქსაციო საშუალება. ანადგურებს ბაქტერიებს, ვირუსებს, სოკოებსა და მათ სპორებს. ახასიათებს მჟავა რეაქცია (pH = 2,8-4,0). აქვს მკვეთრი სუნი. კარგი საშუალებაა ხის სახლებში მერქანჭამია ჭიებისა და მატლების მოსასპობად.

ფორმატი (გერმ. format<ლათ. formo ფორმის მიცემა) – ბეჭდვითი გამოცემის, რვეულის, წიგნის, ფურცლის, ფანერის, შპონის, ნაკეთობის და მისთ. სტანდარტული ზომა.

ფორმაცია [ძვ. ფრანგ. formacion<ლათ. formationem (fōrmātiōn-) ფორმაწარმოქმნა, ფორმირება] – 1. რისამე განვითარების გარკვეული სტადია, ეტაპი, საფეხური; 2. გეოლოგ. გენეტურად შეკავშირებული ქანების კომპლექსი, რომლების ერთად წარმოქმნა და დედამიწის ქერქში არსებობა განპირობებულია გეოლოგიური გარემოს გარკვეული (მსგავსი) პირობებით; 3. საზოგადოების განვითარების განსაზღვრული სტადია, აგრეთვე, კონკრეტული სტადიისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმებისა და წარმოების საშუალებებით განსაზღვრული საზოგადოების სტრუქტურა; 4. სპორტ. ჯგუფური აკრობატიკის ელემენტი.

ფორმაწარმომქმნელი – 1. პლასტმასის დანამატი, რომელიც გამოიყენება ქაფპლასტების წარმოებაში. ის ხელს უწყობს თერმოპლასტიკური ან თერმორეაქტიული ფისის აქაფებას ცხელ მდგომარეობაში; 2. ნივთიერება, რომლის მეშვეობით წარმოიქმნება ფორების სისტემა მონოლითურ მასალაში. ესაა ორგანული ნივთიერება, რომელიც დაშლისას გამოყოფს აზოტს (ე.წ. ფოროფორები), არაორგანული ნაერთები, რომლებიც გამოყოფენ ნახშირბადის ორჟანგს (ნატრიუმის ჰიდროკარბონატი) და სხვ. გამოიყენება ფოროვანი რეზინის, ქაფბეტონის, კერამიკული მასალების წარმოებაში.

ფორმირება – 1. რაიმესათვის ფორმის მიცემის პროცესი; 2. ჩამოყალიბება; შედგენა, დაკომპლექტება; ახლის შექმნა (მაგ., სამხედრო ნაწილის).

ფორმულა [ლათ. formula ფორმა, წესი, კომბინაცა, მიწერილობა) – 1. სიმბოლური ჩანაწერი, შემდგარი ციფრების, ასოებისა და სპეციალური ნიშნებისაგან, რომლებიც დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით და გამოსახავს რომელიმე ინფორმაციას, წინადადებას.

ფორმულის საშუალებით შეიძლება ჩაიწეროს საკმაოდ რთული წინადადებები კომპაქტური და მოხერხებული ფორმით; 2. მათემატიკური ნიშნების კომბინაცია, რომელიც გამოსახავს რაღაც დამოკიდებულებას (მაგ., ფორმულის მეშვეობით შეიძლება ჩაიწეროს მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზასა და კათეტებს შორის დამოკიდებულება); 3. გამოგონების მოკლე ვერბალური დახასიათება, რომელიც გამოხატავს მის არსს; 4. მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლაში – ავტორბოლის ყველაზე ძვირი და მაღალტექნოლოგიური სახეობა (ფორმულა 1); 5. რისამე მოკლე და ზუსტი სიტყვიერი განსაზღვრა.

ნახ. 1

ფორმულირება – აზრისა, წინადადების, გადაწყვეტილების ზუსტად გამოთქმა, გამოხატვა.

ფოროპლასტი – მუქი ფერის ფოროვანი მასალა, რომელიც სტრუქტურით ძალიან ჩამოჰგავს ქაფპლასტს, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო მაღალი ტენ- და წყალშთანთქმის უნარით, ამაღლებული თბოგამტარობითა და დაბალი ელექტროსაიზოლაციო თვისებებით (ნახ. 1).

ფოროპლასტი პოლიურეთანის – პლასტმასის სახეობა, რომელიც მიიღება იზოციანიტის, პოლიეთერის, კატალიზატორის, წყლისა და ემულგატორის ურტთიერთქმედებით. გამოიყენება სამფენოვანი ფილების დასამზადებლად და ავეჯის წარმოებაში. გამოირჩევა სიმსუბუქითა და მაღალი თბოსაიზოლაციო თვისებით.

ფორსაჟი – რაიმე პროცესის აჩქარება, გაძლიერება.

ფორსმაჟორი (ფრანგ. force majeure გადაულახავი ძალა) – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავი დაბრკოლება.

ფორსტერიტი (ინგლ. forsterite<გერმანელი მეცნიერის ა. ფორსტერის სახელის მიხედვით) – ოლივინის ჯგუფის მბზინავი მინერალი – მაგნიუმის სილიკატი. ფორმულა – Mg_2SiO_4; სიმკვრივე – 3275 კგ/მ^3. იხსნება გოგირდმჟავაში. დედამიწაზე პრაქტიკულად ყველგან მოიპოვება. აღმოჩენილია მთვარეზე, ასტეროიდებსა და მეტეორიტებში. გამოიყენება ნედლეულად ცეცხლგამძლე აგურის დასამზადებლად. მის ძვირფას ნაირსახეობას (ქრიზოლიტს) წარმატებით მოიხმარენ საიუველირო საქმეში.

ფორტი (ლათ. fortis ძლიერი, მაგარი) – ცალკე მდგომი ციხე-სიმაგრე, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ღია (დროებითი) ან დახურული (მუდმივი) ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობისგან [ნახ. 1. ბროკხერსტის პორტი (1850 წ.), ქ, გოსპორტი, ჰემპშირის საგრაფო, ინგლისი]. მისი მშენებლობა დაიწყეს XVIII საუკუნეში, როგორც ცალკეული სიმაგრე თავდაცვითი ზღუდის წინ, შემდეგ კი ის გახდა ციხე-სიმაგრის განუყოფელი ნაწილი. ღია ტიპის ფ. ჰქონდა სხვადასხვა კონფიგურაცია, ეჭირა 4-5 ჰა ტერიტორია და მომარჯვებული იყო წრიული თავდაცვისათვის, ხოლო დახურული – ძირითადად წარმოადგენდა ბასტიონურ თავდაცვით

ნახ. 1

სისტემას გალავნითა და მრავალსართულიანი კოშკებით, რომლებშიც შესაძლებელი იყო საარტილერიო დანადგარების განთავსება. ფ. მშენებლობისათვის გამოიყენებოდა ქვა, ბეტონი, ხის მორი, ჯავშანფილა და სხვ. თანამედროვე ეპოქაში ფორტმა დაკარგა თავისი პირდაპირი დანიშნულება და გამოიყენება, როგორც კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ნაგებობა.

ფორტიფიკაცია (ლათ. fortis ძლიერი, მაგარი და -ficāre კეთება) – 1. სხვადასხვა სამხედრო-საინჟინრო ნაგებობა, რომელიც გამოიყენება ჯარისკაცების უხიფათო განლაგების, სასროლი იარაღის ეფექტური გამოყენების, სამხედრო ტექნიკისა და ჯარების მართვისათვის და სხვ. დანიშნულებით; 2. საჯარისო ნაწილების სამხედრო ძალის გაზრდის ხელოვნება საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მეშვეობით, სადაც მოხერხებულად და შედარებით დაცულად განლაგდება ეს ნაწილები; 3. სამხედრო-საინჟინრო მეცნიერება ადგილმდებარეობის გამაგრების შესახებ.

ფორტრანი [ინგლ. fortran<for(mula) ფორმულა და tran(slation) თარგმნა] – დაპროგრამების ენა ორიენტირებული საინჟინრო და სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტაზე.

ფორუმი (ლათ. forum ბაზარი, ღია სივრცე, საზოგადოების თავშეყრის ადგილი) – 1. ძველ რომში – საზოგადოებრივი მოედანი ან ბაზარი, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები, სასამართლო და სხვა თავყრილობანი (ნახ. 1. ძველი რომის ფორუმის ნანგრევები); 2. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 3. ადგილი ან გარემო, სადაც შესაძლებელია კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებული იდეებისა და შეხედულებების გასაჯაროება; 4. ჩრდ. ამერიკაში – სასამართლო ან ტრიბუნალი.

ნახ. 1

ფორფეიტინგი (ინგლ. forfeiting<forfeit გადახდა, ვალის გასტუმრება) – ფინანსური აგენტის მიერ კრედიტორის წინაშე მსესხებლის ფინანსური ვალდებულების შესყიდვის ოპერაცია. ფორფეიტინგის, როგორც სავაჭრო გარიგების ფინანსირების ოპერაციის არსი – ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა რისკების გადასვლა ფორფეიტერთან, გამყიდველზე უკუქცევის უფლების გარეშე. ფორფეიტერული ოპერაციების ძირითადი ობიექტებია მარტივი და გადასაპირებელი თამასუქები. არსებობს ფორფეიტერული ფასიანი ქაღალდების მეორეული ბაზარი.

ფოსგენი (ბერძ. phōs სინათლე და genos გვარი) – ორგანული ნაერთი, უფერო შხამიანი აირი; ქიმიური ფორმულა $COCl_2$; სიმკვრივე: აირად მდგომარეობაში (15°C) – 4,248 კგ/მ^3 (ჰაერზე დაახლოებით 3,5-ჯერ მძიმეა); თხევად მდგომარეობაში – 1432 კგ/მ^3 (0°C); თხევად მდგომარეობაში დუღილის ტემპერატურაზე (+8,3°C) – 1403კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – –118 °C; დუღილის ტემპერატურა – +8,3°C. ცუდად იხსნება წყალში, კარგად – ბენზინში, ძმრის მჟავაში, ქლოროფორმში, ქსილოლში, ტოლუოლში. მიიღება ნახშირჟანგისა და ქლორისაგან; გამოიყენება გამხსნელების, საღებრების დასამზადებლად.

ფოსო (ამონაღარი) – 1. გადასასვლელი ფერდი ბრტყელი სახურავის ფუძიდან მიჯნამდე კუთხეების შესაუღლებლად, ჩვეულებრივ კეთდება 45°-იანი კუთხით; 2. წრეთარგი; შეზნექილი მრუდხაზოვანი არქიტექტურული პროფილი, რომელსაც წრის მეოთხედის მოხაზულობა აქვს; 3. რაიმეს ზედაპირზე ჩაღრმავებული ადგილი – ღრმული.

ფოსტა (ლათ. posta<ძვ. ლათ. statio posita სადგური შეცვლადი ცხენებით) – საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის დაწესებულება, რომელიც აწარმოებს საფოსტო გზავნილებათა მიღებას, დახარისხებასა და ადრესატებისათვის ჩაბარებას.

ფოსტამტი (გერმ. postamt<ფრანგ. poste ფოსტა და გერმ. amt თანამდებობა) – კავშირგაბმულობის მსხვილი საწარმო, რომელიც ემსახურება მოსახლეობას საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირგაბმულობის ყველა სახეობით.

ნახ. 1

ფოსტერიტი [ინგლ. Forsterite სახელი ეწოდა ინგლისელი კოლექციონერის იაკობ ფორსტერის (1739-1806 წწ.) სახელის მიხედვით] – ოლივინის ჯგუფის მწვანე ფერის, გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე მინერალი (ნახ. 1), მაგნიუმის სილიკატი. ფორმულა – Mg_2SiO_4; სიმკვრივე – 3275 კგ/მ^3. ძირითადად გამოიყენება ცეცხლგამძლე აგურის დასამზადებლად, მისი ძვირფასი ნაირსახეობა (ქრიზოლითი) – საიუველირო საქმეში.

ფოსფატები (ფრანგ. phosphates<phosphore ფოსფორი) – ფოსფორული მჟავების მარილები და ეთერები. გამოიყენება ფოსფორული სასუქების, სინთეთიკური სარეცხი საშუალებების, სამკურნალო ნივთიერებების დასამზადებლად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზში და სხვ.

ფოსფორესცენცია (ბერძ. phōsphoros სინათლის მატარებელი და ლათ. escentia ბოლოსართი, რომელიც აღნიშნავს სუსტ მოქმედებას) – ლუმინესცენცია, რომელიც შედარებით დიდხანს გრძელდება გაღიზიანების შეწყვეტის შემდეგაც.

ფოსფორთაბაშირი – ფოსფატების ფოსფორმჟავად გადამუშავების ნარჩენი. შეიცავს 80-92%-მდე ორწყლიან თაბაშირს. ის კარგი ნედლეულია თაბაშირის მჭიდის წარმოებისათვის.

ფოსფორი (ბერძ. phōs შუქი და phoros მზიდი) – ელემენტთა პერიოდული სისტემის მეხუთე ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის არამეტალური ელემენტი. სიმბოლო – P. სიმკვრივე თეთრი ფოსფორის – 1823 კგ/მ^3; წითელის – 2200-2340 კგ/მ^3; იისფერის – 2360 კგ/მ^3; შავის – 2690 კგ/მ^3. დნობის ტემპერატურა – 44,15°C; დუღილის ტემპერატურა – 279,85°C. ელემენტური ფოსფორი გვხვდება ორი ძირითადი ფორმით – თეთრი და წითელი ფოსფორის სახით. თეთრ ფ. ახასიათებს ფოსფოროსენცია – სიბნელეში ანათებს, რასაც განაპირობებს ფ. ორთქლის ჟანგვა, არსებობს აგრეთვე იისფერი და შავი ფ. დიდი ქიმიური აქტიურობის გამო ფ. ბუნებაში თავისუფალი სახით არ გვხვდება. წარმოქმნის დაახლოებით 190 მინერალს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია აპატიტი, ფოსფორიტი და სხვ. ფ. მიიღება აპატიტისა და ფოსფორიტის ურთიერთქმედებით კოქსთან და კაჟმიწასთან 1600°C ტემპერატურაზე. ის მნიშვნელოვანი პროდუქტია ფოლადის წარმოებაში, ფოსფორ-ბრონზეს და სხვა მრავალი მსგავსი პროდუქტების მისაღებად. ფ. ემატება მეტალურ სპილენძს, რათა მიიღონ უჟანგბადო სპილენძი ან ფოსფორშემცველი სპილენძის შენადნობი, რომელსაც უფრო მაღალი თერმული და ელექტრული გამტარობა აქვს, ვიდრე სუფთა სპილენძს. ფ. გამოიყენება აგრეთვე,

სპეციალური მინების (რომელსაც შემდგომ იყენებენ ნატრიუმის ნათურებში), ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად; სასუქების, ასანთის წარმოებაში და სხვ.

ფოსფორიტი – ჯდენადი მთის ქანი, ბოჭკოვანი აპატიტის სახეობა, რომელიც ძირითადად შედგება წვრილკრისტალური ფორმის ფოსფორის მინერალებისაგან. ფერი – ყავისფერი, თეთრი, ნაცრისფერი, მოყვითალო-მოყავისფრო, შავი. შემადგენლობაში, კალციუმის ფოსფატების გარდა, შედის არაფოსფატური მინერალებიც: დოლომიტი, კალციტი, კალცი, გლაუკონიტი, ქალცედონი, თიხა და სხვ. გამოიყენება სოფლის მეურნეობაში სასუქად ეკოლოგიურად სუფთა ფოსფორიტის ფქვილის სახით.

ფოსფოროსკოპი (ინგლ. phosphoroscope<ბერძ. phōs შუქი, phoros მზიდი და skopeîn ყურება, შესწავლა) – ხელსაწყო ფოსფორესცენციის შესასწავლად.

ფოტო [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე] – რთული სიტყვის პირველი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს კავშირს სინათლესთან (ფოტოგრაფია, ფოტოალბომი, ფოტოკამერა) ან მოქმედებას მიმდინარეს სინათლის, სინათლის სხივის გავლენით (ფოტოთერაპია).

ფოტოგრამმეტრია [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე, gramma ჩაწერა და métron გაზომვა] – საგნების ნამდვილი სიდიდისა და სივრცეში მდგომარეობის განსაზღვრა მათი ფოტოგრაფიული გამოსახულების მიხედვით; რაიმე ადგილის გეგმის შედგენა მისი ფოტოსურათის მიხედვით.

ფოტოგრაფია [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა] – ფოტოკამერაში გამოსახულების მიღება შუქმგრძნობიარე ნივთიერებაზე ან შუქმგრძნობიარე მატრიცაზე. ფოტოგრაფიის ფიზიკურ საფუძველს შეადგენს გამოსახულების ფიქსირება ქიმიური და ფიზიკური პროცესების მეშვეობით, რომელიც მიმდინარეობს სინათლის სხივის ზემოქმედებით ფოტოემულსიაზე ან ფოტოელექტრულ გარდაქმნელზე. სამშენებლო საქმეში ძირითადად გამოიყენება ტერიტორიის აეროფოტო გადაღებებისათვის, გეოდეზიური სამუშაოების საწარმოებლად, ლანდშაფტურ არქიტექტურაში და სხვ.

ფოტოდრეკადობა (ფოტოელასტიკური ეფექტი, ფოტოოპტიკური ეფექტი) – ოპტიკური ანიზოტროპიის გაჩენა იზოტროპიულ მყარ ტანში (მათ შორის პოლიმერებშიც) მექანიკური დაძაბულობის ზემოქმედებით. ის არის ნივთიერების დიელექტრიკული შეღწევადობის დეფორმაციაზე დამოკიდებულების შედეგი და ჩნდება სხივის ორმაგი გადატეხვისა და დიქროიზმის სახით. ფ. მეთოდით სხეულის დეფორმაციის ექსპერიმენტული შესწავლისას ფერად ფოტოფირზე თვალნათლივ გამოისახება ძაბვების განაწილების სპექტრი და მიიღება გამოსაცდელი ობიექტის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (ნახ. 1). ძირითადად გამოიყენება ლითონის კონსტრუქციების კვლევებში.



ნახ. 1

ფოტოელემენტი [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და ლათ. elementum სტიქია, პირველსაწყისი ნივთიერება] – ხელსაწყო, რომელიც სინათლის ენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნის.

ფოტოეფექტი [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და ლათ. effectus მოქმედება] – სინათლის ენერგიის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნის მოვლენა.

ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) – გამონათქვამი წარმოების მიმართ, როცა ელექტროდენის მიღება ხდება ორი ნივთიერების პირაპირში მზის სხივების ზემოქმედების დროს.

ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) მოდულები (ყავრები) – სახურავის ბურული, შემდგარი ბრტყელი ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) მოდულებისგან, რომლებიც ყავრების მსგავსი შედგენილი (კომპოზიტური) ფურცლებია.

ფოტოლიზი [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და lysis დაშლა] – ნივთიერებათა დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად.

ფოტოლუმინესცენტური – ხილული ან უხილავი სინათლის ჩაქრობის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში სინათლის გამოცემის უნარი.

ნახ. 1

ფოტომეტრი [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და métron გაზომვა] – 1. რომელიმე წყაროს სინათლის ძალის გასაზომი ხელსაწყო (ნახ. 1. ფოტომეტრი UNICO 2100); 2. ვარსკვლავთა სიკაშკაშის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

ფოტონი (კვანტი) [ინგლ. photon<ბერძ. phōs (phōtos) სინათლე] – ნულოვანი მასის მქონე ელემენტარული ნაწილაკი.

ფოტოპლასტიკური ეფექტი – მექანიკური ძაბვების გაჩენა კრისტალურ ნივთიერებებში (პიეზოელექტრიკებში) ოპტიკური გამოსხივების ზემოქმედებით. გამოიყენება პლასტიკური დეფორმაციების თეორიაში.

ფოტოსინთეზი [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და synthesis შეერთება] – პროცესი, რომლის დროსაც ნახშირორჟანგის, წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებისაგან, მზის სხიური ენერგიის დახმარებით წარმოიქმნება ორგანული ნივთიერება და ჟანგბადი. ფ. აქვს ორი – სინათლის და სიბნელის ფაზა. სინათლის ფაზაში მზის გამოსხივების ენერგია გარდაიქმნება ქიმიური ბმების ენერგიად (პროცესი მიმდინარეობს ორგანული ნივთიერების – ქლოროფილის მეშვეობით), წარმოიქმნება მოლეკულური ჟანგბადი, ხდება ატფ-ის (ადენოზინტრიფოსფატის) სინთეზი და ატომური წყალბადის წარმოქმნა, ხოლო სიბნელის ფაზა წარმოადგენს თანამიმდევრული რეაქციების რიგს. ამ რეაქციების შედეგად ნახშირბადის ოქსიდისა და წყლისაგან წარმოიქმნება ნახშირწყლები.

ფოტოსტატი (ინგლ. photostat<ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და statós მდგომი, უძრავი) – აპარატი, რომელიც ფოტოგრაფიულად იღებს კალკაზე შესრულებული ნახაზის, ნახატისა და მისთ. პირს.

ფოტოსფერო – ვარსკვლავური ატმოსფეროს გამომსხივებელი ფენა, რომელშიც წარმოიშობა გამოსხივების უწყვეტი სპექტრის ნაკადი. ის იძლევა ვარსკვლავის გამოსხივების ძირითად ნაწილს.

ფოტოქიმია [ბერძ. phōs (phōtos) სინათლე და chēmeia<chymos წვენი)] – ქიმიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სინათლის ზემოქმედებით გამოწვეულ რეაქციებს.

ფოჩი – 1. დახერხილი ხის მასალის წიბოს გასწვრივ დარჩენილი მოთელილი ბოჭკოების უწყვეტი ან წყვეტილი ლენტი, რომელიც აუარესებს მასალის სასაქონლო სახეს და ექვემდებარება მოცილებას; 2. ზონარი ერთ მხარეზე ჩამოკიდებული ძაფით, ბოჭკოთი, თასმით ან სხვ. საკიდრით. გამოიყენება ტანსაცმლის, მაგიდის გადასაფარებლის, ტანსაცმლის, თავსაბურავის, ყელსახვევის, ფარდის და მისთ. მოსართავად.

ფრაგმენტი (ლათ. fragmentum ნატეხი, ნაჭერი) – 1. ხელოვნების რაიმე ნაწარმოების ნაწილი; 2. დაზიანებული ან დაკარგული ტექსტის გადარჩენილი ნაწილი; 3. რომელიმე ობიექტის ცალკეული ნაწილი, ნარჩენი.

ნახ. 1

ფრამუგა [პოლონ. framuga<გერმ. hramabogo (brandbogen)<hrama ჩარჩო და bogo თაღი, რკალი] – კარ-ფანჯრის თავზე მოთავსებული საგდულიანი ელემენტი მოძრავის ფრთის გაღება-გადმოკიდებით (ნახ. 1). გამოიყენება სათავსის განიავებისათვის.

ნახ. 1

ფრანი – თოკზე მიმაგრებული, დელტოიდის ფორმის, მყარ კარკასზე გადაჭიმული ქსოვილის ან ქაღალდის მსუბუქი აპარატი (ნაკეთობა), რომელიც აეროდინამიკური ეფექტით ინარჩუნებს წონასწორობას ჰაერში (ნახ. 1).

ფრანკო (იტალ. franco თავისუფალი) – საგარეო ვაჭრობაში: ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით.

ფრანკო-ვაგონი – ისეთი გარიგება, როდესაც საქონლის სადგურში მიტანისა და ვაგონის დატვირთვის ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, გამგზავნი. დამატებით იხ. ფრანკო და პორტო-ფრანკო.

ფრანჩაიზი (ინგლ. franchise<ფრანგ. frank<ლათ. francus უფასოდ) – 1. მწარმოებელს, ბითუმად მოვაჭრეს ან მომსახურების სფეროს ფირმასა (ფრანჩაიზერი) და დამოუკიდებელ საწარმოს ან პიროვნებას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის დროსაც ფრანჩაიზის მიმღები ყიდულობს უფლებას ფლობდეს და განაგებდეს ფრანჩაიზერის ერთ ან რამდენიმე კომერციულ ერთეულს (ობიექტს) ფრანჩაიზერის სისტემაში; 2. როდესაც რომელიმე დიდი კომპანიისგან იღებს მისი პროდუქტის წარმოების უფლებას შედარებით სუსტი კომპანია.

ფრანცო – საქონლის მიწოდების საბაზისო პირობა ვაჭრობაში. ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველი მყიდველს ათავისუფლებს სატრანსპორტო ხარჯებისაგან გზის გარკვეულ მონაკვეთზე.

ფრაქტალი (ლათ. fractus დამტვრეული, დამსხვრეული) – გეომეტრიული ობიექტი არასწორი, ტეხილი ან ფრაგმენტული ფორმით, რომელიც წარმოქმნილია განმეორებადი სტრუქტურით (ნახ. 1), როგორც წესი, იტერაციის პროცესში. ეს პროცესი მას მრავალ საინტერესო თვისებას ანიჭებს, რომელთა შორის აღსანიშნავია თვითმსგავსებადობა და უსასრულო დეტალურობა. კლასიკური მცდელობები ფ. პერიმეტრის, ფართობის ან მოცულობის გაზომვისა უშედეგოა, დეტალურობის განსაზღვრული ლიმიტის უქონლობის გამო. ფ. გეომეტრიას მრავალი გამოყენება აქვს მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, მშენებლობაში (ნახ. 2. ფრაქტალური გეომეტრიის შენობა), არქიტექტურულ და კომპიუტერულ გრაფიკაში და სხვ.

ნახ. 1

ნახ. 2

ფრაქცია (ლათ. fractio ტეხილი) – 1. ფხვიერი ან დამსხვრეული მყარი საშენი მასალის ნაწილი (მაგ., ქვიშის, ღორღის), რომელიც ნაწილაკების (ნაჭრების, მარცვლების) ზომის მიხედვით არის გაცალკევებული (საცრული ანალიზი) ან სიმკვრივის მიხედვით დაჯგუფებული (გრავიტაციული გამდიდრება); 2. ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა რისამე (მაგ., ნავთობის) გამოხდით.

ფრეზვა (ღარვა) – იხ. ღარვა.

ფრეზი (საღარავი, ფრეზა) [ფრანგ. fraise ნაოჭიანი საყელო; ხბოს ჯორჯალი (მეზენტერიუმი)<ძვ. ფრანგ. fraiser დახუჭუჭება, დაკულულება, დახვევა; ნაჭუჭის, ღენჭებოს, ჩენჩოს, გარსის, ნიჟარის მოცილება<ლათ. frendére გასრესა, გაჭყლეტა; დამარცხება, ჩახშობა, განადგურება] – იხ. საღარავი.

ფრეზი სოგმანური – ფრეზი, სოგმანური ღარების დასამუშავებლად.

ფრეზი ტორსული – ფრეზი ბრტყელი ზედაპირების დამუშავებისათვის, რომლის ღერძი მართობულია დასამუშავებელი ზედაპირის. არსებობს ასაწყობი, მაგარი ლითონის ფირფიტებით და ჩასადგმელი დანებით (ნახ. 1). თითოეულ დანის მჭრელ ნაწილს აქვს მჭრელი პირი, რომლის განლაგებას განსაზღვრავს მისი გეგმილი ფრეზის კბილების წვეროებზე გამავალ სიბრტყეზე.

ნახ. 1

ნახ. 1

ფრეზი ფასონური – ფრეზი, რომლის კბილების პროფილი ისეთივეა, როგორც დასამუშავებელი დეტალის პროფილი.

ფრეზი ცილინდრული – ფრეზი, ბრტყელი ზედაპირის დასამუშავებლად, რომლის ღერძი პარალელურია დასამუშავებელი ზედაპირის. აქვს კბილები მხოლოდ ცილინდრულ ნაწილში. ფ.ნც. საჭრისის პირი შეიძლება იყოს სწორხაზოვანი ან ხრახნული (ნახ. 1). ხრახნული გამოირჩევა მდოვრე მუშაობით და უზრუნველყოფს დასამუშავებელი ზედაპირის სისუფთავეს. ფ. ც. დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება სწრაფმჭრელი ფოლადი, მაგარი შენადნობები და ზემტკიცე პოლიმერები.

ფრეზი ჭია – ფრეზი, რომელიც გამოიყენება ვარსკვლავას (ჯაჭვური გადაცემის ამძრავის) კბილის მოსაჭრელად და ცილინდრული კბილებიანი ბორბლის დასამზადებლად.

ფრესკა (იტალ. fresco გრილი, ქორფა) – ფერწერის სახეობა, შესრულებული კირიან წყალში გახსნილი საღებავებით სველ ბათქაშზე. ასეთი ზედაპირი გაშრობისას იკეთებს გამჭვირვალე აფსკს, რის გამოც ნახატი მყარი და ხანგამძლე ხდება. ფ. ეწოდება აგრეთვე ამ ტექნიკით შესრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს. ფ. ტექნიკით ასრულებენ მონუმენტური ფერწერის კომპოზიციებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული არქიტექტურასთან. ის კედლის მხატვრობის ძირითადი ტექნიკაა. მასში გამოიყენება საღებავები, რომლებიც კირთან რეაქციაში არ შედიან. საღებავებში, როგოც წესი, შერეულია წებო. ფრესკის ხელოვნება განვითარებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში ეგეოსურ კულტურაში. ის იყო მხატვრობა საღებავებით, სადაც საღებავის შემკვრელად გამოიყენებოდა წებო და კაზეინი, ხოლო შესრულების ტექნიკა ახლოს იყო მხატვრობასთან მშრალ ზედაპირზე. საწყისი მასალების (კირი, ქვიშა, პიგმენტი, მინერალები) ხელმისაწვდომობამ, მხატვრობის მარტივმა ტექნიკამ და შესრულებული ნახატის ხანმედეგობამ, ხელი შეუწყო ფრესკული მხატვრობის განვითარებას ანტიკურ მსოფლიოში – ქრისტიანულ ხელოვნებაში ფრესკა გახდა ქვის ტაძრებისა და ეკლესიების კედლების მოხატვის ძირითადი მეთოდი. აღორძინდა ფრესკის შესრულება მშრალ ბათქაშზე (ტემპერით). ფრესკის შერეული ტექნიკა განვითარდა ბიზანტიაში, იტალიაში, საქართველოში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. უმაღლეს დონეს კი მიაღწია იტალიური აღორძინების ხანის (XVI საუკ.) ოსტატთა შემოქმედებაში (ჯოტო, მაზაჩო, რაფაელი, მიქელანჯელო, ვაზარი, ტინტორეტო, ჯორდანო, ტიეპოლო და სხვ.), რომლებმაც დაიწყეს სუფთა ფრესკების შექმნა ორფენიანი საფუძვლის მქონე კედლებზე. ფრესკის ტრადიცია არსებობდა XVII-XVIII საუკუნეების დეკორატიულ მხატვრობაში, XIX საუკუნიდან კი ფრესკის ტექნიკაში მუშაობენ მხოლოდ ცალკეული ოსტატები. XX საუკუნეში სინთეზური საღებავების შექმნამ ახალი შესაძლებლობები გახსნა ფრესკული ფერწერის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოში შემორჩენილი ფრესკებიდან ყველაზე ადრეული ფრესკები თარიღდება VIII-IX საუკუნეებით (მაგ., არმაზი). განსაკუთრებით განვითარდა XI–XIII საუკუნეებში [ატენის სიონის, ვარძიის (იხ. ვარძია, ნახ. 2), ყინწვისის (იხ. ყინწვისის მონასტერი, ნახ. 2), ბეთანიისა და სხვა ქართული ტაძრების ფრესკები]. მონუმენტური მხატვრობის ძეგლები შემორჩა გვიანი შუა საუკუნეებიდანაც (იხ. უბისა, ნახ. 3; 4; 5; 6). ახალი

ნახ. 1

აღმავლობა კი განიცადა XIX-XXსაუკუნეებიდან (ნახ. 1. ლადო გუდიაშვილის მიერ ენკაუსტიკის მეთოდით შესრულებული საკურთხევლის ფრესკა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, ქ. თბილისი, საქართველო).

ფრთა – 1. მანქანის სამუშაო თვლის ნაწილი, მიმაგრებული მორგვზე. მასზე მოხვედრილი სითხის ან აირის ნაკადი აბრუნებს თვალს, რომელიც ლილვზეა დამაგრებული. შედეგად მიიღება მექანიკური (ბრუნვითი) მოძრაობა; 2. იძულებითი მოქმედების შემრევი მანქანების სამუშაო ორგანოების ნაწილი, რომელიც დამაგრებულია ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ლილვზე და ბრუნვისას ახდენს მასის შერევას. უხეშ დისპერსიულ გარემოში მბრუნავი შემრევი ფ. (ნიჩბები) განიცდის აბრაზიულ ცვეთას, რის გამოც მას ამზადებენ ცვეთამედეგი ლითონისაგან; 3. ფრონტალური დაქანებით დახურული სამკუთხოვანი ფერდი (დაქანება) სახურავის ფრთის ტორსებში; 4. კარის, ფანჯრის მოძრავი ნაწილი; 5. გარე კიბე, რომელსაც მივყავართ შენობის, ტაძრის, სადარბაზოს შესასვლელთან; 6. საფრენი ან სხვა მოძრავი აპარატის მზიდი სიბრტყე; 7. წისქვილის ბორბლის სოლი, რომელსაც წყალი ეცემა; 8. სპორტული მოედნის განაპირა ნაწილი; 9. ფრინველის ან მწერის საფრენი ორგანო.

ფრთედი – ფლიგელი; სახლზე გვერდიდან მიშენებული სადგომი.

ფრთოვანა – მბრუნავი ფრთები, რომელიც გამოიყენება ტექნიკაში სხვადასხვა დანიშნულებით. კერძოდ, ფ. გამოყენებულია ცირკულაციურ სეპარატორში შეკუმშული ჰაერით წვრილმარცვლოვანი ფხვიერი მასალების გადასატანად. ფ. ბრუნვის ზონაში შესული ნაწილაკები ინერციის ცენტრიდანული ძალის გავლენით სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილდება, რომელთა გაყოფის ზღვარი რეგულირდება ფ. ფრთების განლაგების რადიუსის შეცვლით.

ფრიგიდარიუმი (ლათ. frigidarium ცივი ოთახი) –კლასიკური რომაული თერმების ერთ-ერთი სადგომი ცივი აბაზანებით. შემორჩენილია იმპერატორ დიოკლეტიანეს ფრიგიდარიუმი, რომელიც მიქელანჯელოს მიერ XVI საუკუნეში გადაკეთებული იქნა სანტა-მარია-დელი-ანჟელის (Santa Maria degli Angeli e dei Martiri) ბაზილიკად.

ფრიზა – გარკვეულ ზომაზე დაჭრილი მერქნის ნამზადი ცალობრივი პარკეტის დასამზადებლად.

ფრიზი (ფრანგ. frisé თმახუჭუჭა, დახვეული) – კლასიკური ანტაბლემენტის შუა ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც მოქცეულია არქიტრავსა და კარნიზს შორის (ნახ. 1). ფრიზის არე, ხშირად, გამოყენებულია ლენტური აბსრაქტული, მცენარეული, ფიგურული სკულპტურული გამოსახულების ან ორნამენტული მოტივების მოსათავსებლად. შეიძლება იყოს ბრტყელი ან რელიეფური.

ნახ. 1

ფრიზი არკატურული – იხ. არკატურა.

ფრიზი ბრტყელი – კლასიკური არქიტექტურული ორდერის ფრიზი რელიეფის გარეშე (ნახ. 1. ბრტყელი ფრიზი, ათენის აკადემია, საბერძნეთის რესპუბლიკა).

ნახ. 1



ნახ. 1

ფრიზი რელიეფური – კლასიკური არქიტექტურული ორდერის ფრიზი, შემკული რელიეფით (ნახ. 1).

ფრიტა – 1. მინისმაგვარი ნივთიერება გამომწვარი შეცხობამდე, რომელიც წარმოადგენს ჭიქურების ძირითად შემადგენელ ნაწილს; 2. ძვ. ეგვიპტური მინისებრი, სპილენძის შემცველი, ლურჯი საღებავი, რომელსაც ალექსანდრიის ფრიტასაც უწოდებდნენ.

ფრიტრედერობა (ინგლ. free trade თავისუფალი ვაჭრობა) – ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაში ვაჭრობის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ჩაურევლობას ემხრობა; თავისუფალი ვაჭრობა.

ფრიქცია (ლათ. frictiō ხახუნი) – 1. წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშობა რაიმე ზედაპირზე ან სხეულზე სხვა ობიექტის მოძრაობის შედეგად; 2. განხეთქილება ან შუღლი, რომელიც გამოწვეულია განსხვავებული იდეების, აზრების, სურვილების ან ტემპერამენტის შეჯახების შედეგად.

ფრიქციული გადაცემა – მექანიკური გადაცემა, რომელიც ბრუნვით მოძრაობას ერთი ლილვიდან გადასცემს მეორეს ხახუნის საშუალებით. ხახუნი აღიძვრება ერთმანეთთან მიჭერილ, ლილვებზე დასმულ დისკებს, ცილინდრებსა და კონუსებს შორის. ფ. გ. გამოიყენება უსაფეხურო გადაცემებში (ვარიატორებში), ფრიქციულ წნეხებსა და უროებში.

ფრიქციული მასალები – მასალები, რომელსაც აქვთ დიდი ხახუნის კოეფიციენტი და ცვეთის მაღალი წინააღმდეგობა. ეს მასალებია: ზოგი სახის პლასტმასა, თუჯი, ლითონკერამიკა. ფ. მ. იყენებენ სამუხრუჭე მოწყობილობებში.

ფრიქციული მექანიზმი – მექანიზმი, რომელშიც მოძრაობის გადაცემა ან შეცვლა განპირობებულია ელემენტებს შორის ხახუნით: ფრიქციული გადაცემა; ფრიქციული ქურო; ხუნდებიანი, ლენტური ან დისკური მუხრუჭი; სოლის მომჭერი და სხვ.

ფრონტალი (ლათ. frontalis<front, frons შუბლი, წინა მხარე, სახე) – წრფე, რომელიც პარალელურია ვერტიკალური სიბრტყისა, მაგრამ არ არის მართობული ჰორიზონტალური პროექციული სიბრტყისა.

ფრონტი (ლათ. front, frons შუბლი, წინა მხარე, სახე) – 1. ადგილი, უბანი ამა თუ იმ სამუშაოს ჩატარებისათვის ერთდროულად მრავალი ადამიანის მიერ (მაგ., მიწის სამუშაოთა ფრონტი); 2. სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო (მაგ., იდეოლოგიური ფრონტი); 3. საომარი მოქმედების არე, ბრძოლის ველი; 4. საზოგადოებრივ ძალთა ყველაზე ფართო გაერთიანება რაიმე მიზნის მისაღწევად (მაგ., სახალხო ფრონტი); 5. მეტეოროლოგიაში: მეტნაკლებად ვიწრო გარდამავალი ზონა, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ჰაერის თბილსა და ცივ მასას.

ფრონტისპისი (ფრანგ. frontispice<ლათ. fronstis შუბლი და spicere ყურება, ცქერა, მზერა) – 1. იგივეა, რაც ფრონტონი; 2. შენობის მთავარი ფასადი.

ფრონტონი (ფრანგ. fronton<ლათ. frons შუბლი, წინა მხარე, სახე) – 1. კლასიკური ტაძრის ან შენობის ფასადის დამაგვირგვინებელი, კარნიზით შემოფარგლული სამკუთხა ან ნახევარწრიული სიბრტყე; ფანჯრის, კარისა და სხვ. ელემენტის ანალოგიური მორთულობა (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფრონტონი დანაწევრებული – ფრონტონი, რომლის ნაწილი დანაწევრებულია და წინ გამოდის კედლის სიბრტყიდან (ნახ. 1). პოპულარული იყო ბაროკოს ეპოქაში.

ფრონტონი დეკორატიული – 1. მცირე ზომის დეკორატიული ფსევდოფრონტონი; 2. სამერცხლულის ფრონტონი (იხ. სამერცხული კედლის, ნახ. 1).

ნახ. 1

ფრონტონი კილისებრი – ფრონტონი ამობრუნებული გემის კილის სახით. გავრცელებული იყო ძველ რუსულ ხის ხუროთმოძღვრებაში (ნახ. 1).

ნახ. 1

ფრონტონი კონუსური – სამკუთხა ფრონტონის სახეობა, როდესაც სახურავის ფერდები ერთმანეთისადმი განლაგებულია მახვილი კუთხით (ნახ. 1).

ფრონტონი მშვილდისებრი – სეგმენტური ფრონტონი, რომელიც მოხაზულობით ჰგავს მოჭიმულ მშვილდს (ნახ. 1) და უკავია სეგმენტის მცირე ნაწილი. გავრცელებული იყო აღორძინების ეპოქაში.

ნახ. 1

ფრონტონი ნახევარწრიული – ფრონტონი წრის ნახევრის ფორმის, რომლის ფერდების პროფილები შერწყმული არაა ჰორიზონტალური კარნიზის პროფილთან და უშუალოდ ეყრდნობიან ნაგებობის ზედა ნაწილს. გვხვდება ბოლონიისა და ვენეციის ადრეული რენესანსის არქიტექტურაში (ნახ. 1). ფორმით, ნახევარწრის გარდა, შეიძლება იყოს ოვალის ან ელიფსის ნახევარრკალის მსგავსი. ფრონტონის ზედა მორთულობისათვის გამოიყენება პალმეტები და ვარდულები. ტიმპანის სიბრტყე ხშირად დატვირთულია ორნამენტებითა და ლირსებით.

ნახ. 1

ფრონტონი სამკუთხა – ფრონტონის კლასიკური ფორმა, რომელსაც სამკუთხედის სახე აქვს (ნახ. 1). ანტიკური პერიოდიდან გავრცელებული იყო ძველი რომისა და ბიზანტიის არქიტექტურაში (ნახ. 2. ათენის პართენონი; რეკონსტრუქცია). ფრონტონის ტიმპანი მორთული იყო ქანდაკებებითა და ბარელიეფებით, ხოლო სამკუთხედის კუთხეები და კეხი – აკროტერიონებით (იხ. აკროტერიონი, ნახ. 1). სამკუთხა ფრონტონი კლასიკური არქიტექტურული ორდერების ანტაბლემენტის ზედა შემადგენელი ნაწილი იყო და სრულდებოდა ყველა წესების დაცვით (იხ. ორდერი).

ნახ. 1

ნახ. 2

ფრონტონი საფეხურებიანი – ფრონტონი, რომლის ფერდებს კიბის საფეხურების ფორმა აქვს (ნახ. 1). ძირითადად გვხვდება ჰოლანდიურ არქიტექტურაში.

ნახ. 1

ფრონტონი ტრაპეციული – ფრონტონი, რომელსაც ტრაპეციული ფორმა აქვს. ძირითადად გვხვდება ნახევრადვალმურ სახურავებში (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფრონტონი წვეტურა – ფრონტონი, რომელიც შედგება ორი დახრილი ფერდისგან და არ აქვს ჰორიზონტალური კარნიზი. პირველად მისი გამოყენება დაიწყეს ძველ რომში, როცა სათავსის გასანათებლად ფრონტონის სიბრტყეში სვამდნენ ნახევადწრიულ ფანჯრებს. შემდეგ გავრცელდა ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც დიდთოვლობის გამო საბინაო მშენებლობაში მასობრივად დაიწყეს დიდქანობიანი სახურავების გამოყენება (ნახ. 1).

ნახ. 1

ფრონტონი წრიული – ფრონტონი, რომელიც ჰგავს მშვილდისებრ ფრონტონს, მაგრამ განსხვავებით მისგან, უკავია სეგმენტის დიდი ნაწილი (ნახ. 1).

ფრონტონი ხუთკუთხა – ფრონტონი, რომელსაც ხუთკუთხედის ფორმა აქვს (ნახ. 1).

ნახ. 1

ნახ. 1

ფრქვევანა – აგრეგატი სითხეების (წყალი, დიზელის საწვავი, მაზუთი) გასაფრქვევად (ნახ. 1). არსებობს ორთქლის, პნევმატიკური და მექანიკური.

ფრჩხილი (ინგლ. trumb) – 1. არქიტექტურული ნატეხი, რომელსაც ფრჩხილის ფორმა აქვს; 2. ერთ-ერთი გრაფიკული ან მათემატიკური ნიშანი – შვეული ხაზი (სწორი, ბოლომოხრილი, ფიგურული); 3. ადამიანის (ცხოველის, ფრინველის) ხელისა და ფეხის თითების დისტალური დაბოლოება.

ფრცხილი – ბუნებრივი ქვა, ქალცედონის ნაირსახეობა. ბუნებაში გვხვდება მოშავო მომწვანო ფერის, ზოგჯერ მოთეთრო, ნახევრად გამჭვირვალე ან წითელი, ყვითელი, ყავისფერი, ვარდისფერი ზოლებით. ქვის სახელწოდება ბერძნული სიტყვა ონიქსიდან მოდის, რომელიც ნიშნავს ფრჩხილს, ბრჭყალს. ითვლება რომ ონიქსს მრავალი მისტიკური ძალა გააჩნია.

ფსევდო (ბერძ. pseudos ტყუილი, სიცრუე) – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს ცრუს, ყალბს.

ფსევდოგოტიკა – იხ. ნეოგოტიკა.

ფსევდოდიპტეროსი (ბერძ. pseudēs ცრუ, ყალბი ან pseûdos სიცრუე, სიყალბე, ტყუილი, dís ორჯერ და pterón ფრთა, ბუმბული) – ანტიკური ტაძარი, რომლის სვეტნარი განლაგებულია ნაოსის გარშემო, მისგან ორმაგ სვეტშორისის მანძილზე [ნახ. 1. არტემიდას ტაძრის ფასადი რეკონსტრუირებული რეპროდუქციის გამოსახულებაზე, კუნძული კერკირა (კორფუ), საბერძნეთის რესპუბლიკა; ნახ. 2. ნაგებობის გეგმა, პოზ. 1. ოპისტოდომოსი]. დიპტეროსისგან განსხვავებით არ გააჩნია სვეტების მეორე, შიდა რიგი, თუმცა ადგილი მისთვის დატოვებულია.

ნახ. 1



ნახ. 2

ფსევდოპერიპტეროსი (ბერძ. pseudēs ცრუ, ყალბი ან pseûdos სიცრუე, სიყალბე, ტყუილი; perí მახლობლად, გარშემო და pterón ფრთა, ბუმბული) – რომაული ტაძარი, პორტიკით მთავარ ფასადზე და ნახევარკოლონებით გვერდითა და უკანა ფასადებზე (ნახ. 1. მეზონ კარე, ქ. ნიმი, საფრანგეთის რესპუბლიკა; ნახ. 2. ნაგებობის გეგმა).

ნახ. 1

ნახ. 2

ფსევდორუსული სტილი (ნეორუსული, ცრურუსული, რუსული აღორძინება) – XIX ს. მეორე მეოთხედისა და XX ს. დასაწყისის რუსულ არქიტექტურაში ჩასახული რამდენიმე იდეურად განსხვავებული მიმდინარეობის ერთობლივი პირობითი სახელწოდება, რომელიც არის პეტრესდრიონდელი და ბიზანტიული არქიტექტურების ეკლექტიკური კომბინაცია, ასევე რუსული არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტანცია და სტილიზაცია. რუსული სტილი თანდათან შეერწყა სხვა ევროპულ სტილებს – დაწყებული არქიტექტურული რომანტიზმიდან და დამთავრებული მოდერნით. ფ. ს. გაჩნდა პერიოდში, როდესაც შეინიშნებოდა საერთოევროპული ინტერესების ზრდა ნაციონალური არქიტექტურების მიმართ. ამ სტილის პირველი მიმდინარეობა (რუსულ-ბიზანტიური) გამოჩნდა 1830-იან წლებში ტაძრის (ეკლესიების) არქიტექტურაში და მის განვითარებას ხელი შეუწყო რუსეთიის იმპერიის სამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერამ. ფ. ს. პირველი ნაგებობა იყო ალექსანდრე ნეველის ტაძარი პოტსდამში (გერმანია, არქიტ. კ. შინკელი, 1826-1829 წწ.) (ნახ. 1),

შემდეგი კი – მაცხოვრის საკათედრო ტაძარი, კრემლის დიდი სასახლე (ნახ. 2) და კრემლის იარაღის პალატა (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია, არქიტ. კ. ტონი); წმინდა ნიკოლოზის



ნახ. 1

სახელობის საკათედრო ლუთერანული ტაძარი ჰელსინკში (ფინეთის რესპუბლიკა, 1830-1852 წწ.) (ნახ. 3), ელცში (ვოზნესენსკის ტაძარი), ტომსკში, როსტოვსა და კრასნოიარსკში; პეტრესა და პავლეს ტაძარი პეტერგოფში (1836-1839 წწ.) და სხვ. 1880-იანი წლებიდან დაიწყო ფსევდორუსული სტილის ნაკლებად რადიკალური ვერსია, დაფუძნებული XVII საუკუნის აგურის არქიტექტურაზე. რუსეთში მასობრივად დაიწყო აგურისა და თლილი ქვის გამოყენება საკულტო და სამოქალაქო მშენებლობაში, რომლის მაგალითია ისტორიული მუზეუმის შენობა (არქიტ. ვ. შერვუდი), რომელმაც ფაქტურად დაამთავრა ქ. მოსკოვის წითელი მოედნის ანსამბლის არქიტექტურა. XX საუკუნის დასაწყისიდან განვითარება დაიწყო ნეორუსულმა სტილმა. მონუმენტალური უბრალოების ძებნაში არქიტექტორებმა მიმართეს რუსული ჩრდილოეთის – ძველი ნოვგოროდისა და ფსკოვის ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, რომელთა გამოყენებით არაერთი შესანიშნავი შენობა აიგო, რომელთაგან აღსანიშნავია: ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ტაძარი დასახლება კლიაზმაში (თანამედროვე პუშკინო, მოსკოვის ოლქი; 1874-1875 წწ.) (ნახ. 4); შემოსავლების სახლი და თეატრი, თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, თეთრი ქვისა და სატრაპეზო პალატები (ფეოდორის ქალაქი, პუშკინი, სანკტ-

ნახ. 2

ნახ. 3

პეტერბურგის ოლქი, 1886-1918 წწ.); არხანგელ მიხაილის ტაძარი (ლომონოსოვო, 1911-1914 წწ.), წმ. ნიკოლოზ სასწაულქმედის ზღვის ტაძარი (კრონშტადი, 1902-1913 წწ.); წმ. ნიკოლოზის ტაძარი (პავლოვსკი, 1900-1904 წწ.); პეტრეპავლეს ტაძარი (სანკტ-პეტერბურგი, პეტერგოფი, 1895-1904 წწ.) (ნახ. 5) და სხვ. რუსული არქიტექტურის ისტიკოსების აზრით, ნეორუსული სტილი უფრო ახლოსაა მოდერნთან, ვიდრე ეკლექტიკასთან და სწორად ამით განსხვავდება ფსევდორუსული სტილისაგან, მისი ტრადიციული გაგებით.



ნახ. 4

ნახ. 5

ნახ. 1

ფსეფიტი (ტლანქმონატეხი) (ბერძ. psēphos კენჭი, მრგვალი ქვა) – 1. მსხილმარცვლოვანი ბრექჩია, კონგლომერატი, კაჭარი ან მსგავსი დანალექი სამთო ქანი (ნახ. 1); 2. სპეციფიკური ქანი, რომელიც წარმოიქმნება მეტამორფული ცვლილებების შედეგად.

ნახ. 1

ფსიქრომეტრი (ბერძ. psychros ცივი და métron გაზომვა) – ხელსაწყო ჰაერის ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის გასაზომად (ნახ. 1. რუსული წარმოების ფსიქრომეტრი ВИТ-2). ძირითადად გამოიყენება მერქნის საშრობ კამერებსა და ჰიდრომეტეოსადგურებში.

ფსკერული საგუბარი – საგუბარის სახე, რომელიც ეწყობა ხრამში, წყლის ნაკადის სიჩაქრის შემცირების, ხრამის ფსკერისა და გვერდების გადარეცხვის თავიდან აცილების მიზნით.

ფუგასი (ლაღმი) (ფრანგ. fougasse<ლათ. fugare გასაქცევად მიბრუნება) – სამხ. ფეთქებადი ნივთიერების მუხტი, რომელიც ფეთქდება ელექტროდენით, სადეტონაციო შნურით ან ავტომატურად (როდესაც ზედ გაივლიან).

ფუგასური – აფეთქების შედეგად წარმოშობილი გაზების ძალით მოქმედი (დარტყმით ან ცეცხლგამჩენი მოქმედებისაგან განსხვავებით).

ფუთი – მასისა და წონის ძველი საზომი, რომელიც გამოიყენებოდა ძველ რუსეთში მეტრულ ერთეულთა სისტემის დანერგვამდე. 1 ფუთი (მასის ერთ.) = 40 ფუნტს = 16,3805 კილოგრამს; 1 ფუთი (წონის ერთ.) = 40 ფუნტს = 160,638 ნიუტონს.

ფუკოს ქანქარა (ფუკოს საქანი) – ქანქარა, რომელსაც იყენებენ დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის დამამტკიცებელი ფაქტის სადემონსტრაციოდ (ნახ. 1). ფუკოს ქანქარა წარმოადგენს მასიურ ტვირთს, რომელიც დაკიდებულია მავთულზე ან თოკზე, რომლის ზედა ბოლო ისეა მორგებული დარბაზის ჭერს, რომ ფუკოს ქანქარას შეუძლია იქანაოს ნებისმიერ ვერტიკალურ სიბრტყეში. პირველი ასეთი ქანქარა ჟ. ფუკომ პარიზის პანთეონში ააგო 1851 წ. მისი სიგრძეა 67 მ. სანკტ-პეტერბურგის ისააკის ტაძარში დადგმული ფუკოს ქანქარას სიგრძეა 98 მ.

ნახ. 1

ფულერის გუმბათი – იხ. გუმბათი გეოდეზიური.

ფული – 1. აქტივების ერთობლიობა, გამოყენებული გარიგებათა დასადებად; საყოველთაო ეკვივალენტი, რომელზეც ხდება ყველა სხვა საქონლის გაცვლა; 2. საქონელბრუნვის საშუალება; წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დამაკავშირებელი კონკრეტული სახმარი ღირებულება.

ფული ქაღალდის – სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშანი, დეკრეტული ფული, რომლის გარანტი თვით სახელმწიფოა. იგი, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული ნაღდი ფულის 90-95%-ს შეადგენს. იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე და დაცულია გაყალბებისაგან.

ფულის მსყიდველობითუნარიანობა – ფულადი ერთეულის უნარი, გაიცვალოს საქონლისა და მომსახურების გარკვეულ რაოდენობაზე.

ფულის ღირებულება – საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ერთ ერთეულზე; ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარი.

ფუმაროლა (გვიანდ. ლათ. fūmāriōlum სავენტილაციო ხვრელი, ნახვრეტი კვამლისთვის<ლათ. fūmus კვამლი, ბოლი) – ვულკანის კრატერში, მის კალთებზე ან ძირთან არსებული მცირე ზომის ხვრელი და ნაპრალი, რომლებიდანაც გამოიყოფა ცხელი აირები (H_2O, HCI, HF, SO_2, CO_2, CO, H_2S, H_2 და სხვ.). ფუმაროლებიდან შეიძლება გამოდიოდეს ცხელი წყაროებიც – ფუმაროლური თერმები, რომლებიც წარმოიქმნება წყლის ორთქლის კონდენსაციისა და თანმხლები ვულკანური აირების წყალში გახსნის შედეგად (ნახ. 1. ფუმაროლი ნამაფიალის ქედზე, ისლანდია).

ნახ. 1

ფუმაროლები – ვულკანის კრატერში, მის კალთებზე ან ძირთან არსებული მცირე ზომის ხვრელები, ბზარები და ნაპრალები, რომლებიდანაც ვულკანის აქტივობის (იშვიათად მიძინების) პერიოდში გამოიყოფა ცხელი აირები.

ფუმიგანტი (ლათ. fumigo გაბოლება, დაკვამლიანება) – მომშხამავი ნივთიერება აირის ან ორთქლის სახით. გამოიყენება მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგოდ. არის ქიმიური ნივთიერება (პესტიციდი) ხაგრძლივი ნარჩენი მოქმედებით, რომელიც ტოქსიკური არაა თბილსისხლიანებისათვის (ადამიანი, შინაური ცხოველი). ძლიერი ინსექტიციდია.

ფუმიგატორი – მანქანა, მოწყობილობა, ხელსაწყო (ნახ. 1. ფუმიგატორი: მარცხნივ ელექტრული, მარჯვნივ საკვამლე ზამბარით), რომელიც გამოიყენება ნიადაგის, ნარგავების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტების საწყობის, საცხოვრებელი სათავსისა და სხვ. დეზინსექციისათვის ფუმიგაციის მეთოდით (ინსექტიციდების ორთქლით).

ნახ. 1

ფუმიგაცია (ფრანგ. fumigation<ლათ. fumigo გაბოლება, დაკვამლიანება) – ფუმიგანტის შხამიანი ორთქლისა და გაზების შეხრჩოლებით მცენარეთა დამუშავების პროცესი მავნებელთა მოსპობის მიზნით. ძირითადად გამოიყენება პრეპარატები ფოსფინი, ბრომის მეთილი, ქლორპიკრინი, დიქლორეთანი და სხვადასხვა ნარევები (CS_2, CCl_4, SO_2, ფორმალინი).

ფუნგიციდი (ლათ. fungus სოკო და caedo ვკლავ) – 1. ქიმიური ნივთიერება მცენარეებისა და თესლის ბაქტერიული, ვირუსული, პარაზიტული სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ (ფორმალინი, ფუნდაზოლი, გრანოზანი, მერკურანი; გოგირდის, სპილენძის, დარიშხანის არაორგანული შენაერთები; ტყვიის ორგანული შენაერთები, კარბამიდის მჟავას წარმოებულები და სხვ.). ფ. გამოიყენება გასხურების ან გაშხეფების გზით ნიადაგის, საცავების, კვალსათბურების დეზინფექციისათვის. ფ. უმეტესობა შხამიანია, რის გამოც შენახვისა და მოხმარებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მკაცრი ზომები; 2. ძლიერი ორგანული წარმოშობის შხამი.

ფუნდამენტი (ლათ. fundamentum<fundus ფსკერი, ძირი, ფუძე) – იხ. საძირკველი.

ფუნდამენტური (ფუნდამენტალური) – 1. გამძლე, მყარი, მაგარი; 2. ძირითადი, მთავარი; 3. გადატ. ღრმაშინაარსიანი, საფუძვლიანი, ყველაფრისმომცველი.

ფუნდუკი – 1. ძვ. ქარვასლა, სასტუმრო ქარავნებისათვის; 2. საქარავნო საქონლის საწყობი; 3. ლომბარდიული (ტყის) კაკლის ბუჩქი, ხე ან მათზე მოწეული ნაყოფი (კაკალი, ნიგოზი, თხილი).

ნახ. 1

ფუნიკულიორი (ლათ. fūniculus წვრილი თოკი<fūnis თოკი, ბაგირი) – ქანობიან რელიეფზე მოწყობილი საბაგირო რკინიგზა, რომელზეც ვაგონები მოძრაობენ საბაგირო წევით (ნახ. 1. ჰალშტატის ფუნიკულიორი, ავსტრია). ფ. დანიშნულებაა მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა. ფუნიკულიორის მთავარი იდეაა ერთმანეთთან ბაგირით დაკავშირებული ორი

ვაგონის არსებობა, რომელთაგან ერთი მოძრაობს ზევით, მეორე – ქვევით. ასეთი სქემის შემთხვევაში ხდება ვაგონების ურთიერთბალანსირება და ელექტრული ამძრავის მიერ დახარჯული ენერგიის მინიმიზირება.

ფუნქცია (ლათ. functio შესრულება) – 1. მოღვაწეობა, მოვალეობა, ურთიერთობათა მოცემულ სისტემაში რომელიმე ობიექტის თვისებების გარეგნული გამოვლენა; 2. როლი, მნიშვნელობა, დანიშნულება; 3. ბიოლ. ორგანიზმის ან რომელიმე ორგანოს სპეციფიკური მოქმედება; 4. მოვლენა, რომელიც მეორე მოვლენაზეა დამოკიდებული და იცვლება ამ მოვლენის ცვლილებასთან ერთად; 5. ფუნქცია ანუ ასახვა, ერთ-ერთი ძირითადი ცნება მათემატიკაში, რომელიც გამოსახავს ერთი ტიპის ცვლადი სიდიდეების კავშირს სხვა ცვლად სიდიდეებთან. თუ x და y სიდიდეები ერთმანეთთან დაკავშირებულია ისე, რომ x-ის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება y-ის გარკვეული მნიშვნელობა, მაშინ y-ს ეწოდება x არგუმენტის (ცალსახა) ფუნქცია. ზოგჯერ x-ს უწოდებენ დამოუკიდებელ, ხოლო y-ს – დამოკიდებულ ცვლადს. x-სა და y-შორის დამოკიდებულება ზოგადი სახით ჩაიწერება ასე $y = f(x)$ ან $y = F(x)$ და ა.შ. თუ x და y.-ს შორის დამოკიდებულება ისეთია, რომ x-ის ერთსა და იმავე მნიშვნელობას შეესაბამება საზოგადოდ, y-ის რამდენიმე მნიშვნელობა შესაძლოა უსასრულოც კი, მაშინ y-ს უწოდებენ x-ის მრავალსახა ფუნქციას.

ფუნქციის წარმოებული – x_0 წერტილში $f(x)$ ფუნქციის ნაზრდის არგუმენტის ნაზრთან ფარდობის ზღვარი, როდესაც არგუმენტის ზღვარი მიისწრაფვის ნულისაკენ (თუ ეს ზღვარი არსებობს). აღინიშნება სიმბოლოებით: y', $f''(x_0)$, dy/dx ან $df(x_0)/dx$.

ფუნქციონალური ზომა – ზომა, რომელიც განსაზღვრულია ანთროპომეტრიული ნიშნით და საგნების პარამეტრებით.

ფუნქციონალიზმი – მიმართულება XX საუკუნის არქიტექტურაში, რაციონალიზმის სახესხვაობა; უპირატესობას ანიჭებს არქიტექტურული ნაწარმოების ფუნქციას (უტილიტარულ-პრაქტიკულ დანიშნულებას) მის ფორმასთან შედარებით. წარმოიშვა გერმანიასა და ნიდერლანდებში. ფ. დამახასიათებელი იყო: შენობის სტანდარტული სექციები და ბინები, მართკუთხოვანი გეომეტრიული ფორმები, ბეტონის დიდი სიბრტყეები, ორნამენტებისა და კედლის სიბრტყიდან გამონაშვერების არარსებობა, რომელიც აღარიბებდა და ერთფეროვანს ხდიდა ფასადებს, ბრტყელი სახურავები, მცირე ზომის ფანჯრები, იაფი ერთგვაროვანი ხელოვნური საშენი მასალები, შიგა მოპირკეთების მინიმალიზაცია და ა.შ.

ფუნქციური ზედაპირი – ნაკეთობის ნაწილის ზედაპირი, რომელიც ექვემდებარება წყალსადენის ან ჩამდინარი წყლის ზემოქმედებას.

ფუნჯი – ტარზე დამაგრებული ბოჭკოს, ძაფის, ბალნისა თუ ჯაგრის კონა რისამე (საღებავის, წებოს, საპნისა და მისთ.) წასასმელად.

ფუჭვა – წვა ალის გარეშე (ნახ. 1), რომელიც გამოიცნობა კვამლის გაჩენით.

ნახ. 1

ფურგონი (ფრანგ. fourgon<ძვ. ფრანგ. forgon პოკერი<furgier ძებნა<ლათ. für ქურდი) – 1. მცირე ზომის სატვირთო ავტომობილი დახურული კაბინითა და ღია უკანა ძარით, რომლის დანიშნულებაა ადამიანების გადაყვანა ან ტვირთის გადატანა (ნახ. 1); 2. გადახურული სატვირთო ოთხთვალა საზიდარი ან ვაგონი.

ნახ. 1

ფურნე – პურის საცხობი ღუმელი.

ფურნიტურა (ფრანგ. fourniture<fournir მომარაგება, მიტანა) – დამხმარე მასალა რაიმე წარმოებაში, სახელოსნო საქმეში. არსებობს სხვადასხვა სახის ფ., მაგ., საავეჯო (ანჯამა, საკეტი, სახელური, დეკორატიული ელემენტები და სხვ.), ტანსაცმლის შესაკერი (ძაფი, ღილი, დუგმა და სხვ.), საათის (მინა, ისარი, ბორბალი, ხრახნი, ქანქარა და სხვ.), საკარე, საფანჯრე, საპირე, სამაგრი, უსჭვალო და სხვ.

ფურჩი – 1. ქსოვილის თხელი ფენა, რომელიც ქმნის ადამიანის ან ცხოველის ტანზე ბუნებრივ გარე შრეს; 2. განსაზღვრული ხილის ან ბოსტნეულის გარე შრე; 3. ოპერაციული სისტემის ან განაცხადის გრაფიკული გამოყენებითი ინტერფეისი.

ფურცელგადასაღუნი მანქანა – მანქანა ლითონის ფურცლების (ზოლების) გადასაღუნად და გასასწორებლად მათი გატარებით მბრუნავ ლილვებს შორის. არსებობს ორი სახის: მობრუნებადი საღუნი კოჭით (ნახ. 1) (სწორხაზოვანი კონტურის დეტალების, მილების სამართულებზე, ჩაკეტილი კონტურების, ფურცლების ცივი ღუნვისათვის) და როტაციული (საქვაბის, მაღალი წნევის ჭურჭლების, კონვერტერების ელემენტების ღუნვისათვის).

ნახ. 1

ფურცელი – 1. მართკუთხა ქაღალდის ნაჭერი, უმეტესად სტანდარტული ზომების, რომელიც გამოდის კომერციულ საფუძველზე და გამოიყენება ჩანაწერების გასაკეთებლად და ტექსტის დასაბეჭდად; 2. ლითონის, მუყაოს, ფანერის ან მინის ბრტყელი ფართო ნაჭერი; 3. რაიმე ზედაპირის ერთიანი დიდი ფართობი; 4. ბოტან. მცენარის გარეგანი ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა ფოტოსინთეზი, ჰაერცვლა და ტრანსპირაცია.

ფურცელსასწორებელი მანქანა – მანქანა, უსწორმასწორო ზედაპირის, ტალღოვნობის, ნაჭდევების მქონე ლითონის ფურცლების (ზოლების) გასასწორებლად ცივი (იშვიათად ცხელი) მეთოდით. არსებობს ორი სახის: გორგოლაჭებიანი (ნახ. 1) და საჭიმი.

ნახ. 1

ნახ. 1

ფურცლის დაფა (ინგლ. flip chart) – დასადგმელი დაფა, მასზე მიმაგრებული დიდი ზომის ქაღალდის ფურცლებით, რომლებიც გადაიშლება ბლოკნოტის პრინციპით. გამოიყენება პრეზენტაციისათვის. ხშირად, ფურცლის დაფაზე, მსმენელებისათვის შეუმჩნევლად, წინასწარ ფანქრით დაიტანება მოხსენების გეგმა, ნახაზის, ცხრილის, ფორმულის გამოსახულება, რომელსაც მომხსენებელი ლექციის მსვლელობის პროცესში გაამუქებს მარკერით და, შესაბამისად, დაიზოგება დრო.

ნახ. 1

ფურცლოვანი კონსტრუქციები – კონსტრუქციები, დამზადებულ-შესრულებული ფურცლოვანი ლითონისაგან (ნახ. 1). გამოიყენება ძირითადად სხვადასხვა დანიშნულების ტევადობისათვის, როგორიცაა რეზერვუარი, ბუნკერი, აირსაცავი, სილოსი, დიდი დიამეტრის მილსადენი, საკვამლე მილი და სხვ. ფ. კ. დასამზადებლად გამოიყენება ფურცლების მოსაღუნი და გამასწორებელი დაზგა, ფურცლების დასაწნეხი ავტომატი და ავტომატური (ნახევრადავტომატური) შესადუღებელი აპარატი.

ფურცლოვანი ლითონი – ფურცლები და ფართო ფურცლოვანი ზოლი ლითონისაგან, რომელიც მიიღება გლინვით. ზოგი ლითონის (ალუმინი, ტყვია, სპილენძი) გლინვით მიიღება ფოლგა. ფურცლოვანი ფოლადის განსაკუთრებული სახეა ბიმეტალის ფურცელი, მიღებული სხვადასხვა ლითონის ნამზადის ორი პაკეტის გაგლინვით.

ფუსტი (ლათ. fustis ჯოხი, კეტი) – არქიტ. სვეტის ბაზასა და სათავეს (კაპიტელს) შორის მოქცეული ნაწილი – სვეტის ტანი.

ფუსტიკი – თრიმლის (თუთუბოსებრთა ოჯახი) და ბრაზილიური ყვითელი ხის (ლათ. Chlorophora tinctoria, თუთისებრთა ოჯახი) მომწვანო ან მოწითალო-ყვითელი მერქანი.

ფუტი (ინგლ. foot<გერმ. fuss ფეხი) – ინგლისში, ამერიკასა და, ადრე რუსეთში, მიღებული სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც უდრის 0,3048 მეტრს (12 დუიმს).

ნახ. 1

ფუტურიზმი (ლათ. futurus მომავალი) – საერთო დასახელება ავანგარდული მხატვრული მიმდინარეობისა არქიტექტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში იტალიაში. არქიტექტურასა და მშენებლობაში (ნახ. 1.

Galaxy SOHO, ქ. ბეიძინი, ჩინეთი) ფ. გამოვლინებაა ძლიერი ქრომატიზმი და გრძელი დინამიკური რიგები, რომელიც სიმბოლურს ხდის სიჩქარეს, მოძრაობასა და ლირიზმს. ფუტურისტებში გავრცელებული იყო მანქანური ეპოქის კულტი, ადიდებდნენ ომსა და უხეშ ძალას. ფუტურისტული ხელოვნების მიზანი არის არა გარემომცველი სინამდვილის ასახვა და შეცნობა, არამედ ახალი რეალობის შექმნა. ფ. საფუძველზე გაჩნდა ახალი ფუტურისტული მიმდინარეობა ნეო-ფუტურიზმი.

ნახ. 1

ფუტშტოკი – გეოდ. უძრავი სასიმაღლო ლარტყა დანაყოფებით, რომელიც დაყენებულია მდინარის, ტბის, ზღვის, ოკეანის ნაპირზე, წყლის დონის ცვლილებაზე დასაკვირვებლად (ნახ. 1. კრონშტადტის ფუტშტოკი, რუსეთის ფედერაცია).

ფუქსიტი (ქრომის ქარსი) (გერმ. fuchsit გერმანელი გეოლოგის იოჰან ნეპომუკა ფონ ფუქსის სახელის მიხედვით) – ქრომით მდიდარი (შეიცავს 4%-მდე ქრომის ჟანგს) მინერალური მუსკოვიტის სახესხვაობა, ღია მწვანე ფერის ფენოვანი მინერალი. ფორმულა – $K(Al,Cr)_2(AlSi_3O_{10})(OH)_2$. ხშირად მისგან ამზადებენ სამაჯურებსა და საყურეებს. გამოიყენება ელექტროტექნიკასა (როგორც დიელექტრიკი) და ლაქსაღებავების წარმოებაში (როგორც დეკორატიული შემავსებელი).

ფულურო – ცოცხალ ხეში მერქნის სრულად დაშლის შედეგად წარმოქმნილი სიცარიელე, რაც მერქნის სოკოების ზემოქმედებითაა გამოწვეული.

ფუძე – 1. რისამე საყრდენი; საძირკველი, საფუძველი; 2. ადგილი, სადაც დგას ვისიმე სახლი, სახლ-კარი; 3. სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა; 4. ქიმიური ნაერთი, რომელიც მჟავასთან შეერთებით წარმოქმნის მარილს.

ფუძე-გრუნტების კლასიფიკაცია – ითვალისწინებს მათ დაყოფას მსგავსი ნიშნების მიხედვით, სახელდობრ: ა) კლასი – სტრუქტურული კავშირების ხასიათის მიხედვით; ბ) ჯგუფი – წარმოშობის მიხედვით (გენეტიკური ნიშნით); გ) ქვეჯგუფი – ჩამოყალიბების პირობების მიხედვით; დ) ტიპი – პეტროგრაფიული აგებულებით, გრანულომეტრიული შედგენილობითა და არაერთგვაროვნობის ხასიათის მიხედვით; ე) სახეობა – სტრუქტურის, ტექსტურის, აგებულების სიმკვრივისა და ჩანართების მიხედვით; ზ) ნაირსახეობა – ფიზიკური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებებითა და მდგომარეობით. გრუნტი იყოფა 2 კლასად: ა) კლდოვანი გრუნტი, რომელსაც მიეკუთვნება ამოფრქვეული, დანალექი და მეტამორფული ქანები ხისტი სტრუქტურული კავშირებით ნაწილაკებს შორის, განლაგებული მთლიანი ან მასივების სახით; ბ) არაკლდოვანი გრუნტები, რომლებსაც მიეკუთვნება მსხვილნატეხოვანი, ქვიშოვანი და მტვროვან-თიხოვანი გრუნტები.

ფუძე-ჩარჩო – საძირკვლის ქვედა ნაწილი, რომელიც დატვირთვებს ფუძეს გადასცემს.

ფშავური სახლი – უმეტესად ერთსართულიანი მიწურბანიანი ქვის სახლი (ნახ. 1). სახლის შუა ადგილზე იდგა ორი დედაბოძი, რომლებიც ერთმანეთისგან დაცილებული იყო სამი-ოთხი მეტრით. მათ შორის 2 მ სიგრძეზე და 1,5 მ სიგანეზე, იატაკი შუა ადგილას ბრტყელი ქვით იყო

მოპირკეთებული. ამ ადგილს კერას ეძახდნენ. კერაზე საკიდელი იყო ჩამოკიდებული, რომელიც მიმაგრებული იყო ჭერში გადებულ ორ სალეთხე ჯოხზე. კერა მოთავსებულია სახლის საკომთან ან გვირგვინის ქვეშ, რომ კერის ბოლი სახლიდან გავიდეს. კერას ორი მხარე გააჩნდა – მარჯვენა და მარცხენა. მარჯვენა მხარე იყო საკაცო, მარცხენა – სადედაკაცო. საკაცო კერის მხარეს იდგა ფიცრის დიდი ტახტი, რასაც სკამს ეძახდნენ, მასზე მხოლოდ კაცები სხდებოდნენ. საკაცო კერის მხარეს ქალებს გადასვლა ეკრძალებოდათ. ქალები სხდებოდნენ სადედაკაცო კერასთან, მიწაზე. მოხუცი ქალები უპირატესობით სარგებლობდნენ და სხდებოდნენ სანაცურაზე (გაუკრეჭავი ტყავისაგან გაკეთებული ბალიში). ტახტის ბოძზე ეკიდა ფანდური, ხოლო ტახტის თავზე კედელს ამშვენებდა მამაკაცის საბრძოლო იარაღი. დედაბოძი ხშირად მოჩუქურთმებული და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურით იყო დამშვენებული. სახლის გასანათებლად არყის ხისა და თუნუქის ჭრაქს ხმარობდნენ. სახლზე მიშენებული იყო დერეფანი, კიბე, საბძელი, ბოსელი და სხვ. თანამედროვე სახლებში კერა მოშლილია და ბუხარი ან თუნუქის ღუმელია გამართული.

ნახ. 1

ფხა ლურსმანი – მოთუთიებული დაკბილული ფოლადის ლურსმანი (ნახ. 1). გამოიყენება ხისა და ფურცლოვანი მასალების შესაერთებლად. გამოირჩევა მაღალი კოროზიამედეგობით, შეჭიდულობითა და საიმედოობით.

ნახ. 1

ფხვიერი გარემოს მექანიკა – უწყვეტი ტანის მექანიკის ნაწილი. შეისწავლის ფხვიერი ტანის მოძრაობასა და წონასწორობას, რომელიც შედგება მრავალი ცალკეული ნაწილაკისაგან (მაგ., წვრილმარცვლოვანი გრუნტი, ცემენტი, დანაწევრებული ნახშირი და სხვ.).

ფხვიერი ქანები – სხვადასხვა მინერალთა ან ერთი მინერალის ურთიერთშორის დაუკავშირებელი მარცვლების მარტივი მექანიკური ნარევი (ხრეში, ქვიშა).

ფხვნილთა მეტალურგია – ლითონის ფხვნილისა და მასთან შეცხობილი ნაკეთობის დამზადება. გამოიყენება აგრეთვე ლითონებისა და არალითონების კომპოზიციები. ფ. მ. მიიღება ძნელდნობადი ლითონები, ფორებიანი და ფრიქციული მასალები და სხვ.

ფხვნილი – ნივთიერების მდგომარეობა, როდესაც მყარი ნივთიერება ან მასში შემავალი ნივთიერებები ძალიან დაქუცმაცებულია, თანაც მისი ნაწილაკები შეერთებული არ არის ერთმანეთთან (მაგ., წებოთი), რაც საშუალებას იძლევა გროვას მიეცეს ნებისმიერი ფორმა. ფართოდ გამოიყენება მშენებლობასა და მრეწველობაში. ფ. გამოყენების მაგალითებია:

ცემენტი, თაბაშირი, ქვიშა, ტალკი, მანგანუმი, კანიფოლი, გრაფიტი, ფქვილი; აბრაზიული, სარეცხი, საღებავის, მერქნის, ზუმფარის, ლითონის, მინისა და მისთ. ფხვნილები და სხვ.